იოსებ ცინცაძე

აფრიკა:

თავისუფლების პირველი ნაბიჯები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1977

მონოგრაფიაში გადმოცემული და გაანალიზებულია აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოვლენები, ამ სახელმწიფოთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან უკანასკნელ პერიოდამდე. მოცემულია საერთაშორისო-იმპერიალიზმის ნეოკოლონიური ტაქტიკის კრიტიკა, დოკუმენტებზე დაყრდნობით ნაჩვენებია თავისუფალი აფრიკის მიმართ ლენინური საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარე და მეგობრული პრინციპები.

წიგნში ცალკე ნაწილად არის წარმოდგენილი პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დაშლისა და ანგოლის, გვინეი-ბისაუს და მოზამბიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის საკითხი, გამოაშკარავებულია ანგოლის გამთიშველ დაჯგუფებათა იმპერიალისტური არსი.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977

10605
Ц——————34-77
М608(08)—77

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოკვლევა ეძღვნება აფრიკის კონტინენტის ხალხთა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის. სულ ახლო წარსულში აფრიკა ერთ მთლიან კოლონიურ მასივს წარმოადგენდა. იმპერიალისტური მეტროპოლიის ფერებში იყო შეღებილი აფრიკის პოლიტიკური რუკა. მოკლე ისტორიული პერიოდის განმავლობაში დაემხო იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა, რომელიც მთელი კონტინენტის ხალხს თრგუნავდა და მის შემოქმედებით ძალებს ბოჭავდა. რაში მდგომარეობს ამ ისტორიულ გარდაქმნათა მიზეზი, როგორ წარიმართა იგი, როგორ ვითარდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორია საბჭოთა კავშირის როლი ამ ბრძოლაში? ამ კითხვებზე პასუხს იძლევა მკითხველისათვის შემოთავაზებული წიგნი „აფრიკა: თავისუფლების პირველი ნაბიჯები“.

ავტორი მკაცრ ისტორიულ ასპექტში აგებს აფრიკის ქვეყნების სოციალურ პროგრესთა შესწავლას და 1976 წლამდე მოჰყავს იგი. ეს, მართლაც ყველაზე სწორი მეთოდოლოგიური მიდგომაა, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა თვალი გავაყოლოთ პროცესთა მსვლელობას მათ ისტორიულ განვითარებაში, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებასა და გაფორმებასთან კავშირში.

აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით ორი მომენტი უნდა აღვნიშნოთ:

ჯერ ერთი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აფრიკაში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან და სსრკ-ს, შემდგომში კი, მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობასთან. აფრიკაში არ ყოფილა არც ერთი ნამდვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ყოველმხრივი დახმარება არ მიეღოს სკკპ-სა და საბჭოთა ხალხის მხრიდან.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ საბჭოთა კავშირის პროლეტარული სოლიდარობის უკანასკნელი მაგალითი ეს არის ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება ანგოლის პატრიოტთადმი, რომელთაც ხელმძღვანელობს მპლა და რომელნიც 15 წლის განმავლობში ეწეოდნენ გმირულ ბრძოლას ჯერ პორტუგალიელ კოლონიზატორებთან, ხოლო შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებთან და უნიტასა და ფნლა-ს პროიმპერიალისტურ გამთიშველებთან. როგორც ცნობილია, უკანასკნელნი აშკარად იდგნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარეზე. აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ლენინური პოლიტიკის ტრიუმფის დადასტურებაა. კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შემდეგ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ფართო დახმარებას უწევენ აფრიკის ქვეყნებს მათი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

მეორე, ყველგან, მათ შორის აფრიკაშიც, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადაზრდა ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ფაქტს წარმოადგენს. აქ უკვე წარმოიქმნა სოციალისტური ორი-

ენტაციის ქვეყნების ჯგუფი, სოციალიზმისათვის ბრძოლა განვითარებად ქვეყნებში — კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებისა და ჩვენი ეპოქის მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის ახალი დადასტურებაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ოცდამეხუთე ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ განვითარებად ქვეყნებში მომხდარ ცვლილებათა მთავარი მიმართულება „ეს არის მრეწველობის განვითარებაში სიმძიმის ცენტრის გადატანა სახელმწიფო სექტორზე, ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, უცხოეთის საწარმოთა ნაციონალიზაცია, რომლის მიზანია ახალგაზრდა სახელმწიფოთა ეფექტიანი სუვერენიტეტის დამყარება საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე, საკუთარი კადრების შექმნა. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ამ ნაწილში, სიძნელეთა მიუხედავად, ღრმა პროგრესული ცვლილებანი ხდება. ეს, რა თქმა უნდა, ისტორიული მნიშვნელობის პროცესია.“

ახლა პროგრესულ ძალთა დღის წესრიგში დადგა სამხრეთ აფრიკისა და როდეზიის რასისტულ რეჟიმებთან ბრძოლის საკითხი. ლაპარაკობდა რა აფრიკაზე, პარტიის ოცდამეხუთე ყრილობაზე ცკ საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა იმ ვითარებას, რომ „70-იანი წლების პირველ ნახევარში ამ კონტინენტის მიწაზე გაიშალა კოლონიური სისტემის მსხვრევის დასკვნითი ეტაპი.“

აფრიკის რევოლუციურ ძალებს, მსოფლიო რევოლუციური სისტემისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მხარდაჭერით, ეკონომიური და სოციალური პროგრესისაკენ მიჰყავთ აფრიკა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ი. პ. ცინცაძის წიგნი, რომელიც დაწერილია საინტერესოდ, საგანგებლობას მოუტანს მკითხველთა ფართო წრეს — მეცნიერ მუშაკებს, სტუდენტებს, აფრიკაში სამუშაოდ მიმავალ სპეციალისტებს.

ვ. გ. სოლოდოვნიკოვი,

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
წ/კორესპონდენტი,
საბჭოთა კავშირის
სრულუფლებიანი და
საგანგებო ელჩი ზამბიაში

გ ა ნ ა

1957 წლის ექვს მარტს დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონია, ოქროს ნაპირი ტროპიკული აფრიკის პირველ სუვერენულ სახელმწიფოდ იქცა. განთავისუფლებულ კოლონიას განა ეწოდა.[1] თავისუფლების მოპოვებასთან დაკავშირებულ დღესასწაულს ესწრებოდა 56 სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა კავშირის, დელეგაცია. მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მიულოცა განელ ხალხს დამოუკიდებლობა.

ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური რევოლუციის გამარჯვება განაში დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა. იმ დროისათვის იმპერიალიზმს უკვე დაკარგული ჰქონდა უდიდესი კოლონიები აზიაში. თავისუფალ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ ავრეთვე აფრიკის მატერიკის არაბული ქვეყნები (გარდა ალჟირისა). ევროპის იმპერიალიზმი არაბულ სახელმწიფოებს განიხილავდა როგორც აზიის ნაწილს, ხოლო მათ განთავისუფლებას,—როგორც აზიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელ ნაწილს. რაც შეეხება ტროპიკულ აფრიკას, რომელიც ძირითადად ნეგროიდული რასით არის დასახლებული, ევროპელი იმპერიალისტები თვლიდნენ, რომ ეს ხალხები საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ სამოციანი წლების დასასრულს თუ იქნებოდნენ მზად, ისიც შეზღუდული თვითმმართველობისათვის. ასეთ საერთო სიტუაციაში განის მოსახლეობამ აიძულა ბრიტანეთის იმპერიალიზმი ხელი აეღო თავის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კოლონიაზე

---

[1] სახელწოდება „განას“ პირველად მერვე საუკუნის არაბ ასტრონომ ალ-ფაზარისთან ვხვდებით. ტერმინი „განა“ თავდაპირველად აუკერის სახელმწიფოს მმართველთა ტიტული იყო, შემდეგ კი — თვით სახელმწიფოს ეწოდა. მოსაზრება იმის შესახებ, რომ აკანის ტომი, რომელიც დღეს განის მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ცხოვრობდა აქ, საფუძველად დაედო ოქროს ნაპირისათვის განის სახელწოდების მინიჭებას. თვით განის იმპერია დაეცა 1076 წელს, როდესაც ალმორავიანთა მმართველმა აბუ ბეკრმა აიღო და დაანგრია იმპერიის დედაქალაქი კუმბი სალე.

აფრიკაში. იმავე წლის 7 მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ა. სობოლევის თავმჯდომარეობით, ერთხმად მისცა განას რეკომენდაცია გენერალური ასამბლეის წინაშე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი მიღების თაობაზე.

განის ხელმძღვანელებს და უპირველეს ყოვლისა კვამე ნკრუმას, კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი იყო კოლონიალიზმის ლიკვიდაცია აფრიკის მთელ კონტინენტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში განა იქცეოდა პატარა თავისუფალ კუნძულად კოლონიურ ოკეანეში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აშშ-დან განაში გადასახლდა პანაფრიკული მოძრაობის პატრიარქი პროფ. უილიამ დიუბუა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ განა იქცა პანაფრიკანიზმის ცენტრად. „ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ჩვენს განთავისუფლებამდე, მე ვამბობდი, რომ განის თავისუფლებას აზრი არ ექნება, თუ ჩვენ მას არ დავუკავშირებთ აფრიკის კონტინენტის სრულ განთავისუფლებას“, — განაცხადა კ. ნკრუმამ თავის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში.

განთავისუფლებისთანავე კ. ნკრუმას მთავრობამ წინადადებით მიმართა კონტინენტის ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურს შეკრებილიყვნენ კონფერენციაზე საერთო პრობლემათა განსახილველად. მას შემდეგ, რაც განის მთავრობის დელეგაციამ იმოგზაურა აფრიკის ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოში, მომავალი კონფერენციის მუშაობის ხასიათის განსახილველად, 1958 წლის 15 აპრილს განის დედაქალაქ აკრაში კონფერენცია შეუდგა მუშაობას. მონაწილეობდნენ — ეთიოპია, ლიბანი, ტუნისი, მაროკო, ეგვიპტე, ლიბერია და სუდანი. კონფერენცია გახსნა და დამსწრეთ სიტყვით მიმართა კ. ნკრუმამ: „დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს საქმეებს და ჩვენს ბედს ჩვენს გარეშე წყვეტდნენ,- თქვა მან, — ახლა დადგა დრო, როდესაც ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი ბედის პატრონნი. რა წარმოადგენს ამ ისტორიული კონფერენციის მიზანს? ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ შევიცნოთ ჩვენი თავი და შევიმუშაოთ ჩვენი ძნელად მოპოვებული თავისუფლების განმტკიცების საშუალებანი, შევიმუშაოთ ჩვენი, ჯერ კიდევ მონობაში მყოფი ძმების, ეფექტური დახმარების საშუალებანი.“ 22 აპრილს კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა. მიღებულ იქნა რეზოლუციები საგარეო პოლიტიკის დარგში (ბანდუნგის პრინციპის აღიარება), ალჟირის თაობაზე, ტოგოსა და კამერუნის სამეურვეო ტერიტორიათა თაობაზე, ეკონომიურ და კულტურულ

თანამშრომლობაზე და სხვ. სპეციალური რეზოლუცია იქნა მიღებული აფრიკაში კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება ყოველ ორ წელიწადში ანალოგიური კონფერენციის ჩატარების შესახებ. შემდეგი კონფერენცია შედგა 1960 წ. ადის-აბებაში. ამის შემდეგ ანალოგიური კონფერენცია აღარ შეკრებილა.

აფრიკის კონტინენტის მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების გაერთიანების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა აფრიკის ხალხთა კონფერენციები, რომელთა ჩატარების იდეაც ისევ განაში დაიბადა, ღამოუკიდებლობის პირველი წლის ზეიმზე. ზეიმს ესწრებოდა კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი. მაშინვე შეიქმნა მოსამზადებელი კომიტეტი. 1958 წლის აპრილს დაარსდა ყოველთვიური ჟურნალი „პან-აფრიკენ ეიჯი“, რომელმაც იწყო აფრიკის ხალხების ერთიან ანტიიმპერიალისტურ ფრონტად გაერთიანების იდეის ფართო პროპაგანდა.

აფრიკის ხალხთა პირველი კონფერენცია გაიხსნა 1958 წლის 8 დეკემბერს აკრაში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 62 ორგანიზაციის დელეგაცია აფრიკის მრავალი ქვეყნიდან. დელეგატთა შორის იყვნენ: პატრის ლუმუმბა, მილტონ ობოტე, ხასტინგ ბანდა და სხვ. კონტინენტის ისტორიაში ეს იყო პირველი ფორუმი, რომელზედაც აფრიკის საუკეთესო შვილები განიხილავდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლის აქტუალურ საკითხებს. ავადმყოფობამ ხელი შეუშალა უ. დიუბუას მონაწილეობა მიეღო კონფერენციის მუშაობაში.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია „იმპერიალიზმზსა და კოლონიალიზმზე“, „ტრადიციულ ინსტიტუტებზე“, „გვაროვნულ წყობილებასა და რელიგიურ სეპარატიზმზე.“

1960 წლის აგვისტოში განაში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პ. ლუმუმბა. ვიზიტის შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ ორივე მთავრობა მოითხოვდა ბელგიის ჯარების ევაკუაციას კატანგიდან და კონგოს სხვა რაიონებიდან, ბელგიის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას კატონსა და კამინეში.

1960 წლის მაისს საყოველთაო არჩევნების შედეგად განაში მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას. პირველ პრეზიდენტად, 1, 016, 076 ხმით 124,623-ის წინააღმდეგ, აირჩიეს კ. ნკრუმა. პრეზიდენტს ირჩევდნენ 5 წლის ვადით; როგორც წესი, ის უნდა ყოფილიყო უმრავლესობის პარტიის ლიდერი,

მის ხელში იყო აღმასრულებელი ხელისუფლება, პრეზიდენტიც იყო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. პარლამენტი შედგებოდა პრეზიდენტისა და ეროვნული კრების 104 წევრისაგან, რომელთაც აგრეთვე ხუთი წლით ირჩევდნენ ფარული კენჭისყრით. 1960 წ. 1 ივლისს საზეიმო ვითარებაში განა გამოცხადდა რესპუბლიკად, 30 ივნისს კი იგი საბუდამოდ დასტოვა გრაფმა უილიამ ფრენსის ლისტოუელმა — ინგლისის უკანასკნელმა გენერალ-გუბერნატორმა განაში. თავის პირველივე საჯარო გამოსვლაში პრეზიდენტმა კ. ნკრუმამ განაცხადა: „რათა არ იქნეს დაშვებული ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, თავის ახალ ცხოვრებაში განამ უნდა აშენოს სოციალისტური ტიპის საზოგადოება“.

მიუხედავად იმისა, რომ განა ფორმალურად 1957 წელს განთავისუფლდა, 1960 წლის კონსტიტუციამდე აქ ძლიერ იგრძნობოდა ინგლისელთა ბატონობა — კრისტიანსბორგის სასახლეში კვლავინდებურად იჯდა ინგლისელი გუბერნატორი და კვლავინდებურად ფრიალებდა „იუნიონ ჯეკი“ — დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ალამი; მხოლოდ ახლა გუბერნატორი ორ ფიცს სდებდა: პირველს ინგლისის დედოფლის წინაშე, მეორეს — განის წინაშე. გუბერნატორი იყო განის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ინგლისელივე გენერალი ალექსანდერი იყო შტაბის უფროსი. სახელმწიფო აპარატში ინგლისელი მოხელენი ბატონობდნენ, ისინი ხშირად აშკარა საბოტაჟსაც კი მიმართავდნენ, მაგრამ განას, ეროვნული კადრების ნაკლებობის გამო, უნდა მოეთმინა ამგვარი სიტუაცია. ინგლისის იმპერიალიზმი ყოველმხრივ ცდილობდა არ დაეშვა განის ფორმალური დამოუკიდებლობის გადაზრდა ჭეშმარიტ დამოუკიდებლობაში, იმპერიალიზმის სამსახურში ჩადგა აგრეთვე ქვეყნის შიდა რეაქციაც. 1957 წლის ნოემბერში ყველა ოპოზიციური პარტია გაერთიანდა ერთ ე. წ. გაერთიანებულ პარტიად. პარტიის ლიდერად აირჩიეს ფეოდალური რეაქციის ნდობით აღჭურვილი პირი, პროფ. კ. ბუსია, რომელიც მალე ემიგრაციაში წავიდა და იქიდან დაიწყო განის პროგრესული რეჟიმის ძირგამომთხრელი მუშაობა.

მიუხედავად შიდა და გარე რეაქციის წინააღმდეგობისა, განის მთავრობა თანმიმდევრულად შეუდგა ანტიიმპერიალისტური და ანტირასისტული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. 1960 წლის მაისს, სამხრეთ აფრიკის კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ლოუს უარი უთხრეს განაში ჩასვლაზე, განის წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაავრცელა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მხილებული იყო სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის რასისტული

პოლიტიკა მის სამეურვეო ტერიტორიაზე. პარალელურად განის დელეგაციამ ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის მორიგ კონფერენციაზე კატეგორიულად დასვა საკითხი თანამეგობრობიდან სამხრეთ აფრიკის კავშირის გაძევების შესახებ. 1960 წლის 2 ივნისს განის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თუ სამხრეთ აფრიკის კავშირი ხელს არ აიღებდა რასიზმსა და აპართეიდზე, განა მიმართავდა „სოციალურ, დიპლომატიურ და ეკონომიურ ბოიკოტს". მალე კ. ნკრუმამ სპეციალური მოწოდებით მიმართა აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოებს ერთდროულად დაეწყოთ ეკონომიური ბოიკოტის ჩატარება სამხრეთ აფრიკის კავშირის მიმართ. 1960 წლის 29 ივნისს კი განის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის მონაწილე და აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობისადმი ბოიკოტის შესახებ. გაუქმდა ადრე გაცემული ყველა ლიცენზია განაში სამხრეთ აფრიკის კავშირიდან და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკიდან საქონლის იმპორტის შესახებ.

საფრანგეთის მიერ საჰარის ატომური იარაღის საცდელ პოლიგონად ქცევის ცდის საპასუხოდ განის მთავრობამ მტკიცე ანტიფრანგული პოზიცია დაიკავა; საჰარაში პირველი ფრანგული ატომური ბომბის გამოცდის შემდეგ განის მთავრობამ ემბარგო დააწესა საფრანგეთის ანაბრებს, მეორე გამოცდის შემდეგ კი თავისი ელჩი გამოიწვია პარიზიდან და აკრძალა ყოველგვარი ფულადი სახსრების გადარიცხვა განიდან ფრანგული ფრანკის ზონაში.

1960 წლის ზაფხული აფრიკის ისტორიაში აღინიშნა საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტრიგებით კონგოში. კონგოს კრიზისის პირველივე დღეებიდან განის მთავრობამ მტკიცე ანტიიმპერიალისტური პოზიცია დაიკავა. „იმპერიალისტთა და კოლონიზატორთა დღევანდელი ინტრიგები კონგოში, ჩვენი მოსალოდნელი საფრთხის ნათელ სურათს ქმნის, — განაცხადა კ. ნკრუმამ აკრაში მოწვეულ პრესკონფერენციაზე, — კონგოს ამბები მთელი აფრიკის გაკვეთილია და თვალნათლივ მიუთითებენ აფრიკის დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ერთობლივ მოქმედებათა აუცილებლობაზე."

მოვლენათა განვითარება კონგოში სულ უფრო სერიოზულ ხასიათს ღებულობდა და 1960 წლის აგვისტოში განის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება — თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ გაგზავნიდა თავის ჯარებს კონგოში კანონიერი ხელისუფლების დასაცავად, განა დამოუკიდებლივ აღმოუჩენდა დახმარებას პ. ლუმუმბას მთავრობას. გა-

ნაში კ. ნკრუმას თავმჯდომარეობით დაარსდა კონგოსადმი დახმარების საკოორდინაციო კომიტეტი. კომიტეტი რეგულარულად იკრიბებოდა დღეში ორჯერ და განიხილავდა ტექნიკური და სხვა ხასიათის დახმარების საკითხებს. განამ იკისრა კონგოს დიპლომატიური ინტერესების დაცვა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში. განის მთავრობის ანტიიმპერიალისტურმა პოლიტიკამ კონგოს საკითხში საერთაშორისო იმპერიალიზმის უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა: „აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი სინანულს გამოთქვამდა კ. ნკრუმას პოლიტიკური განცხადებების გამო, რომლებშიც იგი მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის მოთხოვნას კონგოში მთელი ხელისუფლების კ. ლუმუმბასათვის გადაცემის თაობაზე“.

1960 წლის დეკემბერს განამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ბელგიასთან და თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა გამოიწვია ლეოპოლდვილიდან. ამავე დროს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აფრიკის ერთობის საკითხში—ნოემბერში განის და მალის მთავრობები შეთანხმდნენ ერთობლივი პარლამენტის შექმნის საკითხში; სულ უფრო მტკიცდებოდა კავშირი გვინეასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა გენერალურმა მდივანმა დ. ჰამარშელდმა ვერ შეძლეს კონგოში კანონიერი ხელისუფლების დაცვა, რის გამოც ორგანიზაცია მთელი პროგრესული საზოგადოებრიობის კრიტიკის ობიექტად იქცა. განის მთავრობა სისტემატურად ამხელდა დ. ჰამარშელდის ფაქტიურად წამქეზებლურ როლს, რამაც საბოლოო ჯამში კონგოს კანონიერი მთავრობის დამხობა და პ. ლუმუმბას სიკვდილი გამოიწვია. 1961 წლის 22 იანვრის მოწინავე წერილში განის ოფიციოზი „განა ტაიმსი“ წერდა, რომ „უშვებს რა ერთიმეორეზე უფრო სერიოზულ შეცდომებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია კონგოში იმდენად არაეფექტურია, რომ უკეთესი იქნებოდა თუ იგი დატოვებდა კონგოს. როდესაც პ. ლუმუმბას აწამებენ და ამცირებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარსარდლობა ფარისევლურად ამტკიცებს, რომ არა აქვს ჩარევის უფლება, ვინაიდან ეს კონგოს საშინაო საქმეა, მაგრამ საკმარისია პ. ლუმუმბას მომხრეებმა დაეპატიმრონ ბელგიის რომელიმე აგენტი, რომ იგივე მთავარსარდლობა ელვის სისწრაფით მოქმედებს.“

1961 წლის თებერვალს განის მთავრობამ წამოაყენა 6 პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო კონგოს კრიზისის

მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებდა: 1. ბელგიას დაუყოვნებლივ უნდა გაეყვანა კონგოდან თავისი ჯარი; 2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს უნდა მოეხდინათ კონგოს მთელი ტერიტორიის ოკუპირება. 3. კონგოს პოლიტიკურ ლიდერებს უნდა მისცემოდათ საკუთარ გადაწყვეტილებათა მიღების საშუალება; 4. დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულიყო პ. ლუმუმბა და საშუალება მისცემოდა მონაწილეობა მიეღო კონგოს კანონიერი მთავრობის შექმნაში; 5. უნდა აეძულებინათ მ. ჩომბე ეთანამშრომლა სხვა ლიდერებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩომბე უნდა გადაეყენებინათ; 6. განიარაღებული უნდა ყოფილიყო გენერალ მობუტუს არმია და ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალები დაექვემდებარებინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის.

პ. ლუმუმბას მკვლელობამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია განაში, ქვეყანაში გამოცხადდა 8 დღიანი გლოვა, ხოლო კ. ნკრუმამ საჯაროდ დასდო ბრალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მკვლელობის ხელის შეწყობაში. განამ ანტუან გიზენგას მთავრობა ცნო როგორც კონგოს ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება.

ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური პოზიცია დაიკავა განამ აგრეთვე ალჟირის საკითხშიც; მან ერთ-ერთმა პირველმა ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა. 1961 წ. 14 იანვარს გამოქვეყნებულ სპეციალურ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „განის მთავრობა თავის ვალდებულებად თვლის ყოველგვარი — პოლიტიკური, დიპლომატიური და მატერიალური — დახმარება აღმოუჩინოს ალჟირის ხალხს მის ბრძოლაში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალჟირის საკითხის განხილვისას განის დელეგაცია სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებთან ერთად იცავდა ალჟირის ხალხთა ეროვნულ ინტერესებს.

ანალოგიური პოზიცია ეკავა განას პორტუგალიის მიმართაც; როდესაც 1961 წლის ივნისს განაში ვიზიტით იმყოფებოდა დაგომეის მთავრობის დელეგაცია, ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ ორივე მთავრობა „ვმობს პორტუგალიელ კოლონიზატორთა მხეცობას ანგოლაში და ყოველ ღონეს იხმარს, რათა მსოფლიოს საზოგადოებრიობა დარაზმოს კოლონიურ რეპრესიათა წინააღმდეგ ანგოლაში.“ ამავე დროს განის აეროდრომები და საზღვაო პორტები დაიკეტა პორტუგალიის გემებისა და თვითმფრინავებისათვის. განის მთავრობამ სპეციალური საჩივარი შეიტანა პორტუგალიაზე შრომის საერთაშორისო ბიუროში.

საჩივარში აღნიშნული იყო, რომ სალაზარის მთავრობა აფრიკის კოლონიებში სისტემატურად მიმართავს იძულებით შრომას, რითაც არღვევს 1957 წლის კონვენციას იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ. 1961 წლის 30 მაისს განის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში კ. ნკრუმა სპეციალურად შეჩერდა რამოდენიმე დღით ადრე ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიუმის განცხადებაზე, რომელიც უკანასკნელმა ლისაბონში გააკეთა და შეეცადა გაემართლებინა პორტუგალიის პოლიტიკა ანგოლაში: „ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ ბრიტანეთის თანდაყოლილი სიბეცით ყველა იმ საკითხში, რაც კი პორტუგალიას შეეხება, — განაცხადა კ. ნკრუმამ, — რატომ უნდა შეიდიოდეს საერთოდ ნატოს ბლოკში ისეთი ღატაკი ქვეყანა როგორიც პორტუგალიაა, რომელსაც არ გააჩნია მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები. ერთადერთი ახსნა ის არის, რომ მას გააჩნია საეჭვო დანიშნულების ბაზები აზორის კუნძულებზე“. შემდეგ თავის გამოსვლაში კ. ნკრუმამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ანგოლაში შექმნილი მდგომარეობა ემუქრება აფრიკის თავისუფლებას და მოუწოდა კონტინენტის ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაეფიწყებინათ თავიანთი უთანხმოებანი და ერთიანი ღონისძიებები გაეტარებინათ ანგოლის დასახმარებლად. კ. ნკრუმამ მოითხოვა ერთა თანამეგობრობიდან ინგლისის გარიცხვა ანგოლის საკითხში მისი პროპორტუგალიური კურსის გამო.

როდესაც ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის 1961 წლის მარტის კონფერენციაზე ცნობილი გახდა სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის გადაწყვეტილება—დაეტოვებინა თანამეგობრობა, განის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა, რათა თანამეგობრობის ყველა წევრ-სახელმწიფოს დაუყოვნებლივ განეხორციელებინა ეკონომიური და დიპლომატიური სანქციები რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ. ანალოგიური მოწოდებით მიმართა განის მთავრობამ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს. „სამხრეთ აფრიკის კავშირს არ ჰქონდა სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ უარი ეთქვა ერთა თანამეგობრობის წევრობაზე, — განაცხადა კ. ნკრუმამ კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ,—ვეცდებით მსოფლიო საზოგადოებრიობის მობილიზაციას ეკონომიურ და პოლიტიკურ სანქციათა გასატარებლად, რათა ამ გზით ვაიძულოთ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა ხელი აიღოს აპართეიდზე.“ მარტის ბოლოს, განის მთავრობის მოწოდების საპასუხოდ სამხრეთ აფრიკის კავშირთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა აფრიკის 26 სახელმწიფომ.

განის მთავრობას კარგად ესმოდა ამერიკის იმპერიალიზმის როლი

გლობალურ ნეოკოლონიურ სტრატეგიაში და სისტემატურად გამოდიოდა მისი მხილებით. 1960 წლის 4 ოქტომბერს, მოწინავე წერილში განის გაზეთი „ივნინგ ნიუსი“ ეხებოდა აშშ-ის პოლიტიკას აფრიკაში და წერდა: „50-იანი წლებისათვის აშშ-ის კაპიტალდაბანდებამ აფრიკაში მრავალ მილიარდ დოლარს მიაღწია. ამერიკულ კომპანიათა ინტერესების დაცვის მიზნით, ჯერ კიდევ ტრუმენის დროს შეთხზულ იქნა მითი კომუნისტთა „ხრიკების“ შესახებ აფრიკაში. აშშ-მა იწყო სამხედრო ბაზების მშენებლობა აფრიკაში“. როდესაც 1961 წლის თებერვალში პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ კასავუბუ ფაქტიურად ცნო კონგოს მთავრობის მეთაურად, განის ოფიციალურ წრეებში ეს ფაქტი კლასიფიცირებულ იქნა როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა.

მტკიცე ანტიამერიკული პოზიცია დაიკავა განის მთავრობამ 1961 წლის გაზაფხულზე კუბაზე ინტერვენციის პერიოდში. მთავრობის ოფიციოზმა „განიენ ტაიმსმა“ სპეციალური წერილი გამოაქვეყნა სათაურით —„აშშ-ის ინტერვენცია გრძელდება“, სადაც აღნიშნული იყო, რომ „გასული წლის ნოემბერში პრეზიდენტად არჩეულმა კენედიმ დაფდაფების გრიალით აუწყა მთელს მსოფლიოს მისი სამშვიდობო პოლიტიკა. სინამდვილეში კი კუბის საკითხში მან ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია უკან თავის წინამორბედთა დისკრედიტირებული პოლიტიკიდან. ინტერვენცია იყო აშშ-ის მიერ კუბის საშინაო საქმეებში ჩარევის კულმინაციური მომენტი. დღეს ამერიკის თავისუფლების ძეგლი ინტერვენციის უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლშია მოსვრილი“. 23 აპრილს კ. ნკრუმამ პირადად მიულოცა ფ. კასტროს კონტრრევოლუციური აჯანყების ჩახშობა: „ჩვენ სრულ სოლიდარობას გიცხადებთ თქვენ, ვინაიდან კარგად ეხედავთ, რომ ანალოგიური საფრთხე დღეს აფრიკის მშვიდობასა და თავისუფლებასაც ემუქრება“. როდესაც 1962 წელს საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალური პროტესტი განაცხადა აშშ-ის გადაწყვეტილების გამო, ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის თაობაზე, განის მთავრობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობის პროტესტს და აშშ-ის განზრახვა დაახასიათა როგორც „აგრესიული აქტი“. აშშ-ის იმპერიალისტური წრეები ყოველ საშუალებას ხმარობდნენ, რათა აეძულებინათ განა უარი ეთქვა ანტიიმპერიალისტურ პოლიტიკაზე. გაზეთმა „ტაიმსმა“ აშკარა შანტაჟიც კი არ ითაკილა: „კ. ნკრუმას სისტემატურმა განცხადებებმა კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმზე უკვე დაბადეს ეჭვები დასავლეთ გერმანიაში განისადმი ფინანსური დახმარების მიზანშეწონილობის შესახებ. აშშ-ს შეიძლება დაებადოს კითხვა, ღირს თუ არა

მდ. ვოლტაზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაფინანსება?" — წერდა გაზეთი.

მდ. ვოლტაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი (იქვე უნდა აშენებულიყო ალუმინის ქარხანაც) ჯერ კიდევ 1952 წელს წამოაყენა კ. ნკრუმამ. პროექტის მიხედვით უნდა აშენებულიყო 110 მეტრი სიმაღლის და 600 მეტრი სიგანის კაშხალი. უნდა შექმნილიყო ხელოვნური ტბა და სხვ. ინგლისის მთავრობა და ფინანსური წრეები გულგრილად შეხვდნენ პროექტს. 1958 წელს კ. ნკრუმა, როგორც უკვე დომინიონის მთავრობის პრემიერი, ეიზენჰაუერის მიწვევით იმყოფებოდა აშშ-ში და იქ კვლავ დასვა საკითხი მდ. ვოლტაზე კომპლექსის მშენებლობის თაობაზე. მაშინ კ. ნკრუმამ მიიღო აშშ-ის მთავრობის პირობა პროექტის განხორციელებაში დახმარების აღმოჩენის შესახებ. შემდეგ კ. ნკრუმა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მკაცრი კრიტიკით გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეთხუთმეტე სესიაზე, მიუმხრობელ სახელმწიფოთა ბელგრადის კონფერენციაზე, განის ოფიციალური პრესა სისტემატურად ამხელდა აშშ-ს ნეოკოლონიურ პოლიტიკას აზიასა, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. აშშ-ის იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა საჯაროდ განაცხადა, რომ კ. ნკრუმა „კომუნიზმისაკენ იხრებაო". ყოველივე ამის შედეგად აშშ-მა იწყო მშენებლობის დაწყების გაჭიანურება. 1961 წლის სექტემბერში ვაშინგტონში ოფიციალურად იქნა გამოცხადებული კენედის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება—გაურკვეველი ვადით „ვოლტის პროექტის" დაფინანსების შეწყვეტის შესახებ (საერთო ღირებულების 200 მლნ დოლარიდან აშშ-ს უნდა გაეღო 80 მლნ). აშშ-ის მთავრობის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ დახმარების საკითხი გადაიდო ე. ი. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება მხოლოდ „კ. ნკრუმას საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწეობის გულდასმით შესწავლის შემდეგ". სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ დახმარების ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო 5 სექტემბერს, მაგრამ აშშ-ის მთავრობა აღშფოთებულია კ. ნკრუმას კრიტიკული გამოსვლებით და პრეზიდენტ კენედის სურს გაერკვიოს კ. ნკრუმას მთავრობის პოლიტიკურ ორიენტაციაში". საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით დასავლეთის ოფიციალური წრეებიც აღარ მალავდნენ თავიანთ შეშფოთებას აშშ-ის პოზიციის გამო. ისინი შიშობდნენ, რომ გამეორდებოდა ასუანის კაშხალის ისტორია, როდესაც გ. ნასერმა საბოლოო ჯამში უარი თქვა დასავლეთის დახმარებაზე და მშენებლობა

საბჭოთა კავშირმა ითავა. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირმა ითავა მეორე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა განაში მდ. შავ ვოლტაზე. უკანასკნელმა გარემოებამ აიძულა აშშ შეეწყვიტა გაჭიანურების პოლიტიკა. მშენებლობა ითავა აშშ-ის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ფირმამ „ედგარ კაიზერმა". აშშ-ის ინტრიგები ფაქტიურად არ შეწყვეტილა არც მშენებლობის დაწყების შემდეგ. მშენებლობის ტემპები და კაპიტალდაბანდების ათვისება არ აწყობდა კაიზერს. თავი იჩინა ახალმა უთანხმოებამ განის მთავრობასა და აშშ-ს შორის: უკანასკნელი ითხოვდა, რომ ალუმინის ქარხნის მშენებლობის აქციათა საკონტროლო პაკეტი მის ხელთ ყოფილიყო, რაზეც კატეგორიული უარი განაცხადა კ. ნკრუმას მთავრობამ. აქციათა განაწილების საკითხი იქცა პრინციპულ უთანხმოებად. თავის მხრივ ინგლისელი სპეციალისტებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ მშენებლობის მთელი პროექტის დისკრედიტირებას. მათი მტკიცებით ალუმინის ქარხნის მშენებლობის დამთავრებისათვის მკვეთრად შეიცვლებოდა კონიუნქტურა ალუმინის მსოფლიო ბაზარზე, უკვე გადაწყვეტილი იქნებოდა ალუმინის ქიმიური გზით მიღების პრობლემა და, ამრიგად, ელექტროსადგური, რომლის მთავარი დანიშნულებაც ქარხნის ელექტროენერგიით მომარაგება იქნებოდა, იქცეოდა არარენტაბელურ ობიექტად. სულ უფრო და უფრო აშკარად გამოკვეთილ ფორმებს ღებულობდა მშენებლობაში აშშ-ის მონაწილეობის მტაცებლური ხასიათი ტექნიკური თვალსაზრისით. კაიზერის მოხსენების მიხედვით ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე იქნებოდა 768 000 კვ.ს., როდესაც ობიექტურ გამოანგარიშებათა თანახმად მდ. ვოლტის ჰიდრორესურსები ორჯერ უფრო ძლიერი იყო. ელექტროსადგურის ენერგია ფაქტიურად მხოლოდ ალუმინის ქარხანას თუ ეყოფოდა. მშენებლობის პერიოდში განის მთავრობისათვის უკვე ცნობილი იყო აშშ-ის დახმარების ნამდვილი არსი. მაგრამ მას უკვე ნაკისრი ჰქონდა სერიოზული ვალდებულებანი და გარდა ამისა თვით მშენებლობაც ძალზედ ფართოდ იყო რეკლამირებული როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

თავისუფლების მოპოვების პირველივე დღეებიდან კ. ნკრუმას მთავრობამ პირველმნიშვნელოვან ამოცანად დასახა ეროვნული ეკონომიკის შექმნა და განმტკიცება. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე რთული პრობლემა, რომლის წინაშეც დგას თითქმის ყველა ახალგაზრდა სახელმწიფო. დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნას ართულებს ის გარემოებაც, რომ სწორედ ამ უბანზე მი-

აქვს თავისი მთავარი იერიში ნეოკოლონიალიზმს. სწორედ ახალგაზრდა სახელმწიფოთა ეკონომიკაში გაბატონებით ცდილობს იგი განთავისუფლებულ სახელმწიფოთა მსოფლიო-კაპიტალისტურ სისტემაში ჩაბმას. თუ ქვეყნის პოლიტიკური განთავისუფლება ერთი ფორმალური აქტით ფორმდება, ეკონომიური დამოუკიდებლობის გზა ძალზედ გრძელი და რთულია. აქ საჭიროა მტკიცე ეკონომიური — ანტიიმპერიალისტური კურსი და თანმიმდევრულ ღონისძიებათა მთელი ციკლი. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ თვით განაშიც კი, სადაც ხელისუფლების სათავეში იდგა პროგრესული რეჟიმი, მყარი ანტიიმპერიალისტური კურსით, კარგა ხანს იგრძნობოდა უცხოური კაპიტალის გავლენა. თავისუფლების მოპოვებიდან 5 წლის შემდეგაც კი განის ეკონომიურ ოპერაციათა 90 პროცენტი ინგლისელთა ხელში იმყოფებოდა. 214 მლნ განურ გირვანქა სტერლინგს უდრიდა უცხოური კაპიტალდაბანდება, საიდანაც 200 მლნ მარტო ინგლისზე მოდიოდა, დანარჩენი კი — აშშ-ზე, საფრანგეთზე, გფრ-ზე. ინგლისურ მონოპოლიათა ხელში იმყოფებოდა ქვეყნის მთელი სამთოდამშუშავებელი მრეწველობა (სადაც დაკავებული იყო 33 000 კაცი). ყოველწლიურად 500-600 ათას ტონა მარგანეცს ამუშავებდა ინგლისური კომპანია — „აფრიკენ მენგენიზ კომპანი", 150-200 ათას ტონა ბოქსიტს ამუშავებდნენ კომპანიები „ბრიტიშ ალუმინიუმ კომპანი" და „უესტ აფრიკენ ალუმინიუმ ლდტ", ყოველწლიურად 3 მლნ კარატი ალმასი გაჰქონდათ განიდან „აკიმ კონსეშნს ლდტ", „კაიკო ლდტ", მხოლოდ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ინგლისის კომპანიებმა განიდან გაიტანეს 30 მლნ კარატი ალმასი. ყოველწლიურად 25-30 ათას ტონას შეადგენდა ინგლისურ კომპანიათა მიერ მოპოვებული ოქრო, რომლის წარმოებაც ძირითადად კომპანიების — „ამალგამეიტედ ბანკეტ", „არისტონ გოლდ მაინზ ლდტ", „აშანტი გოლდფილდს კორპორეიშნ", „ბიბიანი ლდტ", „ბრემანგ გოლდ დრედჯინგ კომპანი", „განა მეირ რიფ ლდტ", „კონონგო გოლდ(მაინზ ლდტ", „უესტ აფრიკენ გოლდ კორპორეიშნ" და სხვ. კომპანიათა ხელში იმყოფებოდა.

ინგლისურ მონოპოლიათა სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 60-იანი წლების დასაწყისშიც კი ისინი განის მთავრობას არავითარ ანგარიშს არ უდგენდნენ თავიანთი მოღვაწეობის შესახებ. განის მთავრობას უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო მონოპოლიათა საქმიანობაში, რაც უკანასკნელთ საშუალებას აძლევდა თვითნებურად დაეწესებინათ ხელფასი განელი მუშებისათვის. 1961 წლის იანვარ-თებერვალში წამოიჭრა კონფლიქტი განის მთავრობასა და ინგლისურ ოქროს მომპოვებელ კომ-

პანიებს შორის. 25 იანვარს „ამალგამეიტედ ბანკეტ“-ის დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 3 საბადოს დახურვის, მათი წყლით ამოვსების და 1150 განელი მუშის დათხოვნის შესახებ. ანალოგიურივე გადაწყვეტილება მიიღეს სხვა კომპანიებმაც, რომლებიც თავიანთ გადაწყვეტილებებს უკავშირებდნენ განის მთავრობის მიერ სუბსიდიათა შეწყვეტას. ინგლისურ მონოპოლიათა შანტაჟის საპასუხოდ 1961 წლის 25 იანვარსვე განის მთავრობამ მიიღო სპეციალური კანონი, რომლის ძალითაც სამთამადნო კომპანიებს ეკრძალებოდათ საბადოთა თვითნებური დახურვა განის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვის გარეშე. კანონის დარღვევა ითვალისწინებდა 100 000 გირვანქა სტერლინგ ჯარიმას. გარდა ამისა უნებართვოდ დახურული საბადოს ექსპლოატატორი კომპანია დაჯარიმდებოდა ყოველდღიურად 10000 გირვანქა სტერლინგით, საბადოს მოცდენისათვის. საბადოს დახურვისათვის აგიტაცია ითვალისწინებდა 10 წლის პატიმრობას. კონცესიის მფლობელს უფლება ეძლეოდა უარი ეთქვა კონცესიაზე, თუ უკანასკნელი კარგავდა თავის რენტაბელობას, მაგრამ ამ შემთხვევაში წამგებიანი კონცესიის მფლობელს უარი უნდა ეთქვა სხვა კონცესიაზეც, რათა იგი არ ყოფილიყო „მხოლოდ ზემომგებიანი კონცესიის მფლობელი“. გარდა ამისა 6 თებერვალს განის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 5 ოქროსმომპოვებელი კომპანიის აქციათა გამოსყიდვის შეპახებ: 24 მარტს გამოქვეყნდა მთავრობის ახალი პოლიტიკა უცხოურ კაპიტალდაბანდებათა მიმართ. უცხოურ და აგრეთვე სახელმწიფო-უცხოურ საწარმოთა მფლობელ უცხოელებს უფლება ეძლეოდათ საზღვარგარეთ გადაერიცხათ ყოველგვარი გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი წმინდა მოგების მხოლოდ 40 პროცენტი. დანარჩენი 60 პროცენტი რეინვესტირებული უნდა ყოფილიყო განაში.

განის პრესა ეხებოდა ახალი პოლიტიკის არსს და მოჰყავდა უამრავი მაგალითი, როდესაც ვალუტის უკონტროლო გაზიდვას უცხოეთში დამღუპველი შედეგი მოჰყვა ქვეყნის მეურნეობისათვის. მაგ. 1959 წელს განის მთავრობას უცხოელ სპეციალისტთა ხელფასი დაუჯდა 48,5 მლნ გირვანქა სტერლინგი. ამ თანხიდან უცხოეთში გადაირიცხა 30 მლნ გირვანქა სტერლინგი. ამავე დროს განის მთავრობას არავითარი მონაცემები არ გააჩნდა იმ კოლოსალური თანხის შესახებ, რომელსაც უცხოური ფირმები სისტემატურად რიცხავდნენ თავიანთ ძირითად ფირმათა ანგარიშზე ინგლისსა და სხვა ქვეყნებში, განის საბაჟო სისტემის გვერდის ავლით.

ინგლისური კომპანიები ადვილად ახერხებდნენ გვერდი აევლოთ საგადასახადო სისტემისათვისაც (წესით ყოველ მათგანს გირვანქა სტერლინგ მოგებიდან განის მთავრობისათვის უნდა გადაეხადა 8 შილინგი). კომპანიები მალავდნენ თავიანთ რეალურ მოგებას, არ ახდენდნენ მოგების განაწილებას აქციათა მფლობელებს შორის, სისტემატურად მიმართავდნენ მოგებათა რეინვესტირებას და ამ გზით არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ. თუ აქციონერთა მოთხოვნის შედეგად კომპანია იძულებული იყო გაენაწილებინა დივიდენდი, მოგება ირიცხებოდა ინგლისში და მისი განაწილება უკვე ლონდონის ბანკებში ხდებოდა.

ისევე როგორც აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა უმრავლესობა, განაც მონოკულტურულ ქვეყანას წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უკავია კაკაოს წარმოებას, რომელიც ძირითადად თავმოყრილია წვრილ, კერძომწარმოებელთა ხელში. კაკაოს შესყიდვის მონოპოლია, განთავისუფლების შემდეგაც ინგლისურ კომპანია „კაკაო მარკეტინგ ბორდს“-ს ეკუთვნოდა. რომელიც ფორმალურად უკვე განის მთავრობის კონტროლს ემორჩილებოდა. კონტროლის ფიქტიურ ხასიათზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ 1958-1961 წწ. კომპანიამ განის მთავრობას ასესხა 25 მლნ გირვანქა სტერლინგი. კომპანია თვითონ აწესებდა კაკაოს ფასებს და აწარმოებდა მის შესყიდვასა და გაყიდვას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც. 1961 წ. შემოღებულ იქნა ახალი სისტემა, რომლის ძალითაც განის ფერმერთა გაერთიანებულმა საბჭომ მიიღო კაკაოს შესყიდვის მონოპოლიური უფლება. მიუხედავად ამ ღონისძიებისა, განის ვაჭრობის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულ ოპერაციათა 98 პროცენტი კვლავ ინგლისურ საექსპორტო ფირმათა ხელში რჩებოდა.

თავისი მნიშვნელობით განის ექსპორტში მეორე ადგილი უკავია ხე-ტყეს. 1959 წლის დასასრულისათვის ინგლისურ კომპანიათა ხელში იმყოფებოდა 2141 კვ მილი ტერიტორიის კონცესია. ხე-ტყის დამუშავება განაში მთლიანად ინგლისელთა ხელშია, თუმცა განის მთავრობამ შექმნა ხე-ტყის შემსყიდველი სახელმწიფო ორგანიზაცია — „ტიმბერ მარკეტინგ კორპორეიშნ“.

განის ეკონომიკაში არანაკლებ ძლიერი პოზიცია ეკავა დასავლეთ გერმანიის კაპიტალს. 1957 წ. უკვე თავისუფალ განას დასავლეთ გერმანიის პირველი ეკონომიური მისია ეწვია. ე. წ. „აფრიკული კავშირის“ თავმჯდომარის ჰანსენის მეთაურობით 1959 წ. მარტს განაში ჩავიდა ჰესენის მიწების პრემიერი ცინი, რომელმაც გენერალ-გუბერ-

ნატორის რეზიდენციაში მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „არ არის საკმარისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, იგი უნდა შეივსოს ეკონომიური დამოუკიდებლობითაც და გერმანიის მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს განაში ცხოვრების დონის ამაღლებას, რათა განის ხალხმა თავი დააღწიოს სიღატაკეს“. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები აქტიურად ცდილობდნენ რაც შეიძლება მტკიცე პოზიციები დაეკავათ განის განვითარების მეორე გეგმაში. 1961 წელს განის მთავრობამ ეკონომიური ხელშეკრულება დადო იტალიის ფირმებთან — „იმპრეზიტთან“, „ჟირიოლასთან“, „ლოდიგანისთან“ და „ჩეჩისთან“, მდ. ვოლტაზე კაშხლის პირველი რიგის მშენებლობაზე. კონტრაქტის ღირებულება შეადგენდა 16 მლნ გირვანქა სტერლინგს. როგორც შემდგომ გამოირკვა იტალიის ფირმების ზურგს უკან იდგა დასავლეთ გერმანული კონცერნი —„სიმენს-გალკე ვერკე“, იტალიურ ფირმებთან კონტრაქტის ვაფორმების შემდეგ ბონში განის ელჩმა ასსარმა ხელი მოაწერა შეთანხმებას „სიმენსთან“, რომელიც ითვალისწინებდა ჰიდროელექტროსადგურის გერმანული მოწყობილობებით აღჭურვას. განაში თავიანთი ფილიალები გახსნეს დასავლეთ გერმანულმა ფირმებმა „ფოიტმა“, „დეიჩე პროექტე-უნიონმა“, „აეგმა“, „ჰოკს განა ლდტ“-მ, „კ. გ. ელექტროციტეტ აგ-“მ.

დასავლეთ გერმანიის კაპიტალდაბანდებამ თავი იჩინა განის სამთოდამმუშავებელ მრეწველობაშიც; კომპანია „გერბერტ რეიხელ მაინინგ კორპორეიშნ“-მა იწყო ოქროს საბადოთა ძიება აშანტის რაიონში, კრუპის კონცერნმა ითავა რკინის საბადოთა შესწავლა, ალმასის მოპოვება დაიწყო „დეიჩე ბანკმა“, რომელიც ოფიციალურად მოქმედებდა როგორც „კონსოლიდეიტედ აფრიკენ სელეკშნ ტრასტის“ აქციონერი.

ბონი იმედოვნებდა განაში თავის გავლენის განმტკიცებას აგრეთვე დასავლეთ გერმანელი სპეციალისტების დახმარებით, რომელნიც მრჩეველთა და ექსპერტთა სახით მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში. როგორც წესი, მათი უმრავლესობა სისტემატურად აგროვებდა საიდუმლო მასალებს განის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

კ. ნკრუმას მთავრობაში განის ეკონომიურ პოლიტიკას ხელმძღვანელობდა ე. წ. „განვითარების სამდივნო“. ძირითად სახელმწიფო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ—„ინდასტრიალ დეველოპმენტ კორპორეიშნ“ („საწარმოო განვითარების კორპორაცია“), „აგრიკალჩერალ დეველოპმენტ კორპორეიშნ“ („სოფლის მეურნეობის განვითარების კორპო-

რაცია"), „ტემა დეველოპმენტ კორპორეიშნ" („ნავსადგურ ტემას განვითარების კორპორაცია"), ორგანიზაციებს აფინანსებდა სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ განის სახელმწიფო სექტორი უცხოური კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული, იგი დიდად იყო დამოკიდებული უკანასკნელზე; სახელმწიფოს ეკუთვნოდა წვრილი და საშუალო საწარმოები: ავეჯის ფაბრიკა, პალმის ზეთის ქარხანა, რამოდენიმე პატარა ლუდის ქარხანა. მსხვილი საწარმოები კი, როგორც წესი, ინგლისელთა ხელში იყო თავმოყრილი.

60-იანი წლების დასაწყისამდე ფაქტიურად ინგლისელთა კონტროლს ექვემდებარებოდა განის სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობა. 1959 წელს განის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში ადგილობრივ კადრთა რიცხვი 10 პროცენტიდან 73 პროცენტამდე გაიზარდა, მაგრამ ხელმძღვანელი პოსტები, არმია, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები, კვლავ ინგლისელთა ხელში რჩებოდა.

60-იანი წლების დასაწყისიდან კ. ნკრუმა იწყებს ფართო კამპანიას უცხოური მოძალების წინააღმდეგ განაში. 1961 წელს გადააყენეს ლეგონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ხელმძღვანელი, ინგლისელი პროფ. ფ. სტოგტონი. კოლეჯი გადაკეთდა აკრის უნივერსიტეტად, ხოლო კუმასის ტექნოლოგიური კოლეჯი — მეცნიერებისა და ტექნიკის უნივერსიტეტად. ორივე უმაღლესმა სასწავლებელმა მიიღო დამოუკიდებელი სტატუსი (ადრე ისინი კემბრიჯის უნივერსიტეტის ფილიალებად ითვლებოდნენ). კ. ნკრუმამ დროებით იკისრა ახლადშექმნილ უნივერსიტეტთა რექტორების მოვალეობა. განის მთავრობის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტები უნდა პასუხობდნენ განის მოსახლეობის მისწრაფებებს და თავიანთი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობით ემსახურებოდნენ მთელი აფრიკის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ მოთხოვნილებებს.

უმაღლესი განათლების სისტემაში მომხდარ ცვლილებებს მთავრობის ოფიციოზმა „განიენ ტაიმსმა" რევოლუციური უწოდა: „1948 წლიდან დაწყებული განის საუნივერსიტეტო კოლეჯის კურსი შედეგნილი იყო ლონდონის უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით და უცხო იყო ჩვენთვის. კოლეჯის ეკონომიური განყოფილების სტუდენტები სრულებითაც არ სწავლობდნენ განისა და აფრიკის ეკონომიურ ისტორიას. არავითარი სახელმძღვანელო არ არსებობს სწრაფი ეკონომიური განვითარების საკითხში. ბრიტანეთის იმპერიის ინტერესებში ხდება აფრიკის ისტორიის ფალსიფიცირება," — წერდა გაზეთი. ახლებურად იქნა და-

ყენებული პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევის საკითხიც; უარყოფილ იქნა პრაქტიკა, რომლის დროსაც განელი ლექტორისაგან მოითხოვდნენ უფრო მაღალი განათლების ცენზს, ვიდრე ინგლისელისაგან. ინგლისელი და აფრიკელი პროფესორ-მასწავლებლები გათანაბრებულ იქნენ უფლება-მოვალეობებშიც.

საჭირო იყო რადიკალური ღონისძიებანი ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაში ინგლისელთა გავლენის აღმოსაფხვრელადაც. ახალგაზრდობის პროინგლისური სულისკვეთებით აღზრდას ემსახურებოდა ქრისტიანული ეკლესია, რომელიც განაში წარმოდგენილია ანგლიკანური, კათოლიკური, პრესვეტორიანული, ბაპტისტური, ადვენტისტური და სხვა მიმდინარეობებით. მუსულმანები წარმოადგენდნენ მორწმუნეთა მთელი რაოდენობის 3-4 პროცენტს. 60-იანი წლების დასაწყისში ფაქტიურად ეკლესიას ემორჩილებოდა მთელი სკოლების 98 პროცენტი. რელიგიის საკითხებს განაგებდა ეკლესიათა საბჭო. განაში 240 ქრისტიანული ეკლესიაა. ბევრ ადგილობრივ ენებზეა თარგმნილი ბიბლია (ტვიზე, ფანტიზე. ჰაუსაზე).

ეკლესიის მავნე გავლენის წინააღმდეგ მთავრობის ღონისძიებანი დაიწყო იმით, რომ 1961 წლის 13 მაისიდან რელიგიურ თემებზე რადიოგადაცემათა ყოველკვირეული ხანგრძლივობა 1 საათი და 45 წუთიდან შემცირდა 45 წუთამდე. 1962 წლის თებერვალს განის განათლების მინისტრმა დოროუნა-ჰამმონდმა ოფიციალურად გააფრთხილა მისიონერული სასწავლო დაწესებულებები, რომ იმ სასულიერო პირთა მიმართ, რომელნიც ახალგაზრდობას უბიძგებენ „უდისციპლინობისა და სახელმწიფოს ღალატისაკენ, განის მთავრობა გაატარებს მკაცრ სანქციებს". 1963 წლის დასაწყისში კი სისტემატური ანტისახელმწიფოებრივი აგიტაციის გამო განიდან გააძევეს ინგლისელი ეპისკოპოსი.

განის დამოუკიდებელი განვითარების მთავარ საფრთხეს მაინც უცხოური კაპიტალის მოძალება წარმოადგენდა და ამიტომ ეს პრობლემა ზუდამ იდგა კ. ნკრუმას ეკონომიური პოლიტიკის ცენტრში. „ჩვენ შევედით ეკონომიური და სოციალური რეკონსტრუქციის ერაში — განაცხადა კ. ნკრუმამ 1960 წლის ნოემბერს ქ. სეკონდში მასობრივ მიტინგზე. — ჩვენი მოღვაწეობის მიზანს ახლა წარმოადგენს განის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება". 1962 წლის მარტს აშანტის პროვინციის დედაქალაქ კუმასში წარმოთქმულ სიტყვაში, კ. ნკრუმამ ასე ჩამოაყალიბა მთავრობის პოზიცია უცხოურ საწარმოთა მიმართ — „1. უცხო-

ურმა კერძო საწარმოებმა უნდა ცნონ განის მთავრობის უფლება — პირველმა შეიძინოს მათი აქციები, როდესაც ისინი დააპირებენ აქციათა გაყიდვას. 2. წვრილ კერძო საწარმოთა სექტორი რეზერვირებულ იქნება განელთათვის. 3. ამ სექტორში მოქმედ უცხოურ კომპანიებს ეკრძალებათ საწარმოთა გაფართოება.“ კ. ნკრუმამ აღნიშნა, რომ განის მთავრობა ცნობს ხუთ სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში: „1. სახელმწიფო საწარმოები, 2. კერძო უცხოური საწარმოები, 3. კერძო უცხოურ კომპანიათა და სახელმწიფოს ერთობლივ საკუთრებაში მყოფი საწარმოები, 4. კოოპერატივები, 5. ადგილობრივი მოსახელობის საკუთრებაში მყოფი კერძო საწარმოები“.

განის ეკონომიკა ფაქტიურად შეიქმნა კოლონიური რეჟიმის პირობებში და ამიტომ მისი ძირფესვიანი გარდაქმნა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საჭირო იყო საგარეო ვაჭრობის არსის შეცვლა იმ თვალსაზრისით, რომ ბოლო მოღებოდა ნედლეულის ექსპორტსა და მზა საქონლის იმპორტს. სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას და მრეწველობის განვითარებას უნდა მოჰყოლოდა ეროვნული შემოსავლის ზრდა. ამავე დროს ცხადი იყო, რომ უცხოეთის ეკონომიური ფინანსური და ტექნიკური დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა.

1961 წელს განის მთავრობამ სავაჭრო ხელშეკრულება დასდო ჩეხოსლოვაკიასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. უფრო ადრე, 1960 წლის 4 აგვისტოს განასა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც განამ მიიღო 160 მლნ მანეთის კრედიტი ელექტროსადგურის, მეტალურგიული საწარმოსა და სხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის. 1961 წლის ივნისს განაში შეიქმნა სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის კომიტეტი. 1962 წ. განის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი პროგრესული ხასიათის კანონმდებლობანი, რომელთა შორისაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კანონი მიწების რეგისტრაციის, კანონი მიწათმფლობელობის, კანონი საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. სწრაფი ტემპებით იწყო განვითარება განის ეროვნულმა კორპორაციამ, მიღებულ იქნა ფართო პროგრამა სახელმწიფო ფერმების შექმნის შესახებ, შეიქმნა ალმასის შესყიდვისა და გაყიდვის სახელმწიფო სამმართველო. 1962 წელს მწყობრში შევიდა სატვირთო ავტო-მანქანების ამწყობი ქარხანა, ინტექსიტების ფაბრიკა, ალუ-

მინის ჭურჭლის ქარხანა და სხვ. განის ჩრდილოეთ რაიონში შეიქმნა მძლავრი გადამმუშავებელი მრეწველობა.

სულ უფრო და უფრო იზრდებოდა განის კავშირი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. 1960 წლის მარტო იანვარ-თებერვალში განის ექსპორტმა საბჭოთა კავშირში 1 192 500 გირვანქა სტერლინგი შეადგინა, ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირის ექსპორტი განაში უდრიდა 1 627 გირვანქა სტერლინგს. 1960 წლის აგვისტოს აკრაში ხელმოწერილ იქნა უვადო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და განას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებდა თანამშრომლობას მეცნიერების, უმაღლესი განათლების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში. 1960 წლის ნოემბერს გაზეთი „განიენ ტაიმსი“ მაღალ შეფასებას აძლევდა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას 2დ. შავ ვოლტაზე ჰიდროსადგურის პროექტირების შესახებ. გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა საბჭოთა მთავრობის დახმარების უანგარო ხასიათს.

1961 წელი განაში გამოცხადდა სოციალიზმში გადასვლის დასაწყისად (სულ პროცესი ნავარაუდევი იყო 10-15 წელს). „სოციალიზმი არის ერთადერთი ფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოკლე ხანში ფართო მასების ცხოვრების დონის ამაღლება“, — განაცხადა კ. ნკრუმამ 1961 წ. აპრილს თავის გამოსვლაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კურსი აღებულ იქნა არა სოციალიზმის რომელიმე ეროვნულ ნაირსახეობაზე, არამედ მეცნიერულ სოციალიზმზე. უფრო მოგვიანებით, 1965 წლის დეკემბერს თვით კ. ნკრუმამ სასტიკად გააკრიტიკა ე. წ. „აფრიკული სოციალიზმის“ არამეცნიერული არსი და გადაჭრით აღნიშნა, რომ „არსებობს მხოლოდ ერთი სოციალიზმი, მეცნიერული სოციალიზმი და მისთვის დამახასიათებელია კონკრეტულ პირობათა გათვალისწინება“. კ. ნკრუმა მიუთითებდა იმ გარემოებაზეც, რომ განაში ხალხი ჯერ კიდევ არ ფლობდა წარმოების საშუალებებს და ქვეყანაში ჯერ არ იყო გატარებული ინდუსტრიალიზაცია; ამიტომ სახელმწიფოს მთელი მოღვაწეობა სწორედ აქეთკენ არის წარმართული. სოციალიზმის ეკონომიური ბაზის შესაქმნელად საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა მრეწველობის სახელმწიფო სექტორის განმტკიცება, რაც დაკავშირებული იყო კომპანიათა მოღვაწეობის სფეროს შემცირებასთან. 1961 წელს განის საინვესტაციო ბანკის შექმნით საგრძნობლად გართულდა უცხოურ ბანკთა მოღვაწეობის პირობები. იმავე წლის 1 ოქ-

ტომბერს ეროვნულმა „კაკაო მარკეტინგ კომპანიმ“ შეცვალა ინგლისური კომპანია და თავის ხელში აიღო კაკაოთი ვაჭრობის ოპერაციები. 23 ოქტომბერს ანულირებულ იქნა ჰოლანდიის ალმასმომპოვებელი კომპანია „ჰოლანდ სინდიკეიტ“-ის ლიცენზია და მისი ფუნქციები გადაეცა სახელმწიფო სამთოდამმუშავებელ კომპანიას. განის მთავრობამ შეიძინა ისრაელ-განის სანაოსნო კომპანია „ბლეკ სტარ ლაინ“-ის ისრაელისადმი კუთვნილი აქციები (40%). ეკონომიკის სწორი დაგეგმვა უნდა განხორციელებინა 1961 წლის 31 ოქტომბერს შექმნილ ეროვნულ საგეგმო კომპანიას. ქმედითი ღონისძიებები გატარდა საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს კონტროლის გასაძლიერებლად; გაუქმდა ადრე არსებული ყველა გენერალური ლიცენზია იმპორტსა და ექსპორტზე. „ჩვენ ვცხოვრობთ მეოცე საუკუნეში, რეაქტიული ძრავებისა და კოსმოსში ფრენის ერაში. ამიტომ ჩვენ აფრიკაში ათ წელში უნდა გავაკეთოთ ის, რასაც სხვებმა ასი წელი მოანდომეს. ეს მოითხოვს რევოლუციურ ცვლებს ჩვენს როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ სისტემაში“, — განაცხადა კ. ნკრუმამ 1962 წლის ივნისის ერთ-ერთ გამოსვლაში.

ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის მრავალპარტიული სისტემა განაში შიდა და გარე რეაქციის კერად იქცა. 1961-1962 წწ. აღმოაჩინეს რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება, რომელთა ინიციატორებიც ოპოზიციურ პარტიათა ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ. ოპოზიცია სამჯერ შეეცადა აგრეთვე კ. ნკრუმას მოკვლას, რომლის დროსაც 54 კაცი დაიღუპა და უფრო მეტი დაიჭრა. ქვეყნის პროგრესული ძალები გადაჭრით მოითხოვდნენ შიდა რეაქციის უვნებელყოფას და 1962 წ. 11 სექტემბერს განის ეროვნულმა კრებამ ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია ერთპარტიან სისტემაზე გადასვლის შესახებ. 1964 წლის 3 თებერვალს განაში ჩატარდა რეფერენდუმი. ერთპარტიან სისტემაზე გადასვლის რეზოლუციამ მიიღო 2 773 920 ხმა, 2454 ხმის წინააღმდეგ. ამის შემდეგ მთავრობამ მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებები გაატარა როგორც პარტიული დისციპლინის გასამტკიცებლად, აგრეთვე პარტიის შიგნით კორუფციის აღმოსაფხვრელად; პარლამენტისა და მთავრობის წევრებს აეკრძალათ კერძო ეკონომიური ოპერაციების წარმოება, კ. ნკრუმამ გადააყენა სამი მინისტრი, რომელთაც ბრალი ედებოდათ სახელმწიფო სახსრების მითვისებასა და სხვა მაქინაციებში. 1965 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა განის კონვენტის სახალხო პარტიის ახალი წესდება. წესდება ითვალისწინებდა პარტიის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის დემოკრატიზაციას.

ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განმტკიცება კვლავ პირველხარისხოვან ამოცანად განიხილებოდა. 1962 წლის მაისს მთავრობამ შეისწავლა კიდევ ერთი უცხოური ფირმა „ლევანტისი", გაძლიერდა სახელმწიფო კონტროლი უცხოურ კაპიტალსა და კონცესიებზე. მსხვილი ასიგნაციები გამოიყო ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრის შესასწავლად. უკანასკნელ სფეროში წარმატებით მუშაობდნენ საბჭოთა გეოლოგები. 1962 წლის თებერვალს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი პორტი ტემა, რომელსაც გააჩნდა 12 ღრმა ფსკერიანი ნავსადგური და თევზსაჭერი ბაზა. 1963 წლის იანვარს შეიქმნა გასაღების სამმართველო, რომელმაც ხელში აიღო განის ალმასის მოპოვება. თებერვალში შეიქმნა ეროვნული საინვესტაციო ბანკი; მის ამოცანას შეადგენდა მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის გაფართოება და მოდერნიზაცია. დიდი ყურადღება ეთმობოდა განათლების საკითხს; 1957 წლიდან 1963 წ.-მდე მარტო საშუალო სკოლათა რაოდენობა 18-დან 85-მდე გაიზარდა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი—2000-დან 33000-მდე. მარტო 1964 წ. გაიხსნა 620 დაწყებითი და 155 საშუალო სკოლა. მთავრობამ შემოიღო უფასო განათლება დაწყებით და საშუალო სკოლებში, უფასოდ ურიგდებოდათ მოსწავლეებს სახელმძღვანელოები. 1963 წელს შედგა ეკონომიური განვითარების 7-წლიანი გეგმა. იგი მართალია, კერძო სექტორსაც ეოიცავდა, მაგრამ გადამწყვეტი როლი უკვე სახელმწიფო სექტორს ეკუთვნოდა. 1964 წლის მარტს 7-წლიანი გეგმა განიხილა და ერთხმად დაამტკიცა ეროვნულმა კრებამ. გეგმა მოიცავდა 1963/1964—1969/1970 წწ. „ჩვენი ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში, — განაცხადა ჯ. ნკრუმამ გეგმის განხილვისას, — მუშებს ექნებათ სრული უფლება და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სამრეწველო პროექტთა შედგენასა და განხორციელებაში". მთელი რიგი სამრეწველო ობიექტები გადავიდა მუშათა მმართველობაში. საერთოდ 7-წლიან გეგმაში ყურადღება გამახვილებული იყო მუშათა კლასის კლასობრივი შევნების განმტკიცებაზე: „გეგმა წარმატებით განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მუშები შეიგნებენ თავიანთი მისიის მნიშვნელობას," — აღნიშნული იყო მთავრობის განცხადებაში. გეგმას განა უნდა გამოეყვანა იმ ეტაპიდან, როდესაც ქვეყნის ნედლეული მხოლოდ სამომხმარებლო საქონლის წარმოებას ხმარდებოდა. ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული პოზიციები უნდა დაეკავებინა საშუალო და მძიმე დამმუშავებელ მრეწველობას. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები კვლავ ყოველგვარი პოლიტიკური ვალდებულებების გა-

რეშე ეხმარებოდნენ ვანის ხალხს მის წინაშე მდგომ ამოცანთა წარმატებით გადაჭრაში.

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის საკითხში განის მთავრობამ კურსი აიღო კოოპერატიულ სისტემაზე. ჯერ კიდევ 1960 წლის ოქტომბერს განის კოოპერატიული მოძრაობის აღმასრულებელი სამდივნოს სახელზე გაგზავნილ მასალებში კ. ნკრუმა წერდა: „ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ერთადერთი საიმედო გზა სოციალიზმისაკენ, ეს არის კოოპერატიული მეურნეობანი.“ კოოპერატიული მეურნეობის პრინციპთა ასათვისებლად საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში გაგზავნილ იქნა 3 000 ახალგაზრდა განელი. 1962 წლისათვის განაში უკვე არსებობდა 10 მსხვილი სახელმწიფო მეურნეობა. 1963 წ. სექტემბერს აკრაში შეიკრიბა განის სოფლის მეურნეობის კოოპერატივთა გაერთიანებული საბჭოს პირველი კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა კ. ნკრუმამ აღნიშნა, რომ ქვეყანაში უკვე წარმატებით ფუნქციონირებდა 1000 კოოპერატივი, რომელთა ხელში იმყოფებოდა 10 000 ჰა ტერიტორია 700-ზე მეტი ტრაქტორით.

1961 წლის ივლისს კ. ნკრუმას ვიზიტმა საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო განამტკიცა განისა და საბჭოთა ხალხის მეგობრული კავშირი. საბჭოთა კავშირის შემდეგ კ. ნკრუმა მეგობრული ვიზიტით ეწვია პოლონეთს, რუმინეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, იუგოსლავიას. კ. ნკრუმას მოგზაურობის მარშრუტით შეშფოთებული ფრანგული გაზეთი „მონდი“ წერდა, რომ ლოგიკურად მოსალოდნელია განაში მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალიზმის პრინციპთა გამარჯვებაო“. იმავე დღეებში განის გაზეთი „ივნინგ ნიუსი“ კომენტარს უკეთებდა დასავლეთ ევროპის პრესის პოზიციას კ. ნკრუმას ვიზიტის გამო და სვამდა კითხვას, თუ რატომ გამოიწვია კ. ნკრუმას მოგზაურობამ სოციალისტურ ქვეყნებში დასავლეთის ასეთი გაბორკტება“, — და იქვე პასუხობდა, — „იმიტომ, რომ დასავლეთის პოზიცია გამომდინარეობს გახრწნილი იმპერიალიზმის კოლონიური პოლიტიკიდან“. 1961 წლის სექტემბერს კიდევ ერთი ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა კავშირსა და განას შორის — საბჭოთა სპეციალისტები შეუდგნენ განაში მეტალურგიული, ფერომარგანეცის და ტრაქტორების ქარხნების მშენებლობას. საბჭოთა სპეციალისტების დახმარებითვე დაიწყო სიმინდის, ბრინჯისა და ბამბის სახელმწიფო მეურნეობათა ორგანიზება. გარდა ამისა საბჭოთა კავშირმა განას მიაწოდა ერთი მლნ გირვანქა სტერლინგის ღირებულების ტრაქტორები.

1962 წლის მაისს კ. ნკრუმა დააჯილდოვეს პრემიით „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“. ეს იყო განის სახელმწიფოს მეთაურის ხანგრძლივი, ნაყოფიერი საერთაშორისო მოღვაწეობის საყოველთაო აღიარება.

განის მთავრობის საგარეო პოლიტიკის კურსს კვლავინდებურად ანტიიმპერიალიზმი და ანტიკოლონიალიზმი წარმოადგენდა. როდესაც ჯ. კენედის ადმინისტრაციამ შექმნა ე. წ. „მშვიდობის კორპუსი“, რომლის მთავარ და ერთადერთ დანიშნულებად სუსტადგანვითარებულ ქვეყნებისადმი უანგარო დახმარების აღმოჩენა იქნა გამოცხადებული, განის მთავრობა თავიდანვე ეჭვის თვალით შეხვდა კორპუსის პრაქტიკულ მოღვაწეობას — „ჯერ იყო და ეიზენჰაუერის დოქტრინას გვახვევდა თავს აშშ, ახლა კი — ჯ. კენედის ე. წ. „მშვიდობის კორპუსს“. 1963 წლის 24 ივნისს „განიენ ტაიმსი“ წერდა, რომ ამერიკამ პირველმა გამოგზავნა აფრიკაში „მშვიდობის კორპუსი“. მალე ინგლისშიც დაიწყეს ანალოგიური ორგანიზაციის შექმნა, რომელთა მაგალითს დასავლეთ გერმანიამაც მიბაძა და საფრანგეთმაც. გაზეთი აღნიშნავდა, რომ 1963 წლის ბოლოსათვის აფრიკაში მარტო ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეთა რაოდენობა 2600 კაცს მიაღწევს. „ჭირდება თუ არა აფრიკას ყველა ეს უცხოური მოხალისენი?“ სვამდა კითხვას გაზეთი და იქვე პასუხობდა, რომ „ამერიკიდან და ევროპიდან „მშვიდობის კორპუსის“ შეჭრა აფრიკაში, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. „მშვიდობის კორპუსი“ ჩვენი კონტინენტის რეალური საჭიროებისათვის არ არის შექმნილი და ამიტომ მისმა მოხალისეებმა უნდა დასტოვონ აფრიკა. ჩვენი აზრით, ყველა ამ ორგანიზაციისათვის ზედგამოჭრილი სახელწოდება იქნებოდა „ომის კორპუსი“. 1965 წლის დასასრულს განის მთავრობის კატეგორიული მოთხოვნით „მშვიდობის კორპუსის“ უკანასკნელმა მოხალისემ დასტოვა განა (1963 წ. განაში მათი რიცხვი 500 კაცს უდრიდა). განის მთავრობის სისტემატური კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა აგრეთვე დასავლეთის „დახმარება“ სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი — „ე. წ. „დახმარების“ ფარგლებში მიღებული კაპიტალი არ წარმოადგენს უანგარო დახმარებას, — ამბობდა კ. ნკრუმა განის ეროვნული კრების სესიაზე თავის გამოსვლაში, — ჩვენ მას ვღებულობთ მკაცრ კომერციულ პირობებში და, რასაკვირველია, ამიტომ უფლება არ უნდა ჰქონდეს დონორს წარმოგვიდგინოს პოლიტიკური პირობები“. ანალოგიური პოზიცია ეკავა განას ნატო-ს მიმართ, აფრიკა-

ში „საერთო ბაზრის“ გეგმების მიმართ, ჩრდილოეთ აფრიკაში საფრანგეთის პოლიტიკის მიმართ, თურქეთში აშშ-ის ბაზების საკითხში და სხვ.

განის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა სულ უფრო და უფრო სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა დასავლეთის იმპერიალისტურ წრეებში. კ. ნკრუმას მთავრობის მმართველობის უკანასკნელ წლებში, განა უკვე ოფიციალურად სდებდა ბრალს ფარისევლობაში აშშ-ს აფრიკის ხალხთა მიმართ. განის პრესა აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს სისტემატურად ახასიათებდა როგორც აფრიკაში ყველაზე რეაქციულს და კოლონიურ აქციათა სულისჩამდგმელს. განის მთავრობა განსაკუთრებული თანმიმდევრობით გამოდიოდა აფრიკაში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო ბაზების წინააღმდეგ. 1964 წლისათვის აფრიკაში ნატოს ბლოკის წევრ-სახელმწიფოებს გააჩნდათ 21 სამხედრო-საჰაერო და 12 სამხედრო-საზღვაო ბაზა. პირადად კ. ნკრუმა ნატოს მუდამ განიხილავდა როგორც პორტუგალიის კოლონიალიზმის დამხმარე იარაღს აფრიკის წინააღმდეგ. „მხოლოდ ნატოს იარაღისა და დახმარების წყალობით ინარჩუნებს პორტუგალია თავის კოლონიებს აფრიკაში“,—განაცხადა კ. ნკრუმამ 1963 წ. ივნისს ადის-აბებაში ვიზიტის დროს.

თავის მხრივ, აშშ-ის იმპერიალიზმი არავითარ საშუალებას არ თაკილობდა, რათა რაიმე ზეგავლენა მოეხდინა განის მთავრობაზე. 1964 წლის თებერვალს „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენ“-ი აშკარა შანტაჟის ტონით აღნიშნავდა, რომ „ადვილად შესაძლებელია აშშ-ის მთავრობამ ურჩიოს კომპანია „კაიზერს“, მაგალითად, რომელიც ამჟამად განაში გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურს აშენებს, შეაჩეროს სამუშაოები განაში და ანალოგიური მშენებლობა დაიწყოს ნიგერიაში, იმავე მდინარეზე, იმავე ფულით, ოღონდ მეგობრულ ქვეყანაში. ჯერჯერობით ცოტა სამუშაოა შესრულებული მდ. ვოლტაზე და მშენებლობის ნიგერიაში გადატანა საერთო კმაყოფილებას გამოიწვევს“. „განის პრეზიდენტი ნკრუმა ისე შორს წავიდა მარცხნივ, რომ იგი მიუახლოვდა ზღურბლს, საიდანაც უკან გზა აღარ არსებობს,“ — შეშფოთებული წერდა მეორე ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

განაში ჯერ კიდევ მოქმედ უცხოურ ფირმათა ერთსულოვანი გაბოროტება გამოიწვია 1964 წლის კანონმა, რომლის ძალითაც ყოველი 2,80 დოლარიდან, რომლის უცხოეთში გადარიცხვასაც ფირმა მოისურვებდა, განის მთავრობისათვის უნდა გადაეხადა 1,83 დოლარი. კ. ნკრუ-

მას მთავრობის პროგრესული ლონისძიებანი ქვეყნის შიდა რეაქციის მზარდ უკმაყოფილებას იწვევდა. ანტისახელმწიფოებრივი რეაქციის გაძლიერებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ 1965 წლის დასაწყისამდე განაში თავისუფლად ვრცელდებოდა პროდასავლეთური ლიტერატურა. აშშ-ის საელჩო გამოსცემდა და ავრცელებდა არა მარტო ყოველდღიურ პრეს-რელიზებს, არამედ ყოველთვიურ ჟურნალსაც „ამერიკენ აუთ ლუკ"-ს. ჟურნალი ვრცელდებოდა მთელს დასავლეთ აფრიკაში. ინგლისის უმაღლესი კომისარიატი გამოსცემდა ყოველკვირეულს „ბრიტიშ უიკლი ნიუს". ათასგვარ რევანშისტურ და სხვა ხასიათის მასალებს ავრცელებდა აგრეთვე აკრაში დასავლეთ გერმანიის საელჩო. 1965 წლის 1 დეკემბერს განამ დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა ინგლისთან. მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ განის აქცია განაპირობა როდეზიის საკითხში ინგლისის პოზიციამ.

მას შემდეგ რაც რამოდენიმეჯერ ჩაიშალა კ. ნკრუმას მკვლელობის ცდა, ქვეყნის რეაქციულმა ძალებმა, საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით, კურსი სამხედრო გადატრიალებაზე აიღეს. განაში კ. ნკრუმას უდიდესი ავტორიტეტის გამო გადატრიალება დაიგეგმა მისი უცხოეთში ყოფნის დროს. 1966 წლის 24 თებერვალს, როდესაც კ. ნკრუმა ოფიციალური ვიზიტით პეკინში იმყოფებოდა, აკრაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. ხელისუფლება ხელში ჩაიგდო ე. წ. „განთავისუფლების ეროვნულმა საბჭომ" გენერალ ჯოზეფ ანკრას მეთაურობით (რამოდენიმე ხნით ადრე ნკრუმამ გადააყენა ანკრა გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან). განის არმია და პოლიცია, რომელთაც გაერთიანებული ძალებით მოახდინეს სამხედრო გადატრიალება, შექმნილი იყო ჯერ კიდევ ინგლისელთა ბატონობის პერიოდში. დიდი ხნის განმავლობაში როგორც არმიას, ასევე პოლიციას სათავეში უდგნენ ინგლისელები. ინგლისისადმი სიმპათიებით იყვნენ განწყობილი განელი მაღალი წოდების ოფიცრებიც.

ანტისახელმწიფოებრივ გადატრიალებას (ეს უკვე მეექვსე გადატრიალება იყო აფრიკაში უკანასკნელ სამ თვეში) აღფრთოვანებით შეხვდა ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო. განის თავდაცვის შტაბის ყოფილმა უფროსმა, ინგლისელმა გენერალმა ალექსანდერმა, ლონდონში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „გენერალი ანკრა ძალზედ მეგობრულად არის განწყობილი ინგლისისადმიო". გადატრიალების მეორე დღესვე ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" წერდა, რომ „თანამდებობის პირნი აშშ-ში აღფრთოვანებული არიან გადატრია-

ლებით“, სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ აფრიკის საკითხებში, მ. უილიამსმა ოფიციალურად განაცხადა აშშ-ის მთავრობის გადაწყვეტილება სამხედრო რეჟიმთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ. დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის გაზეთების ცნობით განაში სამხედრო გადატრიალების გეგმა შემუშავდა ლონდონში, განის უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსის კხოუ ამიხიას მიერ. გაზეთები იმასაც იუწყებოდნენ, რომ ამიხიამ თავის დროზე სტაჟირება გაიარა აშშ-ის დაზვერვის სამმართველოში. გასაკვირი არ არის, რომ გადატრიალებას განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდნენ განის რეაქციული, ოპოზიციური პარტიები. გაერთიანებული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. რიჩარდსონმა მხურვალედ მიულოცა გენ. ანკრას და რწმენა გამოთქვა, რომ პარტიის ლიდერს, პროფ. კ. ბუსიას შესაძლებლობა მიეცემოდა. შეედგინა განის ახალი მთავრობა. ასეთსავე რწმენას გამოთქვამდა კ. ამიხიაც, მაგრამ გენ. ანკოა და ჰისი კომიტეტი არ ჩქარობდა სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენას. პირიქით, 2 მარტს აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია და ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობა.

სამხედრო ხელისუფლების პირველი სერიოზული ღონისძიებანი ქვეყნის ეკონომიკას შეეხო, შეიზღუდა სახელმწიფოს როლი. გაუქმდა სახელმწიფოს კონტროლი იმპორტზე. 7-წლიანი გეგმა, კერძო სექტორს დაუბრუნდა მთელი რიგი სახელმწიფო კორპორაციები. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ „განთავისუფლების ეროვნული საბჭო“ უარყოფს სოციალიზმს და უბრუნდება თავისუფალი წარმოების დასავლეთურ მეთოდებს. ეს უკვე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ინგლისსა და აშშ-ს 4 მარტს ეცნოთ განის ახალი ხელისუფლება. ჩვეულებრივ აშშ არ ჩქარობს პროამერიკულ სამხედრო რეჟიმთა ცნობასაც კი, რათა არ გამოამჟღავნოს თავისი დაინტერესება, მაგრამ განის შემთხვევაში ეს სიფრთხილე იგნორირებულ იქნა. იმ დღეებში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ „აფრიკის სხვა ქვეყნებში მომხდარ გადატრიალებათაგან განსხვავებით, შეთქმულება განაში მიმართული იყო არა მხოლოდ პირადად კ. ნკრუმას წინააღმდეგ, არამედ სახელმწიფოს მთელი წყობის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა სოციალისტურ სახელმწიფოებთან კავშირის განმტკიცებას. აი რატომ გარეკეს სამხედროებმა პარლამენტი და დააპატიმრეს დეპუტატები, გააუქმეს კონსტიტუცია და კანონგარეშე გამოაცხადეს კონვენტის სახალხო პარტია.“ ხელისუფლების რეპრესიათა ობიექტად იქცა საბჭოთა სპეციალისტთა მიერ შედგენილი პროექტები და საბჭოთა დახმარებით აშენებული სა-

გვინეის რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან

სამხრეთ აფრიკელი ცნობილი პროგრესული მწერალი ალექს ლა გუმა (მარჯვნი-
დან პირველი) მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე მოსკოვში 1973 წელს

წარმოებიც კი. მაგალითად: თევზკომბინატ» ტემაში, რომელსაც დასავლეთის სპეციალისტებიც კი ახასიათებდნენ როგორც ძალზედ საჭირო დახმარებას, ფაქტიურად დახურეს. უკვე 12 მარტს „ნიუ-იორკ ტაიმს“-ც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ არ ღირს ბევრ საბჭოურ პროექტზე ხელის აღებაო“. აშშ-ის მთავრობამ არ დააყოვნა დაეფასებინა სამხედრო რეჟიმის ანტისოციალისტური ღონისძიებანი (ხშირად თვით განის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წარმართული) და სასწრაფოდ აღეთქვა ყოველნაირი დახმარება. მარტის ბოლოს ბონში გამართულ პრესკონფერენციაზე გფრ-ის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ფედერალური მთავრობა ინტერესითა და კეთილგანწყობით განიხილავს განის ახალი რეჟიმის ღონისძიებებსო“. ეს გასაკვირი არც იყო, რადგან ამ დროისათვის განაში უკვე დახურული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო წარმომადგენლობა.

გადატრიალებას სულ სხვა შეფასება მისცეს მსოფლიოს პროგრესულმა წრეებმა: ლონდონში გამართულ მიტინგზე ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, აფრიკის ცნობილმა მკვლევარმა ტ. ჰოჩკინსმა, ანალიზს უკეთებდა რა გადატრიალების ხასიათს, აღნიშნა, რომ იგი წარმოადგენს კონტრრევოლუციის ტიპიურ ფორმას, რომელიც განახორციელეს ქვეყნის რეაქციულმა ელემენტებმა აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს მხარდაჭერით: „ქვეყანაში ხელისუფლება ხელთ იგდეს ბერეტაზიულმა ელემენტებმა და მათმა აგენტებმა“.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა კაპიტალისტური სამყაროს ინტერესი განისადმი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1966 წლის მაისში სესხის სახით განას მისცა 36,4 მლნ დოლარი. გარდა ამისა ფონდის ინიციატივით შეიქმნა განის 10 კრედიტორი სახელმწიფოს (დასავლეთ გერმანია, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, აშშ, ინგლისი, კანადა, ბელგია, შვეიცარია, ისრაელი) კომიტეტი, რომელსაც უნდა განეხილა ეკონომიური „დახმარების“ პირობები, აშშ-ის მთავრობამ „დახმარების“ სახით განას გადასცა 2 663 780 გირვანქა სტერლინგის ღირებულების პროდუქტი და სოფლის მეურნეობის საქონელი. ამერიკის მონოპოლიურ კაპიტალს განსაკუთრებით ის გარემოება ხიბლავდა, რომ, როგორც გაზეთი „იუნაიტედ სტეიტ ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წერდა, „განის სამხედრო რეჟიმი აქტიურად უწყობს ხელს უცხოურ კაპიტალდაბანდებას“. მალე განაში თავიანთი ფილიალები გახსნეს აშშ-ის ბანკებმა — „ბენკ ოფ ამერიკა“-მ, „ჩეიზ

მანჰეტტენ ბენკ“-მა, „ფერსტ ნეიშნ სიტი ბენკ“-მა და სხვ. გადატრიალებიდან სამი თვეც არ იყო გასული, რომ განაში უკვე იმყოფებოდა „მშვიდობის კორპუსის“ 100 მოხალისე. აქსუმის რაიონში შეიქმნა განაში უდიდესი კაუჩუკის პლანტაცია, რომლის მესაკუთრეც ამერიკელი მილიონერი მ. სტეინი იყო.

მარტში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ სესხის სახით განის მთავრობას გამოუყო 40 მლნ მარკა. აღნიშნულ კრედიტზე მოლაპარაკება წარმოებდა ჯერ კიდევ კ. ნკრუმას მთავრობის დროს, მაგრამ მაშინ ლაპარაკი იყო მხოლოდ 10 მილიონზე. აპრილში განაში ჩავიდა დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ჰ. გუბერი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ახალ სესხზე. დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდა ქრისტიანთა საბჭომ იკისრა 200000 გირვანქა სტერლინგი გაეღო აკრაში ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის ახალი ცენტრის მშენებლობის საჭიროებისათვის. როგორც გენერალმა ჯ. ანკრამ განაცხადა, ასოციაციის მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ კვლავ სწორ გზაზე დაეყენებინა განის ახალგაზრდობა, რომელიც მცდარ გზაზე დადგა ძველი რეჟიმის დროს.“

რაც შეეხება ინგლისის მთავრობას, იგი ნაკლებად ხელგაშლილი აღმოჩნდა სამხედრო მთავრობისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხში. მართალია, კ. ნკრუმას მიერ გაძევებული ინგლისის სამხედრო კომისარი 12 აპრილს დაბრუნდა აკრაში და თავისი მთავრობის სახელით 500 000 გირვანქა სტერლინგის მოცულობის კრედიტსაც შეპირდა განას, მაგრამ, როგორც ქვეყნის გაზეთები წერდნენ, „სამხედრო რეჟიმი იმედგაცრუებული აღმოჩნდა“ ინგლისის დახმარების საკითხში.

რამდენიმე თვეში მკვეთრად გაუარესდა ცხოვრების პირობები განაში. ყველგან იგრძნობოდა კვების პროდუქტთა მწვავე ნაკლებობა. დროდადრო ოკეანის გაღმიდან მიღებული „დახმარება“ მხოლოდ წვეთი იყო ზღვაში. ქვეყნის სახელმწიფო და ადმინისტრაციულ მოღვაწეთა უმრავლესობა პატიმრობაში იმყოფებოდა. ეკონომიკას განაგებდნენ სრულიად არაკომპეტენტური სამხედრო პირები, რომლებმაც 3-4 თვეში სრულ ქაოსამდე მიიყვანეს როგორც ეკონომიკა, ასევე სამოქალაქო მმართველობა. 1966 წლის ივნისის ნომერში ინგლისური ჟურნალი „აფრიკა ენდ უორლდი“ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ კ. ნკრუმას დროსაც არსებობდა ეკონომიური სიძნელეები, მაგრამ მაშინ მთავრობა ყველაფერს აკეთებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. „განთავისუფლების ეროვნულმა საბჭომ“ კი მოკლე ხანში გააუქმა ყველა ღონის-

ძიება, რომლებსაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველეყოთ სტაბილიზირებული და მრავალდარგოვანი ეკონომიკა. „განთავისუფლების ეროვნული საბჭოს“ წევრები რომ ასე უვიცები არ ყოფილიყვნენ, ისინი ყურადღებას გაამახვილებდნენ ეკონომიკის განვითარებაზე, კ. ნკრუმას მიერ შექმნილ პრინციპებზე. ნაცვლად ამისა ისინი ძირს უთხრიან ამ პრინციპებს და მათხოვრობენ ოკეანის გაღმა, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკა კრახს განიცდის“, — წერდა ჟურნალი. სამხედრო ხელისუფლებამ ეკონომიკის მიზნით სამსახურიდან დათხოვა მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის 164 სპეციალისტი, და ეს მაშინ, როდესაც განაში, ისევე როგორც ნებისმიერ ტროპიკულ ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის თვით არსებობაც კი გარკვეული გაგებით დაკავშირებულია მავნებლებთან ბრძოლის ეფექტურობაზე. დენაციონალიზაცია საშუალო სკოლებსაც კი შეეხო. ასობით განელი ბავშვი აღმოჩნდა ქუჩაში, რომელთაც უკვე სასწავლო გადასახადი უნდა ეხადათ სკოლების მეპატრონეთათვის, ხოლო ამის საშუალება კი არ გააჩნდათ. 6 ივნისის დეკრეტით გაუქმდა 1962 წ. დაწესებული მიწის საარენდო გადასახადის სისტემა. მიწათმფლობელობის საკითხში განა ფაქტიურად დაუბრუნდა ფეოდალურ სისტემას. 1966 წლის ზაფხულში უკვე სამხედრო ხელისუფლების კონტროლს ქვეშ მყოფი „განიენ ტაიმსი“, ანალიზს უკეთებდა რა ქვეყნის მძიმე მდგომარეობას, წერდა — „განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ყველაფერი ერთ ადგილზე გაიყინა. მიმდინარეობს მხოლოდ ბრძოლა ხელისუფლებისა და ჩინებისათვის“. ერთ ადგილზე არ იყო გაყინული მხოლოდ კერძო უცხოურ მონოპოლიათა საქმიანობა, მათი მოღვაწეობის სფერო და წმინდა მოგება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. იზრდებოდა ფართო მასების უკმაყოფილებაც; 1966 წლის ივნისს გაიფიცნენ ქალაქ ტემის საფეიქრო ფაბრიკის მუშები. გაფიცვა მკაცრად ჩაახშეს, ხელისუფლებამ დააპატიმრა 100 მუშა. ივლისში „განიენ ტაიმსი“ იუწყებოდა საშუალო სკოლების მოსწავლეთა მღელვარებებზე, ფართო გამოსვლებს ჰქონდა ადგილი სოფლად და სხვა. ინგლისური ჟურნალი „პის ნიუსიც“ კი 1966 წ. იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „განის ახალი რეჟიმი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი მყარი, როგორ შთაბეჭდილებასაც იგი პირველ დღეებში სტოვებდა.“

სამხედრო რეჟიმის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა უმრავლესობა აშკარად ეწინააღმდეგებოდა განის ეროვნულ ინტერესებს; გარდა იმისა, რომ უარყოფილ იქნა მდ. შავ ვოლტაზე საბჭოთა სპეციალისტების მიერ დაპროექტებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რო-

მელსაც ენერგიით უნდა მოემარაგებინა განის სამი ყველაზე დიდი რაიონი, დაკონსერვებულ იქნა 80 სამრეწველო ობიექტის მშენებლობა, 55 სახელმწიფო ეკონომიური ორგანიზაციიდან ნახევარი დაიხურა, ნახევარი კერძო მფლობელთა ხელში გადავიდა. მასობრივად მიმდინარეობდა სახელმწიფო საწარმოთა კერძო პირებზე მიყიდვის პროცესი, უარყოფილ იქნა „სამეცნიერო ქალაქის" შექმნის პროექტი, სადაც უნდა გაერთიანებულიყვნენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. სამაგიეროდ დაარსდა „აფრიკაში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭო". რეაქციული ხასიათის ღონისძიებათაგან უნდა აღინიშნოს ბელადთა ინსტიტუტის აღდგენა და განმტკიცება. თავიანთ ძველ უფლებებში აღსდგა 300 მარტო უმაღლესი ბელადი. მათ შორის ყოფილი ოპოზიციის ლიდერის კ. ბუსიას ძმა ნანა კუსი მეორე. თავის დროზე კ. ნკრუმამ საგრძნობლად შეზღუდა მათი გავლენა.

მიუხედავად სამხედრო რეჟიმის დრაკონული კანონმდებლობისა (ერთ-ერთი კანონით კონვენტის სახალხო პარტიის ყველა ყოფილ პასუხისმგებელ პირს განაში 10 წლით ეკრძალებოდა ნებისმიერი თანამდებობის დაკავება), გადატრიალებიდან 1 წლის შემდეგაც კი მთავრობის ოფიციალური აღიარებით, პარტია კვლავ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობის ფართო მასებში. როდესაც 1967 წლის აპრილს ბუსიამ ოფიციალურად მოითხოვა სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლა 1968 წლის დასაწყისისათვის, მთავრობის ოფიციოზი „განიენ ტაიმსი", აკრიტიკებდა რა ბუსიას, წერდა, რომ „სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლა ნიშნავს პოლიტიკურ პარტიათა თავისუფალი მოღვაწეობის დაშვებას. ეს კი სწორედ ის არის, რასაც ელოდება კონვენტის სახალხო პარტია. ვინც თვლის, რომ მასთან ანგარიში საბოლოოდ არის გასწორებული, ღრმად სცდება." 1967 წლის 19 აპრილს განაში ადგილი ჰქონდა ახალი სამხედრო გადატრიალების ცდას, რომელიც მარცხით დამთავრდა. უკანასკნელ ფაქტს ტანზანიის გაზეთი „ნეშნელისტი" განიხილავდა როგორც ანკრას სამხედრო რეჟიმის ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგს. სწორედ ამგვარმა პოლიტიკამ მისცა საბაბი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ. მიულერს რწმენა გამოეთქვა, რომ განის რეჟიმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა და ფართოდ რეკლამირებული ეკონომიისა 1968 წ. განის სამხედრო ხარჯები 3 405 000 ახალი განური სედით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. კვლავ განმტ-

ციცდა კ. ნკრუმას დროს შესუსტებული ინგლისის გავლენა განის არმიაზე. დაწესდა, რომ განის არმიის ნაწილები ყოველ წელს სპეციალურ სტაჟირებას გაივლიდნენ ინგლისში. 1969 წლის 2 აპრილს სკანდალურ ვითარებაში სამხედრო მთავრობის მეთაური ანკრა იძულებული შეიქნა გადამდგარიყო; როგორც გაირკვა, მან დიდი თანხა აიღო ქრთამის სახით უცხოური ფირმებისაგან. ასე უსახელოდ დაასრულა თავისი კარიერა ადამიანმა, რომელიც არც ერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა, რათა კორუფციასა და მაქინაციებში ბრალი არ დაედო კ. ნკრუმას მთავრობისათვის. ანკრას ადგილი გენერალმა აფრიფამ დაიკავა. 1969 წლის 17 აპრილს ნებადართულ იქნა პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობა. მხოლოდ კონვენტის სახალხო პარტიის ცკ ყოფილ წევრებს ეკრძალებოდათ ყოველგვარი პარტიული მოღვაწეობა. სპეციალური დეკრეტით აიკრძალა ახლადშექმნილი სახალხო-პოპულარული პარტია, რომელიც ცნობილი იყო თავისი სოციალისტური პროგრამით. პარტიის ლიდერი პროფ. უილი ლუდეროტი მალე საეკვო ვითარებაში გარდაიცვალა. 1969 წლის 27 აგვისტოს შეიქმნა პრეზიდენტის ფუნქციის აღმასრულებელი კომისია სამი წევრისაგან. მისი თავმჯდომარე გახდა გენერალი აფრიფა. წევრები იყვნენ ქვეყნის პოლიციის უფროსი და არმიის მთავარსარდალი. ეს იყო უკვე ახლად მიღებული კონსტიტუციის დარღვევა, ვინაიდან თანახმად კონსტიტუციისა როგორც მთავრობის მეთაური, ასევე პრეზიდენტი ხალხის მიერ უნდა ყოფილიყვნენ არჩეული. 30 აგვისტოს ჩატარდა არჩევნები, გაიმარჯვა პროგრესული პარტიის ლიდერმა ბუსიამ. 1 ოქტომბერს გამოცხადდა განის მეორე რესპუბლიკა, პრემიერ-მინისტრი გახდა ბუსია. განის 8 მილიონი მოსახლეობიდან არჩევნებში ერთ მილიონზე ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა, რის გამოც მთელმა რიგმა პარტიებმა მოითხოვეს ხელახლა ჩატარებულიყო არჩევნები უფრო დემოკრატიულ პირობებში.

მიუხედავად განის სამხედრო რეჟიმის აშკარა ანტისოციალისტური და ანტისაბჭოური პოლიტიკისა, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, თავიანთ პოლიტიკაში ხელმძღვანელობდნენ რა მხოლოდ და მხოლოდ განის ხალხთა ინტერესებით, კვლავ მზად იყვნენ უანგარო დახმარება გაეწიათ მისთვის. 1970 წლის 13 მარტს განის ორივე გაზეთი „განიენ ტაიმსი“ და „დეილი გრეფიკი“ ფართოდ აშუქებდნენ საბჭოთა კავშირში ნაყიდ თევსაპერ ტრაულერთა და საბჭოთა მეზღვაურთა მუშაობას განაში. გაზეთის კორესპონდენტები, რომლებიც ტრაულერებზე იყვნენ ღია ზღვაში რეწვის დროს, აღფრთოვანებით

წერდნენ მათ მაღალ სამრეწველო მონაცემებზე. კორესპონდენტები გააოცა საბჭოთა მეზღვაურთა მეგობრულმა საქმიანმა დამოკიდებულებამ მათ განელ კოლეგებისადმი, რომელთაც ისინი თავიანთ ცოდნას გადაცემდნენ. იქვე აღნიშნული იყო ნორვეგიელ მეზღვაურთა არაკეთილსინდისიერი საქციელი, რომლებიც განელ მეზღვაურებს უმალავდნენ თავიანთ ცოდნას და აფერხებდნენ ადგილობრივ კადრთა მომზადებას. ორივე გაზეთი მთავრობისაგან კატეგორიულად მოითხოვდა მკაცრი გამოძიების ჩატარებას სამხედრო რეჟიმის მიერ 10 საბჭოური ტრაულერის ინგლისში გაყიდვის თაობაზე. როგორც გაირკვა, კ. ნკრუმას მიერ საბჭოთა კავშირში შეძენილი 10 ტრაულერი ანტისაბჭოური მანიით შეპყობილმა სამხედრო რეჟიმმა ფაქტიურად მუქთად, 100 000 დოლარად მიყიდა ინგლისელ სპეკულანტ ვინმე პასერის. ახალმა სამოქალაქო ხელისუფლებამ შეძლო დაებრუნებინა 8 ტრაულერი, რომლებიც ჯერ კიდევ განაში იმყოფებოდა. ტრაულერების ისტორია ფართოდ გახმაურდა განაში და იმის კიდევ ერთ ილუსტრაციად იქცა, რომ სამხედროები კ. ნკრუმასა და სოციალისტური სამყაროს დისკრედიტირების მიზნით ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსაც კი არ უწევდნენ ანგარიშს.

ბუსიას მთავრობა იძულებული იყო ანგარიში გაეწია განის ფართო მასების განწყობილებისათვის და ხელი აეღო თავის წინამორბედთა ყოველ ზომას გადასულ ანტისაბჭოურ პოლიტიკაზე. 1970 წლის აპრილს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის და საბჭოთა ხელისუფლების მიღწევათა ამსახველი ფოტო-გამოფენები მოეწყო ქ. კუმასში და კეიპ კოსტში. „როდესაც ჩვენ ვფიქრობთ კაცობრიობის დიად ადამიანებზე, ცხადი ხდება, რომ არ არსებობს ისეთი სიტყვა, რომელიც ასახავდეს ვ. ლენინის დიდებას", — ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე განაცხადა განის განათლებისა და კულტურის მინისტრმა უ. ატამ. ბუსიას მთავრობამ ცხოვრებაში გაატარა რამოდენიმე კუდმოკვეცილი კანონმდებლობა. რომელთაც ოდნავ უნდა შეეზღუდათ განაში უცხოელთა კომერციული მოღვაწეობა. ამავე დროს განის პრესა სულ უფრო და უფრო მკაცრად აკრიტიკებდა აშშ-ის პოლიტიკას. კრიტიკის ობიექტად კვლავ იქცა „მშვიდობის კორპუსი", რომლის მოხალისეებსაც უკვე მასობრივად აძევებდნენ აფრიკიდან. „მშვიდობის კორპუსი" უკვე ეეღარ მალავდა თავის კავშირს საგარეო სამმართველოსთან.

1970 წლის 7 აგვისტოს განაში გაუქმდა საპრეზიდენტო საბჭო და

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ბუსიას კანდიდატი, განის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ედვარდ აკუფო-ადო. კვლავ მძიმე მდგომარეობა იყო ქვეყნის ეკონომიკაში, რადგან მთავრობა არ ფიქრობდა რაიმე რადიკალურ ღონისძიებათა გატარებას ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით და იმედებს უცხოურ „დახმარებაზე“ ამყარებდა. 1970 წლისათვის განის სახელმწიფო ვალმა 1 003 მლნ სედის მიაღწია და 300 მლნ-ით გადააჭარბა კ. ნკრუმას დროს აღებულ სესხს. მძიმე ეკონომიურმა პირობებმა ქვეყანაში დანაშაულობათა მკვეთრი ზრდა გამოიწვია და აქაც მთავრობამ მხოლოდ ის იღონა, რომ 5000 კაცით გაზარდა პოლიცია, რომელიც უკვე განის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ნთქავდა 20373 ათას სედის. 1969 წელს საშუალო სკოლებში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა 50 000 ბავშვმა, მაგრამ სკოლების ნაკლებობის გამო მხოლოდ 10 000 მიიღეს. 100%-ით გაძვირდა ცხოვრება 1963 წელთან შედარებით. მოკლე დროში ორჯერ მოხდა სედის დევალვაცია. 1971 წლის ნოემბერში განის ვაჭრობის მინისტრი კუარში პარლამენტის სხდომაზე ამბობდა, რომ „განამ მიაღწია ზღურბლს, როდესაც მის ეკონომიკას უკვე აღარ შეუძლია გაუძლოს ფასების შემდგომ მომატებასო“.

ცხოვრების პირობების მკვეთრ გაუარესებას და მთავრობის ანტიეროვნულ, პროდასავლეთურ პოლიტიკას განის მშრომელები მასობრივი გაფიცვებით პასუხობდნენ. 1968 წლის სექტემბერს გაიფიცა 5700 რკინიგზელი. რკინიგზელებს შეუერთდნენ ინგლისური სადაზღვევო კომპანიის „გარდიან ემურანს კომპანი“-ს თანამშრომლები და ქ. ტემას ტრანსპორტის მომსახურე პერსონალი. 1969 წლის 3 მარტს ოქროსმომპოვებელი მრეწველობის ცენტრში, ქ. აბუასში გაიფიცა 6 000 მუშა. როდესაც გაფიცულებმა უყურადღებოდ დასტოვეს მთავრობის ულტიმატუმი 48 საათში მუშაობის განახლების შესახებ, პოლიციამ იერიში მიიტანა მათზე. შეტაკების დროს მოკლეს 6 მუშა და რამოდენიმე ათეული კაცი დაიჭრა. 1969 წლის ივნისს ქ. ტარკვეს გაფიცულ მემაღაროელებთან შეტაკების დროს პოლიციამ მძიმედ დაჭრა 5 კაცი, 47 მუშა დააპატიმრა. 1970 წ. 4 აპრილს გაიფიცა ტემას პორტის 200 მეზღვაური. ივნისში საყოველთაო-საგაფიცვო მოძრაობამ მოიცვა ინგლისური ოქროსმომპოვებელი კომპანია „აშანტი გოლდფილდს კორპორეიშნ“-ის მუშები ქ. აბუასში. პოლიციამ დააპატიმრა 108 გაფიცული. 1971 წლის თებერვალს 5 დღეს იყო გაფიცული ამერიკული კომპანია „კაიზერ“-ის 2 000 თანამშრომელი. მთავრობა მკაცრ რეპრესიებს მიმართავდა გაფი-

ცულთა წინააღმდეგ; 1971 წლის სექტემბერს სამსახურიდან გააძევეს ავტობუსის 500 გაფიცული მძღოლი, მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ თეთრ წიგნში გამართლებული იყო პოლიციის სიმხეცე გაფიცულთა მიმართ. მაგრამ რეპრესიები საკმეს ვეღარ შველოდნენ, საყოველთაოდ აღინიშნებოდა განელ მშრომელთა კლასობრივი შეგნების ზრდა.

საგარეო პოლიტიკაში განის მთავრობის რეაქციული კურსი უპირველეს ყოვლისა გამოიხატა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ურთიერთობის პოლიტიკაში. ბუსია თავის ოფიციალურ განცხადებებში აქტიურად იცავდა რასისტულ რეჟიმებთან დიალოგის ტაქტიკას, რაც თვით განის ფართო საზოგადოებრიობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. 1971 წლის მარტს ოპოზიციამ პარლამენტში მთავრობის გადადგომაც კი მოითხოვა რასისტულ რეჟიმებთან ურთიერთობის საკითხში უკანასკნელის პოზიციის გამო. ოპოზიციის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „განის პოზიცია ეწინააღმდეგება აფრიკის საზოგადოებრივ აზრს". 1971 წ. აპრილს განის სტუდენტთა ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა სპეციალური მიმართვა მთავრობისადმი, სადაც გამოთქმული იყო ქვეყნის ახალგაზრდობის გულისწყრომა იმის გამო, რომ „განა უკვე აღარ წარმოადგენს აფრიკის სხვა ქვეყნებისათვის მისაბაძ მაგალითს".

ბუსიას მთავრობის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკით, სრული უკმაყოფილების პირობებში, 1972 წლის 13 იანვარს, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტიცა და პრემიერიც ლონდონში იმყოფებოდნენ, განაში მოხდა მეორე სამხედრო გადატრიალება. ხელისუფლება ხელში აიღო „ეროვნული ხსნის საბჭომ", რომელსაც სათავეში ედგა პოლკოვნიკი იგნატიუს აჩემპონგი. გადატრიალების დროს არ დაღვრილა არც ერთი წვეთი სისხლი. ი. აჩემპონგმა გადატრიალების პირველივე დღეს გამოაცხადა, რომ უარყოფილ იქნება სამხრეთ აფრიკის რასისტულ რეჟიმებთან ყოველგვარი დიალოგის ტაქტიკა. ჩამოყალიბდა სამხედრო მთავრობა, რომელშიც აჩემპონგმა დაიკავა თავდაცვის, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთა პოსტები. უკვე 3 თებერვალს ახალმა სამხედრო ხელისფლებამ გააუქმა პირველი სამხედრო ხელისუფლების მიერ დაარსებული არაპოპულარული „ეროვნული განვითარების გადასახადი" და 20%-ით შეამცირა სახელმწიფო საბინაო გადასახადი. 5 თებერვალს გაუქმდა სედის დევალვაცია. „ეროვნული ხსნის საბჭომ" უარი თქვა 4 უცხოურ კომპანიასთან დადებულ კონტრაქტით გათვალისწინებულ 9 440 000 დოლ. სესხზე. გამოცხადდა, რომ უახლოეს დროში საბჭო გადასინჯავს 1966 წლის შემდეგ აღებულ ყველა სესხს და მხოლოდ მათ

ცნობს ,რომლებიც კორუფციასა და მაქინაციებთან არ იქნებიან დაკავშირებული. გადაისინჯა ქვეყნის ბიუჯეტი. „ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ეკონომიკა, — განაცხადა აჩემპონგმა, — რომლის დროსაც ბოლო მოეღება ყოველგვარი სახის ექსპლოატაციას. დამოუკიდებელი ეკონომიკის ჩვენი კონცეფცია გულისხმობს უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან სრულ განთავისუფლებას". გამოცხადდა გიგანტური საბინაო მშენებლობის პროექტის შედგენა. მშენებლობა გათვალისწინებულია დაბალხელფასიანი განელების ბინებით უზრუნველსაყოფად. ამავე დროს მძიმე ეკონომიური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ აძლევს განას იმის საშუალებას, რომ საკუთარი განთავისუფლდეს დასავლეთის ეკონომიური დამოკიდებულებისაგან. 1972 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში დაიდო რამდენიმე ახალი ხელშეკრულება დასავლეთ ევროპის და აშშ-ის კერძო კომპანიებთან. აშშ-ის კომპანიებმა ფაქტიურად ხელში ჩაიგდეს განის სანაპირო რაიონებში ნავთობსაძიებელ სამუშაოთა მონოპოლია.

1977 წლის ივლისში განის სამხედრო მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1979 წლის 1 ივლისისათვის ქვეყანა გადავიდეს სამოქალაქო მმართველობაზე.

გ ვ ი ნ ე ა

1958 წლის 28 სექტემბერს 113 6000 გვინეელმა, რაც შეადგენდა რეფერენდუმში მონაწილეთა 97 პროცენტს, უარყო საფრანგეთის კონსტიტუციის პროექტი, ეს კი ნიშნავდა, რომ გვინეა არ იქნებოდა საფრანგეთის თანამეგობრობის წევრი. 2 ოქტომბერს გვინეას ტერიტორიულმა ასამბლეამ გამოაცხადა გვინეას რესპუბლიკა. ასამბლეა გადაკეთდა სუვერენულ დამფუძნებელ ეროვნულ კრებად. კრებამ იმავე დღეს დააკისრა მთავრობის შედგენა მთავრობის საბჭოს თავმჯდომარეს სეკუ ტურეს.

გვინეას რესპუბლიკის სუვერენული მთავრობა შეუდგა ფართო ღონისძიებათა შემუშავებას ხელისუფლებისა და მმართველობის ახალ ორგანოთა, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის შესაქმნელად, მშრომელთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად.

გვინეას დამოუკიდებელი რესპუბლიკა პირველმა ცნეს საბჭოთა კავშირმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და სხვა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა. საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად მხოლოდ 1959 წლის 7 იანვარს ცნო გვინეა. საგარეო პოლიტიკის სფეროში გვინეას მთავრობამ თავიდანვე აღიარა პოზიტიური ნეიტრალიტეტის პრინციპი. 1959 წლის 1 მაისს გვინეასა და განას შორის ხელმოწერილ იქნა განსაკუთრებული დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებდა აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირს, მთელი რიგი გაერთიანებული ორგანოებით (ეკონომიკის, ვალუტის, საგარეო ვაჭრობის, თავდაცვის, საგარეო პოლიტიკის დარგში). 1959 წლის ივლისში შედგა გვინეას, განისა და მალის ლიდერთა კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო კიდეკ ერთი დეკლარაცია აფრიკის ერთობის შესახებ. დეკლარაცია ითვალისწინებდა აფრიკის თანამეგობრობის შექმნას, რომლის წევრიც შეიძლება გამხდარიყო აფრიკის ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან გვინეას მთავრობამ კურსი აიღო სოციალისტურ ქვეყნებთან ფართო ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობაზე. საავაჭრო და კულტურული ხელშეკრულებები

დაიდო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ჩეხოსლოვაკიასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან.

1959 წლის 13 თებერვალს ქ. კონაკრში ხელმოწერილ იქნა საავაჭრო ხელშეკრულება გვინეასა და საბჭოთა კავშირს შორის. ხელშეკრულებით განისაზღვრა საქონელბრუნვათა მოცულობა და საქონელთა ნომენკლატურა. საბჭოთა კავშირი გვინეას აწვდიდა სოფლის მეურნეობის მანქანებს, ავტომობილებს, ნავთობ-პროდუქტებს, საფეიქრო საქონელს, სხვადასხვა მოწყობილობასა და სხვ. საბჭოთა კავშირში გვინეას ექსპორტს შეადგენდა ბანანი, ანანასი, ყავა და სხვა ტრადიციული საქონელი. 1959 წლის აგვისტოს უკვე მოსკოვში გააფორმეს ახალი ხელშეკრულება გვინეასა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე. გვინეამ საბჭოთა კავშირისაგან მიიღო 140 მლნ შანეთის გრძელვადიანი სესხი შეღავათიანი (2,5) პროცენტით. სესხი გათვალისწინებული იყო სამრეწველო საწარმოთა ასაშენებლად, სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად და სხვა. 1960—1963 წწ. საბჭოთა კავშირის დახმარებით გვინეაში აშენდა ცემენტის ქარხანა, სატყეო-სახერხი კომბინატი, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, ხილისა და ბოსტნეულის საკონსერვო ქარხანა, მაცივარი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1500 სტუდენტზე და სტადიონი 25 000 კაცზე.1959 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გვინეას რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე ს. ტურე. ვიზიტის შედეგად გამოქვეყნებული ერთობლივი კომუნიკე ასახავდა მეგობრულ ატმოსფეროსა და ორივე ქვეყნის მისწრაფებას მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობისაკენ. 1960 წლის სექტემბერს ს. ტურე მეორედ ჩამოვიდა მოსკოვში. ხელმოწერილ იქნა ახალი საავაჭრო ხელშეკრულება.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე აქტიურ ანტიკოლონიურ მოღვაწეობას ეწეოდა ორი პოლიტიკური პარტია — გვინეას დემოკრატიული პარტია და გვინეას მოსახლეობის კავშირი. 1958 წლის დეკემბერს გვინეას მოსახლეობის კავშირი შეუერთდა გვინეას დემოკრატიულ პარტიას, რომელიც იქცა ერთადერთ პოლიტიკურ პარტიად ქვეყანაში. პარტია ფაქტიურად თავის რიგებში აერთიანებდა გვინეას მოსახლეობის ყველა ფენას. მოსახლეობის თითქმის 1/3 იყო პარტიის წევრი. თავისუფლების მოპოვების შემდეგ გვინეას ყველა ქალაქსა და ადმინისტრაციულ ცენტრში დაარსდა დემოკრატიული პარტიის სექცია. კონაკრში დაარსდა სამი სექცია. პარტიის კომიტეტები თავიანთ სამ-სამ წარმომად-

გენელს გზავნიან სექციათა კონფერენციებზე, რომლებზეც ორი წლის ვადით ირჩევენ 17 კაცისაგან შემდგარ სექციის ხელმძღვანელ კომიტეტს. კომიტეტი წარმოადგენს სექციის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ცხოვრებაში ატარებს კონფერენციისა და პარტიის ზემდგომ ორგანოთა გადაწყვეტილებებს, წარმართავს ყოველდღიურ პარტიულ საშუშაოს. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელიც იკრიბება სამ წელიწადში ერთხელ. ყრილობა სამი წლის ვადით ირჩევს 17 კაცისაგან შემდგარ პარტიის ეროვნულ პოლიტბიუროს, რომელიც წარმოადგენს პარტიის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს.

პოლიტბიუროს ხელმძღვანელობს პარტიის გენერალური მდივანი და პოლიტიკური მდივანი. პოლიტბიუროში შედის ქალთა ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი. როგორც 1959 წლის იანვარს განმარტა ს. ტურემ, გვინეას დემოკრატიული პარტია თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებით, რაც გულისხმობს: 1. პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს დემოკრატიულ არჩევნებს საერთო კრებაზე, კონფერენციებსა და ყრილობებზე. 2. კომიტეტებისა და ბიუროს პერიოდულ ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე. 3. პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა ყველა გადაწყვეტილების აუცილებელ შესრულებას.

თავის მოღვაწეობაში გვინეას დემოკრატიული პარტია ეყრდნობა პროფკავშირულ, ახალგაზრდულ და ქალთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

დამოუკიდებლობამდე გვინეაში რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაცია არსებობდა. 1959 წლის მარტში ახალგაზრდული ორგანიზაციები გაერთიანდნენ ერთ ორგანიზაციად, რომელსაც ეწოდა „აფრიკის ახალგაზრდობის დემოკრატიული გაერთიანება". ორგანიზაცია წარმოადგენს გვინეას დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდულ სექციას.

თანახმად 1958 წლის 12 ნოემბერს მიღებული კონსტიტუციისა, გვინეას სახელმწიფოს მეთაურს წარმოადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელსაც საყოველთაო კენჭისყრით ირჩევენ 7 წლის ვადით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ გვინეას ყველა მოქალაქე, რომელთაც შეესრულდება 35 წელი.

ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა თავისუფალი გვინეა, ეს იყო ქვეყნის ეკონომიკა. საფრანგეთის თითქმის 80-წლიანი ბატონობის შედეგად გვინეას მეურნეობა იქცა აგრარულ-

სანედლეულო ტიპის კოლონიური ეკონომიკის ნიმუშად, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა ჩამორჩენილი მონოკულტურული სოფლის მეურნეობა და სუსტადგანვითარებული სამთოდამმუშავებელი მრეწველობა. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი 1956 წელს შეადგენდა 49,6 მლრდ აფრიკულ ფრანკს (სენეგალში — 89,6-ს, სპილოს ძვლის ნაპირზე — 99,6-ს). განთავისუფლების პერიოდში სოფლის მეურნეობაში დაკავებული იყო ქვეყნის მთელი მოსახლეობის 87%. კოლონიური ადმინისტრაცია ხელს უწყობდა მხოლოდ საექსპორტო კულტურათა განვითარებას და არავითარ ანგარიშს არ უწევდა გვინეას ეროვნულ ინტერესებს. ადრე ბრინჯი, გვინეას მოსახლეობის მთავარი საკვები პროდუქტი, ქვეყანაში მოჰყავდათ ისეთი რაოდენობით, რომ მისი ექსპორტიც კი იყო შესაძლებელი. საექსპორტო კულტურათა ძალდატანებითი დანერგვის შემდეგ კი, რამაც გამოიწვია ბრინჯის მოსავლის მკვეთრი შემცირება, მოსახლეობის გამოსაკვებად აუცილებელი შეიქნა მისი იმპორტი.

გვინეას მრეწველობის განვითარება მთლიანად დამოკიდებული იყო მეტროპოლიის მოთხოვნილებებზე. სუსტად და ცალმხრივად განვითარებული მრეწველობა მთლიანად ფრანგული კაპიტალის ხელში იმყოფებოდა. შედარებით განვითარებულ დარგს წარმოადგენდა სამთოდამმუშავებელი მრეწველობა. ექსპორტის საერთო ღირებულებაში მისი ხვედრითი წონა 19 პროცენტს შეადგენდა. წამყვანი ადგილი ეჭირა ბოქსიტების მოპოვებას (330 000 ტ. 1958 წ.), რკინის მადნის დამუშავებას (415 000 ტ. 1958 წ.), ალმასის მოპოვებას (117 000 კარატი 1958 წ.). მთელი მინერალური ნედლეული საზღვარგარეთ გაჰქონდათ უცხოურ კომპანიებს.

ჩასახვის სტადიაში იმყოფებოდა დამმუშავებელი მრეწველობა, რომლის პროდუქციაც ქვეყნის ეროვნული საბითუმო პროდუქციის მხოლოდ 2, 5 %-ს შეადგენდა. უმდიდრესი ჰიდროელექტრორესურსების პირობებში გვინეაში არსებობდა მხოლოდ ერთი ჰიდროელექტროსადგური მდ. სამეზე. ელექტროენერგიის გამომუშავება 1958 წელს უდრიდა 20,7 მლნ კვ. ს., მაშინ როდესაც ქვეყნის მდინარეთა პოტენციური სიმძლავრე იყო 63 მლრდ კვ. ს. ქვეყნის საგარეო ვაჭრობაშიც მსხვილი ფრანგული მონოპოლია იყო გაბატონებული. ვინაიდან მთავარი სასაქონლო პროდუქცია, ისევე როგორც მთელი მეურნეობა, დაკავშირებული იყო არა საშინაო, არამედ საგარეო მოთხოვნილებასთან, გვინეა მძიმე დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა თავისი სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის საკითხშიც.

საფრანგეთის იმპერიალიზმის მევახშეთა სპეციფიკამ განსაზღვრა გვინეაში კაპიტალდაბანდების უმნიშვნელო დონე. 1900-1940 წწ. საფრანგეთის კაპიტალდაბანდება აფრიკაში შეადგენდა მთელ მეტროპოლიათა კაპიტალდაბანდების მხოლოდ 4 %-ს, მაშინ როდესაც ინგლისია უდრიდა 73%-ს.

ასეთ პირობებში შეუდგა ახალგაზრდა რესპუბლიკა თავისი დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნას. დაახასიათა რა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა გადაუდებელი პრობლემები, ს. ტურემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეთხუთმეტე სესიაზე განაცხადა: — „პოლიტიკური დამოუკიდებლობა თავისთავად არ ნიშნავს სრულ ეროვნულ განთავისუფლებას. რასაკვირველია, იგი წარმოადგენს გადამწყვეტ და დიდმნიშვნელოვან ეტაპს. მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა გულისხმობს არა მარტო პოლიტიკურ განთავისუფლებას, არამედ სრულ ეკონომიურ თავისუფლებასაც. ამ ორი აუცილებელი პირობის გარეშე შეუძლებელია სოციალური პროგრესი.“

ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის საკუთარმა გამოცდილებამ გვინეას ხელმძღვანელები დაარწმუნა იმაში, რომ წარმოების კაპიტალისტურ ურთიერთობათა პირობებში შეუძლებელია სიღატაკისა და ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, ეროვნული ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფა, ამიტომაც გვინეა თავიდანვე მტკიცედ დაადგა განვითარების არაკაპიტალისტურ გზას. გვინეას მთავრობისა და დემოკრატიული პარტიის პროგრამამ ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევის საშუალებად დასახა სახალხო მეურნეობის ახალი სტრუქტურის შექმნა, რომელიც უნდა ემყარებოდეს მრავალდარგოვან ეკონომიკას. მთავრობისა და პარტიის ყურადღება წარმართული იყო სახელმწიფო სექტორისა და კოოპერატივების განვითარებისაკენ. მართალია, დაშვებულია კერძო და შერეული სექტორიც, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფო სექტორს.

1960 წლის ივნისს გვინეაში დაიწყო ეკონომიური და სოციალური განვითარების პირველი სამწლიანი (1960—1963 წწ.) გეგმის განხორციელება. გეგმის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ცხოვრების დონის ამაღლება, ეკონომიური დეკოლონიზაცია, გვინეას თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოდ ქცევის წინაპირობათა მომზადება. გეგმის ძირითადი დებულებები შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „სასოფლო: 1. თანამედროვე მაღალ ტექნიკურ ბაზაზე განვითარდეს სამეურ-

ნეო წარმოება. გაფართოვდეს სახელმწიფო და კოოპერატიული სექტორი. შეიქმნას 500 გლეხური კოოპერატივი. 2. განვითარდეს სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა. მიღწეულ იქნეს ადრე ნედლეულის სახით ექსპორტირებულ პროდუქტთა პირველადი ან სრული დამუშავება ადგილზე. 3. შეიქმნას ბაზა მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის. ჩატარდეს ფართო გეოლოგიური სამუშაოები. 4. იაფი ენერგიით უზრუნველყოფილ იქნეს განვითარებადი სოფლის მეურნეობის სექტორი და დამმუშავებელი მრეწველობა. 5. უზრუნველყოფილ იქნეს საერთო და ტექნიკური განვითარების სწრაფი ტემპები, გაფართოვდეს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი".

გეგმის განსახორციელებლად ასიგნირებულ იქნა 44,5 მლრდ გვინეას ფრანკი. დაფინანსების წყაროდ გათვალისწინებული იყო როგორც ეროვნული რესურსები, ასევე სახელმწიფო გარეშე სესხი. გეგმის განხორციელების პერიოდში უცხოურ ფინანსთა რესურსების მოცულობამ 90 პროცენტს მიაღწია, საიდანაც 80 პროცენტი სოციალისტურმა ქვეყნებმა უზრუნველყვეს. გეგმა ითვალისწინებდა ეროვნული შემოსავლის 8-10 პროცენტ საშუალო წლიურ მატებას.

1961 წლის ივნისს დაჯამდა გეგმის პირველი წლის შედეგები; ქვეყნის უდიდეს ჩრდილოეთ რაიონ უკუნკუნში 60 წლის განმავლობაში აშენდა მხოლოდ ორი სკოლა, 1960 წელს კი — 17 სკოლა, 4 პოლიკლინიკა, 15 მაღაზია, 2 აეროდრომი და სხვ. ბრინჯის მოსავლის ფართობი 1958 წ. 15 000 ჰა-დან გაიზარდა 215600 ჰა-მდე. 1958 წ. გვინეაში 200 სტუდენტი იყო, 1960 წლის დამლევს კი—980.

1961 წლის თებერვალს გვინეაში ნაციონალიზებულ იქნა ორი მსხვილი ფრანგული კომპანია — „კომპანი აფრიკენ დსო" და „სოსიეტე დ'ენერჟი ელექტრიკ დე გინე". კომპანიების ფრანგი სპეციალისტები, რომელთაც საბოტაჟის მიზნით უარი განაცხადეს სამსახურის გაგრძელებაზე, შეცვალეს ჩეხოსლოვაკელმა და საბჭოთა სპეციალისტებმა. ქვეყნის წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგება გადავიდა გვინეელი ხალხის ხელში. სამწლიანი გეგმის პერიოდში მთავრობამ რადიკალური ღონისძიებანი გაატარა სპეკულაციის, კერძო მოვაჭრეთა მიერ ფასების ზრდის წინააღმდეგ. დაწესდა პარტიულ ორგანოთა კონტროლი ფასებზე. მიუხედავად საფრანგეთის საბოტაჟისა, საგრძნობლად განმტკიცდა გვინეას ფრანკის საერთაშორისო კურსი. 1961 წ. მარტს მრეწველობის ნაციონალიზებულ დარგებს მიემატა ოქროს მოპოვება

და ალმასის დამუშავება. ნაციონალიზაციამ ბოლო მოუღო ალმასის დიდი რაოდენობით კონტრაბანდას. გვინეას რესპუბლიკის ახლადშექმნილმა ბანკმა მკაცრი კონტროლი დააწესა ალმასით ვაჭრობაზე.

1936 წ. აღმოჩენილი გვინეას ალმასის საბადოები თავიდანვე იქცნენ უცხოურ კომპანიათა მტაცებლური ექსპლოატაციის ობიექტად. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კიდევ უფრო ანტიეროვნული ხასიათი მიიღო საფრანგეთისა და ინგლისის კერძო კომპანიათა მოღვაწეობის ხასიათმა; მალავდნენ დაუმუშავებელი ალმასის კონცენტრატს, სპობდნენ დოკუმენტაციას. ყოველივე ამის შედეგად ნაციონალიზაციის შემდეგ მთავრობის ხელში გადავიდა უკვე გაჩანაგებული მრეწველობა. ფაქტიურად აღარ არსებობდა ნედლეულის ბაზა (შესწავლილი სამრეწველო მარაგი მხოლოდ 8 ათას კარატს შეადგენდა), არ მუშაობდნენ დანგრეული ფაბრიკები. სამწლიანი გეგმის დასასრულისათვის უკვე მთელი სიმძლავრით ამოქმედნენ რეკონსტრუირებული დანადგარები, მიმდინარეობდა ახალი მაღალმწარმოებლური ფაბრიკების მონტაჟი. ალმასის მოპოვებამ მიაღწია სარეკორდო ციფრებს. მრეწველობას უკვე გააჩნდა მყარი სამეცნიერო ბაზა, რომლის შექმნაშიც წამყვანი როლი საბჭოთა გეოლოგებმა შეასრულეს.

1963 წ. გვინეაში დაჯამდა პირველი სამწლიანი გეგმის შედეგები. მთლიანად გეგმა წარმატებით შესრულდა. აღსანიშნავია, რომ 1961 წ. პირველად 30 წლის განმავლობაში საგარეო ვაჭრობაში მიღწეულ იქნა აქტიური ბალანსი. იმავე წელს დასრულდა ბანკების ნაციონალიზაცია. საერთო მიღწევების ფონზე არადამაკმაყოფილებლად გამოიყურებოდა სოფლის მეურნეობა, რომელიც ვერ იქცა ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო დაგროვებათა მთავარ წყაროდ. საბითუმო პროდუქციის ზრდა, სამწლიანი გეგმის პერიოდში ძირითადად მიმდინარეობდა სამთამადნო მრეწველობის და არა სოფლის მეურნეობის (როგორც გეგმა ითვალისწინებდა) ხარჯზე. 1959 წ. სამთამადნო მრეწველობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 1,4 მლრდ ვირვანქა ფრანკს, 1962 წ. — 62 მლრდს. ეროვნული პროდუქციის წლიური მატება 4-დან 82 პროცენტამდე გაიზარდა.

ენერგეტიკულ წარმატებებს მიაღწიეს განათლების დარგში; თუ 1960 წლისათვის გვინეაში არსებობდა პირველი საფეხურის 486 სკოლა, 1120 მასწავლებლით და 79373 მოსწავლით, 1963 წ. ეს ციფრები შესაბამისად უდრიდა 1459, 3183 და 159494-ს. 20-დან 41-მდე გაიზარდა მეორე საფეხურის სკოლათა რაოდენობა. 5285-დან 10398-მდე,—მო-

გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი ახმედ სეკუ ტურე

საბჭოთა აფრიკანისტი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი დ. ოლდეროგე (მარჯვნივ) საერთაშორისო პრემიის მიღების მომენტში (პრემია მიენიჭა აფრიკანისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის)

სწავლეთა რაოდენობა და 176-დან 465-მდე—მასწავლებელთა რაოდენობა. აშენდა 4 ლიცეუმი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი — გვინეას პირველი უმაღლესი სასწავლებელი. ინსტიტუტი აშენდა საბჭოთა კავშირის დახმარებით და გათვალისწინებული იყო 1600 სტუდენტისათვის.

დიდი ცვლილებები მოხდა ჯანმრთელობის დაცვის დარგშიც: საავადმყოფოების საწოლთა რაოდენობა 1384-დან გაიზარდა 6343-მდე, 1962 წლისათვის გვინეაში იყო პირველი კატეგორიის 4 საავადმყოფო, მეორე კატეგორიის — 17, 158 დისპანსერი, 12 აფთიაქი, 132 ექიმი (1958 წ. — 5 ექიმი), 11 კბილის ექიმი, 1125 ექთანი. შეიქმნა ფარმაცევტულ საქონელთა შემსყიდველ-გამყიდველი სახელმწიფო დაწესებულება „ფარმაგან", რომლის კონტროლქვეშაც ხდებოდა ქვეყანაში მედიკამენტთა განაწილება, რამაც შესაძლებელი გახადა წამლებზე ფასების დაკლება.

სამწლიანი გეგმა წარმოადგენდა ეროვნული მასშტაბით დაგეგმვის პირველ ცდას და ამიტომ მის წარმატებით განხორციელებას, გარდა წმინდა ეკონომიურისა, იდეოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნდა. გეგმის პერიოდში შეიქმნა სახელმწიფო და კოოპერატიული სექტორი, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. სახელმწიფო სექტორის შექმნა ყოველთვის დაკავშირებულია კაპიტალისტურ და კერძომესაკუთრეობლივ მოღვაწეობის შეზღუდვასთან, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს დროებითი ეკონომიური სისუსტე და სახელმწიფო სექტორის შეზღუდული შესაძლებლობანი იძულებულს ხდიდნენ გვინეას მთავრობას მთელ რიგ დათმობებზე წასულიყო კერძომესაკუთრე ელემენტთა მიმართ.

სამწლიანი გეგმის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა კავშირი სოციალისტურ სახელმწიფოებთან; 1961 წ. მაისს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება პოლონეთ-გვინეას თევზსაჭერი საზოგადოების შექმნის შესახებ. 1962 წ. საზოგადოება უკვე 15 ტონა თევზს ამუშავებდა. შემდგომისათვის გათვალისწინებული იყო აგრეთვე სპეციალური პორტის აშენებლობა. 1961 წ. აგვისტოს კონაკრში დაიდო ხელშეკრულება საქონელგაცვლის შესახებ გვინეასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. საქონელბრუნვის საერთო მოცულობა 30 პროცენტით გაიზარდა 1960 წელთან შედარებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გვინეას აწვდიდა მოწყობილობებს მსხვილი მანქანათმშენებლობისათვის, სატრანსპორტო საშუალებას, საფეიქრო პროდუქციას, ფარმაცევტულ საქონელს და სხვ. ოთხი ხელშეკრულება გაფორმდა გვი-

ნეასა და ბულგარეთს შორის 1961 წელს. ხელშეკრულებები განსაზღვრავდნენ სავაჭრო-საფინანსო, კულტურულ და მეცნიერულ თანამშრომლობას. როგორც სისტემატურად აღნიშნავდნენ გვინეას რესპუბლიკის ხელმძღვანელები, პირველი გეგმის წარმატებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა.

1962 წლის ივნისს საბჭოთა კავშირმა საჩუქრის სახით გადასცა გვინეას სამედიცინო მოწყობილობა, აპარატურა და სხვა საჭირო ინვენტარი ახლად აშენებულ 500 ადგილიან ჰოსპიტალ „დონკა"-სათვის. საბჭოთა ექიმების დახმარებითვე აითვისეს რთული სამედიცინო აპარატურა ადგილობრივმა სპეციალისტებმა.

1961 წ. ივლისს გვინეას მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო ფრანგული კომპანია „ბერკი"-ს ნაწილობრივი შესყიდვის თაობაზე. როდესაც ამის საპასუხოდ კომპანიამ საბოტაჟს მიმართა, გვინეას მთავრობამ სეკვესტრი დაადო კომპანიის მთელ საკუთრებას. „ბერკი"-ს ხელში იყო მოელი სატვირთო სამუშაოები კონაკრის პორტში, რაც მას ყოველთვიურ 80 მლნ ფრანკ მოგებას აძლევდა. 1961 წლის ოქტომბერს გვინეას მთავრობამ ოფიციალურად ამცნო ფრანგულ კომპანია „ბოქსიტ დუ მიდი"-ს, რომლის ხელშიც იყო ბოქსიტების დამუშავება, რომ მას უნდა შეეწყვიტა ყოველგვარი მოღვაწეობა, ვინაიდან კომპანიამ ვერ უზრუნველყო თიხის ქარხნის მშენებლობა მადნეულის რაიონში. 1961 წელსვე ნაციონალიზებულ იქნა ყველა უცხოური სატრანზიტო კომპანია. სატრანზიტო ოპერაციები მთლიანად გადავიდა ეროვნული კომპანიის ხელში. ყოველივე აღნიშნული ღონისძიება აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ გვინეას მთავრობამ მტკიცე ეროვნული პოზიცია დაიკავა უცხოურ მონოპოლიათა მიმართ.

1963 წლის მარტს გვინეას მთავრობამ მიიღო დადგენილება ყველა სახის საკვებ პროდუქტებზე 10 პროცენტით ფასების დაკლების შესახებ. დადგენილება კერძო სექტორსაც ეხებოდა. ფასების დაკლება კერძო მოვაჭრეთა მოგების შემცირებას ნიშნავდა და მათ ფართო საბოტაჟის კამპანია წამოიწყეს; ბაზრებიდან გაქრა პირველი მოთხოვნილების ბევრი პროდუქტი, ვაჭრებმა დახურეს მაღაზიები და სხვ. მთავრობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა კერძო სავაჭრო სექტორს, მიიღეს ახალი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ყველა არასაპატიო მიზნით დაკეტილ სავაჭრო დაწესებულებათა კონფისკაციას, ხოლო მათ მფლობელთა — დაჯარიმებას. შემოიღეს კერძო ვაჭრობაზე ლიცენზიათა გაცემის ახალი წესი. ლიცენზიები გაიცემოდა მხოლოდ ადგილობრი-

ვი ხელისუფლების რეკომენდაციის შედეგად. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებული იყო ვაჭრობის სამინისტროსათვის სისტემატურად წარედგინა დაწვრილებითი ანგარიში თითოეული კომერსანტის მოღვაწეობის შესახებ. ყველა სავაჭრო ხელშეკრულება განხილული და მოწონებული უნდა ყოფილიყო ეროვნული საკონტრაქტო კომისიის მიერ. სავაჭრო ხელშეკრულებათა გაფორმების დროს კომისიის გადაწყვეტილებას კანონის ძალა ენიჭებოდა. ამავე დროს ახალგაზრდა სახელმწიფო ეკონომიკას ჯერ კიდევ არ შესწევდა ძალა და უნარი მთლიანად თავის თავზე აეღო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა სფერო. 1963 წ. ოქტომბერში ხელშეკრულება დაიდო გვინეასა და ამერიკულ კომპანია „ჰარვეი ალუმინიუმ"-ს შორის, ბოკას რაიონში ბოქსიტთა საბადოს ექსპლოატაციის შესახებ. 1964 წლის ივნისში უკვე შეიქმნა შერეული ამერიკა-გვინეას კომპანია „ბოქსიტ დე გინე". ახალი კომპანიის შექმნასთან ერთად შეიქმნა მისი ხელმძღვანელი ორგანო — მმართველი კომიტეტი და ადმინისტრაციული საბჭო. გენერალურ დირექტორად დაინიშნა „ჰარვეი ალუმინიუმი"-ს პრეზიდენტი ჰ. ჰარვეი, გენერალური დირექტორის მოადგილედ გვინეელი კ. კოფანა. ადმინისტრაციულ საბჭოში შედიოდა 5 ამერიკელი და 4 გვინეელი. საბჭოს ხელმძღვანელობდა გვინეას ეკონომიური განვითარების მინისტრი ა. ტურე. კომპანიის მოგების 65 პროცენტი გვინეას საკუთრება უნდა ყოფილიყო. შეთანხმების თანახმად ამერიკელებს კონაკრში უნდა აეშენებინათ ალუმინის ჭურჭლის ქარხანა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება გაფორმებული იყო გვინეას მთავრობისათვის შედარებით ხელსაყრელ პირობებში, დიდი იყო ამერიკული კომპანიის დაინტერესება გვინეას ბოქსიტებით. როგორც თვით ჰარვეიმ განაცხადა, იგი იმედოვნებდა, რომ გვინეას ბოქსიტების წყალობით მისი კომპანია მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გახდებოდა.

ამავე დროს კვლავ წარმატებით ვითარდებოდა ეკონომიური თანამშრომლობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან. 1963 წ. დეკემბერს მწყობრში ჩადგა გვინეას ერთ-ერთი პირველი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმო — საბჭოთა კავშირის მიერ აშენებული საკონსერვო ქარხანა. 1964 წლის იანვარს ხელმოწერილ იქნა ახალი შეთანხმებანი საქონელბრუნვის შესახებ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან.

1964 წელს გვინეაში დაიწყო 7-წლიანი გეგმის განხორციელება (1964-1970), რომლის მთავარ ამოცანად დასახულ იქნა ქვეყნის ეკონო-

მიური დამოუკიდებლობის მოპოვება და ყველა წინაპირობის შექმნა არაკაპიტალიტური განვითარებისათვის. გეგმის დირექტივებში, როგორც აუცილებელი პირობა, აღნიშნული იყო „კაპიტალიზმის განვითარების აღკვეთა, ვინაიდან კაპიტალიზმი გამოიწვევს ანტაგონისტურ კლასთა წარმოშობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ფართო მასების ექსპლოატაციას ეროვნული ბურჟუაზიის მიერ". გეგმა ითვალისწინებდა ეროვნული შემოსავლის შემდგომ ზრდას, როგორც უცხოური „დახმარების" შემცირების აუცილებელ პირობას. ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაში მომხდარმა ცვლილებებმა მთავრობას საშუალება მისცა უკვე კონკრეტული ამოცანები დაესახა ინდუსტრიალიზაციის გზაზე. თუ სამწლიანი გეგმა ინდუსტრიალიზაციისათვის პირობების მომზადებას ითვალისწინებდა, 7-წლიანი გეგმით დაიწყო ინდუსტრიალიზაციის პერიოდი. გეგმა რეალისტურად ითვალისწინებდა მრეწველობის განვითარების სიძნელეებსაც. ქვეყნის შიდა დაგროვებისა და ეროვნული ბაზრის პრობლემა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფო სექტორის გაფართოებასთან. ამავე დროს სახელმწიფო სექტორი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სუსტი იყო. მოსახლეობის შედარებითი სიმცირე და დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა სამრეწველო პროდუქციის შიდა ბაზრის ზრდის საშუალებას არ იძლეოდა. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, 7-წლიანი გეგმით უპირატესობა ენიჭებოდა მსუბუქ, კერძოდ კი კვების მრეწველობას, მინერალური ნედლეულის მოპოვებასა და გადამუშავებას. მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდა დაკავშირებული იყო შიდა ბაზრის გაფართოებასა და დაგროვებათა ტემპების მატებასთან.

გეგმა მოიცავდა კოოპერატიული მოძრაობის შემდგომი გაფართოების პროგრამას. 1967 წლის ოქტომბერში დემოკრატიული ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა განიხილა საკითხი არსებულ კოოპერატივთა ძირეული რეორგანიზაციის შესახებ სოციალისტურ საწყისებზე. 7-წლიანი გეგმის პერიოდში მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპარეზს წარმოადგენდა ეროვნული კადრების მომზადება. განათლების სისტემაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლის მთავარი დანიშნულება პრაქტიკასთან კავშირის გამტკიცება იყო. ყველა საერთო-საგანმანათლებლო სკოლა, კოლეჯი და ლიცეუმი ფაქტიურად გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ან სამრეწველო განხრის ტექნიკურ სასწავლებლად.

შვიდწლიანი გეგმის პერიოდში კიდევ უფრო შემცირდა კერძომე-

ურნეობრივი სფერო, რაც პირდაპირი შედეგი იყო უცხოური საკუთრებისა და ნაწილობრივ ეროვნულ კერძო კაპიტალის ნაციონალიზაციისა. მთლიანად იქნა ნაციონალიზებული საფინანსო დაწესებულებანი. წარმატებით ფუნქციონირებდნენ ეროვნული საფინანსო ინსტიტუტები. უცხოური კაპიტალი მთლიანად იქნა გაძევებული საგარეო და ნაწილობრივ საშინაო ვაჭრობის სფეროებიდან. ნაციონალიზებულ იქნა კომუნალური მეურნეობა (ელექტროენერგიითა და წყლით მომარაგება), ალმასისა და ოქროს მოპოვება, ტრანსპორტი, ნაწილობრივ კი ბოქსიტების დამუშავება (კუნძულ კასაზე). ნაციონალიზებული ობიექტები იქცნენ ახალი წყობის მატერიალურ საფუძვლად, წყობის, რომლის ბაზასაც უკვე სახელმწიფო საკუთრება წარმოადგენდა. ყველა ნაციონალიზებულმა დარგმა და ცალკეულმა საწარმომ თავი მოიყარა გვინეას სახელმწიფოს ხელში. გარდა ნაციონალიზაციისა, ახალი წყობის სფერო საგრძნობლად გაფართოვდა სახელმწიფო მშენებლობისა და სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო საწარმოთა ორგანიზაციის შედეგად. გვინეას წყობის სოციალ-ეკონომიური არსი პრინციპულად განსხვავდება სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან, ვინაიდან გვინეას სახელმწიფო თავისი არსით წარმოადგენს რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას, საზოგადოება სუსტად არის კლასობრივად დიფერენცირებული, ცალკეულ კლასად არ არის ფორმირებული ეროვნული ბურჟუაზია და, რაც მთავარია, სახელმწიფოს პოლიტიკა წარმართულია არაკაპიტალისტური განვითარებისაკენ. თუ თავისუფლების მოპოვებამდე სახელმწიფო კაპიტალიზმი, თავისი არსით, მეტროპოლიის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა განთავისუფლების შემდეგ და განსაკუთრებით კი განვითარების 7-წლიანი გეგმის პერიოდში.

ეკონომიკის სფეროში მთავრობის პოლიტიკის რევოლუციურ ხასიათზე მიუთითებს ის მძაფრი წინააღმდეგობა, რომელსაც იგი აწყდებოდა როგორც შიდა, ასევე გარე რეაქციის მხრიდან. 7-წლიანი გეგმის გამოქვეყნების შემდეგ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ანალიზს უკეთებდა გვინეას მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას და ეჭვს გამოთქვამდა აშშ-ის ეკონომიური „დახმარების“ გაგრძელებაზე, ვინაიდან „გვინეას მომავალი გაურკვეველიაო“. 1964 წ. თებერვალს გვინეას მთავრობამ გააუქმა 1963 წ. მიღებული დადგენილება, რომლის ძალითაც ლიკვიდირებულ იქნენ საგარეო ვაჭრობის მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანიზაციები. 1963 წ. დადგენილება თავის დროზე წარმოადგენდა სერიო-

ზულ დათმობას ვაჭრობის კერძო სექტორის მიმართ. ფართო ხასიათი მიიღო საშინაო რეაქციასთან ბრძოლამ; პარტიიდან გაირიცხნენ მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები და მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით ხელს უშლიდნენ მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

1964 წ. აპრილს გვინეაში დაიწყო წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის ეროვნული კომპანია, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დაისახა ეკონომიური, სოციალური და კულტურული პროგრესის აუცილებელ პირობად. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების პერიოდში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები, მაინც არადამაკმაყოფილებელი იყო მდგომარეობა; ყოველი ათი გვინეელიდან 8 წერა-კითხვის უცოდინარი იყო, საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც შედგენილი იყო სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მოკლე დროში უნდა უზრუნველეყო წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია.

1964 წ. ივნისს ქ. გეკედუში გვინეას დემოკრატიული პარტიის უმაღლესმა ორგანომ, რევოლუციის ეროვნულმა საბჭომ, თავის ყოველწლიურ სესიაზე განიხილა და დაამტკიცა განვითარების 7-წლიანი გეგმა. თავის მოხსენებაში პარტიის გენერალურმა მდივანმა ს. ტურემ აღნიშნა, რომ გეგმის განხორციელების დასაწყის პერიოდში გვინეა იმყოფებოდა ორი ეტაპის ზღურბლზე. პოლიტიკური განვითარების შემდგომ ეტაპს ს. ტურემ უწოდა „სახელმწიფოს, მისი სტრუქტურის, დაწესებულებების, პრინციპებისა და მეთოდთა ფორმირების ეტაპი“, ეროვნული დამოუკიდებლობის მატერიალურ და ფსიქოლოგიურ საფუძველთა გამტკიცების პერიოდი“, ახალი ეტაპის დამახასიათებელ ნიშნად მან აღნიშნა „გვინეას ეკონომიკის დინამიკური განვითარება და მისი სრული დამოუკიდებლობის მიღწევა.“ ახალი ეტაპი ითვალისწინებდა აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკური და ეროვნული მთლიანობის განმტკიცებას. პოლიტიკურად და ეთნიკურად კოლონიური გვინეა უკიდურესად მრავალფეროვან ტერიტორიას წარმოადგენდა. ქვეყანაში მძვინვარებდა ტომთაშორისი შუღლი. ოცი ეთნიკური ჯგუფიდან ყველას თავისი ენა, კულტურა და სხვა თავისებურებანი გააჩნდა. ეთნიკურ შუღლს ზედ ერთვოდა რელიგიური წინააღმდეგობაც; მოსახლეობის 80 პროცენტი მუსულმანია. წარმოდგენილია აგრეთვე კათოლიკური რელიგია, პროტესტანტური და ანამიზმი. 2,8 მლნ საერთო მოსახლეობის პირობებში ეთნიკურ და რელიგიურ საფუძველზე არსე-

ბობდა რამოდენიმე ათეული მხოლოდ ახალგაზრდული ორგანიზაცია.

თავისუფლების მოპოვების შემდეგ ამ მხრივაც შეიცვალა მდგომარეობა; პრაქტიკულად დაძლეულ იქნა ეთნიკური წინააღმდეგობანი, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ერის ფორმირება, ბოლო ეღებოდა ცალკეულ რაიონთა იზოლაციას, იქმნებოდა ეკონომიური მთლიანობა, ვითარდებოდა ერთიანი კულტურა და სხვ.

ეროვნულ ერთობასთან ერთად ძლიერდებოდა პოლიტიკური ერთობაც, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს გვინეას დემოკრატიული პარტია, პარტიის სპეციფიკური თვისებებიდან უნდა აღინიშნოს მისი რაოდენობრივი და ასაკობრივი შემადგენლობა: 1964 წლისათვის პარტია ითვლიდა 1 939 727 წევრს. წესდების თანახმად პარტიის წევრი შეიძლება ყოფილიყო 7 წლის ასაკს მიღწეული პირი. პარტია გამოცხადებული იყო უკლასო ორგანიზაციად.

1964 წლის ნოემბერს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ქვეყნის ეკონომიკის განსამტკიცებლად და პარტიული ხელმძღვანელობის როლის ასამაღლებლად. ეხებოდა რა ღონისძიებებს ეკონომიკის სფეროში, ს. ტურემ განაცხადა: „გვინეას დემოკრატიული პარტია რამდენიმე ადამიანის კრახს ამჯობინებს ეიდრე რევოლუციისას. უკვე 6 წელია დაბეჯითებითი პატრიოტული მოწოდებით მივმართავთ კომერსანტებს, რათა დავიცვათ ეროვნული ეკონომიკა და ხელი შევუწყოთ მასების კეთილდღეობას. ჩვენი მოწოდება უყურადღებოდ დასტოვეს. საჭირო და აუცილებელია რადიკალური ცვლილებები ერის სასარგებლოდ.“ საგარეო ვაჭრობა გამოცხადდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მონოპოლიად. კონტრაბანდული ვაჭრობა 20 წლის საკატორღო სამუშაოთი ისჯებოდა, ვალუტით სპეკულაცია — სიკვდილით. მოკლე ხანში მკვეთრად შემცირდა კერძო მოვაჭრეთა რიცხვი, აიკრძალა ალმასის მოპოვება კერძო პირთა მიერ, სახელმწიფო სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს აეკრძალათ კერძო მოღვაწეობა, შეიქმნა კომისიები ცალკეულ პირთა გამდიდრების წყაროს გამოსარკვევად.

შეიცვალა პარტიაში მიღების წესი — პარტიის წევრი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ 18 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე, რომელიც მონაწილეობდა ქვეყნის პროგრესულ ცხოვრებაში. პარტიის ხელმძღვანელთანამდებობაზე აღარ შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყვნენ კერძო მოვაჭრენი. მკვეთრად შემცირდა პირველად პარტიულ უჯრედთა რაოდენობა. პარტიულ ბილეთთა გაცემა იწარმოებდა მხოლოდ იმ პირებზე,

რომლებიც დაამტკიცებდნენ პარტიისადმი თავიანთ ერთგულებას. რეფორმა იყო სახელმწიფოს პასუხი კონტრრევოლუციურ, ანტიეროვნულ მოქმედებებზე. რეფორმის მთავარ მიზნად დაისახა „გაბურჟუაზიების, როგორც ექსპლოატატორული კაპიტალიზმის პირველადი ფორმისა და იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ბუნებრივი მოკავშირის ლიკვიდაცია". როგორც ს. ტურე აღნიშნავდა, 1964 წლის რეფორმები თავიანთი მნიშვნელობით არ ჩამორჩებოდნენ 1958 წლის 28 სექტემბრის რეფერენდუმს — „მაშინ პარტიამ უთხრა „არა" კოლონიურ რეჟიმს, ახლა პარტია „არას" ეუბნება კორუფციას, სპეკულაციას, ხალხის ხარჯზე გამდიდრებას".

რადიკალურ ღონისძიებებს მაშინვე მოჰყვა შედეგი; უკვე ნოემბრის ბოლოს ნორმალიზებულ იქნა ვაჭრობა, ლიკვიდირებული იყო სპეკულაციური ფასები ბრინჯზე, შაქარზე, ფართლეულზე. რეფორმათა ახსნისა და პოპულარიზაციის მიზნით, მთელს გვინეაში მოგზაურობდნენ პარტიული დელეგატები, რომლებიც ფართო მასებს უხსნიდნენ მთავრობის ღონისძიებათა მთელ არსს.

ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების ყოველი ღონისძიება გვინეაში ორგანულად იყო დაკავშირებული ანტიკაპიტალისტურ პოლიტიკასთან, ვინაიდან, როგორც სამართლიანად იყო აღნიშნული 1964 წ. დეკემბერს ინგლისურ ჟურნალ „ნიუ აფრიკაში" — „აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა ბრძოლა ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, დამოუკიდებლივ ამ სახელმწიფოთა ლიდერების სურვილებისა, ატარებს აშკარა ანტიდასავლეთურ ხასიათს, ვინაიდან იგი უპირველეს ყოვლისა წარმართულია პოლიტიკურ და ეკონომიურ პოზიციათა ნაციონალიზაციისაკენ, რისი დათმობაც არავითარ შემთხვევაში არ სურს დასავლეთს".

დასავლეთის ეკონომიური მოძალების წინააღმდეგ ბრძოლაში გვინეელ ხალხს მუდამ უწევდა საჭირო დახმარებას საბჭოთა კავშირი და მთელი სოციალისტური სისტემა; 1964 წ. დეკემბერს მწყობრში ჩადგა საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენებული ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც ტყიანი გვინეას რაიონში პირველი დიდი სამრეწველო საწარმო იყო.

გვინეას რესპუბლიკის საშინაო ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა დემოკრატიული პარტიის მერვე ყრილობა, რომელიც 1967 წლის სექტემბერს შედგა. საანგარიშო მოხსენებაში ს. ტურემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სწორედ პოლიტიკური ორგანიზა-

ცია და მასების პოლიტიკურ-იდეოლოგიური აღზრდა წარმოადგენს კლასობრივ მტერთან ბრძოლის მთავარ იარაღს. ყრილობაზე აღინიშნა, რომ გვინეაში უკვე შეუძლებელი შეიქნა ტაქტიკური მოსაზრებებითაც კი ანტაგონისტურ კლასებთან თანამშრომლობა, ვინაიდან კლასობრივი მტერი სულ უფრო და უფრო დაუნდობელი ხდებოდა. შეეხო რა გვინეას საზოგადოების ძირითად მამოძრავებელ ძალებს, ს. ტურემ განაცხადა: „მშრომელთა ინტერესები მოითხოვენ, რომ მუშათა კლასი, გლეხობა და სხვა პროგრესული ელემენტები წარმართავდნენ და აკონტროლებდნენ ეროვნული ცხოვრების ყველა სასიცოცხლო მნიშვნელოვან სექტორს". ყრილობაზე პირველად იქნა დასმული და მთელი სიმწვავით განხილული კლასთა ბრძოლის პრობლემა. ყრილობამ განიხილა უცხო ქვეყნების დახმარების საკითხი და დაგმო ნეოკოლონიური პრაქტიკა, როდესაც დასავლეთის სახელმწიფოები ეკონომიურ „დახმარებას" იყენებენ თავიანთ პოზიციათა განსამტკიცებლად. განსაკუთრებით აღინიშნა მუშათა კლასის რევოლუციური როლი. ყრილობამ გაზარდა მოთხოვნილებანი პარტიული ხელმძღვანელობის მიმართ.

გვინეას მთავრობის პოლიტიკისადმი მასების მხარდაჭერის ილუსტრაციას წარმოადგენდა 1968 წ. იანვარში პრეზიდენტის არჩევნები, როდესაც ხმათა დიდი რაოდენობით ს. ტურე კვლავ აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად.

1968 წ. გაზაფხულზე გვინეაში დაიწყო კულტურული რევოლუცია, რომლის მთავარ მიზანსაც მასებში ეროვნულ ენებზე (სუსუზე, მალინკეზე) წერა-კითხვის გავრცელება წარმოადგენდა. გათვალისწინებული იყო, რომ 1971 წ. სექტემბრის ბოლოსათვის 50 წ-მდე ასაკის ყველა გვინეელს ეცოდინებოდა წერა-კითხვა. 1968 წ. ნოემბერს მიღებულ იქნა რამდენიმე კანონი, რომლებიც კვალიფიცირებულ იქნენ როგორც 1964 წ. ნოემბრის რეფორმათა დამატებითი ღონისძიებანი. ახალი კანონები ითვალისწინებდნენ ყოველ პარტიულ ფედერაციაში წელიწადში ერთხელ ე. წ. თავისუფალი მსჯელობის კონფერენციის ჩატარებას, რომელსაც პარტიის რიგითი წევრებისათვის სტიმული უნდა მიეცა სახელმწიფო და პარტიულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკისათვის. გვინეას ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც დაკავებული არ იყო წარმოებაში, ეკრძალებოდა უცხოეთში კაპიტალის გატანა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კომერციულ ფუნქციათა განხორციელება აეკრძალათ უცხოელებს და სხვ.

გვინეას მთავრობის ანტიიმპერიალისტური, ანტიკაპიტალისტური სა-

შინაო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის საგარეო პოლიტიკასთან. თავისი დამოუკიდებელი არსებობის პირველივე დღეებიდან გვინეა მტკიცედ იცავს თავისი საგარეო პოლიტიკის ანტიიმპერიალისტურ კურსს. აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის პირველი სერიოზული გამოცდა იყო კონგოს პრობლემა. გვინეას მთავრობა აფრიკის სხვა პროგრესულ რეჟიმებთან ერთად მტკიცედ გამოვიდა კონგოს ხალხთა ეროვნული ინტერესების დასაცავად და სისტემატურად ამხელდა იმპერიალისტთა პოლიტიკას კონგოში. 1961 წ. იანვარს, ერთ-ერთ ინტერვიუში, კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის შესახებ კითხვაზე ს. ტურემ უპასუხა, რომ კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეასრულა ახალ იმპერიალისტურ მაქინაციათა და ახალ კოლონიურ დაპყრობათა ინსტრუმენტის როლი. 1961 წ. თებერვალში ლუმუმბას სიკვდილის შემდეგ, რომელშიც გარკვეული წვლილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობასაც მიუძღოდა, გვინეას მთავრობამ ქვეყნიდან გააძევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წარმომადგენელი.

განსაკუთრებით მტკიცე პოზიცია დაიკავა გვინეას მთავრობამ საფრანგეთის იმპერიალიზმის მიმართ. რეფერენდუმის შედეგებმა საფრანგეთის მთავრობის აშკარა უკმაყოფილება და გაბოროტება გამოიწვია. საფრანგეთის იმპერიალისტური წრეები ყველა საშუალებით ცდილობდნენ გვინეას პროგრესული რეჟიმის დამხობას და ქვეყნის ჩაბმას საფრანგეთის გავლენის სფეროში. 1960, 1961 წწ. გვინეაში რამდენიმე შეთქმულება აღმოაჩინეს, რომელთა ორგანიზატორიც ფრანგული იმპერიალიზმი იყო. რეფერენდუმის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ დააწესა გვინეას რესპუბლიკის სრული ბლოკადა. ბლოკადამ სერიოზული ეკონომიური ზიანი მიაყენა ახალგაზრდა რესპუბლიკას, მაგრამ ამავე დროს მორალური თვალსაზრისით მან დადებითი როლი შეასრულა ქვეყნის მოსახლეობის ენერგიის მობილიზაციის საქმეში.

საერთაშორისო იმპერიალიზმს გვინეას მთავრობა განიხილავს როგორც აფრიკის ყველაზე სერიოზულ და საშიშ მტერს, ხოლო აფრიკის კონტინენტზე უცხო ქვეყნების სამხედრო შენაერთთა და ბაზების არსებობას — როგორც სერიოზულ საფრთხეს ახალგაზრდა სახელმწიფოთა სუვერენიტეტისათვის. გვინეას მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ სოციალისტურ ბანაკთა თანამშრომლობა თავისუფალი აფრიკის დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების საიმედო გარანტიაა. სწორედ უკანასკნელ გარემოებას გულისხმობდა ქვეყნის პრეზიდენტი ს. ტურე, რო-

დესაც 1961 წ. 13 თებერვალს ამხ ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად გამართულ შეხვედრაზე ამბობდა: „თქვენი მთავრობის მზადყოფნა—დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს ახალგაზრდა სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ჩვენთვის იმის გარანტიაა, რომ იმპერიალიზმს ნაკლები შანსი ექნება ხვალ ძალითა და ეშმაკობით კვლავ ხელთ იგდოს ის, რაზედაც გუშინ იძულებული იყო უარი ეთქვა ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგადო“. გვინეას მთავრობის სიფრთხილეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1961 წ. მარტს, მან წინადადებით მიმართა აშშ-ის საელჩოს დაეხსნა ამერიკული ბიბლიოთეკა და კულტურული ცენტრი, ვინაიდან ერთიცა და მეორეც დასავლეთის პროპაგანდის რუპორს წარმოადგენდა.

1961 წ. მაისს გვინეას სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური ს. ტურე დაჯილდოებულ იქნა ლენინური პრემიით „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“. ეს იყო ს. ტურეს და გვინეას მთავრობის ანტიიმპერიალისტური, მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის საერთაშორისო აღიარება. ანტიიმპერიალისტური პოზიცია დაიკავა გვინეას მთავრობამ აგრეთვე ალჟირის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხშიც. მაშინ როდესაც საფრანგეთის ყოფილ კოლონიათა უმრავლესობა ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა საფრანგეთის კოლონიალიზმის კრიტიკისათვის, გვინეას მთავრობა სისტემატურად ამხელდა საფრანგეთის იმპერიალიზმს და მებრძოლ სოლიდარობას უცხადებდა ალჟირის ხალხს. 1961 წ. 22 მაისს გვინეას დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „ჰოროია“ წერდა, რომ გვინეას მთავრობა უსიტყვოდ უპირველს მხარს ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობას და ხალხს: „დე გოლის მთავრობამ უნდა შეიგნოს, — წერდა გაზეთი, — რომ მებრძოლი ალჟირი მარტო არ არის, რომ მილიონობით ადამიანი მთელს მსოფლიოში მხარს უჭერს ალჟირის ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის“.

1961 წ. ივნისში სამხრეთ აფრიკის კავშირის რესპუბლიკად გამოცხადებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ გვინეას მთავრობის კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ ერთ მუჭა რასისტებს, რომლებიც წინ აღუდგნენ ისტორიას, სურთ ეს აფრიკული ქვეყანა აქციონ რესპუბლიკად მის მკვიდრთა უფლებების იგნორირებით“. გვინეას მთავრობამ მოწოდებით მიმართა აზიისა და აფრიკის ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, გაერთიანებული ძალებით გამოსულიყვნენ აპართეიდის წინააღმდეგ. მოწოდებაში აღნიშნული იყო აგრეთვე საერთო ღონისძიე-

ბათა გამომუშავების აუცილებლობა ანგოლაში პორტუგალიელ კოლონიზატორთა მხეცობის წინააღმდეგ. საჭირო იყო რადიკალურ ღონისძიებათა გატარება ქვეყნის შიდა რეაქციის წინააღმდეგ, რომლის ერთ-ერთ დასაყრდენ ბურჯს სამღვდელოება წარმოადგენდა. გვინეაში განსაკუთრებით ძლიერია კათოლიკური ეკლესია, რომელიც 1961 წლამდე სახელმწიფოს კონტროლს გარეშე განაგებდა მისიონერთა სასწავლებლებს. 1961 წ. აგვისტოს მთავრობის სპეციალური კრედიტით ყველა სასულიერო სასწავლებელი სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებარდა. როდესაც მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ საჯაროდ გამოვიდა კათოლიკე ეპისკოპოსი ჟერარ დე მილვილი, იგი გააძევეს გვინეადან.

კონგოს კრიზისი, რომელმაც რამდენიმე წელს გასტანა, მუდამ იმყოფებოდა გვინეას მთავრობის ყურადღების ცენტრში: 1964 წ. ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვინეას დელეგაციამ მოითხოვა უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომის მოწვევა კონგოში იმპერიალიზმის აგრესიის გასასახილველად. პარალელურად ს. ტურემ წინადადებით მიმართა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მოეწვია ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. საყურადღებოა, რომ ს. ტურე კონგოს პრობლემას უკავშირებდა მთელი აფრიკის პრობლემას. 1965 წ. იანვარს გვინეას დემოკრატიული პარტიის ეროვნულმა პოლიტბიურომ სპეციალური რეზოლუცია მიიღო, რომელშიც აღნიშნული იყო აფრიკის ორგანიზაციის სრული მხარდაჭერა კონგოდან თეთრკანიან დაქირავებულთა გამოყვანის საკითხში. რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ნატოს პარიზის სესიაზე კონგოს საკითხის განხილვა იმპერიალიზმის ცდაა „დახმარების“ სახით ახალი პოლიტიკური და სამხედრო აქცია ჩაატაროს თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად.

ამავე პერიოდში კიდევ უფრო მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა გვინეას კონტაქტები სოციალისტურ ბანაკთან; ორმხრივი შეთანხმებები დაიდო პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან. 1965 წ. მაისს ქ. მალუში მწყობრში ჩადგა საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენებული მსხვილი სამრეწველო კომპლექსი — კონსერვის ქარხანა და ხორცკომბინატი, დიტინში გაიხსნა აგრეთვე პირველი სახელმწიფო ექსპერიმენტული მეცხოველეობის ფერმა. 1965 წ. ივლისში ს. ტურე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა უნგრეთსა და საბჭოთა კავშირში. „მე მშვენიერი შთაბეჭდილება შემექმნა საბჭოთა ხალხის

თავდადებული და აქტიური მონაწილეობის, არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მომავლის მშენებლობის საქმეში“, — მოსკოვში ყოფნის დროს განაცხადა ს. ტურემ.

გვინეას მთავრობის ანტიიმპერიალისტური პოლიტიკა საერთაშორისო იმპერიალიზმის სულ უფრო და უფრო ძლიერ გაბოროტებას იწვევდა. საფრანგეთის იმპერიალიზმი ახალ გზებსა და საშუალებებს ეძებდა ს. ტურეს მთავრობის დასამხობად. 1965 წ. ნოემბრისათვის საფრანგეთის ანტიგვინეურმა ინტრიგებმა ისეთ ზომას მიაღწიეს, რომ გვინეას მთავრობა იძულებული შეიქნა დიპლომატიური ურთიერთობა გაეწყვიტა საფრანგეთთან. ამავე პერიოდში მან საჯაროდ დაგმო აშშ-ის პოლიტიკა აფრიკასა და აზიაში და ვაშინგტონს მოუწოდა სასწრაფოდ გაეყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან ჯარები. თვით აფრიკაში გვინეას მთავრობა სისტემატურად გამოდის პროფრანგული აფრო-მალგაშეთის ორგანიზაციის წინააღმდეგ. 1965 წ. ორგანიზაციის ზოგიერთმა წევრმა-სახელმწიფომ გადაწყვიტა სამხედრო დახმარება აღმოეჩინა მ. ჩომბესათვის, გვინეას მთავრობამ მაშინვე ამხილა იმპერიალიზმის მარიონეტები. 1965 წ. დეკემბერს გვინეამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ინგლისთან: „მთავრობა, რომელიც არ გაწყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას ინგლისთან, ზიმბაბვეს ხალხთა ჯალათების მფარველთან, არავითარ შემთხვევაში არ არის თავისი ხალხის წარმომადგენელი“, — აღნიშნული იყო გვინეას მთავრობის განცხადებაში. იქვე ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ როდეზიის პრობლემამ ერთგვარი ზღვარი გაავლო ნამდვილად დამოუკიდებელ აფრიკასა და იმპერიალიზმის ინტერესების მორჩილ აფრიკას შორის, რომ ნეოკოლონიური ხასიათის დაჯგუფებებს —ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობასა და საფრანგეთის თანამშრომლობას, არ ძალუძთ დააჩქარონ აფრიკის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური განვითარების პროგრესი.

1966 წ. აფრიკის რიგ ახალგაზრდა სახელმწიფოში მოხდა სამხედრო გადატრიალებები. გადატრიალებათა ორგანიზატორებად გვინეას მთავრობა სამართლიანად მიიჩნევდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც გადატრიალების მსხვერპლნი ხდებოდნენ პროგრესული რეჟიმები. განაში რეაქციული სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ს. ტურემ ერთ-ერთ თავის საჯარო გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ მანიშნებელ ფაქტს, რომ გადატრიალების მეორე დღესვე იმპერიალისტთა ხელში გადავიდა განის სახელმწიფოს ეროვნული საწარმოები და გაუქმდა ეროვნული საფინანსო სისტემა.

აღსანიშნავია, რომ გვინეას მთავრობამ არა მხოლოდ პოლიტიკური თავშესაფარი მიაცა კ. ნკრუმას, არამედ ეს უკანასკნელი გამოცხადდა გვინეას პრეზიდენტად ს. ტურესთან ერთად. გვინეას მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია აშშ-ის აშკარა მუქარას: სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთ განცხადებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ „როლი, რომელსაც კ. ნკრუმა გვინეაში ასრულებს, გამოიწვევს დიპლომატიურ გართულებებს აშშ-ისა და გვინეას შორისო". იმპერიალისტთა მუქარის საპასუხოდ გვინეას მთავრობამ კონკრეტული ღონისძიებანი გაატარა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად: 1966 წ. აგვისტოს შეიქმნა სახალხო მილიცია. „იმპერიალიზმმა განახორციელა ახალი შემოტევა, რაზეც მეტყველებენ სამხედრო გადატრიალებები. მხოლოდ ხალხს შეუძლია წინ აღუდგეს სერიოზულ შემოტევას", —აღნიშნული იყო მთავრობის მოწოდებაში. 1966 წლის ოქტომბერს გვინეადან გააძევეს აშშ-ის „მშვიდობის კორპუსის" 64 წევრი. 1969 წ. გვინეაში აღმოჩნდა რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება, რომელთა მიზანი იყო ს. ტურეს მოკვლა და პროგრესული რეჟიმის დამხობა. გვინეას შიდა რეაქციამ აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა უცხოეთშიც: ჯერ კიდევ 1966 წ. პარიზში შეიქმნა ე. წ. გვინეას ეროვნული განთავისუფლების ჯგუფი, ლონდონში დაარსდა გვინეას ეროვნული განთავისუფლების ფრონტი, კონტრრევოლუციური ორგანიზაციები მოქმედებდნენ სენეგალსა და სპილოს ძვლის ნაპირებზე. მათ აფინანსებდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები. 1969 წ. ივლისს გვინეას მთავრობამ ბრალი დასდო რადიოსადგურ „ამერიკის ხმას" იმაში, რომ უკანასკნელი მუდამ ხალისით უთმობდა თავის მიკროფონს გვინეას ანტისახელმწიფოებრივ, კონტრრევოლუციურ ორგანიზაციათა ლიდერებს. როდესაც 1970 წ. აგვისტოს გვინეას მთავრობამ, მიუხედავად გფრ-ის შანტაჟისა და შენიღბული მუქარისა, დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ქვეყნის ძირგამომთხრელი მუშაობა დაიწყეს გვინეაში მომუშავე დასავლეთ გერმანიის სპეციალისტებმაც.

1970 წ. 22 ნოემბერს ქვეყნის რეაქციამ საერთაშორისო იმპერიალიზმთან კავშირში სამხედრო აგრესია განახორციელა გვინეას რესპუბლიკის მიმართ; ადრე დილით გვინეას პორტში 6 ხომალდიდან გადმოსხდა დესანტი. დესანტს ხელმძღვანელობდნენ პორტუგალიელი ოფიცრები. სახალხო მილიციამ, ქვეყნის უშიშროების ძალებთან ერთად ორი დღის გაჟფთრებული ბრძოლის შემდეგ შეთხელებული დესანტი ზღვაში

ვადაყარა. პორტუგალიის მთავრობა ყოველმხრივ უარყოფდა თავის როლს აგრესიაში: „გვინეას რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის ფანტაზიას არ გააჩნია საზღვარი," — განაცხადა კაეტანუმ, მაგრამ უკვე დეკემბერში გვინეაში იმყოფებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური ჯგუფი, რომელმაც ადგილზე შეისწავლა აგრესიის საკითხი და თავისი დასკვნა წარუდგინა უშიშროების საბჭოს. „შეჭრა განხორციელებული იყო პორტუგალიის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო-საზღვაო და სახმელეთო ნაწილების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ გვინეელ ემიგრანტებთან ერთად", — აღნიშნული იყო ჯგუფის დასკვნაში. შემდგომი ძიებით დადასტურდა, რომ გარდა პორტუგალიისა აგრესიის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დასავლეთ გერმანიაც. 1970 წ. დეკემბერს გვინეადან გააძევეს 100 დასავლეთ გერმანელი სპეციალისტი. როგორც გაირკვა, გერმანელ სპეციალისტ-ჯაშუშებს გვინეაში ხელმძღვანელობდა ყოფილი სს-ელი ოფიცერი. დადგინდა ურთიერთკავშირი აგრესიის ჩაშლასა და ლისაბონში გფრ-ის ელჩისა და მისი მეუღლის თვითმკვლელობას შორისაც. თვითმკვლელობა მოხდა 30 ნოემბერს. ს. ტურემ გფრ-ის მთავრობას მოსთხოვა კონაკრიდან გაეწვია თავისი ელჩი ი. ლანკესი. 1971 წ. 29 იანვარს გვინეამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა გფრ-თან. ჰამბურგის გაზეთმა „დი ველტ"-მა კვლავ შანტაჟით უპასუხა გვინეას მთავრობის სამართლიან ღონისძიებებს: „კ. ნკრუმას ხვედრი განაში გაკვეთილი უნდა იყოს ს. ტურესათვის გვინეაში", — არაორაზროვნად წერდა გაზეთი. აგრესიის ერთ-ერთმა მონაწილემ ფრანგმა რ. მარსელმა თავის ჩვენებაში აღიარა, რომ 1962 წ-დან გვინეაში იგი ასრულებდა საფრანგეთის სადაზვერვო დავალებებს, 1967 წ-დან — გფრ-ის, ხოლო 1969 წ-დან — აშშ-ის. როგორც ვხედავთ, გვინეაში წარმოდგენილი იყო არა ერთი და ორი იმპერიალისტური სახელმწიფოს დაზვერვა. აგრესიის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა კავშირი სოციალისტურ სახელმწიფოებთან და კერძოდ საბჭოთა კავშირთან. პარალელურად გამწვავდა ურთიერთობა დასავლეთთან. გვინეას სახელმწიფო მოღვაწენი პირდაპირ აღიარებდნენ, რომ აგრესიამ მათ ნამდვილი მეგობრები და მტრები გააცნო. მხოლოდ აფრიკის რამოდენიმე სახელმწიფო და სოციალისტური ბანაკი აღმოჩნდა გვინეას გვერდით გასაჭირის ჟამს, მაშინ როდესაც დასავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფო იყო შეტ-ნაკლებად გარეული აგრესიაში. გვინეას წინააღმდეგ აგრესიაში, ისევე როგორც მთელი აფრიკის წინააღმდეგ ხრიკებში, გამსაკუთრებული სიცხადით დადგინდა პო-

რტუგალიის როლი, რომლის უკანაც იდგა ნატო. 1971 წ. ივნისს ნატოს ლისაბონის სესიასთან დაკავშირებით გვინეას მთავრობამ კიდევ ერთხელ ამხილა ნატოს არაკეთილშობილური მისია აფრიკაში. 1970 წ. შეჭრით არ შეწყვეტილა პორტუგალიის აგრესია გვინეას მიმართ; 1972 წ. თებერვლიდან მაისამდე ჩრდილოეთ გვინეაში ჩამოაგდეს პორტუგალიის 6 თვითმფრინავი.

გვინეას ხალხთა ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო დემოკრატიული პარტიის მეცხრე ყრილობა, რომელიც 1972 წ. აპრილს შედგა. საანგარიშო მოხსენებაში ს. ტურემ აღნიშნა, რომ გვინეა ამჟამად იმყოფება რევოლუციის ახალ ფაზაში, რომელმაც ქვეყანა ეკონომიურად მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ უნდა აქციოს. ყრილობამ დაამტკიცა გვინეას მთავრობის რეორგანიზაცია. დაწესდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ს. ტურემ თავის ფუნქციებში დაიტოვა მხოლოდ იდეოლოგიური საკითხები. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული გვინეას განვითარების სოციალისტური გზა, საგარეო პოლიტიკის კურსად აღიარებულია ანტიიმპერიალიზმი. გვინეას დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრი ლანსანა ბეაფოგი გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. 1972 წ. მაისს გვინეაში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ფიდელ კასტრო. ვიზიტის შედეგად გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ ორივე მთავრობა გმობს აშშ-ის აგრესიულ პოლიტიკას ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მოითხოვს ისრაელის არმიის ევაკუაციას დაპყრობილი ტერიტორიებიდან და სხვ.

სპილოს ძვლის ნაპირი

1960 წლის 7 აგვისტოს დასრულდა საფრანგეთის კოლონიური მმართველობის ერა კიდევ ერთ აფრიკულ კოლონიაში; თავისუფლება მოიპოვა სპილოს ძვლის ნაპირმა.

იმავე წლის 27 ნოემბერს ახალგაზრდა რესპუბლიკაში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. ხმების დიდი უმრავლესობით პრეზიდენტად აირჩიეს ფელიქს უფუე-ბუანი. ფ. უფუე-ბუანი დაიბადა 1905 წ. სპილოს ძვლის ნაპირზე, ქ. იამუსუკროში, აკვეს ტომის ბელადის ოჯახში. მამამისი იყო აგრეთვე ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი კაკაოს პლანტაციის მფლობელიც. დაკარში (სენეგალი) სამედიცინო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ფ. უფუე-ბუანი ერთ ხანს ადგილობრივ კოლონიურ ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა, ხოლო 1945 წ. მას საფრანგეთის დამფუძნებელი კრების წევრად ირჩევენ სპილოს ძვლის ნაპირიდან. 1955 წ. ფ. უფუე-ბუანი უკვე საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატია. ამავე პერიოდში იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკური პარტიის — აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების შექმნაში, რომლის თავმჯდომარეც თვითონვე ხდება.

1956 წ. დასაწყისში ფ. უფუე-ბუანი საფრანგეთის მინისტრია გი მოლეს მთავრობაში. შემდეგ მას უკავია სპილოს ძვლის ნაპირის მთავარი ქალაქის აბიჯანის მერის, საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის დიდი საბჭოს პრეზიდენტის (კოლონიური ადმინისტრაციის სათათბირო ორგანო), დე გოლის მინისტრის, სპილოს ძვლის ნაპირის პრემიერ-მინისტრის თანამდებობები.

სპილოს ძვლის ნაპირს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოთა შორის. საერთო ეკონომიურ სიძნელეთა ფონზე იგი ერთგვარ გამონაკლისად გამოიყურება. მას პირველი ადგილი უჭირავს აფრიკის სახელმწიფოთა შორის ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლის დონით, ეკონომიურ დახმარებას უწევს სხვა სახელმწიფოებს და სხვა.

1962 წ. საახალწლო მიმართვაში ფ. უფუე-ბუანმა ასე ჩამოაყალიბა მისი მთავრობის წინაშე მდგომი ამოცანები: „სპილოს ძვლის ნაპირის გზა—ეს არის ევოლუცია და არა რევოლუცია. ჩვენ არ გაგვაჩნია ქარხნები, რათა მათი ნაციონალიზაცია ჩავატაროთ, არსებობს მხოლოდ პირობები მათ ასაშენებლად. არ არსებობს ვაჭრობა, რათა იგი სახელმწიფოს გამგებლობაში გადავცეთ. ჩვენ თვითონ მოგვიწევს მისი ორგანიზება. ჩვენ არა გვაქვს დასარიგებელი მიწები. ჩვენ მხოლოდ ასათვისებელი მიწები გვაქვს". დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან ფ. უფუე-ბუანი ატარებს პოლიტიკას, რომელსაც თვითონ უწოდებს — „სახელმწიფო კაპიტალიზმთან დაკავშირებულ ლიბერალიზაციის პოლიტიკას." დიდი ყურადღება ექცევა ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას თავისუფალი მრეწველობის ბაზაზე, უცხოური კაპიტალის მიზიდვას, სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას, სადაც დაკავებულია მთელი მოსახლეობის 92 პროცენტი, და სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

ზემოჩამოთვლილმა პრინციპებმა ასახვა პოვეს სპილოს ძვლის ნაპირის ეკონომიური განვითარების ე. წ. გარდამავალ გეგმაში (1962-1963 წწ.). გეგმაში წამყვანი ადგილი სოფლის მეურნეობის განვითარებას ეჭირა. სოფლის მეურნეობის ვიწრო სპეციალიზაცია ქვეყნის საახალხო მეურნეობის ყველაზე მტკივნეულ მომენტს წარმოადგენს; უკანასკნელის გამო მარტო 1962 წ. სპილოს ძვლის ნაპირმა მსოფლიო ბაზარზე ყავაზე ფასების დაცემის გამო 12 მლრდ აფრიკული ფრანკი (ეროვნული შემოსავლის 10 პროცენტი) დაკარგა. ხახალხო მეურნეობის მონოკულტურული ხასიათის ლიკვიდირებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, რაშიც გარკვეული წვლილი ხელსაყრელმა საინვესტაციო კლიმატმაც შეიტანა. ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი უცხოური კერძო კაპიტალისათვის. სპეციალური საინვესტაციო კოდექსით უზრუნველყოფილია მოგებათა დიდი ნაწილის თავისუფალი გატანა სახელმწიფოდან. ფ. უფუე-ბუანი საზეიმოდ შეპირდა კერძო ინვესტორებს, რომ „სპილოს ძვლის ნაპირი არასოდეს არ მიმართავს ექსპროპრიაციას ეკონომიკის არც ერთ სფეროში სამართლიან ანაზღაურებაზე წინასწარი შეთანხმების გარეშე."

იაფი მუშა-ხელისა და სხვა ხელსაყრელი პირობების წყალობით უცხოურ კერძო კომპანიებს გარანტირებული აქვთ ყოველ ინვესტირებულ დოლარზე 2 დოლარი მოგება. უცხო სახელმწიფოთაგან ყველაზე ძლიერია საფრანგეთის ეკონომიური პოზიციები. მთელი კერძო კაპი-

ტალდაბანდების 2/3-ზე მეტი ფრანგულია. თავისუფლების მოპოვების შემდეგ თითქმის სამჯერ გაიზარდა სპილოს ძვლის ნაპირზე ფრანგების რიცხვი (1959 წ. აქ ცხოვრობდა 10 000 ფრანგი, 1963 წ. —30 000-მდე), ფრანგებს არც ამერიკელები ჩამორჩებიან; კომპანია „უატსონი" უძებს ალმასს, „პლიმუტ ოილ კომპანი" — ნავთობს, კერძო ამერიკული ბანკი ქვეყნის სამრეწველო განვითარების ბანკის აქციონერია და ა. შ.

საფრანგეთთან 1961 წ. 24 აპრილის შეთანხმების შედეგად სპილოს ძვლის ნაპირი დარჩა ფრანკის ზონაში. სამხედრო შეთანხმების საფუძველზე საფრანგეთი ამზადებს ქვეყნის სამხედრო სპეციალისტებსა და აწვდის იარაღს. ფ. უფუე-ბუანი იყო ე. წ. თანხმობის კავშირის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი.

ამავე დროს დამოუკიდებელი არსებობის პირველივე წლებში სპილოს ძვლის ნაპირზე თავი იჩინა მძლავრმა ოპოზიციურმა მოძრაობამ; 1963 წ. რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულთა შორის აღმოჩნდნენ მინისტრები, პარლამენტის წევრები. საპასუხოდ მთავრობამ შექმნა უშიშროების სახელმწიფო სასამართლო და პარტიული მილიცია, გაატარა წმენდა პარტიის რიგებში (სპილოს ძვლის ნაპირის დემოკრატიულ პარტიაში), ახალგაზრდობისათვის დააწესა ე. წ. შრომითი ვალდებულება (2-წლიანი), შეიქმნა ქალთა შრომითი ბატალიონები, რომელთაც სათავეში ჩაუდგა ისრაელიდან ჩამოსული პოდპოლკოვნიკი დინა ვერტი. ჯერ კიდევ 1961 წ. მთავრობამ თავის კონტროლს დაუმორჩილა მუშათა მოძრაობა, შეიქმნა ერთი პროფკავშირული ცენტრი — სპილოს ძვლის ნაპირის საყოველთაო გაერთიანება, რომელსაც მთავრობამ აუკრძალა საერთაშორისო პროფესიულ კავშირებთან რაიმე მჭიდრო კონტაქტები. სპეციალური „გაფიცვის შესახებ კანონით" რეგლამენტირებულია პროფკავშირთა მოღვაწეობა, საერთოდ აიკრძალა პოლიტიკური გაფიცვები.

ამავე დროს 1963 წ. მთავრობამ 6-8 პროცენტით გაზარდა მრეწველობაში დაკავებული მუშების ხელფასის მინიმუმი, მკვეთრად გაიზარდა დაწყებითი და საშუალო სკოლების ქსელი, დიდი ყურადღება მიექცა კვალიფიცირებული მუშების მომზადებას, გარდა 13 ტექნიკური სასწავლებლისა, აბიჯანში გაიხსნა უნივერსიტეტი.

ევროპელთა უმრავლესობის აზრით სპილოს ძვლის ნაპირის მთავარ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს მისი დედაქალაქი აბიჯანი, რომელიც ტიპიურ ევროპულ ქალაქს უფრო ჩამოგავს, ვიდრე აფრიკულს. ყველაზე ლამაზი და შთამბეჭდავი შენობები, მოედნები, ავტოსტრადები, გამ-

ზირები ქალაქში აშენებულია 50-იან წლებში, ე. ი. კოლონიალიზმის საერთო უკან დახევის პერიოდში. არქიტექტორები იყვნენ ახალგაზრდა ფრანგები, რომლებიც იქ მიიზიდა მათი შემოქმედებითი ფანტაზიის პრაქტიკაში განხორციელების შეუზღუდველმა შესაძლებლობამ. არქიტექტორთა წინაშე დასმული იყო მხოლოდ ერთი მოთხოვნა — აფრიკული პეიზაჟი უნდა შერწყმოდა ევროპულ არქიტექტურას. ქალაქის ცენტრალური რაიონი დაპროექტდა პარიზის სტილში. როდესაც ყველაფერი მზად იყო, როდესაც თითქმის ყველა დიდ შენობაში ამუშავდა ჰაერის საკონდიციო მოწყობილობა, ქალაქის ცენტრში დასახლება იწყეს მდიდარმა აფრიკელებმა. რით იყო გამოწვეული საფრანგეთის მთავრობის ასეთი ზრუნვა თავისი ერთ-ერთი კოლონიის მთავარი ქალაქის მიმართ? სხვა მიზეზებთან ერთად დიდი როლი შეასრულა იმ ვითარებამაც, რომ იმ პერიოდში უკვე ცხადი იყო კოლონიალიზმის ერის დასასრული ახლო მომავალში და საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა დროულად უზრუნველეყო მომავალი სუვერენული სახელმწიფოს მსხვილი ბურჟუაზიის მხარდაჭერა, რათა მასზედ დაყრდნობით შეენარჩუნებინა თავისი გავლენა და ეკონომიური პოზიციები.

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ აფრიკულ ქვეყანაში არ მიმდინარეობს ისეთი ფორსირებული ტემპებით კაპიტალიზმის დანერგვა (სოფლის რაიონებშიც კი) როგორც სპილოს ძვლის ნაპირზე. ამ მიზნით აქ აფრიკისათვის უპრეცედენტო თანმიმდევრობით ხორციელდება ჯერ კიდევ შემორჩენილი თემური წყობის გადმონაშთთა და სოფლის თემთა ლიკვიდირების პროგრამა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა კანონს მიწათმფლობელობის შესახებ. კანონის ძალით ყველა დაუმუშავებელი მიწა სახელმწიფოს საკუთრებად იქცევა. ცხადია, ეს კანონი უპირველეს ყოვლისა მიწაზე საზოგადო საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული და საბოლოო ჯამში ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

საგარეო ვაჭრობის სფეროში თავისუფლების პირველივე წლებიდან იქნა მიღწეული გარკვეული წარმატებანი; 1962 წ. საგარეო ვაჭრობის ბალანსში 8 300 მლნ აფრიკული ფრანკით გადააჭარბა ექსპორტმა იმპორტს, რაც ორჯერ მეტი იყო 1961 წელთან შედარებით. ამავე პერიოდში საგადასახადო ბალანსში აქტიური სალდო 31 მლნ დოლარიდან 33-მდე გაიზარდა, კაპიტალდაბანდება კი გაიზარდა 217 მილიონი ფრანკით.

უცხოური კაპიტალის ფართო მასშტაბებში მიზიდვასთან ერთად

სპილოს ძვლის ნაპირის მთავრობა ფართო ღონისძიებებს ატარებს ადგილობრივი, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო, სექტორის გასაძლიერებლად. 1963 წ. მარტის დეკრეტით შეიქმნა სახელმწიფო კომპანია, რომელსაც ოფიციალურად დაფინანსების ეროვნული საზოგადოება ეწოდა. საზოგადოებამ მიზნად დაისახა კერძო და სახელმწიფო ორგანოთა სამრეწველო და საკომერციო დაფინანსება. იმავე წლის ივნისში, ადგილობრივი მრეწველობის დაცვის მიზნით სპილოს ძვლის ნაპირის ეროვნულმა კრებამ აკრძალა იმ საქონლის იმპორტი, რომელსაც შეეძლო კონკურენცია გაეწია ადგილობრივ ნაწარმთათვის. გარდა ამისა, ეროვნულმა კრებამ მოიწონა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ადგილზე კაკაოს დამმუშავებელი ყველა კომპანია ისარგებლებდა ეროვნული განვითარების გეგმის ხელშემწყობი საწარმოების პრივილეგიებით.

60-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული უცხოეთის დახმარება წარმოადგენს სპილოს ძვლის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვან ფაქტორს. მარტო 1963 წ. საფრანგეთის კრედიტებმა 1 მლრდ 589 მლნ აფრიკული ფრანკი შეადგინეს, 30 მლნ მარკას უდრიდა დასავლეთ გერმანიის სესხი. მარტო ერთ, 1963 წ. 70 მლნ ფრანკის ღირებულების სოფლის მეურნეობის ტექნიკა მიიღო ქვეყანამ. ყოველივე ამის შედეგად აქ, აფრიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალია სოფლად ცხოვრების დონე. სამაგიეროდ დიდია სხვაობა სოციალურ კლასებს შორის: ელიტას წარმოადგენს აგრეთვე მსხვილი მიწათმფლობელი კლასიც. მის დაბლა დგას წვრილ პლანტატორთა ფენა, რომელიც თავის მხრივ ექსპლოატაციას უწევს დაქირავებულ გლეხებს, ძირითადად იმიგრანტებს, რომელთა უმეტესი ნაწილიც ზემო ვოლტიდანაა აქ ჩამოსული.

1963 წ. 11 სექტემბერს სპილოს ძვლის ნაპირზე ფორმირებულ იქნა ახალი კაბინეტი; მთავრობის მეთაურის, თავდაცვის, საშინაო საქმეთა და სოფლის მეურნეობის მინისტრთა პოსტები დაიკავა ფ. უფუე-ბუანმა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროგრამაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1964 წ. აპრილში სპილოს ძვლის ნაპირის სამრეწველო განვითარების ბანკის შექმნა. ბანკის დანიშნულებას წარმოადგენდა მრეწველობაში მთავრობის მიერ დაგეგმილ სექტორთა განვითარების ხელის შეწყობა. მისი თავდაპირველი კაპიტალი 700 მლნ აფრიკული ფრანკით განისაზღვრა. თანხის ნახევარი სახელმწიფო სექტორმა გამოყო, მეორე ნახევარი კი — კერძო სექტორმა.

1964 წ. მაისში აბიჯანში ჩატარდა სპილოს ძვლის ნაპირის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესია. სესიის მუშაობის მთავარი საკითხი იყო ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, რის შესახებაც გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1962 წ. იანვარში იქნა მიღებული. სესიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო: „ჩვენი სოფლის მეურნეობის პოტენციალი განუწყვეტლივ იზრდება და ამიტომ აუცილებელია პროდუქციის ნაწილის ადგილზევე გადამუშავების უზრუნველყოფა. ჩვენი ეკონომიკის ამგვარი განვითარების შუქზე, რესპუბლიკის მთავრობა ისწრაფვის მაქსიმალურად გამოიყენოს ის დახმარება, რომელსაც იგი ღებულობს საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ისრაელიდან, დასავლეთ გერმანიიდან, იტალიიდან და სხვ. სახალხო მეურნეობის ამგვარი გადახალისების აუცილებლობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ 1963 წ. მთელი ექსპორტის 47 პროცენტი კვლავ ყავას ეჭირა. თვით ფ. უფუე-ბუანის განცხადებით 1964 წ. სოფლის მოსახლეობის 96 პროცენტი ყავის წარმოებით იყო დაკავებული. სწორედ ასეთ პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს უცხოური ინვესტიციათათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და ამავე დროს იგი ეროვნულ ინტერესებშიც გამოიყენება (ფ. უფუე-ბუანის მტკიცებით), სპილოს ძვლის ნაპირზე უწოდებენ ლიბერალურ პოლიტიკას. მისმა ავტორმა ფ. უფუე-ბუანმა ასე განსაზღვრა ამ პოლიტიკის არსი: „ 1. სახელმწიფო მონაწილეობს რიგ კერძო წამოწყებებში; ესაა — შერეული ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ გავრცელებას პოულობს ამჟამად, ესაა ორმაგი ნდობის დემონსტრირება—სახელმწიფოს ნდობისა კერძო სექტორისადმი და კერძო სექტორისა — სახელმწიფოსადმი. ეკონომიკის თანდათანობითი აფრიკანიზირება, რომელიც მომავალში ჩატარდება, აამაღლებს ამ სექტორის მნიშვნელობასა და ეფექტურობას. თუმცა ჩვენ არ გამოვდივართ ნაციონალიზაციის მოთხოვნით, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ შერეულ საწარმოთა ნაწილს შეისყიდის სახელმწიფო, რომელიც იმ დროისათვის უკვე უზრუნველყოფილ იქნება სპეციალისტთა ეროვნული კადრებით. 2. სახელმწიფო მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, ეს არის მეორე პერსპექტივა. ცხოვრებაში იგი ტარდება ან სახელმწიფო საზოგადოების, ან კოოპერატივების სახით.

ყველგან, სადაც საწარმოს ეფექტურობა უზრუნველყოფილია სპილოს ძვლის ნაპირის მოქალაქეთა მონაწილეობით, ან ცალკეულ პირთა.

ან კოოპერატივთა სახით, სახელმწიფო მათ აუცილებლივ დაუთმობს გზას.“

პირველივე წლებში მკვეთრად გაიზარდა საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობა. მაგ. 1958 წ. იმპორტი შეადგენდა 474 177 ტონას, ექსპორტი — 650 344 ტონას. 1963 წ. იმპორტი იყო 630 000 ტონა, ექსპორტი — 158 505 ტონა. მრეწველობის სუსტად განვითარების გამო სპილოს ძვლის ნაპირი იძულებულია უცხოეთიდან შემოიტანოს ყველა ძირითადი სამრეწველო საქონელი. მარტო 1963 წ. უცხოეთში შეისყიდეს 37215 მლნ აფრიკული ფრანკის ღირებულების საქონელი. აღსანიშნავია, რომ დიდი რაოდენობით შეისყიდეს მანქანა-დანადგარები. ყოველ წელს იზრდება ხარჯები დანადგართა შესაძენად.

გასაკვირი არ არის, რომ ფ. უფუე-ბუანის ეკონომიური პოლიტიკა საერთო სიმპათიით სარგებლობს კაპიტალისტურ სამყაროში. 1964 წ. 20 სექტემბრის ნომერში ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ წერდა: „იგი (ფ. უფუე-ბუანი) ნებას რთავს უდიდეს ფრანგულ კაპიტალდაბანდებას თავისი ქვეყნის მრეწველობაში და იმავე დროს ხელს არ უშლის კაპიტალდამბანდებლებს გაიტანონ მოგება იმ მასშტაბით, რომელიც შეამჩნევდა სხვა ნაკლებად გაბედულ პრეზიდენტს“. საფრანგეთის გავლენის სიძლიერეზე სპილოს ძვლის ნაპირის ეკონომიკაში, მუდამ მიუთითებდა ამერიკის პრესა. 1965 წ. იანვარს „ნიუ-იორკ“ ტაიმსი წერდა, რომ დასავლეთმა სათანადოდ უნდა დააფასოს სპილოს ძვლის ნაპირის ანტისოციალისტური მიმწრაფებანიო. გაზეთი იქვე სინანულს გამოთქვამდა აშშ-სპილოს ძვლის ნაპირის კონტაქტთა სისუსტის გამო. თუმცა იქვე დასძენდა, რომ საფრანგეთის შემდეგ აშშ მეორე ადგილზე იმყოფება და, რაც მთავარია, მისი კონტაქტები სპილოს ძვლის ნაპირთან დღითი დღე იზრდება; 1965 წ. თებერვალში სპილოს ძვლის ნაპირის მთავრობამ ხელშეკრულება დადო ამერიკულ კომპანია „იუნაიტედ სტეიტს დიველოპმენტ ენდ რისერსის კორპორეიშნ“-თან, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ათვისებაში მონაწილეობის მიღების თაობაზე. იმავე პერიოდში საერთაშორისო განვითარების ამერიკულმა სამმართველომ ამერიკაში ბრინჯის შესასყიდად სპილოს ძვლის ნაპირს სესხის სახით მისცა 4 მლნ დოლარი ხელსაყრელ პირობებში.

აშშ-ის შეჭრა სპილოს ძვლის ნაპირზე ხორციელდება სამი ფორმით—პოლიტიკურით, იდეოლოგიურით და ეკონომიურით. 60-იანი წლების დასაწყისიდანვე ზემოხსენებულ მიზნებს ემსახურება აშშ-ის მრავალრიცხოვანი სახელმწიფო და კერძო დაწესებულებანი, საელჩოს

მრავალრიცხოვანი შტატი, საერთაშორისო განვითარების სამმართველო, ამერიკის კულტურის ცენტრი, „მშვიდობის კორპუსი“, ბაპტისტთა და კვაკერთა მისიები, აფრო-ამერიკული ინსტიტუტის წარმომადგენლები, როკფელერისა და ფორდის ფონდების წარმომადგენლები და სხვ.

პოლიტიკის სფეროში აშშ-სა და სპილოს ძვლის ნაპირს შორის ურთიერთობის ახალი ფაზა იწყება 1966 წლიდან, როდესაც ფ. უფუე-ბუანის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ა. უშერამ, ყოფილმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ა. უშერა ცნობილი იყო როგორც პროამერიკული სტილის მოღვაწე. აშშ-ის მთავრობამ გამოიყენა რა ის ფაქტი, რომ სპილოს ძვლის ნაპირის კანონმდებლობა არ კრძალავს ქვეყნის შესვლას „თავდაცვით კავშირებსა და პაქტებში“, საგრძნობლად გააძლიერა კონტაქტები სამხედრო ხაზითაც. 1966 წ. დადებული სამხედრო ხელშეკრულების საფუძველზე აშშ სამხედრო საქონელს აწვდის სპილოს ძვლის ნაპირს. აშშ-ის საელჩოს აბიჯანში გააჩნია სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშეს აპარატი. თავისუფალი აფრიკის არც ერთ ქვეყანაში არ მიუღიათ ისე გულთბილად „მშვიდობის კორპუსის“ წევრები, როგორც სპილოს ძვლის ნაპირზე; მაშინაც კი, როდესაც 1966 წ. დამლევისათვის აფრიკის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა გააძევეს კორპუსის წევრები ანტიეროვნული საქმიანობისათვის, ფ. უფუე-ბუანმა თავის საზაფხულო რეზიდენციაში მიიღო „მშვიდობის კორპუსის“ წევრები და მისასალმებელ სიტყვაში თავს დაესხა იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც უარყოფითი შეფასება მისცეს კორპუსის წევრთა საქმიანობას. აშშ-ის მთავრობამ პროპაგანდისტული მიზნებისათვის პატარ-პატარა კრედიტები გამოუყო სპილოს ძვლის ნაპირის მთავრობას და რიგ ადგილობრივ ორგანიზაციებს ე. წ. „თანამედროვე სოფლების“ მშენებლობისათვის. უკვე აშენდა 40-მდე ასეთი სოფელი. გლეხები ღებულობენ კრედიტს 1200 დოლარს, 10 წლის ვადით სახლის ასაშენებლად და ინვენტარის შესაძენად. ამგვარი ღონისძიებანი მცირე ხარჯებს მოითხოვენ, ხოლო მათი პროპაგანდისტული ეფექტი დიდია. ამ მხრივ საყურადღებოა 1966 წ. დეკემბერს ბინგერვილზე, ერთ-ერთ ცერემონიალზე, სპილოს ძვლის ნაპირის ახალგაზრდობის საქმეთა სახალხო განათლებისა და სპორტის მინისტრის, ბ. ტაპეს შიმართვა აშშ-ის ელჩისადმი: „ბ-ნო ელჩო, ნება მიბოძეთ საზეიმოდ გაგიცხადოთ, რომ სპილოს ძვლის ნაპირი არ არის უმა-

დური ქვეყანა და თქვენ მიერ აქ დარგული ნერგები მშვენიერ ნაყოფს მოგვცემს.“

აშშ-სა და სპილოს ძვლის ნაპირს შორის ეკონომიურ ურთიერთობათა განმტკიცებას პოლიტიკური მოტივებიც გააჩნდა — აუცილებელი იყო ანტიკომუნისტურ პოზიციებზე მდგომი სახელმწიფოს საერთო მდგომარეობის განმტკიცება და აფრიკაში „თავისუფალი სამყაროს ვიტრინის“ ეკონომიური ბაზის უზრუნველყოფა. შემთხვევითი არც ის გარემოებაა, რომ აშშ-ის კაპიტალდაბანდების უდიდესი ნაწილი კერძო ინვესტიციებზე მოდის. კერძო ამერიკული კაპიტალის ხელშია სპილოს ძვლის ნაპირის ნავთობმომპოვებელი კომპანიის აქციათა დიდი ნაწილი. კომპანია ყოველწლიურად 1 მლნ ტონამდე ნავთობპროდუქტს უშვებს. მისი მოგება მუდამ შთამბეჭდავ ციფრებში გამოიხატება, ვინაიდან საჰარიდან და გაბონიდან შემოტანილი ნედლეული, ნავთობი არ იბეგრება საბაჟო გადასახადით და თვითღირებულებაც ამიტომ დაბალია.

აშშ-ის ეკონომიური მოღვაწეობა სპილოს ძვლის ნაპირზე მიმართულია საფრანგეთის მონოპოლიური მდგომარეობის წინააღმდეგ, ხოლო თავის მხრივ ფ. უფუე-ბუანის მთავრობა ცდილობს ისარგებლოს აშშ-სა და საფრანგეთის წინააღმდეგობებით — თავის სასარგებლო პირობებში მიიღოს მისთვის აუცილებელი კრედიტები. საფრანგეთის მონოპოლიური მდგომარეობისათვის ძირის გამოსათხრელად აშშ ფართოდ იყენებს ისრაელს და ტაივანს. რასაკვირველია, არც საფრანგეთი აპირებს ასე ადვილად თავისი პოზიციების დათმობას და მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს აშშ-ის გავლენის სანეიტრალიზაციოდ. ხსენებულ ღონისძიებათა მთავარი არსი მდგომარეობს ფრანგული კაპიტალდაბანდებისა და კრედიტთა გაზრდაში, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთდამოკიდებულება. 1965 წლიდან სპილოს ძვლის ნაპირზე მოქმედებს „მშვიდობის კორპუსის“ ფრანგული ვარიანტი — „პროგრესის მოხალისენი“. უკვე 1966 წ. მოხალისეთა რიცხვმა 100 კაცს გადააჭარბა.

1965 წლიდან სპილოს ძვლის ნაპირის ეკონომიკაში ფეხს იკიდებს იაპონური და დასავლეთ-გერმანული კაპიტალიც; ფირმა კრუპმა 6 მლნ გირვანქა სტერლინგი დააბანდა ცელულოიდისა და მუყაოს ქარხნების მშენებლობაში. დასავლეთ გერმანული კაპიტალი დააბანდეს აგრეთვე აბიჯანის მახლობლად პორტ სან--პედროს მშენებლობაში და ა. შ. 1965 წ. სექტემბერში სპილოს ძვლის ნაპირზე იმყოფებოდა იაპონიის

ეკონომიური მისია. აბიჯანიდან გამგზავრებისას მისიის ხელმძღვანელმა ეტიგომ განაცხადა: „იაპონიაში დაბრუნების შემდეგ ჩვენ შევისწავლით ამ ქვეყანაში კაპიტალდაბანდების შესაძლებლობას, სადაც სამრეწველო დაწესებულებანი ყურადღებას იქცევენ თანამედროვე მოწყობილობებით. გვჯერა, რომ ჩვენ გაგვაჩნია შესაძლებლობანი ამ სფეროში.“

მიუხედავად დასავლეთის ცდებისა, სპილოს ძვლის ნაპირი მაინც ვერ იქცა კაპიტალიზმის სარეკლამო ფარად აფრიკაში. ამაზე უპირველეს ყოვლისა მიუთითებენ ის რეპრესიები, რომლებიც მთავრობამ გაატარა უკმაყოფილო ფენებისა და უპირველეს ყოვლისა სტუდენტობის წინააღმდეგ. მარტო 1966 წ. მმართველი დემოკრატიული პარტიის ერიენული საბჭო სამჯერ შეიკრიბა, რათა განეხილა სტუდენტთა უკმაყოფილების პრობლემა. 1967 წ. 10 პროცენტით გაიზარდა საშინაო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი, რაც ძირითადად პოლიციის საჭიროებას მოხმარდა. ამავე დროს მთავრობამ 20 პროცენტით შეამცირა კომუნალური საჭიროებისათვის განკუთვნილი ხარჯები.

სპილოს ძვლის ნაპირის ეკონომიკის მანკიერი ბუნების აშკარა გამოვლინება იყო 1968 წ. დეკემბერს 100 000 ტონა ჭარბი ყავის დაწვა. ნიშანდობლივი იყო ის ფაქტიც, რომ უკვე 1966 წლისათვის აღინიშნება ფ. უფუე-ბუანის მთავრობის ზომიერი შებრუნება სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხში. დამოუკიდებლობის მეექვსე წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე პირველად იქნა მიპატიჟებული საბჭოთა კავშირის დელეგაცია. ზეიმს ესწრებოდნენ აგრეთვე რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის დელეგაციები. 1967 წ. კი დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა საბჭოთა კავშირთან.

1969 წ. ახალი ძალით იფეთქა სტუდენტთა უკმაყოფილებამ სპილოს ძვლის ნაპირზე; დაეპატიმრეს 400-ზე მეტი სტუდენტი, რომლებსაც იძულებითი სამუშაოები მიესაჯათ შრომათა სამხედრო ბანაკებში. უნივერსიტეტი დაიკეტა, მაგრამ ფრანგი რექტორი იძულებული იყო გადამდგარიყო. სისხლიან შეტაკებებს ჰქონდა ადგილი უმუშევარ ახალგაზრდობასა და იმიგრანტ მუშებს შორის. შექმნილი სიტუაციიდან მთავრობამ მხოლოდ ის „გამოსავალი“ ნახა, რომ ყველაფერი კომუნისტურ პროპაგანდას გადააბრალა და დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა საბჭოთა კავშირთან. ფ. უფუე-ბუანმა კომუნისტურ პროპაგანდას დააბრალა აგრეთვე 1970 წ. დასასრულს გამწვავებული ტომთაშორისი შუღლი. საქმე ის არის, რომ ბეტეს ტომის აზრით მის წარმომადგენლებს ძალზე მცირე თანამდებობები ერგოთ მთავ-

რობაში. როდესაც 1970 წ. ნოემბერს აბიჯანში მოეწყო გვინეის მთავრობის მხარდასაჭერი უცხოელ სტუდენტთა დემონსტრაცია, ფ. უფუებუანმა ქვეყნიდან გააძევა ზემო ვოლტიდან, ნიგერიიდან, დაგომეიდან და ტოგოდან ჩამოსული სტუდენტები. ადგილობრივ სტუდენტთა ნაწილი გაიწვიეს არმიაში, ნაწილს კი ხელწერილები ჩამოართვეს, რომ აღარ ჩაერეოდნენ პოლიტიკაში.

სპილოს ძვლის ნაპირის ეკონომიკის მდგომარეობასა და პერსპექტივებზე 1972 წ. დასაწყისიდან განგაშს ტეხენ უკვე დასავლეთის საქმიანი წრეები. თავისი შეშფოთება საჯაროდ პირველმა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოთქვა. რომლის ავტორიტეტულ ექსპერტთა რწმენით უდიდესი საგარეო ვალი (46 მლრდ აფრიკული ფრანკი) უკვე იქცა ქვეყნის მძიმე პრობლემად. სპილოს ძვლის ნაპირზე შექმნილ სიტუაციაზე საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ფრანგულმა ჟურნალმა „აფრიკაზიამ" 1972 წ. თებერვლის ნომერში. წერილის დასაწყისში, რომელშიც აღწერილია აბიჯანი თავისი მდიდრული სასტუმროებით, რესტორნებით, ბაღებითა და ა. შ., ეკითხულობთ — „ამავე დროს აუცილებელია გავარკვიოთ, თუ ვინ სარგებლობს ამ კეთილდღეობით; ეჭვგარეშეა კაპიტალისტები, მაგრამ სპილოს ძვლის ნაპირს არ ჰყავს საკუთარი კაპიტალისტები, მიუხედავად ყოველგვარი ცდებისა სოფლის ბურჟუაზიის შესაქმნელად, რომელიც შეადგენდა ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბირთვს. ვინაიდან აქ საკუთარი კაპიტალისტები არ არსებობენ, მოგება ძირითადად უცხოელ კაპიტალისტებს რჩებათ. ამიტომ სწორედ უკანასკნელნი გამოდიან ეკონომიკის განვითარების მთავარი ძალის როლში და მათ ხელშია ეკონომიკა ყველა სტრატეგიული სექტორი, ისევე როგორც მოგების ძირითადი ნაწილიც ანუ მთელი ეროვნული შემოსავლის 1/3. თუ საუკეთესო შემთხვევაში ამ მოგებათა ნაწილი კვლავ ბანდდება ქვეყნის ეკონომიკაში, ამან შეიძლება დააჩქაროს მისი განვითარება, მაგრამ ამავე დროს ძლიერდება ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულება უცხოური კომპანიებისაგან, რომელთა რეალური ინტერესებიც დაკავშირებული არ არის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან. სპილოს ძვლის ნაპირზე იმის თქმაც კი არ შეიძლება, რომ ყველაფერი ასე მიმდინარეობს, ვინაიდან უცხოეთში კაპიტალის გაზიდვა გაცილებით ფართო ტემპებში მიმდინარეობს, ვიდრე უცხოეთიდან კაპიტალის შემოზიდვა." ფრანგული ჟურნალის ცნობებზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჯერ კიდევ 1965 წ. უცხოეთში გაიტანეს 25,2 მლრდ აფრიკული ფრანკი, ხოლო საზღვარგარეთიდან შემოვიდა

15,2 მლრდ. ყავისა და კაკაოს წარმოებით შემოიფარგლება კვლავინდებურად აფრიკული სექტორი. უცხოური კაპიტალის მიერ გრანდიოზულ მასშტაბებში ქვეყნის ექსპლოატაცია გამორიცხავდა და გამორიცხავს ეროვნული ბუჟუაზიის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, უკვე იგრძნობა ეკონომიური განვითარების ტემპების შენელება, ვინაიდან ეს უკანასკნელი მთელი 12 წლის განმავლობაში დამყარებული იყო ტყის მასივთა ექსპლოატაციაზე და ყავისა და კაკაოს წარმოებაზე.

თუმცა მთავრობის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები ზრდის ისეთ ტემპებზე მეტყველებენ, რომლებიც აფრიკის სხვა სახელმწიფოთა ზრდის ტემპებს სჭარბობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სპილოს ძვლის ნაპირი, რომელზეც მოდიოდა და მოდის საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დახმარების უდიდესი ნაწილი და სადაც კონცენტრირებულია უცხოური კერძო კაპიტალი, ზრდისა და განვითარებას შორის არსებული განსხვავების საილუსტრაციო მაგალითს წარმოადგენს. ზრდა მთლიანად უცხოეთზეა დამოკიდებული. იგი უცხოური კაპიტალის პროდუქტია და მასზეა დამოკიდებული. რაც შეეხება წმინდა ეროვნულ ეკონომიკას, სპილოს ძვლის ნაპირი კვლავინდებურად დამოკიდებულია სასაქონლო კულტურებზე, რომელთა წარმოებაც კოლონიალიზმის დროს განვითარდა — ყავა და კაკაო. სწორედ ამათზე მოდის ქვეყნის ექსპორტის ნახევარზე მეტი, რაც მთავრობას აიძულებს მასობრივად შემოიტანოს კვების პროდუქტები.

ხელოვნურად შექმნილი კეთილდღეობით სარგებლობს მთელი მოსახლეობის მხოლოდ ათი პროცენტი. მთავრობამ არა თუ ვერ შეძლო განევითარებინა საკუთარი ეკონომიკა, არამედ იგი დღეს უფრო მეტადაა, ზოგიერთთა აზრით, დამოკიდებული ყოფილ მეტროპოლიაზე, ვიდრე ადრე იყო.

1972 წ. მაისს სპილოს ძვლის ნაპირის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ სპეციალური განცხადებით უარყო პრესაში გამოქვეყნებული ცნობები იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მთავრობამ სუბსიდია სთხოვა საფრანგეთს მოსამსახურეთა ხელფასის გასადიდებლად. განცხადებაში უარყოფილი იყო აგრეთვე პრესაშივე გავრცელებული ვერსია იმის შესახებ, რომ მოკლე ხანში რესპუბლიკის ფინანსები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა უცხოეთის სესხზე საპროცენტო დავალიანებათა დაფარვასთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის ექსპერტთა რჩევით სპილოს ძვლის ნაპირის მთავრობამ 1972 წ. 17 პროცენტით შეკვეცა ბიუ-

ჯეტი და სხვა მთელი რიგი ღონისძიებანი დაგეგმა სახსრების ეკონომიის მიზნით.

რესპუბლიკის წინაშე მდგომი ეკონომიური სიძნელეებით გამოწვეული შეშფოთება იგრძნობოდა პრეზიდენტის ტრადიციულ საახალწლო მიმართვაშიც 1973 წ. 1 იანვარს. მართალია, მიმართვა იწყებოდა ოპტიმისტური კილოთი — „აფრიკასა და მთელ მსოფლიოში ჩვენ გამოვიყენურებით როგორც ჯანმრთელი და საღი მომავლის მქონე ქვეყანა“, ფ. უფუე-ბუანი იქვე სასტიკად აკრიტიკებდა „რესპუბლიკის ეკონომიკის ძალზედ ბევრი სექტორის დაბალნაყოფიერებას, საწარმოთა ნაწილის არარენტაბელობას, კორუფციის ტენდენციას, მომხვეჭელობისაკენ ლტოლვას“. როგორც ფრანგული გაზეთი „მონდ დიპლომატიკი“ აღნიშნავდა, რამოდენიმე თვით ადრე ვერავინ გაბედავდა ამგვარი ფაქტების კონსტატირებას. პრეზიდენტის საახალწლო მიმართვას წინ უსწრებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონფედენციური მოხსენებითი ბარათი. ბარათი ფ. უფუე-ბუანის მთავრობის ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ საგარეო სესხის მოცულობამ გაცილებით გადააჭარბა ქვეყნის გადამხდელუნარიანობას. მთავრობას განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდა საგარეო სესხის აღება ორი გრანდიოზული პროექტის განსახორციელებლად — კოსუს ჰიდროელექტროსადგურისა და სან-პედროს ნავსადგურის მშენებლობისათვის.

ზემოხსენებული მოხსენებითი ბარათი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ 1960/1966 წწ. მთელი კაპიტალდაბანდების 75 პროცენტს რესპუბლიკა საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფდა, 1973 წლისათვის იგი 60 პროცენტამდე შემცირდა. ყოველივე ამას მოჰყვა სახელმწიფო ვალის ყოველწლიურად 30 პროცენტით ზრდა. „ამ პირობებში, — აღნიშნულია მოხსენებით ბარათში, — ვალის პროცენტები 8,5-დან 1972 წლისათვის, 12-მდე გაიზრდება 1978 წ. და 20-მდე 1980 წ.“ მოხსენებითი ბარათის ავტორთა აზრით 70-იანი წლების ბოლოსათვის მთავრობა ვეღარ შეძლებს საკუთარი რესურსებით სახელმწიფო კაპიტალდაბანდებას და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება იმ პროექტთა მიმართ, რომლებზეც, როგორც წესი, არ არის ნავარაუდევი გარეშე დახმარება. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად მთავრობის ცდისა—შეექმნა მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობა, კაკაო, ყავა და ხე-ტყე კვლავინდებურად მთელი ექსპორტის 75 პროცენტს შეადგენს.

უცხოური კაპიტალის გავლენის ზრდის წინააღმდეგ ფართო მასე-

ბის უკმაყოფილების დემონსტრაციას წარმოადგენდა 1973 წ. აგვისტოში საბჭოდრო გადატრიალების ცდა. მართალია, ახალგაზრდა ოფიცერთა გამოსვლა მარცხით დამთავრდა, მაგრამ თვით შეთქმულების ფაქტიც ნაციონალისტურ ტენდენციათა სერიოზული გამოვლინება იყო.

ფ. უფუე-ბუანის მთავრობის პროდასავლეთურმა ორიენტაციამ თავისი ასახვა პოვა საგარეო პოლიტიკის სფეროშიც. 1963 წ. სპილოს ძვლის ნაპირმა, აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიურ გაერთიანებასთან — „საერთო ბაზართან", ასოცირებული სახელმწიფოს სტატუსი. შეთანხმების რატიფიკაციას აბიჯანში ესწრებოდა „საერთო ბაზრის" კომისიის წევრი რომერო. სპილოს ძვლის ნაპირის მთავრობამ ერთ-ერთმა პირველმა დაამყარა აგრეთვე მჭიდრო ურთიერთობა ისრაელთან. 1963 წ. მაისში, ისრაელსა და სპილოს ძვლის ნაპირს შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა ტელ-ავივის დახმარებას ისრაელური ტიპის გასამხედროებული, ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნაში. იმავე წელს ისრაელიდან ჩამოსული ოფიცრები შეუდგნენ გადნას ტიპის ორგანიზაციათა შექმნას. სპილოს ძვლის ნაპირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სისტემატურად გამოდიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აშშ-ის პოზიციების მხარდაჭერით. 1964 წ. მაისში, როდესაც უშიშროების საბჭოში იხილებოდა კამბოჯის საჩივარი აშშ-ის მიმართ, სპილოს ძვლის ნაპირის პროამერიკულმა პოზიციამ აფრიკის ბევრი სახელმწიფოს დელეგატის გულისწყრომა გამოიწვია. თავის მხრივ, როდესაც ერთი წლის შემდეგ აბიჯანში ჩავიდა აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე აფრიკის საკითხებში მ. უილიამსი, რათა აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურისათვის განემარტა აშშ-ის პოზიცია ვიეტნამში, იგი ძალზედ კმაყოფილი დარჩა ფ. უფუე-ბუანთან მოლაპარაკებით. უკანასკნელი მუდამ გამოდიოდა და გამოდის ყოფილ მეტროპოლიასთან, საფრანგეთთან, მჭიდრო პოლიტიკური კავშირის იდეით; როდესაც 1964 წ. აპრილში აფრო-მალგაშეთის კავშირი აფრო-მალგაშეთის ეკონომიური თანამშრომლობის კავშირად გადაკეთდა, ეს რეფორმა სერიოზული ხასიათის შეცდომად დაახასიათა სპილოს ძვლის ნაპირის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა ტ. სალემ.

თავის მინისტრზე უფრო შორს წავიდა თვით ფ. უფუე-ბუანი, როდესაც 1964 წ. ნოემბერში აბიჯანში საფრანგეთის დახმარებით აშენებული უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალზე პირდაპირ განაცხადა:

„დიდია საფრანგეთის ღვაწლი აფრიკის კულტურის განვითარების საქმეში. ეს კულტურა დღეს იქცა ფრანგულ-აფრიკულ კულტურად.“ 1965 წ. 2 ივლისს, როდესაც გენერალმა დე გოლმა 6 აფრიკული სახელმწიფოს პრეზიდენტი მიიღო, თავის სიტყვაში ფ. უფუე-ბუანმა განაცხადა: „მხოლოდ თქვენი წყალობით შევძელით ჩვენ ჩვენი ხალხი წაგვიყვანა თავისუფლებისა და ბედნიერების გზით. თქვენ ჩვენი შუქურა იყავით.“ მან აფრიკაში დაპატიჟა საფრანგეთის პრეზიდენტი — „რომლის ხალხიც მოუთმენლად ელის თქვენს ვიზიტს და ისეთ შეხვედრას მოგიწყობთ, როგორიც თქვენთვის არც ერთ ქვეყანაში არ მოუწყვიათ, თვით საფრანგეთშიც კი“.

1964 წ. დასასრულს პოლიტიკური კავშირი დაიდო სპილოს ძვლის ნაპირს, ზემო ვოლტასა და ნიგერს შორის. კავშირის გაფორმებასთან დაკავშირებულ ცერემონიალზე ფ. უფუე-ბუანმა განაცხადა, რომ ამიერიდან სამივე ქვეყნის მოსახლეობას ერთი და იგივე უფლება-მოვალეობანი გააჩნიათო. სამივე ქვეყნის მცხოვრებლებს უფლება ეძლეოდათ მონაწილეობა მიეღოთ სამივე ქვეყნის არჩევნებში და ყოფილიყვნენ არჩეულნი. ამგვარი „გაერთიანების“ ნამდვილი მიზანი იყო წინ აღსდგომოდნენ პროგრესულ რეჟიმთა პოლიტიკურ კავშირებს აფრიკაში და ე. წ. „ზომიერთა“ ერთიანი ფრონტის შექმნა სწორედ ფ. უფუე-ბუანმა იდო თავს. 1965 წ. 9-11 აპრილს უკანასკნელისავე ინიციატივით შედგა აბიჯანში თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სპილოს ძვლის ნაპირის, ზემო ვოლტის და ნიგერის სახელმწიფოთა მეთაურები. ტოგი და სენეგალი თათბირზე წარმოდგენილი იყვნენ მეთვალყურეებით. თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება ერთობლივ დიპლომატიურ ღონისძიებათა გააქტიურების შესახებ ორი მიმართულებით: 1. აფრიკაში კ. ნკრუმას მეთაურობით წარმოებული ანტიიმპერიალისტური მოძრაობის საწინააღმდეგოდ, 2. კონგოს კრიზისის გადასაჭრელად. კონგოს პრობლემის გადაჭრის აბიჯანის პროგრამა ითვალისწინებდა პროგრესულ სახელმწიფოთა — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ალჟირის, ტანზანიის, მალის, გვინეას, განის იზოლირებას კონგოს ამბებიდან და მ. ჩომბეს რეჟიმის განმტკიცებას.

სპილოს ძვლის ნაპირის საგარეო პოლიტიკის პროიმპერიალისტური კურსის კიდევ ერთი ილუსტრირება იყო მისი პოზიცია განის პირველი სამხედრო გადატრიალებისადმი. ფ. უფუე-ბუანმა დაუყოვნებლივ ცნო განის სამხედრო რეჟიმი და აბიჯანში გულთბილი შეხვედრა მოუწყო ახალი ხელისუფლების „კეთილი ნების მისიას“. როდესაც ხმა გავარდა,

რომ ს. ტურე სამხედრო ნაწილებს გზავნიდა განაში კანონიერი მთავრობის აღსადგენად, ფ. უფუე-ბუანმა კატეგორიული უარი განაცხადა თავის ტერიტორიაზე გაეტარებინა გვინეას ჯარი და საზღვრის გამაგრება დაიწყო.

აფრიკის პროგრესულ რეჟიმთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკაში ისრაელის გავლენის ზრდა; 1966 წ. აპრილში ისრაელმა 6 პროცენტით შეამცირა საბაჟო გადასახადი სპილოს ძვლის ნაპირიდან შემოტანილ ხე-ტყეზე, რის სამაგიეროდაც ფ. უფუე-ბუანის მთავრობამ 50 პროცენტით შეამცირა საბაჟო გადასახადი ისრაელის ყველა საქონელზე. ისრაელთან დადებული სპეციალური შეთანხმების საფუძველზე ისრაელის არმიის ნაწილებმა გაწმინდეს სპილოს ძვლის ნაპირის ჯუნგლები და იქ კიბუცთა ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ააშენეს. სპილოს ძვლის ნაპირისადმი ისრაელის „დახმარება" თავისი მოცულობით მხოლოდ საფრანგეთისა და აშშ-ის „დახმარებას" ჩამორჩება, მაგრამ საერთო აზრით ყველაზე უფრო მაღალ ეფექტურია პროპაგანდის თვალსაზრისით. სპილოს ძვლის ნაპირის ასობით გოგონა და ჭაბუკი გადის პირველადი განათლების დაჩქარებულ კურსს სკოლებში, სადაც ისრაელის ოფიცრები ასწავლიან. 1966 წ. 31 მაისს აბიჯანში მეგობრული ვიზიტით ჩავიდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ლევი ეშკოლი.

1966 წლიდან განსაკუთრებით ინტენსიური ხდება სპილოს ძვლის ნაპირის კონტაქტები დასავლეთ გერმანიასთან. ძლიერდება ბონის პროპაგანდა, რომლის მთავარი მიზანია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დისკრედიტირება როგორც სპილოს ძვლის ნაპირზე, ასევე მთელ აფრიკაში. 1966 წ. აპრილში დასავლეთ გერმანიის მთავრობის მიწვევით ბონში ვიზიტით იმყოფებოდა სპილოს ძვლის ნაპირის დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი ფ. იასე. დასავლეთ გერმანიის პრესა აფასებდა ვიზიტის შედეგებს და კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ სპილოს ძვლის ნაპირის პოლიტიკური წრეები მხარს უჭერენ გერმანიის გაერთიანების ბონის გეგმასო.

ამავე დროს ფ. უფუე-ბუანის ხელისუფლებას სულ უფრო და უფრო უჭირს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა პოზიტიური როლის იგნორირება აფრიკის ხალხთა დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. 1966 წლის გაზაფხულზე, ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ფ. უფუე-ბუანმა ბრალი დასდო ჩინეთის ხელმძღვანელობას ანტიაფრიკულ საქმიანობაში და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავ-

შირი და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სახელმწიფოები პატივისცემით ეპყრობიან აფრიკის სახელმწიფოთა სუვერენიტეტსო. იმავე წლის აგვისტოში, დამოუკიდებლობის დღესასწაულზე აბიჯანში დაპატიჟეს საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის დელეგაციები. 1967 წ. 23 ნოემბერს კი საბჭოთა კავშირსა და სპილოს ძვლის ნაპირს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ამ დროისათვის სპილოს ძვლის ნაპირს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა გააჩნდა მთელ რიგ სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

ამავე დროს ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ფ. უფუე-ბუანის მთავრობამ ხელი აიღო თავის ტრადიციულ საგარეო პოლიტიკის კურსზე; 1967 წ. 6 ივნისს ფ. უფუე-ბუანმა მიიღო ისრაელის ელჩი და „სრული მხარდაჭერა" აღუთქვა არაბებთან ომში. უფრო მოგვიანებით, 1968 წ. 15 მაისს სპილოს ძვლის ნაპირმა ცნო ბიაფრა, რის გამოც ნიგერიამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა მასთან. იმ დღეებში დაგომეის ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთი წერდა: „იბადება კითხვა, თუ რატომ ცნო სპილოს ძვლის ნაპირმა ბიაფრა? ნიგერია კარგა ხანია რაც აშშ-სა და ინგლისის ქიშპობის ობიექტს წარმოადგენს; ინგლისის ხელი ურევია ჩრდილოეთ ნიგერიაში იბოს ჟლეტაში. აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ გადაწყვიტა ნიგერიისაგან მოეწყვიტა აღმოსავლეთის ნაწილი, რათა უფრო გაეადვილებინა მისი წიაღისეულის ექსპლოატაცია. ვინაიდან უკანასკნელ ხანებში ნავთობი აღმოჩნდა დაგომეაშიც, მისი გადამუშავებისათვის საჭირო შეიქნა ქარხნის აშენება. ამავე დროს თანხმობის კავშირის მონაწილე ქვეყნებისათვის დიდი ფუფუნება იქნებოდა ორი ასეთი ქარხნის არსებობა (ერთი უკვე არსებობს სპილოს ძვლის ნაპირზე), ე. ი. დაგომეის ნავთობი უნდა გადამუშავდეს სპილოს ძვლის ნაპირზე, ხოლო ამისათვის საჭიროა მთავარი დაინტერესებული მხარის — აშშ-ის თანხმობა. სწორედ ამ თანხმობის მისაღებად ცნო ფ. უფუე-ბუანმა ბიაფრა."

1968 წ. ივნისში კიდევ ერთი ახალი ხელშეკრულება დაიდო ისრაელთან—ისრაელის ორმა სამშენებლო ფირმამ ითავა 190 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სპილოს ძვლის ნაპირზე. იმავე პერიოდში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი აბა ებანი დააჯილდოვეს სპილოს ძვლის ნაპირის ეროვნული ორდენით. უფრო მოგვიანებით კი სპილოს ძვლის ნაპირის მთავრობა ოპოზიციაში ჩაუდგა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ღონისძიებებს ახლო აღმოსავლეთში. 1971 წ. აგვისტოში ფ. უფუე-ბუანმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ორგანიზაციის ათი წევრ-

სახელმწიფოს თათბირში, რომელიც კინშასაში შედგა, ხოლო მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ითავა არასახარბიელო მისია — ისრაელის პოზიციის პროპაგანდა აფრიკაში.

ყველაზე სერიოზული პრობლემა, სადაც საესებით გამოვლინდა სპილოს ძვლის ნაპირის საგარეო პოლიტიკის ანტიაფრიკული არსი, იყო და არის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხი. აფრიკაში პრეტორიის ე. წ. „ახალი კურსის“ ენერგიულ დამცველად იქცა ფ. უფუე-ბუანი. აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯალათთან, აპართეიდის რეჟიმთან ე. წ. პოლიტიკური „დიალოგის“ აქტიური მოთხოვნით ფ. უფუე-ბუანმა საესებით გამოააშკარავა თავისი პროიმპერიალისტური პოზიცია და გასაკვირი არ არის, რომ მიუხედავად მთელი რიგი აქტიური ღონისძიებებისა მისმა ბრძოლამ, „დიალოგის“ პოპულარიზაციის მიზნით, სრული კატასტროფა განიცადა. 1970 წ. 4 ნოემბერს უგანდის გაზეთ „უგანდა არგუსში“ ეწერა: „სპილოს ძვლის ნაპირის მოწოდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან „დიალოგის“ დაწყების შესახებ, ინსპირირებული იყო საფრანგეთის მიერ. საფრანგეთი აწვდის იარაღს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას და ფ. უფუე-ბუანიც ტყავიდან ძვრება, რათა ასიამოვნოს პარიჟს. საინტერესოა როგორ შეძლებს სპილოს ძვლის ნაპირის მთავრობა ეს პოლიტიკა შეუფარდოს აფრიკის ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის მოღვაწეობას, რომელიც აფინანსებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1971 წ. თებერვალს აბიჯანში საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს ვიზიტთან დაკავშირებით გაზეთი „იუმანიტე“ წერდა: „ფ. უფუე-ბუანი პარიჟში მუდამ ითვლებოდა ყველაზე მისაღებ აფრიკელ ლიდერად. დე გოლი ყოველთვის მასთან ეძებდა დახმარებას თავისი აფრიკული პოლიტიკის გატარების პროცესში. ფ. უფუე-ბუანი იყო ერთ-ერთი ავტორი თავის დროზე დიდად გახმაურებული ე. წ. „ძირითადი კანონისა“, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის კოლონიების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. სწორედ ფ. უფუე-ბუანი მოითხოვდა ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტას გვინეასთან, როდესაც უკანასკნელმა 1858 წ. 28 სექტემბერს რეფერენდუმზე ერთსულოვანი „არა“ განაცხადა.

ნიგერიის კონფლიქტში ფ. უფუე-ბუანი გამოვიდა როგორც ელისეს სასახლის არაოფიციალური რუპორი და ოფიციალურად ცნო ბიაფრა. დღეს კი იგი სამხრეთ აფრიკელ რასისტთა რეაბილიტაციის ავანგარდში დგას.“

მთელი აფრიკის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ აიმაღლა ხმა სპილოს ძვლის ნაპირის გეგმების წინააღმდეგ. თავისუფალი აფრიკის აღშფოთება ისე ძლიერი იყო, რომ სპილოს ძვლის ნაპირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. უშერ-ასუანი იძულებული გახდა საჯაროდ განეცხადებინა: „ჩვენ ყველაზე ძალიან გვაწუხებს ჩვენი აფრიკელი ძმების რეაქცია. აფრიკაში მშვიდობის ძებნის ჩვენმა გზებმა, რასაკვირველია, მათი მხრიდან არ უნდა გამოიწვიოს მტრული დამოკიდებულება“.

უკანასკნელ პერიოდში არა მხოლოდ სპილოს ძვლის ნაპირის გარეთ, არამედ მის შიგნითაც სულ უფრო ძლიერდება ფართო მასების უკმაყოფილება მთავრობის საგარეო პოლიტიკის კურსით და უკანასკნელიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს როგორც საგარეო, ასევე საშინაო ოპოზიციას.

გაერთიანებული რესპუბლიკა ტანზანია

1961 წ. 9 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა ტანგანიკის დამოუკიდებლობა. აფრიკის კონტინენტზე ეს იყო უკვე ოცდამეცხრე სუვერენული სახელმწიფო.

ზანზიბარზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა რთულ და სპეციფიკურ პირობებში; სულთანი სისტემატურად ატარებდა შემთანხმებლურ პოლიტიკას კოლონიზატორებთან და ხელს უწყობდა ქვეყნის შიგნით ეროვნული შუღლის გამწვავებას. ანტიკოლონიურ-ანტიმონარქიულ პოზიციებზე იდგა მხოლოდ პარტია „აფრო-შირაზი". ინგლისმა შეძლო უზრუნველეყო ზანზიბარზე პროინგლისურ მონარქიულ წრეთა გავლენა და 1963 წლის 10 დეკემბერს ზანზიბარმა მიიღო დამოუკიდებლობა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ფარგლებში. მონარქიული რეჟიმი უცვლელი დარჩა.

მიუხედავად ტანგანიკისა და ზანზიბარის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა, ორივე ქვეყანა როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად კვლავ ბრიტანეთის იმპერიალიზმის გავლენას განიცდიდა. მათი კონსტიტუციები შედგენილი იყო კოლონიური რეჟიმის დროს ინგლისის კოლონიების საქმეთა სამინისტროს მიერ და მოიცავდნენ მთელ რიგ ისეთ მუხლებს, რომლებიც ფაქტიურად აბათილებდნენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

1962 წ. 21 იანვარს ტანუს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ეშუამდგომლა ეროვნული კრების წინაშე წლის ბოლოსათვის ტანგანიკის რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. „ნებისმიერი აფრიკული ქვეყნისათვის, — განაცხადა ჯ. ნიერერემ, — ყოველგვარი ასოციაცია ყოფილ მეტროპოლიასთან, გარკვეულ პრობლემებს ქმნის... ასეთ პრობლემას წარმოადგენს ტანგანიკის კავშირი ინგლისის მონარქიასთან, ვინაიდან ჩვენ ვერ ავუხსნით ჩვენს ხალხს, თუ რატომ ჰყავს მას დედოფალი, რომელიც ლონდონში ცხოვრობს".

1962 წლის 9 დეკემბერს, განთავისუფლების პირველ წლისთავზე,

ტანგანიკა რესპუბლიკად გამოცხადდა. იმავე დღეს ეროვნული კრების საზეიმო სხდომაზე ფიცი დასდო რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ჯ. ნიერერემ, ხოლო ინგლისელმა გენერალ-გუბერნატორმა რ. ტერნბულმა სამუდამოდ დატოვა ტანგანიკა. ფართო აღმასრულებელი უფლებებით აღჭურვილ პრეზიდენტს ხუთი წლის ვადით ირჩევდნენ საყოველთაო არჩევნებით. ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს პარლამენტი წარმოადგენს, რომელიც შედგება პრეზიდენტისა და ეროვნული კრებისაგან. მხოლოდ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ მიიღო ტანგანიკის მთავრობამ ეროვნული პოლიტიკის გატარების საშუალება.

ზანზიბარის 1963 წ. კონსტიტუცია, ისევე როგორც ტანგანიკის 1961 წ. კონსტიტუცია, ფაქტიურად შედგენილი იყო ინგლისელთა მიერ. კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფოს მეთაური იყო „მისი უდიდებულესობა“ სულთანი. სულთანი ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს და ყველა მინისტრს, მინისტრთა საბჭო სულთანის სახელით ახორციელებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილი იყო ეროვნული საბჭო. ზანზიბარის კონსტიტუციური მონარქიის დასაყრდენს ფეოდალური არისტოკრატია წარმოადგენდა, რომელიც კვლავინდებურად ინგლისის მონოპოლიური კაპიტალის მფარველობით სარგებლობდა. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ზანზიბარის მონარქიულმა რეჟიმმა კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები ქვეყნის დემოკრატიულ ძალთა მიმართ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში პარტია აფრო-შირაზი აღმოჩნდა. მიუხედავად მკაცრი პოლიტიკური ტერორისა, ზანზიბარის პროგრესული საზოგადოებრივობა აფრო-შირაზის ხელმძღვანელობით სისტემატურად ამხელდა მონარქიულ-პარლამენტური რეჟიმის ანტიეროვნულ პოლიტიკას და ფართო მასებს რაზმავდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მოკლე ხანში ზანზიბარის რეჟიმმა სრულებით დაკარგა ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით და 1964 წ. 12 იანვრის რევოლუცია მოვლენათა განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა. მონარქია დაემხო. ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ პატრიოტული ძალები პარტიების აფრო-შირაზის და უმა-ს ხელმძღვანელობით. რევოლუციური მთავრობის დეკრეტით გამოცხადდა ზანზიბარისა და პემბის სახალხო რესპუბლიკის შექმნა. საშინაო პოლიტიკის პროგრამა ითვალისწინებდა ანტიფეოდალიზმს, ანტიკაპიტალიზმს და სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას.

მოვლენათა მსვლელობამ დღის წესრიგში დააყენა ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანება. გაერთიანებას ხელს უწყობდა მათი გეოგრა-

ფიული მდებარეობა, ენობრივი ერთობა (სუახილი), მონათესავე კულტურა და ადათ-ჩვეულები. 1964 წ. 22 აპრილს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ტანგანიკის რესპუბლიკისა და ზანზიბარისა და პემბის სახალხო რესპუბლიკის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ, ხოლო 26 აპრილს ოფიციალურად გამოცხადდა ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანებული რესპუბლიკა (შემდგომში მან მიიღო სახელწოდება ტანზანია). გაერთიანებული რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჯ. ნიერერე, პირველ ვიცე-პრეზიდენტად შეიხი ა. კარუმე. 1965 წ. 25 აპრილს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელსაც ეწოდა ტანზანიის დროებითი კონსტიტუცია.

ტანზანიის ეკონომიურ წყობას ახასიათებს საწარმოო ურთიერთობათა და საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნება. სოციალ-ეკონომიურ წყობათა ძალზედ რთული მოზაიკა მოიცავს როგორც კოლონიალიზმამდელ, ასევე კოლონიური პერიოდისათვის დამახასიათებელ და თავისუფალ განვითარების პერიოდში წარმოქმნილ და განმტკიცებულ ფორმებსაც. ხშირად ეს ფორმები ისე მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული, რომ სახელმწიფოს ეკონომიური წყობა მეტად რთულსა და ურთიერთსაწინააღმდეგო სურათს ღებულობს.

ყოფილი კოლონიური რეჟიმის გავლენა დღესაც იგრძნობა ქვეყნის ეკონომიკაში, სადაც წამყვანი როლი კვლავინდებურად სოფლის მეურნეობას უკავია. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე მოდის ქვეყნის სავალუტო შემოსავლის 80 პროცენტი. ქვეყნის სუსტად განვითარებული მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია სამთოდამმუშავებელი და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა პირველადი გადამმუშავებელი დარგებით. ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა 14 პროცენტს არ აღემატება. ტანზანიის 10 მილიონი მოსახლეობიდან ქალაქებში მხოლოდ 400 000 კაცი ცხოვრობს. მოსახლეობის ცხოვრების დონე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით აღინიშნება.

იმის გამო, რომ ტანზანიის ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად დასრულებული, ტანგანიკა და ზანზიბარი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საწარმოო ურთიერთობათა და საკუთრების ფორმებით.

ტანგანიკაში ჯერ კიდევ დიდია ნატურალური და ნახევრად ნატურალური მეურნეობის ხვედრითი წონა, რასაც თან სდევს მიწათმფლობელობის პატრიარქალური წესი. ამგვარი სოციალ-ეკონომიური წყობის

ერთგვარი სტაბილურობა გაპირობებულია აფრიკული სოფლისათვის დამახასიათებელი საწარმოო ძალების განვითარების ძლიერ დაბალი დონით. უკანასკნელია აგრეთვე ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გლეხობის საერთო ჩამორჩენილობისა, რომელნიც ქვეყნის ამ ნაწილში მთელი მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენენ. სოციალურ ფენებად დაყოფის პროცესი აქ ჯერ არ გამოკვეთილა, რის გამოც შედარებით სტაბილურია პატრიარქალურ-გვაროვნული საზოგადოება.

კოლონიურმა რეჟიმმა, ისევე როგორც სხვაგან, ტანგანიკაშიც დაანუხრუჭა კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა განვითარება ეროვნულ საწყისებზე. ეროვნული კაპიტალის მოღვაწეობის სფერო ამოიწურა ძირითადად საცალო ვაჭრობით, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა პირველადი გადამუშავებით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებით. მთლიანად, აღნიშნულ სექტორს უმნიშვნელო ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში. ამასთანავე ეროვნული კაპიტალის უდიდესი ნაწილი ინდოელთა და არაბთა ხელშია. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მთელი მიწა ნაციონალიზებულია, საპლანტაციო მეურნეობის დიდი ნაწილი (60%), რომელიც ადრე კერძო უცხოურ კაპიტალს ეკუთვნოდა, ეკონომიური მოსაზრებებით 99 წლის ვადით იჯარით გადაეცათ ძველ მეპატრონეთ. უცხოურ კაპიტალს ეკუთვნის აგრეთვე სამთო-დამმუშავებელი მრეწველობის გარკვეული ნაწილი, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ნაწილი და სხვ.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შესაძლებელი გახდა ტანგანიკის ეკონომიური განვითარება ეროვნულ ინტერესებში. საწარმოო ძალთა განვითარების მძლავრ სტიმულიზატორად იქცა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო სექტორის განვითარება-გაძლიერება წარმოადგენს ეკონომიკის კოლონიური სტრუქტურისაგან განთავისუფლების საუკეთესო გარანტიას. ტანგანიკაში დღითი დღე ძლიერდება სახელმწიფო სექტორი.

1965 წ. მთავრობამ ეროვნული ეკონომიკის განვითარების საჭიროებისათვის შინაგანი რესურსების მობილიზაციის პროგრამა წამოაყენა. ამ მიზნით გაიზარდა გადასახადი კორპორაციათა მოგებაზე, ერთი წლით შემოიღეს ეკონომიური განვითარების გადასახადი, რომლის თანახმადაც ყველა მოქალაქე, ვისი თვიური ხელფასიც 10 გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა, 50 პროცენტს იხდიდა გადასახადის სახით.

1965 წ. იანვარში დაარსდა განვითარების ეროვნული კორპორაცია,

რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს — 1. ქვეყნის ეკონომიური პროგრესისათვის აუცილებელ ობიექტთა მშენებლობის ხელშეწყობა. 2. კომერციულ პროექტთა განხორციელების ხელშეწყობა. 3. სახელმწიფოს დამატებითი შემოსავლის უზრუნველყოფა. კორპორაცია შეიქმნა ტანგანიკის განვითარების კორპორაციისა და ტანგანიკის სოფლის მეურნეობის კორპორაციის გაერთიანების შედეგად. განვითარების ეროვნულ კორპორაციას გადაეცა სამრეწველო და სხვა კომპანიათა აქციები და ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ტანზანიის მთავრობის ხელში იყო. კორპორაციის კაპიტალი ძირითადად შედგება ეროვნულ და უცხოურ კომპანიათა ინვესტიციათაგან მიღებული შემოსავლიდან.

უკვე 1960 წლისათვის განვითარების ეროვნული კორპორაცია მონაწილეობდა 39 სამრეწველო, საფინანსო, სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტო და სხვ. კომპანიისა და ფირმის მოღვაწეობაში. მას ეკუთვნოდა ფირმის „ვილიამსონ დაიმონდ"-ის (ალმასმომპოვებელი) აქციათა 50 პროცენტი, „ტანგანიკა პეკერს"-ის (ხორცის კონსერვთა წარმოება) — 51 პროცენტი, „ტანგანიკა პორტლენდ სემენტ"-ის (ცემენტის წარმოება) — 20 პროცენტი, „რალლი ესტეიტს"-ის (სიზალის წარმოება) — 50 პროცენტი და სხვ.

1966 წ. ივნისს ხანგრძლივი და გულდასმითი მომზადების შემდეგ დაარსდა ტანზანიის ცენტრალური ბანკი, რაც დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა; ცენტრალური ბანკის არსებობით მთავრობას მიეცა ინვესტირებულ კაპიტალზე კონტროლის საშუალება. იმავე წელს ვატარდა ფულადი რეფორმა, ცენტრალურმა ბანკმა გამოუშვა ეროვნული ვალუტა ტანზანიის შილინგი, რომელმაც 1967 წ. სექტემბერ-ოქტომბერს შეცვალა აღმოსავლეთ აფრიკული შილინგი. ტანზანიის ეკონომიური განვითარების პროცესში გარდამტეხ მომენტს წარმოადგენდა 1967 წ. თებერვალი, როდესაც ქ. არუშაში მიიღეს სპეციალური დეკლარაცია. არუშის დეკლარაციით გამოცხადდა განვითარების სოციალისტური კურსი. დეკლარაციით გათვალისწინებულ იქნა სოციალ-ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა ფართო გეგმა. მთავრობის ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა სოციალურ პრობლემებზე. გლეხური სექტორის მონაწილეობის გარეშე ტანზანიაში პრაქტიკულად შეუძლებელია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების მიზნით რაიმე ღონისძიების გატარება. ამიტომ მთავრობამ და ტანუმ თავიანთი პრაქტიკული მუშაობის ცენტრი სწორედ სოფელზე გადაიტანეს. ძირითადად სოფელი წარმოადგენს ტანუს

ახალგაზრდული ლიგისა და ქალთა კავშირის მოღვაწეობის სფეროს. ტანზანიის ეკონომიკაში გლეხური სექტორია ყველაზე დინამიკური, ხოლო სიტყვა — „უჯამაა“ იქცა ტანზანიის სოფლის და ყველაფრის, რაც კი სოფელთანაა დაკავშირებული, სიმბოლოდ.

სუახილის ენაზე „უჯამაა“ ნიშნავს თანამშრომლობას, ძმობას, თემურ სოფელს და სოციალიზმსაც კი. ამგვარი სოფლის შესაქმნელად აქტიურად გამოდიოდა ტანუ. თვითონ ჯ. ნიერერემ ამგვარი შეფასება მისცა „უჯამაას“ — „უჯამაას“ ჯერ არ მოუხდენია სასწაული. მე არაერთხელ ვყოფილვარ ამგვარ სოფლებში, სადაც გამოკრულია აბრები —„სოციალიზმის სოფელი“. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იქ უკვე სოციალიზმია, ეს უფრო სურვილს, მისწრაფებას, მომავალს გამოხატავს. „უჯამაა“ არც კოპერატივია. ჯერჯერობით ეკონომიური თვალსაზრისით კოოპერატივი უფრო დამოუკიდებელი და უფრო მდიდარია“. „უჯამაას“ პრაქტიკაში გათვალისწინებულია პოლიტიკური ფაქტორიც: დიდ დასახლებულ პუნქტში იოლია პარტიის განყოფილების შექმნა, ხოლო 3-5 ქოხიანი დასახლებული პუნქტი პარტიის მოღვაწეობის სფეროს მიღმა რჩება.

ტანზანიის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ „უჯამაა“ შეიცავს აგრეთვე ერის ფორმირებისათვის აუცილებელ ელემენტებსაც. მაგალითად, სოფელ მანგიდას „უჯამაა“ აერთიანებს ორ ტრადიციულად ურთიერთმოსისხლე ტომს — ნიატურს და ვამანგატის. მათ შორის უკანასკნელი სისხლიანი შეტაკება 1966 წ. მოხდა. ამჟამად სადავო მიწა და წყარო საერთოა; შეტაკების ადგილას კი სამკითხველოა აშენებული.

ერთდროულად ტანზანიაში ნაციონალიზებულ იქნა ყველა უცხოური ბანკი, სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა აგრეთვე კვების მრეწველობის 8 მსხვილი საწარმო, 24 მსხვილი კომპანია, სახელმწიფომ თავის ხელში აიღო 12 კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტები, სახელმწიფოს კონტროლი დაწესდა აგრეთვე ყველა სადაზღვევო კომპანიაზე, საექსპორტო-საიმპორტო ფირმებზე, უცხოელთადმი კუთვნილ სიზალის პლანტაციებზე. გამოცხადდა, რომ საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო იძლეოდა „სრული და სამართლიანი“ კომპენსაციის გარანტიას. უნდა აღინიშნოს, რომ ტანგანიკაში ნაციონალიზაციის პროცესი მიმდინარეობს სრული კომპენსაციის პირობებში. „ნაციონალიზაცია, რომელსაც თან ახლავს კომპენსაცია, — განაცხადა ნიერერემ, — კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად ქცევის ინგლისური მეთოდია.“

არუშის დეკლარაციით გათვალისწინებულ ქვეყნის შემდგომ სოციალურ-პოლიტიკურ გარდაქმნათა პროცესში ტანზანიის მთავრობამ 1967 წ. ოქტომბერში მოახდინა სიზალის მსხვილ კერძო პლანტაციათა ნაციონალიზაცია, რის შედეგადაც სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა ტანზანიაში სიზალის მთელი წარმოების 60 პროცენტი. აღნიშნულ აქტთან დაკავშირებით 1967 წ. 31 ოქტომბერს პრეზიდენტმა ჯ. ნიერერემ განაცხადა, რომ ტანზანიას არ შეუძლია რაიმე ფორმაში ცნოს კერძო ინტერესთა კონტროლი თავის ეკონომიკაზე და ვერ შეპირდება ინვესტორებს, რომ მათი მოღვაწეობის სფერო სამუდამოდ მათ იმპერიად დარჩება.

როგორც არუშის დეკლარაცია, ასევე მისი შემდგომი პერიოდის ღონისძიებანი წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიური განვითარების საკუთარ ახალ პროგრამას.

ტანზანიის მთავრობამ მოკლე პერიოდში ჩაატარა ნაციონალიზაციის კამპანია, რის შემდეგ ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი სახელმწიფო კომერციული ბანკის შესახებ, დაარსდა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ეროვნული საბჭო. მთავრობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკაში სწრაფმა გატარებამ ცხადყო, რომ არუშის დეკლარაცია იქცა ტანუს კონკრეტული მოღვაწეობის პროგრამად.

ტანზანიის მთავრობის ღონისძიებებმა დასავლეთის იმპერიალისტურ წრეთა შეშფოთება გამოიწვიეს. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ პირდაპირ გააფრთხილა ჯ. ნიერერეს მთავრობა, რომ „ტანზანიის მთავრობის ღონისძიებები და გამოქვეყნებული გეგმები, ეჭვგარეშე, დააფრთხობს უცხოურ კაპიტალს, რომელიც ასე დიდ საჭიროებას წარმოადგენს აქ.“ ამავე დროს ნაციონალიზაციის მხარდაჭერით გამოვიდნენ მოსახლეობის ფართო მასები. პროგრესული საზოგადოება ნაციონალიზაციას განიხილავდა როგორც ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოძალების წინააღმდეგ აუცილებელ ღონისძიებას.

ტანზანიის მთავრობა ცდილობს ქვეყნის ეკონომიური განვითარების გეგმიან საწყისებზე განვითარებას. გარდა საერთო სახელმწიფოებრივი დაგეგმვისა, ოლქების, რაიონებისა და სოფლების უმრავლესობაც კი ახორციელებს ადგილობრივი მნიშვნელობის დაგეგმვას. ე. წ. „განვითარების სახალხო გეგმების“ შედგენა და მის განხორციელებაში მთავრობის დახმარება შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული მმართველობის რეორგანიზაციის შემდეგ. ადმინისტრაციული აპარატის რეფორმის შემდეგ ოლქებში, რაიონებსა და სოფლებში ადმინისტრაციული თანამდებობანი დაიკავეს მხოლოდ აფრიკელებმა, ტანუს წევრებ-

მა. ადმინისტრაციული აპარატის ყველა უჯრედში შეიქმნა განვითარების საარაინონ და სასოფლო კომიტეტი. კომიტეტებში შედიან ტანუს ადგილობრივი ორგანიზაციის, კოოპერატივთა, ტანუს ახალგაზრდული ლიგის და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომიტეტები ადგენენ სოფლის მეურნეობის განვითარების დამოუკიდებელ გეგმებს, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებებს. კომიტეტების მიერ დასახული გეგმებისა და ღონისძიებათა განხორციელება წარმოებს როგორც ადგილობრივი რესურსებით, ასევე ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით.

გარდა ქვემოდან დაგეგმვისა, ცენტრალური ხელისუფლება ადგენს და ახორციელებს მთელი ქვეყნის ეკონომიური განვითარების პერსპექტიულ პროგრამას. ტანგანიკის ეკონომიური განვითარების პირველი სამწლიანი გეგმა 1961/62 — 1963/64 წწ. მოიცავდა. გეგმის მთავარი დანიშნულება სიღარიბისა და ჩამორჩენილობის სალიკვიდაციო ღონისძიებათა საძირკვლის ჩაყრაში მდგომარეობდა. გეგმით გათვალისწინებულ 480 მლნ ტანზანიური შილინგიდან (24 მლნ გირვანქა სტერლინგი) სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროექტის განხორციელებისათვის, საირიგაციო სისტემის სამუშაოთათვის და საგზაო მშენებლობათათვის განკუთვნილი იყო მთელი თანხის 60 პროცენტზე მეტი. თანხის 80 პროცენტი სახელმწიფოს გარეშე წყაროებიდან უნდა მიეღო. უკანასკნელი გარემოება იყო იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ გეგმა მთლიანად არ იქნა შესრულებული და საერთო კაპიტალდაბანდებამ მხოლოდ 360 მლნ ტანზანიური შილინგი შეადგინა. 1964 წლის მაისში ეროვნულმა ასამბლეამ დაამტკიცა ტანზანიის ეკონომიური განვითარების 5-წლიანი გეგმა 1964-1969 წწ. გეგმა გათვალისწინებული იყო როგორც ქვეყნის ეკონომიური განვითარების პერსპექტიული პროგრამის (იგი მოიცავდა პერიოდს 1980 წლამდე) პირველი რგოლი. ტანზანიის მთავრობის დავალებით გეგმა შეადგინა ფრანგ და ინგლისელ სპეციალისტთა ჯგუფმა. ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ გეგმის მთავარი ამოცანაა „ეკონომიკის უფრო ბალანსირებული სტრუქტურის შექმნა, სასაქონლო ფულად ურთიერთობებში სოფლის მეურნეობის წარმოების უფრო ფართო მონაწილეობით უცხოური მზა პროდუქციის იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულების შემცირება.“ მთლიანად 5-წლიანი გეგმა შეიძლება განვიხილოთ როგორც მთავრობის რეკომენდაცია კერძო სექტორისადმი ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში კაპიტალის დაბანდების შესახებ.

ტანუს მეთოთხმეტე ყრილობაზე, რომელიც დარ-ეს-სალამში 1969 წლის მაის-ივნისში შედგა, განხილულ და მოწონებულ იქნა ტანზანიის მეორე 5-წლიანი გეგმა. „მეორე ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს ვეგმას ქვეყნის ეკონომიკისათვის, რომელიც იმყოფება სოციალისტურ საწყისებზე გადასვლის პროცესში, — წერდა ტანზანიის გაზეთი „სტანდარდი" 1969 წლის მაისში, — ის შემუშავებულია არუშის დეკლარაციის მოთხოვნილებათა შესაბამისად. სოციალისტურ პრინციპთა შესაბამისად სასოფლო რაიონთა განვითარება ამ გეგმის საფუძველს წარმოადგენს."

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა 305 მლნ ტანზანიური შილინგის გამოყოფას დარ-ეს-სალამ-ლუსაკას (ზამბია) შორის რკინიგზის ხაზის გაყვანის საჭიროებისათვის. ამ თანხიდან 200 მლნ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ იკისრა.

ხსენებული რკინიგზის მშენებლობის გეგმა დიდი ხანია რაც მზადდებოდა აღმოსავლეთ აფრიკის ამ ორ ქვეყანაში. რკინიგზის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა კარგადაა ცნობილი; ზამბია მიიღებს მეგობრული ქვეყნის ტერიტორიით ოკეანეში გასვლის საშუალებას, ხოლო ტანზანიის მთავრობა რკინიგზის ხაზს უკავშირებს საკუთარი მეტალურგიული ბაზის შექმნის გეგმებს; რკინიგზის ხაზი გაივლის ქვანახშირითა და რკინის მადნით მდიდარი რაიონების სიახლოვეს, ამ რაიონთა ექსპლოატაცია შეუძლებელია კომუნიკაციათა სუსტი ქსელის გამო. როგორც ტანზანია, ასევე ზამბია, ადრე უშედეგოდ მიმართავდნენ დახმარების თხოვნით დასავლეთის ქვეყნებს. ამიტომ 1967 წ. გამოქვეყნებულმა ცნობამ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დათანხმდა დახმარება აღმოეჩინა ამ 1880 კმ-იანი მაგისტრალის მშენებლობაში, საყოველთაო ინტერესი გამოიწვია არა მხოლოდ აფრიკაში, არამედ მის გარეთაც; 1969 წ. ოქტომბერში ინგლისური გაზეთი „სან"-ი ეხებოდა რკინიგზის მშენებლობის გეგმას და აღნიშნავდა ინგლისის განსაკუთრებულ დაინტერესებას. მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ბუნებრივია, გაიზრდება ჩინეთის გავლენა როგორც ზამბიაში, ასევე ტანზანიაში, ხოლო ინგლისის მრეწველობა სპილენძის მთელი თავისი მოთხოვნილების ნახევარს ზამბიიდან ექსპორტით აკმაყოფილებს. გაზეთი სინანულს გამოსთქვამდა იმის გამო, რომ 1965 წ., როდესაც ზამბიის პრეზიდენტმა კ. კაუნდამ არქივიდან ამოიღო ე. წ. „ტანზანიის რკინიგზის" ძველი პროექტი და მის განსახორციელებლად ფინანსური დახმარება სთხოვა ინგლისსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს, უკანასკნელი პროექტი დასავლე-

ში არარეალურად ჩათვალეს. ინგლისის მთავრობის მიერ პროექტის უარყოფის მიზეზი კი ის იყო, რომ იმ პერიოდში იგი ჯერ კიდევ იმედოვნებდა ი. სმიტის მთავრობასთან შეთანხმებას, ხოლო ზემოხსენებული რეკომენდაციის მშენებლობა დიდ ფინანსურ ზარალს მიაყენებს როდეზიის რეკომენდაციას, რომლის მესაკუთრეთა შორის ბევრი ინგლისელია.

ტანზანიის კუნძულოვან ნაწილზე, ზანზიბარზე, ჯერ კიდევ 1964 წლის ანტიფეოდალური, ანტიიმპერიალისტური რევოლუციის შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა არაკაპიტალისტური ხასიათის ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ გარდაქმნათა გასატარებლად. მთელი მიწა საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა და გლეხობას გადაეცა. სახელმწიფო და კოოპერატიული მეურნეობანი შეიქმნა მსხვილ პლანტაციებზე. უკვე 1966 წლის იანვრისათვის ნაციონალიზებული იყო 650-ზე მეტი მსხვილი პლანტაცია. ნაციონალიზებულია აგრეთვე თითქმის ყველა მსხვილი და საშუალო სიდიდის სამრეწველო საწარმო, რომლებიც ადრე უცხოური ან ადგილობრივი კერძო კაპიტალის ხელში იმყოფებოდა. ნაციონალიზაცია აქ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გატარდა. შეიქმნა სახელმწიფო სავაჭრო კორპორაციები, რომელთა კონტროლქვეშ იმყოფება მთელი იმპორტის 40 და ექსპორტის 80 პროცენტი.

ტანზანიის კანონმდებლობით დადგენილმა ეკონომიურმა საფუძველმა განსაზღვრა ქვეყნის კლასობრივი სტრუქტურა. ტანზანიაში, ისევე როგორც ტროპიკული აფრიკის სხვა ქვეყნებში, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა კლასთა ფორმირების პროცესი. თუმცა აქ ჭირს სოციალურ ძალთა მკვეთრ გამიჯვნაზე ლაპარაკი, მაგრამ კლასები ფაქტიურად უკვე არსებობენ და დღითი დღე ვითარდებიან. ვითარდება აგრეთვე ახალი სოციალური სტრუქტურა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება კოლონიური პერიოდის სოციალური სტრუქტურისაგან.

ტანგანიკაში პირობითად კლასებად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული ბურჟუაზია, ფეოდალურ-ტომობრივი არისტოკრატია, გლეხობა და მუშები. ეროვნული ბურჟუაზია, კოლონიური პერიოდის შეზღუდვათა შედეგად სუსტი და მცირერიცხოვანია. იგი ნელი ტემპებით იზრდება და ქვეყნის ეკონომიკაში არსებით როლს არ ასრულებს. ეროვნული ბურჟუაზიის უდიდესი ნაწილი ინდური და არაბული წარმოშობისაა. მის ხელთაა ქვეყნის მთელი საშინაო ვაჭრობა და მრეწველობის ნაწილი. აფრიკული წარმოშობის ეროვნული ბურჟუაზია ძირითადად წარმოდგენილია ხელოსნებით, ვაჭრებით, წვრილი საქმოსნებით და სხვ. 1967 წ.

გატარებული ნაწილობრივი ნაციონალიზაციის შედეგად ბურჟუაზიის პოზიციები კიდევ უფრო შესუსტდა.

ქვეყნის შიგნით ბურჟუაზიის მთავარ დასაყრდენ ბაზას წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის პროდასავლეთურად განწყობილ მოხელეთა ნაწილი და უცხოურ კომპანიათა და ფირმების სამსახურში მყოფი მაღალხელფასიანი აფრიკელები. ადგილობრივი ელიტის არსებობა აძლიერებს ქონებრივ დიფერენციაციას მოსახლეობაში, ამწვავებს სოციალურ წინააღმდეგობებსა და აქედან გამომდინარე—კლასობრივ ბრძოლას. მეორე მხრივ, აღნიშნულ პროცესს ამუხრუჭებს მთავრობის პოლიტიკა, რომელიც წარმართულია სახელმწიფო და კოოპერატიული სექტორის გაძლიერებისაკენ, ადგილობრივი და უცხოური კერძო სექტორის მოღვაწეობის შეზღუდვისაკენ. არუშის დეკლარაციის მიღების შემდეგ მთავრობამ შეამცირა საშუალო და მაღალთანამდებობის პირთა ხელფასები, სახელმწიფო და პარტიული აპარატის თანამშრომლებს აეკრძალათ კერძომწარმოებლური მოღვაწეობა. 1967 წ. 25 ოქტომბერს პარლამენტის აქტით ეროვნული კრების წევრებს და მათ უახლოეს ნათესაებს აეკრძალათ ტანზანიასა და მის გარეთ კომპანიათა აქციების ფლობა, სარენტო შემოსავლიანი სახლების ფლობა, კერძო კომპანიათა ადმინისტრაციაში თანამდებობების დაკავება, ერთზე მეტი ხელფასის მიღება, პირადი საჭიროებისათვის მუშების დაქირავება. როგორც ქვეყნის მეორე ვიცე-პრეზიდენტმა რ. კავავამ განაცხადა, ხსენებული კანონი მიმართულია „რევოლუციის ლიდერად შენიღბულ კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ.“

გვაროვნულ ფეოდალურ არისტოკრატიას ტანზანიაში არ გააჩნია რაიმე რეალური გავლენა. იგი ძირითადად ეყრდნობა ტომობრივ-გვაროვნულ კავშირს, რომელსაც, მართალია, საუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია, მაგრამ უკანასკნელი სულ უფრო და უფრო ფორმალურ ხასიათს ღებულობს. პატრიარქალურ-ფეოდალური ფენის გავლენას ბოლო მოუღო „ირიბი მმართველობის“ გაუქმებამ ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ. ტრადიციულმა არისტოკრატიამ ერთბაშად დაკარგა ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები და მხოლოდ ფეოდალურ მესაკუთრედ იქცა. ამის შემდეგ მიუხედავად ფეოდალური ფენის არსებობისა, მას უკვე აღარ ძალუძს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე ამოცანებს.

თანახმად ტანზანიის კონსტიტუციისა, იურიდიულად დაკანონებულია ერთპარტიული სისტემა, რომელიც ტანგანიკაში ფუნქციონირებს

ტანუს, ხოლო ზანზიბარზე — აფრო-შირაზის სახით. ორივე პარტია რევოლუციურ-დემოკრატიულია, ხელმძღვანელობა სოციალისტური განვითარების მომხრეთა ხელშია (ამჟამად პარტიები გაერთიანებულია).

აფრიკის ზოგიერთი ერთპარტიული სისტემის ქვეყნებისაგან განსხვავებით (მაგ., აფრო-მალგაშეთის ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოები), სადაც ერთპარტიული სისტემა წარმოიშვა სხვა ოპოზიციური პარტიებისა და დაჯგუფებათა ძალდატანებითი ლიკვიდაციის შედეგად, ტანზანიაში ერთპარტიული სისტემა დაკავშირებულია ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სპეციფიკიდან გამომდინარე ობიექტურ მიზეზებთან.

საბჭოთა კავშირსა და ტანზანიას შორის დამყარებულ მეგობრულ ურთიერთობას საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპი. 1964 და 1966 წწ. ხელშეკრულებათა საფუძველზე საბჭოთა კავშირი ტექნიკურსა და ფინანსურ დახმარებას უწევს ტანზანიას. „ჩვენ გულწრფელად ვართ მადლობელნი და დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის დახმარებას ეროვნული კადრების მომზადებაში, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საქმიანი, მეგობრული კონტაქტები შემდგომში უფრო გაღრმავდება",—განაცხადა ზანზიბარის განათლებისა და ეროვნული კულტურის მინისტრმა ჰ. მაიომ 1969 წლის იანვარს საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულების 5 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე. ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანების საიუბილეო მიტინგზე ზანზიბარის პრეზიდენტმა ა. კარუმემ განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა კავშირის დახმარების მნიშვნელობა: „1964 წლის რევოლუციის შემდეგ,—თქვა პრეზიდენტმა,—ზანზიბარის ნაპირებთან გამოჩნდნენ ინგლისის სამხედრო ხომალდები დესანტით. ამ მომენტში საბჭოთა მთავრობა გამოვიდა განცხადებით, რომ ზანზიბარი წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს და არავის აქვს უფლება მის საშინაო საქმეებში ჩარევისა. საბჭოთა მთავრობის განცხადებიდან 12 საათის შემდეგ ინგლისის ხომალდებმა დატოვეს ზანზიბარის ტერიტორიული წყლები."

სოციალიზმის ბანაკთან მეგობრობის იდეა ფართო პოპულარობით სარგებლობს უკვე ქვეყნის საზოგადოებრიობაში. ტანზანიის პარლამენტის დეპუტატმა, ცნობილმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ ტემუმ უმრავლესობის აზრი გამოხატა 1971 წ. აგვისტოს პარლამენტში გამოსელისას, როდესაც განაცხადა: „დადგა დრო, როდესაც ჩვენ უფრო პოზიტიურად, ვიდრე ადრე, უნდა დავუახლოვდეთ აღმოსავლეთს, ვი-

ნაიდან ეს იქნება სოციალიზმთან გაერთიანება. უკანასკნელი კი დაგვეხმარება ჩვენ მიერ აღიარებული სოციალიზმის პოლიტიკის განხორციელებაში.

1969 წ. მარტში მიღებულ იქნა კანონი, რომლის ძალითაც კერძო სექტორში მოქმედ მეწარმეებს ევალებათ დაწვრილებით გააცნონ მუშებს საწარმოს მდგომარეობა და საქმიანობა კოლექტიური ხელშეკრულების დადების წინ. ამგვარი ღონისძიებით თავიდან უნდა იქნეს აცილებული არარეალური ვალდებულებანი როგორც მეწარმეთა მხრიდან, ასევე ტანგანიკის მშრომელთა ეროვნული კავშირის მხრიდანაც.

1969 წ. ივლისს ზანზიბარზე გატარდა მორიგი ნაციონალიზაცია, რის შედეგადაც თავისი საქმიანობა შეწყვიტა უცხოურ სანაოსნო კომპანიათა ყველა განყოფილებამ, მათ შორის ინგლისის, ჰოლანდიის, ინდოეთის, იტალიის და სხვ. უცხოურ კომპანიათა მთელი ფუნქციები გადაეცა ზანზიბარის საავაჭრო კორპორაციას. ხსენებული ნაციონალიზაცია წარმოადგენდა მთავრობის პოლიტიკის ლოგიკურ აქტს, რომელიც ითვალისწინებს საბოლოო ჯამში უცხოურ და კერძო საკუთრების სახელმწიფოს ხელში გადასვლას. 1969 წ. ნოემბერს გამოქვეყნდა მთავრობის დადგენილება კერძო სამგზავრო ავტობუსთა ნაციონალიზაციის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ რევოლუციის არსი მდგომარეობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციაში და ამიტომ ზანზიბარის მთავრობა თვალს ვერ დახუჭავს ნებისმიერი ფორმის ექსპლოატაციაზე.

1970 წ. აგვისტოს რევოლუციური საბჭოს დეკრეტით ზანზიბარსა და პემბაზე დაიხურა ყველა კერძო სამედიცინო პუნქტი და აიკრძალა ექიმთა კერძო პრაქტიკა. დეკრეტის დანიშნულებაა მოსახლეობის უზრუნველყოფა უფასო სამედიცინო მომსახურებით. 1971 წ. მაისს ზანზიბარზე ჩატარდა ფართო ღონისძიება კერძო საცალო ვაჭრობისა და წვრილი კერძო წარმოების კოოპერატივთა ხელში გადასაცემად. 1971 წ. 8 ივლისიდან ზანზიბარზე კერძო პირები აღარ ღებულობენ ლიცენზიას.

1972 წლის 7 აპრილს პარტია „აფრო-შირაზის" შტაბ-ბინაში მოკლეს ტანზანიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ზანზიბარის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ა. კარუმე. 11 აპრილს კი სახელმწიფო მინისტრი ა. ჯუმბე დაინიშნა რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ და „აფრო-შირაზის" პრეზიდენტად. 12 აპრილს ა. ჯუმბე ჯ. ნიერერემ დანიშნა პირველ ვიცე-პრეზიდენტად. ა. ჯუმბე ცნობილია როგორც ტანგანიკასთან

მეიდრო კავშირის აქტიური მომხრე, მაშინ როდესაც კარუმე ფართო ავტონომიის ერთგული იყო.

ხსენებულ მოვლენებამდე, ჯერ კიდევ 1969 წლის ოქტომბერს ზანზიბარის მთავრობამ სპეციალური დადგენილება მიიღო სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში საგანგებო რწმუნებით აღჭურვილ არმიის ოფიცერთა მიღლინების შესახებ. აღნიშნული ღონისძიების მიზანი სამოქალაქო თანამშრომელთა დისციპლინის ამაღლება და მათზე პოლიტიკური კონტროლის გაძლიერებაა.

1969 წ. ტანზანიაში გამოცხადდა ყველა კერძო სკოლის ნაციონალიზაცია. მთავრობამ თავის ხელში აიღო განათლების მთელი სისტემა. გაუქმდა ყოველგვარი რასობრივი და რელიგიური შეზღუდვები. ერთდროულად განათლების სამინისტრომ დაიწყო მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია. თითოეული სკოლა მუშებსა და გლეხებში წერა-კითხვის გავრცელების ადგილობრივ ცენტრად იქცა. განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცირკულარში აღნიშნული იყო, რომ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალიზმის გზაზე დამდგარ ტანზანიელთა საერთო განვითარებას. უფროსი ასაკის მოსახლეობის სწავლება კონცენტრირებულ იქნა პოლიტიკური შეგნების ამაღლების პრინციპზე. წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო მუშაობა წარიმართა ტანუს კონტროლით. ამჟამად განხორციელებულია წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის ოთხწლიანი პროგრამა, რომელიც 1975 წლის ბოლოს დამთავრდა. მარტო პირველი ორი წლის განმავლობაში წერა-კითხვა ისწავლა 5 მილიონმა კაცმა. სპეციალისტთა აზრით ტანზანიაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის პროგრამა თავისი მასშტაბებითა და მიზნებით მკვეთრად გამოირჩევა აფრიკის სხვა ქვეყნების პროგრამებისაგან.

1970 წ. ტანზანიის მთავრობამ გამოისყიდა ორი უდიდესი ნავთობმომპოვებელი კომპანიის — „შელ ტანზანია ლიმიტედ"-ის და „ადჯიპ ტანზანია ლიმიტედ"-ის აქციათა 50 პროცენტი. ცოტათი ადრე ნაციონალიზებულ იქნა სატრანსპორტო კომპანია „დარ-ეს სალამ მოტორ ტრანსპორტ"-ი. ერთდროულად გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი უცხოელ სპეციალისტთა ადგილობრივი კადრებით შეცვლის მიზნით. 1970 წლის ბოლოსათვის განვითარების ეროვნული კორპორაციის და სახელმწიფო სავაჭრო კორპორაციის გამგეობაში იყო მთელი საბითუმო ვაჭრობა, ექსპორტი და იმპორტი.

ქვეყნის ეროვნული კადრების მომზადების საქმეში დადებითი როლი შეასრულა 1970 წლის ივნისში დარ-ეს-სალამის უნივერსიტეტის ეროვნულ უნივერსიტეტად გადაკეთებამ. მანამდე იგი საერთო აღმოსავლეთაფრიკული უნივერსიტეტის ფილიალს წარმოადგენდა.

1970 წლის ხუთ ივლისს საყოველთაო არჩევნებით ჯ. ნიერერე კვლავ აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად. მის კანდიდატურას ხმა მისცა ამომრჩეველთა 95 პროცენტმა. 1972 წლის 18 თებერვალს კი ტანზანიაში შეიქმნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ქვეყნის პირველი პრემიერი გახდა მეორე ვიცე-პრეზიდენტი რ. კავავა.

1971 წლის მარტში ტანზანიის მთავრობამ დამოუკიდებელი არსებობის ისტორიაში პირველად, ფართო მასებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის განვითარების 1971-1972 წწ. გეგმაში, სანამ ვეგმას დასამტკიცებლად წარუდგენდნენ ტანუს ეროვნულ აღმასკომს და ტანზანიის ეროვნულ კრებას. „ეყრდნობა რა რიგ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ტანზანია აშენებს სოციალისტურ ეკონომიკას, — აღნიშნულია გეგმის პროექტში, — ეს ინსტიტუტები უნდა იმყოფებოდნენ საზოგადოებრიობის განკარგულებაში და მათი მოღვაწეობა უნდა იყოს გეგმიური.“ გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდების გაზრდას 48 პროცენტიდან 55 პროცენტამდე. გეგმაში აღნიშნულია, რომ 1971 წლისათვის სულ იყო 1600 სოფელი „უჯამაა“, მაგრამ მათი სოციალისტური განვითარების დონე ხშირად არათანაბარია. ამიტომ გეგმა ითვალისწინებს უფრო სერიოზულ მიდგომას აღნიშნული საკითხისადმი და არამწარმოებლური სოფლისათვის ფინანსური დახმარებიდან თავის შეკავებას.

1971 წლის 18 სექტემბერს დარ-ეს-სალამში მუშაობა დაიწყო ტანუს მორიგმა ყრილობამ. მოხსენებით „ტანზანია — 10 წელი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“ გამოვიდა პარტიის თავმჯდომარე ჯ. ნიერერე, რომელმაც ანალიზი გაუკეთა ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის პირველ ათ წელს და დაწვრილებით დაახასიათა პარტიის მიზნები და ამოცანები განვითარების ყველა ეტაპზე.

ჯ. ნიერერემ ხაზგასმით აღნიშნა ისეთ ღონისძიებათა უდიდესი მნიშვნელობა როგორიცაა 1962 წ. რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღება, სოფლის რაიონებში „თვითდახმარების“ პროგრამის განხორციელება, მიწების ნაციონალიზაცია და ტანგანიკის განვითარების კორპორაციის დაარსება, 1965 წელს მიღებული ერთპარტიული სისტემის

პრინციპი. განსაკუთრებით იყო აღნიშნული 1964 წლის აპრილში ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანების მნიშვნელობა.

ტანზანიის პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვან მოვლენად დაახასიათა პრეზიდენტმა 1967 წლის თებერვლის არუშის დეკლარაცია, რომელმაც განსაზღვრა განვითარების არაკაპიტალისტური გზა, სტიმული მისცა სასოფლო რაიონთა განვითარების პოლიტიკას და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსად აღიარა მიუმხრობლობის პრინციპი. ტანუს პროგრამის განხორციელების პროცესში მთლიანად იქნა რეორგანიზებული ქვეყნის ეკონომიური სტრუქტურა. ჯ. ნიერერემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიწა, ძირითადი სამრეწველო, საავაჭრო და სადაზღვევო დაწესებულებები და წარმოებები უკვე სახელმწიფოს ხელში იმყოფება, ეკონომიკის ბევრ სფეროში წარმატებით ვითარდება კოოპერირება. სახელმწიფო და პარტიული აპარატის სტრუქტურა შეხამებულია ქვეყნის ეკონომიური განვითარების საჭიროებებთან.

პრეზიდენტი დაწვრილებით შეჩერდა მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და საზოგადოებრივი შემოსავლის ამაღლების საკითხებზე. 1957—1967 წწ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 37 წლიდან 41 წლამდე გაიზარდა. ამავე წლებში განვითარების სხვადასხვა პროგრამათა ხარჯების მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენდნენ უცხოეთის სესხები და სუბსიდიები, დანარჩენი 70 პროცენტი კი უზრუნველყოფილი იყო შინაგანი რესურსებით. სათეს ფართობთა გაზრდის საშუალებით ორჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის ძირითად კულტურათა მოსავალი. თავისი მოხსენების დასკვნით ნაწილში ჯ. ნიერერემ აღნიშნა, რომ ტანზანიამ უკვე განვლო თავისი განვითარების ორი პერიოდი — დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდი და თვითგამორკვევის პერიოდი. ამჟამად კი ქვეყანა შედის მესამე პერიოდში — ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში.

ტანზანიის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს კოლონიალიზმის, რასიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პრინციპები. ტანზანია წარმოადგენს აფრიკაში კოლონიალიზმისა და რასიზმის მიერ ყველა დევნილის ტრადიციულ თავშესაფარს. დღეს აქ ცხოვრობს ათეულობით ათასი ანტირასისტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, როდეზიიდან, წლების განმავლობაში ტანზანია საიმედო თავშესაფარი იყო პორტუგალიის ფაშისტური რეჟიმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ანგოლის, მოზამბიკის გვინეი-ბისაუს მცხოვ-

რებთათვის. აქ იმყოფებოდა პორტუგალიის კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციათა შტაბ-ბინები.

ტანზანიაში მოქმედებს სპეციალური კანონი, რომლის ძალითაც ქვეყნის ტერიტორიაზე თავშეფარებულ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანიზაციათა მოღვაწეობის ყოველგვარი ხელის შეშლა ისჯება როგორც მძიმე დანაშაული.

1963 წ. თებერვალს ტანზანიაში, ქ. მოშში გაიმართა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მესამე კონფერენცია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გაძლიერებაში. 1965 წ. აგვისტოში დარ-ეს-სალამში შედგა აფრიკაში პორტუგალიის კოლონიათა მოზამბიკის, ანგოლის, „პორტუგალიის" გვინეის, სან-ტომეს, მწვანე კონცხის კუნძულების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა მეორე კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და კოორდინირების აქტუალური საკითხები. „აფრიკის კონტინენტის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი არასოდეს დაივიწყებენ იმ ძმურ დამოკიდებულებასა და დახმარებას, რასაც ისინი ღებულობენ ტანზანიის ხალხისა და მთავრობისაგან," წერდა ჟურნალი „აფრიკენ კომუნისტი". 1965 წ. იანვარში ტანზანიის მთავრობამ ქვეყნიდან გააძევა ამერიკელ დიპლომატთა მთელი ჯგუფი ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდისათვის. იმავე წლის თებერვალში კი უარი განაცხადა გფრ-ის სამხედრო „დახმარებაზე", როდესაც უკანასკნელმა დარ-ეს-სალამში გდრ-ის გენერალური საკონსულოს გახსნის საპასუხოდ ტანზანიის მთავრობას ჰალშტეინის დოქტრინით დაემუქრა. ჯ. ნიერერემ გადაჭრით დაგმო სამხედრო გადატრიალება განაში როგორც აფრიკის ერთობისა და სუვერენიტეტის საწინააღმდეგოდ მიმართული აქტი. 1969 წ. 27 თებერვალს გაზეთი „ნეშნელისტი" იუწყებოდა, რომ ახლო მომავალში „მშვიდობის კორპუსის" უკანასკნელი მოხალისეები დატოვებდნენ ტანზანიას. მთავრობის გადაწყვეტილებას გაზეთი ასაბუთებდა საკუთარ ძალებზე დაყრდნობის პოლიტიკით, აგრეთვე ვიეტნამში აშშ-ს პოლიტიკით.

აფრიკის ერთობის ორგანიზაციის დაარსების დღიდან ტანზანიის მთავრობა აქტიურად მონაწილეობს მის ყოველდღიურ საქმიანობაში. თანახმად ორგანიზაციის რეზოლუციისა, მან 1965 წ. დეკემბერს დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ინგლისთან, როდესაც უკანასკნელმა არავითარი გადამჭრელი ზომები არ მიიღო სამხრეთ როდეზიის წინააღმდეგ. აფრიკის ერთობის ორგანიზაციის 1966 წლის ნოემბრის

სესიაზე ტანზანია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან, მალისთან, ალჟირთან, კონგოსთან (ბრაზავილი) ერთად გადაჭრით გამოვიდა აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთაც სურდათ ორგანიზაციისათვის ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური არსი ჩამოეშორებინათ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ტანზანიის დელეგაცია სისტემატურად გამოდის დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინადადებებისა და ინიციატივათა მხარდაჭერით. ტანზანიის მთავრობამ ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ და მტკიცედ ადგას სამხედრო ბლოკებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკას. როგორც ტანუს ორგანო, გაზეთი „ნეშნელისტი“ აღნიშნავს, „სოციალიზმის მშენებლობა ტანზანიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული მიუმხრობლობის პოლიტიკასთან. მიუმხრობლობის ჩვენი პოლიტიკა, — წერს გაზეთი, — არ წარმოადგენს უარყოფით იზოლაციონიზმის აქტს. ეს პოლიტიკა ნიშნავს აქტიურსა და დინამიკურ ნეიტრალიტეტს, რომელიც ითვალისწინებს, რომ დიდსა და პატარა ხალხებს შეუძლიათ და კიდეც უნდა იცხოვრონ მშვიდობიანად, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა უნდა იყოს კონკრეტული, რომ ამა თუ იმ სამხედრო ბლოკისადმი მიმხრობა გააძლიერებს მსოფლიო ომის საფრთხეს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების არსებობა შეუთავსებელია ჩვენს სუვერენიტეტთან.“

1969 წ. როდეზიაში ჩატარებული „რეფერენდუმის“ საპასუხოდ ტანზანიის მთავრობის ინიციატივით ქ. ტანგუში 1969 წ. 16-20 მაისს შედგა ტანზანიის, კენიის, ზამბიისა და ზიმბაბვეს განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც მთელი სიმკაცრით იყო დაგმობილი დასავლეთის დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა როლი როდეზიის წინააღმდეგ ეკონომიური სანქციის ფაქტიური ჩაშლის საქმეში. „რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ, —წერდა „ნეშნელისტი“ 1969 წ. 8 ივნისს, — სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის მიმართ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება რეზოლუციათა ახალი ტური და არა აქტიური მოქმედება. დასავლეთის სახელმწიფოთა არაგულწრფელი პოზიცია იმის გარანტიაა, რომ რეზოლუციას არავითარი გადამჭრელი ზომები არ მოჰყვება“.

1969 წ. ტანზანიაში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სამხრეთ

ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი. ვიზიტის შედეგად გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ „ტანზანიასა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტს მიაჩნიათ, რომ ვიეტნამის პრობლემის გადაჭრის პირველსა და მთავარ პირობას წარმოადგენს აშშ-ის ჯარების გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან."

ტანზანიის მთავრობის თანმიმდევრული ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური პოლიტიკა საერთაშორისო იმპერიალიზმის გაბოროტებას იწვევს. უკანასკნელ წლებში გახშირდა დივერსიები, რომელთა მიზანი ქვეყანაში ქაოსისა და არეულობის შეტანაა. მაგ., 1972 წ. დეკემბერს დარ-ეს-სალამში დივერსანტებმა ააფეთქეს ხიდი და მაღალი ძაბვის სადგური. ბომბები აფეთქდა აგრეთვე ქალაქის სხვადასხვა რაიონში. ძიებით დადგინდა, რომ ბომბები ნატოს წევრ-სახელმწიფოებში იყო დამზადებული. 1972 წ. დასაწყისში ინგლისმა მოახდინა განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის სესხის ბლოკირება. 4 250 000 გირვანქა სტერლინგის სესხი გამიზნული იყო ტანზანიის ჩაის მრეწველობის საჭიროებისათვის. უფრო ადრე კი ინგლისის მთავრობამ უარი უთხრა ტანზანიას უკვე შეთანხმებულ სესხზე. როგორც სამართლიანად წერდა გაზეთი „სანდი ნიუს"-ი ინგლისის პოლიტიკა ტანზანიის მიმართ „აფრიკის ქვეყნებს არწმუნებს იმაში, რომ უცხოეთის დახმარებაზე დამოკიდებულების პოლიტიკა არაშორსმხედველურია და გამოსავალი საკუთარი რესურსების გაერთიანებაში უნდა გამოინახოს."

მიუხედავად იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყოველგვარი ცდებისა. ტანზანიის მოსახლეობა და მთავრობა მტკიცედ ადგანან ერთხელ არჩეულ გზას. თავისუფლების მოპოვებიდან განვლილმა პერიოდმა დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმმა და ნეოკოლონიალიზმმა ვერ შეძლეს თავიანთ პოზიციათა არა თუ შემდგომი განმტკიცება, არამედ შენარჩუნებაც კი როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე სხვა სფეროში.

სუდანი

1956 წლის 1 იანვარს სუდანი გამოცხადდა დამოუკიდებელ სუვერენულ რესპუბლიკად. კოლონიზატორთა აქტიური ჩარევითა და დახმარებით ძალაუფლება ხელთ იგდეს ბურჟუაზიულ-მემამულეთა კონსერვატორულმა წრეებმა. რეაქცია ყოველი საშუალებით ცდილობდა ჩაეხშო ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა. 1958 წლის 17 ნოემბერს მმართველი რეაქციული პოლიტიკური პარტიის ალ-უმას ხელის შეწყობით სუდანში დამყარდა სამხედრო რეჟიმი. ძალაუფლება ხელთ იგდო სუდანის არმიის მთავარსარდალმა, არმიის გენერალმა აბუდამ. აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია, კრებები, დემონსტრაციები, დაშლილად გამოცხადდა პარლამენტი, გაუქმდა 1956 წლის კონსტიტუცია. მთელს სუდანში დაწესდა საგანგებო მდგომარეობა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭო 12 მაღალი ჩინის ოფიცრის შემადგენლობით. უმაღლესი საკანონმდებლო აღმასრულებელი და იურიდიული უფლებებით აღიჭურვა საბჭოს თავმჯდომარე აბუდა, რომელმაც ერთდროულად დაიკავა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრისა და მთავარსარდლის თანამდებობები. ბურჟუაზიულ-მემამულური ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიები და რელიგიური სექტები აღფრთოვანებით შეხვდნენ სამხედრო გადატრიალებას.

1958 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნდა სუდანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება სამხედრო გადატრიალების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სუდანში მომხდარი სამხედრო გადატრიალება არ შეიძლება განხილული ყოფილიყო როგორც 1952 წლის ეგვიპტისა და 1958 წ. ერაყის რევოლუციურ სამხედრო გადატრიალებათა იდენტური მოვლენა, ვინაიდან სუდანისაგან განსხვავებით ეგვიპტესა და ერაყში არმიის გამოსვლას მკვეთრი ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური ხასიათი გააჩნდა. სუდანის

კომპარტიის სპეციალური განცხადებით ჩამოყალიბდა ქვეყნის პროგრესულ ძალთა პოზიცია სამხედრო რეჟიმისადმი.

აბუდას რეჟიმის დამყარებას თან ახლდა ანტიდემოკრატიული კანონმდებლობის გაძლიერება. 1958 წ. მიღებული კანონით სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა ყველას, ვინც კი პოლიტიკურ პარტიათა აღდგენას შეეცდებოდა, გაფიცვებისაკენ მოუწოდებდა მუშებს და ა. შ. საშინაო საქმეთა მინისტრს უფლება მიეცა გაესინჯა ნებისმიერი კორესპონდენცია, დაეწესებინა ცენზურა ყველა ბეჭდვით ორგანოზე. საკომენდანტო საათი შემოეღო ქვეყნის ნებისმიერ რაიონში. პოლიციას შეეძლო ჩხრეკა ეწარმოებინა ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს, ორდერის გარეშე დაეპატიმრებინა ნებისმიერი მოქალაქე და ა. შ.

რეპრესიათა პირველივე მსხვერპლი გახდა სუდანის მუშათა კლასი. 1958 წლის 8 დეკემბერს აიკრძალა მუშების პროფკავშირთა მოღვაწეობა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდს წარმოადგენდა. გარდა ამისა გაუქმდა 1948 წლის შრომის კანონმდებლობა, რომელიც, მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, სუდანის მშრომელთა სერიოზულ გამარჯვებას წარმოადგენდა. 1958 წლის 17 დეკემბერს პოლიციამ დაარბია პროფკავშირთა გაზეთი „ატ-ტალია" („ავანგარდი"), პროფკავშირების 14 ლიდერი, მათ შორის გენერალური მდივანი აშ-შაფია ახმედ აშ-შეიხი დააპატიმრეს და 1959 წ. იანვარს სამხედრო ტრიბუნალმა მათ ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა. 1959 წლის დასაწყისისათვის სუდანში უკვე ლიკვიდირებული იყო კუდმოკვეცილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებაც კი — სუდანის ხალხთა მრავალწლიანი ბრძოლის შედეგი.

60-იან წლებს სუდანი შეხვდა მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკის მკვეთრი გაუარესებით. ერთი მხრივ, მთავრობა ცდილობდა ხელი შეეწყო ეროვნული კაპიტალის განვითარებისათვის, მეორე მხრივ კი, ამან ფართოდ გაუღო კარები იმპერიალისტურ მონოპოლიებს, რომელთა კაპიტალდაბანდებანი ხელს უწყობდნენ საწარმოო ურთიერთობათა ჩამორჩენილი ფორმების განმტკიცებას და აფერხებდნენ ეროვნული ეკონომიკის განვითარებას კაპიტალისტურ საწყისებზეც კი.

კერძო კაპიტალის პოზიციების განმტკიცებას ითვალისწინებდა „ეკონომიური და სოციალური განვითარების ათწლიანი გეგმა" (1961/62 — 1970/71). გეგმის თანახმად მრეწველობაში ორჯერ უნდა შემცირებულიყო სახელმწიფო კაპიტალდაბანდება. ქვეყნის ეკონომი-

ური განვითარების გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მონოკულტურული სტრუქტურის შენარჩუნებას. საბოლოო ჯამში მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც ძირითადად უცხოურ სესხებსა და კრედიტებს ეყრდნობოდა, შედეგად ის მოჰყვა, რომ უცხოურმა კაპიტალმა ადვილად დაუმორჩილა თავის გავლენას სუდანის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აბუდას მთავრობის საგარეო პოლიტიკა მისი საშინაო პოლიტიკის პირდაპირ გაგრძელებასა და შედეგს წარმოადგენდა; ინგლისელ კოლონიზატორებს უფლება მიეცათ აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ გამოეყენებინათ სუდანის აეროდრომები და ბაზები. განმეორებით დამტკიცდა აშშ-ისა და სუდანის შეთანხმება ეკონომიური „დახმარების" თაობაზე. სუდანის მთავრობის 1958 წ. 29 ნოემბრის დადგენილებაში ბრალიც კი ედებოდა ძველ მთავრობას იმაში, რომ იგი „ხელს უშლიდა შეთანხმების რეალიზებას". აბუდას მთავრობამ პროიმპერიალისტური პოზიცია დაიკავა კონგოს კრიზისის პერიოდშიც.

მთავრობის აშკარა რეაქციულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას ოპოზიციური მოძრაობის გაძლიერება მოჰყვა. ოპოზიცია წარმოიშვა არმიაშიც კი — სამხედრო რეჟიმის მთავარ დასაყრდენში. 1959 წ. 2 მარტს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სამხედრო ოლქებიდან ჩამოსულმა არმიის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს რესპუბლიკის სასახლეს და დააპატიმრეს სამხედრო რეჟიმის რამდენიმე ოდიოზური ფიგურა. რამოდენიმე დღის შემდეგ დაიშალა მმართველი ხუნტა და აირჩიეს ახალი. ახალ საბჭოში, რომელსაც სათავეში კვლავ აბუდა ჩაუდგა, შევიდნენ „2 მარტის მოძრაობის" ხელმძღვანელებიც, გენ. აბდალა და გენ. შანანი. ქვეყნის დემოკრატიული ძალები სიხარულით შეხვდნენ სამხედრო რეჟიმის მემარჯვენე დაჯგუფების დამარცხებას, მაგრამ უკანასკნელნი, რომელთაც სათავეში ედგა მთავარსარდლის მოადგილე ნასრი, არ შერიგებიან დამარცხებას. 1 ივნისს ნასრმა შეძლო ხართუმიდან გაეყვანა მემარცხენე ოფიცრებისადმი ლოიალურად განწყობილი ჯარები და დაეპატიმრებინა აბდალა და შანანი.

სამხედრო ოპოზიციის განადგურების შემდეგ სუდანში ახალი სიძლიერით დაიწყო რეპრესიათა კამპანია. არმიიდან დაითხოვეს 117 ოფიცერი, სრული დატვირთვით ამუშავდნენ სამხედრო ტრიბუნალები, ასობით ადამიანი დააპატიმრეს.

მიუხედავად მასობრივი რეპრესიებისა, სამხედრო რეჟიმმა ფაქტი-

ურად ვერ შეძლო სავსებით ჩაეხშო ოპოზიცია; 1960 წლის ნოემბერში ხართუმში შედგა აკრძალული პოლიტიკური პარტიების ლიდერთა და ქვეყნის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირი. თათბირის მონაწილეებმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს გენერალ აბუდას. მიმართვაში გაკრიტიკებული იყო მთავრობის ანტიდემოკრატიული ღონისძიებები. 1961 წლის დასაწყისში ხელმეორედ გაეგზავნა ანალოგიური მიმართვა მთავრობას. ამრიგად, 1961 წლის დასაწყისისათვის უკვე ჩამოყალიბდა პარტიათა ოპოზიციური ფრონტი, რომელთანაც 1962 წლის ბოლომდე თანამშრომლობდა სუდანის კომპარტიაც.

1962 წლიდან პარტიათა ოპოზიციურმა ფრონტმა პრაქტიკულად ხელი აიღო მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ბრძოლას უკვე ქვეყნის რევოლუციურ-დემოკრატიული ძალები წარმართავდნენ. დღითი დღე იზრდებოდა კომპარტიის ავტორიტეტიც და გავლენაც. შექმნილ ვითარებაშიც კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება გამოსულიყო ოპოზიციური ფრონტის რიგებიდან. 1962 წლის დასასრულისათვის მკვეთრად გააქტიურდა პროფკავშირული მოძრაობაც. სოფლის რაიონებში მთავრობისათვის სულ უფრო და უფრო საშიშ ფორმებს ღებულობდა გლეხთა გამოსვლები. 1962 წ. სექტემბერს მთავრობა იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო და ალ-გეზირის რაიონის ადმინისტრაციულ საბჭოში შეიყვანეს გლეხობის წარმომადგენლებიც. ერთი რაიონის გამარჯვებამ უფრო გააქტიურა სხვა რაიონების გლეხთა მოძრაობა. სუდანის გლეხთა მოძრაობის ორგანიზაციული სიმტკიცე სამხედრო რეჟიმის ღრმა კრიზისს სერიოზულ სიმპტომს წარმოადგენდა.

სამხედრო რეჟიმის წლებში კიდევ უფრო გამწვავდა სამხრეთ სუდანის პრობლემა. რეჟიმის ანტიდემოკრატიული პოლიტიკა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ყოველგვარი სეპარატისტული მოძრაობისათვის. ქრისტიანი მისიონერები ყოველმხრივ ცდილობდნენ რელიგიურ საწყისებზე დაეყენებინათ სამხრეთ სუდანის მოსახლეობის ბრძოლა ავტონომიისათვის. 1964 წლის შემოდგომისათვის სამხედრო რეჟიმით უკმაყოფილება მოედო სუდანის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას. საყოველთაო საპროტესტო მოძრაობის აღმავლობამ თავისი გავლენა არმიაზეც იქონია. 26 ოქტომბერს ომდურმანის სამხედრო ნაწილებმა ახალგაზრდა ოფიცრების მეთაურობით ალყა შემოარტყეს რესპუბლიკის სასახლეს და მოითხოვეს, რომ მთავრობა დათმობებზე წასულიყო. აბუდა იძულებული იყო დაშლილად გამოეცხადებინა უმაღლესი საბ-

ჭო და მთავრობა. მან თავის ხელში აიღო მთელი ხელისუფლება. 29 ოქტომბერს სამხედრო რეჟიმი ლიკვიდრებულ იქნა.

1964 წლის 30 ოქტომბერს სუდანის ახალმა პრემიერ-მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა ალ-ხალიფამ გამოაქვეყნა ე. წ. გარდამავალი მთავრობის ახალი შემადგენლობა. სამხედრო რეჟიმთან ერთად გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და ყველა ანტიდემოკრატიული კანონი, გამოცხადდა ხართუმის უნივერსიტეტისა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა, განთავისუფლდა ყველა პოლიტიკური პატიმარი. გენერალმა აბუდამ შეინარჩუნა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი. 1965 წლის გაზაფხულამდე უნდა ჩატარებულიყო დამფუძნებელი კრების არჩევნები; ამ კრებაზე უნდა მიეღოთ მუდმივი კონსტიტუცია და აერჩიათ მთავრობა.

გარდამავალმა მთავრობამ რიგი პრაქტიკული ღონისძიებები გაატარა; სუდანის ტერიტორიაზე აიკრძალა ინგლისის სამხედრო თვითმფრინავთა ფრენა, რომელთაც არაბეთის ნახევარკუნძულზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ იყენებდნენ. კონკოს (ლეოპოლდვილი) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მატერიალურ დახმარებას ღებულობდა სუდანის ტერიტორიიდან. საერთოდ სუდანში იქმნებოდა დემოკრატიზაციისა და სოციალური პროგრესისათვის ხელსაყრელი პირობები. მართალია, ყოველივე ამას არ შეუცვლია ქვეყნის სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა, მაგრამ სახეზე იყო ქვეყნის შიგნით კლასობრივ ძალთა ახალი თანაფარდობა და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა. მემარჯვენე ძალებს არ სურდათ ბრძოლის გარეშე დაეთმოთ თავიანთი პოზიციები და აბუდას ინიციატივით 1964 წლის 8 ნოემბრისათვის დაიგეგმა სამხედრო გადატრიალება. გადატრიალებისათვის მზადების შესახებ დროულად გაიგო მთავრობამ და ხართუმის მოსახლეობასთან ერთად შეძლო მისი უვნებელყოფა. 15 ნოემბერს იზოლაციაში დარჩენილი აბუდა იძულებული იყო გადამდგარიყო. სახელმწიფოს მეთაურისა და უმაღლესი მხედართმთავრის მთელი უფლებები გადაეცა ახლადშექმნილ, 5 კაცისაგან შემდგარ უმაღლეს სახელმწიფო საბჭოს.

1964 წლის ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებიდან დასავლეთის პროპაგანდამ ფართო კამპანია გააჩაღა სუდანში მომხდარ ცვლილებათა დისკრედიტირების მიზნით. იმპერიალიზმი ყოველნაირად ცდილობდა „კომუნიზმის საფრთხით“ დაეშინებინა ხალხი. დასავლეთის პროპაგანდასთან ხმაშეწყობილი მოქმედებდა სუდანის საშინაო

რეაქციაც. ქვეყნის დემოკრატიული ძალების წინაშე დაისახა გადაუდებელი ამოცანა — კიდევ უფრო განემტკიცებინა პატრიოტულ ძალთა კავშირი. რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალთა ერთიანმა პლატფორმამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 1965 წლის იანვარს მიღებულ იქნა სოციალისტურ-დემოკრატიული ქარტია. თებერვალში ქარტიის ბაზაზე შექმნილ სოციალისტურ-დემოკრატიულ ბლოკს შეუერთდა სუდანის კომპარტიაც. ბლოკში გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა თავიანთ მიზნად დაისახეს „სუდანის საზოგადოებრიობის სოციალისტური და დემოკრატიული გზით განვითარებისათვის ბრძოლა". ქარტიის მიერ კი დასახული იყო ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა ეკონომიკის განვითარება მეცნიერული სოციალიზმის პრინციპებზე; აგრარული რეფორმის გატარება კოოპერირებისა და ადგილობრივ პირობათა გათვალისწინების საფუძველზე; ეროვნულ ეკონომიკაზე უცხოური კონტროლის ლიკვიდირება, უცხოური ბანკებისა და საგადაზღვევო კომპანიათა ნაციონალიზაცია, ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება სუდანსა და სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა შორის, მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების ფართო მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიური განვითარების გეგმის შედგენაში და სხვ.

1965 წლის დასაწყისში სუდანში მკვეთრად გამწვავდა შიდაპოლიტიკური ვითარება. ახლოვდებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნები და სამხრეთ სუდანის პრობლემის გამო ცხადი იყო, რომ არჩევნები ვერ ჩატარდებოდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ხელისუფლებას სრული სტატისტიკური მონაცემებიც კი არ გააჩნდა მოსახლეობის შესახებ, რაც აუცილებელი იყო საარჩევნო უბნების შესაქმნელად. შექმნილ პირობებში დემოკრატიული ძალები მოითხოვდნენ არჩევნების გადადებას დემოკრატიული არჩევნებისათვის საჭირო პირობათა შექმნამდე. მემარჯვენე პარტიათა ხელმძღვანელობა კი მოითხოვდა დაუყოვნებლივ ჩატარებულიყო არჩევნები. თებერვალში მემარჯვენე პარტია ალ-უმამ შეძლო ქვეყნის ჩამორჩენილი რაიონებიდან ხართუმში ჩამოეყვანა ალ-ანსარის სექტის მიმდევარი რამდენიმე ათასი შეიარაღებული ადამიანი, რომლებიც მოატყუეს, რომ ალ-მაჰდის აკლდამას საფრთხე ელისო. თუმცა დემოკრატიულ ძალთა მტკიცე პოზიციის შედეგად რეაქციონერთა შეიარაღებული გამოსვლა არ შემდგარა, მაგრამ პრემიერ-მინისტრმა ალ-ხალიფამ ვერ გაუძლო მემარჯვენეთა შემოტევას და 1965 წლის 18 თებერვალს გადადგა. მის გადადგომას ავ-

ტორიტურად მოჰყვა მთელი მთავრობის გადადგომა. მეორე გარდამავალ მთავრობაში, რომელიც კვლავ ალ-ხალიფამ შეადგინა, საგრძნობლად გაიზარდა მემარჯვენე პარტიათა გავლენა დემოკრატიულ ძალთა გავლენის შემცირების ხარჯზე.

1965 წლის აპრილ-მაისში სუდანში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. არჩევნებს თან ერთვოდა პროგრესულ და რეაქციულ ძალთა შორის წინააღმდეგობის მკვეთრი გამწვავება, იმპერიალისტურ წრეთა აქტიური ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში და სისხლისმღვრელი ბრძოლები სამხრეთ სუდანში. ამავე დროს 1958 წლის საარჩევნო კანონი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა მემარჯვენე პარტიებს; საარჩევნო უბნები შედგენილი იყო არა ტერიტორიული, არამედ ტომობრივი პრინციპით, რაც ხელსაყრელ პირობებში აყენებდა ალ-უმას პარტიას. არჩევნების პერიოდში თავი იჩინა აგრეთვე განხეთქილებამ დემოკრატიულ ძალთა ბანაკში; სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და ძალითაც კი შეეცადა მის ჩაშლას, მაშინ როდესაც არჩევნებში მისი მონაწილეობა გააძლიერებდა პატრიოტულ ძალთა პოზიციებს დამფუძნებელ კრებაში. საბოლოო ჯამში არჩევნებში გაიმარჯვეს მემარჯვენე ტრადიციულმა პარტიებმა. დამფუძნებელ კრებაში ყველაზე მეტი ადგილი მოიპოვა ალ-უმამ (74), მაგრამ იმის გამო, რომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა ვერც ერთმა მემარჯვენე პარტიამ ვერ მიიღო, შედგა პარტიათა ბლოკის მთავრობა. პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა მაჰჯუბმა — ალ-უმას ერთ-ერთმა ლიდერმა. ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ ვადაუხვევდა ოქტომბრის რევოლუციის პრინციპებს, დაიცავდა საზოგადოების თავისუფლებას, დემოკრატიასა და კონსტიტუციას. ეკონომიური პოლიტიკა ითვალისწინებდა უცხოური კაპიტალის მოღვაწეობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

ახალი მთავრობის რეაქციულმა სახემ თავი იჩინა 1965 წლის შემოდგომაზე, როდესაც აიკრძალა კომუნისტური პარტია. მალე გაირკვა, რომ კომპარტიის აკრძალვა კონსტიტუციის საწინააღმდეგო აქტს წარმოადგენდა. ამის შემდეგ მემარჯვენე დაჯგუფებათა ინიციატივით ორჯერ შეიტანეს ცვლილებები კონსტიტუციაში.

მიუხედავად კომპარტიის აკრძალვისა და დემოკრატიული თავისუფლების შეკვეცისა, მთავრობამ ვერ შეძლო სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა. ალ-უმას თავმჯდომარე ალ-მაჰდი, რომელსაც ადრე არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ

ეკავა, მთავრობის მწვავე კრიტიკით გამოვიდა და პრემიერ-მინისტრის პოსტი მოითხოვა. 1965 წლის 25 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ ხმათა უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადა მაჰჯუბის მთავრობას. ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ალ-მაჰდის. უკანასკნელის კოალიციური მთავრობის პროგრამა შედგენილი იყო ძალზედ ზოგად ფორმებში და არავითარ კონკრეტულ ღონისძიებებს არ ითვალისწინებდა ქვეყნის წინაშე მდგომი მწვავე სოციალ-ეკონომიურ პრობლემათა გადასაჭრელად. რეაქცია უკვე დაუფარავად მოითხოვდა ფიზიკურად გასწორებოდნენ პროგრესულ ორგანიზაციათა ლიდერებს. ქვეყნის ჩრდილოეთში რეაქციის აქტივაციას, რომელიც უკვე დაუფარავად ეყრდნობოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დახმარებას, ზედ ერთვოდა სეპარატისტული და ტერორისტული მოძრაობის გაფართოება სამხრეთ რაიონებში, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას, არამედ ტერიტორიულ მთლიანობასაც. ფაქტიურად სამხრეთ სუდანის უდიდესი ნაწილი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მიღმა იმყოფებოდა, ისედაც მძიმე ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვებოდა სამხრეთ რაიონებში წარმოებულ სამხედრო ოპერაციათა ხარჯები.

1966 წლის დეკემბერში თავისი შერყეული პოზიციების განმტკიცების მიზნით მთავრობამ კვლავ მიმართა ნაცად ხერხს — შეეცადა მოეწყო ახალი ინსპირირება კომუნისტური შეთქმულებისა. ასეთი ნაბიჯისაკენ მთავრობას ის ფაქტიც უბიძგებდა, რომ ცოტათი ადრე სუდანის უმაღლესმა სასამართლომ კონსტიტუციის საწინააღმდეგო აქტად ცნო კომპარტიის აკრძალვა. 28 დეკემბერს პრემიერ-მინისტრმა ალ-მაჰდიმ ოფიციალურად დასდო ბრალი კომუნისტებს სამხედრო შეთქმულების ორგანიზებაში. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერის განცხადება ძალზედ არადამაჯერებლად ჟღერდა, დააპატიმრეს კომპარტიის ხელმძღვანელი მუშაკები — ა. მაჰჯუბი, ამირი, ნუგუდა და სხვები. რეპრესიებს საპროტესტო დემონსტრაციები მოჰყვა ქვეყნის დიდ ქალაქებში. მთავრობა იძულებული იყო მესამე დღესვე გაეთავისუფლებინა დაპატიმრებულნი. კომუნისტთა წინააღმდეგ პროვოკაცია სრული მარცხით დამთავრდა. მთავრობის ავტორიტეტი კი სუდანში დღითი დღე ეცემოდა.

1967 წლის მარტს უმაღლესმა სასამართლომ განმეორებით დაადასტურა კომპარტიის აკრძალვის არაკანონიერება, ხოლო 1967 წლის 15 მაისს დამფუძნებელმა კრებამ უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა ალ-

მაჰდის მთავრობას. 26 მაისს პარტია ალ-უმას ე. წ. „იმამის დაჯგუფების“ ლიდერმა მ. მაჰჯუბმა შეადგინა ახალი კოალიციური მთავრობა. საშინაო პოლიტიკის პროგრამა სრულებით უცვლელი დარჩა, საგარეო პოლიტიკის დარგში მთავრობამ თავისი სრული სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოუცხადა ისრაელის აგრესიის მსხვერპლ არაბულ ქვეყნებს. ფართო მასების მოთხოვნით მთავრობა იძულებული იყო რიგი კონკრეტული ღონისძიებები გაეტარებინა — 1967 წლის 6 ივნისს დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა აშშ-თან და ინგლისთან. 12 ივნისს ნაციონალიზებულ იქნა კომპანია „შელ ოილ“-ის კუთვნილი ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, აიკრძალა საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები ინგლისსა და აშშ-თან. სამხედრო ნაწილები გაიგზავნა ისრაელის აგრესიასთან მებრძოლ არაბულ ქვეყნებში. ივლისში სუდანის უმაღლესი სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარემ ელ-ასხარიმ მონაწილეობა მიიღო ხუთი არაბული სახელმწიფოს (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, სირია, ალჟირი, ერაყი, სუდანი) მეთაურთა კაიროს შეხვედრაში. 22 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ხართუმში მიმდინარეობდა არაბულ სახელმწიფო მეთაურთა თათბირი, რომელმაც სათავე დაუდო არაბულ სახელმწიფოთა ერთობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თათბირის მონაწილეებს სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. თათბირმა განიხილა ეკონომიური პრობლემებიც; კერძოდ ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ჰაირალამ მოითხოვა, რომ ნავთობმომპოვებელ არაბულ სახელმწიფოებს შეეწყვიტათ დასავლეთის რიგ სახელმწიფოთადმი ნავთობის მიწოდება. თათბირმა გადაწყვეტილება მიიღო ეკონომიურ ღონისძიებათა კოორდინირების შესახებ, საერთაშორისო არენაზე ერთობლივ პოლიტიკურ აქციათა შესახებ და სხვა. სპეციალური რეზოლუცია მიიღეს მოკლე ვადაში არაბულ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე უცხოურ სამხედრო ბაზათა ლიკვიდირების თაობაზე. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნდა აგრეთვე იემენში სამოქალაქო ომის შეწყვეტის თაობაზე მიღებულ რეზოლუციას.

მაშინ, როდესაც დასავლეთის პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობდა ყალბ ფერებში წარმოედგინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, სუდანის საზოგადოებრიობა მაღალ შეფასებას აძლევდა საბჭოთა კავშირის როლს როგორც ისრაელთან არაბულ სახელმწი-

ფოთა კონფლიქტის, ასევე სხვა საკითხებში; 1967 წლის 14 ივნისს გაზეთ „ალ-აიამ"-ში გამოქვეყნებულ წერილში სუდანის პარლამენტის დეპუტატი ო. მექი წერდა, რომ სუდანის ხალხმა საბჭოთა კავშირის დახმარება პირველად 20 წლის წინ მიიღო, როდესაც უკანასკნელმა ევროპიანებული ერების ორგანიზაციაში მხარი დაუჭირა სუდანის ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. „ჩვენ პირველად ვნახეთ, თუ როგორ იქცეოდა უცხოური დახმარება ჩვენს ქვეყანაში ფაბრიკებად და ქარხნებად", — წერდა ო. მექი საბჭოთა კავშირის ეკონომიური დახმარების შესახებ. წერილის დასასრულს ავტორი აღნიშნავდა, რომ ახლა ხალხს ჰქონდა საშუალება დარწმუნებულიყო საბჭოთა კავშირის ეკონომიური. სამხედრო და პოლიტიკური დახმარების გულწრფელობაში.

1967 წ. ზაფხულის განმავლობაში სუდანის მთავრობამ მთელი რიგი ეკონომიური ხასიათის ღონისძიებანი გაატარა, რომელთა მიზანიც ინგლისისა და აშშ-ის კომპანიების მოღვაწეობის შეზღუდვა იყო: 19 ივლისს სუდანის მრეწველობისა და სამთო საქმეთა მინისტრის მ. ზიადის ბანკარეულებით ანგლო-ამერიკულ კომპანიებს ჩამოერთვათ აღმოსავლეთ სუდანში გეოლოგიურ სამუშაოთა საკონცესიო უფლება. ხარტუმის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს 11 ამერიკელი და 45 ინგლისელი ლექტორი. ამავე დროს სუდანის მთავრობამ მკვეთრად გააფართოვა საქმიანი კონტაქტები სოციალისტურ სახელმწიფოებთან; 1967 წლის აგვისტოს სუდანის ვაჭრობის მინისტრმა ას-საიდ ჰამმადმა იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბულგარეთში, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა შესყიდვის თაობაზე. ადრე სუდანი აშშ-სა და ინგლისში იძენდა ანალოგიურ ტექნიკას. 1967 წლის აგვისტოშივე საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სუდანის უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ი. ელ-ასხარი.

1967 წლის დასასრულიდან სუდანის მთავრობა კვლავ იწყებს ინგლისთან და აშშ-თან დაახლოებას, ხოლო 1968 წლის 25 იანვარს დიპლომატიური ურთიერთობა აღსდგა ინგლისთან, თუმცა სუდანის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რაც შეეხება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას აშშ-თან და დასავლეთ გერმანიასთან, საკითხი ღიად დარჩებოდა, ვიდრე ეს სახელმწიფოები არ შეწყვეტდნენ ისრაელისათვის დახმარების აღმოჩენას.

1967 წლის გაზაფხულზე სუდანში მწვავე შიდაპოლიტიკური ბრძო-

ნიგერია. სოკოტოს სულთანი რელიეფერ დღესასწაულზე

კენიის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ცნობილი მწერალი კარიუკი სოფ. ხიდისთავში 1966 წელს

ლა გაჩაღდა მომავალი კონსტიტუციის თაობაზე; უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ელ-ასხარი ისლამის კონსტიტუციის მოთხოვნით გამოვიდა. ამ პერიოდისათვის მისი ეროვნულ-იუნისტური პარტია ფაქტიურად გაერთიანდა კოალიციის ორ მსხვილ პარტიასთან — „ალ-უმასა“ და „ძმებ-მუსულმანებთან“. ისლამური კონსტიტუციის წინააღმდეგ გამოდიოდა სამი დაჯგუფება: ქრისტიანები, სამხრეთ სუდანის პოლიტიკური პარტიები და კომუნისტები. კომუნისტებს სამართლიანად მიაჩნდათ, რომ ისლამური კონსტიტუცია განამტკიცებდა რეაქციულ, ჩამორჩენილ სისტემას და საფრთხის წინაშე დააყენებდა ქვეყნის მთლიანობას იმით, რომ ქრისტიანული სამხრეთი არ მიიღებდა მუსულმანურ მმართველობას.

10 აპრილს სუდანის ეროვნულმა საკონსტიტუციო კომისიამ უარყო მუსულმანური კონსტიტუტიის იდეა და ხმათა მცირე უმრავლესობით (15-ით 12-ის წინააღმდეგ) მოიწონა საერო კონსტიტუცია. მიუხედავად ამისა, ახალ კონსტიტუციას საფუძვლად უნდა დადებოდა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად შეცვლილი ისლამის პრინციპები. ქვეყნის პროგრესული წრეების აზრით ამგვარი კონსტიტუცია სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებდა სუდანის ერთიანობას და გააძლიერებდა კავშირს საუდის არაბეთთან.

ამავე დროს კვლავ დაძაბული და არამყარი მდგომარეობა სუფევდა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში; 1967 წლის აპრილს სუდანში გაიფიცა დაწყებითი სკოლების 9 000 მასწავლებელი. რომლებიც თავიანთი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. გაფიცვის წინ მასწავლებლებმა მთავრობას წარუდგინეს 14 პუნქტისაგან შედგენილი მოთხოვნა, რომელთაგანაც მთავრობამ ორი დააკმაყოფილა. აპრილშივე უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, ძალაში დარჩენილიყო გადაწყვეტილება კომპარტიის აკრძალვის უკანონოდ ცნობისა და დამფუძნებელ კრებაში კომუნისტ-დეპუტატთა დაშვების თაობაზე. ამის საპასუხოდ ეროვნულ-იუნიონისტური პარტიის, „ალ-უმას“ და „ძმები-მუსულმანების“ საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა სპეციალური მემორანდუმი წარუდგინეს სუდანის უმაღლეს სახელმწიფო საბჭოს. მემორანდუმი შეიცავდა მოთხოვნას-- დამფუძნებელი კრების წევრობის კანდიდატთა სიიდან ამოღებული ყოფილიყო დეპუტატი-კომუნისტი და ცხოვრებაში გატარებულიყო დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომპარტიის წევრთათვის საზოგადოებრივი მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ.

მიუხედავად ქვეყნის შიდა რეაქციის სისტემატური ინტრიგებისა, სუდანის კომუნისტური პარტია მტკიცედ და განუხრელად იცავდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში ერთადერთ სწორ ხაზს, რომელსაც საფუძვლად ედო ეროვნული, ანტიიმპერიალისტური პოლიტიკა და მტკიცე კავშირი ყველა ანტიიმპერიალისტურ ძალებთან. 1967 წლის აპრილის ბოლოს კომპარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა სუდანსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობათა თაობაზე. განცხადება ქვეყნის დემოკრატიულ წრეთა შეშფოთებას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ პერიოდში უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ი. ალ-ასხარის ვიზიტებს საუდის არაბეთში და მის საჯარო განცხადებებს ისლამური სოლიდარობის თაობაზე, ადვილად შეიძლებოდა მოჰყოლოდა სუდანის კავშირი ე. წ. „ისლამურ პაქტთან“ — იორდანიისა და საუდის არაბეთის მეფეთა კავშირთან. განცხადებაში აღნიშნული იყო საუდის არაბეთის მეფის, ფეისალის ცდები — ჩარეულიყო სუდანის საშინაო საქმეებში. სუდანის უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ი. ალ-ასხარისა და სუდანის იმამის ჰადი ელ-მაჰდის მექაში ყოფნის დროს სალოცავად, ფეისალი ყოველმხრივ ცდილობდა ამ ორი მოღვაწის ურთიერთდაახლოებას და ამ მხრივ გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. დასასრულს კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადება ქვეყნის ყველა პროგრესულ ძალებს მოუწოდებდა, რომ არ დაეშვათ სუდანის ჩათრევა „ისლამურ პაქტში“. კომპარტიის განცხადებას ფართოდ გამოეხმაურა ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობა; ხართუმში შედგა პროგრესულ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა კონფერენცია, რომელმაც ფართოდ განიხილა „ისლამური პაქტის“ საშიშროება მთელი არაბული სამყაროსათვის. კონფერენციის მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს სპეციალური ბროშურები და განცხადებები გამოექვეყნებინათ, რომლებშიც მხილებული იქნებოდა პაქტის იმპერიალისტური ბუნება.

როდესაც 1967 წლის 16 აპრილს სუდანის უმაღლესმა სახელმწიფო საბჭომ განმეორებით დაადასტურა კომპარტიის აკრძალვა, 20 აპრილს გაიფიცა ქვეყნის ყველა იურისტი, უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების საპროტესტოდ, გადაწყვეტილებისა, რომელიც ორჯერ ცნო უკანონოდ სუდანის უმაღლესმა სასამართლომ.

მიუხედავად სუდანის საზოგადოებრიობის წინააღმდეგობისა, მთავრობა უკვე აშკარად დაადგა რეპრესიების გზას პროგრესულ ძალთა მი-

მართ. 1967 წლის 25 აპრილს აიკრძალა გაზეთი „აჰბარ ალ-უსბუ“. ჟურნალისტთა შეკითხვაზე — რომელი კანონის ძალით იქნა აკრძალული გაზეთი, პრემიერ-მინისტრმა სადიკ ელ-მაჰდიმ უპასუხა — „აუცილებლობა არ ცნობს კანონებსო“. 26 აპრილს კი ს. ელ-მაჰდიმ ხართუმის ტელევიზიით გამოსვლის დროს განაცხადა, რომ მთავრობა ახალ კამპანიას იწყებდა კომპარტიის წინააღმდეგ. მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილება პრემიერმა კომუნისტთა ათეისტური მსოფლმხედველობით ახსნა.

სუდანის კომპარტიის წინააღმდეგ დაწყებულ ფართო კამპანიას თან სდევდა ანტისაბჭოური და საერთოდ ანტისოციალისტური აგიტაცია. უკანასკნელთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „ხართუმ ნიუს სერვისისათვის“ მიცემულ ინტერვიუში სუდანის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰ. მაჰჯუბმა განაცხადა, რომ მთავრობის ანტისაბჭოურ კამპანიას აუცილებლად მოჰყვებოდა სუდანის პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო იზოლაცია და ქვეყანაში იმპერიალიზმის პოზიციათა გაძლიერება. მაჰჯუბმა განსაკუთრებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ მთავრობა ამით ცდილობდა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება გადაეტანა მწვავე სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებიდან სხვა საკითხებზე.

მიუხედავად მთავრობის ინტრიგებისა და მანევრებისა, მან მაინც ვერ შეძლო თავისი ანტიეროვნული ბუნების შენიღბვა და 1967 წლის 16 მაისს სუდანის დამფუძნებელმა კრებამ უნდობლობა გამოუცხადა ელ-მაჰდის მთავრობას. ამავე დროს დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩიეს კომპარტიის კანდიდატი ა. სულეიმანი, რომელმაც 3734 ხმა მიიღო. მისმა მოწინააღმდეგემ, ეროვნულ-იუნიონისტური პარტიის კანდიდატმა მხოლოდ 1711 ხმის მოგროვება შეძლო.

1967 წლის 18 მაისს სუდანის პრემიერ-მინისტრის პოსტი მეორედ დაიკავა პარტია „ალ-უმას“ ფრთის ლიდერმა მუჰამედ აჰმედ მაჰჯუბმა, რომელსაც მფარველობდა და დახმარებას უწევდა სექტა „ანსარის“ ხელმძღვანელი ჰადი ელ-მაჰდი.

მთავრობის შეცვლას არავითარი რადიკალური ხასიათის ცვლილებები არ მოჰყოლია ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში. 1967 წლის 14 აგვისტოს სუდანის მუდმივი კონსტიტუციის შემდგენელმა ეროვნულმა კომიტეტმა 16 ხმით 7-ის წინააღმდეგ, მოიწონა კომპარტიის აკრძალვა. ახალ კონსტიტუციაში სპეციალური მუხლი უნდა ყოფილიყო, რომლის ძალითაც სამუდამოდ აიკრძალებოდა სუ-

დანში კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მოღვაწეობა. იმავე წლის 13 ოქტომბერს თავის გამოსვლაში ა. მაჰჯუბმა ქვეყნის შიგნით შექმნილი დაძაბული ვითარება შეადარა 1958 წლის სამხედრო გადატრიალების წინა პერიოდს — იგივე არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, ცხოვრების მიერ ნაკარნახევ გარდაქმნათა იგნორირება, მემარჯვენე ძალების სწრაფვა ხელისუფლების მონოპოლიისათვის და სხვა.

ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან 6 თვის შემდეგ მაჰჯუბის მთავრობამ სერიოზული მარცხი განიცადა პარლამენტში, როდესაც უკანასკნელმა უარყო მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ქვეყანაში იძულებითი დაზოგვის შემოღების შესახებ. მაჰჯუბმა უარი განაცხადა ეს ფაქტი მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმად ეცნო და არ გადადგა.

1968 წლის 1 იანვარს სუდანის ეროვნულ კრებაში დაიწყო ქვეყნის მუდმივი კონსტიტუციის განხილვა მისი მეორე კითხვის დროს. საკონსტიტუციო დებატებთან დაკავშირებით თავიანთ პოზიციათა გამოქვეყნება იწყეს პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. ისლამის პრინციპებზე შედგენილი კონსტიტუციის წინააღმდეგ გადაპრით გამოვიდნენ კომუნისტური პარტია, სამხრეთ სუდანის პარტია „სანუ“ და სამხრეთ სუდანის პარტია — ფრონტი. კონსტიტუციის პროექტს მხარს უჭერდნენ „ალ-უმა“, ისლამური ფრონტი და ყოფილი ეროვნულ-იუნიონისტური პარტიის წევრები. 21 იანვარს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ სპეციალური მოწოდებით მიმართა ქვეყნის ყველა პატრიოტს გაერთიანებულიყვნენ რეაქციული კონსტიტუციის წინააღმდეგ. ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობაში კომპარტიის გავლენაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთავრობის მკაცრი რეპრესიების პირობებში პარლამენტის საარჩევნო კომისია 23 იანვარს იძულებული იყო ოფიციალურად ეცნო კომუნისტ-კანდიდატთა უფლება, რეგისტრაციაში გატარებულიყვნენ ყველა საარჩევნო უბანში. ეს მაშინ, როდესაც ცოტათი ადრე საშინაო საქმეთა მინისტრის ბრძანებით კომპარტია არ იქნა შეტანილი არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა სიაში.

1968 წელი სუდანის ისტორიაში აღინიშნა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მძლავრი საპროტესტო გამოსვლებით მთავრობის წინააღმდეგ. ოქტომბერში მთავრობა იძულებული იყო სტუდენტთა მძლავრი დემონსტრაციის შემდეგ დაეხურა ხართუმის უნივერსიტეტი. კერ-

ძოღ სტუდენტები გამოვიდნენ ექსტრემისტული რელიგიური ორგანიზაციის „ძმები-მუსულმანები“-ის აკრძალვის მოთხოვნით. დეკემბერში ხუთდღიანი გაფიცვა მოაწყვეს სანავთობო მრეწველობის მუშებმა.

ქვეყნის შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა თავის კულმინაციურ წერტილს 1969 წლის 25 აპრილს მიაღწია, როდესაც პრემიერ-მინისტრი მაჰჯუბი იძულებული შეიქნა გადამდგარიყო თანამდებობიდან. თუმცა 26 აპრილს პრეზიდენტის თხოვნით მაჰჯუბი კვლავ დაუბრუნდა თანამდებობას, მაგრამ მდგომარეობა ამით არ შეცვლილა.

1969 წლის 25 მაისს დილით სუდანში მოხდა მორიგი სამხედრო გადატრიალება. ხელისუფლების სათავეში მოვიდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო, რომელმაც ახალი მთავრობა შეადგინა კომუნისტების მონაწილეობით. პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა ბ. ავადელამ, ყოფილმა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ და 1964 წლის გადატრიალების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. მანვე დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაც. 1967 წელს ბ. ავადელა გადადგა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან პარლამენტის წევრ-კომუნისტთა მიმართ უკანონო რეპრესიათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. 25 მაისს გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნული იყო სუდანის ახალი მთავრობის სრული მხარდაჭერა როგორც პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობის, ასევე სიონიზმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისადმი. კომუნიკეში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ახალი მთავრობა განუხრელად გაატარებდა ცხოვრებაში 1964 წლის რევოლუციის პრინციპებს და განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობდა სამხრეთ სუდანის პრობლემას. გარდა სამოქალაქო მთავრობისა, არსებობდა აგრეთვე სამხედრო რევოლუციური საბჭო გენერალ-მაიორ ჯაფარ ელ-ნიმეირის მეთაურობით.

ახალ რეჟიმს დადებითი შეფასება მისცა კომუნისტურმა პარტიამ; ფრანგულ ჟურნალ „ფრანს-ნუველი“-სათვის მიცემულ ინტერვიუში სუდანის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. მაჰჯუბმა განაცხადა, რომ მთავრობის კაბინეტი წარმოადგენდა ანტიიმპერიალისტურ ელემენტთა, დემოკრატთა და კომუნისტთაგან შემდგარ ფრონტს. საგარეო პოლიტიკის დარგში ახალი მთავრობის მნიშვნელოვან პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა.

26 მაისს გამოქვეყნდა ახალი ხელისუფლების პირველი დეკრეტები; პირველ დეკრეტში აღნიშნული იყო, რომ სუდანი წარმოადგენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც უმაღლესი ხელისუფლება ეკუთ-

ენის ხალხს. რომლის სახელითაც გამოდის რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო. მეორე დეკრეტის ძალით შეჩერდა 1964 წლის კონსტიტუციის მოქმედება, გაუქმდა სახელმწიფოს უმაღლესი საბჭო და დამფუძნებელი კრება, აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა.

1969 წლის 10 ივნისს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები განსაზღვრა პრემიერ--მინისტრმა ბ. ავადელამ; კერძოდ მან განაცხადა, რომ რევოლუციურ მთავრობას ესმის კერძო კაპიტალის როლი სუდანის თანამედროვე პირობებში და ამიტომ იგი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ეროვნული კერძო კაპიტალის განვითარებას სახელმწიფო სექტორის უპირატესობის პირობებში. ბ. ავადელამ განაცხადა, რომ მთავრობა ხელს შეუწყობდა აგრეთვე უცხო კაპიტალდაბანდებასაც იმ პირობით, რომ უკანასკნელი ხელს არ შეუშლიდა ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

1969 წლის 19 ივლისს თავის პირველსავე პრესკონფერენციაზე საშინაო საქმეთა მინისტრმა ჰამადალამ ბრალი დასდო იმპერიალისტურ სახელმწიფოებს იმაში, რომ უკანასკნელნი ხელს უწყობდნენ სამოქალაქო ომის გამწვავებას სამხრეთ სუდანში. კერძოდ ინგლისური კომპანია „სუდან ტობაკო“ სისტემატურად აფინანსებდა სამხრეთელ სეპარატისტებს. ივნისის ბოლოს მთავრობამ გაატარა მნიშვნელოვანი პროგრესული ღონისძიებანი — ნაწილობრივ გააუქმა ე. წ. ტომების ადმინისტრაციული საბჭოები, რომლებიც უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს უფლებებით სარგებლობდნენ ადგილებზე. საბჭოების სათავეში იდგნენ ტომების გავლენიანი შეიხები. ამგვარი სტრუქტურა ჯერ კიდევ ინგლისელებმა შექმნეს სუდანში და იგი ემყარებოდა კონსერვატორულ ტრადიციულ ძალებს. ტომების საბჭოების ფუნქციები გადაეცათ მთავრობის დაწესებულებებს.

მაისის რევოლუციის პირველივე დღეებიდან დაიწყო საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტრიგები ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. უკვე ივლისში პრემიერ-მინისტრმა ავადალამ ოფიციალური ბრალდება წაუყენა აშშ-ს, დასავლეთ გერმანიასა და ისრაელს სუდანის დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებაში — „შეერთებული შტატები და დასავლეთ გერმანია ბევრ ფულს უხდიან თავიანთ აგენტებსა და სუდანის რეაქციულ ელემენტებს ჩვენი რევოლუციის მოსასპობად“, — განაცხადა მან არაბული ქვეყნების ლიგის შტაბ-ბინაში მოწ-

ყობილ პრესკონფერენციაზე. რამდენიმე დღით ადრე [illegible] სუდანიდან გააძევეს სამი ამერიკელი დიპლომატი.

ძალზედ მძიმე ეკონომიური მემკვიდრეობა დახვდა სუდანის ახალ მთავრობას; ცარიელი იყო სახელმწიფო ხაზინა, მხოლოდ მოკლევადიანი საგარეო სესხთა დეფიციტი 20 მლნ დოლარს უდრიდა, მოშლილი იყო ქვეყნის მთელი მრეწველობა და ა. შ. შექმნილ მძიმე ეკონომიურ პირობებში სუდანის ხალხს დახმარების ხელი გაუწოდა საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა. 1970 წლის დამლევს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სუდანის მოსახლეობას უსასყიდლოდ მიაწოდა 40 000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების სამედიცინო მოწყობილობა. სუდანში ჩავიდა რამდენიმე საბჭოთა ეკონომიური დელეგაცია მდგომარეობის შესასწავლად და დახმარების აღმოსაჩენად.

1969 წლის 17 ივნისს სუდანმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა სამხრეთ ვიეტნამის დროებით რევოლუციურ მთავრობასთან, ხოლო 4 დღის შემდეგ — კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ამავე დროს სუდანის მთავრობამ უარყოფითი პოზიცია დაიკავა ყველა იმ სახელმწიფოსადმი, რომლებიც ეკონომიურ ან სამხედრო დახმარებას უწევდნენ ისრაელს. 1969 წლის ნოემბერს სუდანის მთავრობამ ოფიციალურად გააფრთხილა ინგლისი, რომ თუ უკანასკნელი კვლავაც გააგრძელებდა თავის პროისრაელურ საგარეო პოლიტიკას, სუდანის მთავრობა გადასინჯავდა თავის დამოკიდებულებას ინგლისთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ურთიერთობის განმტკიცებას ეგვიპტესთან; 1969 წლის აგვისტოში მიაღწიეს შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის ეკონომიური ინტეგრაციისა და თანამშრომლობის თაობაზე.

1970 წლის 20 აპრილს სუდანს, ლიბიასა და ეგვიპტეს შორის დაიდო შეთანხმება ეკონომიური ინტეგრაციის შესახებ, რომელიც საბოლოო ჯამში სამი ქვეყნის ერთიანი ეკონომიური კომპლექსის შექმნას ითვალისწინებდა.

საშინაო პოლიტიკის სფეროში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამხრეთის პრობლემას; 1969 წლის 9 ივნისს რეგიონალური ავტონომია მიიღეს სუდანის სამხრეთ რაიონებმა, დაიგეგმა ფართო ხასიათის ღონისძიებები სამხრეთის ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის. თანდათანობით იქმნებოდა სამოქალაქო ომის მდგომარეობის სრული ლიკვიდაციის პირობები. უნდა აღი-

ნიშნოს, რომ მიუხედავად დასავლეთის ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული ვერსიისა, სამხრეთ და ჩრდილოეთ სუდანს შორის კომფლიქტის მთავარ გამომწვევ მიზეზს რელიგიური ფაქტორი კი არ წარმოადგენს, არამედ ქვეყნის არათანაბარი განვითარება. კოლონიალიზმის წლებში ინგლისელები სამხრეთ სუდანის ეკონომიურ განვითარებას ძვირად ღირებულ ღონისძიებად თვლიდნენ და სწორედ ამიტომ მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა სამხრეთი დიდი ხნით ყოფილიყო იზოლირებული დანარჩენი სუდანიდან, რომელიც ინგლისის მრეწველობას ყველაზე იაფ და ყველაზე ბევრ ბამბას აწვდიდა. დაგეგმილი იყო სამხრეთის სამი პროვინციისაგან (ბახრ-ელ-გაზალის, ზემო ნილოსის, ეკვატორული პროვინცია) ერთი გიგანტური რეზერვაციის შექმნა, სადაც უცხოელ ტურისტთათვის ღირსშესანიშნავ სანახაობად უნდა ქცეულიყვნენ თემობრივ კლანებად მცხოვრები შიშველი ხალხები. სამხრეთს მოაწყდა ყველა ქრისტიანული სარწმუნოების მისიონერი, მალე მათ ხელში აღმოჩნდა სკოლები. ქრისტიანმა მისიონერებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს მუსლიმანური ჩრდილოეთისადმი სიძულვილის გაღვივებაში. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იყო ერთ წერტილზე გაყინული სამხრეთის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. 1955 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში სამხრეთის მთელ მოსახლეობაზე მხოლოდ ხუთი ადამიანი მოდიოდა უმაღლესი განათლებით. ამიტომ ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატი, როგორც ცენტრალური, ასევე პროვინციული, ძირითადად ჩრდილოეთ სუდანელთაგან შედგებოდა. ფაქტიურად დამოუკიდებლობამ სამხრეთ სუდანელებს სამოქალაქო ომი მოუტანა, რომელიც ხშირად თვით სუდანის რეაქციულ მთავრობათა მიერვე იყო ინსპირირებული. სამხრეთ სუდანი დემოკლეს მახვილად იქცა იმპერიალისტური წრეების ხელში, რომლის საშუალებით უკანასკნელნი ცდილობდნენ მორჩილებაში ჰყოლოდათ დამოუკიდებელი სუდანის ნებისმიერი ურჩი მთავრობა. სწორედ ამ მიზნით იმპერიალისტებმა სამხრეთ სუდანში შექნეს და უხვად აფინანსებდნენ სამხედრო ორგანიზაცია „ანია-ნია“-ს. სამხრეთ სუდანშივე პოვა თავისი მოღვაწეობის ახალი რაიონი აფრიკაში კარგად ცნობილმა დაქირავებულმა ბანდიტმა როლფ შტაინერმაც.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ სამხრეთ სუდანი, რომლის ტერიტორიაც საფრანგეთისას აღემატება, იმპერიალიზმის ასეთ ცხოველ ინტერესს იწვევდა წლების მანძილზე? ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ სამხრეთ სუდანში დღემდე არ არის აღმოჩენილი და-

სავლეთის მრეწველობისათვის საჭირო რაიმე წიაღისეული, ხოლო სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის დონე კატასტროფულად დაბალია. სამაგიეროდ სუდანი ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა აფრიკაში, იგი პოლიტიკური და კულტურული კავშირის რგოლია არაბულ და აფრიკულ ხალხებს შორის. ასეთ ვითარებაში სამხრეთ სუდანი— კომფლიქტისა და შუღლის სტაბილური წყარო, საშუალებას იძლეოდა სუდანის ცენტრალურ მთავრობაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტის როლი შეესრულებინა. ამიტომ იყო, რომ დასავლეთის პრესა ასე თავგამოდებით ექომაგებოდა სამხრეთ სუდანელ სეპარატისტთა იდეას „ბიაფრის“ ტიპის დამოუკიდებელი სახელმწიფოს „აზანიის“ შექმნის თაობაზე სამხრეთ სუდანის ტერიტორიაზე. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თავის დროზე სამხრეთ სუდანელ სეპარატისტებს სამხედრო დახმარებას უწევდა აშშ და ისრაელი.

სუდანის მთლიანობისა და ერთობისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა სამხრეთ სუდანის პოლიტიკურ ლიდერთა შეთანხმება სუდანის ცენტრალურ მთავრობასთან 1972 წლის მარტში ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში. თანახმად შეთანხმებისა სამხრეთ სუდანმა მიიღო ავტონომიის სტატუსი ერთიანი სუდანის სახელმწიფოში.

ხელშეკრულების გაფორმებით არ გადაჭრილა სამხრეთის პრობლემა. კიდევ ბევრი რამ არის სამხრეთის რაიონებში გასაკეთებელი; უპირველეს ყოვლისა საჭიროა მტკიცე კავშირის დამყარება სამხრეთისა და ჩრდილოეთს შორის. კავშირის ერთადერთ ეფექტურ საშუალებას ჯერ კიდევ მდ. თეთრი ნილოსი წარმოადგენს. რკინიგზის ხაზი მხოლოდ ქალაქ ვაუმდე აღწევს. სუდანში ჯერ კიდევ არ არსებობს არც ერთი გზატკეცილი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჰკვეთდა ქვეყანას. ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებიც კი არ მოქმედებენ მთელი წლის განმავლობაში — წვიმების სეზონში ისინი გაუვალნი ხდებიან.

სამხრეთ სუდანში ადგილობრივ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სუდანის ვიცე-პრეზიდენტი ა. ალიერი. რთული და მრავალფეროვანია სამხრეთის წინაშე მდგომი პრობლემები, მაგრამ მთავარი უკვე მიღწეულია — ჩაყრილია მტკიცე საფუძველი მხარის შემდგომი პროგრესისათვის.

ამავე პერიოდში სუდანის საშინაო რეაქცია, რომელმაც ვერ შეძლო თავის დროზე ორგანიზებული წინააღმდეგობა გაეწია 1969 წლ-ს

მაისის რევოლუციისათვის, ააქტიურებს თავის მოღვაწეობას საზღვარგარეთ. 1970 წლის თებერვალში საუდის არაბეთში შედგა სუდანელ ემიგრანტთა თათბირი, რომელზეც ემიგრანტთა ლიდერად აირჩიეს ეროვნულ-იუნიონისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შერიფ ალ-ჰინდი. იმავე წლის გაზაფხულზე კი კონტრრევოლუცია უკვე იარაღით შეეცადა რევოლუციური რეჟიმის დამხობას. კუნძულ აბაზე (თეთრი ნილოსი) პარტია ალ-უმას რელიგიური ბელადისა და ალ-ნასარის სექტის ხელმძღვანელის ალ-მაჰდის მშობლიურ ადგილას თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა სამხედრო ძალებმა. მარტში დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები. სამხედრო გადატრიალების ცდა სრული მარცხით დამთავრდა, ხალხის ფართო მასებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი მთავრობას. მარტის ამბებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს კლასთა ბრძოლის რთული ფორმების არსებობა სუდანში და ყველა რევოლუციურ-პატრიოტულ ძალთა კავშირის აუცილებლობა.

მიუხედავად არაერთი მარცხისა, სუდანის რეაქციას არც კი უფიქრია ხელი აეღო ბრძოლაზე. რეაქციამ მხოლოდ ტაქტიკა შეცვალა და გეზი აიღო რევოლუციურ-დემოკრატიული რეჟიმის მომხრეთა ბანაკში განხეთქილების შეტანაზე. მან ისარგებლა იმით, რომ ნაციონალისტურ წრეებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ანტიკომუნისტური განწყობილება. კონტრრევოლუციამ იწყო დემაგოგიური მიზნებისათვის გამოყენება ისეთი ლოზუნგებისა, როგორიცაა „არაბული ნაციონალიზმი“, „პატრიოტიზმი“, „სოციალიზმი“. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციური მოძრაობის შიგნით არსებული უთანხმოება თავის მხრივ ართულებდა ქვეყნის წინაშე მდგომ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკური ხასიათის ამოცანათა გადაჭრას. მოძრაობა შედგებოდა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ძალებისაგან, რომელთაც, მართალია, ერთი ანტიიმპერიალისტური მიმართულება გააჩნდათ, მაგრამ ხშირად უჭირდათ თანამშრომლობის ურთიერთმისაღებ ფორმათა გამოძებნა.

აზრთა სხვაობა არსებობდა აგრეთვე საგარეო პოლიტიკის საკითხებშიც, მაგალითად, ლიბიასა და ეგვიპტესთან ურთიერთობის საკითხში, არაბული რესპუბლიკების ფედერაციის საკითხში და სხვა. საბოლოო ჯამში ამ უთანხმოებებმა ხელი შეუშალეს ფართო ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის შექმნას, რომელსაც საფუძველი მაისის რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა. ამავე დროს მთავრობამ იწყო დემოკრატიულ ორგანიზაციათა და პირველ რიგში კომპარტიის მოღვაწეობის

შეზღუდვა. მთავრობამ უარყო ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის შექმნის იდეა კომუნისტების მონაწილეობით. 1970 წლის ნოემბერში რევოლუციური საბჭოს შემადგენლობიდან გამოიყვანეს მემარცხენე ძალების სამი წარმომადგენელი: ბაბიქარ ან-ნური, ჰაბიმ ალ-ატა და ფარუკ ჰამადალა. დააპატიმრეს კომპარტიის გენერალური მდივანი ა. მაჰჯუბი, აიკრძალა სუდანის ახალგაზრდობის კავშირის მოღვაწეობა. თავის გამოსვლებში ნიმეირიმ მოუხშირა კომუნისტებზე თავდასხმებს.

ასეთ ვითარებაში მემარცხენედ განწყობილი ოფიცრობა მაიორ ჰაბიმ ალ-ატას მეთაურობით 1971 წლის 19 ივლისს შეეცადა მოეწყო სამხედრო გადატრიალება. ნიმეირი დააპატიმრეს. ხელისუფლება ახალი რევოლუციური საბჭოს ხელში გადავიდა, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ბაბიკარ ან-ნური, რომელიც ამ დროს ფარუკ ჰამადალასთან ერთად ლონდონში იმყოფებოდა.

ახალმა ხელისუფლებამ ნიმეირის ბრალი დადო ქვეყანაში პირადი ხელისუფლების დამყარებისაკენ ლტოლვაში, მმართველობის დემოკრატიულ მეთოდთა იგნორირებაში და, რაც მთავარია, იმაში, რომ გადაუჭრელი რჩებოდა მწვავე ეკონომიური და სოციალური პრობლემები. ხელისუფლების ახალ ორგანოდ უნდა ქცეულიყო ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტი. ახალ რეჟიმს მხარს უჭერდა სუდანის კომპარტიაც.

მალე გაირკვა, რომ ე. წ. „19 ივლისის მოძრაობის“ ხელმძღვანელებმა ვერ გაითვალისწინეს ყველა საშინაო და საგარეო ფაქტორი. როგორც საშინაო, ასევე საგარეო რეაქციამ მწვავე უარყოფითი პოზიცია დაიკავა ახალი რეჟიმისადმი, რომელიც მათ მიერ კვალიფიცირებულ იქნა როგორც ხელისუფლების უზურპაცია. „19 ივლისის მოძრაობისადმი“ მტრული პოზიცია დაიკავა აგრეთვე ლიბიამ და ეგვიპტემ. 22 ივლისს ნიმეირის ერთგულმა სამხედრო ნაწილებმა მოახდინეს კონტრგადატრიალება და აღადგინეს ძველი ხელისუფლება. დაიწყო მასობრივი რეპრესიები. ბ. ან-ნური, ჰ. ალ-ატა, ფ. ჰამადალა და სხვა აქტიური მონაწილენი სიკვდილით დაისაჯნენ. სიკვდილით დაისაჯა აგრეთვე კომპარტიის გენერალური მდივანი ა. მაჰჯუბი, პოლიტბიუროს წევრები დ. გარანტი და შ. ა. აშ-შეიხი.

მასობრივმა რეპრესიებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას სუდანში, საგრძნობლად გააქტიურდნენ რეაქციული და იმპერიალისტური ძალები. მთავრობაში ხელმძღვანელი პოს-

ტები დაიკავეს თავიანთი პროდასავლეთური სიმპათიებით ცნობილმა მოღვაწეებმა. საერთაშორისო და არაბულმა რეაქციამ ბევრი რამ გააკეთა, რათა ანტიკომუნიზმი ქცეულიყო სუდანის სახელმწიფო იდეოლოგიად. აღსანიშნავია, რომ ივლისის ამბების შემდეგ გაუარესდა სუდანის დამოკიდებულება არა მარტო სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან, არამედ ეგვიპტესთანაც, ლიბიასთანაც, ერაყთანაც. ფაქტიურად დღის წესრიგიდან მოიხსნა სუდანის მონაწილეობა არაბული ქვეყნების ფედერაციაში. სამაგიეროდ გაუმჯობესდა დამოკიდებულება საუდის არაბეთთან და სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან. სამშობლოში დაბრუნდნენ სუეცის არხის ზონაში განლაგებული სუდანის არმიის შენაერთები. 1972 წელს სუდანმა დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა აშშ-თან.

1971 წლის აგვისტოში რევოლუციურმა საბჭომ მიიღო დეკრეტი № 5, რომელსაც დროებითი კონსტიტუციის როლი უნდა შეესრულებინა. ხსენებული დეკრეტით სუდანი გამოცხადდა „სუვერენულ სოციალისტურ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელიც ემყარება მშრომელი ხალხის — გლეხობის, მუშების, ჯარისკაცების, ინტელიგენციისა და ეროვნული ბურჟუაზიის კავშირს". ყველა ეს ძალა გაერთიანდა სუდანის სოციალისტურ კავშირში — ერთადერთ ლეგალურ პოლიტიკურ პარტიაში. კავშირი ასახელებს პრეზიდენტის კანდიდატს, რომელსაც 6 წლით ირჩევენ და იგი აღჭურვილია დიდი უფლებამოსილებით — არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ნიშნავს მინისტრთა საბჭოს და სხვ.

1971 წლის ოქტომბრის რეფერენდუმის შემდეგ პრეზიდენტად აირჩიეს ნიმეირი. 12 ოქტომბერს იგი შეუდგა ახალი მოვალეობის აღსრულებას, ხოლო რევოლუციური საბჭო დაშლილად გამოცხადდა. 14 ოქტომბერს შეიქმნა სუდანის ახალი მთავრობა ნიმეირით სათავეში, მანვე დაიკავა დაგეგმვის მინისტრის პოსტიც. საბჭოს ყოფილი წევრი მაიორი აბუ ზეიდი ვახდა სუდანის სოციალისტური კავშირის გენერალური მდივანი. 1972 წლის იანვარში ხართუმში შედგა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა მისი პროგრამა და საორგანიზაციო დოკუმენტები, აირჩიეს პოლიტბიურო 15 წევრის შემადგენლობით.

1972 წლის ოქტომბერში სუდანში ჩატარდა სახალხო კრების (პარლამენტის) არჩევნები, რომელთან დაკავშირებით მოხდა მთავრობის ახალი რეორგანიზაცია. ნიმეირიმ დაიკავა პრემიერ-მინისტრისა და თავ-

დაცვის მინისტრის პოსტები. ოქტომბრის ბოლოს პოლიტბიუროს შემადგენლობა 25-მდე გაიზარდა. კავშირის თავმჯდომარისა და გენერალური მდივნის პოსტები დაიკავა ნიმეირიმ, მანვე შეადგინა დროებითი ცენტრალური კომიტეტი 260 კაცის შემადგენლობით.

სუდანის ეკონომიურ პოლიტიკაში სულ უფრო და უფრო იგრძნობა აქცენტი კერძო სექტორის გაძლიერებაზე და უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე. 1972 წლის აგვისტოს გამოქვეყნდა ახალი კანონი, რომელიც კონფისკაციისა და ნაციონალიზაციისაგან იცავს უცხოურ კაპიტალს. გაუქმდა 1970 წლის გადაწყვეტილება მთელი რიგი უცხოური და ეროვნული კერძო ფირმების ნაციონალიზაციის შესახებ.

ზაირი

1960 წლის იანვარ-თებერვალში ბელგიის კოლონიური ადმინისტრაციის ინიციატივით ბრიუსელში გაიმართა ე. წ. „მრგვალი მაგიდის კონფერენცია პოლიტიკურ საკითხებზე". კონფერენციაზე კონგო წარმოდგენილი იყო ყველა დიდი პოლიტიკური პარტიითა და ტომების ბელადებით. ბელგიის მთავრობამ შეძლო ისე გაენაწილებინა დელეგატთა მანდატები, რომ პ. ლუმუმბას პარტიამ მხოლოდ სამი მანდატი მიიღო, ხოლო ეროვნული პროგრესის პარტიამ, რომელმაც დეკემბრის არჩევნებში სრული მარცხი განიცადა,—11. ჯერ კიდევ კონფერენციის მუშაობის დაწყებამდე კონგოს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და ბელადებმა საერთო ტაქტიკა შეიმუშავეს ერთიანი ფრონტის შესაქმნელად, რათა გაადვილებულიყო სრული დამოუკიდებლობის მიღწევა. კონფერენციის პირველივე სხდომაზე კონგოს დელეგატებმა ერთხმად მოითხოვეს პ. ლუმუმბას განთავისუფლება. ბელგიის ხელისუფლება იძულებული იყო წასულიყო ამ დათმობაზე.

კონფერენციაზე მთავარ სადავო საკითხად იქცა მისი (კონფერენციის) უფლებამოსილების საკითხი. ბელგიის მთავრობას სურდა კონფერენციის უფლებამოსილება მხოლოდ სათათბირო სტატუსით შემოეფარგლა. პრემიერ-მინისტრს ეიკენს იმის გაგონებაც კი არ უნდოდა, რომ კონფერენციას განეხილა ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები, მათ შორის კონგოს დამოუკიდებლობის პრობლემაც. კონგოს დელეგატთა ერთსულოვანი, მტკიცე პოზიციის შედეგად კოლონიზატორები იძულებული იყვნენ ამ საკითხზეც წასულიყვნენ დათმობაზე.

კონგოს პოლიტიკურ პარტიათა 25 იანვრის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, ქვეყნის დამოუკიდებლობა მოეთხოვათ 1960 წლის 1 ივნისისათვის. პოლიტიკურ ლიდერთა მოთხოვნებს ზურგს უმაგრებდა ფართო ანტიკოლონიური მოძრაობა თვით კონგოში. შექმნილ ვითარებაში ბელგიის მთავრობას სხვა არაფერი შეეძლო გარდა იმისა, რომ 1960 წლის 1 ივნისი 30 ივნისით შეეცვალა. ამავე დროს იგი ყველა-

ფერს აკეთებდა, რათა ფიქციად ექცია ქვეყნის დამოუკიდებლობა. ბელგიის მთავრობამ მოითხოვა, რომ მის განკარგულებაში დარჩენილიყო კონგოს შეიარაღებული ძალები, ფინანსები, მრეწველობა, დიპლომატიური წარმომადგენლობა. კონგოს დელეგაციის პატრიოტულად განწყობილი ჯგუფის გავლენით კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია მთელი სამოქალაქო ხელისუფლების ეროვნული მთავრობისათვის გადაცემის შესახებ. ამის შემდეგაც კი, ჩომბე დაჟინებით მოითხოვდა, რომ „მშვიდობისა და დემოკრატიის შენარჩუნების მიზნით“ ბელგიის კონტროლს დამორჩილებოდა თავისუფალი კონგოს ფინანსები და საგარეო ურთიერთობა.

ბელგიის მთავრობამ მაინც შეძლო კონფერენციისათვის თავს მოეხვია რიგი მისთვის სასურველი გადაწყვეტილებები; კონგოს ტერიტორიაზე რჩებოდა ბელგიის სამხედრო ბაზები, მის ხელშივე რჩებოდა სამხედრო და ტექნიკური დახმარების კოორდინაციის უფლება, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კონფლიქტის შემთხვევაში არბიტრის უფლება. ბელგიელ სპეციალისტებს უნდა შეედგინათ დამოუკიდებელი კონგოს კონსტიტუციის პროექტი. ამიტომ ბუნებრივია, რომ დასავლეთის პრესამ კონფერენციის შედეგები განიხილა როგორც ბელგიის მთავრობისათვის დამაკმაყოფილებელი.

მას შემდეგ, რაც საყოველთაო არჩევნებში მოპოვებული აბსოლუტური გამარჯვების შემდეგ ბელგიის მთავრობა იძულებული იყო ლუმუმბასათვის მიენდო ეროვნული მთავრობის შედგენა და ჩაიშალა ჩომბეს სეპარატისტული გეგმები, 1960 წლის 30 ივნისს ოფიციალურად გამოცხადდა კონგოს დამოუკიდებლობა. ბოლო მოეღო ქვეყნის 80-წლიან ექსპლოატაციას, თუმცა კოლონიზატორები იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ თავიანთ ეკონომიურ ინტერესთა შენარჩუნებას. კონგოს პარლამენტის საზეიმო სხდომაზე ბელგიის მეფემ ბოდუენმა პირდაპირ ურჩია ახალგაზრდა რესპუბლიკის მესვეურებს „საფრთხეში არ ჩაეგდოთ თავიანთი მომავალი ნაჩქარევი რეფორმებით“. საპასუხო გამოსვლაში პრეზიდენტმა კასავუბუმ ქება-დიდებით მოიხსენია როგორც ბოდუენი, ასევე მისი წინამორბედნი, რომელთაც „ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში გააოცეს მთელი მსოფლიო კონგოს მშვიდობიანი კოლონიზაციით“. პროიმპერიალისტ კასავუბუს პანეგირიკის ფონზე სულ სხვაგვარად აღიერდა ლუმუმბას მგზნებარე სიტყვა. ქვეყნის ნამდვილმა პატრიოტმა და ეროვნულმა გმირმა ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე აგრძნობინა ბელგიელებს, რომ ყოფილი კო-

ლონიისა და ყოფილი მეტროპოლიის გზები სამუდამოდ გაიყარნენ. საყოველთაო აღიარებით ეს იყო შესანიშნავი ორატორის საუკეთესო სიტყვა. ამავე დროს ეს იყო თავისებური ნიშანი დასავლეთის იმპერიალისტთათვის: ლუმუმბას მთავრობის წინააღმდეგ დაიწყო შეთქმულების მომზადება. უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ლუმუმბას სახით იმპერიალიზმს კონგოში გაუჩნდა ძლიერი და შეურიგებელი მტერი.

თავისუფლების პირველივე დღეებში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კონგოს ეკონომიკა. ბელგიელმა კოლონიზატორებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს — მოკლე პერიოდში ყველაფერი დეზორგანიზებული აღმოჩნდა: არ მუშაობდნენ ქარხნები, რკინიგზები, სანაოსნო ტრანსპორტი. შეწყდა ყოველგვარი სამუშაოები პლანტაციებზე, მაღაროებში. უმუშევრებით გაივსო დიდი ქალაქების ქუჩები. მხოლოდ ლეოპოლდვილში მათმა რიცხვმა რამოდენიმე ათეულ ათასს მიაღწია. მშრომელთა 70—80 პროცენტმა დაკარგა სამუშაო სტენლივილში, ლულუამბურგში, კოკიიავილსა და სხვა დიდ ქალაქებში. მთავრობას გადაუდებელ საჭიროებათათვის სჭირდებოდა 400—500 მლნ ფრანკი, ჩვეულებრივ პირობებში არცთუ ისე დიდი თანხა. მაგრამ შექმნილ ვითარებაში ამ თანხის შოვნაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა. ადგილობრივმა ბანკებმა უარი უთხრეს კრედიტზე ლუმუმბას მთავრობას. კონგოს კუთვნილ თანხას გაურკვეველი დროით დაადეს ყადაღა ბრიუსელის ბანკებში. ქვეყნის ოქროს მარაგი, რომელიც 1959 წლის დასასრულისათვის 2100 მლნ ფრანკს უდრიდა, 1962 წლისათვის 47 მლნ-მდე შემცირდა.

კონგოს ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი შეკრა საერთაშორისო იმპერიალიზმმა, მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლის შემდეგ იმპერიალისტურ წრეთა შორის კიდევ ერთხელ გამწვავდა წინააღმდეგობა კონგოში. თავისუფალი კონგოს მიმართ საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტრიგებს ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ აქ ჯერ კიდევ მწვავედ ივრძნობოდა დემოკრატიულ ძალთა შორის არსებული განხეთქილება. თავისუფლების მოპოვების შემდეგ კონგოს პროგრესულმა ძალებმა ფაქტიურად ვერ შეძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ საშინაო და საგარეო რეაქციის ერთობლივი შემოტევისათვის. როგორც ხშირად ამბობენ, კონგო აფრიკის გულია. იგი მდებარეობს კონტინენტის ცენტრში და ესაზღვრება რამოდენიმე სახელმწიფოს. კონგოს სრული დამოუკიდებლობა და იქ

საბჭოთა კავშირ-განის მეგობრობის ცენტრის გახსნა აკრაში 1964 წელს



თავისუფლებაში დაბადებული თაობა

პროგრესული რეჟიმის განმტკიცება დიდ გავლენას იქონიებდა მის მეზობლებზე და რევოლუციურ სიტუაციას გააძლიერებდა მთელს აფრიკაში. კონგოს სრული დამოუკიდებლობა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა აგრეთვე კოლონიალიზმის ბასტიონს სამხრეთ აფრიკაშიც. ამიტომ ბუნებრივია, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი კონგოს განიხილავდა როგორც სამხრეთის კოლონიალიზმსა და ჩრდილოეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის არსებულ სანიტარულ კორდონს. კონგოს განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია აგრეთვე აფრიკის ეკონომიკაშიც; აქ მოიპოვება ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნედლეული, როგორიცაა ურანი, კობალტი, სპილენძი, ტყვია, რადიუმი, ნიკელი და სხვა მრავალი. ბოქსიტთა და პალმის ზეთის წარმოების მხრივ კონგოს მეორე ადგილი უკავია აფრიკაში, მესამე — ნატურალური კაუჩუკის, კაკაოსა და ტყვიის, მეოთხე — ბამბის წარმოებაში, კონგოზე მოდის მთელი აფრიკის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ორი მესამედი. მხოლოდ ერთ ინგას ჰიდროელექტროსადგურს იმდენივე ელექტროენერგიის მოცემა შეუძლია, რაც გამომუშავდება დასავლეთ გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, დანიაში, ირლანდიაში, პორტუგალიასა და თურქეთში ერთად აღებული.

გარდა ბელგიისა, კონგოში მნიშვნელოვანი ეკონომიური ინტერესები გააჩნდა აშშ-ს. 1960 წლისათვის აშშ-ის კომპანიათა ანგარიშზე მოდიოდა კონგოს კობალტის 96 პროცენტი, მარგანეცის 61 პროცენტი, ტიტანის 80 პროცენტი, სამრეწველო ალმასთა 87 პროცენტი და ა. შ. საერთაშორისო უცხოურ კომპანიათა ხელში იყო ქვეყნის მთელი სიმდიდრე. სწორედ ამ სიმდიდრის შენარჩუნების მიზნით იმპერიალიზმი თავისუფლების დღესასწაულის დღეებიდანვე შეეცადა ფიქციად ექცია ახალგაზრდა რესპუბლიკის სუვერენიტეტი. რაც შეეხება ლუმუმბას მთავრობას, მიუხედავად მისი სურვილისა, მან ვერ შეძლო მტკიცე და მუდმივი კავშირი დაემყარებინა მოსახლეობასთან და უკანასკნელი თავის სოციალურ დასაყრდენად ექცია. თვითონ ლუმუმბა მტკიცე რევოლუციონერ-დემოკრატი იყო, რომელიც ჟ. პ. სარტრის თქმით, „თავისი აბსტრაქტული ჰუმანიზმიდან ადვილად შეიძლება მისულიყო სოციალიზმამდე". იგი თავიდანვე იქცა როგორც საშინაო, ასევე საგარეო რეაქციის მძაფრი სიძულვილის ობიექტად. ამავე დროს მისი ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში, მან ვერ შეძლო ბოლომდე განთავისუფლებულიყო მთელი რიგი ილუზიებისაგან. მისი „აბსტ-

რაქტული ჰუმანიზმი“ ხშირად ეყრდნობოდა აფრიკაში ანტიკოლონიური მოძრაობის კლასობრივი შინაარსის გაუთვალისწინებლობას. განთავისუფლების პირველ დღეებში ერთ-ერთ თავის საჯარო გამოსვლაში ლუმუმბა ამბობდა: „მაშ ასე, ყველანი ერთად, მუშები და მოსამსახურენი, გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკნი, მდიდრები და ღარიბები, აფრიკელები და ევროპელები, კათოლიკენი და პროტესტანტები, კიმბანგისტები და კიტალისტები, გავერთიანდეთ და ერთად შეექმნათ კონგოს ერი“.

კონგოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრესულმა ლიდერებმა ვერ შეიმუშავეს მოქმედების ისეთი პროგრამა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის მთელი პატრიოტული ძალების გაერთიანება. მოძრაობის ხელმძღვანელობაში არსებული უთანხმოება დამღუპველი აღმოჩნდა თვით მოძრაობისათვის.

როდესაც ლუმუმბამ გაიმარჯვა საყოველთაო არჩევნებში და შექმნა პირვლი დამოუკიდებელი მთავრობა, იმპერიალიზმმა მიზნად დაისახა მისი ჩამოცილება ხელისუფლების სათავეებიდან და მის ადგილზე კასავუბუსა და მისი მომხრეების დასმა. ამ პერიოდისათვის ფაქტიურად კვლავ ბელგიელთა ხელში იყო კონგოს სახელმწიფო მექანიზმი. თავიანთი გეგმის განსახორციელებლად ბელგიელმა კოლონიზატორებმა ადვილად შეძლეს კონგოს ეროვნული არმიის — „ფორს პუბლიკ“-ის ჯანყის პროვოცირება, მაგრამ არმიის უკმაყოფილებამ არა ანტილუმუმბური, არამედ ბელგიელ ოფიცერთა საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. როგორც კი მთავრობამ არმიიდან დაითხოვა ბელგიელი ოფიცრები, გამოსვლები შეწყდა. როდესაც არმიის საშუალებით ბელგიის იმპერიალიზმმა ვერ შეძლო ქაოსი გამოეწვია კონგოში, სხვა საშუალებას მიმართა: ბელგიელ სპეციალისტებს მოუწოდა დაეტოვებინათ კონგო. კონგო დატოვა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა, უმრავლესობამ კი შეიარაღება დაიწყო. კონგოს მთავრობა შეეცადა განეიარაღებინა ბელგიელები, რასაც ზოგ შემთხვევაში სამხედრო ხასიათის შეტაკებები მოჰყვა. უკანასკნელი გარემოება ბელგიის მთავრობამ კონგოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის დასაწყებად გამოიყენა. ასეთ ვითარებაში კონგოს მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს. უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე კონგოში თავისი ჯარები შეიყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მთავარ-

სარდლობამ აშკარა ანტილუმუმბური პოზიცია დაიკავა, რაც არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ კონგოში გაიგზავნა 45 ამერიკელი ოფიცერი და 546 პოლიციელი ნატოს წევრ-სახელმწიფოებიდან. არც ერთი სოციალისტური სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ყოფილა გაგზავნილი კონგოში. თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, იმ პერიოდში 1170 ექსპერტიდან 800 ამერიკელი იყო, 132 ინგლისელი, 90 ფრანგი, 52 ტაივანელი და მხოლოდ 84 ექსპერტი იყო სოციალისტური ქვეყნებიდან. სამეურვეო კომისიაში, რომელიც განაგებდა კოლონიათა საკითხებს, მხოლოდ ერთი აფრიკელი და ორი აზიელი იყო. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციას კონგოში, ფაქტიურად, ხელმძღვანელობდნენ აშშ და მისი მოკავშირეები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზრით კონგოში მოქმედებდა კოლექტიური იმპერიალიზმი.

ბელგიის იმპერიალიზმის ტაქტიკა, კონგოს კრიზისის პირველ ეტაპზე ითვალისწინებდა მინერალური წიაღით მდიდარი კატანგის პროვინციის ჩამოცილებას კონგოსაგან, იქ მარიონეტული მთავრობის შექმნას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაყენებას მომხდარი ფაქტის წინაშე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნეიტრალიტეტი ფაქტიურად უკვე გულისხმობდა კონგოში ორხელისუფლიანობის აღიარებას: კონგოს ცენტრალური მთავრობის და კატანგის სეპარატისტული მთავრობის აღიარებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური რეზოლუცია დასჭირდა იმის დადგენას, მოიცავდა თუ არა კონგო კატანგის პროვინციას. როდესაც სპეციალური რეზოლუციით დადგინდა, რომ კატანგა კონგოს ერთ-ერთი პროვინციაა, კოლონიურმა წრეებმა ყველაფერი იღონეს რეზოლუციის მნიშვნელობის შესაკვეცად. მათ შეძლეს უშიშროების საბჭოში გაეთრიათ მესამე რეზოლუცია, რომელიც აღიარებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნეიტრალიტეტს როგორც ლუმუმბას მთავრობის, ასევე კატანგასა და ჩომბეს მიმართ. იმპერიალისტებმა შეძლეს დაეჯერებინათ აფრო-აზიელი დელეგატები, რომ რეზოლუციაში ბელგია არ ყოფილიყო მოხსენიებული როგორც აგრესორი. საბჭოთა დელეგაციის რეზოლუციის პროექტი, სადაც კონგოს პრობლემა განხილული იყო როგორც აფრიკის საერთო პრობლემა, უარყვეს აშშ-მა და მათმა მოკავშირებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხედართმთავრობის არა-

კეთილსინდისიერებაში დარწმუნებულმა ლუმუმბას მთავრობამ, თვითონ დაიწყო აქტიური მოქმედება. ამ მომენტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხედართმთავრობამ უკუაგდო ნეიტრალიტეტი და აშკარად გამოვიდა ჩომბეს დასაცავად. მან საშუალება არ მისცა ცენტრალური მთავრობის ჯარებს შესულიყვნენ კატანგაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა პირადად ინახულა ჩომბე და ლუმუმბას მთავრობის ზურგს უკან სპეციალური შეთანხმება დადო მასთან: კატანგაში შევიდოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო ნაწილები, მაგრამ არა ჩომბეს გადასაყენებლად, არამედ მის დასაცავად. ეს უკვე კონგოს ეროვნული ინტერესების ღალატი იყო ჰამარშელდის მხრიდან.

ლეოპოლდვილში დაბრუნებულმა ჰამარშელდმა არც კი ისურვა ლუმუმბასთან შეხვედრა ისე გაფრინდა ნიუ-იორკში. ლეოპოლდვილში კვლავინდებურად იმყოფებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია და სამხედრო შენაერთები — „ცისფერი ბერეტები“ — როგორც მათ უწოდებენ. მისიის მოღვაწეობას გამოცოცხლება მხოლოდ ერთხელ დაეტყო, როდესაც მისი ყველა თანამშრომელი სხვადასხვა სასტუმროდან ერთ ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროში — „ბილდინგ როიალში“ გადასახლდა. აი როგორ აღწერა ეს სცენა ფრანგული ჟურნალის „პარი მატჩის“ კორესპონდენტმა: „ჟენევიდან, იერუსალიმიდან, ნიუ-იორკიდან და კიდევ ვინ იცის საიდან ჩამოსულმა ჩინოვნიკებმა დაიკავეს პოზიციები მუხის საწერ მაგიდებთან მაშინ, როდესაც, რატომღაც კოპენჰაგენიდან ჩამოსული მცველები მკაცრად იცავენ ლიფტს, რომელიც მერვე სართულზე ადის. აქ თავის ცისფერ ბერეტსა და გენერლის ეპოლეტებში ზის შვედი გენერალი ფონ ჰორნი. მას მკერდზე ოთხ მწკრივად აქვს დაკიდული საიდუმლო ვითარებაში მოპოვებული ორდენები: უკანასკნელი ომი, რომელშიც შვედ გენერლებს მოუხდათ თავიანთი ტალანტის გამოვლინება, 1814 წელს იყო... „ბილდინგ როიალში“ გამოკეტილ გაერთიანებული ერების მოხელეებს წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა უნდა აკეთონ“. სამაგიეროდ, მშვენივრად ესმოდა თავისი ამოცანა ჩომბეს. იგი კატანგის ჟანდარმერიას ავსებდა ბელგიელი ოფიცრებით, ყიდულობდა იარაღს და აქტიურად ამზადებდა შეთქმულებას ლუმუმბას მთავრობის წინააღმდეგ.

მიუხედავად გარე და შიდა რეაქციის საბოტაჟისა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო რადიკალურ ღონისძიებათა გატარება სეპარა-

ტისტთა წინაღმდეგ; 1960 წლის სექტემბრისათვის განთავისუფლდა სამხრეთ კასაი. სეპარატისტი კოლონჟი ჩომბესთან გაიქცა. ეროვნული არმია მზად იყო კატანგის გასათავისუფლებლად, მაგრამ აქ საქმეში ჩაერია საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ სურდა კატანგის დაკარგვა. იმპერიალისტური წრეები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ჰამარშელდისაგან, რომ მას არ დაეშვა ჩომბეს რეჟიმის დაცემა. 5 სექტემბერს ხმა აიმაღლა საშინაო რეაქციამ — პრეზიდენტი კასავუბუ რადიოთი გამოვიდა და ლუმუმბას გადაყენება მოითხოვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ლეოპოლდვილის აეროდრომს, რადიოკვანძსა და სახელმწიფო დაწესებულებებს. მათი მიზანი იყო ლუმუმბას იზოლირება, რომელსაც შოუსპეს მოსახლეობისადმი მიმართვის საშუალება. თავის საგანგებო სხდომაზე კონგოს პარლამენტმა სრული ნდობა გამოუცხადა ლუმუმბას და უკანონოდ ცნო კასავუბუს ბრძანება მისი გადაყენებისა და პრემიერად ილეოს დანიშვნის თაობაზე. 11 სექტემბერს საერთაშორისო იმპერიალიზმი პირველად შეეცადა თავიდან მოეშორებინა ლუმუმბა. კონგოს გენერალური პროკურორის ბელგიელი რომის ბრძანებით იგი დააპატიმრეს, მაგრამ ეროვნული არმიის ჩარევის შედეგად იმავე დღეს გაათავისუფლეს.

1960 წლის 14 სექტემბერს კონგოში მოხდა სამხედრო გადატრიალება. კასავუბუს თანხმობითა და ხელის შეწყობით ძალაუფლება ხელში აიღო გენერალური შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა მობუტუმ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების დანაშაულებრივი უმოქმედობის პირობებში დააპატიმრეს მთავრობის წევრთა უმრავლესობა. 1960 წლის 25 ოქტომბერს კასავუბუმ სპეციალური დეკრეტით კანონიერად ცნო მობუტუს რეჟიმი. კონგოში სასწრაფოდ დაბრუნდნენ ბელგიელი ჩინოვნიკები, ოფიცრები, მრეწველები, პლანტატორები. კონგოს კანონიერი მთავრობის მეთაური ლუმუმბა ორი თვის განმავლობაში იმყოფებოდა საშინაო პატიმრობაში. ნოემბრის ბოლოს მან საიდუმლოდ დატოვა ლეოპოლდვილი და სტენლივილისაკენ გაემგზავრა, სადაც უკვე იყრიდნენ თავს ქვეყნის პატრიოტული ძალები, მაგრამ 1 დეკემბერს იგი გზაში დააკავეს და უკვე სამხედრო ბანაკში მოათავსეს როგორც პატიმარი. ამავე დროს დასავლეთ პროვინციაში უკვე გიზენგას მეთაურობით შეიკრიბა კონგოს მთავრობა. სტენლივილი დროებით გამოცხადდა ქვეყნის დედაქალაქად.

იანვრის პირველ რიცხვებში, მას შემდეგ რაც ლუმუმბამ უარყო

ყასავუბუს წინადადება მასთან კავშირის დადების შესახებ, იგი და მისი მთავრობის ყოფილი მინისტრი მპოლო და სენატის ყოფილი თავმჯდომარე ოკიტო ჩომბეს გადასცეს. 1961 წლის 13 თებერვალს კი ჩომბეს შინაგან საქმეთა „მინისტრმა" მუნონგომ სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს აუწყა — ლუმუმბა და მისი ამხანაგები გაიქცნენ და რომელიღაც სოფლის მცხოვრებლებმა დახოცესო. ყველასათვის ცხადი იყო, რომ კონგოს პატრიოტები არსად გაქცეულან, ისინი ციხეში დახოცეს ჩომბეს ჟანდარმებმა. მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებით შეხვდა ლუმუმბას მკვლელობას.

1961 წლის მარტში ტანანარივში შეიკრიბნენ კასავუბუ, ჩომბე, კალონჟი, ილეო და ხელი მოაწერეს კონგოს დაქუცმაცების აქტს, რომელიც ითვალისწინებდა „კონგოლეზურ სახელმწიფოთა კონფედერაციას". გიზენგას მთავრობამ გადაჭრით დაგმო ერთიანი სახელმწიფოს დაქუცმაცების იდეა.

1961 წლის ივნისში კონგოს პატრიოტული ძალების ერთსულოვანი მოთხოვნის შედეგად მოიწვიეს პარლამენტი. ახალი მთავრობის შედგენა დაევალა ადულას, რომელმაც განაცხადა, რომ იბრძოლებდა კონგოს ერთიანობის აღსადგენად და დამოუკიდებელი დემოკრატიული პოლიტიკის გასატარებლად. კონგოს პატრიოტთათვის დიდ დანაკლისს წარმოადგენდა 1962 წელს გიზენგას უკანონო დაპატიმრება, რამაც საგრძნობლად დაასუსტა ანტიიმპერიალისტური მოძრაობა კონგოში.

1963 წლის 29 სექტემბერს ადულამ პრეზიდენტ კასავუბუს თანხმობით დახურა ეროვნული პარლამენტი და აკრძალა მისი მორიგი სესიის ჩატარება. რამოდენიმე დღის შემდეგ პროლუმუმბისტური ეროვნული პარტიები იძულებული იყვნენ იატაკქვეშ გადასულიყვნენ. ლეოპოლდვილის პროვინციაში ჩვეულებრივი სასამართლოები საგანგებო სამხედრო ტრიბუნალებით შეიცვალა. ლუმუმბას მომხრე პარტიათა ასობით წევრი უკვალოდ გაქრა უშიშროების სამსახურის ჯურღმულებში, რომელსაც სათავეში ლუმუმბას მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ნენდაკა ედგა.

კანონგარეშე გამოცხადებული, ხელისუფლების მიერ დევნილი ოპოზიცია გაერთიანდა განთავისუფლების ეროვნული საბჭოს ირგვლივ, რომელმაც 1963 წლის 3 ოქტომბერს ბრაზავილში ჩაატარა თავისი პირველი სხდომა. „ჩვენს მიმართ ჩადენილმა უკანონობამ გვაიძულა ყველა ლუმუმბისტური პარტია დემოკრატიისა და ფართო მა-

სების ინტერესთა დაცვის მიზნით შეგვექმნა განთავისუფლების ეროვნული ფრონტი“, — აღნიშნული იყო ბრაზავილში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ დოკუმენტში. განთავისუფლების ეროვნული საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ლუმუმბას ერთგული თანამებრძოლი გიზენგა, რომელიც იმ დროს ციხეში იმყოფებოდა.

1964 წლის 15 აპრილს განთავისუფლების ეროვნულმა საბჭომ მიიღო „მოქმედების პროგრამა“, რომელიც მისი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეობის საფუძვლად იქცა. პროგრამის განხორციელება გულისხმობდა: ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას, თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენას, ეროვნული სიმდიდრის დაბრუნებას სუვერენული სახელმწიფოსათვის.

კონგოს 1960—1961 წწ. კრიზისის მთავარი შედეგი იყო აშშ პოზიციათა მკვეთრი გაძლიერება ბელგიის პოზიციათა შესუსტების ხარჯზე. ნიუხედავად სეპარატისტულ რეჟიმთა ლიკვიდაციისა (სამხრეთ კასაიში 1962 წ. კატანგაში 1963 წ.) ქვეყანა კვლავინდებურად მძიმე კრიზისს განიცდიდა. 1962 წელს დაიწყო ახალ პროვინციათა შექმნა, რამაც მკვეთრად გაზარდა მინისტრთა და ადმინისტრაციულ მოხელეთა რაოდენობა. კონგოში 187 მინისტრი იყო, რომელთაგანაც თითოეული წელიწადში ხელფასისა და სხვადასხვა დახმარების სახით 620 000 ფრანკს ღებულობდა. ამავე დროს მშრომელთა წლიური შემოსავალი 1500—2000 ფრანკს არ აღემატებოდა. ამიტომ იყო, რომ 1962 წლიდან კონგოს თვიურმა დეფიციტმა 1400 მლნ ფრანკს მიაღწია.

კონგოს შიდაპარტიულ და პოლიტიკურ კრიზისს თან ერთვოდა საკონსტიტუციო კრიზისიც. 1960 წლიდან კონგოში მოქმედებდა ბელგიელ იურისტთა მიერ შედგენილი ე. წ. „ძირითადი კანონი“, რომელიც ფაქტიურად არ ითვალისწინებდა კონგოს სინამდვილეს და ბელგიის კონსტიტუციის ტრანსპლანტაციას წარმოადგენდა. „ძირითადი კანონის“ მოქმედება 1964 წლის 30 ივნისს უნდა შეწყვეტილიყო. ამ დროისათვის კონგოს ეროვნულ პარლამენტს უნდა დაემტკიცებინა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. მის გამო, რომ პარლამენტმა ვერ შეძლო ნამდვილ დამფუძნებელ ორგანოდ ქცეულიყო, მთავრობამ პროფკავშირთა, პროვინციათა, ეკლესიის, სტუდენტობის და სხვ. წარმომადგენელთაგან სპეციალურად შექმნილ კომისიას დაავალა 1963 წლის ბოლოსათვის შეემუშავებინა კონსტიტუციის პროექტი.

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დაწყებისთანავე განთავისუფლების ეროვნული საბჭოს ირგვლივ გაერთიანებულმა ოპოზიციამ უა-

რი განაცხადა ეცნო კომისია. თავის მხრივ, 1964 წლის 10 აპრილს კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა და მთავრობამ კონსტიტუციის პროექტი რეფერენდუმზე გაიტანა. კონგოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო რეფერენდუმში — ბევრ პროვინციაში უკვე მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, ხოლო სხვაგან არ არსებობდა ამომრჩეველთა ზუსტი სიები. მას შემდეგ რაც პრეზიდენტმა კასავუბუმ არ გამოაქვეყნა ახალი კონსტიტუცია, ადულას მთავრობა გადადგა. ამ დროისათვის ქვეყანას უკვე ეწოდებოდა „კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა". 1964 წლის 30 ივნისს კონგო დატოვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა. კასავუბუმ ახალი მთავრობის შედგენა მიანდო ჩომბეს, რომელიც ამ დროისათვის ესპანეთში იყო გაქცეული. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა ლეოპოლდვილში. ის ფაქტი, რომ ადულამ ყოველგვარი გართულების გარეშე დათმო პრემიერის პოსტი, იმის მაუწყებელი იყო, რომ საკითხი გადაწყდა არა ლეოპოლდვილში, არამედ ვაშინგტონსა და ბრიუსელში, სადაც კარგად ესმოდათ, რომ „„ცისფერი ბერეტების" წასვლის შემდეგ მხოლოდ კატანგის ყოფილ პრეზიდენტს შეეძლო სეპარატისტული მოძრაობის განეიტრალება იმ პროვინციაში, სადაც ვერც პოლიტიკურმა კრიზისებმა და ვერც სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ სამრეწველო პროდუქციის ზრდისათვის. სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობდა აშშ-ის კაპიტალის ზრდა კონგოში; როკფელერის ფინანსურმა ჯგუფმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა კომპანია „ბოქსიკონგო" და 65 მლნ დოლარი დააბანდა მეორე კომპანიაში — „კომპანი დუ კონგო პურ ლე კომერს"-ში. „ბენკ ოფ ამერიკამ" ფაქტიურად გადაყლაპა „ბანკ დუ კონგო". ინგლისის კაპიტალმა ხელთ იგდო ტრესტების — „იუნიონ მინერის", „იუნიონ ლეევერსის" აქციათა დიდი ნაწილი.

მოვიდა თუ არა ხელისუფლების სათავეში, ჩომბემ მისთვის დამახასიათებელი ტრაბახით განაცხადა: „მადროვეთ ერთი თვე და მე თქვენ გპირდებით სხვა კონგოსო". აშშ-სა და ბელგიაში სჯეროდათ, რომ ჩომბე შეძლებდა „ნორმალური მდგომარეობის უზრუნველყოფას". 1964 წლის ბოლოსათვის ჩომბე უკვე იყო პრემიერი, საგარეო საქმეთა, ინფორმაციის, ტურიზმის, საგარეო ვაჭრობის, დაგეგმვისა და კოორდინაციის, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი. აშშ-ის პრესაც კი მასხრად იგდებდა მრავალ პორტფელიან პრემიერს.

1964 წლის შემოდგომისათვის აჯანყებულთა ხელთ იყო უკვე 12

ბელგიის ტოლი ტერიტორია. სუმიალოს ჯარებმა კვლავ დაიკავეს სტენლივილი. ამავე დროს ჩომბე ყოველნაირად ცდილობდა აჯანყებულთა თავის მხარეზე მიმხრობას. მან ციხიდან გაათავისუფლა გიზენგა, მთავრობაში შეიყვანა ლუბაია — განთავისუფლების ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი; ლეოპოლდვილში დაბრუნდნენ საბჭოს სხვა წევრებიც: კანზი, ლონჟი, პტიპტი; თავის სასარგებლოდ ცდილობდა ჩომბე იმ ფაქტის გამოყენებასაც, რომ საბჭოს ორი მთავარი ხელმძღვანელი გბენიე და სუმიალო კასავუბუს სდებდნენ ბრალს ლუმუმბას სიკვდილში. ყოველივე ამით ზურგგამაგრებული ჩომბე 1964 წლის სექტემბრის დასაწყისს წარსდგა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის წინაშე, სადაც იხილებოდა „კონგოლეზური პრობლემა". აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ თავის სხდომებზე არ დაუშვა განთავისუფლების ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი გბენიე. თავისი მოქმედებით ორგანიზაციამ დააჩქარა რევოლუციური მთავრობის შექმნა სტენლივილში, რასაც თავის მხრივ აჯანყების ხელმძღვანელობაში განხეთქილება მოჰყვა — ხელმძღვანელთა ნაწილი წინააღმდეგი იყო სტენლივილში მთავრობის შექმნისა, ისინი შიშობდნენ, რომ მეორე ვიეტნამად იქცეოდა კონგო. გბენიეს მთავრობაში სუმიალომ დაიკავა სამხედრო მინისტრის პოსტი, ხოლო ლეოპოლდვილიდან დაბრუნებულმა კანზამ — საგარეო საქმეთა მინისტრის.

ლეოპოლდვილისა და სტენლივილის შერიგება შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1964 წლის ოქტომბერში „შინა პატიმრობაში" აიყვანეს გიზენგა. ცხადი იყო, რომ კონგოს მემარცხენე ძალებმა არავითარი თანამშრომლობა არ ისურვეს ჩომბესთან. ჩომბემ ვერც „ეროვნული შერიგება" შეძლო და ვერც სუმიალოს „სახალხო არმიას" გაუმკლავდა. იგი კვლავ ბელგიისა და აშშ-ის იმპერიალისტებმა იხსნეს თავიანთი ჩარევით. 1969 წლის 23 ნოემბერს კონგოში დაიწყო აშშ-ისა და ბელგიის სამხედრო ინტერვენცია. სტენლივილი ბელგიელმა პარაშუტისტებმა დაიკავეს. ჩომბეს არმიის ძირითად ძალას თეთრკანიანი დაქირავებული ჯარისკაცები წარმოადგენდნენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო დამნაშავეთა და რეციდივისტებისაგან შემდგარი ეს ბრბო გარკვეული საზღაურის ფასად მზად იყო ნებისმიერი ჯალათური აქცია განეხორციელებინა.

1965 წლის დასაწყისში კონგოში ჩამოყალიბდა მემარჯვენე პარტიათა ორი დაჯგუფება: ჩომბესი — „კონაკო" („კონგოლეზური ეროვნული კონვენტი"), რომელშიც გაერთიანდა 49 პარტია. მეორე დაჯგუ-

ფებას — „კონგოლეზური დემოკრატიული ფრონტი“ სათავეში ედგა კასავუბუ. მიუხედავად იმისა, რომ 1965 წელს პარლამენტის არჩევნებში „კონაკომ“ გაიმარჯვა, მალე მისი გავლენა მკვეთრად შესუსტდა. რასაც საბოლოო ჯამში 1965 წლის ოქტომბერს ჩომბეს მთავრობის დაცემაც მოჰყვა. ნოემბერში კი ძალაუფლება ხელში აიღო მთავარსარდალმა მობუტუმ. კასავუბუ გადააყენეს. კონგოში 5 წლით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ახალ მთავრობაში შევიდა კონგოლეზური დემოკრატიული ფრონტის 12 და „„კონაკოს“ 7 წარმომადგენელი. პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობა აიკრძალა. აიკრძალა აგრეთვე მუშათა ყოველგვარი გამოსვლები და გაფიცვები. საგრძნობლად შეიზღუდა პარლამენტის უფლებები.

მობუტუს სამხედრო მთავრობა დაადგა სამთო მრეწველობის ნაციონალიზაციის გზას და მოითხოვა, რომ ხელახლა გადასინჯულიყო 1960 წლის შემდეგ გაფორმებული ყოველი კონცესია. სპეციალური კანონით კონგოში მოქმედ ყველა კომპანიას დაევალა კინშასაში (ასე ეწოდა ლეოპოლდვილს) ჰქონოდათ შტაბ-ბინა. „იუნიონ მინერს“ დამატებით დაევალა კონგოს მთავრობისათვის გადაეხადა ის გადასახადი, რომელსაც კომპანია თავის დროზე უხდიდა ჩომბეს რეჟიმს კატანგაში. „იუნიონ მინერის“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა როგორც შტაბ-ბინის კინშასაში გადატანაზე, ასევე გადასახადის გადახდაზე. მაშინ მობუტუს მთავრობამ საკუთარი კომპანია დააარსა და თავის თავზე აიღო კომპანიის ფუნქციები. ახალ ეროვნულ კომპანიას ეწოდა „სოსიეტე კონგოლეზ დე მინერ“ („ჟაკომინ“). მის თავმჯდომარედ დაინიშნა კონგოელი კიბვე, ჩომბეს ყოფილი ფინანსთა მინისტრი.

1967 წელს ცენტრალურმა მთავრობამ შეძლო რიგი ღონისძიებები გაეტარებინა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით. კერძოდ 1 ოქტომბრისათვის მშრომელთა ხელფასი 25 პროცენტით გაიზარდა. შეიქმნა „ფასების სტაბილიზაციის ფონდი“, რომელსაც მთავრობამ 3 000 000 ზაირი (1967 წლიდან — ასე ეწოდა ეროვნულ ფულის ნიშანს) გამოუყო კრედიტის სახით. კერძო ვაჭართა მოგება 25 პროცენტიდან 15 პროცენტამდე შემცირდა.

რაც უფრო მეტ დახმარებას ღებულობდა მობუტუს მთავრობა აშშ-დან, მით უფრო მძიმე ძყო აჯანყებულთა მდგომარეობა აღმოსავლეთ პროვინციაში. 1968 წლისათვის აშშ-ის ყოველწლიურმა ფინანსურმა დახმარებამ 50 მლნ დოლარს მიაღწია. 1967 წლიდან აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ დააარსა კომპანია „ვიგმო“.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ლიხტენშტეინში იყო რეგისტრირებული, მის მოვალეობას შეადგენდა კონგოს სამხედრო თვითმფრინავთა მომსახურება, რომლებსაც არმია და თეთრკანიანი დაქირავებული ჯარისკაცები აჯანყებულთა წინააღმდეგ იყენებდნენ. მფრინავები იყვნენ დაზვერვის სამმართველოს მიერ დაქირავებული კუბელი ემიგრანტები. ამავე დროს აშშ-ის გარკვეული წრეები ჩომბეს კონგოში დაბრუნებისათვისაც ზრუნავდნენ. ჩომბეს, რომელმაც მარტო 1960 წელს 2 617 მლნ ბელგიური ფრანკი მიითვისა, მობუტუს მთავრობა ბრალს სდებდა ბელგიის კომპანიებთან ანტიეროვნულ მაქინაციებში. როდესაც ჩომბე ალჟირის მთავრობამ დაატყვევა და მას კონგოში სასჯელი ემუქრებოდა, პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა პირადად სთხოვა მობუტუს შემწყნარებლობა გამოეჩინა კატანგის ყოფილი „პრეზიდენტისადმი". ჩომბეს მრავლად გამოუჩნდნენ დამცველები აშშ-ის კონსერვატორულ წრეებშიც. სენატორ ლოდის მტკიცებით აშშ-ის მორალური ვალდებულება გააჩნდა ჩომბეს წინაშე, ხოლო სენატორი ტერმონდი პირდაპირ აცხადებდა, რომ ჩომბეს დასჯა უდიდესი კატასტროფა იქნებაო.

1967 წელს კონგოში მწვავედ დადგა თეთრკანიან დაქირავებულ ჯარისკაცთა პრობლემა. ზაფხულში პოლკოვნიკმა შრამმა (კონგოში იგი ცნობილი იყო „შავი ჯეკის" სახელით) დაიკავა ქ. ბუკავუ და დაიწყო ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედება. როგორც კონგოს მთავრობა იუწყებოდა, შრამი სამხედრო დახმარებას ღებულობდა როდეზიიდან და ანგოლიდან. იგი კონგოში დაიბადა მდიდარი ბელგიელი პლანტატორის ოჯახში და თავის მორალურ ვალდებულებად თვლიდა კონგოს „დამშვიდებას". 1967 წლის 11 აგვისტოს დაქირავებულთა სამსახურში მყოფმა კონგოელმა პოლკოვნიკმა მონგამ ბუკავაში გამოაცხადა ეროვნული ხსნის მთავრობის შექმნა. ნოემბერში კონგოში შეიჭრა დაქირავებულთა ახალი რაზმი, რომელსაც ფრანგი დენარი ხელმძღვანელობდა. გენერალმა მობუტუმ საჯაროდ დასდო ბრალი პორტუგალიას კონგოს წინააღმდეგ აგრესიაში, ვინაიდან დენარის რაზმი კონგოში პორტუგალიის კოლონიიდან შეიჭრა. მიუხედავად იმისა, რომ დაქირავებულნი გაცილებით უკეთესად იყვნენ შეიარაღებულნი, ეროვნულმა არმიამ შეძლო მათი დამარცხება და 5 ოქტომბერს ქ. ბუკავუ გაათავისუფლეს.

დაქირავებულთა პრობლემის გადაჭრის შემდეგ კონგოს მთავრობამ მთავარი ყურადღება ქვეყნის ეკონომიკაზე გაამახვილა. 1967

წლის ბოლოს ბელგიამ განაახლა ზოგიერთი სახის ტექნიკური „დახმარება“, მაგრამ როგორც კი ბელგიის მთავრობა შეეცადა ამის საფასურად ეკონომიურ დათმობებზე აეძულებინა კონგო, მობუტუს მთავრობამ მყისვე განაცხადა, რომ იგი უარს იტყოდა ყოველგვარ დახმარებაზე, თუ უკანასკნელს შანტაჟის ხასიათი მიეცემოდა. გარდა ამისა, 1968 წლის დასაწყისისათვის კონგოს სამმა უნივერსიტეტმა უკვე მოამზადა 500 ადგილობრივი პედაგოგი, რომელთაც შეეძლოთ წარმატებით შეეცვალათ ბელგიელი მასწავლებლები. 1967 წლის აგვისტოს დაარსდა სამრეწველო განვითარების ბანკი. 1968 წ. მაისს „ჟაკომინი“ მთლიანად სახელმწიფო კომპანიად გამოცხადდა. აქციათა 100 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებად იქცა. იმავე პერიოდში დააპატიმრეს „ჟაკომინის“ თავმჯდომარე კიბვე, რომელიც სახელმწიფო თანხების მითვისებაში ამხილეს.

სულ რამდენიმე წელიწადში მკვეთრად გაიზარდა სპილენძისა და კობალტის წარმოება. 1970 წელს „ჟაკომინმა“ ქვეყანას მისცა 385 460 ტ. სპილენძი და 13958 ტ. კობალტი, ხოლო 1971 წელს — 405 465 ტ. სპილენძი და 15 680 ტ. კობალტი.

1967 წლის მაისში მობუტუმ დააარსა რევოლუციის სახალხო მოძრაობის პარტია, რომელიც კონგოს ერთადერთ და მმართველ პარტიად იქცა. პარტიის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება იყო არმიის როლისა და გავლენის შემცირება. პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. პოლიტიკურ პლათფორმასა და ორიენტაციას ადგენს პარტიის პოლიტბიურო. ყველა პროვინციაში შეიქმნა პარტიის განყოფილება. 1970 წლის მაისში პარტიის ყრილობაზე დამტკიცდა ერთპარტიული სისტემა და შეიტანეს სათანადო ცვლილება ქვეყნის კონსტიტუციაში. საბოლოო ჯამში პარტია უნდა იქცეს უმაღლეს ეროვნულ ინსტიტუტად. 1970 წელს კონგოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფოს კონტროლს დაემორჩილა ავტომანქანებით მოვაჭრე ყველა ბელგიური ფირმა, ხოლო 1971 წლის მარტში 2 450 000 ზაირით დაჯარიმდა ბელგიური ბანკი „სოკო ბანკი“. ბანკს ბრალად დაედო უცხოური ვალუტის ბრუნვის წესების დარღვევა. ბანკის დირექტორს ბელგიელ დე კუიპერს მიესაჯა 8 წლის პატიმრობა და დაჯარიმდა 175 000 ზაირით. საბრალდებო აქტში ნათქვამი იყო, რომ ბანკმა უკანონოდ მითვისა 20 800 000 დოლარი. ქვეყნის ეკონომიკისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი დეკრეტი იქნა მიღებული 1971 წლის სექტემბერს — ყველა უცხოელს ეკრძალებოდა კონგოდან უცხოეთში გადაერიცხა თავ-

სი სუფთა შემოსავლის ნახევარზე მეტი. აღნიშნული ღონისძიებებით საგრძნობლად შემცირდა კაპიტალის გაზიდვა უცხოეთში, რაც მეტად საშიშ ფორმებს ღებულობდა.

წლების განმავლობაში კონტრაბანდული წესით გადიოდა უცხოეთში კონგოში მოპოვებული ალმასის ნახევარი, რის გამოც ყოველწელს მთავრობა კარგავდა თავისი შემოსავლის ერთ მეოთხედს. 1971 წლის ოქტომბერს გაუქმდა ალმასის საბადოთა კორუმპირებული პოლიცია და კონტრაბანდასთან ბრძოლა არმიას დაეკალა. მარტო 1972 წელს კონგოდან გაასახლეს გაურკვეველი პროფესიის მქონე 7 000 ევროპელი. მათ ძირითად პროფესიას ძვირფასი ქვებით ვაჭრობა წარმოადგენდა.

კონგოს განათლების სისტემის განმტკიცებისა და ქვეყნის პატრიოტთა აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1971 წლის აგვისტოს კანონს, რომლის ძალითაც აიკრძალა უცხოეთში სასწავლებლად გამგზავრება. ყველა კონგოელი სტუდენტი, რომელიც უცხოეთში ეუფლებოდა სპეციალობას, რომელსაც კონგოს უნივერსიტეტთა სასწავლო პროგრამაც მოიცავდა, დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. 1971 წლის 27 ოქტომბრის დეკრეტით ქვეყანას ეწოდა ზაირის რესპუბლიკა, მდ. კონგოს — ზაირი. შედარებით მოკლე პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. 1971 წლის დასასრულს 70 პროცენტით მოემატათ ხელფასი მუშამოსამსახურეებს. მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა ეროვნულ კომპანიათა და ფირმათა დაარსებას, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოღებოდა ბოლო ბელგიისაგან დამოკიდებულებას. 1971 წლის სექტემბერს მობუტუს მთავრობამ უარყო იაპონიის წინადადება ზაირისათვის ზღვაზე ახალი გასასვლელის მშენებლობის დაფინანსების თაობაზე. 1972 წლის მაისში კი ზაირში ამუშავდა პირველი ატომური რეაქტორი, რომელიც წმინდა ეროვნულ პროდუქტს წარმოადგენს — იგი ჩაიფიქრეს, დააპროექტეს და ააშენეს ადგილობრივმა სპეციალისტებმა. 1972 წლის მაისში კინშასას მახლობლად ძალუკუში, ზაირის ნაპირზე დაიწყო რესპუბლიკაში უდიდესი მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა. სამუშაოთა პირველი რიგი 1974 წელს დამთავრდა. პირველ ორ წელს კომბინატი ქვეყანას 150 000 ტ. ფოლადსა და ფოლადის ნაწარმს მისცემს, შემდგომში კი — 300 000 ტონას. კომბინატის პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის მდ. ზაირზე უკვე შენდება კინშასას შემდეგ უდიდესი პორტი.

ქვეყნის, ქალაქთა, ქუჩების ევროპული სახელების ადგილობრივით შეცვლის შემდეგ აფრიკანიზაციის პოლიტიკის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა 1972 წლის თებერვლის დეკრეტი ახალდაბადებულთა და უფროსი ასაკის მოქალაქეთათვის სახელების შეცვლის შესახებ. თვითონ მობუტუმ თავისი ევროპული სახელი — ჯოზეფ დეზირე წმინდა აფრიკული სესე სეკო-თი შეიცვალა. ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა აგრეთვე ის ფაქტი, რომ 1972 წლის მაისს მობუტუმ უარყო პარტიის კონფერენციის წინადადება მისი სიკვდილამდე პრეზიდენტად გამოცხადების შესახებ.

ძნელია ზაირის რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიური კურსის ერთნიშნა მაჩვენებლით კლასიფიცირება; 1967 წ. ერთ-ერთი ევროპული გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვაზე — თუ განვითარების რა გზას აირჩევდა კონგო კაპიტალისტურს თუ სოციალისტურს, მობუტუმ უპასუხა: „ერთადერთი გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, ეს არის ნაციონალიზმი, პოზიტიური ნაციონალიზმი“.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკის კურსს, ჯერ კიდევ 1967 წელს კონგოს ოფიციალური პრესა გამოვიდა მალავის პრეზიდენტის — ბანდას სასტიკი კრიტიკით, რომელმაც იმ პერიოდში დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან. 1968 წელს მობუტუს მთავრობამ ოფიციალურად დაგმო ნიგერიელი სეპარატისტები და უარი განაცხადა ეცნო „ბიაფრა“. იმავე, 1964 წელს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა აღსდგა საბჭოთა კავშირთან. ზაირის მთავრობას მტკიცე ანტიკოლონიური პოზიცია უკავია როდეზიის საკითხში, ხოლო 1972 წლის მარტში ზაირმა დატოვა პროიმპერიალისტური აფრო-მალგაშეთის ორგანიზაცია. 1972 წლის იანვარს კინშასას ოფიციალური ვიზიტით ეწვია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. ზაირის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს განიხილეს ორი ქვეყნის შემდგომი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები.

ამავე დროს დღითი დღე ძლიერდებოდა აშშ-ის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაში, რასაც თავისი უარყოფითი შედეგები მოჰყვა; ამის პირდაპირი შედეგი იყო შაბას (ყოფილი კატანგა) პროვინციის მაცხოვრებელთა აჯანყება 1977 წლის გაზაფხულზე. როგორც მოსალოდნელი იყო, მობუტუს რეჟიმის დასაცავად აღსდგა დასავლეთის იმპერიალიზმი აშშ-ის მეთაურობით. მობუტუს დახმარება აღმოუჩინა პეკინმაც, იმპერიალისტთა აშკარა აგენტის როლი მაროკომ იკისრა, სახალხო აჯანყება ჩააქრეს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

1960 წელს, როდესაც მთელი პროგრესული მსოფლიო ზეიმობდა 17 სუვერენული სახელმწიფოს დაბადებას აფრიკაში, არანაკლებ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას ჰქონდა ადგილი კონტინენტის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. 30 აპრილს შუაღამისას ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა დასტოვა სამხრეთ აფრიკის კავშირმა. ფერვურდის მთავრობა იძულებული იყო უარი ეთქვა თანამეგობრობის წევრობაზე, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, რასისტული რეჟიმის სულ უფრო მზარდი იზოლაციით, ხოლო მეორე მხრივ, თვით თანამეგობრობის შიგნით აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხვედრითი წონის ზრდით. 1960 წლის 31 მაისს დიდი ზეიმით აღინიშნა სამხრეთ აფრიკის კავშირის შექმნის 50 წლისთავი, ხოლო ოქტომბერში ჩატარდა რეფერენდუმი (მხოლოდ თეთრების მონაწილეობით) ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადების საკითხზე. 1961 წლის 31 მაისს სამხრეთ აფრიკის კავშირი ოფიციალურად გამოცხადდა რესპუბლიკად, რითაც ბოლო მოეღო ინგლისისაგან პოლიტიკურ დამოკიდებულებას. რესპუბლიკის გამოცხადების ფაქტში მკვეთრად გამოვლინდა აფრიკანდერთა ნაციონალიზმი. ინგლის-ბურების ომიდან მოყოლებული ყრუ წინააღმდეგობა არსებობს თეთრი მოსახლეობის ორ მოქიშპე ჯგუფს შორის — აფრიკანდერთა და ინგლისურენოვან მოსახლეობას შორის. თავდაპირველად მმართველი კლასის ეს ორი ჯგუფი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდა: აფრიკანდერები სოფლის მეურნეობით იყვნენ დაინტერესებული, ინგლისური წარმოშობის მოქალაქეთა ხელში იყო მრეწველობა, ფინანსები, ვაჭრობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მრეწველობაში შეიჭრა აფრიკანდერული კაპიტალიც. აფრიკანდერული ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენს დამმუშავებელი მრეწველობისადმი, სადაც უკვე გაბატონებულია ადგილობრივი ინგლისური წარმოშობის ბურჟუაზია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხრეთ აფრიკის ეკონომიკაში გაბა-

ტონებულ ინგლისურ მონოპოლიებთან. პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც ნაციონალისტური პარტიის ხელში იყო, აფრიკანდერული ბურჟუაზიის ეკონომიური პოზიციების განმტკიცების სერიოზულ იარაღს წარმოადგენდა.

რესპუბლიკად გამოცხადება ფერვურდის მთავრობას ინგლისთან პოლიტიკური კავშირის შესასუსტებლად ესაჭიროებოდა; კავშირისა, რომელსაც ძლიერ აფასებდა ქვეყნის ინგლისური მოსახლეობა. ნაციონალისტთა მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა ყველა თეთრკანიანი მოსახლეობის ერთობის განმტკიცება, რაც, მათი აზრით, რესპუბლიკას უნდა მოჰყოლოდა. 1960 წლის 6 აგვისტოს ქ. ლიხტენბურგში მიტინგზე ფერვურდმა განაცხადა: „სამხრეთ აფრიკის კავშირი საკუთარ ფეხებზე უნდა იდგეს... თეთრკანიანთა ერთობა მხოლოდ რესპუბლიკის პირობებშია შესაძლებელი, მონარქიამ კი ვერ შეძლო მისი გარანტირება".

უკანასკნელ წლებში აფრიკანდერთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკის დემოგრაფიული მონაცემები; 1963—1967 წწ. თეთრი მოსახლეობის რაოდენობა 325 000 კაცით გაიზარდა, აფრიკელთა რაოდენობა კი — 1 100 000 კაცით. 1967 წლის ბოლოს რესპუბლიკაში ცხოვრობდა 12 750 000 აფრიკელი, 3 563 000 თეთრკანიანი, 1 859 000 ფერადკანიანი და 561 000 აზიელი. თუ მატების დღევანდელი ტემპები იქნება შენარჩუნებული, 2 000 წელს თეთრი მოსახლეობა შეადგენს 6 500 000 კაცს, ფერადკანიანები — 5 000 000, აზიელები — 1 100 000, ხოლო აფრიკელები 26 000 000. ნაციონალისტურ მთავრობას განსაკუთრებით უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები აფიქრებს, საიდანაც ირკვევა, რომ თეთრ ემიგრანტთა 60 პროცენტი შთანთქა ინგლისურენოვანმა მოსახლეობამ და მხოლოდ 40 პროცენტი — აფრიკანდერებმა. როგორც მიგრაცია, ასევე შობადობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის აფრიკანდერთა მომავალს. პრობლემა მით უფრო დრამატულია, რომ მთავრობა უძლურია მასთან ბრძოლაში.

სამხრეთ აფრიკის კავშირის რესპუბლიკად გამოცხადების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სამხრეთ აფრიკის მმართველი წრეების პოზიციათა განმტკიცება ინგლისის მონოპოლიურ კაპიტალთან ბრძოლაში. აქ უკვე გამოვლინდა ადგილობრივი, ლოკალური იმპერიალზიმისათვის დამახასიათებელი ნიშანი. იმპერიალისტური დავის ობიექტს წარმოადგენდა არა მარტო ადგილობრივი აფრიკული მოსახლეობის ძარცვის

მონოპოლია, არამედ მეზობელ ტერიტორიათა — სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის, ლესოტოს, ბოტსვანას, სვაზილენდის, მალავის მოსახლეობაც.

ფერვურდის მთავრობა, რომელიც ცდილობდა შეესუსტებინა ინგლისის გავლენა სამხრეთ აფრიკაში, არ იყო დაინტერესებული ინგლისთან ეკონომიური ურთიერთობის მოსპობით ან შეზღუდვით. ეს უპირველეს ყოვლისა თვით სამხრეთ აფრიკის კავშირს მოუტანდა ზიანს. თავის მხრივ ინგლისის მთავრობა დაინტერესებული იყო სამხრეთ აფრიკის კავშირის შენარჩუნებით თანამეგობრობაში; გარდა იმისა, რომ ინგლისისათვის სამხრეთ აფრიკა წარმოადგენს სტრატეგიულ რაიონს, რომელიც იცავს საზღვაო გზასა და ინგლისის გავლენას საჰარის სამხრეთით, იგი ინგლისის მონოპოლისტური კაპიტალის მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. 1 მლრდ ინვესტირებული გირვანქა სტერლინგიდან ინგლისის მონოპოლიათა წლიური მოგება 15 პროცენტს შეადგენს. ინგლისიდან კაპიტალის ექსპორტის მხრივ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მესამე ადგილზეა კანადისა და ავსტრალიის შემდეგ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ინგლისმა მაინც ვერ შეძლო შეენარჩუნებინა თანამეგობრობაში სამხრეთ აფრიკის კავშირი, რაც იმის მანიშნებელი იყო, თუ რა ძლიერ შეიცვალა 1960 წლისათვის ბრიტანეთის იმპერიის სახე. ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის პრემიერ-მინისტრთა 1960 წლის კონფერენციამ ცხადყო, რომ ინგლისის მთავრობა ამიერიდან იძულებული იქნებოდა სერიოზული ანგარიში გაეწია აზია-აფრიკის ქვეყნების პოზიციისათვის. 1961 წლის მარტში ინგლისური გაზეთი „სანდი ტელეგრაფი" წერდა: „იმასთან დაკავშირებით, რომ თანამეგობრობა ახალი წევრებით შეივსება, ძალთა თანაფარდობა კონფერენციის მაგიდის ირგვლივ გარდუვალად შეიცვლება სუსტადგანვითარებული ქვეყნების განსაკუთრებულ ინტერესთა სასარგებლოდ, თეთრი ადამიანის საზიანოდ. ინგლისი სულ უფრო და უფრო უძლური გახდება".

ეკონომიური თვალსაზრისით 60-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უკვე იდგა ევროპის ბევრი სახელმწიფოს გვერდით. უკანასკნელთაგან განსხვავებით მისი ეკონომიური სიძლიერის ბაზას აფრიკელთა მონური და ნახევრადმონური შრომა წარმოადგენს. აფრიკელთა შეუნიღბავი ძარცვა აქ ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედია და ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობა გამომდინარეობს მმართველი წრეების რწმენიდან, რომ ადგილობრივი აფრიკე-

ლი ვერასოდეს ვერ შეძლებს თავის ქვეყანაში მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობას.

რესპუბლიკის მრეწველობა კარგად არის უზრუნველყოფილი ნედლეულის საკუთარი ბაზით. მრავალრიცხოვანი მაღაროები, რომლებიც შრომის პირობებით ცოტათი თუ განსხვავდებიან ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკებიდან, უხვად ამარაგებენ ქარხნებს ქვანახშირით, რკინის მადნით, მრავალნაირი მინერალებითა და იშვიათი მეტალებით. ქვანახშირის მარაგის რაოდენობით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მეხუთე ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ სამყაროში. თუჯის მარაგით — მეშვიდე, მარგანეცით — მეოთხე, ხოლო რკინის მადნის სამრეწველო მარაგით — პირველი. გარდა ამისა, ფართო მასშტაბებით წარმოებს ოქროს, ვერცხლის, ალმასის, გოგირდის, სპილენძის, გრაფიტის, ვანადიის, თუთიის, ტყვიის და სხვ. მოპოვება. ჯერჯერობით რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნაპოვნი არ არის ნავთობის საბადო. მიუხედავად ამისა, უკვე აშენებულია სამი გიგანტური ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. რამდენიმე წელია რაც მოლაპარაკება წარმოებს ნავთობით მდიდარ ქვეყნებთან კონცესიათა შესაძენად.

1966 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საქონლის ექსპორტმა სარეკორდო ციფრს—12028 მლნ რენდს მიაღწია, ხოლო 1968 წელს ეს ციფრი კიდევ 350 მილიონით გაიზარდა. რესპუბლიკის ეკონომიური მოგების ზრდას საგრძნობლად შეუწყო ხელი სუეცის არხის დაკეტვამ 1967 წელს. საზღვაოსნო ტრასა უკვე კეთილი იმედის კონცხს უვლიდა და 1968 წელს უცხოეთის გემების მომსახურებით მიღებულმა მოგებამ 47 მლნ რენდი შეადგინა, 1966 წლის 19 მილიონთან შედარებით. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიური სიძლიერის ზრდას დიდად შეუწყო ხელი პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, რომლებიც 1971 წლის დასასრულს 4 მლრდ რენდზე მეტს შეადგენდა და ყოველწლიურად 10 პროცენტით იზრდებოდა. უცხოურ ინვესტიციათა 70 პროცენტზე მეტი აშშ-სა და ინგლისზე მოდის; ეს გასაგებია, რადგან მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არა აქვს უცხოურ კაპიტალს ისე დიდი მოგება (რიგ შემთხვევებში 27 პროცენტი), როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. მარტო ამერიკულ „სტანდარტ ოილ ოფ ნიუ-ჯერსის“ დაგეგმილი ჰქონდა 1969—1974 წწ. 100 მლნ დოლარის დაბანდება. „ფორდს“, „ჯენერალ მოტორს“, „კრაისლერს“ ეკუთვნით ავტომანქანებით ვაჭრობის სრული მონოპოლია. უკანასკნელ წლებში ხსენებულმა მონოპოლიებმა 200 მლნ

დოლარი დააბანდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. უცხოურ კაპიტალს იზიდავს ზღაპრული მოგება, რაც უპირველეს ყოვლისა აფრიკელთა მონური შრომითაა გაპირობებული. თავის მხრივ სამხრეთ-აფრიკული ფირმებიც ფართოდ თანამშრომლობენ უცხოურ ფირმებთან; 1971 წლის აგვისტოს „დი ბეერსმა“ და პორტუგალიურმა „კომპანია დი დიამანტი დი ანგოლამ“ მიიღეს კონცესია ანგოლის 1,8 მლნ კვ კმ ტერიტორიაზე, სადაც განზრახულია ალმასმომპოვებელი სამუშაოების დაწყება. საარენდო გადასახადი 1974 წელს 6 მლნ დოლარს შეადგენდა, ხოლო 1977 წლისათვის 28 მლნ-მდე გაიზარდა.

1971 წლის იანვარს აშშ-ის ე. წ. არაეკონომიურ ამოცანათა საბჭომ, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს კორპორაციათა პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ ობიექტური და სრული ინფორმაციის გავრცელება, ბრალი დასდო ხსენებულ კომპანიებს, რომ ისინი ხელს უწყობენ აპართეიდის განმტკიცებას: — „ქვეყნის ეკონომიკაში თავისი მზარდი მონაწილეობით ეს კორპორაციები უკვე დაინტერესებული არიან ეკონომიური და პოლიტიკური სტატუს ქვოს შენარჩუნებაში“, — აღნიშნულია საბჭოს დადგენილებაში. აშშ-ის მთავრობამ ჯერ კიდევ 1963 წელს განაცხადა, რომ მან აკრძალა იარაღის მიყიდვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის. იმავე წელს კი ფერვურდის მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო აშშ-ის კონცერნებთან „დუგლასთან“, „ნორდ ამერიკენ ავიეიშენ“-თან და „ნორტრინ“-თან თვითმფრინავებისა და რაკეტების შეძენის საკითხზე. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, შეძენილ იქნა რაკეტები „ჰაერი-ჰაერი““, ტორპედოები წყალქვეშა ნავებისათვის და სამხედრო თვითმფრინავები „ს-130“.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთელი მრეწველობა თეთრკანიანი უმცირესობის ხელშია. „თეთრი რესპუბლიკისათვის“ დამახასიათებელია განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოს ნიშნები წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონით, მონოპოლიურ და სახელმწიფო-მონოპოლიურ გაერთიანებათა მაღალი დონით და ბატონობით. შვიდი წამყვანი სამრეწველო-საფინანსო კორპორაცია დაკავშირებულია ორ ბანკთან, რომელთა კაპიტალი ორ მილიარდ რენდს (1 რენდი — 1,4 დოლარი) შეადგენს. მათი წლიური მოგება 200 მლნ რენდს აღწევს, ხოლო საქმიანი ინტერესებით ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, გფრ-ის, შვეიცარიის კონცერნებთან და ბანკებთან.

ზემოხსენებული შვიდი კორპორაციიდან ერთ-ერთია „ანგლო-

ამერიკენ კორპორეიშნ ოფ საუტ აფრიკა", შტაბ-ბინით იოჰანესბურგში. როდესაც 1917 წელს იგი დააარსა ერნესტ ოპენჰეიმერმა, მისი საქციონერო კაპიტალი 1 მლნ გირვანქა სტერლინგს არ აღემატებოდა. დღეს კორპორაციის აქტივი 2 მლრდ 423 მლნ დოლარად ფასობს და იგი კონტროლს უწევს 135 კომპანიასა და ფირმას. გარდა იმისა, რომ კორპორაცია იძლევა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთელი ოქროს 32 პროცენტს, ურანის 24 პროცენტს, ქვანახშირის 43 პროცენტს, იგი უკვე წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო მონოპოლიას. კორპორაციის ხელშია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის მთელი ალმასმომპოვებელი მრეწველობა. ამჟამად კორპორაციას სათავეში უდგას ჰარრი ფრედერიკ ოპენჰეიმერი, რომელიც ცნობილია თავისი ფართო კავშირებით სიტის, ნიუ-იორკის, ციურიხის, ფრანკფურტის და სხვა საქმიან წრეებში. იგი ერთდროულად ათეულობით კომპანიათა თავმჯდომარეა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკაში მძლავრად არის წარმოდგენილი სახელმწიფო-მონოპოლიური სექტორიც. სახელმწიფოს ხელშია მიწა, ტყე, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიო, სატელეფონო ქსელი, რკინიგზები, აეროფლოტი. სახელმწიფო მრავალი დიდი ფირმის მეპაიე და ხშირად ფაქტიური მფლობელია. სახელმწიფო კაპიტალისტურმა საკუთრებამ უკვე 2 მლრდ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა და განუხრელად იზრდება.

რესპუბლიკის გამოცხადებას ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში რეპრესიათა გაძლიერება მოჰყვა. აიკრძალა გავლენიანი პროგრესული ჟურნალ-გაზეთები. აკრძალულ წიგნთა სიამ 20 000 დასახელებას გადააჭარბა.

1960 წელს იწყება ჯერ კიდევ 1959 წელს მიღებული კანონის „ბანტუს თვითმმართველობის განვითარების შესახებ" ცხოვრებაში გატარება. კანონი ითვალისწინებდა ქვეყანაში არსებული 264 რეზერვაციის რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულად გაერთიანებას, რომლებიც „ეროვნულ სამშობლოდ" („ბანტუსტანებად") უნდა ქცეულიყვნენ ბანტუს ტომებისათვის — ზულუსთვის, კოსასათვის, ბეჩუანებისათვის, ჩრდილო და სამხრეთ ბასუტოსათვის, ვენდასათვის, ტსონგსათვის, სვაზისათვის.

ბანტუსტანების შექმნას, გარდა ფართოდ რეკლამირებული პროპაგანდისტულისა, სხვა მიზნებიც გააჩნდა; ამით აფრიკელებს ერთმეოდათ ის უმნიშვნელო უფლებები, რაც მათ მანამდე გააჩნდათ თავიანთ-

სავე სამშობლოში; გაუქმდა იმ რამოდენიმე აფრიკელის მანდატი, რომელთაც ადგილობრივი მკვიდრნი პარლამენტში ირჩევდნენ.

1963 წლის მაისში პარლამენტმა დაამტკიცა კანონი პირველი ბანტუსტანის მოწყობის შესახებ. ეს იყო ტრანსკეი (ტერიტორია 41 000 კვ კმ), კოსათი დასახლებული უდიდესი რეზერვატი. ტრანსკეიმ მიიღო თავისი საკანონმდებლო კრება, მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო ალამი და ჰიმნი. საკანონმდებლო კრების კომპეტენციაშია საშინაო საქმეები. კრების მიერ მიღებული ყველა კანონი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს. ისეთი საკითხები, როგორიცაა საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, საშინაო უშიშროება, ემიგრაცია, სავალუტო სისტემა, ტრანსპორტი, რესპუბლიკის მთავრობის კომპენტენციაში დარჩა. ტრანსკეის მოქალაქედ გამოცხადდა ყველა კოსა, ისიც კი, ვინც ტრანსკეიში არ დაბადებულა და აქ არასოდეს უცხოვრია (1960 წლის აღწერით სამხრეთ აფრიკის კავშირში ცხოვრობდა 3,5 მლნ კოსა, ამათგან ნახევარზე მეტი ტრანსკეის გარეთ). ტრანსკეის კანონები ვრცელდება ყველა კოსაზე. საკანონმდებლო კრების 109 წევრიდან მოსახლეობა ირჩევს 45-ს. დანარჩენი ადგილები ტრადიციულ ბელადებს ეკუთვნით. 1963 წლის ნოემბერს ჩატარდა ტრანსკეის საკანონმდებლო კრებისა და მთავრობის არჩევნები. საარჩევნო ბრძოლა პრემიერის პოსტის ორი კანდიდატის — ვიქტორ პოტოსა და კაიზერ მატანზიმას მომხრეთა შორის მიმდინარეობდა. პოტო აპართეიდის მოწინააღმდეგე იყო, მატანზიმა კი — მომხრე. 45 მანდატიდან 30 პოტოს მომხრეებმა მიიღეს, მაგრამ პრემიერი მატანზიმა გახდა, ვინაიდან მას მხარი დაუჭირეს ბელადებმა, რომლებსაც არჩეულ წევრებზე მეტი ხმები გააჩნიათ საკანონმდებლო კრებაში.

მიუხედავად ბანტუსტანის პოლიტიკის აშკარა რასისტული საფუძვლებისა, ნაციონალისტურ პარტიაში ბევრი აკრიტიკებდა ფერვურდს. ისინი თვლიდნენ, რომ ეს ღონისძიება ძირს უთხრიდა თეთრების განუყოფელ ბატონობას მთელს რესპუბლიკაში. 1968 წლის აპრილში ოპოზიციის ლიდერი გრაააფი პარლამენტში თავის გამოსვლაში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბანტუსტანების თვითმმართველობას და დამოუკიდებლობას რესპუბლიკის ფარგლებში კომუნისტური ბაზების შექმნა მოჰყვებაო. მისი აზრით, დამოუკიდებელ ბანტუსტანში კომუნისტური მთავრობა შეიძლება ყოფილიყო არჩეული. „ჩვენ ამ საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით, თუ ინგლისის ყოფილი პროტექტორატების დღეს ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი მთავრობები პროკომუნისტური მთავ-

რობებით შეიცვლებიან", — განაცხადა გრააფმა. ამიტომ წლების განმავლობაში ტრანსკეი ერთადერთ ბანტუსტანად რჩებოდა. მხოლოდ 1968 წლის ნოემბერს შეიქმნა მეორე ბანტუსტანი სისკეი. იგი ჩამოყალიბდა 20 აფრიკული რეზერვაციისაგან 400 000 მაცხოვრებლით. სისკეის 3 500 000 მოქალაქე ცხოვრობს მის გარეთ. სისკეის ხელისუფლების ორგანოს დაარსების მომენტში ბანტუს ტომთა მართვის, განვითარებისა და განათლების საქმეთა მინისტრმა მაიკლ ბოტამ განაცხადა, რომ ეს მთავრობის „ახალ კურსზე" მეტყველებსო, თუმცა არავის ესმოდა, თუ რაში მდგომარეობდა ეს „ახალი კურსი". სისკეის ხელისუფლების ორგანოს ტრანსკეის საკანონმდებლო კრებაზე გაცილებით ნაკლები უფლებები გააჩნია. მის ყველა, 72 წევრს მთავრობა ნიშნავს ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე. სისკეის ხელისუფლების ორგანოს იურისდიქცია ვრცელდება ბანტუსტანის მხოლოდ აფრიკულ მოსახლეობაზე და არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნია თეთრკანიანთა მიმართ, რომელთა ხელშიც თავმოყრილია ტერიტორიის სიმდიდრის 90 პროცენტი.

1966 წლის სექტემბერს პარლამენტის შენობაში დიმიტრი სტეფენდასმა მოკლა ფერვურდი. პრემიერის პოსტი დაიკავა ბალტაზარ ფორსტერმა. ფორსტერის პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა ბანტუსტანების პოლიტიკა. დღეს ნაციონალისტური პარტიის ულტრა-რასისტებიც კი აღარ აცხადებენ, რომ „კაფრებმა" უნდა „ისწავლონ თავიანთი ადგილი". დღეს უკვე ლაპარაკია „სუვერენულ დამოუკიდებელ ბანტუს სახელმწიფოზე", „თანასწორუფლებიან სახელმწიფოზე ყველა ერთათვის თავიანთ ტერიტორიაზე".

1969 წლის მარტში კიდევ ერთი ეტაპით იქნა წინ წაწეული ბანტუსტანთა კონცეფცია; კეიპტაუნში გამოქვეყნდა კანონპროექტი ბანტუსტანთა მოქალაქეობრიობის შესახებ აფრიკული მოსახლეობის კლასიფიკაციის გათვალისწინებით. რესპუბლიკის 87 პროცენტზე მოქალაქეობის პრივილეგია ენიჭებოდათ მხოლოდ თეთრკანიანებს. მოკლე ხანში რესპუბლიკის უდიდესი ქალაქებიდან „მშობლიურ ადგილებში" გაასახლეს 40 000 აფრიკელი, ძირითადად უმუშევარი ან დავრდომილი. თანახმად მიგრაციული სტატუსისა, აფრიკელებს „მშობლიურ ადგილებში" აძევებენ მათი სამუშაო კონტრაქტის დამთავრებისთანავე. წარმომადგენელთა პალატაში თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ფორსტერმა პირდაპირ განაცხადა, რომ ბანტუსტანებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოითხოვონ დამოუკიდებლობაო. რაც შეეხება მათ ეკონომიურ სიცოცხ-

ხლისუნარიანობას, ფორსტერის აზრით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ პოლიტიკურად „დამოუკიდებელი“ ბანტუსტანი ეკონომიურადაც დამოუკიდებელი იყოს. ამავე დროს ბანტუს განათლების მთელი სისტემა ისეა აგებული, რომ აფრიკული მოსახლეობის მასა მოუმზადებელი რჩება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. განათლებაზე ხარჯების მხრივ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მსოფლიოში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა. 1967 წელს ერთ აფრიკელ მოწაფეზე ნაკლები იხარჯებოდა, ვიდრე 1954 წელს.

შემუშავებულია მთელი „ისტორიული“ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც თეთრკანიანებს სამხრეთ აფრიკაში გააჩნიათ „ბუნებრივი და ტრადიციული“ უფლება მთელი ტერიტორიის 87 პროცენტზე, სადაც თავმოყრილია ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 99 პროცენტი. დანარჩენი ტერიტორია ხრიოკი და უნაყოფო მიწებია. უკანასკნელი განკუთვნილია 15 მილიონი მკვიდრი აფრიკელისათვის.

9 უკვე შექმნილი ან შექმნის პროცესში მყოფი „ჰოუმლენდი“ ე. წ. თვითმმართველობის სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება, მათ შორის მხოლოდ ყველაზე დიდში — ტრანსკეიში, ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგიერთ წევრს ირჩევენ ადგილზე, სხვაგან კი ბანტუსტანების ხელისუფლებას ნიშნავს ფორსტერის მთავრობა. ტერიტორიულად მხოლოდ ერთი „ჰოუმლენდი“ — სამხრეთი სიტო — წარმოადგენს ერთ მთლიანს. ყველა დანარჩენი შედგება გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან იზოლირებული რაიონებიდან. ბანტუსტანი ზულუ მოიცავს 29 ასეთ რაიონს, ტსვანა — 19-ს, სისკეი — 17-ს. უკანასკნელი მონაცემებით „ჰოუმლენდებში“ ცხოვრობს 7 მლნ აფრიკელი, 8 მლნ ცხოვრობს ე. წ. „თეთრ“ ქალაქებსა და სოფლის რაიონებში.

უკანასკნელ ხანებში ფორსტერის მთავრობა სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბანტუსტანებს. 1972 წლის გაზაფხულზე თვით ფორსტერმა პროპაგანდისტული მიზნით იმოგზაურა რამდენიმე „ჰოუმლენდში“. ფართოდ არის რეკლამირებული „დამოუკიდებელ ბანტუსტანთა“ პოლიტიკური კურსი. 1972 წლის ივნისში ტრანსკეიში შეიქმნა თვითმმართველობის ახალი ორგანოები, რომლებიც აფრიკელი თანამშრომლებით დააკომპლექტეს. აფრიკულ ადმინისტრაციას დაუმორჩილდა აგრეთვე 26 დასახლება ტრანსკეის ტერიტორიაზე. ხელისუფლება კიდევ ერთხელ შეპირდა აფრიკელებს, რომ უახლოეს ხანებში თეთრკანიან მოსახლეობისაგან გამოისყიდდა ჯერ კიდევ 1936 წელს მიღებული კანონით — „აბორიგენთა მიწების შესახებ“, დადგენილ

მიწებს. ამავე დროს აფრიკული მოსახლეობა სამართლიანად თვლის უკანონოდ თვით 1936 წლის კანონსაც. ტრანსკეის ადმინისტრაცია მოითხოვს, რომ მას გადაეცეს მთელი ტერიტორია მდ. ფიშ-რივერიდან ნატალის საზღვრამდე და ნავსადგური პორტ-სენტჯონსი („ჰოუმლენდები" ისეა დაგეგმილი, რომ არც ერთ მათგანს არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი).

ბანტუსტანთა ადმინისტრაცია საგანგებოდ არის შერჩეული მთავრობის მიერ, მაგრამ ფართო მასების სისტემატური ზეგავლენა პრინციპში მარიონეტულ ბელადებსა და ადმინისტრატორებს აიძულებს დროდადრო ხმა აიმაღლონ აპართეიდის წინააღმდეგ. „მე მოვალე ვარ გამოვხატო ჩემი ხალხის მისწრაფებანი, მაგრამ უკანასკნელი ყოველთვის არ ემთხვევა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თეთრ ამომრჩეველთა მისწრაფებებს", — აცხადებს ტრანსკეის „პრემიერი", ბელადი მატანზიმა. „მე იგივე უფლებამოსილება გამაჩნია, რაც ამ ტელეფონს",— 1972 წლის ივლისში განაცხადა ზულუსების ბელადმა ბუტულუზიმ. ბანტუსტანთა ადმინისტრაცია სულ უფრო და უფრო ხშირად აკრიტიკებს 1971 წლის კანონს „ჰოუმლენდთა შესახებ", რომლის მიხედვითაც მათ ეკრძალებათ შეიარაღებულ ძალთა და ნახევრად სამხედრო ორგანიზაციათა ყოლა. მთავრობის მიერვე დანიშნული ტომთა ბელადებიც კი იძულებული არიან უფრო ენერგიულად გამოვიდნენ აფრიკელთა ინტერესების დასაცავად. მთელ რიგ ბანტუსტანთა ხელმძღვანელები მოითხოვენ „თეთრ" რაიონებში მცხოვრებ აფრიკელთა პირობებსის გაუმჯობესებას. 1972 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს იოჰანესბურგის ზანგურ გარეუბან სოუეტოში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე, ბუტულუზმა მიმართა მსმენელებს: „ღვთის გულისათვის არ მისცეთ თეთრებს ეთნიკურ ჯგუფებად თქვენი გათიშვის საშუალება. თუ თქვენ მათ მისცემთ ამის საშუალებას, სულელების ყველაზე დიდ ბრბოდ იქცევით, რომელიც კი როდისმე შეუქმნია ღმერთს".

„ბანტუსტანიზაციის" პოლიტიკის საშუალებით ხელისუფლება იმედოვნებს ბოლო მოუღოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საერთაშორისო იზოლაციას და ხელსაყრელი პირობების შექმნას ფორსტერის მიერ გამოცხადებული „ღია კარების" პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის. უკანასკნელი კი ძირითადად გამიზნულია აფრიკის ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთადმი. ბანტუსტანთა მთავარი საფრთხე ადგილობრივი მოსახლეობის გათიშვაში მდგომარეობს. თითოეულ ბანტუსტანში უკვე შეიმჩნევა „პოლიტიკანთა", ჩინოვნიკთა, ადმინის-

ტრატორთა, ბიუროკრატთა ფენის ჩამოყალიბება. იქმნება ვიწრო მმართველი წრე. ადგილობრივი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტომთა იზოლირებული განვითარების პოლიტიკაში და ფაქტიურად გარკვეულ დახმარებას უწევს მთავრობას აფრიკული ადმინისტრაციის საშუალებით ადგილობრივ მკვიდრთა მართვის საქმეში. ჯერ კიდევ 1912 წელს შექმნილი აფრიკული ეროვნული კონგრესი პრინციპშივე უარყოფდა ტრაიბოლიზმს, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე სერიოზულ საფრთხეს. დღეს „ბანტუსტანიზაციას“ სხვა უბედურებასთან ერთად ადგილობრივ მკვიდრთათვის მოაქვს ტომობრივი სეპარატიზმიც.

1972 წლის ივლისში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა ახლო მომავალში კიდევ ერთი ბანტუსტანის შექმნის შესახებ, ამჟამად უკვე ჩრდილოეთ ნამიბიაში (სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა). სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ლონდონში პიტერ კადჟავივიმ ახალი ბანტუსტანის შექმნის გეგმა სამართლიანად დაახასიათა როგორც ნამიბიის ეროვნული ერთობის გასათიშავად გამიზნული ღონისძიება. დამარალენდის ყოფილმა ეპისკოპოსმა კოლინ უინტერმა, რომელიც 1972 წლის დასაწყისში ფორსტერის მთავრობამ ნამიბიიდან გაასახლა, ინგლისურ გაზეთ „რანდ დეილი მეილის“-თვის მიცემულ ინტერვიუში ფარდა ახადა პრეტორიის მაქინაციებს: „ფორსტერისათვის ცნობილია აფრიკული მოსახლეობის სურვილი, — განაცხადა ეპისკოპოსმა, — რომელიც მას ხალხის ნამდვილმა წარმომადგენლებმა გააცვნეს, მაგრამ ფორსტერმა მათი იგნორირება ამჯობინა. იგი დაეთანხმა ოვამბოს საკანონმდებლო ორგანოთა მარიონეტების აზრს, რომლებმაც წერა-კითხვაც კი არ იციან. პრეტორიის წარმომადგენლებმა ოვამბოლენდში დააშინეს ისინი“.

ახალი ბანტუსტანის შექმნის გეგმას წინ უძღოდა ნამიბიის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გაფიცვა: 1972 წლის იანვარში გაიფიცნენ სწორედ ოვამბოს ტომის მუშები. კონგრესმა სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება გაფიცულთა წინააღმდეგ რეგულარული არმიის გაგზავნის თაობაზე. ჯარისკაცებს მიეცათ ბრძანება „მტკიცედ ემოქმედათ“. პორტუგალიის მთავრობამ სპეციალური ზომები მიიღო, რათა საჭიროების შემთხვევაში გაფიცულთა წინააღმდეგ სამხრეთ-აფრიკელ რასისტთათვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა. გაფიცვა კი სულ უფრო და უფრო სერიოზულ ხასიათს ღებულობდა. უპრეცედენტო სანახაობას

წარმოადგენდა იმ პერიოდში ნამიბიის დედაქალაქი ვინდჰუკი და მთავარი ნავსადგური უოლფილდ-ბეი — ყველა შავ სამუშაოს თეთრები ასრულებდნენ. ქუჩები ჯარისკაცებით იყო სავსე, ცაში ვერტმფრინავები პატრულობდნენ. საყოველთაო გაფიცვამ მთელი მხარის პარალიზება გამოიწვია. გაფიცვას წინ უსწრებდა ძღელვარება. როდესაც 1971 წლის ივლისში საერთაშორისო სასამართლომ ჰაგაში დადგენილება მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველობიდან ნამიბიის განთავისუფლების შესახებ, მთელ რიგ რაიონებში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს პოლიციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. 10 დეკემბერს ვინდჰუკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს უოლფილდ-ბეის მუშების გადაწყვეტილება გაფიცვის დაწყების შესახებ. 13 დეკემბერს გაიფიცა 60 000 აფრიკელი. იანვარში გაიფიცნენ ალმასის საბადოების მაღალხელფასიანი მუშები. მთავრობის ცდა—ერთმანეთისათვის წაექეზებინა აფრიკული ტომები, სრული კრახით დამთავრდა. ეს იყო აგრეთვე აპართეიდის პოლიტიკის სერიოზული მარცხი. გაფიცვის მასშტაბი სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა ხელისუფლებისათვის. სუსტი კავშირგაბმულობის პირობებში ასეთ ფართო ტერიტორიაზე აარავინ ელოდა აფრიკელთა შეთანხმებულ მოქმედებას. ხელისუფლებამ ულტიმატუმი წამოუყენა გაფიცულებს — ან შეეწყვიტათ გაფიცვა, ან რეზერვაციებში დაბრუნებულიყვნენ. ულტიმატუმის უყურადღებოდ დატოვების შემდეგ დაიწყო გაფიცულთა მასობრივი დაპატიმრება. პირველი, რის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ აფრიკელები, ეს იყო სამუშაო კონტრაქტები. მუშათა კონტრაქტით დაქირავების ამგვარ სისტემას იურისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ „მონობის სისტემა“ უწოდა. აფრიკელებს რეზერვაციებში იქირავებდნენ ისე, რომ მათ არ შეეძლოთ სამუშაოს არჩევა და ხელფასის მოთხოვნა თავიანთი შეხედულებისამებრ. კონტრაქტი 18 თვით ფორმდებოდა და თუ ამ პერიოდში აფრიკელი მიატოვებდა სამუშაოს, ის ორგორც დამნაშვე ისე ისჯებოდა. გაფიცულები უკვე რეფორმებს კი აღარ მოითხოვდნენ, არამედ — აპართეიდის სისტემის გაუქმებას.

ამჟამად უკვე ვაშინგტონიც კი იძულებული გახდა უარყოფითი პოზიცია დაეკავებინა რასისტული რეჟიმის მიმართ. „ცხადია, რომ ჩვენ პრეტორიის მოქმედების წინააღმდეგ გამოვალთ, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, — განურჩევლად იმისა, თუ რას აკეთებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ოვამბოს ხალხისათვის ნებისმიერი ფორმის თვითმმართველობის მინი-

ჭების მიზნით, ჩვენ მაინც ვთვლით, რომ ამ ტერიტორიის მართვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ კანონსაწინააღმდეგო აქტია. „აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა პრეტორიაში მოლაპარაკებას აწარმოებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივან ვალდჰაიმთან სწორედ ნამიბიის საკითხზე. მოლაპარაკება უშედეგო გამოდგა, რადგან ნამიბიის თვითმმართველობა საყოველთაო-საარჩევნო სისტემის საფუძველზე, რასაც უშიშროების საბჭო თხოულობდა, პრეტორიისათვის ყოვლად მიუღებელი იყო. ამ პრინციპის განხორციელება კუდმოკვეთილ ვარიანტშიც კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწისა და მისი პარტიის თვითმკვლელობას მოასწავებს.

უკანასკნელ წლებში ფორსტერის მთავრობა სისტემატურად მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იგნორირებას, როდესაც კი საკითხი შეეხება აპართეიდსა და რასიზმს. ასე იყო, როდესაც 1968 წელს, მარტში გენერალურმა ასამბლეამ კატეგორიულად მოსთხოვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობას 33 ნამიბიელი პატრიოტის განთავისუფლება. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში „უშიშროების საბჭო მიმართავდა ქმედით ზომებს". მაშინ ფორსტერმა ქედმაღლური ცინიზმით განაცხადა: „ჩვენი პასუხია: არა. მთელს მსოფლიოს შეუძლია ჩათვალოს ეს ჩვენს ოფიციალურ პასუხად. ამ თემაზე ლაპარაკი ჩვენ აღარ გვსურს". 1968 წლის დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის პლენარულ სხდომაზე სასტიკად დაგმო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აპართეიდისათვის. რეზოლუციაში კიდევ ერთხელ იყო აღნიშნული ნამიბიის პრობლემა.რეზოლუცია უშიშროების საბჭოს ყურადღებას მიაქცევდა სამხრეთ აფრიკაში შექმნილ სერიოზულ მდგომარეობაზე. გენერალურმა ასამბლეამ აგრეთვე დაგმო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სავაჭრო პარტნიორებიც. ეს იყო 2 დეკემბერს, 5 დეკემბერს კი იმავე გენერალურმა ასამბლეამ უარყო რეზოლუციის პროექტი. რომელიც ითვალისწინებდა ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის მუშაობაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დროებით არდაშვებას. აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს აფრიკის დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმაც — ბოტსვანამ, ლესოტომ, მალავიმ, სვაზილენდმა. ეს უკვე ფორსტერის „ახალი კურსის" პირდაპირი შედეგი იყო.

დასავლეთის პროპაგანდა ფერვურდთან შედარებით ფორსტერს „ლიბერალად“ წარმოგვიდგენს და მას მიაწერს აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხში რიგ ახალ მოვლენებს. სინამდვილეში კი დღევანდელი „ახალი კურსი“ ფაქტიურად ფერვურდის დროს შეიმუშავეს. აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობის პირველივე წლებმა ცხადყვეს, რომ სამხრეთ აფრიკისათვის „ჩრდილოეთიდან საფრთხე“ ფაქტიურად არარეალური იყო; სახელმწიფო გადატრიალებათა ტალღა, რომელმაც თითქმის წალეკა თავისუფალი აფრიკა, ტომთაშორის შუღლი, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუარესება, ყოვლისმომცველი კორუფცია სახელმწიფო დაწესებულებებში, სასაზღვრო და ტერიტორიული კონფლიქტები მეზობელ სახელმწიფოთა შორის — ყოველივე ეს აფრიკის კონტინენტის სინამდვილედ იქცა. თავისუფალ სახელმწიფოთა პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში ყოველივე ზემოხსენებულმა განსაზღვრა ის ფაქტი, რომ „ბრძოლა სამხრეთ აფრიკის რასისტთა წინააღმდეგ“ მხოლოდ რეზოლუციებით შემოიფარგლა.

აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოთა საგანგაშო ეკონომიური პირობების სინამდვილეში პრეტორიაში გადაწყვიტეს დასავლეთის ქვეყნების მაგალითისათვის მიებაძათ და გავლენის სფეროს გასაფართოებლად ეკონომიური „დახმარების“ პოლიტიკისათვის მიემართათ. მთავარი ყურადღება მაინც პოლიტიკურ ასპექტს ექცევა. უკანასკნელ წლებში სამხრეთ აფრიკაში და მის გარეთაც ძალზედ ბევრი იწერება ე. წ. „დიალოგის“ პოლიტიკაზე; საკითხი ეხება აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოთა დიალოგს სამხრეთაფრიკელ რასისტებთან. რაში მდგომარეობს „დიალოგის“ ნამდვილი არსი?

სამხრეთ აფრიკის ნეოკოლონიზატორთა პირველი მსხვერპლნი ამ მხრივ იყვნენ მისი უშუალო მეზობლები — ბატუსოლენდი, ბეჩუანალენდი და სვაზილენდი. ფერვურდის მთავრობა უკვე აღარ აყენებდა ამ ტერიტორიათა მიერთების საკითხს, პირიქით, იგი მზად იყო „უანგარო დახმარება“ აღმოეჩინა მათთვის ეკონომიკის სფეროში; 1965—1967 წწ. მუშავდება ბეჩუანალენდის წიაღისეულის დამუშავების დეტალური გეგმა, ბასუტოლენდში დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, სვაზილენდში აშენდა რკინიგზა, დაიწყო რკინის მადნის დამუშავება. აშენდა რამოდენიმე საკონსერვო და ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხანა. 70-იანი წლების დასაწყისისათვის სამივე ქვეყანა უკვე ძლიერ ეკონომიურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა სამხრეთ აფრიკის

რესპუბლიკასთან. თავისი ეკონომიური გავლენა პრეტორიამ უპირველეს ყოვლისა ამ ქვეყნების მთავრობებში მისთვის სასურველ ძალთა გასაბატონებლად გამოიყენა. მაგალითად, ლესოტოს პრემიერი ჯონათანი თავის თანამდებობას მთლიანად პრეტორიელ რასისტებს უნდა უმადლოდეს. დღეს ლესოტო, ბოტსვანა და მალავი ისე ძლიერად არიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაზე დამოკიდებულნი, რომ უკანასკნელს ულტიმატუმის სახით შეუძლია მოსთხოვოს მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე სრული კონტროლის უფლება, მაგრამ ძალისა და გავლენის ასეთი უხეში დემონსტრაცია აფრიკის სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს დააფრთხობდა და ამიტომ ფერვურდის მთავრობა თავის მიზნებს ახლა ეკონომიური დახმარებითა და დაპირებებით აღწევს. ლესოტოსა და ბოტსვანას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილსაც კი შეპირდნენ. პრეტორიაში სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ მათ სავაჭრო ურთიერთობა აქვთ აფრიკის ქვეყნების უმრავლესობასთან ალჟირიდან ზამბიამდე. გარდა ამისა, ევროპიდან და ამერიკიდან უკვე ძნელდება განვითარებისათვის მეტად საჭირო კრედიტთა მიღება და ფორსტერი იმედოვნებს, რომ აფრიკის ქვეყნები მას მიმართავენ დახმარებისათვის.

კონტინენტური ექსპანსიის გეგმა რამდენიმე ეტაპზეა განსაზღვრული: პირველ ეტაპზე მთავარი ყურადღება ეთმობათ იმ ქვეყნებს, სადაც სამხრეთ აფრიკის კაპიტალს უკვე უკავია მტკიცე პოზიციები. ესენია — ბოტსვანა, ლესოტო, სვაზილენდი, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, ანგოლა, მოზამბიკი, როდეზია, მალავი. არსებობდა ამ ქვეყნების მონაწილეობით სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზრის შექმნის გეგმაც, მაგრამ ფორსტერის მთავრობა აქ გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდა ზამბიის სახით, რომლის მთავრობაც არ მალავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას აპართეიდის მიმართ. ფორსტერი ზამბიის მთავრობას თან ჰიდრონაგებობათა კომპლექსის აშენებას ჰპირდება, თან კი სამხრეთ აფრიკის ემიგრანტთა ორგანიზაციების მოღვაწეობის აკრძალვას მოითხოვს მათგან: — „წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ ისეთ დღეს დაგაყრით, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ“, — იმუქრება იგი.

მეორე ეტაპზე ექსპანსიის ობიექტებია კონგო, ტანზანია, კენია, უგანდა, ზაირი. დამოუკიდებელ აფრიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის ინტერესებში ფორსტერის მთავრობა ისეთ უპრეცედენტო კომპრომისზეც კი წავიდა, როგორიცაა „ფერადი ბარიერის“ იგნორირება — პრეტორიისა და კეიპტაუნის საუკეთესო სასტუმროებში მი-

ღეს აფრიკის ქვეყნების სახელმწიფო და დიპლომატიური მოღვაწეები. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან პირველმა მალავიმ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. როდესაც 1969 წლის დასაწყისს ანალოგიური ნაბიჯიდან თავი შეიკავა ბოტსვანას მთავრობამ, სამხრეთ აფრიკის კომპანიამ, რომელმაც ბოტსვანაში სპილენძის მდიდარი საბადოები აღმოაჩინა, განაცხადა, რომ ვერ დაიწყებს საბადოს ექსპლოატაციას სუსტი ინფრასტრუქტურის გამო.

ფორსტერის „ახალი კურსი" არამარტო პოლიტიკითა და ეკონომიკით შემოიფარგლება. დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე იდეოლოგიის საკითხებსაც. უკანასკნელ წლებში იოჰანესბურგის რადიოსადგურებმა საგრძნობლად გაახანგრძლივეს თავისი გადაცემები აფრიკულ ენებზე, განუწყვეტლივ იზრდება პროპაგანდისტული ლიტერატურის ტირაჟები, უკვე დაარსებულია სამხრეთ აფრიკის „მშვიდობის კორპუსი". როდესაც მალავში გამოცხადდა, რომ ლილონგვეში უნდა აშენებულიყო ახალი დედაქალაქი, პრეტორიამ იკისრა მშენებლობის დაფინანსება მალავისათვის ძალზედ ხელსაყრელ პირობებში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეთა მტკიცებით თვით რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვენ აფრიკის კეთილდღეობას. 1968 წლის დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრი მიულერი დემაგოგიურად აცხადებდა პარლამენტის ტრიბუნიდან: „ვინაიდან ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ როგორც განვითარების მძიმე და ხანგრძლივი პროცესი, ასევე კოლონიალიზმი, ამიტომ კარგად გვესმის აფრიკის სახელმწიფოთა ბრძოლის მიზნები ეკონომიკის დარგში". მიულერმა ამერიკულ მონაცემებზე დაყრდნობით განგაში ასტეხა იმის გამო, რომ უკანასკნელ 6 წელს აფრიკაში მკვეთრად დაეცა ეკონომიური დონე და გაუარესდა ცხოვრების პირობები: „როგორც აფრიკის მაცხოვრებლები და მოქალაქენი, ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი მდგომარეობა არანორმალური და ჩვენთვის სახიფათოა. ჩვენს ინტერესებშია, რომ კონტინენტი ვითარდებოდეს." — განაცხადა რასისტმა მინისტრმა. თუმცა აფრიკის ქვეყნებთან ნებისმიერი ურთიერთობის საკითხში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოფიციალური წრეები აქცენტს მუდამ ეკონომიურ საკითხებზე აკეთებენ, მაგრამ მათთვის მთავარი მაინც პოლიტიკური დივიდენდებია. 1969 წლის თებერვალს ბოტსვანასთან დაიდო ხელშეკრულება დამნაშავეთა გაცემის თაობაზე. ფაქტიურად ხელშეკრულებას ცალმხრივი ძალა გააჩნდა, ვინაიდან ბოტსვანიდან არც ერთი აფრიკელი, რა დანაშაულიც უნდა ჩაიდინოს მან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლი-

კაში არ გაიქცევა, უკანასკნელიდან კი ყოველ წელს ათასობით აფრიკელი პატრიოტი გარბის მეზობელ ქვეყნებში. ამიტომ იყო, რომ ხსენებული ხელშეკრულება სამხრეთაფრიკელი რასისტების სერიოზულ დიპლომატიურ გამარჯვებას წარმოადგენდა. 1970 წლის მაისში ფართოდ იქნა რეკლამირებული ფორსტერისა და მიულერის ვიზიტი მალავიში. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ ეს იყო ფორსტერის პირველი ვიზიტი უცხოეთში მას შემდეგ, რაც იგი პრემიერი გახდა. ვიზიტის მიზანი საიდუმლოებას არ წარმოადგენდა; მალავი ტანზანიასა და ზამბიას ესაზღვრება, ხოლო უკანასკნელნი ცნობილნი არიან როგორც რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა თავშესაფარნი. ტანზანიაში სპეციალური კანონიც კი არსებობს, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს და სახელმწიფო დაწესებულებას ავალებს დახმარება აღმოუჩინოს აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ფორსტერმა და მალავის პრეზიდენტმა ბანდამ ერთად გამოიმუშავეს ღონისძიებანი მალავის ტერიტორიიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პარტიზანთა შეჭრის საფრთხის სალიკვიდაციოდ.

მიუხედავად გარკვეული ეკონომიური დაინტერესებისა, აფრიკის სუვერენულ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა პრინციპულად წინააღმდეგია პრეტორიის რეჟიმთან ყოველგვარი ურთიერთობისა, ან როგორც მას უწოდებენ „დიალოგისა". საყურადღებოა, რომ ლესოტოს ოპოზიციური პარტიის — ბასუტოლენდის კონგრესისა და მისი ლიდერის მოკეხლეს გავლენა მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც პარტიამ გააძლიერა ჯონათანის მთავრობის კრიტიკა ქვეყნის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სატელიტად ქცევის გამო. ლესოტოს პროგრესულ ძალთა საერთო აღშფოთება გამოიწვია ჯონათანის განკარგულებამ 75 აპართეიდის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური დევნილის ქვეყნიდან გასახლების შესახებ. ეჭვს არავისში არ იწვევდა, რომ ჯონათანის მოქმედება პრეტორიიდან იყო ნაკარნახევი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელთა პოლიტიკური ორგანიზაცია — აფრიკული ეროვნული კონგრესი, რომლის შტაბ-ბინაც ზამბიაში იმყოფება, თავის ოფიციალურ დოკუმენტებში სისტემატურად აღნიშნავს, რომ „დიალოგის" ტაქტიკით ფორსტერი იმედოვნებს ერთმანეთს წაჰკიდოს აფრიკის ქვეყნები. „ის ფაქტი, რომ აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფო კერძოდ მალავი, მალგაშეთის რესპუბლიკა, ბოტსვანა, სპილოს ძვლის ნაპირი, განა „დიალოგის" მომხრენი არიან, მთელი აფრიკის ტრაგედიაა", — აღნიშნული იყო კონგრესის 1971 წლის ერთ-ერთ რეზოლუ-

ციაში. 1971 წლის აპრილში ეთიოპიის გაზეთი „ეთიოპიენ ჰერალდი“ — მოწინავე წერილში სათაურით „არავითარი დიალოგი არამზადებთან“, წერდა: „ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია, რომ ერთ წვეთ სარგებელსაც არ მოიტანს დიალოგი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან. მისი რეზულტატი საზიანო იქნებოდა აფრიკის როგორც დღევანდელი, ასევე მომავალი ინტერესებისათვის“. გაზეთი აფრიკის სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღებას ამახვილებს იმ ვითარებაზე, რომ ე. წ. „დიალოგი“ მხოლოდ პრეტორიის ინტერესებს ემსახურება.

უკანასკნელ პერიოდში „დიალოგის“ ისედაც მცირერიცხოვან მომხრეთა რიგებს გამოაკლდა განა და ძალგაშეთის რესპუბლიკა. განაში ბუსიას მთავრობის დაცემის შემდეგ ახალმა სამხედრო რეჟიმმა მკვეთრად შეცვალა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ურთიერთობის კურსი. ანალოგიურივე ამბავი მოხდა მალგაშეთის რესპუბლიკაში პრეზიდენტ ცირანანას დაცემის შემდეგ, რომელიც ცნობილი იყო როგორც „დიალოგის“ აქტიური მომხრე. ახლო მომავალში მოსალოდნელია, რომ მადაგასკარის მაგალითს მიმართავს მავრიკიაც. თვითონ ფორსტერი აფრიკის სახელმწიფოებთან „დიალოგის“ მთავარ დანიშნულებად კომუნიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას აცხადებს. ამავე დროს 1972 წლის ზაფხულში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ხშირად „დიალოგის“ შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობენ აფრიკის ამა თუ იმ სახელმწიფოს მეთაურები პირადად და ეს გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგებიან ფართო მასების სურვილს. ასე თუ ისე, მიუხედავად პირველ ეტაპზე მიღწეული გარკვეული წარმატებებისა, მთლიანად „ახალი კურსის“ უპერსპექტივობა ეჭვს გარეშეა.

თვით პრეტორიაშიც რომ მაინცდამაინც დიდ იმედებს არ ამყარებენ „ახალ კურსზე“ და „დიალოგის“ ტაქტიკაზე, ამის ყველაზე ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გამალებული სამხედრო შეიარაღება და სამხედრო ქარხნების მშენებლობა. მიუხედავად ფორსტერის მთავრობის არაერთგზისი განცხადებისა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ კომუნიზმის წინააღმდეგ იარაღდება, როგორც აფრიკაში, ასევე მის გარეთაც, ყველასათვის ცხადია, რომ სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის ყველაზე სერიოზულსა და რეალურ საფრთხეს აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენს, რომელიც არასოდეს შეურიგდება აპართეიდის თეორიასა და პრაქტიკას.

ჯერ კიდევ 1965 წელს ამერიკელებმა პრეტორიის მახლობლად ააშენეს პირველი ატომური რეაქტორი. 60-იანი წლების ბოლოს კი მსოფლიოს პრესაში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა თეორიულად მზად არის შექმნას ატომური ბომბი. ცნობილი გახდა, რომ დასავლეთ გერმანიის ფირმები „სიმენსი" და „ბელკოვი" ფართოდ თანამშრომლობენ სამხრეთაფრიკელ მეცნიერებთან ატომური იარაღის შექმნის საკითხში. გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საეჭვოდ მოუსშირა სტუმრობა ცნობილმა გერმანელმა სპეციალისტმა, რაკეტების „ფაუ-1" და „ფაუ-2" შემქმნელმა გ. ობერტმა, ხოლო 1968 წლის მაისს ფორსტერის მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა ხელი მოეწერა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილებოდა. 1968 წლის მარტში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ბოტამ პარლამენტში განაცხადა, რომ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს უკვე გააჩნიათ ეროვნული წარმოშობის ნაპალმის ბომბი. ბოტას განცხადება შემთხვევით არ დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც გაერთიანებული ერებისა და აფრიკის ერთობის ორგანიზაციები განიხილავდნენ როდეზიაში სმიტის რეჟიმის სალიკვიდაციო ზომებს. ამავე პერიოდში ინგლისში პროგრესულმა ძალებმა კვლავ გააძლიერეს ანტიროდეზიული კამპანია. ასეთ სიტუაციაში ბოტამ თავისი მთავრობის სახელით განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მარტო არ დატოვებდა სმიტს. 1968 წლის მაისს ფორსტერის მთავრობამ დაამტკიცა კანონი, რომლის ძალითაც საშინაო საქმეთა მინისტრს უფლება ეძლეოდა საგანგებო მდგომარეობის დროს ფართო კონტროლი გაეწია საქონლის წარმოებისა და განაწილებისათვის. 300 მლნ რენდით გაიზარდა აგრეთვე არმიისა და პოლიციის ყოველწლიური ხარჯები. სპეციალური კანონით საგრძნობლად გაიზარდა რაკეტული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოებისა და ატომურ კვლევა-ძიებათა ასიგნება.

1961 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წლიური ბიუჯეტის 8 პროცენტი მოხმარდა სამხედრო ხარჯებს, 1969 წელს კი — უკვე 17 პროცენტი, ხოლო 1971 წელს — 21 პროცენტი. 1978 წელს სამხედრო ხარჯები განსაზღვრულია სარეკორდო ციფრით — 1 მლრდ გირვანქა სტერლინგით. რესპუბლიკის მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა დასავლეთის სამხედრო სისტემაში რაც შეიძლება უფრო სოლიდური როლი შეასრულოს. ჯერჯერობით თვით დასავლეთშიც კი ბევრს არ

სჯერა ატლანტის ოკეანის სამხრეთი ნაწილის „კომუნისტური აგრესიისაგან“ დაცვისათვის სამხედრო ბლოკის შეკოწიწების აუცილებლობა.

ფორმალურად კვლავ ძალაშია ემბარგო, რომლითაც მსოფლიოს ქვეყნებს ეკრძალებათ სამხრეთაფრიკელი რასისტებისათვის იარაღის მიყიდვა. ფაქტიურად კი ემბარგოს სისტემატურად არღვევენ მთელი რიგი კაპიტალისტური სახელმწიფოები. გარდა ამისა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო პოტენციალს ემბარგო სერიოზულ ზიანს თუნდაც იმიტომ ვერ მიაყენებდა, რომ ნაციონალისტური მთავრობის აქტიური მეცადინეობის შედეგად ქვეყნის სამხედრო მრეწველობა ფაქტიურად უკვე რამოდენიმე წელია რაც აკმაყოფილებს არმიისა და პოლიციის მოთხოვნილებას თანამედროვე იარაღზე.

1971 წლის მაისს პარლამენტის საგანგებო სხდომაზე, სადაც სამხედრო საკითხები იხილებოდა, თავდაცვის მინისტრმა ბოტამ ოფიციალურად განაცხადა, რომ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები უკვე აღარ საჭიროებენ უცხოური იარაღის შეძენას. შეეხო რა რიგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ოფიციალურ პოზიციას იარაღის ემბარგოს თაობაზე, ბოტამ გამოთქვა არცთუ ისე საფუძველს მოკლებული მოსაზრება, რომ ამ სახელმწიფოთა მთავრობებმა მშვენივრად იციან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო შესაძლებლობანი და მათი პოზიცია გამიზნულია მხოლოდ გაუთვითცნობიერებელ პირთა შეცდომაში შესაყვანად. მინისტრის დაწვრილებით ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკა უკვე მთლიანად აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას სამხედრო ამუნაციასა და საჭურველზე, საკითხი იდგა უკვე რიგი სამხედრო იარაღის ექსპორტზეც. მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზგასმით იყო აღნიშნული საკუთარი სარაკეტო სისტემის — „კაკტუსის“ შექმნა — „ერთ მეგობარ ქვეყანასთან თანამშრომლობით“. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ ეს „მეგობრული ქვეყანა“ საფრანგეთი იყო. 1972 წლის დასაწყისში პრეტორიის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულების შესახებ, რომლის ძალითაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ლიცენზიით დაიწყება ფრანგული ზებგეროვანი რეაქტიული სამხედრო თვითმფრინავების წარმოება.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინგლისთან ურთიერთობას. პრობლემის სპეციფიკურ დელიკატობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ სტაბილური ეკონომიური და ფინანსური თანამშრომლობა და ურთიერთხელსაყრელი

კავშირი მუდამ წინა პლანზე იმყოფება ნებისმიერი ფიქტიური თუ რეალური პოლიტიკური უთანხმოების პროცესში. ინგლისის მთავრობას, ერთი მხრივ, არც სამხრეთაფრიკელი რასისტების სერიოზულად განაწყენების სურვილი გააჩნია, ხოლო მეორე მხრივ, არც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სრული უგულებელყოფა შეუძლია, რის გამოც ორივე მხრიდან კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს. ფორსტერის მთავრობა განსაკუთრებით ლეიბორისტებით არის უკმაყოფილო; თავდაცვის მინისტრი ბოტა რამოდენიმეჯერ საიმონსტაუნის ბაზის წართმევითაც კი დაემუქრა ინგლისს (საიმონსტაუნი სამხედრო-საზღვაო ბაზაა, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს. 1955 წლის შეთანხმებით ინგლისის სამხედრო ხომალდებს შეუძლიათ თავიანთი საჭიროებისათვის გამოიყენონ იგი, სამაგიეროდ ინგლისის მთავრობამ ვალდებულება იკისრა თვითმფრინავები და სამხედრო ხომალდები მიეწოდებინა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის). ბოტამ ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ ინგლისის მთავრობა ვერც შემდგომში შეძლებდა ბაზის სრული შესაძლებლობის გამოყენებას, იგი დასავლეთის სხვა რომელიმე სახელმწიფოს გადაეცემოდა.

სამხრეთ აფრიკაში თავის დროზე დაუმალავი სიამოვნებით შეხვდნენ ინგლისის ხელისუფლების სათავეში კონსერვატორთა მოსვლას. ბოტამ თავისი მთავრობის ოფიციალური აზრი გამოთქვა, როდესაც 1970 წლის 20 თებერვალს პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ „ინგლისის მთავრობის ახალი საღი პოზიცია საიმონსტაუნის შეთანხმებისა და კეთილი იმედის კონცხის ირგვლივ საზღვაო გზების დაცვის საკითხში. არა მარტო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, არამედ ნატოს ყველა წევრ-სახელმწიფოთა ინტერესებს შეადგენს“. ინფორმაციის მინისტრი მიულდერი კი უფრო შორს წავიდა და ინგლისში არჩევნების შედეგები დაახასიათა როგორც ორი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი ეტაპის მომასწავებელი. გაიხსენეს კონსერვატორთა მიერ ნაკისრი ვალდებულება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდებაზე. თვითონ ფორსტერმა, როგორც კი პრეტორიაში ცნობილი გახდა ინგლისში არჩევნების შედეგები, ოფიციალურად განაცხადა, რომ მას ეჭვი არ ეპარებოდა ინგლისის კონსერვატორულ მთავრობასთან „გულისხმიერი ურთიერთობის დამყარებაში“. სინამდვილეში კონსერვატორებს სულაც არ დასჭირებიათ ლეიბორისტთა კურსის მკვეთრი შეცვლა სამხრეთაფრიკელ რასისტებთან ურთიერთობის საკითხში; უბრალოდ კონსერვატორებმა საჭიროდ არ ჩათვალეს დაემალათ ის,

რასაც ყოველმხრივ ნიღბავდნენ და მალავდნენ ლეიბორისტები — 1970 წლის მარტს კონსერვატორებმა პრესაში გამოაქვეყნეს ცნობა: იმის შესახებ, რომ წლების მანძილზე ერთობლივ წვრთნას გადიოდნენ ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახმელეთო და საზღვაო ძალები. ამავე დროს კონსერვატორთა ოფიციალური განცხადებით „ყოველივე ეს არ ეწინააღმდეგებოდა აპართეიდის გაკიცხვის პოლიტიკას". როდესაც 1970 წელს ლეიბორისტთა პარტიის ყოველწლიური კონფერენციის რეზოლუციაში დაისვა სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მორალური და მატერიალური დახმარების საკითხი, ფორსტერმა აღარ დაინდო თავისი ყოფილი პარტნიორი და საჯაროდ განაცხადა, რომ ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა სისტემატურად აწვდიდა მას იარაღს, მიუხედავად ოფიციალური ემბარგოსი. ფორსტერის განცხადებით ლეიბორისტები მოითხოვდნენ, რომ ყოველივე ეს საიდუმლოდ დარჩენილიყო.

1970 წლის 25 ივნისს ალჟირის გაზეთი „ელ-მუდჟახიდი" წერდა: „ცნობილია ,რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს სისტემატურად არღვევდა ჯერ კიდევ ვილსონ-ს მთავრობა. კონსერვატორთა ახალი მთავრობის მეთოდი კი სავსებით განსხვავდება ძველი მთავრობისაგან. როგორც ჩანს, ინგლისის ახალი მთავრობის სამხედრო დახმარება პრეტორიისადმი საიდუმლოებად აღარ იქცევა, ხოლო საერთაშორისო ემბარგო არქივს ჩაბარდება".

კონსერვატორთა გადაწყვეტილებამ — ლეგალურ საწყისებზე დაეყენებინათ სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმისათვის იარაღის მიწოდება, თვით ინგლისშივე გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება. ახალგაზრდა ლეიბორისტებმა 1970 წლის ზაფხულს რამოდენიმე საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან. ლოზუნგი „არავითარი იარაღი რასისტებს" — ინგლისში ყველაზე პოპულარულ ლოზუნგად იქცა.

აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა უმრავლესობამ კონსერვატორთა მთავრობის განზრახვა აღიქვა როგორც კონკრეტულად მათი სუვერენიტეტისა და სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგო აქტი. ცხადი იყო, რომ, ერთი მხრივ, ლონდონი მიისწრაფოდა განემტკიცებინა სამხრეთ აფრიკის რასისტულ რეჟიმთან თანამშრომლობა აფრიკის შემდგომი ძარცვის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, მისი პოზიცია აფრიკის თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისადმი კვლავინდებურად რჩებოდა იმპერიალისტური და აგრესიული. ორგანიზაცი-

ამ — „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპართეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა“ — სპეციალური მოწოდებით მიმართა ინგლისის პროფკავშირებს გაფიცვები მოეწყოთ სამხედრო მრეწველობის ობიექტებზე, თუ მთავრობა ცხოვრებაში გაატარებდა ემბარგოს გაუქმების განზრახვას. 1970 წლის ივნისს ინგლისშივე შეიქმნა კიდევ ერთი ორგანიზაცია — „ნამიბიის მეგობართა კომიტეტი“. კომიტეტის ხელმძღვანელობაში შევიდნენ ინგლისის ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი — ეპისკოპოსი ხალდტონი, ლორდთა პალატის წევრი ბომინი, პარლამენტის წევრი ფოულდტონი და სხვ.

1970 წლის ივლისის ბოლოს ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება პრეტორიის რეჟიმისათვის იარაღის მიწოდების თაობაზე. ჰიტის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია არც თავისი ქვეყნისა და მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს, არც აფრიკის 35 ქვეყნის დელეგაციის პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, არც ლეიბორისტთა ოპოზიციას და არც 30 დეპუტატ-კონსერვატორის თავშეკავებულ პოზიციას. 1970 წლის ოქტომბერში ლონდონში ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის დელეგაცია ზამბიის პრეზიდენტის კაუნდასა და ტანზანიის პრეზიდენტის ნიერერეს მეთაურობით. მოლაპარაკება ერთი საკითხის — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდების ირგვლივ წარმოებდა. ნიერერესა და კაუნდას აზრით, ინგლისის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია მთელი აფრიკის სასიცოცხლო ინტერესებს, როდესაც გადაწყვეტილება მიიღო ხელი შეეწყო აპართეიდის რეჟიმისათვის. ჰიტის მტკიცებამ, რომ ინგლისურ იარაღს ფორსტერი მხოლოდ „კომუნისტური საფრთხისაგან“ ინდოეთის ოკეანის საზღვაო კომუნიკაციათა დასაცავად გამოიყენებდა, ვერავითარი გავლენა ვერ იქონია აფრიკის სახელმწიფოთა ლიდერებზე. მითი „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ სასაცილოდ აიგდეს უპირველეს ყოვლისა თვით ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა; 1971 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ ბროშურაში — „სამხრეთი აფრიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინგლისის ყოფილი წარმომადგენელი ლორდი კარედონი წერდა: „ყოველი ხომალდი, თვითმფრინავი, ზარბაზანი, რომელსაც ჩვენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მივყიდით, საბოლოო ჯამში გამოიყენება არა კომუნიზმის, არამედ ჩვენი საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ. აზრი, რომ ჩვენ შეგვიძლია ინდოეთის ოკეანეში აღმოვაჩინოთ კომუნიზმი, შეებრძო-

ლოთ და დავამარცხოთ რამოდენიმე სამხრეთაფრიკული ხომალდით — გულუბრყვილოა და სასაცილო". კარედონის აზრით, ჰიტის მთავრობის პოზიცია ინგლისს საერთაშორისო იზოლაციით ემუქრებოდა.

მთავარი რაც ფორსტერს ჰიტისაგან სურდა მიეღო, იარაღი არ იყო. იარაღს იგი სხვაგანაც შოულობდა, მარტო 1969—1970 წწ. 73 მლნ რენდის იარაღი შეიძინეს სხვადასხვა ქვეყანაში, საფრანგეთი უხვად აწვდიდა რეაქტიულ გამანადგურებლებს, ვერტმფრენებს, ჯავშნოსან ავტომანქანებს და ეხმარებოდა რაკეტების შექმნაში. იარაღზე უფრო მეტად ფორსტერს ინგლისთან მტკიცე სამხედრო კავშირი და თანამშრომლობა სურდა. უკანასკნელი კი შეუძლებელი იყო ლეიბორისტთა მმართველობის პერიოდში. ვილსონის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო ჯარები გამოეყვანა „სუეციდან აღმოსავლეთით" და უყურადღებოდ ტოვებდა პრეტორიის დაბეჯითებით მოთხოვნას საიმონსტაუნის შეთანხმების განახლება-განმტკიცებაზე. 1970 წელს კონსერვატორთა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ფორსტერის გეგმებმა რეალური სახე მიიღო, რადგან კონსერვატორები ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე არ მალავდნენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ლეიბორისტთა პოზიციისადმი ზემოხსენებულ საკითხში.

1970 წლის ზაფხულს ფორსტერმა პირადად იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ფართოდ რეკლამირებული მოგზაურობის მიზანი იყო აპართეიდის რეაბილიტირება ევროპის თვალში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნების რიგმა სახელმწიფო მოღვაწეებმა სათანადო პატივით მიიღეს სამხრეთაფრიკელი რასისტი, ევროპის ხალხებმა დაუფარავად აგრძნობინეს ფორსტერს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება აპართეიდისადმი. აჯამებდა რა მოგზაურობის შედეგებს, იოჰანესბურგის გაზეთი „სტარი"-ც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ვოიაჟმა ვერ გაამართლა რასისტთა იმედები: „სწორედ ევროპის ხალხებს ძულთ აპართეიდი და არა მათ პრაგმატისტ ლიდერებს, ხალხზე კი ფორსტერმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მან მხოლოდ განამტკიცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ძველი რეპუტაცია და ვერ შექმნა ახალი", — წერდა გაზეთი.

ბუნებრივია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყველაზე ერთგულ მოკავშირედ სამხრეთი როდეზია გვევლინება. ნებისმიერ საკითხში აქვს გარანტირებული სმიტის რეჟიმს ფორსტერის სრული და რეალური მხარდაჭერა. ჯერ კიდევ 1968 წელს პრეტორიაში ოფიციალუ-

რად გამოაცხადეს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უფრო ადვილად დატოვებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ვიდრე ცხოვრებაში გაატარებდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციას როდეზიასთან ვაჭრობის შეწყვეტის თაობაზე. სმიტის რეჟიმის მიერ „დამოუკიდებლობის" გამოცხადების შემდეგ ამ რასისტულ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობა კიდევ უფრო გაიზარდა. ფორსტერი იმასაც კი არ მოერიდა, რომ, როგორც ინგლისური გაზეთი „სანდი ტელეგრაფი" წერდა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვალში სულ უფრო და უფრო ძლიერდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ასოცირება როდეზიასთან". 1969 წლიდან მასობრივსა და სისტემატურ ხასიათს ღებულობს რასისტულ და კოლონიურ რეჟიმთა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიური, არამედ სამხედრო თანამშრომლობაც; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარები უკვე ოფიციალურად მონაწილეობდნენ პარტიზანთა წინააღმდეგ ოპერაციებში სამხრეთ როდეზიაში, მოზამბიკსა და ანგოლაში. კოლონიურ რეჟიმებთან აღნიშნული ფორმებითა და მასშტაბებით თანამშრომლობა იმის მაუწყებელი იყო, რომ პრეტორიის „ახალმა კურსმა" ვერ შეძლო ახალი პარტნიორები ეშოვნა მისთვის საერთაშორისო არენაზე. ეს გულახდილად აღიარა თვითონ ფორსტერმა 1971 წელს თავის საახალწლო მიმართვაში ქვეყნისადმი, როდესაც განაცხადა: „მომავალ წელს უნდა მოველოდეთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის იზოლირების გაცილებით სერიოზულ ცდებს, ხოლო ტერორისტები უფრო ფართო მასშტაბებით მიიღებენ გარედან დახმარებას. „ფორსტერმა მოსახლეობა გააფრთხილა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს „არაპოპულარულ ღონისძიებათა გატარებაო".

სამხრეთ აფრიკის საშინაო პოლიტიკის ნებისმიერ ასპექტს საფუძვლად უდევს აპართეიდი. ჯერ კიდევ 1950 წელს, ნაციონალისტური პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი მოსახლეობის რეგისტრაციის შესახებ. მთელი მოსახლეობა 4 ჯგუფად იყოფოდა: თეთრკანიანებად, აფრიკელებად, ფერადკანიანებად და აზიელებად. 16 წლის ასაკს გადაცილებულ ყველა მოქალაქეს ევალებოდა მუდამ თან ჰქონოდა პირადობის მოწმობა თავისი რასის აღნიშვნით. კანონმა მკაცრი ზღუდე გაავლო რასათა შორის და ფხიზლად ადევნებდა თვალს, რათა ადგილი არ ჰქონოდა დადგენილ კატეგორიათა აღრევას. აქედან მოყოლებული ქვეყნის კანონმდებლობა სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა რასისტულ პრინციპებზე. 1968 წელს სპეციალური კანონით აიკრძალა მრა-

ვალრასიანი პოლიტიკური პარტიები, რის შედეგადაც შედარებით პროგრესული პოლიტიკური პარტიები იძულებული გახდნენ რასობრივ საწყისებზე გადასულიყვნენ, ხოლო ლიბერალური პარტია სავსებით დაიშალა. 1968 წლის ივნისის კანონით 1800 000 ფერადკანიანს აეკრძალა თავისი წარმომადგენელი ჰყოლოდა პარლამენტში. მანამდე მათ პარლამენტში 4 დეპუტატის მანდატი გააჩნდათ. 1968 წლიდანვე სპეციალური კანონით დგინდება ე. წ. „ღამით თეთრი" ქალაქები; ამგვარ ქალაქებში (მათ ცენტრალურ ნაწილში) აფრიკელებს უკვე უფლება არა აქვთ ღამე გაათიონ. ხელისუფლების სპეციალური ნებართვაა საჭირო აფრიკელმა მოსამსახურემაც კი, რომ ღამე გაათიოს თავისი თეთრკანიანი დამქირავებლის ოჯახში. პირველი ასეთი ქალაქები იყვნენ პიტერსბურგი და კარმბადი. 1970 წლის მარტს კიდევ უფრო დრაკონული კანონი მიიღეს — აფრიკელ შინა მოსამსახურეებს საღამოს 8 საათიდან დილის 8 საათამდე აეკრძალათ სტუმრების მიღება. კანონის დარღვევა ფულად ჯარიმასა და 2 წლით პატიმრობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ყოველ თეთრკანიან ოჯახს, რომელსაც აფრიკელი მოსამსახურე ჰყავდა, კატეგორიულად ევალებოდა ცალკე საცხოვრებელი ადგილი აეშენებინა მოსამსახურისათვის, რომელსაც ექნებოდა იზოლირებული შესასვლელი. უპირველეს ყოვლისა, ნამდვილი კანონის ძალით, სპეციალური ნებართვის გარეშე ერთმანეთის ნახვა ეკრძალებოდათ სხვადასხვა ოჯახში მომსახურე ცოლ-ქმარ აფრიკელებსაც. მეორე მხრივ, პრეტორიის რასისტული მთავრობა ნებისმიერი საშუალებით ცდილობს ბანტუსტანთა ტერიტორიებით შემოფარგლოს აფრიკელთა მთელი ცხოვრება; 1970 წლის სექტემბრის კანონით 10 პროცენტით გაძვირდა საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ფასი აფრიკელი მუშებისათვის. ერთი წლის განმავლობაში ეს უკვე მეორე გაძვირება იყო. აფრიკელი მუშები იძულებული არიან სამუშაო ადგილიდან დიდი დაშორებით იცხოვრონ და ამიტომ მგზავრობის ფასის გაძვირება მათთვის მეტად მტკივნეულია. გარდა ამგვარი ეკონომიური საშუალებებისა, მთავრობა წმინდა ძალდატანებით ღონისძიებებსაც არ ერიდება; 60-იანი წლების დასასრულს ფორსტერის მთავრობამ შეიმუშავა „თეთრ რაიონებში" „შავი ლაქების" მოსპობის სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პოლიციის საშუალებით აფრიკელ ოჯახთა გადასახლებას ეთნიკურ რეზერვაციებში.

1972 წლის აპრილს ინგლისის გაზეთმა „პიპლმა" გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელიც ეხება აფრიკელ ბავშვთა მონურ მდგომარეობას

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. გაზეთი იმოწმებს ქ. პოკსბურგში მომხდარ შემთხვევას, როდესაც ხელისუფლებამ პირდაპირ ქუჩაში დაიჭირა 145, 8-დან 15 წლის ასაკის, აფრიკელი ბავშვი. ბავშვებს აიძულებენ იმუშაონ სოფლის მეურნეობაში და მათ უსპობენ სწავლის ყოველგვარ საშუალებას. ამის შემდეგ ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ იაფ მუშახელს წარმოადგენენ. ადგილობრივი ხელისუფლება ამგვარ არაადამიანურ სისასტიკეს ყოველგვარი ფარისევლური დებულებებით ამართლებს — მათი მტკიცებით, ამგვარი სისტემა „ბავშვებს აჩვევს პატიოსანი შრომის ფასს და მოქალაქეობრივი სიამაყის გრძნობას უნერგავს". ყოველივე ამით ხელმძღვანელობს ე. წ. „ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამა", რომელსაც ბოკსბურგში სათავეში უდგას ყოფილი პოლიციელი. „მე მწამს, რომ დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა, ვაიძულოთ ზანგი ბავშვები მცირე წლის ასაკიდან იმუშაონ", — განაცხადა მან „პიპლის" კორესპონდენტთან საუბარში. ოფიციალურად ბავშვებს დღეში უხდიან 12 პენს — 2 პენს თვითონ ბავშვს, 5 პენს — მშობელს, 7 პენსი კი ინახება ბავშვის ანგარიშზე, თუმცა აფრიკელი ზედამხედველის განცხადებით ჯერ არც ერთ აფრიკელ ბავშვს არ მიუღია თავისი დანაზოგი. გრძელი მათრახით შეიარაღებული ზედამხედველის ფუნქციები პლანტაციებში მომუშავე მონების ზედამხედველის იდენტურია. ინგლისურ გაზეთში გამოქვეყნებულმა ისტორიამ ფართო გამოხმაურება პოვა: ლეიბორისტმა ლორდმა ბროკუეიმ განაცხადა, რომ იგი სპეციალურად დასვამდა საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წინაშე, პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა დევისმა სპეციალური შეკითხვა შეიტანა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში. მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს პრეტორიის რეჟიმისათვის არასოდეს ჰქონია რეალური ძალა და გამონაკლისს არც ბოკსბურგის ისტორია წარმოადგენდა. ერთი თვის შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება იოჰანესბურგის მახლობლად, დაბა ალექსანდრაში გიგანტური საერთო საცხოვრებლის შექმნის შესახებ. საერთო საცხოვრებელი იქმნებოდა შრომის საემიგრაციო პოლიტიკის ფარგლებში და განკუთვნილი იყო 60 000 აფრიკელისათვის. საერთო საცხოვრებელი ცალკეული ბლოკებისაგან შედგება. მაშინ როდესაც უგულებელყოფილია ჰიგიენისა და დასვენების ელემენტარული პირობები, უწესრიგობათა შემთხვევაში. საერთო საცხოვრებლის გარე სამყაროსაგან იზოლირების მიზნით ბლო-

კები აღჭურვილია რთული ელექტრული მოწყობილობებით. ყოველ ბლოკს გააჩნია პოლიციის პუნქტი და საპატიმრო. თვით სამხრეთ აფრიკის პრესაც კი ამას უკვე „ჯოჯოხეთურ საერთო საცხოვრებელს უწოდებს“. უკეთეს მდგომარეობაში არც ის აფრიკელები არიან,რომლებიც ჯერ კიდევ საერთო საცხოვრებელთა და ბანტუსტანთა გარეთ იმყოფებიან. მარტო სამთოდამმუშავებელ მრეწველობაში 629 764 აფრიკელი მუშაა, რომელთა ხელფასიც 1971 წელს 155 მლნ რენდს უდრიდა. ამავე დროს 85545 თეთრკანიანი მუშის ხელფასი კი 370 მლნ რენდს უდრიდა.

1971 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იყო უმნიშვნელო დათმობებზე წასულიყო ფერადკანიან მუშათა მიმართ; კერძოდ რეზერვაციებში მომუშავე აფრიკელ მემაღაროელებს იმ ადმინისტრაციულ თანამდებობათა დაკავების საშუალება მიეცათ, რომლებიც კვალიფიციურ ცოდნას საჭიროებენ. ამავე დროს გაუქმდა შეზღუდვა ქვეყნის სამშენებლო მრეწველობაში ფერადკანიან ქვისმთლელთა და მღებავთა გამოყენებაზე. მთავრობის ამ ღონისძიების ნამდვილ არსს მისდაუნებურად ფარდა ახადა ოპენჰეიმერმა, როდესაც აღფრთოვანებით შეეგება შეზღუდვის გაუქმებას და უკანასკნელი დაახასიათა როგორც ეკონომიური კრიზისის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება. ოპენჰეიმერმა,რომლისთვისაც მთავარი საკითხის მხოლოდ ეკონომიური და არა იდეოლოგიური მხარეა, პირდაპირ განაცხადა, რომ რესპუბლიკაში მუშახელის ნაკლებობა ეროვნული კრიზისის სახეს ღებულობს. სწორედ ეკონომიურმა მოსაზრებამ აიძულა ფორსტერის მთავრობა მიეღო უპრეცედენტო და კურიოზული გადაწყვეტილება ჩინელთა და იაპონელთა ევროპელებად ცნობის შესახებ. ამავე დროს თვით ყოვლისშემძლე ეკონომიური ფაქტორებიც კი უძლურნი არიან, როდესაც საკითხი ეხება ზანგური მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებების რეალურ გაუმჯობესებას. მთავრობა 740 კრონს ხარჯავს წლიურად ყოველი თეთრკანიანის განათლებაზე და მხოლოდ 17-ს — აფრიკელის განათლებაზე. ყოველი მილიონი აფრიკელიდან მხოლოდ 150-ს შეუძლია ათწლიანი სკოლის დამთავრება. აფრიკულ რეზერვაციებში დაბადებულ ბავშვთა ნახევარი 5 წლის ასაკსაც კი ვერ აღწევს, ხოლო მთლიანად სიკვდილიანობა აფრიკელებში 25-ჯერ მეტია, ვიდრე თეთრკანიანებში. მაშინ როდესაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ მსოფლიო გააოცა გულის ქირურგიის სენსაციური მიღწევებით, ადგილობრივი პრესის ცნობით ნატალის პროვინცი-

აში სამედიცინო მომსახურება „კატასტროფის პირზე“ იმყოფება ექიმთა ნაკლებობის გამო. პროვინციაში, თუმცა 14 საავადმყოფოა, მაგრამ მათგან მხოლოდ ორს გააჩნია კვალიფიციური თერაპევტი.

ფაშიზმი რასისტული თეორიის უკიდურესი ნაირსახეობაა და ბუნებრივია, რომ სამხრეთაფრიკელი რასისტები არასოდეს მალავდნენ ზომაგადასულ სიმპათიებს ჰიტლერელი ფაშისტებისადმი. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დღეებში ფორსტერი ინტერნირებულ იქნა ინგლისიდან აშკარა პროფაშისტური მოღვაწეობის გამო. ომის დამთავრების შემდეგ კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იქცა ნეონაცისტური მოღვაწეობის ერთ-ერთ ცენტრად. რესპუბლიკაში მაცხოვრებელი 100 000 გერმანელიდან ათასობით ყოფილი ჰიტლერელი ნაცისტია. აქვე მოქმედებს ორი საიდუმლო ნაცისტური ორგანიზაცია „ოდესსა“ და „დი სპინნე“. „ოდესსა“ ყოფილ სს-ელთა ორგანიზაციაა. იგი ომის უკანასკნელ დღეებში შეიქმნა სს-ელთა გადასარჩენად და საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. გასაკვირი არ არის, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხშირი სტუმრები იყვნენ ფონ ტადენი და სკორცენი. ადგილობრივი წარმოშობისაა აგრეთვე ფაშისტური საიდუმლო ორგანიზაციაც „ბრუდერბონდი“ („ძმათა კავშირი“). ფაქტიურად „ბრუდერბონდმა“ მოიყვანა 1948 წელს ხელისუფლების სათავეში მალანის ნაციონალისტური მთავრობა. 70-იანი წლების დასაწყისიდან კვლავ აღინიშნება „ბრუდერბონდის“ მოღვაწეობის გააქტიურება ამჯერად უკვე ფორსტერის პოზიციათა განმტკიცების მიზნით. ისევე როგორც 1948 წელს, ოპოზიცია კვლავ ცდილობს საკუთარ პოლიტიკურ მიზნებში გამოიყენოს აფრიკანდერთა ნაციონალისტურ-შოვინისტური სულისკვეთება. 1972 წლის მაისს ნაციონალისტური პარტიის კეიპტაუნის განყოფილების შეკრებაზე მთელი თავისი მოხსენება „ბრუდერბონდის“ დღევანდელმა თავმჯდომარემ, რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა, ტრეურნიეტმა იმის მტკიცებას მიუძღვნა, რომ შეუძლებელია ეროვნული ერთობა აფრიკანდერებსა და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე სამხრეთაფრიკელებს შორის. თუ რატომ დასჭირდა „ბრუდერბონდს“ 1971—1972 წწ. რასობრივი პრობლემის წამოწევა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ავანსცენაზე, ამაზე პასუხს იძლევა უკანასკნელ წლებში ნაციონალისტური პარტიის შიგნით შექმნილი მდგომარეობა და 1970 წლის არჩევნები.

60-იანი წლების მიწურულისათვის უკვე აღინიშნებოდა იმის პირველი სიმპტომები, რომ ნაციონალისტური პარტიის ერთ დროს მონო-

ლითურ სტრუქტურაში გაჩნდა ბზარი. პარტიის მესვეურები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ არ გამოემზიურებინათ ის სერიოზული უთანხმოება, რომელიც უკვე მომწიფდა პარტიის კონსერვატიულსა და ულტრაკონსერვატიულ ფრაქციათა შორის. 1969 წლის აპრილისათვის შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ უთანხმოების დაძლევა უკვე შეუძლებელი იყო და ფორსტერმა პარლამენტის ტრიბუნიდან პირველმა გახსნა ცეცხლი პარტიის მემარჯვენე ფრთის ლიდერის ჰერცოგის წინააღმდეგ. რამოდენიმე დღით ადრე ჰერცოგმა სიტყვა წამოსთქვა, სადაც მწვავედ გააკრიტიკა მთავრობა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე სამხრეთ-აფრიკელთა მიმართ მეგობრული პოლიტიკის გამო. აუდიტორიას, რომლის წინაშეც ჰერცოგი გამოვიდა, პრეტორიის ნაციონალისტთა ჯგუფი შეადგენდა, რომელმაც გადაწყვიტა მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლოდ შეექმნა საკუთარი, აფრიკანდერთა მემარჯვენე პარტია. სწორედ უკანასკნელმა ფაქტმა აიძულა ფორსტერი და ტრანსპორტის მინისტრი სხუმანი მწვავედ გაეკრიტიკებინათ ჰერცოგი, რომელიც თავისი ულტრა მემარჯვენე შეხედულებების გამო 1968 წელს იძულებული გახდა დაეტოვებინა ფოსტა-ტელეგრაფისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პოსტი და სათავეში ჩასდგომოდა ახალ პოლიტიკურ დაჯგუფებას. მემარჯვენეთა აზრით, ფორსტერი „ლიბერალია", ლიბერალობა კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიტიკურ ლექსიკონში ძალზედ არაპოპულარული ტერმინია. ფორსტერის „ლიბერალობის" დამამტკიცებელ საბუთად ასახელებენ მის პოლიტიკას შავი აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მიმართ და ქვეყნის თეთრკანიანი მოსახლეობის ორი ჯგუფის დასაახლოებლად მიმართულ ღონისძიებებს. 1969 წლის სექტემბერში ჰერცოგის დაჯგუფების ბაზაზე შეიქმნა ახალი პოლიტიკური პარტია — „რეფორმირებული ნაციონალისტური პარტია", როგორც ჰერცოგმა განაცხადა, პარტიას საფუძვლად დაედო კალვინიზმის პრინციპები. პარტია იბრძვის აპართეიდის საფუძველთა უფრო თანმიმდევრული და მკაცრი დაცვისათვის. ასეთ ვითარებაში, 1970 წლის აპრილს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარდა საყოველთაო არჩევნები, რომელიც ნაციონალისტური პარტიის მორიგი გამარჯვებით დამთავრდა. პარლამენტში ადგილები ასე განაწილდა: ნაციონალისტური პარტია — 117, გაერთიანებული პარტია — 47, პროგრესული პარტია — 1. ჰერცოგის ახლადშექმნილმა პარტიამ დამარცხება განიცადა ყველა 79 საარჩევნო ოლქში, თუმცა თვით ჰერცოგი გულს არ იტეხს. იმასთან დაკავშირებით, რომ ფორსტერმა შეძლო არჩევნებში ულტრა-

მემარჯვენეთა დამარცხება, ევროპის რიგ დიპლომატიურ წრეებში არჩევნები შეაფასეს როგორც „ძვრა მარცხნივ“, რასთან დაკავშირებითაც 1970 წლის აპრილის ბოლოს ლონდონში სპეციალური განცხადება გააკეთა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელთა ეროვნულმა კონგრესმა. „არჩევნებში ბრძოლა მიმდინარეობდა მხოლოდ ერთი საკითხის ირგვლივ, — აღნიშნულია განცხადებაში, — თუ როგორ შეიძლება არათეთრკანიანი მოსახლეობის უკეთესად ექსპლოატაცია. უნდა გვახსოვდეს, რომ არათეთრკანიან მოსახლეობას, რომელიც 81 პროცენტს შეადგენს, საერთოდ არ გააჩნია ხმის უფლება არჩევნებში“. კონგრესი აფრთხილებდა კერძოდ ინგლისის მოსახლეობას, რომ არ აჰყოლოდა იგი დემაგოგიას „მარცხნივ ძვრების“ შესახებ.

უკანასკნელ წლებში აპართეიდის წინააღმდეგ გამოდის ეკლესიაც კი, რომელიც, როგორც წესი, მუდამ და ყველგან მმართველი კლასის ინტერესთა ერთგული დამცველია. ჯერ კიდევ 1968 წელს ფორსტერმა სპეციალურად გააფრთხილა ღვთის მსახურნი, რომ შეეწყვიტათ აპართეიდის კრიტიკა ეკლესიათა კათედრებიდან. ამ პერიოდში სამხრეთ აფრიკის ეკლესიათა საბჭომ, რომელიც აერთიანებს კათოლიკურ, ანგლიკანურ, მეთოდისტურ და პრესვიტერიანულ ეკლესიებს, საჯაროდ დაგმო აპართეიდი როგორც ქრისტიანული რწმენისათვის მიუღებელი მოძღვრება. მაოლოდ ერთი, ჰოლანდიური რეფორმისტული ეკლესია იცავს აპართეიდს. 1971 წლის იანვარს სამხრეთ აფრიკის რელიგიურ ჟურნალ „პრი ვერიტატ“-ში რამოდენიმე ათეული ხელმოწერით გამოქვეყნდა ღია წერილი, რომელშიც ღვთის მსახურნი გმობდნენ რესპუბლიკის პოლიტიკურსა და სოციალურ სისტემას.

60-იანი წლების დასასრული და 70-იანი წლების დასაწყისი, ისევე როგორც კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაშიც აღინიშნა სტუდენტთა მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით. სამხრეთაფრიკელ სტუდენტთა პროტესტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობდა, რომ უპირველეს ყოვლისა ის მიმართული იყო განათლების სისტემაში გაბატონებული რასისტული პრინციპების წინააღმდეგ: ასე იყო 1968 წლის სექტემბერში, როდესაც კეიპტაუნის უნივერსიტეტის 500-ზე მეტმა სტუდენტმა ხუთდღიანი მჯდომარე დემონსტრაცია მოაწყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. სტუდენტთა დემონსტრაცია გამოიწვია მთავრობის გადაწყვეტილებამ, შეეჩერებინა უნივერსიტეტში ლექტორის თანამდებობაზე აფრიკელი შაიეფეს დანიშვნა. 1969 წლის აპრილში კი სამხრეთ აფრიკის რესპუბ-

ლიკის ყველა ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩაატარეს ეროვნული საპროტესტო კამპანია საზოგადოებრივ დაწესებულებებში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. კამპანია ჩატარდა რასისტული კანონის ათი წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც არათეთრკანიან ახალგაზრდებს უკრძალავს უნივერსიტეტში შესვლას. ხელისუფლებამ გააფრთხილა სტუდენტები, რომ მათ წინააღმდეგ გამოყენებული იქნებოდა არმია და პოლიცია. რამოდენიმე ათეული სტუდენტი კიდეც დააპატიმრეს. სტუდენტებმა ახალი გამოსვლებით უპასუხეს რეპრესიებს. ერთ-ერთ საპროტესტო მიტინგზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტუდენტთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ინესმა მრავალათასიან სტუდენტთა მასის აზრი გამოთქვა, როდესაც პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ უნდა შევეკითხოთ ჩვენს თავს, თუ რას წარმოადგენს ეს ქვეყანა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სადაც ხალხს აპატიმრებენ მხოლოდ იმისათვის, რომ წყნარად დგანან ქუჩაში? რას წარმოადგენს ეს ქვეყანა, რომელიც გულხელდაკრეფილი შესცქერის, თუ როგორ აპატიმრებენ ერთ მუჭა სტუდენტებს კბილებამდე შეიარაღებული პოლიციელები". 1970 წლის მაისს იოჰანესბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, მიუხედავად მთავრობის აკრძალვისა, მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს ქალაქის ცენტრში. დემონსტრაციის მონაწილე 357 სტუდენტი პოლიციამ დააპატიმრა. იმავე დღეებში ხელახლა მოაწყვეს საპროტესტო გაფიცვა ქვეყნის ინგლისურენოვან უნივერსიტეტთა სტუდენტებმა. სტუდენტთა პროტესტი მიმართული იყო 22 აფრიკელი ლიდერის პატიმრობის წინააღმდეგ. მას შემდეგ რაც 1970 წლის თებერვალში ისინი გაამართლა სასამართლომ, მთავრობა უკანონოდ განაგრძობდა მათ საპყრობილეში ყოფნას. პატიმართა შორის იმყოფებოდა ვინი მანდელა. სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი ლიდერის ნელსონ მანდელას მეუღლე. 1972 წლის ზაფხულში სტუდენტთა ანტირასობრივმა გამოსვლებმა არნახულ მასშტაბებს მიაღწიეს; ივნისში 4000 სტუდენტმა მოახდინა ვიტვატერინდის უნივერსიტეტის პიკეტირება. უნივერსიტეტის რექტორი ბალოცი იძულებული იყო უნივერსიტეტში რასობრივ პრინციპთა გაუქმების თხოვნით მიემართა ფორსტერისათვის.

აპართეიდის ყოველგვარ კრიტიკას ფორსტერის მთავრობა ერთი შაბლონური მეთოდით პასუხობს — რეპრესიათა გაძლიერებით. საერეპრესიო აპარატის სიძლიერითა და სრულყოფით კი პრეტორიის რეჟიმს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში; სამხედრო

დაზვერვა, პოლიტიკური პოლიცია და სახელმწიფო უშიშროების ბიუ-
რო უშუალოდ პრემიერ-მინისტრს ემორჩილება და მხოლოდ მის
წინაშეა ანგარიშვალდებული. 1969 წელს უშიშროების სამსახურის
ბიუჯეტი 5 მლნ რენდით გამოიხატა, რაც სამჯერ აღემატებოდა 1968
წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტი განუხრელად იზრდებოდა შემდეგ წლებ-
შიც. მთელს მსოფლიოში სიკვდილით დასჯილთა ნახევარი სამხრეთ
აფრიკის რესპუბლიკაზე მოდის. წლიდან წლამდე იზრდება სიკვდილით
დასჯილთა რაოდენობა: 16 კაცი 1943—1948 წწ., 120—125 კაცი
1969—1970 წწ. ციხეთა მინისტრის პელსორის ცნობით, 1969—1970 წწ.
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დააპატიმრეს 635000 კაცი, ამათგან—
541 000 აფრიკელი. მარტო 1969 წლის ივლისიდან 1970 წლის აგვის-
ტომდე 500 000 კაცი იქნა დაპატიმრებული, აქედან 409 520 აფრიკელი.

მსოფლიოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორი-
აში არ ყოფილა იმის პრეცედენტი, რომ რეპრესიებს ჩაეხშოთ თავი-
სუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა სულისკვეთება. ამ მხრივ გამონაკ-
ლისს არც სამხრეთ აფრიკა წარმოადგენს — 1968 წელს კენიის დედა-
ქალაქ ნაირობში დაარსდა კიდევ ერთი ახალი ორგანიზაცია — „სამხ-
რეთ აფრიკის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი". ახლად შექმ-
ნილი ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კუზვაიომ პირველივე
პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია უარყოფს
რეფორმებისათვის ბრძოლის მშვიდობიან მეთოდებს.

ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გარდა კიდევ რამდენიმე
პოლიტიკური პარტია იბრძვის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, რო-
მელთა შორის ყველაზე თანმიმდევრული და მებრძოლი პროგრამა
სამხრეთ აფრიკის პროლეტარიატის, გლეხობისა და პროგრესული ინ-
ტელიგენციის ავანგარდს — კომუნისტურ პარტიას გააჩნია. სამხრეთ
აფრიკის კომუნისტური პარტია 1921 წლის 29 ივლისს დაარსდა კეიპ-
ტაუნში. პარტიაში გაერთიანდნენ ქვეყნის სოციალისტური ჯგუფები,
რომელთაც აღიარეს კომინტერნის პლათფორმა. ეს იყო პირველი პარ-
ტია კონტინენტზე, რომელმაც თავის რიგებში გააერთიანა ყველა რასი-
სა და ეროვნების მშრომელები. ეს იყო პირდაპირი პროტესტი რასობ-
რივი დისკრიმინაციის პრინციპზე აგებული წყობისადმი და ამიტომ გა-
საკვირი არც არის, რომ დღიდან მისი დაარსებისა პარტიას მუშაობა უხ-
დება უკიდურესად მძიმე პირობებში. კომუნისტური პარტიისათვის
განსაკუთრებით მძიმე დრო 1948 წელს დადგა, როდესაც ხელისუფ-
ლების სათავეში ნაციონალისტური პარტია მოვიდა. 1950 წ. მალანის

მთავრობამ შეძლო პარლამენტში გაეტარებინა „კანონპროექტი არაკანონიერ ორგანიზაციათა შესახებ“, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა კომუნისტური პარტიის აკრძალვა. ძირითადი ბირთვის გადარჩენის მიზნით პარტიის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ცნო პარტია დაშლილად გამოეცხადებინა. კომუნისტები აქტიურად იბრძოდნენ ქვეყნის ყველა პატრიოტულ ძალთა გაერთიანებისათვის, ერთიანი სახალხო ფრონტის შესაქმნელად. 1955 წელს უკვე გამომუშავებული იყო იმპერიალიზმისა და რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციათა ერთიანი პლათფორმა, რომელსაც ეწოდა „თავისუფლების ქარტია“ და 1955 წლის 26 ივნისს გამოქვეყნდა კეიპტაუნის კონგრესზე. დაეუფლა რა არალეგალური ბრძოლის მეთოდებს, 1960 წ. კომუნისტური პარტია აღდგენილ იქნა სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის სახელწოდებით. პარტიის 1962 წლის ეროვნულ კონგრესზე მიიღეს ახალი პროგრამა — „სამხრეთ აფრიკის გზა თავისუფლებისაკენ“. პარტიის საბოლოო მიზნად გამოცხადებულია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა, კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება გლეხობის ფართო მასებთან კავშირში და კომუნისტური საზოგადოების აშენება. პარტიის უახლოეს ამოცანას წარმოადგენს აპართეიდის რეჟიმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის მოსპობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრიუმფის პირობებში დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფოში გარდამავალი ეტაპი იქნება. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამეფებული ძალადობისა და ტერორის პირობებში პარტიას მიაჩნია, რომ შეიარაღებული აჯანყება რასისტული რეჟიმის დამხობის მიზანშეწონილი საშუალებაა.

სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციაა აფრიკული ეროვნული კონგრესი, რომელიც 1912 წ. დაარსდა. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის — აფრიკელთა ინტერესების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის ხელმძღვანელობა პერიოდულად მმართველ კლასებთან შემთანხმებლურ პოლიტიკასაც კი ატარებდა, ორგანიზაცია მუდამ იბრძოდა აფრიკელთა გაერთიანებისათვის, მათი პირობების გასაუმჯობესებლად. 1945 წ. კონგრესმა მიიღო „უფლებათა შესახებ ბილი“, რომელშიც წამოყენებულია აფრიკელთა სამოქალაქო უფლებათა მოთხოვნა ევროპელთა თანაბრად. პროგრამა საფუძვლად და-



გვინეის რესპუბლიკა: დღითი დღე იზრდება ეროვნული კადრების ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიკაში



აფრიკული პეიზაჟი

არახისის საწყობი ლია ცის ქვეშ

ეფო კონგრესის ბრძოლასა და მოღვაწეობას შემდგომ პერიოდში. დიდი ხნის განმავლობაში კონგრესი განდიზმის სერიოზულ გავლენას განიცდიდა, რის გამოც ბრძოლის პრაქტიკულ მეთოდებად აღიარებული იყო ძალდაუტანებელი მოქმედება და პასიური წინააღმდეგობა. ამ ტაქტიკის მომხრე იყო გამოჩენილი აფრიკელი პოლიტიკური მოღვაწე. მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ლუტული, რომელიც სათავეში ედგა კონგრესს. მისი სიკვდილის შემდეგ კონგრესის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა ტამბომ.

1960 წელს აიკრძალა აფრიკული ეროვნული კონგრესის მოღვაწეობა, ხოლო მის ლიდერთა უმრავლესობა დააპატიმრეს. ასეთ პირობებში პარტიის რადიკალურად განწყობილმა წევრებმა გადაწყვეტილება მიიღეს ხელი აეღოთ ძველ ტაქტიკაზე. 1962 წ. დაარსდა პატრიოტული ორგანიზაცია „უმკონტო ვე სიზვე" („ხალხის შურისმაძიებელი შუბი"), რომლის დამფუძნებელ მანიფესტში გამოცხადებული იყო, რომ ორგანიზაცია ხელს ჰკიდებს სისტემატურ და შეთანხმებულ სამხედრო მოქმედებას რასისტული მთავრობის წინააღმდეგ. მოგვიანებით გამოქვეყნებულ გახცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „უმკონტო" მთლიანად იზიარებს აფრიკული ეროვნული კონგრესის პოლიტიკურ ბაზს. ამრიგად, „უმკონტო" იქცა კონგრესის სამხედრო ორგანიზაციად.

1959 წ. აფრიკული ეროვნული კონგრესის შიგნით მოხდა განხეთქილება, რის შედეგადაც ცალკე გამოიყო ნაციონალისტთა ჯგუფი სობუკვეს მეთაურობით. ჯგუფის ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანიზაცია—პანაფრიკული კონგრესი. პანაფრიკანისტთა აზრით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მხოლოდ აფრიკელებსა და მეტისებს ეკუთვნით ძირითადი პოლიტიკური უფლებები. ევროპელები განხილული არიან როგორც უცხოელები. პანაფრიკანისტები არც ქვეყანაში მცხოვრებ ინდოელებს ცნობენ. თავისი იდეოლოგიით პანაფრიკული კონგრესი წარმოადგენს ტიპიურ ნაციონალისტურ ორგანიზაციას.

1960 წლიდან პანაფრიკული კონგრესი აკრძალულია. სობუკვე და სხვა ლიდერები დააპატიმრეს. კონგრესის ყოფილმა წევრებმა შექმნეს ტერორისტული ორგანიზაცია „პოკო", რომელიც ტერორისტულ აქტებს ატარებს ქვეყნის თეთრკანიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. აფრიკული ეროვნული კონგრესი გადაჭრით გმობს „პოკოს" ტერორისტებს.

1894 წ. განდიმ დააარსა „სამხრეთაფრიკელ ინდოელთა კონგრესი". კონგრესი მოითხოვს როგორც ქვეყნის ინდოელი მოსახლეობისათვის საჯოქალაქო უფლებათა მინიჭებას, ასევე საერთო დემოკრატიზაციას.

ისევე როგორც სხვა ანტირასისტული პოლიტიკური პარტიები, კონგრესიც აკრძალულია.

70-იანი წლების დასაწყისიდან აღინიშნება ახალი და საყურადღებო ასპექტი სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში: თუ აქამდე მთავარი ყურადღება მიმართული იყო აპართეიდისა და რასიზმის წინააღმდეგ, აღნიშნული პერიოდიდან ბრძოლის მთავარ მომენტად მიწის საკითხი იქცა. „ჩვენ უკვე ჩვენი მიწის უკან დასაბრუნებლად ვიბრძვით", — 1971 წ. აგვისტოს განაცხადა აფრიკული ეროვნული კონგრესის წარმომადგენელმა ალჟირში მაკატინიმ. უფრო მოგვიანებით კი სენსაცია გამოიწვია ზულულენდის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის დლადლის განცხადებამ მთავრობის წევრთა წინაშე: „თეთრკანიანთათვის დადგა დრო, როდესაც მათ ეს მიწა უნდა დაუბრუნონ მის კანონიერ მფლობელებს, ე. ი. ზულუსებს..." ამრიგად, უკვე საკითხი ეხება არა მხოლოდ აპართეიდის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ დეკოლონიზაციას საერთოდ. ათეული წლების განმავლობაში ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და მთლიანი დეკოლონიზაციის საკითხი ერთგვარად მიჩქმალული იყო.

უკანასკნელ წლებში აპართეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო აქტიურად გამოდიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეალისტურად მოაზროვნე თეთრკანიანი პოლიტიკური მოღვაწენიც: „მთავრობის მიერ აფრიკელთათვის შეთავაზებული დამოუკიდებლობა ბანტუსტანებში, მხოლოდ მოტყუებაა", — საჯაროდ აცხადებს პროგრესული პარტიის ლიდერი სტეიტლერი; „თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა არ შეცვლის თავის რასისტულ პოლიტიკას, მას მოუწევს თეთრკანიანთა ბატონობის დაცვა შეიარაღებული ძალით და ჩვენი შვილები იგრძნობენ ამ საკვირველი საზოგადოების იდიოტიზმის ტრაგიკულ შედეგებს", — მხარს უბამს სტეიტლერს პარლამენტის წევრი რასელი. 1972 წლის ივლისს მთელს რესპუბლიკაში და მის გარეთაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა ცნობილი ქირურგების, ძმები ბერნარდების განცხადებას იმის შესახებ, რომ მათ შეიძლება სამუდამოდ დატოვონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (ცოტა ხნით ადრე ძმები საჯაროდ გამოვიდნენ სტუდენტთა დასაცავად, რის გამოც მთავრობა მათ რეპრესიებით დაემუქრა). ყოველივე ეს კი მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ პრეტორიის რასისტული რეჟიმის დამცველთა რიცხვი განუხრელად კლებულობს ქვეყნის თეთრკანიან მოსახლეობაშიც კი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პოპულარულია გამოთქმა — „რასაც დღეს იოჰანესბურგი აკეთებს, ხვალ ამას მთელი ქვეყანა გააკეთებს“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის რაც ხელსაყრელია რესპუბლიკის უმსხვილეს ფინანსური და სამრეწველო ცენტრისათვის, ხელსაყრელია ქვეყნის ეკონომიკისათვისაც.

1974 წლის 30 იანვარს იოჰანესბურგის მუნიციპალურმა საბჭომ, რომელიც გაერთიანებული პარტიის კონტროლს ქვეშ იმყოფება, ფორსტერის მთავრობისათვის მოულოდნელად ქალაქში გააუქმა მთელი რიგი შეზღუდვები; აფრიკელებს ნება დაერთოთ საგამოფენო გალერეებში შესვლისა, გაუქმდა შეზღუდვები აგრეთვე ბიბლიოთეკებსა და რესტორნებში, პარკებში სკამებიდან მოხსნეს წარწერები „მხოლოდ თეთრებისათვის“. მიუხედავად იმისა, რომ ბანტუს საქმეთა მინისტრმა იანსონმა ოფიციალურად დაგმო იოჰანესბურგის მუნიციპალიტეტის ღონისძიებები, რამოდენიმე დღის შემდეგ იოჰანესბურგის მაგალითს მიბაძეს კეიპტაუნმა, ისტ-ლონდონმა, მარიცბურგმა, პორტ-ელიზაბეტმა და, რაც მთავარია, ნაციონალისტური პარტიის კონტროლის ქვეშ მყოფმა პრეტორიამაც.

რასაკვირველია, ზემოხსენებულ ქალაქთა მუნიციპალიტეტები ვერ გაბედავდნენ ე. წ. „მცირე აპართეიდის“ წინააღმდეგ ამგვარ ღონისძიებათა გატარებას, მათ ზურგს უკან რომ არ მდგარიყვნენ გავლენიანი სამრეწველო წრეები. „მცირე აპართეიდის“ ლიკვიდირების სურვილი, — წერდა გაზეთი „რანდ დეილი მაილი“, — დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ აპართეიდის ეს „მშვენება“ აფრიკელთა სევდასა და განრისხებას ბადებს, რასაც ძალზედ არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. „მუნიციპალიტეტთა ამ „ფართო ჟესტმა“ დამცველი ფარის როლი უნდა შეასრულოს. აფრიკელთა სიძულვილი რეჟიმისადმი წარმოშობილია არა მარტო არაადამიანური ეკონომიური ექსპლოატაციით, არამედ ყოველდღიური დამცირებებითაც.

მთავარი მიზეზი, რამაც განაპირობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რიგ მოღვაწეთა ახალი კურსი, ეს არის ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. სწორედ უკანასკნელი აღელვებთ ყველაზე ძლიერ სამრეწველო მაგნატებს. საქმე ისაა, რომ მიუხედავად სავალუტო რეზერვების განუხრელი ზრდისა, რაც ოქროზე ფასების მატების შედეგია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ინფლაციის ზრდასა და ფასების განუხრელ მატებას ზედ დაერთო ეკონომიკის ზრდის ტემპების მკვეთრი დაქვეითება. თუ 60-იან წლებში ზრდის

ტემპები 7 პროცენტით გამოიხატებოდა, 1972 წელს იგი 2 პროცენტამდე დაეცა. ეკონომიკის ამ მძიმე დაავადების მთავარი მიზეზი კი აპართეიდია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარ მუხრუჭად იქცა.

უკანასკნელ ათწლეულში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სავსებით დამოკიდებული აღმოჩნდა დაბალმწარმოებლურ აფრიკულ სამუშაო ძალაზე. მეორე მხრივ კი, მაღალხელფასიან თანამდებობათა თეთრკანიან მუშათათვის რეზერვირებას, მკაცრ „ფერად“ ბარიერს მრეწველობაში, რაც აფრიკელებს კვალიფიციურ სამუშაოთა მიღების პერსპექტივას უსპობს, მთელს რესპუბლიკაში სპეციალისტთა მძაფრი ნაკლებობა მოჰყვა.

სწორედ ეკონომიკის სახიფათო მდგომარეობა, მომავალ სოციალურ აფეთქებათა შიში, აიძულებს ბევრ თეთრკანიან სამხრეთაფრიკელს ღრმად ჩაუფიქრდეს აპართეიდის პოლიტიკის რეალურ შედეგებსა და მოსალოდნელ საფრთხეს. თეთრკანიან სამხრეთაფრიკელთა ამგვარი განწყობილება ნათლად გამოვლინდა პარლამენტის არჩევნების პერიოდში 1974 წლის აპრილში. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში შეიქმნა რამდენიმე ახალი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც ამა თუ იმ საკითხში არ ეთანხმება ნაციონალისტური პარტიის პოლიტიკას. ახალი პროგრამით გამოვიდა აგრეთვე გაერთიანებული პარტია, რომელიც წლების განმავლობაში თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ნაციონალისტური პარტიისაგან. 1973 წლის ნოემბერში, გაერთიანებული პარტიის ყრილობაზე, დელეგატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მმართველობის ფედერალური სისტემის პროექტს, „რომლის ჩარჩოებშიც ხელისუფლება განაწილდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყველა რასას შორის“.

„დიდი ხანია რაც ის დრო წავიდა, — აღიარებს ჰ. ოპენჰეიმერი, — როდესაც თეთრკანიანებს შეეძლოთ დამოუკიდებლივ მომსახურებოდნენ ქვეყნის ეკონომიკას. რესპუბლიკას არ შეუძლია თავისი ეკონომიური პოტენციალის რეალიზება, სანამ აფრიკელთა შრომისნაყოფიერება და ხელფასი ხელოვნურად იზღუდება არასაკმარისი განათლებით, მოძველებული სამრეწველო სტრუქტურით და იურიდიული ბარიერებით“.

მიუხედავად ყოველივე ზემოხსენებულისა, ნაციონალისტური პარტიის ლიდერებს აზრადაც არა აქვთ რაიმე ცვლილებები შეიტანონ თავიანთ პოლიტიკაში. ფორსტერის მთავარ დასაყრდენს აფრიკანდერე-

ბი წარმოადგენენ, რომლებიც ქვეყნის თეთრკანიანი მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენენ. საქმე ისაა, რომ აფრიკანდერები — სოფლის ფერმერები, ყველაზე მეტ მოგებას ღებულობენ აპართეიდის პოლიტიკისაგან: სამუშაო ძალის არსებული მიგრაციული სისტემა უზრუნველყოფს მათ დაბალხელფასიანი მუშახელის არმიით. გარდა ფერმერებისა, ფორსტერის მხარეზეა საშუალო კვალიფიკაციის თეთრკანიან მუშათა დიდი ნაწილი, რომელთაც ეშინიათ, რომ კვალიფიციურ სამუშაოებზე აფრიკელთა დაშვებით შეილახება მათი პრივილეგიები.

1974 წლის 24 აპრილის არჩევნები ნაციონალისტთა დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. მათ 122 ადგილი მიიღეს პარლამენტში, გაერთიანებულმა პარტიამ — 41, პროგრესულმა პარტიამ — 6. გამართლდა ფორსტერის ანგარიში, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება — სულ უფრო მეტი თეთრკანიანი რწმუნდება, რომ გარდაქმნები აუცილებელია.

არჩევნების მეორე დღეს კი პორტუგალიაში მოხდა ანტიფაშისტური გადატრიალება, რამაც თავდაყირა დააყენა სამხრეთაფრიკელ რასისტთა პოლიტიკური გეგმები; პორტუგალიაში ფაშიზმის დამხობამდე პრეტორიის რეგიონალური სტრატეგია დაფუძნებული იყო იმ წინაპირობაზე, რომ პორტუგალია კიდევ მრავალი წლის განმავლობაში შეძლებდა დაერთგუნა აფრიკაში თავისი კოლონიების ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, რაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას საშუალებას მისცემდა მოესწრო დაგეგმილი პროექტის განხორციელება: მოეხდინა მთელი სამხრეთ აფრიკის ეკონომიური და პოლიტიკური ინტეგრაცია, სადაც გაბატონებული იქნებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კაპიტალი და სარეპრესიო აპარატი. 1974 წლის 25 აპრილის შემდეგ პრეტორიის გეგმები ახალი იმპერიის შექმნის შესახებ ჰაერში გამოიკიდა. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ყოველგვარი ილუზიები მოუსპო ფორსტერს—გენერალ სპინოლას ნეოკოლონიური ალტერნატივა (რომელიც მან თავის წიგნში „პორტუგალია და მომავალი“ ჩამოაყალიბა) უკუგდებულ იქნა პორტუგალიის დემოკრატიულ ძალთა მიერ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პორტუგალიის კოლონიური იმპერიის გაუქმებამ კიდევ უფრო გააძლიერა პრეტორიის რეჟიმის საერთაშორისო იზოლაცია. დღის წესრიგში დადგა კოლონიალიზმისა და რასიზმის უკანასკნელ დასაყრდენთა ლიკვიდაცია. 1975 წლის აპრილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამიბიის საკითხთა საბჭომ ასო-

ბით წერილი დაუგზავნა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობებსა და კომპანიებს. წერილი შეიცავდა თხოვნას, რომ თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებისა, მოეხდინათ ნამიბიიდან ექსპორტირებული მთელი საქონლის კონფისკაცია, როგორც „არალეგალური ექსპორტის“.

ყოველივე ამან ერთად აღებულმა, აიძულა ფორსტერი გარკვეული ტაქტიკური სიახლენი შეეტანა თავის კოლონიურ პოლიტიკაში; ადგილობრივი პრესის მიერ ფართოდ არის რეკლამირებული „რეჟიმის ლიბერალიზაცია“. თვით ფორსტერმა 1974 წლის 23 ოქტომბერს სენატში შემდეგი განცხადება გააკეთა: „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გზაჯვარედინზე იმყოფება. მან არჩევანი უნდა გააკეთოს მშვიდობასა და ძალადობის ესკალაციას შორის. მე მიმაჩნია, რომ ესკალაციის შედეგი ძალზედ ძვირად დაგვიჯდება“. მაინც რას გულისხმობს „დაძაბულობის შენელების“ ფორსტერის პროგრამა? ფორსტერი ფაქტიურად ტროპიკულ აფრიკას ოთხ რამეს „სთავაზობს“ ერთის სანაცვლოდ: „თეთრი“ საზღვრის გადატანას მდ. ზამბეზიდან ლიმპოპოზე, ხელს იღებს ნამიბიის ჩრდილოეთ ნაწილზე — ოვამბოლენდზე (ნამიბიის დანარჩენ ნაწილზე კი მისი გეგმით უნდა შეიქმნას ცალკეული ტომების ფედერაცია, რომელიც ოვამბოს გარეშე უმცირესობაში აღმოჩნდება თეთრკანიანებთან შედარებით), ფორსტერი მზად არის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პირობა მისცეს მოზამბიკს, ეკონომიური და ტენქიკური „დახმარება“ აღმოუჩინოს მეზობელ აფრიკულ სახელმწიფოებს. ყოველივე ამის საფასურად კი იგი მოითხოვს სამხრეთ აფრიკის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.

რა იმალება ფორსტერის ახალი ტაქტიკის მიღმა, რომელიც ფაქტიურად „დიალოგის“ პოლიტიკის გაგრძელებაა? უპირველეს ყოვლისა ახალ პოლიტიკურ სიტუაციასთან შეგუების აუცილებლობის შეგრძნება. რასაკვირველია, პრეტორიაში სერიოზულად არავინ ფიქრობს არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანოს აპართეიდის პოლიტიკაში. ამიტომ იყო გამოგონილი ე. წ. „მცირე აპართეიდი“, რომ ამ უბანზე უმნიშვნელო ცვლილებებით, ძირეულ გარდაქმნათა ილუზია შეექმნათ, მაგრამ ამგვარი გეგმების ჩაშლაზე მჭერმეტყველად მიუთითებს რასობრივ მღელვარებათა გაძლიერება და აქედან გამომდინარე ქვეყნის შიგნით სარეპრესიო აპარატის უპრეცედენტო ზრდა. 1960 წელს, შერპევილში მუშათა დახვრეტის მომენტისათვის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ბიუჯეტი 44 მლნ რენდს შეადგენდა,

1970 წელს კი — 257 მლნ-ს, ხოლო 1976 წელს 948 მილიონით გამოიხატა.

1960 წლამდე ქვეყნის არმიის ძირითად დანიშნულებად ითვლებოდა გარედან თავდასხმის მოგერიება, შერპევილის ამბების შემდეგ კი ფორსირებული ტემპებით დაიწყო არმიის რეორგანიზაცია — მას დაემატა ქვეყნის შიგნით ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების დათრგუნვის ფუნქციებიც. სწორედ უკანასკნელ მოვლენასთან არის დაკავშირებული სამხედრო ბიუჯეტის ასეთი ტემპებით ზრდა.

ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად არც იმ ფაქტის იგნორირება შეიძლება, რომ უკანასკნელ წლებში (განსაკუთრებით 1975 წლის დამლევიდან) ფორსტერის მთავრობა რეპრესიებთან ერთად იძულებულია ზოგიერთ დათმობებზეც წავიდეს. სახე იცვალა თვით იოჰანესბურგმაც როგორც „თეთრმა“ ქალაქმა, სადაც სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ შავკანიანთა ჭაჭანებაც კი არ იყო ადრე. ახლა შებინდების შემდეგ იოჰანესბურგის ქუჩებში ჩვეულებრივი მოვლენაა მშვიდად მოსეირნე შავკანიანები. მართალია, ჯერ კიდევ ძალაშია კანონი საშვთა შესახებ, მაგრამ იგი უკვე გაცილებით ნაკლები სიმკაცრით ტარდება ცხოვრებაში. 1975 წლის შემდეგ აშენებულ სახლებში ლიფტებზე უკვე აღარ არის ტრადიციული წარწერები: „შავკანიანთათვის“, „თეთრკანიანთათვის“. თუმცა მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში შავკანიანები კვლავინდებურად მხოლოდ ერთ დღეს დაიშვებიან ოფიციალურად, მაგრამ სხვა დღეებში მათ უკვე აღარ აძევებენ დარბაზებიდან.

რასაკვირველია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პრეტორიამ ხელი აიღო აპართეიდზე. სწორედ ამ სისტემაზე — აპართეიდზეა დაფუძნებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური შენობა. მკაცრად კოდიფიცირებული აპართეიდი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების არც ერთ უბანს არ ტოვებს „ღვთის ანაბარა“: შრომას, ყოფა-ცხოვრებას, ტრანსპორტს, თავისუფალ დროს. მიუხედავად ყოველივე ამისა, აპართეიდის კანონები სულ უფრო და უფრო ხშირად ირღვევა, თუმცა ფორსტერისა და მისი ნაციონალისტური პარტიის ოფიციალური დოქტრინა კვლავინდებურად ეღერს. 1976 წლის იანვარში ფრანგულ გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტთან საუბარში ფორსტერმა განაცხადა: „თეთრ ზონებში დამკვიდრებული შავკანიანები არ წარმოადგენენ ხალხს როგორც ასეთი. ამიტომ იქ ისინი არავითარი უფლებებით არ სარგებლობენ. სამაგიეროდ თითოეული

მათგანი რამდენიმე თაობის განმავლობაშიც რომ ცხოვრობდეს თეთრ ზონაში, მაინც რომელიმე ბანტუსტანის მოქალაქედ რჩება". აი როგორ აპართეიდს ცნობს ქვეყნის ნომერი პირველი რასისტი. თუ რაიმე ცვლილებები აღინიშნება, ეს სულაც არ წარმოადგენს ფორსტერის დამსახურებას. ავიღოთ თუნდაც შრომის კანონმდებლობა; პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დაცემის შემდეგ მოზამბიკიდან და ანგოლიდან ბევრმა თეთრკანიანმა კოლონისტმა პოვა თავშესაფარი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რამაც ერთგვარად შეამცირა მოთხოვნილება აფრიკელ მუშებზე. კვლავ ძალაშია კანონი სამუშაო ადგილთა რეზერვირების შესახებ, კვლავინდებურად შრომის მინისტრი წყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ რა ხასიათის სამუშაოზე შეიძლება იქნეს აყვანილი ესა თუ ის რასობრივი ჯგუფი და ა. შ. მაგრამ ეკონომიკა ისე სწრაფად ვითარდება, რომ აქაც კანონებზე სწრაფად იცვლება პრაქტიკა. ეკონომიკის ზრდის ტემპების დაქვეითების თავიდან აცილების მიზნით მრეწველები იძულებული იყვნენ ისევ შრომის კანონმდებლობა დაერღვიათ. თავდაპირველად ისინი სიფრთხილით მოქმედებდნენ, რათა მთავრობისა და „თეთრი" პროფკავშირების გაღიზიანება ან კონტრზომები არ გამოეწვიათ, ხოლო ბოლო ხანებში „ანგლო-ამერიკენ კორპორეიშნ"-ის ყოვლისმძლე პრეზიდენტ ოპენჰეიმერთან ერთად, შრომის საკითხებში სრული დესეგრეგაციის მოთხოვნით გამოდიან. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთი ფირმის ხელმძღვანელი, ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის პროგრესულ პარტიათა საამომრჩევლო კამპანიებს აფინანსებს.

სამშენებლო მრეწველობის ბუმმა თავის მხრივ ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ მშენებლობებზე მუშაობა დაიწყეს ქვისმთლელმა მეტისებმა, რკინიგზის ტრანსპორტზე, სადაც სამუშაოდ მოწყობა 6 „თეთრი" პროფკავშირის ვიზის გარეშე ძალზედ რთულია, თეთრკანიან თანამშრომელთა სიმცირის გამო, სულ უფრო და უფრო მეტი ფერადკანიანი იწყებს მუშაობას, პროფკავშირების წინააღმდეგობის მიუხედავად იოჰანესბურგში ავტობუსთა მძღოლებად სულ უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით მეტისებს და ა. შ.

მაღაროებში, შავ მეტალურგიაში, სამშენებლო მრეწველობაში, ყოველდღიურად სუსტება აპართეიდი, მაგრამ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების უფლება კვლავინდებურად თეთრკანიანთა ხელშია. მათ უკავიათ ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა. ვინაიდან პროფკავშირები თავიანთ წევრებად არ ღებულობენ აფრიკელებს, უკანასკნელთ

გაფიცვის უფლებაც კი არა აქვთ. მკაცრი დისციპლინის სულ უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში მათ სამუშაოდან დათხოვა და პატიმრობა ელით

1975 წლის მაისში სამხრეთ რესპუბლიკის არმიაში პირველად მიიღეს ოფიცრის ჩინი მეტისებმა, თავდაცვის შესახებ კანონში შეიტანეს სათანადო ცვლილება, იმავე წლის დამლევიდან ფერადკანიანი უკვე დიპლომატიურ სამუშაოზეც შეიძლება დაინიშნოს.

ასეთი და სხვა არაპრინციპული ხასიათის დათმობებით პრეტორია ცდილობს დასავლეთის მმართველ წრეებს მასთან თანამშრომლობა გაუადვილოს, თავის მართლების საშუალება მისცეს ფართო საზოგადოებრიობის წინაშე და მართლაც უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააქტიურდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიური კონტაქტები კაპიტალისტურ სამყაროსთან. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მარტო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კაპიტალდაბანდება ხუთჯერ გაიზარდა. თითქმის ყოველი სახეობის უცხოური საქონელი შემოდის რესპუბლიკის პორტებში. ქვეყანას ნაკლებად შეეხო ენერგეტიკული კრიზისი, ვინაიდან ენერგეტიკული რესურსების მხოლოდ ოცი პროცენტი მოდის აქ ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე. ყოველწლიურად 50 ათას ტონა შაქარს და ურანის მადანს ყიდულობს პრეტორიისაგან ირანი. თავის მხრივ შაჰი ნავთობს აწვდის. ფორსირებული ტემპებით მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე „სასოლ-2“, რომელიც სინთეზური ბენზინის შექმნას ითვალისწინებს. 1980 წლისათვის სწორედ სინთეზურმა ბენზინმა უნდა დააკმაყოფილოს ბენზინზე მთელი მოთხოვნილების 40 პროცენტი.

კეიპტაუნის რაიონში უკვე მთავრდება ორი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელთა დანადგარებით აღჭურვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დასავლეთ ევროპის წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოები. აშშ-ის კაპიტალია წარმოდგენილი ნიუკასლში გიგანტური ფოლად-ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობაში, რომელმაც ქვეყნის ფოლადის წარმოება 5 მლნ ტონიდან 15 მლნ-მდე უნდა გაზარდოს.

დიდი ღვაწლი მიუძღვის კაპიტალისტურ სამყაროს პრეტორიელ რასისტთა შეიარაღების საქმეშიც; ამიტომ არის, რომ თავდაცვის მინისტრი პიტერ ბოტა სისტემატურად ამშვიდებს იარაღის ანონიმურ მიმწოდებლებს — „მე არასოდეს არ გამიმხელია ჩვენი შეიარაღების

წყარო. ეს პრინციპია. ჩვენ არ გვსურს ვინმე ჩავაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში".

ყოველივე ეს გარკვეული გაგებით კონიუნქტურული მნიშვნელობის ფაქტორებია, მთავარი მაინც ის არის, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უკვე დაიწყო შეუქცევადი პროცესი — რეჟიმის კოროზია. დღითი დღე იზრდება ქვეყნის მკვიდრ თეთრკანიანთა რაოდენობა, რომელთაც გულწრფელად სწამთ, რომ აპართეიდმა თავისი დრო მოჭამა, რომ უკვე აუცილებელია ძირეული ხასიათის რეფორმები, ქვეყანაში მცხოვრები ყველა რასობრივი ჯგუფის დაშვება ხელისუფლების სათავეში. ცნობილი ამერიკელი რეჟისორის პატონის ფილმის — „იტირე საყვარელო ქვეყანავ", ერთ-ერთი გმირი, ზანგი მოძღვარი, ასეთ კონტექსტში განიხილავს რასათაშორის ურთიერთობას — „გულის სილრმეში მე ერთი რამის მეშინია: იმ დღეს, როდესაც ისინი დაიწყებენ ჩვენს შეყვარებას, აღმოაჩენენ, რომ ჩვენ ისინი უკვე გვძულან". ძნელია იმის თქმა, თუ როდის დაიწყებენ სამხრეთაფრიკელი რასისტები აფრიკელ თანამოქალაქეთა შეყვარებას, მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ მათ უკვე დიდი ხანია რაც საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურეს.

კანონზომიერია ის ფაქტიც, რომ ყოველ ახალ რასობრივ მღელვარებას ახალი უთანხმოება მოჰყვება ხოლმე პრეტორიის მმართველ წრეებში; 1976 წლის ზაფხულში მთელი პროგრესული მსოფლიო შეაძრწუნა სოუეტოს ტრაგედიამ, როდესაც პრეტორიამ შერპევილის პრაქტიკა გაიმეორა და სასოწარკვეთილებამდე მისულ ადამიანთა მშვიდობიან პროტესტს მასობრივი დახვრეტით უპასუხა. სოუეტოს უთანხმოების ახალი გამწვავება მოჰყვა თვით კაბინეტის წევრთა შორის. ერთ პოლუსზე აღმოჩნდა ტრეურნიხტი, ბანტუს მართვისა და განვითარების საკითხთა მინისტრის მოადგილე, მმართველი ნაციონალისტური პარტიის კონსერვატორული დაჯგუფების „ფერკრამპტეს" („ვიწროშუბლიანები") იდეოლოგი. იგი მუდამ გააფთრებული იცავდა აპართეიდს. ტრეურნიხტის ჯგუფს წინ უდგას „ფერლიგტე"-ს ბლოკი („განათლებულები"), რომელიც აერთიანებს ლიბერალ მინისტრებს, სასწავლო დაწესებულებათა პედაგოგებს, ჟურნალისტებს და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. მათი აღიარებული ლიდერია იოჰანესბურგის გაზეთის „ტრანსვაალის" რედაქტორი ვილემ დე კლერკი. იგი თითქმის აშკარად სდებს ბრალს ფორსტერს ყველა სიძნელეში. არაოფიციალურ განცხადებებში თვით აფრიკანერებიც კი გამოსთქვამენ ეჭვს — შესწევს კი ფორსტერს ძალა და უნარი ჩიხიდან გამოიყვანოს ქვეყანა? არ-

სებობს აზრიც, რომ დროა ფორსტერმა დასტოვოს თანამდებობა, რომელიც მას უკვე 11 წლის განმავლობაში უკავია. რაც შეეხება თვით ფორსტერს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არცთუ ისე ხანდაზმულია (61 წლისაა), უკვე ვეღარ ავლენს ძველებურ სიმტკიცეს თავისი პარტიის მემარჯვენე ფრთასთან ბრძოლაში, იმ წრეებთან ბრძოლაში, რომელნიც მეორეხარისხოვანი რეფორმებისა და აპართეიდის მოჩვენებითი ლიბერალიზაციის წინააღმდეგაც კი გამოდიან.

რეფორმების მომხრე გავლენიან წრეებში უკვე ფორსტერის მემკვიდრესაც კი ასახელებენ; ეს არის შინაგან საქმეთა და ინფორმაციის მინისტრი მიულდერი, რომელიც, როგორც ამბობენ, მზადაა მიიღოს ლიბერალთა პროგრამა, ქალაქებში მცხოვრებ აფრიკელთათვის პოლიტიკურ უფლებათა მინიჭებამდეც კი.

მიულდერსა და მის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა მთავრობამ მოლაპარაკებები აწარმოოს არა მხოლოდ „ჰოუმლენდების“ ბელადებთან, არამედ ქალაქებში მცხოვრებ აფრიკელთა წარმომადგენლებთანაც. ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ნაციონალისტური პარტიის არც ერთი წევრი (რეფორმათა მომხრე ლიბერალების ჩათვლითაც) არ არის პრინციპის — „ერთი ადამიანი — ერთი ხმა“ მომხრე. „ფერლიგტე“ ფედერალური ან კანტონალური სისტემის მომხრეა, რომლის მიხედვითაც თითოეული რასა ისარგებლებს თვითმმართველობის უფლებით, ხოლო ყველას სათავეში იდგება საახელმწიფოს პრეზიდენტი.

ეს კონცეფცია, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი ბუნდოვნებისა და არასრულყოფისა, 1976 წლის დეკემბერს გადაეცა მთავრობის სპეციალურ კომისიას, რომელსაც ევალება არსებული საპარლამენტო სისტემის ყველა შესაძლებელი ალტერნატივის გაანალიზება.

ანალოგიური დანიშნულების კომისია შეიქმნა ჯერ კიდევ სოუეტოს დახვრეტამდე. კომისიას მიაჩნია, რომ საჭიროა რასობრივი სეგრეგაციის გაუქმება ცხოვრების ყველა სფეროში, გარდა საბინაო მშენებლობისა და სასწავლო დაწესებულებებისა.

რეფორმათა მომხრეებს შეგნებული აქვთ, რომ ყოველი სახის ცვლილებებს წინ აღუდგება 2,4 მლნ აფრიკანდერი, რომელთა შორისაც ბევრი წვრილი ფერმერი და მუშაც რასისტული ფილოსოფიით არის მოწამლული. ლიბერალთა შორის ისეთი გეგმაც არსებობს, რომ ახალმა პრემიერმა გააუქმოს ქვეყანაში მოქმედი კონსტიტუცია და 1979 წლისათვის დანიშნული არჩევნები, ლაპარაკია „განათლებულ დიქტატურა-

ზეც“, რომელიც დაეყრდნობოდა მძლავრ შეიარაღებულ ძალებს. ამ-
გვარ იდეათა მთავარი მინუსი ის არის, რომ არც ერთ მათგანს არ და-
უჭერს მხარს ქვეყნის შავკანიანი მოსახლეობა.

რაც შეეხება წრეებს, რომელთა ხელშიც არის რეალური ძალა, მათ
აშკარად აიღეს კურსი კონფრონტაციაზე. ამაზევე მიუთითებს უკანას-
კნელ პერიოდში გაძლიერებული რეპრესიები. როგორც 1977 წლის
თებერვალში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, სამხრეთ აფრიკის რესპუბ-
ლიკის მმართველი წრეები ამ გზით იმედოვნებენ კიდევ 15—20 წლით
გაახანგრძლივონ თავიანთი ბატონობა.

ნიგერია

1960 წლის პირველ ოქტომბერს აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოთა რიცხვს შეეშატა ნიგერია. ნიგერიელმა ხალხმა წარმატებით დაამთავრა 60-წლიანი ბრძოლა თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის. ასეულ ათასობით ნიგერიელი შეეწირა ინგლისელ კოლონიზატორებთან უთანასწორო ბრძოლას, თუმცა ამ ფაქტმა ხელი როდი შეუშალა ინგლისის დედოფალს ელისაბედს, განთავისუფლების ზეიმზე თავის გამოსვლაში კოლონიალიზმის მთელი პერიოდი დაეხასიათებინა როგორც ქვეყნის ტრიუმფალური სვლა ცივილიზაციისა და პროგრესისაკენ.

იმ პერიოდში ინგლისის გაზეთები წერდნენ, რომ ნიგერიის განთავისუფლება ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპთა სრული დაცვით განხორციელდაო. ინგლისის ოფიციალურ წრეებს მართლაც ჰქონდათ საბაბი, რომ კმაყოფილი ყოფილიყვნენ — ახალგაზრდა სახელმწიფოს სათავეში მოვიდნენ პროინგლისურად განწყობილი მოღვაწენი. ცნობილი ამერიკელი აფრიკანისტი ჰ. ბრეტონი წიგნში — „ხელისუფლება და სტაბილურობა ნიგერიაში“, წერს: „ინგლისის ხელისუფლება ისე მართავდა პოლიტიკურ-საკანონმდებლო საქმეებს, რომ უზრუნველეყო რაც შეიძლება ხანგრძლივი კონტროლი და გავლენა ფორმალურად გამოყოფის შემდეგ. ნიგერიაში ფაქტიურად ხელუხლებელია ინგლისის მიერ დადგენილი სტრუქტურა, რომელიც ბრიტანული სისტემის ვარიანტს წარმოადგენს.“ წიგნში აღწერილია 1960-1965 წწ. ნიგერია.

ნიგერიის პირველმა პრემიერ-მინისტრმა, ა. ტ. ბალეევამ, თავის პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნიგერიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები იქნებოდა სამხედრო ბლოკებისადმი მიუმხრობლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან საქმიანი თანამშრომლობა და სხვ. ბალეევას მთავრობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა საგარეო-პოლიტიკურ კონ-

ტაქტებს. მეორე მხრივ, დიდი იყო აზიისა და აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ინტერესი კონტინენტის უდიდესი სახელმწიფოსადმი და როგორც ნიგერიის გაზეთი „ედვანსი" წერდა: „მტკვრიანი ლაგოსი, სადაც სულ რამოდენიმე წლის წინ ყველაზე მნიშვნელოვან პერსონას ინგლისელი გუბერნატორი წარმოადგენდა, პრემიერ-მინისტრთა და პრეზიდენტთა სასტუმროდ იქცა". 60-იანი წლები ყოფილ კოლონიურ სახელმწიფოთა ქრონიკებში შევიდა როგორც ურთიერთგაგებისა და დაახლოების წლები. მთელი საუკუნეების მანძილზე აფრიკის ხალხები ჯერ იყო და ურთიერთმტრობასა და შუღლს გადაჰყვნენ, შემდეგ კი ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, იტალიის, პორტუგალიის, ესპანეთის ალმების ქვეშ დიდხანს იყვნენ ერთმანეთისაგან იზოლირებულნი. მხოლოდ კოლონიური სისტემის დამსხვრევის შემდეგ მიეცათ მათ ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის საშუალება.

ნიგერიის დამოუკიდებელი განვითარების პირველივე წლები აღინიშნა ისეთი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური აქტით, როგორიც იყო ინგლისთან ხამხედრო შეთანხმების დადება და შემდეგ მისი გაუქმება; როდესაც ლონდონში ცხადი შეიქნა, რომ ნიგერიაში ინგლისის ბატონობის დღეები დათვლილი იყო, კოლონიურმა ადმინისტრაციამ მთელი რიგი ღონისძიებები დასახა ინგლისის გავლენის შესანარჩუნებლად. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა ორმხრივი თავდაცვითი ხელშეკრულების გაფორმება, რაც ფაქტიურად ინგლისის გავლენას დაუმორჩილებდა თავისუფალი ნიგერიის თავდაცვის სისტემას. 1960 წლის ნოემბერში ნიგერიის ფედერალურმა პალატამ განიხილა ხელშეკრულება და ხმათა დიდი უმრავლესობით დაამტკიცა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნიგერიის პარლამენტის აზრი აბსოლუტურად არ ასახავდა ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულებას ხელშეკრულებისადმი; როგორც კი ლაგოსში ცნობილი შეიქნა, რომ პარლამენტმა მოიწონა ხელშეკრულება, იფეთქა სერიოზულმა მღელვარებამ. ხელშეკრულების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეწყვეტილა არც 1961 წლის იანვრის შემდეგ, როდესაც იგი ოფიციალურად შევიდა ძალაში. ქვეყნის პროგრესული ძალების ბრძოლის შედეგად 1961 წლის ზაფხულში ლაგოსში შეკრებილმა პირველმა სრულიად ნიგერიის კონფერენციამ, რომელიც შეიკრიბა, რათა განესაზღვრა ძირითად პოლიტიკურ პარტიათა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პოზიციები აქტუალურ საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში, ერთხმად მიიღო დეკლა-

რაცია სამხედრო შეთანხმების გაუქმების შესახებ. 1962 წლის 22 იანვარს ნიგერიის მთავრობა იძულებული შეიქნა ოფიციალურად გამოეცხადებინა ხელშეკრულების ანულირება. 1963 წლის პირველ ოქტომბერს კი ნიგერია გამოცხადდა რესპუბლიკად. მოკლე ხანში ნიგერიამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან. ნიგერიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აფრიკის ერთობის ორგანიზაციის შექმნაში და ყოველმხრივ ხელს უწყობს მის კონსტრუქციულ მუშაობას.

ისევე როგორც სხვა ყოფილ კოლონიებს, ნიგერიასაც მძიმე ეკონომიური მდგომარეობა დაუტოვეს იმპერიალისტებმა; 1960 წელს ნიგერიაში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 15-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ინგლისში, ნიგერიაში 33000 მოსახლეზე მოდიოდა ერთი ექიმი, ინგლისში კი — 43-ზე. საკალალო მდგომარეობაში იყო დამმუშავებელი მრეწველობა, ფინანსები.

1962 წლის აპრილში ნიგერიის პარლამენტმა დაამტკიცა ეროვნული განვითარების პირველი ექვსწლიანი გეგმა (1962—1968 წწ.). გეგმა ითვალისწინებდა 1183 ათას გირვანქა სტერლინგის კაპიტალდაბანდებას. აქედან სახელმწიფო ასიგნება შეადგენდა 676,8 ათას გირვანქა სტერლინგს. კაპიტალდაბანდების უდიდესი ნაწილი, 42 პროცენტი, გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის საჭიროებისათვის. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე კავშირგაბმულობის, სახალხო განათლებისა და სხვა დარგების განვითარებას. როგორც ვხედავთ, ექვსწლიანი გეგმის დაფინანსების სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო უცხოურ წყაროებზე. უკანასკნელი გარემოება საფუძვლიან შეშფოთებას იწვევდა ნიგერიის ფართო საზოგადოებრიობაში; უცხოურ კაპიტალს ადვილად შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ქვეყნის პოლიტიკაზე. ზემოხსნებულ პირველ სრულიად ნიგერიის კონფერენციაზე დელეგატებმა მთელი რიგი უცხოური კომპანიების ნაციონალიზაცია მოითხოვეს, მაგრამ მთავრობას ნაციონალიზაციის გაგონებაც კი არ სურდა. მთავრობის ამგვარ ეკონომიურ პოლიტიკას სულ მოკლე ხანში მოჰყვა თავისი უარყოფითი შედეგები: დღითი დღე იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი, სახეზე იყო ფასების მატება პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე. მსოფლიო ბაზარზე კაკაოს ფასების მკვეთრად დაცემას ნიგერიელი გლეხობის — კაკაოს ძირითად მწარმოებელთა, მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. ამავე დროს ნიგერიაში სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, გაჩნდნენ პირ-

ველი ადგილობრივი მილიონერები. საყოველთაო ხასიათი მიიღო კორუფციამ—აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა უმრავლესობის საერთო სენმა. ყოველივე ამას, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა სოციალისტური ბრძოლის გამწვავება; ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის პირველ სამ წელს 105 გაფიცვას ჰქონდა ადგილი, ხშირი იყო სისხლისმღვრელი შეტაკებებიც, 1964 წელს დანიშნული იყო ფედერალური არჩევნები. წინა საარჩევნო პერიოდში ფაქტიურად მთელი ქვეყანა გაიყო ორ მტრულ ბანაკად — ე. წ. დიდ გაერთიანებულ პროგრესულ კავშირში შეერიდნენ ნიგერიის მოქალაქეთა ეროვნული კავშირი, მოქმედების ჯგუფი და ჩრდილოეთ ნიგერიის მოქმედების ფრონტი. მეორე დაჯგუფებას ეწოდებოდა ნიგერიის ეროვნული კავშირი, რომელსაც სათავეში ედგა ჩრდილოეთის ხალხთა კავშირი.

დაძაბული შიდაპარტიული ვითარება არჩევნების შემდეგაც არ განმუხტულა, რომელმაც გამარჯვება ნიგერიის ეროვნულ კავშირს მოუტანა. 1965 წელს შედგა დასავლეთის ოლქის პარლამენტის არჩევნები, რომლის დროსაც მაქინაციებითა და სიყალბით გაიმარჯვა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. მთელმა რიგმა პარტიებმა არ ცნეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავრობა დასავლეთის ოლქში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამუელ აკინტოლა და ბოიკოტი გამოუცხადეს მას. შექმნილ დაძაბულ ვითარებაში 1966 წლის 15 იანვარს, ჩრდილოეთ ნიგერიის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქ. კადუნაში 27 წლის მაიორმა ნზეგვუმ მოაწყო სამხედრო გადატრიალება. რაიონის პრემიერი და სარდაუნი ახმედუ ბელო დახვრიტეს. 16 იანვარს ხელისუფლება მთელს ნიგერიაში არმიის ხელში გადავიდა. პირველ სამხედრო მთავრობას სათავეში ჩაუდგა ნიგერიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი აგიი ჯონსონ ირონსი.

ირონსიმ ქვეყნის გარდაქმნის ფართო პროექტი დასახა, მაგრამ როგორც გაირკვა, ნიგერია ჯერ მზად არ იყო კარდინალური ხასიათის გარდაქმნებისათვის. განსაკუთრებული დავის საგნად იქცა მმართველობის უნიტარულ სისტემაზე გადასვლა. ინგლისელთა მიერ წლების განმავლობაში განმტკიცებული ტრადიციული ეთნიკური შუღლის პირობებში, რეგიონალიზმის პრინციპის გაუქმებას სერიოზული და ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა სჭირდებოდა. მთავრობის ღონისძიებით გახსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ჩრდილოეთ ნიგერია, რომლის ფეოდალური არისტოკრატია საკუთარი პოლიტიკური გავლენის დაკარგვის შაფრთხეს ხედავდა უნიტარულ სისტემაში. 1966 წლის ივლისის ბო-



აფრიკული სავანა

რიტუალური ცეკვები

ლოს ნიგერიაში მოხდა მეორე სამხედრო გადატრიალება. გენერალი ირონსი მოკლეს, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა გენერალური შტაბის უფროსი, ახალგაზრდა პოდპოლკოვნიკი იაკუბუ გოვონი.

ორმა სამხედრო გადატრიალებამ საბოლოოდ გააქარწყლა მითი ახალგაზრდა სახელმწიფოებში განვითარების კაპიტალისტური გზის სტაბილურობის შესახებ.

ინგლისელები ფაქტიურად მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდიდან ამზადებდნენ ნიგერიაში კაპიტალისტური პარლამენტარიზმის ბაზას. ნიგერია უნდა ქცეულიყო კაპიტალისტური გზით წარმატებით განვითარების ტიპიურ მოდელად. ამავე დროს სწორედ ინგლისის ხანგრძლივი კოლონიური პოლიტიკის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ნიგერიის შიდაპოლიტიკური გართულებანი თავისუფლების პირველ წლებში...

1961 წლის მაისში, ლონდონში, ხელოვნების სამეფო საზოგადოება თავის მორიგ სხდომას ატარებდა. დღის წესრიგის მთავარ საკითხს წარმოადგენდა ჯონ მაკფერსონის მოხსენება ნიგერიის პოლიტიკურ პერსპექტივათა შესახებ. მოხსენებისადმი დიდი ინტერესი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მაკფერსონს 50-იან წლებში ნიგერიის გენერალ-გუბერნატორის პოსტი ეკავა და ამ ქვეყნის კარგ მცოდნედ ითვლებოდა.

მომხსენებელმა ნიგერიაში ინგლისის 60-წლიანი ბატონობის პერიოდი დაახასიათა როგორც მშვიდობიანი და გეგმაზომიერი სვლა თავისუფლებისა და ცივილიზაციისაკენ. მან ბრიტანეთის განსაკუთრებულ დამსახურებად აღნიშნა ქვეყნის კონსტიტუციური წყობა: „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენ გამოვიჩინეთ კონსტიტუციური პროგრესის დაჩქარების ინიციატივა“. რიჩარდსის კონსტიტუცია მაკფერსონის აზრით იყო ნიგერიის ხალხთა კონსოლიდაციის პირველი ნაბიჯი. ასევე დაახასიათა ორატორმა 1952 წლის კონსტიტუციაც (იმ დროს ნიგერიის გენერალ-გუბერნატორი თვით მაკფერსონი იყო). სინამდვილეში კი ყველა კოლონიურ კონსტიტუციას ნიგერიაში ერთი მიზანი ჰქონდა: ქვეყნის თვითმმართველობაში რეგიონალურ ორგანოთა უფლებების სისტემატური ზრდით ქვეყნის ძირითადი რაიონების სეპარატისტულ ტენდენციათა განმტკიცება. ყოველი კონსტიტუცია ობიექტურად ხელს უწყობდა მოსახლეობის გათიშვას ეთნიკურ საფუძველზე.

თავის აპოლოგეტურ გამოსვლაში მაკფერსონი მაინც იძულებული შეიქნა აღენიშნა, რომ არსებობს ნიგერიაში ინგლისის მოღვაწეობის სხვა შეფასებაც: „ხშირად, როდესაც მე ნიგერიის პოლიტიკურ პრობლემებზე ვსაუბრობ ახალგაზრდა ნიგერიელებთან, ისინი ჩვენ ბრალს

ვედებენ იმაში, რომ ინგლისელებმა გამოვიგონეთ რეგიონალიზმი და ამით გავამწვავეთ ნაციონალიზმი ნიგერიის სხვადასხვა რაიონსა და ხალხებს შორის". მაკფერსონი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ნიგერიაში სწორედ ინგლისელების ბატონობის პერიოდში გაძლიერდა რეგიონალიზმი და ტრაიბოლიზმი, მაგრამ იგი მათ ახასიათებს როგორც „გარდუვალ ბოროტებას". თავისი მოხსენების დასასრულს მაკფერსონი დასძენს, რომ „მხოლოდ ინგლისის გააზრებულმა პოლიტიკამ განაპირობა ნიგერიაში ერის გრძნობა, სოლიდარობის გრძნობა. ურომლისოდაც ტომობრივი შუღლის უძველესი დროიდან არსებული საფრთხე წელში გასტეხდა ქვეყანას".

ასეთი შეფასება მისცა 1961 წ. ბრიტანეთის კოლონიალიზმის ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა კოლონიური ადმინისტრაციის საქმიანობას ტროპიკული აფრიკის უდიდეს ქვეყანაში.

როგორია სინამდვილეში ინგლისის კოლონიური მმართველობის სისტემის, ე. წ. ირიბი მმართველობის სისტემის, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, როლი 60-იანი წლების ნიგერიის ტრაგიკულ ამბებში?

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ირიბი მმართველობის სისტემა შეფასებულია როგორც ტომობრივი დაყოფისა და ცხოვრების ტრადიციულ ადათ-ჩვევათა ხელოვნურად გამახანგრძლივებელი საშუალება. ამავე დროს ჩვენს ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებში პოლიტიკურ და სოციალურ გადმონაშთთა დაძლევის არარეალურ ტემპებს. მაგალითად, 1954 წელს გამოცემულ ისეთ ავტორიტეტულ გამოკვლევაში როგორიცაა „აფრიკის ხალხები", ვკითხულობთ: „იმსხვრევა ტომობრივი კარჩაკეტილობა და შეზღუდულობა, იშლება განსხვავება და განკერძოება. იქმნებიან კლასობრივი და ნაციონალური ორგანიზაციები, რომელთათვის უცხოა ტომობრივი დაყოფა. ტომობრივი ერთობის ადგილს იკავებს ეროვნული ერთობა და კლასობრივი სოლიდარობა". საბოლოო ჯამში, ალბათ, ეს ყველაფერი ასეც იქნება, მაგრამ რეალური სინამდვილე არა თუ 20 წლის წინ, არამედ დღესაც განსხვავდება ავტორთა მიერ დახატული სურათიდან.

ამერიკელი ისტორიკოსი შეპარდი წიგნში — „აფრიკული ნაციონალიზმის პოლიტიკა, ამერიკის პოლიტიკის წინააღმდეგ", სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ყოველი ახალი აფრიკული სახელმწიფო აწყდება წინააღმდეგობას, რომლითაც ტრაიბოლიზმი პასუხობს მოსახლეობის ერთ ეროვნულ ფრონტად გაერთიანების ყოველ ცდას". ჩვენ მხოლოდ იმას

ღავუმატებთ, რომ ნიგერიაში მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ირიბი მმართველობის სისტემის მემკვიდრეობა, რომელიც ფაქტიურად იმდენად იყო ირიბი, რამდენადაც მას ლოიალობას უწევდნენ ტრადიციული ბალადები.

ჯერ კიდევ 1926 წ. ირიბი მმართველობის სისტემის იდეოლოგმა და დამაარსებელმა, ნიგერიის პირველმა გენერალ-გუბერნატორმა, ლორდმა ლუგარდმა, სტატიაში „თეთრი ადამიანის მოვალეობა ტროპიკულ აფრიკაში", ინგლისელ კოლონიზატორებს „ცივილიზაციის რწმუნებულები" უწოდა, რომელთა მთავარი ამოცანა მოსახლეობის თვითმმართველობისათვის მომზადებაა. სინამდვილეში კი იმავე ნიგერიაში, ინგლისის კოლონიური ადმინისტრაციის არქივში ერთი ღონისძიებაც კი არ მოინახება, რომლის დანიშნულებაც ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ერთობის განმტკიცება ყოფილიყოს. კოლონიური ადმინისტრაცია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომლობდა ტრადიციულ მმართველებთან. ნიგერიის განთავისუფლების წინადღით ინგლისელი ისტორიკოსი—აფრიკანისტი კროუდერი ამტკიცებდა, რომ „ინგლისელ კოლონიურ მოხელეთა დამოკიდებულება ტრადიციულ ბელადებთან იყო მრჩეველთა დამოკიდებულება, რომლებიც მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში ერეოდნენ ადგილობრივ ბელადთა და ხელისუფალთა საქმეებშიო". კროუდერს ალბათ „არ ახსოვს", რომ ლუგარდმა ჯერ კიდევ 1903 წელს მოუსპო ყოველგვარი ილუზიები ადგილობრივ მმართველებს, როდესაც ქ. სოკოტოს აღების შემდეგ ნათლად განუმარტა ფულანიელთა ბელადებს, რომ ამიერიდან უკანასკნელნი აღარ წარმოადგენდნენ თავიანთ ქვეშევრდომთა ერთპიროვნულ განმგებლებს და ყველანი უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ ინგლისელი გუბერნატორის კანონებს. მართალია, ირიბი მმართველობის სისტემამ ხელუხლებელი დატოვა ფულანიელ მმართველთა დესპოტიზმი ჩრდილოეთ ნიგერიაში და ტრადიციულ ბელადთა უფლებები სამხრეთში, მაგრამ ისინი უნდა ქცეულიყვნენ, და ძირითადად იქცნენ კიდეც, კოლონიური რეჟიმის მთავარ დასაყრდენ ძალად.

ფართო ანტიკოლონიური მოძრაობის პერიოდში ირიბი მმართველობის სისტემა ბრიტანეთის რეჟიმის ერთგულ მოკავშირედ გამოდიოდა მმართველობის არქაული ორგანოების და ტომობრივი განკერძოების განმტკიცების საშუალებით. ბუნებრივია, რომ ირიბი მმართველობის სისტემა მალე იქცა ანტიკოლონიურ ძალთა კრიტიკის ობიექტად. ამ მხრივ აღსანიშნავია ახალგაზრდა ნიგერიელთა მოძრაობის 1938 წლის

„ახალგაზრდობის ქარტია“, სადაც ეკითხულობთ: „ჩვენ წინაალმდეგნი ვართ ტერმინისა „ირიბი მმართველობა“. კეთილსინდისიერი ურთიერთობა გულისხმობს ბრიტანეთის პირდაპირ მმართველობას საბოლოო მიზნად თვითმმართველობის გათვალისწინებით. ამიტომ ვიბრძვით ჩვენ ირიბი მმართველობის სრული ლიკვიდაციისათვის“.

მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდისათვის ირიბი მმართველობის სისტემის უარყოფითმა მხარეებმა ნათლად იჩინეს თავი ჩრდილოეთ ნიგერიაში. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლონიური ადმინისტრაცია იძულებულია მოსახლეობის სხვა ფენებშიც ეძებოს თავისი სოციალური დასაყრდენი და ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში დაუშვას უკანასკნელნი. კოლონიური ადმინისტრაციის ღონისძიებას საყოველთაო საბოტაჟით შეხვდნენ ტრადიციული მმართველი წრეები. გარდა ამისა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა რეგიონალური და სეპარატიული სენით დაუავადებელი ნიგერიელი მოხელის მოძებნა. ინგლისის მიერ წლობით დანერგილი რეგიონალიზმის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობისათვის უკვე უცხო იყო საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ნიგერიის განთავისუფლების უკანასკნელ დღემდე ინგლისის კოლონიური ადმინისტრაცია ჯიუტად იცავდა ირიბი მმართველობის სისტემას. ზემოხსენებულ კოლონიურ კონსტიტუციათა ერთ-ერთ დანიშნულებასაც სწორედ ირიბი მმართველობის სისტემის მოდერნიზაცია და გაუმჯობესება წარმოადგენდა. კოლონიურ კონსტიტუციათა პერიოდი ნიგერიაში, ეს არის ქვეყნის დეცენტრალიზაციის ერთი მთლიანი პროცესი. კოლონიური ხელისუფლება არც კი ცდილობდა ამ პროცესის დამალვას ან შენიღბვას. ნიგერიის კოლონიური ადმინისტრაციის 1954 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნიგერიის „ორი რეგიონალური მთავრობის ჩამოყალიბება წარმოადგენს 1947 წ. დაწყებული დეცენტრალიზაციის გაგრძელებას“.

უფრო ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა ქვეყნის დეცენტრალიზაცია შემდგომ წლებში. დეცენტრალიზაცია შეეხო ყველა ძირითად სახელმწიფო ორგანოს — „ამ წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება სასამართლოს რეგიონალიზაციაა,“ — ვკითხულობთ 1955 წლის ანგარიშში.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ინგლისის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ 1950-იან წლებში დაწყებული მმართველობის აპარატის რეგიონალიზაცია ერთ-ერთი მთავარი მიზეზია 60-იანი წლების ნიგერიის ფედერალურ საფუძველთა არასტაბილურობისა. ინგ-

ლისელთა მიერ გატარებულმა ქვეყნის დაქუცმაცების პოლიტიკამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ეთნიკური განკერძოების სიმყარესა და ვიწროადგილობრივ ინტერესთა სიძლიერეს. ყოველივე ამის შედეგად ნიგერიაში ფაქტიურად არ წარმოქმნილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი ფრონტი. სოციალური ხასიათის წინააღმდეგობებს ზედ ერთოდა ეროვნული და რაიონული ხასიათის წინააღმდეგობებიც. ცალკეულ რაიონთა პოლიტიკურმა ლიდერებმა ვერ შეძლეს საერთო ენის გამონახვა და ერთი პოლიტიკური პლატფორმის შექმნა განთავისუფლების შესახებ ინგლისელებთან მოლაპარაკების დროს. ნიგერიის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ შეუქმნია ეფექტური მექანიზმი ქვეყნის მთელი მოსახლეობის წარმომადგენლობითი ინტერესების დასაცავად. ის ფაქტი, რომ ყველა პოლიტიკური პარტია წარმოიქმნა ვიწრო ეთნიკურ ბაზაზე და ვერ გასცდა მის საზღვრებს, უნდა გაანალიზილოთ როგორც ირიბი მმართველობის ფარგლებში ტრადიციული სეპარატიზმის დაცვის ინგლისური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი.

კოლონიური მმართველობის უკანასკნელ და განსაკუთრებით კი თავისუფალი არსებობის პირველ წლებში, ნიგერიაში უკიდურესი სიმძაფრით იგრძნობოდა მთელი ქვეყნისათვის ერთიანი კონსტრუქციული პროგრამის საჭიროება. საბედისწერო აღმოჩნდა ის ვითარება, რომ არ მოიძებნებოდა პოლიტიკური ძალა, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე შეძლებდა ამგვარი პროგრამის გამომუშავებას. მრავალპარტიული სისტემისათვის დამახასიათებელ ბრძოლას ხელისუფლებისათვის, ლოკალური ნაციონალიზმის სპეციფიკური იერი მისცა პარტიათა რეგიონალურმა არსმა.

ბრიტანეთის კოლონიური ადმინისტრაციის ერთ-ერთმა მაღალმა მოხელემ და შემდგომში ცნობილმა მეცნიერმა, ლორდმა ჰეილიმ ნიგერიას უწოდა „ევროპელთა მიერ აფრიკის დაპყრობის პროცესში შექმნილი ყველაზე ხელოვნური ადმინისტრაციული ერთეული.“ ეჰვგარეშეა ნიგერიის ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ხალხთა კულტურული და ეთნიკური სხვაობა, მაგრამ არა ამ სხვაობამ, არამედ ქვეყნის დეზინტეგრაციისაკენ წარმართულმა მრავალწლიანმა კოლონიურმა მმართველობამ განაპირობა თვითმმართველ რეგიონალურ ერთეულთა შექმნა ქვეყნის შიგნით. ტროპიკულ აფრიკაში არ არსებობს ერთერიანი სახელმწიფო. რეგიონალური სტრუქტურის შემოღებას არ შეიძლება არ გამოეწვია ცენტრიდანულ ძალთა გააქტიურება. რთული ეთნიკური მოზაიკის პირობებში ცენტრიდანულ პროცესებს უმნიშვნელო ბიძგი

სჭირდებოდათ. ინგლისელებმა ეს იცოდნენ და შეგნებულად დააგორეს მთის წვეროდან კენჭი. ხელოვნურად დანერგილ რეგიონალიზმზე გადამრავლებული ეთნიკური სხვაობა შენელებული მოქმედების ნაღმად იქცა ნიგერიის ფედერაციისათვის.

ქვეყნის საშინაო პრობლემებს ართულებს ის ვითარებაც, რომ მიუხედავად წიაღისეული სიმდიდრის დიდი მარაგისა და პოტენციური შესაძლებლობისა, ნიგერიის ეკონომიკა ჯერ კიდევ დასავლეთის სახელმწიფოებისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფება. 300 მლნ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა კერძო უცხოურმა კაპიტალდაბანდებამ, 80 მლნ გირვანქა სტერლინგს — ინგლისის ეკონომიურმა „დახმარებამ". განთავისუფლების შემდეგ იზრდება აშშ-ის ეკონომიური „დახმარებაც". თუ 1961—1965 წწ. ინგლისის ეკონომიური „დახმარება" 20 მლნ გირვანქა სტერლინგს უდრიდა, ამავე პერიოდში აშშ-ის „დახმარება" 60 მლნ გირვანქა სტერლინგით გამოიხატა. ნიგერიის ნავთობით დაინტერესებული ამერიკის მონოპოლიები სულ უფრო და უფრო ავიწროებენ ინგლისელ „კოლეგათა" პოზიციებს.

სამოქალაქო ომის წინა პერიოდი ნიგერიაში აღინიშნა კერძო კაპიტალის სწრაფი ზრდით. თუ კოლონიალიზმის პერიოდში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდა სახელმწიფო სექტორს, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ისეთ სფეროებს როგორიცაა სარკინიგზო ტრანსპორტი, საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტი, ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის წარმოება, კავშირგაბმულობა და სხვ. ეკონომიური განვითარების გეგმის პირველი ორი წლის მონაცემებით კერძო კაპიტალდაბანდებამ 25 პროცენტით გადააჭარბა სახელმწიფო დაბანდების მოსალოდნელ ციფრს. ამავე დროს სწრაფი ტემპებით მდიდრდებოდა ელიტა (ძირითადად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლები). პარლამენტის წევრები 10 პროცენტიან საკომისიოს ღებულობდნენ უცხოურ ფირმებსა და ნიგერიის მთავრობას შორის რაიმე ხელშეკრულების გაფორმების დროს.

ბუნებრივია ის ვითარება, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჭეშკიცე პოზიციამ ნიგერიის ეკონომიკაში, განაპირობა მათი აქტიური როლი სამოქალაქო ომში. „ბიაფრის" მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის მსოფლიოს პრესაში წარმოებული დისკუსია სრულებით არ ასახავდა საკითხის პრინციპულ მხარეს. დისკუსიის მიზანი იყო ნიგერიის კონფლიქტში ამა თუ იმ დიდი სახელმწიფოს ჩარევის გამართლება ან დაგმობა.

1966 წ. სამხედრო გადატრიალებები და სამოქალაქო ომი შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენდნენ. ფაქტიურად ნიგერია 1962 წლიდან მწვავე შიდაპოლიტიკური კრიზისის მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომლის ევოლუციის ცალკეულ ეტაპებს წარმოადგენდნენ ბალეევასა და ირონსის მთავრობების დაცემა, აღმოსავლეთ ნიგერიის თვითგამოყოფა და სამოქალაქო ომი. კრიზისის შინაარსი ძირითადად განისაზღვრება ეროვნული საკითხის უკიდურესი გამწვავებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული საკითხი ნიგერიაში გაცილებით მწვავე და რთულია, ვიდრე აფრიკის სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ისტორიულად ნიგერია შეიქმნა როგორც ერთმანეთისათვის უცხო ხალხთაგან შემდგარი ტიპიური კოლონიური ფედერაცია. ეთნიკური საკითხის გადამწყვეტი მნიშვნელობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, იმით, რომ აქ ცხოვრობს რამოდენიმე მრავალრიცხოვანი და არამონათესავე ხალხი: ჰაუსა, იორუბა, იბო, კანური, ფულბე და სხვ., რომელთა შორისაც ეთნიკური სხვაობა მყარი და მრავალფეროვანია (ენა, კულტურა, ისტორიული ტრადიციები, ტერიტორიული ერთობა, სოციალური სტრუქტურა, ეკონომიკის თავისებურებანი და ა. შ.). მეორე მხრივ, ეს ხალხები ერთად აღებულნი არ წარმოადგენენ ნიგერიის მოსახლეობის გადამწყვეტ უმრავლესობას. 40-45 პროცენტს მოსახლეობისას შეადგენენ ეთნიკურად უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფები. ამიტომ მცდარია თანამედროვე ნიგერიის ეთნიკური სპეციფიკის ტომობრივ-რელიგიურ გადმონაშთად ახსნა. ეთნიკური თავისებურებანი აქ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას.

ეროვნულ საკითხში ინგლისელთა მიერ თავსმოხვეული ფედერაციის დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა ყოველ რაიონში დიდი ხალხების ბატონობა პატარა ხალხებზე, ხოლო ფედერაციის შიგნით — ჩრდილოეთის ბატონობა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე.

ეთნიკური შუღლის მთავარ კერას წარმოადგენდა ჩრდილოეთი, სადაც ღვივდებოდა კონფლიქტი ჰაუსას და იბოს შორის. 40-იან და 50-იან წლებში იბოს ხალხი მასობრივად მოაწყდა ჩრდილოეთს, სადაც მალე ისინი ეროვნულ უმცირესობად იქცნენ. ამავე დროს მათ შეძლეს მტკიცე პოზიცია დაეკავებინათ მხარის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. 50-იან წლებში და 1960-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოეთს ეკავა უკიდურესად სეპარატისტული პოზიცია. ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის ტენდენცია სხვადასხვა დროს თავს იჩენდა დასავ-

ლეთ ნიგერიაშიც, ხოლო 1964 წლიდან სეპარატისტული მოძრაობის ცენტრმა აღმოსავლეთ ნიგერიაში გადაინაცვლა.

ეთნიკური კრიზისის პარალელურად მწიფდებოდა სოციალური კრიზისიც. სოციალური დაძაბულობა გამოწვეული იყო ნიგერიის საზოგადოების სოციალური კრიზისით. უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის ცხოვრებაში წარმოებული დიდი ძვრები (სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდა, უცხოური კაპიტალდაბანდების ზრდა, გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია, ურბანიზაცია და სხვ.) გამოწვეული იყო უპირველეს ყოვლისა მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის კანონზომიერებითა და მოთხოვნილებებით და არა ნიგერიის სახელმწიფოებრივი ინტერესებით. მწვავე ეროვნული კრიზისის პირობებში, ფედერაციაში ეთნიკურ საფუძველზე არსებულ მასობრივ პოლიტიკურ პარტიათა ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლის პირობებში, სოციალურმა კრიზისმა თანდათან ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტის ფორმა მიიღო მთელი ქვეყნის მასშტაბით.

როდესაც 1964-65 წლების შემდეგ საშინაო ცხოვრების ზედაპირზე ეთნიკური კონფლიქტი ამოტივტივდა, სოციალური დაძაბულობა უკვე ეთნიკური შუღლის სახით გამოვლინდა. ამ პერიოდში იწყება ნიგერიის კრიზისის ახალი ფაზა. ჩვენ ამ შემთხვევაში ადგილი გვაქვს სოციალურ კონფლიქტთა განსაკუთრებულ ტიპთან — პოლიტიკურ, ეკონომიურ და ისტორიულ მიზეზთა რთული კომპლექსით განპიროვნებულ რეგიონალურ წინააღმდეგობასთან. აღნიშნულ მიზეზთაგან რამოდენიმე ძირითადს გამოვყოფთ: ცალკეულ რაიონთა არათანაბარი ეკონომიური განვითარება მათი ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პირობებში: მაგალითად, რიგი ისტორიული და ბუნებრივი მიზეზების გამო აღმოსავლეთ ნიგერია წარმოადგენდა ყველაზე ღარიბ რაიონს (ნავთობის აღმოჩენამდე). სოფლის მეურნეობის საერთო დეგრადაცია განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა სწორედ აღმოსავლეთ ნიგერიაში, რასაც სოფლის მოსახლეობის მიგრაცია მოჰყვა. ამიტომ აღმოსავლეთ ნიგერიის საზოგადოების მოდერნიზაცია, სხვა რაიონებთან შედარებით, სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. აღმოსავლეთი ნიგერია აწვდიდა ფაქტიურად ქვეყანას კვალიფიციურ მუშახელს და კადრებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იბო შეადგენდა მოსული მოსახლეობის უმრავლესობას ნიგერიის ყველა დიდ ქალაქში.

1921 წელს ჩრდილოეთის ქალაქებში ცხოვრობდა 3 000 იბო, 1931 წ. — 12 000, 1952 წ. — 130 000, 1966 წ. კი — 2 მილიონი.

რეგიონალური წინააღმდეგობის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ეროვნულ უმცირესობათა ორმაგი მდგომარეობა. მათ ტერიტორიაზეა ქვეყნის ძირითადი ბუნებრივი სიმდიდრე, ამავე დროს ისინი პოლიტიკურად და ეკონომიურად დამორჩილებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

რაიონთა არათანაბარი ეკონომიური და მეურნეობრივი მდგომარეობა — ნავთობმა აღმოსავლეთ ნიგერია აქცია პოტენციურად ყველაზე მდიდარ რაიონად, რამაც გაამწვავა ურთიერთობა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთს შორის.

ნიგერიაში ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იმყოფებიან ეროვნული ერთობის გამომხატველი კლასები — პროლეტარიატი და ბურჟუაზია. ძირითადი სოციალური ჯგუფი, რომელმაც შეძლო ერთ პერიოდში მიეღწია საერთო ნიგერიის ინტერესების შეგრძნებამდე, იყო ელიტა. მეორე მხრივ, ელიტის სოციალურმა მრავალფეროვნებამ და იმ გარემოებამ, რომ მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო მის ერთ ნაწილში— სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ჯგუფში, რომელიც ეროვნულ ლოზუნგებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა, განაპირობეს მისი ეროვნული პოლიტიკის არათანმიმდევრობა. ელიტის ძალა და გავლენა გამომდინარეობდა ფედერაციით განსაზღვრული რეგიონალური სტრუქტურიდან, ამიტომ იგი ობიექტურად არასოდეს ყოფილა დაინტერესებული სტრუქტურის რეორგანიზაციითა და ეთნიკურ-რეგიონალური წინააღმდეგობების განელებით.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემათა კონგლომერატმა ორი სამხედრო გადატრიალების შემდეგ დღის წესრიგში სამოქალაქო ომი დააყენა.

როდესაც მეორე სამხედრო გადატრიალების შემდეგ, 1966 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლაგოსში მუშაობას შეუდგა საკონსტიტუციო კონფერენცია, ნიგერიის შიდაპოლიტიკურ ჰორიზონტზე ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივა გამოჩნდა. სამ ოქტომბერს კონფერენციამ სამი კვირით შეწყვიტა თავისი მუშაობა, რომელიც ფაქტიურად აღარ განახლებულა. ჯერ კიდევ კონფერენციის მუშაობის შეწყვეტამდე, ჩრდილოეთ ნიგერიაში დაიწყო აღმოსავლეთ ნიგერიელთა ჟლეტა. მარტო ქ. კანოში ერთ დღეს დახოცეს 5 ათასამდე იბო. იბოს რბევასა და ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჯარისკაცები, სამოქალაქო მოსახლეობა, ქალები და ბავშვებიც კი. იმ პერიოდის მსოფლიო პრესა სავსეა ფანატიკური სიასტიკისა და ველური სიძულვილის შემაძრწუნებელი სცენების აღწერით. როგორც საბჭოთა, ასევე

უცხოელი მიმომხილველები მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ იბოს რბევა ერთდროულად დაიწყო ჩრდილოეთ ნიგერიის სხვადასხვა ქალაქში. ცხადია, რომ სტიქიურ ფანატიზმს თავისი ორგანიზებული ცენტრი გაჩნდა ჩრდილოეთ ნიგერიის ფეოდალურ-არისტოკრატიული წრეების სახით. სწორედ უკანასკნელთ არ აწყობდათ საკონსტიტუციო კონფერენციის წარმატებით დამთავრება. ჩრდილოეთ ნიგერიის ხელისუფლების ოფიციალური ცნობით სექტემბერ-ოქტომბერში დახოცეს 15 ათასამდე იბო. სხვა წყაროები 30 000 მსხვერპლს ასახელებენ. ფედერალური მთავრობის მეთაური გოვონი იძულებული შეიქნა სპეციალური სიტყვით მიემართა ჩრდილოეთ ნიგერიის მოქალაქეთადმი, რომელშიც იგი მშვიდობისმოყვარეობისაკენ მოუწოდებდა: „მე ყოველდღე ვღებულობ საჩივრებს იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ ნიგერიელებს უწყალოდ ჩოცავენ და ძარცვავენ ჩრდილოეთში, — განაცხადა გოვონმა, — ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ ამგვარ მოქმედებას... ირგვლივ კვდება საქმიანი ცხოვრება; გამყიდველი მყიდველს ვერ პოულობს, მყიდველი მისთვის საჭირო საქონელს ვერ შოულობს. ეს შეეხება არა მარტო ჩრდილოეთს, არამედ მთელ ქვეყანას“.

მალე აღმოსავლეთ ნიგერიის ხელისუფალთა მთავარ პრობლემად იქცა დევნილთა მდგომარეობა. 1966 წლის დასასრულისათვის აღმოსავლეთში 1 200 000 ჩრდილოეთიდან გამოქცეული იბო ითვლებოდა.

1966 წლის ოქტომბრისათვის აღმოსავლეთ ნიგერიაში უკვე საყოველთაო პოპულარობით სარგებლობდა გამოყოფის იდეა. შეიქმნა არმია და პოლიცია. საზოგადო ორგანიზაციები ყოველგვარ ურთიერთობას წყვეტენ ფედერაციასთან. შეიქმნა დამოუკიდებელი პროფკავშირული ორგანიზაცია — აღმოსავლეთ ნიგერიის პროფკავშირთა საბჭო. 24 ოქტომბერს თავისი მუშაობა უნდა განეახლებინა საკონსტიტუციო კონფერენციას, მაგრამ 19 ოქტომბერს აღმოსავლეთ ნიგერიის სამხედრო გუბერნატორმა ოჯუკვუმ პრესკონფერენციაზე ეჭვის ქვეშ დააყენა კონფერენციის მუშაობაში აღმოსავლეთ ნიგერიის დელეგაციის მონაწილეობის საკითხი. უფრო მოგვიანებით აღმოსავლეთ ნიგერიის წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე, მხოლოდ ერთ-ერთ პირობად მათ მოითხოვეს ლაგოსიდან და დასავლეთ ნიგერიიდან ჩრდილოეთელ ჯარისკაცთა გაყვანა. ანალოგიური მოთხოვნა წამოაყენა ნიგერიის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ „იორუბთა ლიდერმა“ ა. ავოლოვომ. შექმნილ ვითარებაში გოვონმა მიიღო გადაწყვეტილება საკონსტიტუციო კონფერენციის „გა-

ნუსაზღვრელი ვადით“ გადადების შესახებ. ფედერალური ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას „ასოშეიტედ პრესმა“ „ძალის პოზიციის კატეგორიული დემონსტრაცია“ უწოდა, ხოლო აღმოსავლეთ ნიგერიის სამხედრო ხელისუფლებამ მდგომარეობის გამწვავების საბაბად გამოიყენა. თავის საჯარო გამოსვლაში ოჯუკვუმ განაცხადა, რომ „როგორც ჩანს, მოლაპარაკების პერიოდი დამთავრდა. აღმოსავლეთ ნიგერიის მაცხოვრებლები მზად უნდა იყვნენ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის.“

კიდევ რამდენიმე თვეს გრძელდებოდა აზრთა გაცვლა ნიგერიის მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ფედერალური მთავრობა გოვონის მეთაურობით მთელ რიგ დათმობებზე წავიდა ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ ძირითად, პრინციპულ საკითხებში შეთანხმება შეუძლებელი შეიქნა. აღმოსავლეთ ნიგერიის ყოველ წინადადებას ხელისუფლების დეცენტრალიზაციის შესახებ, როგორც წესი, მხარს უჭერდა დასავლეთ ნიგერიის წარმომადგენლობა ავოლოვოს მეთაურობით.

ერთიანი ნიგერიის შენარჩუნების უკანასკნელი ცდა იყო ნიგერიის ყველა რაიონის სამხედრო ხელმძღვანელთა შეხვედრა განაში, მთავრობის ქალაქგარე რეზიდენციაში სოფელ აბურში 1967 წლის 2 იანვარს. 7 იანვარს ოჯუკვუ აბურის შეხვედრის შედეგების შესახებ გამოვიდა სპეციალური პრესკონფერენციით აღმოსავლეთ ნიგერიის დედაქალაქ ენუგუში. მან დადებითი შეფასება მისცა აბურში ჩატარებულ მუშაობას და იმედი გამოთქვა, რომ ახალი სახელმწიფო წყობილება გაითვალისწინებს ცალკეულ რაიონთა ფართო ავტონომიურ უფლებებსო. მალე გაირკვა, რომ ენუგუში და ლაგოსში სხვადასხვანაირად ესმოდათ აბურის შეთანხმების არსი. ფართო ავტონომიაში ოჯუკვუ ფაქტიურად ოლქის დამოუკიდებლობას გულისხმობდა, რაც მიუღებელი იყო ფედერალური მთავრობისათვის.

1967 წლის თებერვალში ოჯუკვუმ იმოგზაურა აღმოსავლეთ რაიონში. თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებში იგი მოსახლეობას აღუთქვამდა, რომ მისი მთავრობა არ დაუშვებდა აღმოსავლეთ ნიგერიის „დამონებას“. ქ. კალაბარში სტუდენტების წინაშე წარმოთქმულ თავის სიტყვაში ოჯუკვუმ განაცხადა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ქ. პორტ-ჰარკოტში ააშენოს საერთაშორისო აეროდრომი. ეს გადაწყვეტილება მთელს ნიგერიაში და მის გარეთაც სამართლიანად შეფასდა როგორც პრაქტიკული ნაბიჯი აღმოსავლეთ ნიგერიის დამოუკიდებელ

ტერიტორიად გამოყოფისაკენ. 25 თებერვალს ოჯუკვუ გამოვიდა ფართო განცხადებით, რომელსაც ჟურნალისტებმა „ოჯუკვუს ულტიმატუმი“ უწოდეს — აღმოსავლეთ ნიგერიის სამხედრო ხელმძღვანელი ოფიციალურად აცხადებდა, რომ თუ მიმდინარე წლის 31 მარტამდე გოვონის მთავრობა ცხოვრებაში არ გაატარებდა აბურის შეთანხმებას (ისე როგორც ეს ოჯუკვუს ესმოდა), აღმოსავლეთი ნიგერია ცალმხრივ გაატარებდა მას პრაქტიკაში. ეს უკვე ქვეყნის გათიშვის აშკარა მუქარა იყო. 1 მარტს გოვონმა თავისთან მიიწვია ლაგოსში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსთა წევრები და შემდეგი განცხადება გააკეთა: „აბურში ჩვენ ყველამ ხელი მოვაწერეთ ვალდებულებაზე, რათა არ გვეხმარა იარაღი კონფლიქტის გადასაჭრელად. მთელი სიცხადით უნდა განვაცხადო, რომ ამ ვალდებულებას ძალა აქვს მანამდე, სანამ არავინ ცდილობს ქვეყნის გათიშვას. ამასთან დაკავშირებით მე ახლა გავიმეორებ იმას, რაც ვთქვი 1966 წლის 30 ნოემბერს რადიოთი გამოსვლისას: ჩვენ ვალდებულები ვართ პირნათლად დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მთლიანობა, თუგინდ ამისათვის ხელში იარაღის აღებაც კი დაგვჭირდეს.“ გოვონის გაფრთხილებას ოჯუკვუმ აღმოსავლეთ ნიგერიაში საომარი ფსიქოზის განწყობილების შექმნით უპასუხა. მთელს რაიონში ეწყობოდა მიტინგები და დემონსტრაციები ნიგერიიდან გამოყოფის მოთხოვნით. შექმნილ სიტუაციაში ფედერალური მთავრობის უკანასკნელ ცდებს — მშვიდობიანი საშუალებებით გადაეწყვიტა კონფლიქტი, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უთანხმოების მშვიდობიანი გზით მორეგულირების წინააღმდეგი იყო ჩრდილოეთ ნიგერიის ხელისუფლებაც, რომლის სამხედრო გუბერნატორი კასტინა კატეგორიულად მოითხოვდა აღმოსავლეთ ნიგერიის იარაღით დათრგუნვას.

1 აპრილიდან აღმოსავლეთ ნიგერიის ხელისუფლებამ და ფედერალურმა მთავრობამ იწყეს ურთიერთსაწინააღმდეგო ეკონომიური აქციების გატარება. აპრილის ბოლოს ფედერალური მთავრობა ერთხელ კიდევ შეეცადა დათმობების გზით საერთო ენა გამოენახა ოჯუკვუსთან, მაგრამ ამ პერიოდისათვის მთელი აღმოსავლეთ ნიგერია ფსიქოლოგიურად და მორალურად ისე იყო მომზადებული გამოსაყოფად, რომ თანხმობა შეუძლებელი იყო. 30 მაისს ოჯუკვუმ ოფიციალურად გამოაცხადა აღმოსავლეთ ნიგერიის სრული გამოყოფა ფედერაციიდან და ბიაფრის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა. 1967 წლის 6 ივლისს ფედერალური მთავრობის შეიარაღებულმა ძალებმა გადალახეს აღმოსავლეთ ნიგერიის საზღვარი და დაიწყო სამოქალაქო ომი.

სამოქალაქო ომმა ნიგერიაში გარდა იმისა, რომ გააძწვავა ყველა ძველი კონფლიქტი, შექმნა კიდევ მრავალი ახალი. 1967—1968 წწ ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის დაიხარჯა გეგმით გათვალისწინებული თანხის მხოლოდ ნახევარი. ამავე დროს მკვეთრად გაიზარდა სამხედრო ხარჯები, რაც საგარეო ბაზარზე დამოკიდებულების გამო მძიმედ დააწვა სახელმწიფო ბიუჯეტს. ფინანსთა ფედერალური მინისტრის, ავოლოვოს განცხადებით 1967 წლის ოქტომბრისათვის სამხედრო ხარჯები უკვე კოლოსალური თანხით—50 მილიონი გირვანქა სტერლინგით გამოიხატებოდა. 35 მილიონი გირვანქა სტერლინგის მხოლოდ იარაღი შეისყიდეს უცხოეთში. ქვეყნის ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვა უცხოური ვალუტის გაზიდვა (1968 წ. 6 მლნ გირვანქა სტერლინგი), კერძო კაპიტალის ინვესტიციის შემცირება (35 მლნ გირვანქა სტერლინგი 1967 წ. ნაცვლად 64 მილიონისა 1965 წელს). უცხოური ვალუტის გაზიდვის კომპენსაციის მიზნით მთავრობა იძულებული შეიქნა შეემცირებინა, ხოლო რიგ შემთხვევებში სრულებით გაეუქმებინა სამრეწველო მანქანებისა და სურსათის იმპორტი.

ომმა გააძლიერა ეკონომიური დისპროპორცია რაიონებს შორის, თითქმის განადგურდა აღმოსავლეთ ნიგერიის ეკონომიკა, ძლიერ დაზიანდა ჩრდილოეთის ეკონომიკა.

ოჯუკვუს ადმინისტრაცია სამოქალაქო ომსა და ომით გამოწვეულ უბედურებას ამართლებდა არსებობისათვის ბრძოლის პრინციპით, ერთა თვითგამორკვევის უფლებით. ბიაფრის სინამდვილეში ზემოთ ხსენებული პრინციპები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ. თვით ბიაფრა არ წარმოადგენდა ერთფეროვან ტერიტორიულ მთლიანობას. 12 მილიონი მოსახლეობიდან, იბო 7 მილიონია აღმოსავლეთ ნიგერიაში. დანარჩენ 5 მილიონს წარმოადგენენ იბიბიო, ეკოი, ეფიკი და იჯო. ოჯუკვუს მთავრობის მტკიცებით აღმოსავლეთ ნიგერიაში მცხოვრები პატარა ხალხები მხარს უჭერდნენ ბიაფრას, სინამდვილეში კი სულ სხვა ვითარება იყო. კამპალას სამშვიდობო მოლაპარაკებაზე წარმოშობით აღმოსავლეთ ნიგერიელმა, დოქტორმა ჯ. იკბემემ, რომელიც მანამდე კალაბარში მსახურობდა, შემდეგნაირად დაახასიათა ოჯუკვუს ეროვნული პოლიტიკა: „ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანს ესმოდა, რომ აღმოსავლეთ ნიგერიის ეროვნულ უმცირესობებს სურდათ ფედერალური ნიგერიის ფარგლებში დარჩენა. მათ სურდათ ჰქონოდათ თავიანთი შტატი და თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ ეს არ აწყობდა იბოს ხალხსა და ე. წ. ბიაფრის რესპუბლიკას. ამიტომ იბომ გადაწყვიტა ან

ძალით მოექცია 5 მილიონი სხვა ხალხი თავის რესპუბლიკაში, ან გაეწყვიტათ ისინი. ამიტომ იყო, რომ აღმოსავლეთ ნიგერიის პატარა ხალხების ტერიტორიაზე გაგზავნეს იბოელი ჯარისკაცები ბიაფრის მოწინააღმდეგეთა „დასაწყნარებლად“.

ოჯუკვუს ვერსიის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ფედერალურ ნიგერიაში ცხოვრობს და მსახურობს იბოს ხალხის ბევრი წარმომადგენელი — კონტრ-ადმირალი ე. უვი, ნიგერიის უმაღლესი მხედართმთავრობის შტაბის ყოფილი უფროსი ეკპო და სხვა მრავალი. ასევე საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ ნიგერიის სამოქალაქო ომი ატარებდა რელიგიური ომის ხასიათს — 70 პროცენტი ფედერალური არმიის პირადი შემადგენლობისა ქრისტიანია.

რაც შეეხება ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ძნელია იმის დამტკიცება, რომ იბოს ხალხი ნიგერიაში როდისმე ყოფილიყოს დამონებულ მდგომარეობაში ნიგერიის სხვა ხალხების მიერ. მარქსიზმი ბრმად არ იცავს ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ანალოგიური სიტუაციის შეფასებისას ყოველთვის უნდა გამოვიდეთ მოძრაობის ბუნებიდან, მისი პროგრესულობიდან. თუ ვიხელმძღვანელებთ ვ. ი. ლენინის დებულებით და დავსვამთ ამგვარ კითხვას — იქნებოდა თუ არა ბიაფრის გამოყოფა პროგრესული ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობდა მთელი აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას? რასაკვირველია, პასუხი მხოლოდ უარყოფითი შეიძლება იყოს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „ვიდრე და სანამდე სხვადასხვა ერები შეადგენენ ერთიან სახელმწიფოს, მარქსისტები არავითარ შემთხვევაში არ თანაუგრძნობენ არც ფედერაციის პრინციპს, არც დეცენტრალიზაციას. ცენტრალიზებული მსხვილი სახელმწიფო წინგადადგმული ნაბიჯია შუასაუკუნეობრივი დაქუცმაცებულობიდან მთელი მსოფლიოს სოციალისტური ერთობისაკენ“[1]. „ეჰვგარეშეა, — აღნიშნავს ნიგერიის ინფორმაციის საქმეთა ფედერალური კომისარი ა. ენახორო, — აფრიკის სახელმწიფოთა დაქუცმაცება აწყობს ზოგიერთ სახელმწიფოს, ვინაიდან წარმოიქმნება მრავალი ახალი სუსტი სახელმწიფო, რომელთა არსებობაც საუკუნოვანს გახდიდა აფრიკის მონურ მდგომარეობას.“ უადგილოა აქ ის არგუმენტიც, რომ ნიგერიის ხალხთა შორის იბო გამოირჩევა თავისი შრომისმოყვარეობითა და ნიჭით. თავის დროზე მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დაუჭირა მხარი „ჩამორჩენილ“ ეთიოპიის ბრძოლას „მო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 39.

წინავე“ იტალიის წინააღმდეგ. ანალოგიური მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთშიც — მართალია, ზოგიერთი არაბული სახელმწიფო თავისი განვითარების დონით ჩამორჩება ისრაელს, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ მიუთითებს ისრაელის აგრესიის სამართლიანობაზე.

ბიაფრის ცაკლე სახელმწიფოდ გამოყოფა თავის კვალს დაამჩნევდა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას არა მარტო აფრიკაში, არამედ მთელს „მესამე სამყაროში“. ბიაფრის დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრეზიდენტი არაერთ და ორ ახალგაზრდა სახელმწიფოს ეროვნულ მთლიანობას დააყენებდა ეჭვის ქვეშ.

სამოქალაქო ომი ნიგერიაში, მისი გამომწვევი მიზეზებითა და შედეგებით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ როგორც წმინდა ნიგერიული მოვლენა, ნიგერიის ამბების საერთაშორისო რეზონანსი და მნიშვნელობა სწორედ ამით არის განპირობებული, რომ ანალოგიური პრობლემები არსებობენ აფრიკის თითქმის ყველა ახალგაზრდა სახელმწიფოში. ახალგაზრდა სახელმწიფოთა ბევრი შინაგანი პრობლემა პირდაპირ კავშირში იმყოფება აფრიკის ერთობის იდეასთან. აფრიკის პროგრესულ წრეებში უკანასკნელ პერიოდში აღინიშნება შეშფოთება იმით, რომ აფრიკის ერთობის კეთილშობილი იდეა იმპერიალისტთა ხელის შეწყობით ადვილად შეიძლება იქცეს რეაქციის იარაღად.

სამოქალაქო ომის პერიოდშიც აღმოსავლეთ ნიგერიაში დღითი დღე იზრდებოდა გაერთიანებული ნიგერიის მომხრეთა რიცხვი. ჩქარა გაიარა შოვინისტურმა და სეპარატისტულმა ფსიქოზმა. თავისი როლი შეასრულა აგრეთვე ნიგერიის პირველი პრეზიდენტის დოქტორ ნამდი აზიკივეს პოზიციამაც; წარმოშობით იბო, იგი თავდაპირველად ოჯუკვუს აქციის მომხრე იყო (მან დაწერა ბიაფრის ჰიმნი), უკანასკნელ პერიოდში კი გოვონთან თანამშრომლობდა და გულწრფელად ცდილობდა ქვეყნის მთლიანობის აღდგენას. აღმოსავლეთ ნიგერიის ახალგაზრდობის პოზიციაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ცენტრალური აღმოსავლეთის შტატის ახალგაზრდული ორგანიზაციის მიმართვა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი, სადაც ვკითხულობთ: „გთხოვთ გადასცეთ სახელმწიფოთა შეთაურებს, რომ იბოს ტომის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რათა დარჩეს ერთიანი ნიგერიის საზღვრებში. ბიაფრა არის იარაღის ძალით და ხალხის დაშინებით შექმნილი, ოჯუკვუს ამ დამღუპველ აქტს მხარს უჭერს იმპერიალიზმი და ნეოკოლონიალიზმი. აფრიკის ერთობის ორგანიზაციამ უნდა დაიცვას აფ-

რიკა დაქუცმაცებისა და რეაქციის ძალებისაგან“. მიმართვა გაიგზავნა 1969 წლის სექტემბერში.

სამხედრო გადატრიალებებმა და სამოქალაქო ომმა საგრძნობლად დასცა ნიგერიაში ინგლისის ავტორიტეტი, ხოლო აღმოსავლეთ ნიგერიაში ომის წლებში ინგლისს ფედერალურ მთავრობასთან ერთად განიხილავდნენ როგორც მთავარ მტერს. იმპერიალისტურ სახელმწიფოთაგან ბიაფრაში განსაკუთრებით ძლიერი იყო საფრანგეთის გავლენა, რომელიც პატარა ერების დაცვის საბაბით მტკიცე ნიადაგს იმზადებდა აღმოსავლეთ ნიგერიის წიაღისეული სიმდიდრის (პირველ რიგში ნავთობის) საექსპლოატაციოდ. გაცილებით ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა აშშ-ის მთავრობა. ამერიკის მონოპოლისტურ წრეებს არც ერთ მხარესთან არ სურდათ ურთიერთობის გაფუჭება და ამის გამო დამშეულთა დახმარების საბაბით ცდილობდნენ თავიანთი აქციების განმტკიცებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ნიგერიის საზოგადოებრიობა ფხიზლად ადევნებდა თვალყურს იმპერიალისტთა მაქინაციებს და ნიღაბს ხდიდა ნიგერიის ხალხთა უბედურებაზე ხელის მოთბობის ყოველ ცდას. ეხებოდა რა ბიაფრისადმი „დახმარების“ საკითხში აშშ-ის გეგმას, გაზეთი „ნიუ ნაიჯერიენი“ 1969 წლის აგვისტოში წერდა, რომ „დახმარების „წმინდა ამერიკული გეგმა“ მიზნად ითვალისწინებს დახმარება აღმოუჩინოს არა აღმოსავლეთ ნიგერიის ხალხს, არამედ ოჯუკვუს რეჟიმს. ამით გახანგრძლივდება ომი და მთელი ნიგერიის უბედურება.“ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების ორი დღის შემდეგ თავის პრესკონფერენციაში გოვონმა ბრალი დასდო „დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოს“ იმაში, რომ თავიანთი საიდუმლო ფინანსური დახმარებით საშუალება მისცეს ოჯუკვუს საზღვარგარეთ შეესყიდა მისთვის საჭირო იარაღი. სამოქალაქო ომის გაჭიანურების მიზეზად გოვონმა პირდაპირ დაასახელა ბიაფრისადმი უცხოურ სახელმწიფოთა დახმარება.

1967 წლის შემდეგ აღმოსავლეთ ნიგერიას ფაქტიურად არ გააჩნდა საკუთარი ეკონომიური პოტენციალი და უცხოეთის დახმარების გარეშე ოჯუკვუ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდა ბრძოლის გაგრძელებას. 1969 წლის მარტში მისი მდგომარეობა უკვე იმდენად უიმედო იყო, რომ მოლაპარაკება დაიწყო გაბონის პრეზიდენტ ბონგოსთან დამარცხების შემთხვევაში გაბონის ტერიტორიაზე ბიაფრის დევნილი მთავრობის შექმნის შესახებ (გაბონმა ერთ-ერთმა პირველმა აფრიკულმა სახელმწიფომ ცნო ბიაფრა). კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა ოჯუკვუმ მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დახმარე-

ბით შეძლო, რომელთა მონოპოლიურ წრეებსაც არ აწყობდათ სამოქალაქო ომის დამთავრება ერთიანი ნიგერიის აღდგენით.

როგორც ნიგერიის ოფიციალური პრესა 1969 წლის აპრილში იუწყებოდა (როდესაც რეალურად გამოიყურებოდა ნიგერიაში სამოქალაქო ომის დამთავრების პერსპექტივა), დიდ სახელმწიფოთაგან მხოლოდ საბჭოთა კავშირი იყო გულწრფელად დაინტერესებული ომის დამთავრებით: „დასასრულს უახლოვდება სამოქალაქო ომი ნიგერიასა და ბიაფრას შორის. ომმა ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა ნამდვილი მეგობრები გავიცნოთ. საოცარია, რომ ის ხალხი, რომლისადმისაც შიშსა და სიძულვილს ჩვენ გვინერგავდნენ, დღეს ყოველ საშუალებას ხმარობს, რათა მოსალოდნელი საფრთხისაგან დაგვიცვას. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ რუსეთის დახმარების გარეშე კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ნიგერიის ხალხთა უბედურება — სამოქალაქო ომი“, — წერდა 1969 წლის 5 აპრილს ფედერალური ნიგერიის მთავრობის ოფიციოზი „მორნინგ პოსტი“ თავის მოწინავე სტატიაში.

1971 წლის 6 აგვისტოს ნიგერიის განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა უცხოურ სახელმწიფოთა მიერ ნიგერიელ სტუდენტებისათვის სტიპენდიების გამოყოფის შესახებ. საბჭოთა კავშირში 1969-1970 სასწავლო წელს 174 ნიგერიელი ახალგაზრდა დაეუფლა მეცნიერების ისეთ დარგებს როგორიცაა საბუნებისმეტყველო მეცნიერება, მანქანათმშენებლობა, მედიცინა, ხელოვნებათმცოდნეობა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, მათემატიკა, დაგეგმვა და ფინანსირება, აერონავტიკა და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფრიკელ სტუდენტებისათვის სტიპენდიების გამოყოფის დროს აშშ-ის სხვადასხვა ფონდები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო აპარატის მოხელე მოამზადონ, რომელნიც შემდგომში პროდასავლეთური და უპირველეს ყოვლისა პროამერიკული კურსის დასაყრდენნი უნდა იქნენ.

ნიგერიის კონფლიქტში საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალურმა და ანტიიმპერიალისტური რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკამ განსაზღვრა ის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტი, რომ ნიგერიის ფართო საზოგადოებრიობას სულ უფრო და უფრო ნაკლებად სჯერა იმპერიალისტური პროპაგანდისა და სხვა ასპექტში განიხილავს სოციალისტურ ბანაკთან თანამშრომლობის იდეას. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა ნიგერიული გაზეთის „მორნინგ პოსტი“-ს 1969 წლის 29 ივლისის სტატია; სტატია ეხება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში ორი გერმანული

სახელმწიფოს მოღვაწეობას და მკვეთრ ზღვარს ავლებს დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტური წრეების მიზნებსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკას შორის. „საერთაშორისო იმპერიალიზმი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას განიხილავს როგორც თავის მთავარ დასაყრდენს სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს იგი არის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ მისი მთავარი მოკავშირეც.

დასავლეთ გერმანიისაგან განსხვავებით, მეორე სუვერენული გერმანული სახელმწიფო—გერმანიის დემოკრატიული სახელმწიფო, მტკიცედ იცავს სოციალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელ პრინციპს — სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპებს". აღნიშნული წერილის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ უკვე მეორე ნიგერიული გაზეთი „ნაიჯერიან ტრიბუნი" მთელ აფრიკულ სახელმწიფოებს მოუწოდებდა დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. აქაც მთავარ არგუმენტად მოყვანილი იყო ის ფაქტი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრინციპები მკვეთრად განსხვავდებიან იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკისაგან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში როგორიც არის ეკონომიური დახმარება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რასისტული რეჟიმებისადმი დამოკიდებულება.

ზემოთ ჩვენ გაკვრით უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოზიციაზე ნიგერიის კონფლიქტში. დიდ ზეგავლენას ახდენდა ნიგერიის ნავთობი.

მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს ნიგერიით უკვე დაინტერესებული იყო „შელ ბპ", თუმცა კომპანიას იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონია დაგეგმილი აქტიური სადაზვერვო ან საექსპლოატაციო სამუშაოები. ნამდვილი „სანავთობო ციებ-ცხელება" გაცილებით გვიან, 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისს დაიწყო, როდესაც ახლო აღმოსავლეთში საფუძვლიანად შეირყა მსოფლიოს წამყვან სანავთობო მონოპოლიათა პოზიციები. ამ დროისათვის აღარც ნიგერია წარმოადგენდა ინგლისელთათვის „საკუთარ მამულს" და მალე „შელ ბპ"-ის ისეთი კონკურენტები გაუჩნდნენ როგორნიც არიან „გალფ ოილ კორპორეიშნ," „მობილ ოილ", „ტექსაკო", „ფილიპს პეტ-

როლეუმ კომპანი“, „სტანდარტ ოილ ოფ კალიფორნია“ და უფრო მოგვიანებით „კომპანი ფრანსეზ დე პეტროლი“, ან როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ „კ ფ პ“. 1967 წლისათვის ინგლის-ამერიკა-იტალიის კომპანიათა კაპიტალდაბანდებამ 250 მლნ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა. ნიგერიის უმაღლესი ხარისხის ნავთობი და მისი შედარებითი იოლი ტრანსპორტირების პერსპექტივა, აორკეცებს იმპერიალისტურ მონოპოლიათა ინტერესს. მონოპოლიათა ურთიერთკონკურენციაში 1966 წლის ბოლოსათვის მკაფიოდ გამოისახა ორი დაჯგუფება, უფრო სწორედ ინგლის-აშშ-ის მონოპოლიები გაერთიანდნენ ფრანგული „კ ფ პ“ წინააღმდეგ.1967 წლის დასაწყისისათვის ფრანგული კომპანიის მოღვაწეობის არე ძირითადად აღმოსავლეთ ნიგერიით შემოიფარგლა. სწორედ უკანასკნელი ფაქტით აიხსნება საფრანგეთის მეკობრული დამოკიდებულება ბიაფრელ სეპარატისტებთან. ბიაფრის მაღალხარისხოვანმა ნავთობმა და არა მცირე ერთა თვითგამორკვევის პრობლემამ განაპირობა საფრანგეთის პოზიცია და დახმარება.

აღმოსავლეთ ნიგერიის ნავთობზე არც ინგლის-აშშ-ის კომპანიებს არ აუღიათ ხელი. სამოქალაქო ომის უშუალო წინა პერიოდში, როდესაც ნიგერიის ფედერალურ მთავრობასა და ოჯუკვუს ადმინისტრაციას შორის დავა გაჩაღდა ნავთობის შემოსავლის განაწილების თაობაზე, „შელ ბპ“-მ 250 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა ნებაყოფლობით ბიაფრის ლიდერებს. როგორც ნიგერიის გაზეთები აღნიშნავდნენ, ხსენებული თანხა ოჯუკვუმ ევროპაში იარაღის შესაძენად გამოიყენა. უკანასკნელი გარემოება აიძულებდა ინგლისის მთავრობას ბიაფრასთან ჰქონოდა გარკვეული კავშირი ყოველი შეშფოთებისათვის. 1969 წლის მარტ-აპრილში ნიგერიაში თავისი ვიზიტის დროს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა ვერ შეძლო დაემალა ბრიტანეთის გავლენიანი წრეების დაინტერესება ბიაფრით. ვილსონის მთავრობის ორპირული პოლიტიკის გამო სამართლიან წყრომას გამოთქვამდა ნიგერიის პროგრესული საზოგადოებრიობა; როგორც 1969 წლის 11 აპრილს გაზეთი „დეილი ტაიმსი“ წერდა: „სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება ის გარემოება, რომ როგორც კი სეპარატისტები კრახის წინაშე აღმოჩნდებიან, უკიდურეს შეშფოთებას იჩენს და საეჭვო აქტიურობას ავლენს ბრიტანეთის დიპლომატია“. წერილის ავტორის აზრით, ინგლისელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ გადაერჩინათ ოჯუკვუ და მისი რეჟიმი თავიანთი ნეოკოლონიური მიზნებისათვის. იმავე პერიოდში „ნიუ ნაიდჯერიენი“ წერდა, რომ არავის სჯეროდა განცხადებისა, თითქოს ნიგერიაში

ვილსონი ჰუმანურმა იდეებმა ჩაიყვანეს. გაზეთი პირდაპირ აფრთხილებდა ინგლისის მთავრობას, რომ ნიგერია არ დაუშვებდა ინგლისის მთავრობის ჩარევას ქვეყნის საშინაო საქმეებში. ანალოგიური შეფასება მისცა ვილსონის ვიზიტს უგანდის პრეზიდენტმა ობოტემ. 1969 წ. აპრილის ცენტრალური და აღმოსავლეთი აფრიკის 14 სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თათბირზე ობოტემ ნიგერიის სამოქალაქო ომი დაახასიათა როგორც მთელი აფრიკის სირცხვილი, ხოლო ვილსონის ვიზიტს ნიგერიაში ნეგატიური შეფასება მისცა იმ მოსაზრებით, რომ ინგლისის პრემიერმა მთელი თავისი ძალა და ავტორიტეტი გამოიყენა არა საერთოდ ომის დასამთავრებლად, არამედ ოჯუკვუსათვის დახმარების აღმოჩენის პერსპექტივების შესასწავლად.

ნიგერიაში სწორად იქნა შეფასებული ინგლისის მთავრობის შენიღბული ცდა შუამავლის როლში გამოსულიყო მეომარ მხარეთა შორის. ვილსონთან მოლაპარაკების დროს ნიგერიის მხარე კატეგორიულად გამოვიდა ინგლისის შუამავლობის იდეის წინააღმდეგ. თვითონ შუამავლობის იდეა შეფასდა როგორც ნიგერიაში ინგლისის გავლენის გაძლიერების ცდა, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრი, არამედ ნიგერიის მთავრობაც გადაჭრით გამოვიდა ინგლისის ნეოკოლონიური მანევრის წინააღმდეგ; ვილსონთან პირველივე ოფიციალური შეხვედრისას გოვონმა გადაჭრით განუცხადა ინგლისის პრემიერს: „მე არ მოველი თქვენის მხრიდან არავითარ სენსაციურ სამშვიდობო ინიციატივას და დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით აღვნიშნავ თქვენს განცხადებას, რომ თქვენი ნიგერიაში ჩამოსვლა მიზნად არ ისახავს სამოქალაქო ომში შუამავლობას.

მართალია, ვილსონის ვიზიტი ფაქტიურად უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ნიგერიის ეკონომიკაში ჯერ კიდევ უკავიათ გადამწყვეტი როლი ინგლისის სპეციალისტებსა და მონოპოლიებს. 720 გირვანქა სტერლინგს უდრის ინგლისის საერთო კაპიტალდაბანდება ნიგერიაში, 15 ათასი ინგლისელი სპეციალისტის ხელშია ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული უბნები. მარტო 1968 წელს ინგლისის კომპანიებმა 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი დააბანდეს ნიგერიის ეკონომიკაში, უახლოეს პერიოდში 45 მლნ გირვანქა სტერლინგი აქვს დაგეგმილი „შელ ბპ“-ის ნიგერიაში ნავთობმომპოვებელი მრეწველობის გასაფართოებლად, 1974 წლისათვის ნიგერიამ უნდა დაფაროს ნავთობზე ინგლისის მთელი მოთხოვნილების 25 პროცენტი. ყოველივე ამის შემდეგ, რასაკვირველია, ძნელია მძიმე

ვდგომარეობაში ჩავარდნილ ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის ერთის დაკვრით გადაჭრას ყოფილ მეტროპოლიასთან ან სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოსთან ნეოკოლონიური ურთიერთობის ჯაჭვი. გარდა ამისა, მიუხედავად თავისი მძარცველური ხასიათისა, მხოლოდ უცხოურ მონოპოლიათა კოლოსალურმა პირველადმა კაპიტალდაბანდებამ (რისი შესაძლებლობაც არც ერთ ახალგაზრდა სახელმწიფოს არ გააჩნია) გახადა შესაძლებელი ნავთობის მოპოვება და ის შემოსავალი, რასაც აქედან ნიგერიის მთავრობა ღებულობს. 1969 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით ნიგერიის ექსპორტი 166,9 მლნ გირვანქა სტერლინგით გამოიხატა. იმპორტი — 119.4 მილიონით, რაც 53 პროცენტით მეტია 1968 წელს ამავე პერიოდთან შედარებით ექსპორტის დარგში და 37 პროცენტით მეტია იმპორტის დარგში. აქტიურმა სალდომ 47,5 მლნ გირვანქა სტერლინგს მიაღწია, რაც 2-ჯერ მეტია 1968 წელთან შედარებით. ნიგერიისათვის ეს უკიდურესად საჭირო მონაცემები ნავთობის ექსპორტის ზრდამ განაპირობა. 1969 წლის ივნისისათვის ნავთობის ექსპორტმა ომამდელ დონეს გადააჭარბა. ნავთობი წარმოადგენს ნიგერიის მთავრობის მთავარ იმედს ომისშემდგომი განვითარების პროგრამის განხორციელებაში. 1973 წლისათვის ნავთობის მოპოვებისაგან მიღებულმა შემოსავალმა 650 მლნ გირვანქა სტერლინგს მიაღწია.

აფრიკის კონტინენტის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესთა თვალთახედვით, ნიგერიის სამოქალაქო ომის მნიშვნელობის დადგენას აადვილებს ომისადმი სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ რეჟიმთა პოზიცია. ანტიკოლონიური ბანაკის შეშფოთებას იწვევდა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკისა და პორტუგალიის მეგობრული დამოკიდებულება ბიაფრის ლიდერებთან.

1968 წლის დასაწყისიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით გამოდიოდა ბიაფრის ქომაგის როლში. საფრანგეთის შემდეგ სამხრეთ აფრიკიდან ღებულობდა ოკუკვუ ყველაზე მეტ სამხედრო იარაღს. კვირაში 2-ჯერ, სისტემატურად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს „ჰერკულესებს“ იარაღი მიჰქონდათ ბიაფრისათვის კალაჰარის უდაბნოდან, საიდანაც სამხედრო ტვირთის ტრანსპორტირებას აგრძელებდნენ კვლავ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თვითმფრინავები „დს-7“, მაგრამ ამჯერად ფორმალურად ბიაფრის მიერ არენდირებულნი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან იარაღის შეზიდვის მარშრუტის სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა ლიბრევილი (გაბონი). მიუხედავად

ინისა, რომ ბიაფრას ფაქტიურად მხოლოდ ერთი —ულის აეროდრომი გააჩნდა და ფრენა მხოლოდ ღამის პირობებში წარმოებდა, განუხრელად იზრდებოდა იარაღისა და მედიკამენტების შეზიდვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან. ომის უკანასკნელ ხანებში ოჯუკვუ ყოველკვირეულად 200 ტონა სამხედრო ტვირთს ღებულობდა.

დასავლეთის პრესა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოზიციას ხსნიდა როგორც ინგლისის წინააღმდეგ ინტრიგას, მაგრამ მთავარი მომენტი სულ სხვა იყო. ფედერალური ნიგერია იყო და არის ერთ-ერთი მთავარი და თანმიმდევარი მოწინააღმდეგე აპართეიდის პოლიტიკისა. ამავე დროს, როგორც ცნობილია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველი, ნაციონალისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის ახალ კურსს წარმოადგენს, რაც შეიძლება მეტი მოკავშირის შოვნა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა შორის. ტანზანიასა და ზამბიასთან ერთად ამ კურსის ერთ-ერთ მთავარ ობიექტად იქცა ბიაფრაც. რაც შეეხება პორტუგალიას, მან რამდენიმე სამხედრო ბაზა გამოუყო ბიაფრას, სადაც ძირითადად სამხედრო ტექნიკის შეკეთება წარმოებდა.

როგორც ვხედავთ, ნიგერიის სამოქალაქო ომში თითქმის ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოს გააჩნდა საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიური ინტერესები. 1970 წლის 15 იანვარს ბიაფრის არმიის შტაბის უფროსმა ფ. ეფიონგმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას და ამით დამთავრდა 30-თვიანი სამოქალაქო ომი. ნიგერიელებს კარგად ესმით, რომ მათ ჯერ კიდევ დიდხანს მოუწევთ არანაკლებ სასტიკი ბრძოლის წარმოება უხილავ ფრონტზე, სადაც ერთიანი ნიგერიის მოწინააღმდეგის როლში საერთაშორისო იმპერიალიზმი გამოდის. ომის დამთავრებიდან ათი დღეც არ იყო გასული, რომ ფედერალური მთავრობა იძულებული შეიქნა სათანადო პასუხი გაეცა იმპერიალისტური პროპაგანდის დივერსიისათვის. მაშინ, როდესაც გოვონის ადმინისტრაციამ აღმოსავლეთ ნიგერიის მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით 16 მლნ გირვანქა სტერლინგი გამოყო, „ბი-ბი-სიმ“ და „ამერიკის ხმამ“ ფართო კამპანია წამოიწყეს იბოს მიმართ ფედერალური ხელისუფლების მიერ „სანქციონირებული გენოციდის“ შესახებ. ნიგერიის მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ცილისწამების მიზანია ხელი შეუშალოს ნიგერიის ხალხთა კავშირის აღდგენას და განმტკიცებას. ომის დამთავრებისთანავე დასავლეთში დიდი ხმაური ატყდა აგრეთვე ნიგერიის მთავრობისათვის „დახმარების“ აღმოჩენის თაობაზე. ამერიკული გაზეთი „ჯორნელ ოფ კომერისი“ დაუფარავად წერდა, რომ

ამერიკის საქმოსნებმა არ უნდა გაუშვან ხელსაყრელი მომენტი და ამერიკის კაპიტალის გავლენა კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ ნიგერიის ნავთობის მრეწველობაშიო. ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, 1969 წლის აგვისტოში, ნიგერიის გაზეთი „ნიუ ნაიჯერიენი“ სპეციალურ წერილში „დასავლეთი და აფრიკის ქვეყნები“, წერდა, რომ აშშ-ის, დასავლეთ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა „დახმარება“ მიზნად ისახავს ხელახლა აქციოს აფრიკა სანედლეულო დანამატადო „...მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ამ დახმარებისა, — წერდა გაზეთი,—ის არის, რომ მას, როგორც წესი, ყოველთვის თან სდევს პირდაპირი პოლიტიკური ზეგავლენა. რაც შეეხება დასავლეთის სამხედრო „დახმარებას“, როგორც წესი, ის ქვეყნები ღებულობდნენ, სადაც ნეოკოლონიალიზმი ან თავისი შერყეული პოზიციების შენარჩუნებას, ან თავისი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად პლაცდარმის შექმნას ცდილობდა.“ შემდეგ წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ იმპერიალიზმის ახალ შემოტევაში „დახმარება“ არის ნეოკოლონიალიზმის გენერალური გეგმის შემადგენელი ნაწილი. ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 22 იანვარს, თავის ოფიციალურ გამოსვლაში გოვონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის წლებმა ბევრი რამ ასწავლეს ნიგერიელ ხალხს, კერძოდ, იგი ახლა დიდი სიფრთხილით ეკიდება დასავლეთის „დახმარების“ პერსპექტივას.

ნიგერიის მთავრობამ ომისშემდგომ პერიოდში გამოაქვეყნა ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი დეკრეტი; ყველა უცხოურ ნავთობმომპოვებელ კომპანიას ევალება ათი წლის განმავლობაში 70%-მდე აიყვანოს ადმინისტრაციულ პერსონალში ნიგერიელთა ხვედრითი წონა. აღნიშნული დეკრეტის ცხოვრებაში გატარება იმის რეალური გარანტიაა, რომ არცთუ ისე შორეულ მომავალში ნიგერია უზრუნველყოფილ იქნება ეროვნული კადრებით.

1972 წლის მარტს კი ნიგერიის მთავრობამ გამოაქვეყნა ცირკულარი, რომლის ძალითაც ნიგერიაში მოქმედ უცხოურ ნავთობმომპოვებელ კომპანიებს ეკრძალებოდათ თავიანთ თანამშრომელ ხანდაზმულ ნიგერიელთა სამუშაოდან განთავისუფლება ან იძულება, თვითონ დატოვონ სამუშაო. როგორც სამთამადნო მრეწველობისა და ენერგეტიკის ფედერალურმა კომისარმა მონგუნომ განაცხადა, ხანშიშესულ ნიგერიელთა სამსახურიდან სისტემატური დათხოვით უცხოური კომპანიები შეგნებულად უშლიდნენ ხელს „ნიგერიზაციის“ მთავრობის პროგრამის განხორციელებას. ნიგერიელ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას

ისახავს მიზნად ავრეთვე მთავრობის 1973 წლის თებერვლის დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა ხელფასის საკითხების საერთო ნიგერიის სამმართველოს შექმნას. სამმართველოსთან ერთად შეიქმნა სპეციალური კომისიაც, რომლის მოვალეობას შეადგენს თითოეული რაიონისა და შტატისათვის ხელფასის მინიმალური დონის დადგენა.

70-იანი წლების ნიგერიის პოლიტიკური სტრატეგია ჩამოყალიბდა 1970 წლის 1 ოქტომბერს გამოქვეყნებულ „პოლიტიკურ პროგრამაში". პროგრამა შემდეგი 9 პუნქტისაგან შედგება: 1. შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია, 2. განვითარების მეორე ეროვნული გეგმის (1970-1972 წწ.) შესრულება და სამოქალაქო ომის პერიოდში დაზარალებული მეურნეობის აღდგენა, 3. კორუფციის აღმოფხვრა, 4. შტატების რაოდენობის გაზრდის პრობლემის მოგვარება, 5. ახალი კონსტიტუციის მომზადება და დამტკიცება, 6. შტატებს შორის ფედერალური შემოსავლის განაწილების ახალი სისტემის შემუშავება, 7. მოსახლეობის აღწერის ჩატარება, 8. ჭეშმარიტი ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიათა შექმნა, 9. სამოქალაქო ფედერალური მთავრობისა და შტატების მთავრობათა საყოველთაო არჩევნების ჩატარება. როგორც გენერალმა გოვონმა აღნიშნა, ხსენებული პროგრამის განხორციელება მოითხოვს „მიზანდასახულობას, ვაჟკაცობას, შეუპოვარ შრომასა და პატრიოტიზმს, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც არმიამ და ნიგერიელმა ერმა გამოამჟღავნა სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში".

განვითარების მეორე ეროვნული გეგმა მოიცავდა არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ მიზნებსაც. გეგმაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციას და ეკონომიკის რეგულირებას. „არც ერთ მთავრობას არ ძალუძს ეფექტურად დაგეგმოს ის, რაც მის კონტროლს ქვეშ არ იმყოფება", — აღნიშნული იყო გეგმაში. ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორი რომ საერთაშორისო მონოპოლიათა მიერ თავსმოხვეულ „თანამშრომლობაში" უმცროსი პარტნიორის როლში არ აღმოჩენილიყო, გეგმა ითვალისწინებდა სახელმწიფო კონტროლის დაწესებას „ყველა მთავარ ეროვნულ რესურსზე".

გეგმა ითვალისწინებდა 1,8 მლრდ ნიგერიული გირვანქა სტერლინგის კაპიტალდაბანდებას (დაახლოებით 4 მილიარდი მანეთი). ეროვნული პროდუქციის ყოველწლიური მატება 5,6 პროცენტით დაიგეგმა. სახელმწიფოს წილმა ყველა სამრეწველო საწარმოში, სადაც უცხოური კაპიტალიც არის წარმოდგენილი, უნდა შეადგინოს არაუმცირეს 55 პროცენტისა, ხოლო დანარჩენ დარგებში — 35 პროცენტისა.

უკანასკნელ პერიოდში იზრდება აგრეთვე სახელმწიფოს როლი განწილების სფეროში, სადაც განსაკუთრებული სიძლიერით აღინიშნება უცხოური კაპიტალის მოძალება; ძლიერდება კონტროლი უცხოური ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების მოღვაწეობაზე, უცხოურ შემსყიდველ კორპორაციებზე, რომელთა ხელშიც არის საგარეო ბაზარზე ტრადიციული ნიგერიული საქონლის რეალიზაციის 80 პროცენტი.

განვითარების მეორე ეროვნულ გეგმაში დიდი ადგილი დაეთმო მძიმე მრეწველობის განვითარების პრობლემას, ნავთობის სახელმწიფო კორპორაციის შექმნას, სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებას ყველა აღმოჩენილ წიაღისეულზე და სხვა. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არავითარი ღონისძიებები არ იქნა დასახული რადიკალური სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების მიზნით.

როგორც ვხედავთ, განვითარების მეორე ეროვნულ გეგმაში აისახა თანამედროვე ნიგერიის პროგრესულ და რეაქციულ ძალთა ბრძოლა. უკანასკნელნი დასავლეთის მონოპოლიების მხარდაჭერითა და წაქეზებით ცდილობდნენ გეგმა ექციათ ერთგვარ კეთილ სურვილთა დეკლარაციად. აფრიკის პროგრესულმა წრეებმა გეგმის ერთ-ერთ სუსტ მხარედ თავიდანვე მიიჩნიეს ის გარემოება, რომ უკანასკნელი არასაკმარისი მასშტაბით ითვალისწინებდა საერთოეროვნულ შესაძლებლობათა კონცენტრაციას ეკონომიკის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის (როგორც ცნობილია, ნიგერიაში სოფლის მეურნეობაში დაკავებულია ქვეყნის მთელი მოსახლეობის 70 პროცენტი და იგი უზრუნველყოფს მთელი ეროვნული პროდუქციის 75 პროცენტს). კრიტიკის საგნად იქცა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი განისაზღვრა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

მიუხედავად ზემოხსნებული ნაკლოვანებებისა, გეგმაში ნათლად აისახა ნიგერიის ეკონომიური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მძლავრი ტენდენცია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს როლის ზრდით უცხოური მონოპოლიების გავლენის შემცირების ხარჯზე და სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება ქვეყნის პროგრესული განვითარების რეალურ შესაძლებლობას ქმნის.

სამოქალაქო ომისშემდგომი ნიგერიის ერთ-ერთ უაღრესად აქტუალურ და მტკივნეულ პრობლემად რჩება ქვეყნის ერთობის განმტკიცება და ეთნიკურ ურთიერთობათა საბოლოოდ მორეგულირება. მას შემდეგ, რაც პატრიოტულმა ძალებმა შეძლეს სამოქალაქო ომში დაეცვათ

ერთიანობა, მწვავედ დადგა საკითხი—მოასწავებს თუ არა ომში გამარჯვება ტრაიბოლიზმის საბოლოოდ დამარცხებას ნიგერიაში? ეჭვს გარეშეა, რომ ომმა ბევრი ნიგერიელი აიძულა კრიტიკულად გაეანალიზებინა წარსული შეცდომები და ახლებურად განეხილა ტომთაშორისი ურთიერთობა: „გაკვეთილი, რომელიც ჩვენ წარსულმა მოგვცა, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ახალი სტარტი ავიღოთ უკეთესი მომავლისაკენ“, — განაცხადა ცნობილმა ნიგერიელმა სახელმწიფო მოღვაწემ ა. კანომ 1972 წლის იანვარში. და მაინც, ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ნიგერიაში უკვე ლიკვიდირებულია ეთნიკური შუღლის გამომწვეული მიზეზები. ხელუხლებელი დარჩა ტრაიბოლიზმის მკვებავი სოციალური გარემო, კვლავ არსებობენ ტომთაშორის შუღლის სტაბილურობაში დაინტერესებული გარეშე ძალები; იმპერიალიზმი კიდევ დიდხანს არ აიღებს სამუდამოდ ხელს ნიგერიის გათიშვის ცდაზე.

სამოქალაქო ომის დამთავრების პირველივე დღეებიდან იმპერიალისტური სახელმწიფოები ერთიმეორეზე მიყოლებით სთავაზობენ ნიგერიას „დახმარებას“. მიზეზი ნათელია — დაზარალებული ხალხის დახმარების საბაბით კვლავ ჩაერიონ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში.

ეროვნული შერიგების პრობლემა კვლავ მწვავედ დგას აღმოსავლეთ ნიგერიაში, რომელიც სამ შტატად არის გაყოფილი (აღმოსავლეთ-ცენტრალური, სამხრეთ-აღმოსავლეთი და რივერსი) და სადაც ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო სამოქალაქო ომით მიყენებულ ჭრილობათა მოსაშუშებლად. ეროვნული ერთობის მტრები ცდილობენ ეთნიკური ანტაგონიზმის რეციდივები შექმნან დასავლეთ ნიგერიაშიც. 1974 წლის დასაწყისში დასავლეთ ნიგერიის დედაქალაქ იბადანში აღმოაჩინეს იარაღის დიდი საწყობი და ქვეყნის ერთობის ძირგამომთხრელი ლიტერატურა. პროვოკაციული მიზნით გარკვეული წრეები კითხვის ქვეშ აყენებენ არმიის ხელისუფლების სათავეში ყოფნის მიზანდასახულობას. ეს მაშინ, როდესაც სამხედრო მთავრობას დასახული აქვს გრანდიოზული ღონისძიებები.

მეორე მხრივ, ქვეყანაში თავი იჩინა ძველმა სენმა — კორუფციამ (განსაკუთრებით სახელმწიფო აპარატში), მიუხედავად დიდი შემოსავლისა (მარტო ნავთობის ექსპორტი 1974 წელს ნიგერიას აძლევდა დღეში 47 მლნ დოლარს), არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობა, კვლავ დაბალ დონეზე იმყოფებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. გარკვეული გაგებით ყოველივე ამის შედეგი იყო მორიგი სამხედრო გადატრიალება 1975 წლის 29 ივლისს,

როდესაც გოვონის უცხოეთში ყოფნის დროს ქვეყანაში ხელისუფლება ხელში აიღო გენერალმა მურტალა რუფაი მოჰამედმა. მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ თვით მოჰამედიც სამხედრო გადატრიალების მოწყობის ცდის მსხვერპლი შეიქნა; მართალია, ახალი გადატრიალება ჩაიშალა, მაგრამ გენერალი მოკლეს.

მოჰამედის მკვლელობამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ნიგერია უამრავ გადაუჭრელ პრობლემათა წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ 1968 წელს ნავთობის ახალ საბადოთა აღმოჩენამ ნიგერია ტროპიკული აფრიკის ყველაზე მდიდარ ქვეყნად აქცია, ამას არ მოჰყოლია ეკონომიური სიცოცხლისუნარიანობა და პოლიტიკური სტაბილურობა.

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ღრმად ფესვგამდგარი კორუფციაა, რამაც უკვე გაუტეხა სახელი სამოქალაქო მთავრობას. კორუფციის პრობლემისადმი მიძღვნილ წერილში ნიგერიის გაზეთი „რენესანსი“ 1976 წლის დეკემბერში წერდა: „ყველა სენისაგან, რომლებითაც ასე დიდი ხანია დაავადებულია ჩვენი ქვეყანა, ყველაზე ავთვისებიანი კორუფციაა“. ამიტომ არავის გაჰკვირვებია ადგილობრივი პრესის ცნობა, რომ გოვონმა უცხოეთის ბანკებში საკუთარ ანგარიშზე ასობით მილიონი დოლარი გადარიცხა.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მოჰამედისა და შემდეგ ოლუსეგუნა ობასანჯოს სამხედრო მთავრობა აქტიურ ღონისძიებებს მიმართავს კორუფციის წინააღმდეგ.

არანაკლები სიმწვავით დგას აგრეთვე ურბანიზაციის პრობლემაც. ქვეყნის დედაქალაქის ლაგოსის მოსახლეობა 1985 წლისათვის 4 მილიონს მიაღწევს, მოსახლეობის ყოველწლიური მატება აქ 86 პროცენტს უდრის. ქვეყნის სხვა ქალაქები — აბა, პორტ-ჰარკოტი, ოვერი, კალაბარი, ენუგუ, უმუაჰია, ოია, კანო, კადუნა და სხვ. სავსეა სოფლებიდან დაძრული გლეხებით. ურბანიზაცია სასწრაფოდ მოითხოვს კომუნალური პირობების გაუმჯობესებას, რაც არც ასე იოლი საქმეა.

დიდ ქალაქებში საბინაო გადასახადი ბევრად აღემატება მოსახლეობის უმრავლესობის ფინანსურ შესაძლებლობებს. 1968-73 წლებში ფედერალურმა სამხედრო მთავრობამ რამდენიმე დადგენილება მიიღო საბინაო გადასახადზე კონტროლის დაწესების თაობაზე, მაგრამ ამ ღონისძიებებს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. უფრო რეალურად გამოიყურება განვითარების მესამე გეგმა: 1975-80 წლებში 200 ათასი ბინის მშენებლობის შესახებ. კერძო ბინათმშენებლობის და-

ჩქარების მიზნით მთავრობამ 1972 წლის დასაწყისში დააარსა სპეციალური ბანკი, რომლის კაპიტალი 240 მლნ დოლარს შეადგენს. ქვეყანაში არსებულ ბანკებს რეკომენდაცია მიეცათ შეღავათიან პირობებში გასცენ სესხები ბინათმშენებლობისათვის.

ნიგერიის ქალაქების ტრადიციული პრობლემაა კანალიზაციისა და წყალსადენის სისტემის უქონლობა. შემთხვევითი არ იყო, რომ 1976 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ლაგოსი ცნო „მსოფლიოში ყველაზე არაჰიგიენურ ქალაქად" (1976 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული იყო გარემო სფეროს გაჯანსაღების წლად).

ამერიკელმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" ნიგერიის მიმართ ასეთი ეპითეტი იხმარა ერთხელ—„ქვეყანა, რომელიც ფულებში ცურავს". ამ სიმდიდრეს საფუძვლად ნავთობის ექსპორტი უდევს, რომელიც ქვეყნის მთელი შემოსავლის 85 პროცენტს იძლევა. ეკონომიური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა, რომ ეს თანხა დაბანდდეს განვითარების კონსტრუქციული პროგრამების განსახორციელებლად. საჭიროა შეიქმნას მყარი ფუნდამენტი ეკონომიკისათვის. როგორც ჩანს, ეს კარგად ესმით ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელებს და განვითარების მესამე გეგმაში (1975—1980) აქცენტი აღებული ბრეწველობის. სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის განვითარებაზე. განათლებაზე.

82 მლნ ადამიანით დასახლებული ნიგერიის ეროვნული საბითუმო პროდუქტი 25 მლრდ დოლარს შეადგენს, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. ფედერალურმა მთავრობამ თავის კონტროლს ქვეშ აიყვანა განათლების საკითხი და 1976 წლის სექტემბრიდან შემოღებულია საყოველთაო უფასო, სავალდებულო დაწყებითი სწავლება. დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა, რომელიც 1975 წელს 5 მლნ-ს უდრიდა, 1980 წლისათვის 11,5 მლნ-ს უნდა მიაღწიოს. ანალოგიურად 23 ათასიდან 53 ათასამდე უნდა გაიზარდოს სტუდენტთა რიცხვი. განათლების სფეროში მთავრობის საბოლოო მიზანია უფასო სწავლება ყველა საფეხურზე.

1976 წლის 1 აპრილიდან ნიგერიაში გაიშალა კამპანია ლოზუნგით —„გამოვკვებოთ ქვეყანა" — სასწავლო დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს, სამხედრო ნაწილებს, წინადადება მიეცათ აწარმოონ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტი.

1966 წელს სამოქალაქო ხელისუფლების დაცემის ერთ-ერთი მთავა-

რი მიზეზი საშინაო-პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობა იყო. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მასშტაბებში გაბატონებული იყო სამი ეთნიკური ჯგუფი — იორუბა, იბო და ჰაუსა-ფულანი. სწორედ იმ მიზნით, რომ შემდგომში თავიდან აეცილებინათ ძალაუფლების რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის ხელში თავმოყრა და ეთნიკურ უმცირესობებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება მისცემოდათ, ნიგერია დაიყო ჯერ 12, ხოლო მოგვიანებით — 19 შტატად.

1979 წლის 1 ოქტომბრისათვის დაგეგმილია ნიგერიის გადასვლა სამოქალაქო მმართველობაზე. მანამდე კი უნდა შემუშავდეს ახალი კონსტიტუციის პროექტი და ეროვნული პრინციპის მიხედვით შეიქმნას შტატები.

1979 წლისათვის სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლა რომ გატარდეს, ამისათვის საჭიროა მრავალი პრობლემის გადაჭრა, მათ შორის ისეთი პრობლემის, როგორიცაა ეთნიკური წონასწორობა. აქამდე მთავრობის წევრების და სამხედრო გუბერნატორების დანიშვნისას უპირატესობა ენიჭებოდათ პრივილეგირებულ ეთნიკურ ჯგუფებს.

ვინაიდან ნიგერიას ნავთობის დიდი მარაგი გააჩნია, დასავლეთელი შრომმხილველები ჩვეულებრივ მისი ხიმდიდრის აბსოლუტიზირებას ახდენენ და ყურადღების გარეშე ტოვებენ მთელ რიგ პრობლემებს. თავის სიტყვაში, როდესაც იხილებოდა 1976—1977 საფინანსო წლების ბიუჯეტი, ობასანჯომ თანამემამულეები გააფრთხილა, რომ ქვეყნის ეკონომიკა „გადახურდა" და თუმცა ნიგერია მდიდარ ქვეყნად ითვლება, რეალური მდგომარეობა არცთუ იმდენად სახარბიელოა. კერძოდ, მან მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 1975—1976 საფინანსო წლის პირველი 9 თვის შემოსავალმა 6, 24 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო ნამდვილად გასავალი და კაპიტალური ხარჯები 7,52 მლრდ დოლარით გამოიხატა, რასაც 1,28 მლრდ დოლარის დეფიციტი მოჰყვა. 6,5 მლრდ დოლარიდან 4.5 მლრდ დოლარამდე შემცირდა უცხოური ვალუტის მარაგი.

1975 წელს წინა წელთან შედარებით 15 პროცენტით შემცირდა ექსპორტი, მაშინ როდესაც 101,1 პროცენტით გაიზარდა იმპორტი. 200 მლნ დოლარს მიაღწია სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა. ყოველივე ამასთან ნიგერია აღმოჩნდა ინფლაციის მარწუხებში, რომელიც 1977 წლის დასაწყისისათვის 43 პროცენტს უდრიდა.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით ობასანჯო იძულებული

იყო 20 პროცენტით შეემცირებინა 1976—1977 საფინანსო წლის ბიუჯეტი.

ნიგერიის არმია (250 ათასი ჯარისკაცი) ყველაზე დიდია აფრიკაში და მისი შენახვაც მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის ბიუჯეტს.

თვით ნიგერიელთა აზრით ადმინისტრაცია ხშირად არასწორად ადგენს პირველმნიშვნელობის ამოცანებს და ცუდად განაგებს ქვეყნის რესურსებს. მაგალითად, 1974 წელს სხვადასხვა უცხოურ კომპანიასთან დაიდო ხელშეკრულება 20 მლნ ტონა ცემენტის შესყიდვაზე, როდესაც რეალური მოთხოვნილება 4 მლნ-ს არ აღემატებოდა. გემების ქარავანმა, რომელმაც ცემენტი ჩამოიტანა, გადატვირთა ნიგერიის პორტები, შეფერხდა სხვა გემების გადმოტვირთვა, რის გამოც მთავრობა იძულებული შეიქნა ყოველ გაცდენილ გემზე 4100 დოლარი ეხადა დღიურად. ამან სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. გაუმართლებლად დიდძალი სახსრები იხარჯება საპრესტიჟო პროექტებზე. ლაგოსის შტატმა 1.2 მლნ დოლარი გამოყო შტატის ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად, 800 ათასი დოლარი დაჯდება კანის გუბერნატორის რეზიდენცია, 3,2 მლნ დოლარი — რივერსის. ფედერალურ სამხედრო მთავრობას განზრახული აქვს პატარა ქალაქი და აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კონფერენციათა სახლი ააშენოს, რაც 28 მლნ დოლარი დაუჯღება ქვეყნის ბიუჯეტს.

როგორც ამერიკული ჟურნალი „კარენტ ჰისტარი" 1976 წლის ნოემბრის ნომერში წერდა, თავის საგარეო ურთიერთობაში ნიგერიას არ გააჩნია არც მუდმივი მტრები, არც მუდმივი მეგობრები. უკანასკნელ წლებში გამწვავდა მისი ურთიერთობა აშშ-სა და ინგლისთან. აშშ-თან ურთიერთობის გამწვავების მიზეზი იყო უკანასკნელის პოზიცია ანგოლის ამბებში და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაწილეობა გენერალ მოჰამედის მკვლელობაში. ამის პირდაპირი შედეგი იყო 1976 წლის გაზაფხულზე იმდროინდელი სახელმწიფო მდივნის კისინჯერის ვიზიტის გაუქმება ნიგერიის მხარის მიერ. მოჰამედის მკვლელობამ ინგლისთანაც გამოიწვია ურთიერთობათა გამწვავება; ძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობის ორგანიზაციაში ხელი ერია ლონდონში მცხოვრებ გოვონსაც. ნიგერიამ გოვონის რეპატრიაცია მოითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. ამის საპასუხოდ ნიგერიამ თავისი სტერლინგის მარაგიდან 70 მლნ გირვანქა სტერლინგი გაყიდა და როგორც ჟურნალი „აფრიკა კონფიდენშლ"-ი 1976 წლის მარტში ამტკიცებდა, აქედან მოყოლებული

დაიწყო სტერლინგის კურსის დაცემა. 1976 წლის მარტში ნიგერიის მოთხოვნით ლონდონი იძულებული იყო ლაგოსიდან გაეწვია თავისი უმაღლესი კომისარი.

აფრიკის საქმეებში, განსაკუთრებით განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებში, უკანასკნელ პერიოდში ნიგერიამ უაღრესად რაციონალური და რადიკალური პოზიცია დაიკავა. ნიგერიელი მიმომხილველები ახალ კურსს „ახალ რევოლუციურ საგარეო პოლიტიკას“ უწოდებენ.

კენია

1963 წლის 1 ივნისს ოფიციალურად გამოცხადდა კენიის საშინაო თვითმმართველობა. პირველ ეროვნულ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჯ. კენიატა. ახლოვდებოდა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ ინგლისელი კოლონიზატორები მაინც არ ფიქრობდნენ ბრძოლის გარეშე დაეთმოთ თავიანთი პოზიციები. აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის კაპიტალის გავლენის შენარჩუნების მიზნით ლონდონში შემუშავდა გეგმა კენიის, უგანდის და ტანგანიკის მონაწილეობით აღმოსავლეთ აფრიკის ფედერაციის შექმნის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფედერაციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა, როდესაც ერთა ლიგის გადაწყვეტილებით ინგლისმა ტანგანიკის მართვის მანდატი მიიღო. უფრო მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ინგლისმა აზიაში დაკარგა თავისი კოლონიების უდიდესი ნაწილი, კვლავ გაიხსენეს ფედერაციის შექმნის გეგმა. 1947 წელს სამი კოლონიის ინგლისელ გუბერნატორთა მოლაპარაკების შედეგად დაარსდა ეგრეთ წოდებული აღმოსავლეთ აფრიკის უმაღლესი კომისია, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა რიგი საერთო საკითხები. 1961 წლის ივლისში კომისია შეცვალა ე. წ. აღმოსავლეთ აფრიკის საერთო უწყებათა ორგანიზაციამ, რომელიც შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისაგან — საკანონმდებლო და აღმასრულებელი. ორგანიზაციის მთელი სისტემა ინგლისის კაპიტალის ინტერესებს პასუხობდა, მაგრამ 1963 წლის შემდეგ უკვე აღარ არსებობდა იმის გარანტია, რომ ყოველივე ეს უცვლელი დარჩებოდა სამი უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს სინამდვილეში. მყარ გარანტიად შეიძლება ქცეულიყო მხოლოდ შესაფერისი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ლონდონში წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც კენიის, უგანდისა და ტანგანიკის ფედერაცია. ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში ანტიიმპერიალისტური მოძრაობა უგანდასა და ტანგანიკაში გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე კენიაში, ფედერაციას შეეძლო კენიის ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობაც დაემუხრუჭებინა. 1963 წ. ინგლისის მთავრობამ ფედერაციის შექმნა გამოაცხადა კენიის სრული დამოუკიდებლობის აუცილებელ პირობად. კენიის სრული დამოუკიდებლობის დაჩქარების მიზნით ჯ. ნიერერემ, მ. ობოტემ და ჯ. კენიატამ 1963 წლის 5 ივნისს გამოაქვეყნეს დეკლარაცია ფედერაციის შექმნის შესახებ. დაარსდა სპეციალური კომისია ფედერაციის კონსტიტუციის შესამუშავებლად.

ტანგანიკის, უგანდის და კენიის პატრიოტები პრინციპში დადებითად შეხვდნენ ფედერაციის იდეას, ვინაიდან ისინი ფედერაციის შექმნას უკავშირებდნენ სულ სხვა პრინციპებს, ვიდრე ინგლისელი კოლონიზატორები.

1963 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლონდონში მიმდინარეობდა ინგლის-კენიის მოლაპარაკება. ინგლისის მთავრობა ცდილობდა დამოუკიდებელი კენიის კონსტიტუციაში რეგიონალიზმის პრინციპის შენარჩუნებას და, რაც მთავარია, ინგლისის ჯარების დატოვებას ქვეყანაში. კენიატას მთავრობის მტკიცე პოლიტიკის შედეგად ლონდონი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. კენიის ახალი კონსტიტუცია ითვალისწინებდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. სანაპირო ზოლი, რომელიც იურიდიულად ზანზიბარის სულთნის მმართველობას ემორჩილებოდა, კენიის განუყოფელ ნაწილად იქცა. ქვეყნის სრული განთავისუფლების თარიღად დადგინდა 1963 წ. 12 დეკემბერი.

მიუხედავად იმისა, რომ კენიის განთავისუფლების თარიღი ლონდონში დაადგინეს მშვიდობიან ატმოსფეროში, დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად, კენიის ხალხმა თავისუფლება მოიპოვა ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ. ნაირობში თავისუფლების ზეიმზე, თავის მისალმებაში უგანდის პრეზიდენტმა მ. ობოტემ განაცხადა: „დღეს დადგა მომენტი, როდესაც კენია უმაღლეს დონეზე ფორმალურად უტოლდება ალჟირს, როგორც კოლონიური აფრიკის გმირი. სასტიკი იყო ბრძოლა კენიაში. მან ბევრის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ხალხმა უკან არ უნდა იყუროს. დაე მან რეალობად აქციოს ასე ძნელად მოპოვებული დამოუკიდებლობა“. უგანდის პრეზიდენტის პარალელი სრულიად სამართლიანია; აფრიკაში ალჟირის შემდეგ ძნელად თუ მოიპოვება ქვეყანა, სადაც ბრძოლა თავისუფლებისათვის ასე ხანგრძლივი და სასტიკი ყოფილიყოს.

თავისუფლების მოპოვების შემდეგ ერთ-ერთ მთავარ მტკივნეულ

საკითხად იქცა ეროვნული სახელმწიფო და ადმინისტრაციული აპარატის შექმნა. კენიაში ფაქტიურად ხელუხლებელი დარჩა კოლონიალიზმის პერიოდის სტრუქტურა, რომელიც კოლონიზატორთა ინტერესებთან იყო შეხამებული. სახელმწიფო და ადმინისტრაციულ აპარატში თავიანთ ადგილებზე დარჩნენ ინგლისელი ჩინოვნიკები, რომლებიც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ ინგლისისა და საერთაშორისო კაპიტალის ინტერესებს.

კოლონიურ პერიოდში ინგლისელებს, ისევე როგორც სხვაგან, არც კენიაში შეუწუხებიათ თავი ადგილობრივი კადრების მომზადებით. თავისუფლების მოპოვებიდან 4 წლის შემდეგაც კი 1967 წელს, ამერიკის ყოფილი ელჩი კენიაში ეტვუდი წერდა, რომ „თეთრკანიანთა შიში უსაფუძვლო გამოდგა: სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტი კვლავინდებურად ინგლისელ მაკენზის უკავია, ხოლო კენიის სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა უწყებაში 1700 ინგლისელი მსახურობს“. ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის უფრო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა უცხოური კაპიტალის ბატონობა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სფეროში. ოფიციალური არასრული მონაცემებით კენიაში განთავისუფლების პერიოდში 1 600 000 უმუშევარი ითვლებოდა. ასეულ ათასობით უმიწო კენიელი გლეხი ელოდა ინგლისელთა მიერ წართმეული მათი კუთვნილი მიწების უკან დაბრუნებას. მაღალპროდუქციული, თანამედროვე ფერმები და პლანტაციები მთლიანად უცხოელთა ხელში იმყოფებოდა. გაცილებით სავალალო მდგომარეობაა მრეწველობაში, აქ უცხოური კაპიტალის ბატონობა განუყოფელია. თუმცა თავის უშუალო მეზობლებთან შედარებით კენიის მრეწველობა უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება, მაგრამ უკანასკნელიც ვიწრო სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან იგი კოლონიურ პერიოდში შეიქმნა ბრიტანეთის კაპიტალის მოთხოვნილებებთან კენიის ეკონომიკის შეხამების შედეგად. კენიის მრეწველობა ძირითადად შემოფარგლული იყო ნედლეულის მოპოვებით და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამუშავებით.

კენიის მთელი ვაჭრობა დღემდე უცხოურ მონოპოლიათა ხელში იმყოფება. ესენია ინგლისის „მაკენზი-დალგეტი ლტდი“, „მიტჩელ კოტტს გრუპპ“, ინგლის-ჰოლანდიის კონცერნი „იუნილეევერი“, ჰოლანდიის „ტვენტშე ოვერსიზ ტრეიდინგ კომპანი ისტ აფრიკა“ და სხვ. უცხოური ბანკების ხელშია კენიის მთელი ეკონომიური ცხოვრება.

განთავისუფლების მომენტისათვის არასახარბიელო მდგომარეობა-

ში იმყოფებოდა კენიის ფინანსური ცხოვრება. ეროვნულმა მთავრობამ კოლონიური ადმინისტრაციისაგან მემკვიდრეობად მიიღო მხოლოდ ვალები. 1964 წლისათვის კენიის ოფიციალური ვალი 86 მლნ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. საიდანაც 68 მლნ საგარეო ვალი იყო. ეროვნული მთავრობის დამოუკიდებელ მოღვაწეობას ხელს უშლიდა ბრიტანეთის იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული კონსტიტუციაც. კენიის სახელმწიფოს მეთაურად ინგლისის დედოფალი ითვლებოდა, რომლის წარმომადგენელიც კენიაში გენერალ-გუბერნატორი მაკდონალდი იყო. ცენტრალური ხელისუფლებისა და პარლამენტის ძალაუფლებას ზღუდავდნენ პროვინციათა საკანონმდებლო ასამბლეები, სადაც ძლიერი იყო ინგლისურ კომპანიათა და სეტლერთა გავლენა. ოპოზიციურ პარტიას კადუ-ს ინგლისელები იყენებდნენ მმართველი პარტიის კანუ-ს წინააღმდეგ.

საგარეო პოლიტიკის სფეროში კოლონიალიზმმა კენიას გადასაჭრელად დაუტოვა სასაზღვრო კონფლიქტი სომალისთან. კონფლიქტი ხელოვნურად გამწვავდა იმპერიალისტთა მიერ ორივე აფრიკული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უშუალო წინა პერიოდში. კოლონიური რეჟიმის პირობებში ინგლისის მთავრობის ხელში იმყოფებოდა კენიის მთელი საგარეო ურთიერთობა. თავის მხრივ ინგლისელები მათთვის მისაღებ მასშტაბებში ნებას რთავდნენ სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მონოპოლიების მოღვაწეობას კენიაში; ნებადართული იყო აშშ-ის, გფრ-ის და დასავლეთის კიდევ რამოდენიმე სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებანი. ამავე დროს კენიის ხალხისათვის მოსპობილი იყო კონტაქტთა ყოველგვარი საშუალებანი სოციალისტურ ბანაკთან, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კენიის მთავრობის პირველი ღონისძიება მიმართული იყო ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის სალიკვიდაციოდ. ოფიციალურად აღიარეს ქვეყნის ყველა მოქალაქის პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის პრინციპი. გაუქმდა რეზერვაციათა რეჟიმი. 70 წლის მანძილზე აფრიკელებმა პირველად იგრძნეს თავი თავიანთი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ. დაიწყო მმართველობის აპარატის აფრიკანიზაციის რთული და ხანგრძლივი პროცესი. იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და ქვეყნის ერთერთმა პროგრესულმა მოღვაწემ, ოგინგა ოდინგამ ბევრი რამ გააკეთა ინგლისელთა და კომპრომეტირებულ აფრიკელთაგან ადმინისტრაციული აპარატის გასაწმენდად. 1964 წელს 423 ბელადიდან შეიცვალა

205, რამაც ხელი შეუწყო პროვინციათა ადმინისტრაციული აპარატის განახლებას. 1964 წელსვე კენიის პოლიციისა და უშიშროების ძალების უფროსის თანამდებობიდან გადააყენეს ინგლისელი გენერალი კატლინგი და მისი ადგილი კენიელმა დაიკავა.

კენიატას მთავრობა თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, წერა-კითხვის უცოდინარობისა და დაავადებათა ლიკვიდაციას. ამ მიზნით შემუშავდა კენიის ეკონომიური და კულტურული განვითარების პირველი შვიდწლიანი გეგმა. 1964 წლის 10 ივნისს პარლამენტმა მოიწონა გეგმა, რომელსაც ეწოდა „წითელი გეგმა". გეგმაში შემდგომ შეიტანეს რიგი ცვლილებები და 1966 წელს გამოქვეყნდა ახალი გეგმა — „მწვანე გეგმა". ეს გეგმაც 1970 წლამდე იყო განსაზღვრული.

დამოუკიდებელი კენიის მშენებლობაში ადგილობრივი მოსახლეობის ენთუზიაზმის გამოვლინებას წარმოადგენდა სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა ანალოგიურ დაწესებულებათა მასობრივი მშენებლობა. მშენებლობას თვითონ მოსახლეობა აწარმოებდა საკუთარი სახსრებით. ამგვარი მეთოდით 1964 — 1968 წწ. კენიაში აშენდა 336 დაწყებითი სკოლა. კენიის მთავრობის მიერ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ 1964 წელს, დეკემბერში მთავრობას წარუდგინა თავისი მოსაზრებანი განათლების სისტემის რეორგანიზაციის შესახებ. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე აფრიკელ ბავშვებს მხოლოდ აფრიკულ სკოლებში შეეძლოთ განათლების მიღება, ევროპელთა ბავშვები კი სხვა, უკეთ მოწყობილ სკოლებში სწავლობდნენ. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ სასწავლო პროგრამებიც. ფაქტიურად კენიაში ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული განათლების ორი სისტემა არსებობდა — ერთი აფრიკელთათვის, მეორე ევროპელთათვის. ზემოხსენებულმა კომისიამ შეიმუშავა დაწყებითი განათლების სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო ქვეყნის ყველა მაცხოვრებლის სრულუფლებიანობაზე. გადაისინჯა სასწავლო პროგრამაც. თუ ადრე ისტორიისა და გეოგრაფიის პროგრამა ძირითადად მოიცავდა ინგლისისა და ევროპის ისტორიასა და გეოგრაფიას, ახლა მთავარი ყურადღება ეთმობოდა კენიასა და მთლიანად აფრიკას. სწრაფი ტემპებით ფართოვდებოდა სასკოლო ქსელიც. თუ 1963 წელს დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 900 ათასს უდრიდა, 1964 წელს უკვე 980 849-მდე გაიზარდა, ხოლო 1968 წელს—1209680-ს მიაღწია. მკვეთრად გაიზარდა მოსწავ-

ლეთა რიცხვი საშუალო სკოლებშიც. სოფლებსა და ქალაქებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით იქმნებოდა საღამოს სკოლები და სპეციალური წრეები.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ჯანმრთელობის დაცვის საქმეშიც. გაფართოვდა სამედიცინო პუნქტთა პროფილაქტიკური მოღვაწეობა. 1964 — 1968 წწ. ორჯერ გაიზარდა საწოლთა რაოდენობა საავადმყოფოებში.

დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნდა რადიოსა და ტელევიზიის ინგლისურ კორპორაციათა ნაციონალიზაციასა და რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო უწყების („კენიის ხმა“) შექმნას. ეს იყო ნაციონალიზაციის პირველი აქტი დამოუკიდებელ კენიაში.

ეკონომიკის სფეროში პირველ წლებში მომხდარ ცვლილებათაგან აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში აფრიკულ მეურნეობათა როლის ზრდა. იზრდებოდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1964 — 1968 წწ. ეროვნული შემოსავლის წლიური მატება 6,3 პროცენტს უდრიდა.

ამავე დროს ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის პირველივე წლებში კენიის ეკონომიურ ცხოვრებაში თავი იჩინეს სერიოზულმა უარყოფითმა მოვლენებმაც. ვინაიდან მთავრობა თავს იკავებდა უცხოურ კომპანიათა და ფინანსურ კორპორაციათა ნაციონალიზაციისაგან, მეურნეობის ყველა დარგში ძველებურად ბატონობდნენ ინგლისური კონცერნები და ბანკები, რომელთა მოგებაც, როგორც წესი, დაუყოვნებლივ ირიცხებოდა უცხოეთში. ქვეყნის პროგრესულ მოღვაწეთათვის ცხადი იყო, რომ უცხოური კაპიტალის ბატონობა ხელს უშლიდა ქვეყნის პროგრესს.

ამავე დროს თვით კენიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწყება ქონებრივი დიფერენციაციის ნეგატიური პროცესი; საფუძველი ეყრება უკვე ეროვნული კაპიტალისტური მეურხეობების შექმნას. თუმცა ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად უცხოური კაპიტალის ხელში იმყოფებოდა, მაგრამ ამავე დროს იგივე უცხოური კაპიტალი ხელს უწყობდა მცირერიცხოვან აფრიკელ მეწარმეთა ფენის წარმოქმნას, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა კენიის კაპიტალისტური გზით განვითარებაში. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, კენიის საზოგადოებაში კაპიტალისტურ ელემენტთა განვითარება, აფრიკული კერძომესაკუთრეობრივი საწარმოების ზრდა და ეროვნული ბურჟუაზიის ფორმირება

მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა ექსპლოატაციის ზრდის ხარჯზე ხდება. ამავე დროს კვლავინდებურად მწვავედ დგას მთელი რიგი სოციალური პრობლემები, რომელთა გადაჭრაშიც დაინტერესებულია კენიის ფართო მასები.

სისტემატურად იზრდება უმუშევართა რიცხვი, ვინაიდან მოსახლეობის ყოველწლიური მატება საშუალოდ 3 პროცენტით აღემატება მუშახელზე მოთხოვნილებას. 1971 წლის დეკემბრისათვის კენიაში რეგისტრირებული იყო 235 000 უმუშევარი. რასაკვირველია, უფრო დიდ ციფრებში გამოიხატება უმუშევართა ფაქტიური რაოდენობა.

სახსრების უკმარისობის გამო ვერ შესრულდა უფასო სწავლებისა და სამედიცინო მომსახურების გეგმა. ავადმყოფთა გოსპიტალიზაცია (გარდა ბავშვებისა) კვლავინდებურად ფასიანია და ხელმიუწვდომელია მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის.

თავისუფლების მოპოვებიდან ხანმოკლე პერიოდში კენიამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა აზიისა და აფრიკის ბევრ სახელმწიფოსთან. ქვეყნის პატრიოტული ძალების სერიოზულ მიღწევას წარმოადგენდა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. 1964 წლის იანვარს მოსკოვში ჩამოვიდა კენიის პირველი ელჩი საბჭოთა კავშირში ა. ოტუკო. „მე ძლიერ ბედნიერი ვარ, — განაცხადა ელჩმა მოსკოვში ჩამოსვლისთანავე, — რომ ჩამოვედი ამ დიად ქვეყანაში, რომლის ხალხიც დიდი ხნის განმავლობაში გვეხმარებოდა ჩვენ კოლონიალიზმისა და უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ არის საბჭოთა კავშირი ცნობილი არა მარტო კენიაში, არამედ მთელს აფრიკასა და მსოფლიოში“. 1964 წლის აპრილ-მაისში საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა კენიის მთავრობის დელეგაცია კანუს ვიცე-თავმჯდომარისა და საშინაო საქმეთა მინისტრის ო. ოდინგას მეთაურობით. 11 მაისს კრემლში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-კენიის კომუნიკე და სპეციალური შეთანხმება კულტურისა და მეცნიერების დარგში თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა გულისხმიერებით მოეკიდა ახალგაზრდა სახელმწიფოს გეგმებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების თაობაზე და პრინციპული თანხმობა განაცხადა მთელ რიგ ეკონომიური დანიშნულების ობიექტთა მშენებლობაში დახმარებაზე. მიღწეულ იქნა აგრეთვე შეთანხმება საბჭოთა კრედიტის შესახებ. ამავე პერიოდში საბჭოთა მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო კენიის ხალხისათვის საჩუქრის სა-

ხით აეშენებინა 200 ადგილიანი ჰოსპიტალი და პოლიკლინიკა. პირველ ორ წელიწადს ჰოსპიტალსა და პოლიკლინიკას საბჭოთა მთავრობის ხარჯზე მოემსახურებოდნენ საბჭოთა სპეციალისტები. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება ასევე საჩუქრის სახით 1000 სტუდენტზე განსაზღვრული ტექნიკური კოლეჯის მშენებლობისა და მისი ყველა საჭირო მოწყობილობითა და სახელმძღვანელოებით აღჭურვის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-კენიის ერთობლივ კომუნიკეში აისახა ორივე ქვეყნის პოზიცია საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებში. კენიის მხრიდან აღინიშნა სამ სფეროში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის თაობაზე მოსკოვის ხელშეკრულების სრული მხარდაჭერა. კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ კენიის მხარე მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირის ინიციატივას სასაზღვრო დავათა მშვიდობიანი გზით გადაჭრის შესახებ და აღნიშნულ საკითხზე საბჭოთა მთავრობის 1963 წლის 31 დეკემბრის განცხადებას განიხილავს როგორც აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს. კომუნიკე მოიცავდა აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და კენიის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების კონკრეტულ პროგრამას.

მოსკოვში ხელმოწერილმა კომუნიკემ კენიის მთელი საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. იმდროინდელი ერთადერთი ეროვნული პროგრესული ჟურნალი „პან-აფრიკა“, კომენტარს უკეთებდა რა მოსკოვის კომუნიკეს, ხაზგასმით მიუთითებდა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის დახმარებათა შორის არსებულ კონტრასტზე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მასშტაბებმა კენიაში და განსაკუთრებით კი მისმა მეგობრულმა კონტაქტებმა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ინგლისელებზე რომ აღარაფერი ითქვას, 1964 წელს კენიაში 1900 ამერიკელი ბიზნესმენი, მისიონერი და სპეციალისტი იმყოფებოდა. მხოლოდ ნაირობში თავისი წარმომადგენლობა გააჩნდა 21 ამერიკულ ფირმას. 1966 წელს ამერიკელთა რიცხვმა კენიაში 2600 კაცს მიაღწია, ხოლო ამერიკულ ფირმათა რაოდენობა 52-მდე გაიზარდა. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ ინგლისი და აშშ ყველაფერს აკეთებდნენ, რათა არ დაეშვათ კენიის განვითარება არაკაპიტალისტური გზით. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მტრულმა აქტებმა კენიის მიმართ თავი იჩინეს თავისუფლების პირველივე თვეებში. ნეოკოლონიზატორების მაქინაციათა

შედეგად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კენიის ნამდვილი პატრიოტები — ყოფილი პარტიზანები; მათ, როგორც ადრე, არ გააჩნდათ მიწა და სახლი. მათი კუთვნილი მიწები ან ინგლისელ სეტლერთა, ან ინგლისელებთან მოთანამშრომლე აფრიკელთა ხელში იმყოფებოდა. ინგლისელ ოფიცერთა ინიციატივით ფართო ხასიათი მიიღო რეპრესიებმა თავისუფლების ყოფილ მებრძოლთა მიმართ. 1964 წლის თებერვალს კენიის მილიციის ინგლისელმა ოფიცრებმა დააპატიმრეს 50-იანი წლების შეიარაღებული აჯანყების ლეგენდარული გმირი „ფელდმარშალი" მვარიამა. ინგლისელმა მოსამართლემ მაკრიდიმ ბრიტანელი ოფიცრის „შეურაცხყოფისათვის" კენიის ეროვნულ გმირს ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა. „მვარიამას საქმე გაკვეთილად უნდა იქცეს სხვებისათვისო", — განაცხადა მოსამართლემ. კენიის ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა გასათიშავად და დასასუსტებლად ინგლისელები ფართოდ იყენებდნენ თავიანთ პოზიციებს ქვეყნის ეკონომიკაში, არმიაში, სამინისტროებსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. აფრიკანიზაციის საბაბით ინგლისელები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ პროდასავლეთურად (უპირველეს ყოვლისა, პროინგლისურად) განწყობილ აფრიკელთა დაწინაურებას მმართველობის აპარატში.

ნეოკოლონიალიზმის დასაყრდენ ბაზას წარმოადგენდა ოპოზიციური პარტია კადუ, რეაქციონერი მოხელეები, ბელადები და სხვ. ჯერ კიდევ კოლონიური ადმინისტრაციის დროს 1961 წელს შემუშავდა ე. წ. „მოდლინგის გეგმა", რომელიც ითვალისწინებდა სეტლერებისაგან 1 მლნ აკრი[1] მიწის გამოსყიდვას და მის მიყიდვას შეძლებულ აფრიკელთათვის. გეგმის მთავარი დანიშნულება იყო აფრიკელ ფერმერკულაკთა კლასის შექმნა. გეგმის ღირებულება შეადგენდა 26 მლნ გირვანქა სტერლინგს, რომელიც ინგლისის მთავრობამ სესხის სახით მისცა კენიას. ინგლისელთა მიერ დადგენილი წესების მიხედვით სეტლერი ერთ აკრ მიწაში კენიის მთავრობისაგან ღებულობდა 10 გირვანქა სტერლინგს, მაშინ როდესაც თვითონ თავის დროზე შეძენილი ჰქონდა ორ გირვანქად. „მოდლინგის გეგმის" განხორციელებას მოჰყვა აფრიკელ მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის შექმნა.

1964 წლის შემოდგომაზე ნაირობში მიმდინარეობდა მოლაპარაკება კონგოს საკითხზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ აშშ-ის ელჩი კენიაში ეტვუდი, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კომისიის თავმჯ-

---

[1] 1 აკრი=4, 47 კვ. მეტრს.

დომარე კონგოს საკითხში კენიის პრემიერ-მინისტრი ჯ. კენიატა (1964 წლიდან რესპუბლიკის პრეზიდენტი), ქ. გბენიეს მთავრობის წარმომადგენელი კანზა და აფრიკის ერთობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი დ. ტელი. ამერიკის ელჩი, თანახმად ვაშინგტონიდან მიღებული ინსტრუქციისა, ყოველმხრივ ცდილობდა მოლაპარაკების გაჭიანურებას ,ვიდრე 24 ნოემბერს სტენლივილში არ იქნებოდა გადასხმული ამერიკის დესანტი.

იმპერიალისტთა შეიარაღებულმა აგრესიამ კონგოში, კენიის ხალხთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. 26 ნოემბერს ნაირობში მოეწყო მასობრივი დემონსტრაცია და მიტინგი. დემონსტრანტებს მოჰქონდათ აშშ-სა და ბელგიის აგრესიის საწინააღმდეგო ლოზუნგები. მთავრობის სხდომაზე ო. ოდინგამ ამერიკის ელჩის გაძევებაც კი მოითხოვა-კენიიდან. 27 ნოემბერს ნაირობში შეიკრიბა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კომისია კონგოს საკითხზე, რომელმაც გადაჭრით დაგმო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესია სტენლივილში. იმავე დღეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე კენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. მურუმბიმ კონგოს მთელ ტრაგედიაში საჯაროდ დასდო ბრალი ბელგიისა და აშშ-ის იმპერიალიზმს.

ამავე დროს თვით კენიის საშინაო ცხოვრებაში მთელი სიმწვავით დადგა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზის საკითხი. პროგრესულ მოღვაწეთა რწმენით კენიის წინაშე მდგომი რთული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელი იყო მხოლოდ არაკაპიტალისტური ფორმაციის პირობებში. უკანასკნელი შეხედულება ასახული იყო აგრეთვე კანუს პროგრამაშიც და მის 1963 წლის საარჩევნო მანიფესტშიც, სადაც ლაპარაკი იყო „დამოუკიდებელი დემოკრატიული სოციალისტური კენიის“ შექმნაზე. შემდგომში როგორც თვით პარტიის, ასევე პარლამენტის არაერთფეროვანი შემადგენლობის გამო არაკაპიტალისტური გზის მომხრეთა პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა. გამწვავდა წინააღმდეგობა ღრმა სოციალ-ეკონომიურ რეფორმათა მომხრე ეროვნულ-პატრიოტულ ძალებსა და კერძო კაპიტალის განმტკიცება-განვითარების მომხრეთა შორის. ორი მიმართულების ბრძოლამ მთლიანად მოიცვა კანუ, მთავრობა, პარლამენტი. პროფკავშირები და საზოგადოებრივი დაწესებულებები. მან თავისი ასახვა პოვა აგრეთვე კენიის სინამდვილეში ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა მიწის საკითხი-მას შემდეგ, რაც მთავრობა შეუდგა ინგლისელთა მიერ თავსმოხვეული

გეგმის ვანხორციელებას 1 მლნ აკრი მიწის გამოსყიდვის შესახებ, ინგლისელ სეტლერთა საკუთრებაში კვლავ რჩებოდა 7 მლნ აკრი საუკეთესო მიწებისა. გარდა ამისა, დამოუკიდებლობის პირველივე ორ წელს დასავლეთის კომპანიებმა კენიაში შეისყიდეს 635 182 აკრი მიწა. შექმნილმა მდგომარეობამ ფართო მასების სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. მიწის საკითხში მთავრობის პოზიციის კრიტიკით გამოვიდნენ ავრეთვე ო. ოდინგა და ქვეყნის პარლამენტის წევრი ბ. კაგია. უკანასკნელმა რამდენჯერმე ოფიციალურად, პრესის საშუალებით გამოთქვა თავისი მოსაზრებანი თავისუფლებისათვის მებრძოლ და უმიწაწყლოდ დარჩენილ კენიელთათვის მიწების დარიგების შესახებ, რის საპასუხოდაც 1964 წლის მაისში მთავრობის სახელით მას მიეცა ოფიციალური წინადადება: ან დათანხმებულიყო მთავრობის პოლიტიკას მიწის საკითხში, ან გადამდგარიყო. ბ. კაგია გადადგა.

მიწის საკითხში მთავრობის პოზიციის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ აგრეთვე ო. ოდინგა, ა. ანეკო და სხვა პროგრესული პოლიტიკური მოღვაწენი. კენიის საშინაო რეაქციამ ფართო კომპანია წამოიწყო აგრეთვე საბჭოთა კავშირის დახმარების ხასიათის გაყალბების მიზნით. პარლამენტში ანტისაბჭოურ კომპანიას სათავეში ჩაუდგა ოპოზიციური პარტია კადუ. ოპოზიციის მტკიცებით საბჭოთა დახმარებას მთლიანად ღებულობდა მხოლოდ ნიენხის პროვინცია, საიდანაც იყო წარმოშობით ო. ოდინგა, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას მოსკოვში.

მთელი 1964 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო საქმეთა სამინისტროში ტ. მბოიას მეთაურობით მუშავდებოდა შესწორებანი მოქმედ კონსტიტუციაში. კონსერვატორულმა წრეებმა შეძლეს კონსტიტუციის პროექტში საგრძნობლად შეესუსტებინათ ვიცე-პრეზიდენტის როლი (ყველასათვის ეჭვგარეშე იყო, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი იქნებოდა ჯ. კენიატა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი ო. ოდინგა), საბოლოო ჯამში ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილებას განსაზღვრავდა პრეზიდენტი წერილობითი განკარგულებით და არა კონსტიტუცია. საკითხის მთელი სირთულე ის იყო, რომ რეაქციას არავითარ შემთხვევაში არ სურდა დაეშვა რადიკალურად მოაზროვნე ო. ოდინგას პრეზიდენტობა იმ შემთხვევაში, თუ უკვე ხანდაზმული ჯ. კენიატა რაიმე მიზეზის გამო ვეღარ შეძლებდა პრეზიდენტის ფუნქციათა შესრულებას.

საკუთარ ამომრჩეველთა მოთხოვნით 1964 წლის 9 ნოემბერს კადუს ხელმძღვანელობა იძულებული იყო პარტია დაშლილად გამოე-

ცხადებინა. პარტიის ყოფილი წევრები შევიდნენ კანუს რიგებში. რამ-დენიმე დღის შემდეგ წარმომადგენელთა პალატამ და სენატმა ერთხ-მად მიიღო კონსტიტუციის შესწორებანი. კადუს ავტომატურმა შერწ-ყმამ კანუში გამოიწვია უკანასკნელში პროდასავლეთურ, კონსერვატო-რულ ძალთა გაძლიერება. როგორც შემდგომში თვითონ ო. ოდინგა წერდა, „კადუს კანუსთან შერწყმამ არა თუ გააძლიერა პარტია, არამედ გამთიშველი ძალები წარმოქმნა კანუში.“ 1964 წლის 11 დეკემბერს კენიიდან გაიყვანეს ინგლისის ჯარები, მაგრამ კენიის არმიის მთავარსა-რდლად დარჩა ინგლისელი გენერალი ჰარდი. დარჩნენ აგრეთვე ინგ-ლისელი ოფიცრები და ინსტრუქტორები.

1964 წლის 12 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა კე-ნიის რესპუბლიკა. გამოცხადდა ახალი მთავრობის შემადგენლობაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძველთან შედარებით უკანასკნელი გაცი-ლებით პროდასავლეთური იყო. ო. ოდინგა, რომელსაც ადრე საშინაო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა, გახდა ვიცე-პრეზიდენტი ძალზედ შეზღუდული უფლებებით. საშინაო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკა-ვა კადუს ყოფილმა ლიდერმა გოიმ.

მიუხედავად იმისა, რომ კანუს საპროგრამო დოკუმენტებში არაორ-აზროვნად იყო უარყოფილი განვითარების კაპიტალისტური გზა, კენია-ში ფართო პერსპექტივები იშლებოდა კერძოკაპიტალისტური სექტო-რის მოღვაწეობისათვის. ასეთ ვითარებაში 1966 წლის გაზაფხულზე კანუს ლიდერთა ჯგუფში — მთავრობისა და პარლამენტის წევრები, გამოვიდნენ პარტიიდან და დააარსეს დამოუკიდებელი პარტია — კე-ნიის ხალხთა კავშირი (კპუ). კპუ-ს თავმჯდომარედ აირჩიეს ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტობიდან გადამდგარი ო. ოდინგა. ახალი პოლიტიკური პარტია თავიდანვე გამოვიდა მიწის საკითხის რადიკალური გადაჭრის, მრეწველობის წამყვანი დარგების ნაციონალიზაციის, უცხოური და მსხვილი კერძო კაპიტალის შეზღუდვის მოთხოვნით.

კენიის საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაციის პროცესი მიმ-დინარეობდა ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში ინგლისისა და აშშ-ის იმ-პერიალიზმის სულ უფრო და უფრო აქტიური ჩარევის პირობებში. იმ-პერიალისტთა მაქინაციების შედეგად კვლავ წარმოიშვა ტომთაშორის შუღლის საფრთხე. ძალზე დაიძაბა ურთიერთობა ორ დიდ ტომს, კიკუ-იუსა და ლოუს შორის.

კპუ-ს შექმნის შემდეგ კენიის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშ-ვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ახალი ეთნოპოლიტიკური ბლო-

კის შექმნა — კიკუიუსა და კალენჯინის ალიანსი, რომელმაც შეცვალა კიკუიუ-ლოუს კავშირი. 1969 წლისათვის უკიდურესად გამწვავდა წინააღმდეგობანი კენიის მმართველ წრეებს შორის. სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ახალგაზრდა მინისტრის ტ. მბოიას, ამ დროს უკვე კანუს გენერალური მდივნის, გავლენა. იგი როგორც კენიაში, ასევე უცხოეთშიც ძალზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწე იყო (ჟურნალ „აფრიკენ უორლდ"-ს ცნობით, ერთ დროს ტ. მბოიას კანდიდატურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთანაც კი განიხილებოდა). იგი იყო „აფრიკული სოციალიზმის" აღიარებული იდეოლოგი, კენიის მმართველი პარტიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის ავტორი, მემარცხენე ოპოზიციის წინააღმდეგ კამპანიის ორგანიზატორი. საზოგადოებაში ტ. მბოიას გაჩნდა „ამერიკის კაცის" მტკიცე რეპუტაცია. ამავე დროს იგივე ტ. მბოია იყო ეროვნული ერთობისათვის აქტიური მებრძოლი. სისტემატურად ვამოდიოდა ტრაიბოლიზმის წინააღმდეგ და მშვენივრად ერკვეოდა კენიის ეკონომიურ შესაძლებლობებში.

ტ. მბოიას წინააღმდეგ გამოდიოდა კიკუიუს ლიდერთა ჯგუფი. ფრაქციათა ბრძოლა მთავრობის ზედა ფენებით არ შემოფარგლულა და მალე იგი პროვინციებშიც გავრცელდა. ასეთ ვითარებაში 1969 წლის 5 ივლისს ნაირობის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში მოკლეს ტ. მბოია. მალე დააპატიმრეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი პიროვნება (წარმოშობით კიკუიუ), რომელსაც, მიუხედავად არასაფუძვლიანი ბრალდებისა, მიესაჯა სიკვდილით დასჯა. ტ. მბოიას მკვლელობას მოჰყვა სტიქიური გამოსვლები. ნაირობში ხალხმა ქვები დაუშინა პრეზიდენტის კორტეჟს. შიდაპოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა. კრიზისის კულმინაციურ მომენტს წარმოადგენდა 1969 წლის 25 ოქტომბრის დრამა ქ. კირუმუში, სადაც ჯ. კენიატას ვიზიტის დროს მოხდა მასობრივი მღელვარება. პოლიციამ ტყვია დაუშინა ხალხს, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი. ტომობრივი ნაციონალიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა ზოგიერთი პროგრესული პოლიტიკური მოღვაწეც, მათ შორის კანუს ვიცე-პრეზიდენტი ბ. კაგია, რომელმაც სხვა კიკუიუსთან ერთად 1969 წლის აგვისტოს დატოვა კპუ და დაუბრუნდა კანუს რიგებს. თავის მხრივ მთავრობაც ცდილობდა საგანგებო ღონისძიებებით დაესუსტებინა ოპოზიცია — 1969 წლის აგვისტოში უმიწაწყლო კენიელებს გადაეცათ 76 ევროპული ფერმა. მიუხედავად მთავრობის ღონისძიებებისა ოპოზიციის გავლენა განუხრელად ძლიერდებოდა.

მაშინ მთავრობამ პირდაპირი იერიში მიიტანა ოპოზიციაზე, ბრალი დასდო მას კირუმუს ტრაგედიის პროვოცირებაში, აკრძალა კპუ და დააპატიმრა მისი ყველა ლიდერი (ზოგი მათგანი, მათ შორის ო. ოდინგაც 1971 წელს გაათავისუფლეს).

ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ. 1969 წლის დეკემბერში, დაინიშნა პარლამენტისა და პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები. თანახმად 1968 წლის კანონისა, კენჭის ყრის უფლება მხოლოდ კანუს წევრებს გააჩნდათ. პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს ჯ. კენიატა. არჩევნების შედეგად პარლამენტში თავისი ადგილი დაიკავა ბ. კაგიამ.

1969 წლის დეკემბრის არჩევნების შედეგად კენიის პარლამენტი საფუძვლიანად იქნა განახლებული, მაგრამ ამ ფაქტს არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია არც საშინაო, არც საგარეო პოლიტიკაში. კანუს წინასაარჩევნო მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ ქვეყნის განვითარების 1970 — 1974 წწ. გეგმა ითვალისწინებს ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებას. გათვალისწინებული იყო გეგმით დადგენილ ხარჯებში უცხოური დახმარების როლის შემცირება. დაიგეგმა აგრეთვე უფასო სამედიცინო დახმარება და უფასო 7-წლიანი განათლება, სპეციალური და უმაღლესი განათლების ქსელის გაფართოება, საუნივერსიტეტო კოლეჯთა რეორგანიზაცია და სხვა. ისევე როგორც 1966-1970 წწ. გეგმაში, დიდი ადგილი დაეთმო უცხოურ და ადგილობრივ კერძო ინვესტორებს. კვლავინდებურად უცხოურ დახმარებაზე იქნა ორიენტირებული ქვეყნის ეკონომიური განვითარება. ამერიკულმა პრესამ ახალ გეგმას „კარგად ბალანსირებული და საკმაოდ მოქნილი უწოდა“, თუმცა იქვე აღნიშნული იყო, რომ „ეკონომიურ პრობლემათა გადაჭრა კენიის მთავრობის პოლიტიკურ დათმობათა ფასად დაჯდებაო“. რადიკალურ სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნებზე უარის თქმა და უცხოური კაპიტალის მოღვაწეობის სრული თავისუფლება, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან კონტაქტთა შეზღუდვა და სხვა ანალოგიური ღონისძიებანი უკვე შეიძლება განვიხილოთ როგორც კენიის მთავრობის ზემოხსენებული საფასური.

70-იანი წლების დასაწყისიდან მკვეთრად გაუარესდა კენიის მოსახლეობის ფართო ფენების მდგომარეობა, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია ინფლაციითა და ეკონომიური განვითარების ტემპების შენელებით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. კვლავ ტრადიციული სიმწვავით დგას მიწის საკითხი.

ეთიოპია

ეთიოპიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ხანა იწყება ქვეყნიდან იტალიელ ოკუპანტთა განდევნის შემდეგ. 40-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა მთელი რიგი დეკრეტები, რომელთაც რადიკალური ცვლილებები შეიტანეს ეთიოპიის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მთავრობის ღონისძიებანი, რომელთაც საბოლოო ჯამში 50-იანი წლებისათვის მონობის სრული გაუქმება მოჰყვა. 1944 წელს გატარდა საგადასახადო სისტემის რეფორმა; ფულად გადასახადს იხდიდნენ უკვე არა მხოლოდ დამუშავებულ მიწებზე, არამედ დაუმუშავებლებზეც, რაც მიმართული იყო ძირითადად მსხვილ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ. მთავრობის ღონისძიებებს კაპიტალისტური წეს-წყობილების შედარებითი გაძლიერება მოჰყვა, თუმცა უკანასკნელ გარემოებას ოდნავაც არ შეუცვლია გლეხობის მდგომარეობა სოფლად: გლეხების ცხოვრების დონის სისტემატური გაუარესების პირდაპირი შედეგი იყო მღელვარებანი ეთიოპიის მთელ რიგ სასოფლო რაიონებში; 1950—1960 წწ. მთავრობა რამდენჯერმე იძულებული გახდა ჯარი გაეგზავნა პროვინციებში სერიოზული აჯანყებების ჩასაქრობად. მიწათმფლობელობის საკითხის საბოლოოდ მოგვარების მიზნით დაარსდა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც უნდა მოემზადებინა მიწის რეფორმის პროექტი. იმპერატორის 1961 წლის განკარგულებით არუსის პროვინციაში სახელმწიფოსადმი კუთვნილი მიწის ნაწილი დაურიგდათ იმავე მიწაზე მომუშავე გლეხებს, რომელთაც უნდა გადაეხადათ მიწაზე საკუთრების გასაფორმებელი გადასახადი. 1955 წლის იანვარში უკვე ქვეყნის პარლამენტმა განიხილა მიწის რეფორმის კანონპროექტი. პროექტი ითვალისწინებდა მაქსიმალური საიჯარო გადასახადის დადგენას არა უმეტეს მოსავლის 50 პროცენტისა. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი მხოლოდ ნაწილობრივ ზღუდავდა ფეოდალთა ინტერესებს, იგი უარყოფილ იქნა სენატის მიერ. 1966 წელს მიწის რეფორმის კომიტეტი გადა-

კეთდა სპეციალურ სამინისტროდ. მაგრამ არც ამ ღონისძიებას მოჰყოლია რაიმე სერიოზული ცვლილება მიწათმფლობელობის საკითხში.

ომისშემდგომ პერიოდში ჰაილე სელასიემ გარკვეული ღონისძიებები გაატარა მრეწველობის განვითარების მიზნით: ადის-აბებაში, აკაკიში, ბასრ-დარში, ასმარაში, დირედავში და სხვა ქალაქებში აშენდა გადამმუშავებელი მრეწველობის მსხვილი საწარმოები, მდ. ავაშეზე აშენდა მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, ასაბეში მწყობრში ჩადგა ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა.

ომისშემდგომ პერიოდთან შედარებით 60-იან წლებში რვაჯერ გაიზარდა ეთიოპიის საგარეო ვაჭრობის ბალანსი (1945 წ. 74, 3 მლნ ეთიოპიის დოლარიდან 665,2 მლნ ეთიოპიის დოლარამდე 1966 წ.). ამავე დროს აღნიშნულ პერიოდში საგრძნობლად გაძლიერდა უცხოური კაპიტალის შეჭრა ეთიოპიაში. ამერიკულმა კომპანიამ „სინკლერ ოილ კორპორეიშნ"-მა ჯერ კიდევ 1945 წელს მიიღო 50 წლის ვადიანი კონცესია ნავთობის მოპოვებაზე, 1959 წლიდან მისი ფუნქციები გადაეცათ დასავლეთგერმანულ ფირმებს. ამერიკული კომპანიები აწარმოებენ ოქროსა და სხვა წიაღისეული სიმდიდრის მოპოვებას. 1964 წელს საფრანგეთის კომპანიებმა დაიწყეს მდ. ავაშეზე ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, ფრანგული კაპიტალი მონაწილეობდა აგრეთვე ნაზარეთ-დილას რკინიგზის ხაზის მშენებლობაში. უცხოური კაპიტალის მოღვაწეობის გააქტიურებას და საერთოდ კაპიტალისტური წარმოების ტემპების ზრდას ეთიოპიაში კლასობრივი ბრძოლის გააქტიურება მოჰყვა. მუშათა კლასობრივი შეგრძნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი გამოხატულება იყო პროფესიული კავშირების წარმოშობა. 60-იანი წლებისათვის ეთიოპიაში უკვე არსებობდა რკინიგზელთა, მშენებელთა, მსუბუქი მრეწველობის დარგის მუშაკთა და სხვა პროფკავშირები. პროფკავშირთა შექმნის შემდეგ ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს მუშათა გაფიცვები. თავის მხრივ მუშათა მოძრაობის სისტემატური და ორგანიზებული ხასიათი მთავრობას აიძულებს გარკვეული ზომები მიიღოს შრომის კანონმდებლობის დასადგენად. 1962 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა კანონი შრომით ურთიერთობათა და სამუშაოთი უზრუნველყოფის შესახებ. კანონი მიმართული იყო უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით ეთიოპიის პროვინციებში შეიქმნა მუშახელის დამქირავებელი ბიუროები, ხოლო ადის-აბებაში — ცენტრალური ბიურო. კანონით დადგინდა აგრეთვე მუშათა უფლებები პროფკავშირების შექმნის შესახებ. 1965 წელს ქვეყანაში არსებო-

ბდა უკვე 50 პროფკავშირი, რომლებიც გაერთიანდნენ პროფკავშირთა ეროვნულ კონფედერაციაში.

ნაწილობრივი დემოკრატიზაცია შეეხო აგრეთვე ეთიოპიის სახელმწიფო წყობილებასაც: 1955 წლის ნოემბერში მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლითაც ფორმალურად უზრუნველყოფილი იყო საყოველთაო-საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით, რეორგანიზებულ იქნა სასამართლო სისტემა. 1957 წლის შემოდგომაზე ეთიოპიაში პირველად ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. კაბინეტის ფორმირებას უკვე პრემიერ-მინისტრი და არა იმპერატორი ახდენდა.

საგარეო პოლიტიკის დარგში მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა ზღვაზე გასასვლელის მოპოვება: 1950 წლის დეკემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი-წევრიც ეთიოპიაა, მიიღო გადაწყვეტილება 1952 წელს ეთიოპიასთან ფედერაციის ფარგლებში ერიტრეის შეერთების შესახებ, ხოლო 1962 წელს ერიტრეა იქცა ქვეყნის ერთ-ერთ პროვინციად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის დიდი პოზიტიური როლი, რომელსაც ეთიოპია ასრულებს აფრიკის კონტინენტზე. ეთიოპიის საერთაშორისო მნიშვნელობას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ, ჯერ ერთი, აფრიკის სახელმწიფოთა თვალში ის წარმოადგენს დამოუკიდებლობის სიმბოლოს და, მეორეც, გეოგრაფიულად იგი მდებარეობს კონტინენტის არაბულ სამყაროსა და ტროპიკულ ქვეყნებს შორის. ეთიოპიის როლი აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთიანი ანტიკოლონიური ფრონტის შექმნა-განმტკიცებაში განსაკუთრებით გაძლიერდა 1963 წელს, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, რომლის შტაბ-ბინაც ადის-აბებაში მდებარეობს.

დასავლეთის სახელმწიფოთაგან ეთიოპიაში განსაკუთრებით ძლიერია აშშ-ის გავლენა. აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ეთიოპიის სტრატეგიულ მდებარეობას, აგრეთვე, იმ ხვედრით წონას, რომელიც უკანასკნელს აფრიკის ქვეყნებში გააჩნია. სწორედ ამ ფაქტორებით აიხსნება, რომ ეთიოპიაზე მოდიოდა აფრიკისადმი განკუთვნილი აშშ-ის მთელი სამხედრო დახმარების ნახევარზე მეტი. 1953 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა აშშ-ეთიოპიის ხელშეკრულება ურთიერთთავდაცვის შესახებ, რომლის ძალითაც აშშ-მა ვალდებულება იკისრა იარაღი მიაწოდოს ეთიოპიას და მონაწილეობა მიიღოს მისი არმიის წვრთნაში. დაიდო აგრეთვე ხელშეკრულება ეთიოპიის სამხედრო დანიშნულების ობიექტთა აშშ-ის შეიარაღებული ძალების მიერ გამოყე-

ნების შესახებ. ასმარის მახლობლად აშენდა აშშ-ის მძლავრი რადიოკავშირის ბაზა, რომლის პერსონალი 2 ათას კაცს აღწევს. ეჭვგარეშეა, რომ ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის კონტინენტის უძველეს დამოუკიდებელ ქვეყანას.

თუ ეთიოპია-აშშ-ის ურთიერთობაში აშკარად იგრძნობა უკანასკნელის მისწრაფება აფრიკაში მძლავრი პლაცდარმის შექმნისაკენ, სულ სხვა პრინციპებზეა დამყარებული ეთიოპიის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოებთან. 1943 წელს ეთიოპიასა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. იმპერატორი ჰაილე სელასიე სამჯერ იყო ოფიციალური ვიზიტით საბჭოთა კავშირში (1959 წ., 1967 წ. და 1970 წ.). საბჭოთა კავშირის დახმარებით ეთიოპიაში აშენდა ორი მნიშვნელოვანი ობიექტი — ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ასაბაში და პოლიტექნიკური ინსტიტუტი ბახრ-დარში. ადის-აბებაში მუშაობს აგრეთვე საბჭოთა ჰოსპიტალი. 1968 წლის მაისს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენიდან 25 წლისთავთან დაკავშირებით, გაზეთი „ვოის ოფ ეთიოპია“ მოწინავე სტატიაში წერდა: „25 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა მოიხვეჭა ეთიოპიის მეგობრის სახელი კაცობრიობის ისეთ ტრადიციულ მტრებთან ბრძოლის საკითხში, როგორიცაა სიღარიბე, ავადმყოფობა და უმეცრება“.

ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ეთიოპიის მთავრობა სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს დაგეგმვის ფაქტორს: შედგენილია ეკონომიკის განვითარების 20-წლიანი (1963—1982 წწ.) პერსპექტიული გეგმა. გეგმა ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში 12682 მლნ ეთიოპიის დოლარის დაბანდებას. გეგმის შესრულების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა, ეთიოპია იქცევა აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. გეგმის შესრულებისათვის ოპტიმალური პირობების შესაქმნელად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს საგეგმო ორგანოთა სრულყოფისათვის. გეგმის დაფინანსებაში კვლავ დიდი ადგილი ეთმობა უცხოურ ინვესტიციებს. ეთიოპიის მთავრობას კარგად ესმის დასავლეთის დახმარების იმპერიალისტური ხასიათი, მაგრამ ქვეყნის სუსტი ეკონომიური მდგომარეობა სისტემატურად აიძულებს მას ხელი შეუწყოს უცხოურ ინვესტიციებს.

ამავე დროს ეთიოპიაში იზრდება უკმაყოფილება აშშ-ის მიმართ,

ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობისათვის ნათელი ხდება, რომ ეკონომიური დახმარება გამიზნულია პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესთა დასაცავად. 1964 წელს ჰაილე სელასიემ საჯაროდ გამოთქვა აღშფოთება ამერიკელ სპეციალისტთა 5-წლიანი მუშაობის შედეგების გამო — მათ უნდა შეესწავლათ ადგილობრივი პირობები მდ. ფინჩაზე ელექტროსადგურის მშენებლობისათვის. იმპერატორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქვეყნის საზოგადოებრიობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევს ამერიკის „მშვიდობის კორპუსის" წევრთა მოღვაწეობა. აშშ-ის გავლენის ნეიტრალიზების მიზნით დაფინანსების გარე წყაროთა ძებნაში ეთიოპია მიმართავს აგრეთვე ინგლისს, საფრანგეთს, გფრ-ს, იტალიას, იაპონიას. იაპონიის კაპიტალი წარმოდგენილია ეთიოპიის საფეიქრო მრეწველობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში. იაპონიის სამი ფირმის ხელშია ეთიოპია-იაპონიის კომპანიის „ეფიო-დჯაპანიზ სინტეტიკ ტექსტაილ შეა კ"-ს კაპიტალის 50 პროცენტი. სწრაფად იზრდება იაპონიასთან საქონელბრუნვაც. 1970 წელს იაპონიამ ეთიოპიაში შეიტანა 21, 5 მლნ დოლარის საქონელი, გაიტანა 4,3 მლნ-ის. რაც შეეხება გფრ-ს, უკვე 1965 წლიდან ეთიოპია იქცა აფრიკაში დასავლეთ გერმანიის კაპიტალდაბანდების მოცულობის მხრივ მეოთხე ქვეყნად (ლიბერიის, ალჟირისა და ლიბიის შემდეგ).

იტალიიდან იჭრება ეთიოპიაში როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კაპიტალი. კრედიტთა და სესხთა რაციონალური გამოყენების პირობებში თეორიულად შესაძლებელია, რომ მათ დადებითი როლი შეასრულონ ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში, მაგრამ ეთიოპია შედის მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში და იგი მთლიანად არის დამოკიდებული მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე, ეთიოპია მათი აგრარულ-სანედლეულო დანამატია. ამავე დროს კაპიტალიზმის განვითარებას ხელს უშლის წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური სტრუქტურა, ზოგიერთ პროვინციაში ჯერ კიდევ შემორჩენილია თემობრივი წყობილება. თავის მხრივ მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა იმპერიის პერიოდში გულისხმობდა ფეოდალიზმის თანდათანობით გადაზრდას კაპიტალიზმში, ფეოდალთა ხელში პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების პირობებში. ამ კურსს გულისხმობდა ჰაილე სელასიე, როცა 1962 წელს თავისი მმართველობის პროგრამად აღიარა „ფეოდალიზმის შეცვლა სისხლისღვრის გარეშე კერძო მიწათმფლობელობის პრინციპის დაცვით." ადგილებზე უკვე აღინიშნება მსხვილ ფეოდალთა გაბურჟუების ტენდენცია. მთავრობა

ყოველმხრივ უწყობდა ხელს კაპიტალიზმის განვითარებას. ამასვე ემსახურებოდა სახელმწიფო სექტორიც. სახელმწიფო კომპანიათა და საწარმოთა კუთვნილ აქციებს მთავრობა ჰყიდდა კერძო პირებზე, ბურჟუაზიის, ფეოდალთა და ინტელიგენციის წარმომადგენლებზე.

მიუხედავად ყოველივე ზემოხსენებულისა, დიდი ეკონომიური შესაძლებლობების მქონე ეთიოპია კვლავ სუსტადგანვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყნად რჩებოდა. უზრუნველყოფდა რა ხელსაყრელ საინვესტაციო ამინდს, მთავრობა ზღუდავდა სახელმწიფო სექტორს, რომელიც არ აინტერესებთ კაპიტალის კერძო დამბანდებლებს. ჯერ კიდევ 1963 წლის კანონით, ნებისმიერი კაპიტალდაბანდება და ახალი კერძო საწარმო, რომელიც შეიქმნება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ტურიზმის სფეროში, 5 წლით თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან. ამავე დროს მთავრობა ერთ ასპექტში განიხილავდა როგორც ეროვნული, ასევე უცხოური კერძო კაპიტალის მოღვაწეობის საკითხს. ძალზედ დიდია უკანასკნელის პრივილეგიები. უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ ნებისმიერ მოცულობაში გადარიცხონ უცხოეთში თავიანთი მოგება. არსებობს ე. წ. „სამართლიანი კომპენსაციის“ გარანტია, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა უცხოური ფირმის კუთვნილი საწარმოს ექსპროპრიაციას მოახდენს. უცხოელ კაპიტალდამბანდებელთა შეღავათები და უფლებები კიდევ უფრო გაიზარდა 1966 წლის კანონით. 1970 წელს ეთიოპიის მთავრობამ ხელი მოაწერა საერთაშორისო კონვენციას უცხოელ კაპიტალდამბანდებელთა ზარალის კომპენსირების თაობაზე. ხსენებული კონვენციის ავტორი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი იყო და, ბუნებრივია, კონვენცია მსხვილ მონოპოლიათა ინტერესებიდან გამომდინარეობს. უცხოური კაპიტალის უკონტროლო მოღვაწეობის პირდაპირი შედეგია ვალუტის გაზიდვა უცხოეთში: 1969 წელს ეთიოპიაში დაბანდდა 14, 9 მლნ ეთიოპიის დოლარი, ხოლო იმავე წელს უცხოეთში გადაირიცხა 12,3 მლნ ეთიოპიის დოლარი, ე. ი. ფაქტიური ინვესტიცია გამოიხატა მხოლოდ 2,5 მლნ ეთიოპიის დოლარით. მტკიცე ვალუტის სისტემატური გაზიდვა ქვეყნიდან უარყოფითად მოქმედებს საერთო ეკონომიურ მდგომარეობაზე.

70-იანი წლების დასაწყისში იგრძნობა ერთგვარი გამოცოცხლება ეთიოპიის ეკონომიკაში, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო ბაზარზე ეთიოპიის ყავაზე ფასების მომატებით, უკანასკნელი ვითარება კი თავის მხრივ განაპირობა ყავის წარმოების კრიზისმა ბრაზილიაში.

ეთიოპიის სინამდვილეში სოფლის მეურნეობა კიდევ დიდხანს შეასრულებს წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში. მეორე მხრივ, მდიდარ პოტენციურ რესურსთა რეალიზება პრაქტიკულად შეუძლებელია სოფლის მეურნეობაში ტრადიციულ ურთიერთდამოკიდებულებათა ლიკვიდაციის გარეშე. 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჰაილე სელასიემ საჯაროდ განაცხადა: „ჩვენი მიზანია ყოველი ეთიოპიელის მიწით უზრუნველყოფა", მაგრამ იმპერიის გაუქმებამდე ქვეყნის ნაყოფიერი მიწების 22,4 პროცენტი იმპერატორის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა, 12 პროცენტი იყო ეკლესიის ხელში, 58 პროცენტი 1768 მსხვილ ფეოდალს ეკუთვნოდა და მხოლოდ 7,3 პროცენტი — საშუალო და წვრილ გლეხობას.

ამავე დროს ეთიოპიის მთელი მოსახლეობის 90 პროცენტს კვებავს სოფლის მეურნეობა.

ეთიოპიის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ერიტრეის პრობლემა. ამ პროვინციის ეთიოპიასთან შეერთების შემდეგ ძლიერდება სეპარატისტული მოძრაობა, რომელმაც 70-იანი წლებისათვის უკვე ისეთ ფორმებს მიაღწია, რომ 1970 წლის 17 დეკემბერს ეთიოპიის მთავრობა იძულებული იყო საგანგებო მდგომარეობა შემოეღო ერიტრეის რიგ რაიონებში. ერიტრეის ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერთა მტკიცებით მხარე ისტორიულად არასოდეს არ შედიოდა ეთიოპიის შემადგენლობაში და მუდამ პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა. სინამდვილეში კი ერიტრეა, როგორც დამოუკიდებელი გეოგრაფიული და პოლიტიკური რეგიონი, შეიქმნა 1890 წელს, როდესაც იტალიამ ადრე ეთიოპიისაგან წითელი ზღვის სანაპიროზე მიტაცებულ ტერიტორიათაგან შექმნა კოლონია ერიტრეა.

სწორედ დღევანდელი ერიტრეისა და ჩრდილოეთ ეთიოპიის ტერიტორიები წარმოადგენენ აქსუმის სამეფოს ბირთვს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. შემდგომ ისტორიულ პერიოდში ცენტრალური და სამხრეთ ერიტრეის დიდი ნაწილი წარმოადგენდა ეთიოპიის იმპერიის შემადგენელ ნაწილს, ხოლო ჩრდილოეთ ერიტრეა ისტორიულად უფრო სუდანთან იყო დაკავშირებული. ერიტრეის ძირითადი მოსახლეობა — ტიგრაი, დანაკილი, სახო, აგაუ ცხოვრობს აგრეთვე ეთიოპიაშიც. ჩრდილოეთ ერიტრეის მოსახლეობა—ბეჯა, ცხოვრობს აგრეთვე სუდანის რესპუბლიკაშიც. რელიგიური რწმენით ერიტრეის მოსახლეობა, ისევე როგორც ჩრდილოეთ და სამხრეთ ეთიოპიის მოსახ-

ლეობა, გაყოფილია მუსულმანებად და ქრისტიანებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზემოხსენებული გადაწყვეტილების თანახმად ერიტრეა უერთდებოდა ეთიოპიას ავტონომიურ საფუძვლებზე და უნდა შეენარჩუნებინა საკუთარი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ეთიოპიის მთავრობა სისტემატურად არღვევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას, ხოლო ეთიოპიის 1955 წლის კონსტიტუცია ავტომატურად გავრცელდა ერიტრეაზეც, რაც ეწინააღმდეგებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციას და მძლავრი ნაციონალისტური მოძრაობა გამოიწვია ერიტრეაში. 1962 წლის ნოემბერში კი სავსებით იქნა ლიკვიდირებული ერიტრეის ფედერალური სტატუსი.

1961 წელს დაარსდა ე. წ. ერიტრეის განთავისუფლების ფრონტი (1967 წელს ფრონტს სათავეში ჩაუდგა ტ. ბეირუ, რომელიც 50-იან წლებში აქტიურად იბრძოდა ერიტრეის ეთიოპიასთან გაერთიანებისათვის): ფრონტის სეპარატისტული მოღვაწეობა ეწინააღმდეგება აფრიკის სახელმწიფოთა საერთო ტენდენციას კონსოლიდაციისაკენ და ამიტომ მან ვერ პოვა მხარდაჭერა აფრიკის ვერც ერთი სახელმწიფოს მიერ. უკანასკნელ წლებში მოხდა განხეთქილება თვით ფრონტის შიგნით.

თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში ეთიოპიის მშრომელთა სერიოზულ მიღწევას წარმოადგენდა 1963 წლის თებერვალში მენავთობე მუშების პროფკავშირის კოლექტიური ხელშეკრულება კომპანია „შელ"-თან. ეს იყო პროფკავშირებისა და უცხოურ კომპანიათა შორის დადებული პირველი კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა შრომის პირობების გაუმჯობესებას, პროფკავშირთა უფლებების აღიარებას, სამუშაო დღის რეგულირებას, შვებულებებს, კომპენსაციებს უბედური შემთხვევის დროს, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვ. მშრომელთა კლასობრივი თვითშეგნებისა და აქტიურობის გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკანასკნელ წლებში ცხოვრების პირობების საყოველთაო გაუარესების სინამდვილეში; 1972 წლის იანვარს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად ცხოვრების ღირებულება ადის-აბებაში წინა წლებთან შედარებით 13,2 პუნქტით გაიზარდა. განსაკუთრებით გაიზარდა ფასები პროდუქტებზე — 20,6 პუნქტით. „პირველი მოთხოვნილების საქონელზე — პროდუქტებზე, ტანსაცმელზე, მედიკამენტებზე — ფასების მუდმივი ზრდა წარმოადგენს სერიოზულ უბედურებას, რო-

ველიც ემუქრება ადის-აბებას მოსახლეობას“, — წერდა გაზეთი „ეთიოპიენ ჰერალდი“.

1974 წლის 23 თებერვალს „ღმერთის რჩეულმა და მეფეთა მეფემ“, 82 წლის ჰაილე სელასიემ ტელევიზიით გამოსვლაში განაცხადა, რომ მთავრობას ვადაწყვეტილი ჰქონდა გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა ფართო მასების ცხოვრების პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესებისათვის, კერძოდ ხელფასი მოემატათ მასწავლებლებს, სამხედრო პირებს, გაიაფდა ფასები საწვავზე და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ეთიოპიის ფინანსური მდგომარეობა და ეკონომიკა სავსებით არ იყო მომზადებული ამგვარ ღონისძიებათა გასატარებლად (მარტო ხელფასების მომატება ეთიოპიის ბიუჯეტის დეფიციტს 25 მლნ დოლარიდან 65 მლნ-მდე გაზრდიდა), არც ეთიოპიელებისათვის და არც უცხოელთათვის მოულოდნელობას არ წარმოადგენდა მთავრობის ღონისძიება. საქმე ის იყო, რომ 23 თებერვალს იმპერატორის გამოსვლას წინ უსწრებდა მძლავრი მთავრობის საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლები, რომელთაც საგრძნობლად შეარყიეს ეთიოპიის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არქაული და კონსერვატორული რეჟიმი.

ფართო მასების უკმაყოფილება ეთიოპიაში წლების განმავლობაში ღვივდებოდა. მას საფუძვლად ედო ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების სისტემატური გაუარესება, მასების სიღატაკის დინამიკური ზრდა და ფეოდალური წყობილება.

1973 წლის გვალვამ, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა აფრიკის მთელი რიგი ქვეყნები, ეთიოპიის უდიდესი რაიონებიც მოიცვა. ორ მილიონამდე ადამიანი დააზარალა გვალვამ, ხოლო გვალვით გამოწვეულმა შიმშილმა და ავადმყოფობამ 100 ათასზე მეტი ეთიოპიელი იმსხვერპლა. გლეხობა მასობრივად დაიძრა სოფლებიდან, რის შედეგადაც ქალაქში მკვეთრად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჯარისკაცთა ოჯახები. ცხოვრების დონე სასტიკად დაეცა. კიდევ უფრო გაიზარდა ზღვარი მდიდართა და ღარიბთა შორის. ამავე დროს მსოფლიოკაპიტალისტური წარმოების სისტემაში ყოფნამ ეთიოპია დასავლეთის სავალუტო და ენერგეტიკული კრიზისის მსხვერპლად აქცია (მიუხედავად იმისა, რომ ეთიოპიამ პროარაბული პოზიცია დაიკავა და დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ისრაელთან). სამრეწველო საქონლისა და ხავთობზე ფასების ზრდამ გამოუვალ ჩიხში მოაქცია ქვეყნის საგადასახადო ბალანსი. სარეკორდო ზღურბლს მიაღწია ბიუჯეტის დეფიციტმა. ასეთ ვითარებაში

ბოლო მოეღო ეთიოპიელთა ტრადიციულ ყოვლისმომთმენლობას — მშრომელები ქუჩებში გამოვიდნენ, არმია აჯანყდა.

1974 წლის დასაწყისს ეთიოპიის მთავარი სამხედრო-საჰაერო ბაზის დებრე-ზეიტეს უფროსმა ოფიცრებმა პეტიცია გაუგზავნეს იმპერატორს, რომელშიც ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. სასახლის უშიშროების სამსახურმა იმპერატორს წარუდგინა ვრცელი მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო შექმნილი სიტუაციის საფრთხე. იმპერატორი იძულებული იყო პირველ დათმობაზე წასულიყო — 13 თებერვალს სამხედრო-საჰაერო ძალების 43 ოფიცერს მოემატა წოდება, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ განიმუხტა და ბაზაზე მღელვარებამ იფეთქა. 18 თებერვალს კი მუშაობა შეწყვიტა ქვეყნის დაწყებითი და საშუალო სკოლების 18 ათასმა მასწავლებელმა, მათ შეუერთდნენ ადის-აბებას ტაქსების მძღოლები, უნივერსიტეტის პედაგოგები და სტუდენტები. გაფიცულები არ შეჩერდნენ ეკონომიურ მოთხოვნებზე და კატეგორიულად დააყენეს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების საკითხი — კონსტიტუციის შეცვლა, მიწის რეფორმის გატარება, სიტყვის, კრებების, პრესის თავისუფლება, პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის დაშვება და ა. შ. 23 თებერვალს ადის-აბებას ქუჩები უმუშევრებმა, მათხოვრებმა და სხვა იმედგაცრუებულმა ადამიანებმა გაავსეს. 4 დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა მღელვარება დედაქალაქში. ოფიციალური მონაცემებით, მოკლულ იქნა 25 კაცი, დაიჭრა 100, დაამტვრიეს 75 ავტობუსი და რამოდენიმე ათეული მსუბუქი მანქანა. პოლიციამ დააპატიმრა 600 კაცი. 24 და 25 თებერვალს აჯანყდა ერიტრეაში განლაგებული მეორე დივიზია, რომელსაც შეუერთდა ქალაქებში ხარარსა და დირევადუში განლაგებული მესამე დივიზია. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა თითქმის ყველა სამხედრო ბაზა და ერიტრეის სტრატეგიული რაიონი. ამჯერად არმია მხოლოდ მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა და საჯაროდ განაცხადა პირადად იმპერატორისადმი თავისი სრული ლოიალობა. 27 თებერვალს გადადგა პრემიერ-მინისტრი აკლილუ აბტე ვოლდა, რომელიც 13 წლის განმავლობაში ედგა მთავრობას სათავეში (მინისტრები იყვნენ აგრეთვე მისი ორი ძმა). ყოფილი პრემიერი და მინისტრები არმიამ დააპატიმრა. ახალ პრემიერ-მინისტრად იმპერატორმა დანიშნა 47 წლის არისტოკრატი, „დასავლეთის ყაიდის ლიბერალ-დემოკრატი“ ენდელკაჩეუ-მაკონენი. 5 მარტს იმპერატორის დეკრეტით ეთიოპიაში დაწესდა ე. წ. საკონსტიტუციო რეჟიმი. პრემიერს დაევალა ახალი კონსტიტუციის შე-

დგენა და „მოსახლეობის უმრავლესობის მისწრაფებათა შესაბამისი“ რეფორმების გატარება. სპეციალურ პრესკონფერენციაზე იმპერატორმა განაცხადა, რომ „ქვეყანაში ხელისუფლება თანაბრად განაწილდება იმპერატორს, მთავრობასა და პარლამენტს შორისო!“ რაც მთავარია, იმპერატორმა განაცხადა, რომ ეთიოპიაში დაშვებული იქნებოდა პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობა, რის შესახებაც სულ რამოდენიმე თვის წინ მას გაგონებაც კი არ სურდა. ამის შემდეგ თითქოს უნდა სტაბილიზირებულიყო მდგომარეობა ეთიოპიაში, მაგრამ ახალმა მთავრობამ დასახულ ღონისძიებათა გატარების დაწყებაც კი ვერ მოასწრო, რომ ქვეყანაში არნახული მასშტაბით იფეთქა მუშათა და პროფკავშირულმა მოძრაობამ. ეთიოპიის ისტორიაში პირველი საყოველთაო გაფიცვა მშრომელთა გამარჯვებით დამთავრდა. მთავრობა შეჰპირდა ხალხს, რომ ხელს არ შეუშლიდა სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებში პროფკავშირების შექმნას. ამით მან ფაქტიურად აღიარა მშრომელთა უფლებები გაფიცვებზე. მთავრობამ პირობა დასდო აგრეთვე, რომ გაადიდებდა ხელფასის მინიმუმს, ზომებს მიიღებდა უმუშევრობის წინააღმდეგ, გააუმჯობესებდა ცხოვრებისა და შრომის პირობებს და ა. შ.

თებერვალ-მარტის ამბების შემდეგ მოვლენათა განვითარება ეთიოპიაში ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა მასშტაბებითა და ტემპით შეიძლება (ან ისურვებდა) ახალი მთავრობა ცხოვრებაში გაეტარებინა არმიისა და მშრომელთათვის შეპირებული რეფორმები. რეფორმათა გაჭიანურების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ არმია კვლავ ჩაერეოდა საქმეში და მართლაც ივლისის პირველ რიცხვებში არმია კვლავ გამოვიდა პოლიტიკურ არენაზე; შეიქმნა სპეციალური სამხედრო საკოორდინაციო კომიტეტი, რომელიც ფაქტიურად რეალურ პოლიტიკურ ძალად იქცა ქვეყანაში. კომიტეტმა კატეგორიული ფორმით მოსთხოვა იმპერატორს შეპირებულ რეფორმათა დაუყოვნებელი გატარება. ივლისის ბოლოს კი არმიის მოთხოვნით ე. მაკონენი გადადგა და ქვეყნის პრემიერი გახდა მიქაელ იმრუ. არმიის აზრით მაკონენმა, რომელიც სულ ხუთ თვეს იდგა მთავრობის სათავეში, ვერ შეძლო სერიოზული რეფორმებისათვის საჭირო პირობების შექმნა. ახალი პრემიერი, იმრუ, გარდა იმისა, რომ ქვეყანაში სარგებლობდა ნიჭიერი ადამიანის რეპუტაციით, ძალზედ აწყობდა არმიასაც. იმპერატორი და ძველი მინისტრები არასოდეს ენდობოდნენ იმრუს და ამის გამო. ?ას

მეორეხარისხოვან სამინისტროებს აბარებდნენ, ან საზღვარგარეთ აგზავნიდნენ სამუშაოდ.

თუ პირველ ეტაპზე არმია სისტემატურად ხაზს უსვამდა პირადად იმპერატორისადმი თავის ერთგულებას, აგვისტოდან მოყოლებული სამხედროების მოქმედებაში უკვე აღარ იგრძნობოდა იმპერატორის პიროვნებისადმი ძველებური ერთგულება და პატივისცემა: 10 აგვისტოს იმპერატორის თვალწინ, მისსავე სასახლეში არმიამ დააპატიმრა მისივე ადიუტანტი გენერალ-ლეიტენანტი ასეფუ დემისიე. სამი დღის შემდეგ კი დააპატიმრეს იმპერატორის მეორე უახლოესი თანამშრომელი და მასთან დაახლოებული პირი, სასახლის ხაზინადარი ბლატუ ადმასუ რეტუ. სულ 1974 წლის აგვისტოსათვის დაპატიმრებული იყო 140-ზე მეტი ყოფილი მინისტრი, გუბერნატორი და სხვა ოფიციალური პირი, მათ შორის იმპერატორის რამდენიმე მრჩეველი და პირადი მეგობარი. საკოორდინაციო კომიტეტის მიერ გატარებულ ანტიმონარქიულ ღონისძიებებიდან თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა იმპერატორის სასახლეთა ნაციონალიზაცია, ამგვარმა ღონისძიებებმა დიდად დასცა იმპერატორის პრესტიჟი ფართო საზოგადოებრიობის თვალში.

ჰაილე სელასიე უკვე უძლური იყო ხელი შეეშალა სამხედროებისათვის, რომლებმაც მოკლე დროში ქვეყნის თითქმის მთელი არისტოკრატია დააპატიმრეს. ასე დაიწყო ეთიოპიის ისტორიაში უპრეცედენტო ანგარიშსწორება მმართველ კლასებთან — სასტიკი, მაგრამ სამართლიანი. არმიის საკოორდინაციო კომიტეტს ეწოდა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტი (დ ს ა კ). სიტუაციას ტრაგიკულ-კომიკურ ელფერს აძლევდა ის გარემოება, რომ მონარქიის მთავარი დასაყრდენი წრეების ლიკვიდაციას არმია იმპერატორის სახელით ახორციელებდა. მალე მოხუცი იმპერატორის გარშემო სრული სიცარიელე შეიქმნა და სამხედროები ოპერაციის დასკვნითი ეტაპის განხორციელებას — იმპერიის ლიკვიდაციას შეუდგნენ.

1974 წლის სექტემბრის დასაწყისში ეთიოპიის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ფართო კამპანია წამოიწყეს ხალხში დამკვიდრებული მითის გასაქარწყლებლად, რომლის თანახმადაც იმპერატორი თავის პიროვნებაში განახორციელებდა ქვეყნის ისტორიას, მის დიდებას და ეთიოპიელი ხალხის არსებობასაც კი. გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა იმპერატორის პირადი სიმდიდრის შესახებ — 17 მილიარდი დოლარი, ციფრი, რომელიც რამდენჯერმე აღემატებოდა ქვეყნის ბიუჯეტს. ამავე დროს ტელევიზია ყოველდღე აწყობდა რეპორტაჟებს გვალვისაგან დაზარა-

ლებული რაიონებიდან, სადაც აუარებელი ადამიანი იღუპებოდა შიმშილისაგან. თვით იმპერატორი ფაქტიურად უკვე საშინაო პატიმრობაში იმყოფებოდა: სამხედროები მას სასახლიდან ეკლესიაშიც კი არ უშვებდნენ. 11 სექტემბერს, ეთიოპიის კალენდრით ახალი წლის პირველ დღეს, დააპატიმრეს იმპერატორის ქალიშვილი. 12 სექტემბერს, დილის საუზმის შემდეგ, იმპერატორი ჩვეულებისამებრ თავის სამუშაო კაბინეტში ჩავიდა პირველ სართულზე. 9 საათზე ადიუტანტმა მასთან სამხედრო ჯგუფი შეიყვანა კაპიტნის, ლეიტენანტისა და კაპრალის შემადგენლობით. სამხედროებმა ჰაილე სელასიე პირველი, იმპერატორის დინასტიის 225-ე წარმომადგენელი, მანქანაში ჩასვეს და მე-4 დივიზიის ყაზარმებში წაიყვანეს. ეს იყო იმპერიის უკანასკნელი საათები ეთიოპიაში. იმავე დღეს ᲓᲡᲐᲪ-მა, რომელიც შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობათა 120 წარმომადგენელისაგან შედგებოდა. გამოაქვეყნა განცხადება დროებითი სამხედრო მთავრობის შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალი ამან ანდომი. მალე აშკარა შეიქნა, რომ ანდომი ნომინალური ფიგურა იყო და გარკვეული გაგებით 1952 წლის ეგვიპტის რევოლუციის დღეებში გენერალ ნაგიბის პროტოტიპს წარმოადგენდა. ისევე როგორც ეგვიპტეში ნაგიბს, ანდომსაც არ აწყობდა ახალგაზრდა ოფიცრების უმრავლესობის რადიკალური კურსი. პატივმოყვარე და პირადი ხელისუფლებისათვის მებრძოლ გენერალსა და ᲓᲡᲐᲪ-ის დანარჩენ წევრთა შორის ყრუ კონფლიქტი მალე დაუფარავ პირისპირდგომაში გადაიზარდა. 1974 წლის 22 ნოემბერს კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ანდომის დაპატიმრების თაობაზე, მაგრამ გენერალი არ დაემორჩილა ბრძანებას და მოკლეს წინააღმდეგობის გაწევის დროს.

ᲓᲡᲐᲪ-ის საპროგრამო განცხადებაში, რომელიც 15 პუნქტისაგან შედგებოდა, ასე იყო ფორმულირებული მმართველობის ძირითადი მიზნები: ყველა ეთიოპიელის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, აგრარული რეფორმის გატარება, მართლმსაჯულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სისტემათა რეორგანიზაცია, ტრადიციული ხელოსნობის წახალისება, მრეწველობის განვითარება, კულტურის ამაღლება. გამოქვეყნდა სპეციალური პროგრამა — „განვითარება თანამშრომლობის საშუალებით“, რომლის ამოცანაა ქვეყნის ფართო მოსახლეობის, უპირველეს ყოვლისა გლეხობის, პოლიტიკური შეგნების ამაღლება და საერთოდ ხალხის მომზადება ახალი ეროვნული ორიენტაციისათვის.

საგარეო პოლიტიკის სფეროში გამოცხადდა, რომ ეთიოპია მტკი-

ცედ დაიცავს მიუმხრობლობის პრინციპს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და აფრიკის ერთობის ორგანიზაციის წესდებებს, ურთიერთპატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე პირნათლად შეასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს. ამავე დროს შეჩერდა 1955 წლის კონსტიტუციის მოქმედება და სპეციალური დეკრეტით შეიქმნა საკონსულტაციო სამოქალაქო ჯგუფი 50 კაცის შემადგენლობით, რომელმაც უნდა მოამზადოს ახალი კონსტიტუციის პროექტი. ჯგუფის ყველა რეკომენდაცია დსაკ-მა უნდა დაამტკიცოს.

ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მასშტაბები მიიღო კამპანიამ, რომლის ლოზუნგია — „ეთიოპია — ტეკდემ" („ეთიოპია—უპირველეს ყოვლისა"). კამპანიის მიზანია „სიღარიბის, ავადმყოფობის, უმეცრობის ლიკვიდაცია, ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფა". კამპანიის მასშტაბებმა და მისდამი მასების პოზიციამ ცხადყვეს, რომ სამხედროებს აქტიურად უპერს მხარს ქვეყნის 26.5 მილიონიანი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ფართო მასებში დიდი რეზონანსი გამოიწვია კომიტეტის გადაწყვეტილებამ გვალვისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით 126, 5 მლნ ეთიოპიის დოლარის გამოყოფის შესახებ.

სამხედრო ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკაში თავიდანვე გამოიკვეთა სახელმწიფოს როლის გაძლიერების და სოციალისტური ორიენტაციის ტენდენცია. 1975 წლის დასაწყისში ნაციონალიზებულ იქნა კერძო ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, რამაც მთავრობას ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების მოღვაწეობის კოორდინირების საშუალება მისცა; ამავე დროს ნაციონალიზაციას ეთიოპიაში, ისევე როგორც ნებისმიერ განვითარებად ქვეყანაში, მთელი რიგი სიძნელეებიც მოჰყვა; ნაციონალიზაციით დაშინებულმა უცხოელმა და ადგილობრივმა კაპიტალის მფლობელებმა სასწრაფოდ იწყეს თავიანთი სახსრების გამოტანა ბანკებიდან და სადაზღვევო კომპანიებიდან. ნაციონალიზაციამ დააფრთხო აგრეთვე კერძო სექტორიც, რომლის ხვედრითი წონა ჯერ კიდევ ძალზედ დიდია ქვეყნის მრეწველობასა და ეკონომიკაში.

სწორად შეაფასა რა შექმნილი სიტუაცია, დსაკ-მა 1975 წლის 11 იანვარს გამოაქვეყნა განცხადება, რომელსაც უნდა დაემშვიდებინა უცხოელი კაპიტალმფლობელები და კერძო სექტორი. სამხედროები დროულად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჯერ კიდევ ნაადრევი იყო საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის ძირეული მსხვრევა — უც-

ხოური და ეროვნული კერძო კაპიტალის გარეშე პრაქტიკულად შეუძ-ლებელია სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელება.

ამავე დროს სამხედრო ხელისუფლებას სულაც არ ჰქონია განზრა-ხული თავის ნებაზე მიეშვა კერძოკაპიტალისტური სექტორი; დაწეს-და მკაცრი კონტროლი რიგ სასურსათო საქონლის ფასებზე. ახალი ფა-სები გაცილებით დაბალი იყო ადრე არსებულზე. გამოქვეყნდა დეკრე-ტი ეთიოპიის ისტორიაში პირველი მსხვილი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ფერმის დაარსების შესახებ. ფერმას 3 ათასი ჰა ნაყოფიერი მიწა გამოეყო, რომლის შესაძენად 3 მლნ დოლარი დაიხარჯა. შეძენილ იქნა აგრეთვე 500 ტრაქტორი.

1975 წლის 15 იანვარს სამხედრო ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა ერიტრეის თაობაზე; განცხადებაში ხაზგასმული იყო პრობლემის მნიშვნელოვანი გზით გადაჭრის აუცილებლობა და ერიტრეა აღიარებული იყო ეთიოპიის შემადგენელ ნაწილად. „ეთიოპიის სოციალიზმი გულისხმობს მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის ერთიანო-ბას“, — აღნიშნული იყო დოკუმენტში.

თებერვალში კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ნაციონალიზაციის მიმა-რთულებით — ნაციონალიზებულ იქნა სამრეწველო საწარმოთა დიდი ჯგუფი. მთავრობის კონტროლს დაემორჩილა ქვეყნის მთელი იმპორტი და ექსპორტი. ეროვნული რესურსების განვითარების ახლადშექმნილ სამინისტროს დაექვემდებარა კვების, საფეიქრო, პოლიგრაფიული, ლითონდამმუშავებელი, ქიმიური, ელექტროტექნიკური და სხვა დარ-გების 100-მდე ნაციონალიზებული საწარმო. ნაციონალიზებულ საწარ-მოთა ყველა მუშაკი გადაიყვანეს სახელმწიფო თანამშრომელთა კატე-გორიაში, რომელთაც უკვე სახელმწიფოს მიერ აქვთ გარანტირებული ხელფასი და პენსია. შეიქმნა საწარმოთა მმართველი ორგანოები: 5—9 კაცისაგან შემდგარი მუშათა კომიტეტები.

პირველად ეთიოპიის 3000 წლიან ისტორიაში გამოქვეყნდა ოფი-ციალური ცნობა ქვეყნის ფართო მასების, ძირითადად გლეხობის, გა-უნათლებლობისა და სიღატაკის შესახებ. სოფლის მეურნეობის სამი-ნისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ სოფ-ლის მეურნეობაში დასაქმებულ 23 მილიონ ეთიოპელთაგან მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტმა იცის წერა-კითხვა. თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა წლების განმავლობაში გლეხი, ამაზე მოგვითხრობს ეთი-ოპიელი მეცნიერი დებებე უორკუ, რომელიც ერთ-ერთ თავის გამოკ-ვლევაში წერდა: „დიდი გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ და-

მოკიდებულება მემამულესა და გლეხ-მოიჯარეს შორის იგივეა, რაც მონათმფლობელსა და მონას შორის". განსაკუთრებით მძიმე იყო ეკ-ლესია-მონასტრების მიწებზე მომუშავე გლეხობის მდგომარეობა.

1975 წლის მარტში, რევოლუციის დაწყებიდან ერთი წლის შემ-დეგ, შეიქმნა ტრადიციული, მემამულურ-ეკლესიურ, არქიჩამორჩენილ ეთიოპიაზე შეტევის პლაცდარმი.

4 მარტს გამოქვეყნებული მიწის რეფორმის დეკრეტის მთავარი დანიშნულება იყო ფეოდალური მიწათმფლობელობისა და მიწათსა-რგებლობის სისტემის ლიკვიდაცია. დეკრეტით მთელი მიწები (რო-გორც სახნავ-სათესი, ასევე საძოვრები) გამოცხადდა კოლექტიურ სა-კუთრებად, რომლის ყიდვა-გაყიდვა ან მემკვიდრეობით გადაცემა დაუ-შვებელია. აიკრძალა დაქირავებული შრომის გამოყენება. ყოფილი ფეოდალური ლატიფუნდიები და კაპიტალისტური პლანტაციები ვა-დავიდა სახელმწიფო ფერმების, კოოპერატივების საკუთრებაში.

1975 წლის მაისისათვის ეთიოპიის ცენტრალურ და სამხრეთ პრო-ვინციებში, სადაც ადრე მსხვილი ფეოდალური ლატიფუნდიები არსე-ბობდა, ასობით კოოპერატივი დაარსდა. ნაციონალიზებულ იქნა კულა-კური ტიპის 700 ფერმა და იმპერატორის საგვარეულო საკუთრებაში მყოფი 35 უდიდესი მამული. გამოანგარიშებულ იქნა, რომ სულ, ფეო-დალური მიწათმფლობელობის სისტემის ლიკვიდაციით, მდგომარეობა გაუუმჯობესდა სოფლის 20 მლნ მცხოვრებს.

ამავე დროს გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ რევო-ლუციურ რეფორმათა, განსაკუთრებით კი აგრარული რეფორმის პრაქ-ტიკული განხორციელება წყნარად და უმტკივნეულოდ ჩაივლიდა. მთელ რიგ განვითარებად სახელმწიფოთა მაგალითი გვიჩვენებს, რომ რაც უფრო რადიკალურ მიმართულებას ღებულობს რევოლუცია, მით უფრო აქტიურდება საშინაო და საგარეო რეაქცია. პროვოკაციები, ტე-რორი, რელიგიურ და ტრაიბოლისტურ გრძნობათა ხელოვნური გაღ-ვივება. შეიარაღებული ბრძოლა, საბოტაჟი, ჩვეულებრივ მოვლენებს წარმოადგენს ამ პერიოდში. რეაქციის ამგვარი მოქმედება გასაგები-ცაა — საკითხი ხომ ღრმა, ძირეულ სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნებს ეხება. ბუნებრივია, აგრეთვე, დასავლეთის პრესის რეაქციაც: ინგლი-სის, აშშ-ის, საფრანგეთის, გფრ-ის ბურჟუაზიული პრესა შეგნებულად აზვიადებს ობიექტურ და სუბიექტურ სიძნელეებს. ჩრდილოეთ ეთიო-პიაში, სადაც არასოდეს ყოფილა მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობე-ლობა, ბუნებრივია, რომ აგრარული რეფორმა გარკვეულ წინააღმდე-

გოპებს წაეწყდა, აქ ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლებსაც, რომლებიც დასავლეთის პრესამ ქვეყანაში წარმოებულ რევოლუციურ გარდაქმნათა წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა აჯანყებებად წარუდგინა თავის მკითხველებს. ამავე დროს თითო-ოროლა გაზეთი თუ წერდა იმ მასობრივ ენთუზიაზმზე, რომელიც მთელს ქვეყანაში იგრძნობოდა. 1975 წლის 6 ივლისის ნომერში ფრანგული „მონდი" იძულებული იყო ეღიარებინა: „იმსხვრევა და რევოლუციის გრიგალს მიაქვს თავის ტრადიციებსა და მითებში დახავსებული ძველი აგრარული ეთიოპია, ყოფილი აბისინიის სამეფო. ყველაფერი ისე ხდება თითქოს საჭირო იყოს ათასწლოვანი ჩამორჩენილობის სასწრაფოდ ლიკვიდირება". შეიძლება ფრანგულ გაზეთს ობიექტური მიზეზი გააჩნდა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა რევოლუციის ფორსირებული ტემპების მიზანშეწონილობა. „რევოლუციის გრიგალმა" ხომ დასავლეთის და მათ შორის ფრანგული იმპერიალიზმის ბევრი ტრადიციული პრივილეგიაც თან გაიყოლია. როგორც იქვე იუწყებოდა ფრანგული გაზეთი, უცხოეთიდან „რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად" სამშობლოში დაბრუნებულმა ეთიოპიელ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა ადის-აბებას ცენტრში გახსნა „პროგრესული წიგნის მაღაზია", სადაც ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში იყიდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები. პირველივე თვეს მაღაზიაში 95 000 მარქსისტული ნაწარმოები გაიყიდა. ეთიოპიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად აღინიშნა პირველი მაისი. რასაკვირველია, ბურჟუაზიული გაზეთი აღფრთოვანებით ვერ შეხვდებოდა ასეთ მოვლენებს.

მიმომხილველთა საყოველთაო აღიარებით ოთხი საფრთხე ემუქრება სამხედრო რეჟიმს; მარჯვნიდან, მარცხნიდან, ეკონომიური მდგომარეობა და საკუთარ რიგებში განხეთქილება. რეაქცია მთავარ იმედს მემარჯვენე ძალებზე ამყარებდა, სადაც ერთ ფრონტად გაერთიანდნენ კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთი და ე. წ. „მიწათმფლობელთა მილიცია" — ფეოდალთა კერძო დაქირავებული შეიარაღებული რაზმები.

კონტრრევოლუციურ სამხედრო გამოსვლებს სათავეში ჩაუდგნენ მსხვილი ფეოდალი მენგეშა სეიუმი და ერთ დროს პოპულარული გენერალი ნეგარ ტეგეგე. ქვეყანაში, სადაც ტრადიციულად ძლიერია რელიგიის გავლენა და საუკუნეების განმავლობაში იმპერატორის ღვთაებრიობის გრძნობას უნერგავდა ხალხს ეკლესია, ანტიმონარქიული და ანტიფეოდალური რევოლუციის პირველ ფაზაზე მოსალოდ-

ნელი იყო, რომ პოლიტიკურად მოუმზადებელი ფართო მასების ერთი ნაწილი მხარს არ დაუჭერდა ახალ რეჟიმს.

ძველი რეჟიმის მომხრე ემიგრანტებმა უცხოეთში დააარსეს ე. წ. „დევნილი მთავრობა“ და ჰაილე სელასიეს ვაჟის, პრინც ასფა ვოსენის ირგვლივ გაერთიანდნენ. 1975 წლის დასაწყისში და ზაფხულში ერთგვარად გააქტიურდა უკიდურესად მემარჯვენე რეაქცია, თუმცა ნებისმიერი სერიოზულად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელი იყო, რომ კონტრრევოლუციამ გადამწყვეტი შეცდომა დაუშვა, როდესაც ბრძოლის მიზნად ძველი რეჟიმის რესტავრაცია გამოაცხადა. მან ვერ გაითვალისწინა ეთიოპიელთა აზროვნებაში მომხდარი ევოლუცია. სასახლესთან დაახლოებულ ერთი მუჭა არისტოკრატების გარდა ქვეყანაში არავის სურდა (თვით ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეთაც კი) ძველი რეჟიმის აღდგენა. ეთიოპიელმა „შუანებმა“, ტალეირანის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „არც არაფერი დაივიწყეს და არც არაფერი ისწავლეს“.

ახალ რეჟიმს მარცხნიდან ემუქრებოდა ულტრარადიკალურად (რომელიც ხშირად ექსტრემიზმში გადადის) განწყობილი სტუდენტობა და ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი. ისინი იატაკქვეშ გამოსცემენ სამ გაზეთს: „მასების ხმა“, „დემოკრატია“ და „რევოლუცია“.

საერთო საქმისათვის გაცილებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სამხედროთა შორის განხეთქილების საშიშროება. იმპერატორ მენელიკის დროიდან ეთიოპიაში ჯარისკაცები მიწის ნაკვეთს ღებულობდნენ სამხედრო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ. აგრარულმა რეფორმამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ეს პრივილეგია. ამიტომ იყო, რომ 1975 წლის აპრილს ერთი დივიზია აჯანყებითაც კი დაიმუქრა თუ რეფორმა „სამხედროების მიწებსაც“ შეეხებოდა. დავისა და კამათის შემდეგ დსაკ-მა გადაწყვეტილება მიიღო არ წასულიყო დათმობაზე, რათა „ასეთი მნიშვნელოვანი გამონაკლისით ძირი არ გამოეთხარა ეთიოპიის ახალგაზრდა სოციალიზმისათვის“. საბოლოოდ კომპენსაციაზე შეთანხმდნენ. რაც მთავარია, არმიის შიგნით დაიწყო ძალთა პოლარიზაციის გარდუვალი პროცესი. ეთიოპიის არმიაში ჩატარებული სამხედრო კომიტეტთა არჩევნების შედეგად მკვეთრად გაიზარდა დაბალი ჩინის ოფიცერთა და რიგითთა გავლენა. ერთდროულად თავი იჩინა მათმა პოლიტიკურმა გამოუცდელობამაც.

ისევე როგორც ნებისმიერ ანალოგიურ სიტუაციაში, ეთიოპიაშიც ცდილობს რეაქცია თავის ინტერესებში გამოიყენოს ეკონომიური ბე—

რკეტი — ხელოვნურად შექმნას მძიმე მდგომარეობა, ფასების სიძვირე პირველი მოთხოვნილების საგნებისა და სურსათის დეფიციტი და ამით მმართველი რეჟიმისადმი მასების უკმაყოფილება გამოიწვიოს.

ფაქტიურად ეთიოპიაში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება ახალი ხელისუფლება. აგრარულმა რეფორმამ და სხვა პროგრესული ხასიათის ღონისძიებებმა მის წინააღმდეგ დარაზმა საშუალო და მსხვილ მესაკუთრეთა კლასი. იმპერატორის რეჟიმის დროს მიწა განიხილებოდა როგორც სიმდიდრის ძირითადი წყარო და ეტალონი. მიწის ნაკვეთებს მასობრივად იძენდნენ საშუალო და მსხვილი ჩინოვნიკები, საქმოსნები, სახლისმფლობელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. სოფლად და ქალაქებში მიწისა და შემოსავლიანი სახლების ნაციონალიზაციით ხელისუფლებამ შემოსავლის დამატებითი წყარო გადაუკეტა ყველა ზემოჩამოთვლილთ. თუ ამას დავუმატებთ სამრეწველო და საავჭრო დაწესებულებათა, ბანკებისა და სადაზღვევო კამპანიების ნაციონალიზაციას, უკვე კანონზომიერებად გამოიყურება ეროვნული ბურჟუაზიისა და ჩინოვნიკების ნეგატიური დამოკიდებულება დსაკ-ისადმი. მათ აფრთხობთ ტერმინი „სოციალისტური ეთიოპია", რომელიც 1975 წლის 12 სექტემბერს ეთიოპიის გერბში შეიტანეს.

მეორე მხრივ, საერთო ენა ვერ გამოიძებნა დსაკ-სა და ეთიოპიის პროფკავშირების კონფედერაციას შორის. 1974 წლის სექტემბერში დააპატიმრეს კონფედერაციის გენერალური მდივანი, თავმჯდომარე და მოადგილე. 1975 წლის იანვარში კი კონფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მხარს უჭერს ეთიოპიის განვითარების სოციალისტურ გზას. მიუხედავად ამგვარი განცხადებისა, დსაკ-ი ეჭვის თვალით უყურებს კონფედერაციას და არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნები, რომლებიც არ ითვალისწინებენ რევოლუციურ სიტუაციას, ინსპირირებულია თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის მიერ.

მართალია, ეთიოპიაში შედარებით სტაბილური შიდაპოლიტიკური მდგომარეობაა (ყოველ შემთხვევაში, მასობრივ სისხლისმღვრელ შეტაკებებს და სამოქალაქო ომის ექსცესებს ჯერჯერობით ადგილი არ ჰქონია), მაგრამ რეაქციას ერთი წუთითაც არ უფიქრია ფაქტიურად უკვე წაგებული ბრძოლის შეწყვეტა. თავი იჩინა განხეთქილებამ თვით დსაკ-ის შიგნითაც.

1977 წლის სამ თებერვალს დსაკ-ის შიგნით ლიკვიდირებულ იქნა ანტისახელმწიფოებრივი გადატრიალების ცდა. როგორც ოფიციალურ

განცხადებებში აღინიშნა, შეთქმულები მიზნად ისახავდნენ „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას“, „სამხედროებსა და ქვეყნის ფართო მოსახლეობას შორის შუღლის ჩამოგდებას“, „რევოლუციის მონაპოვრის და ჭეშმარიტი რევოლუციონერების ლიკვიდაციას“ და საბოლოო ჯამში „მონარქიის რესტავრაციას“.

შეთქმულების მონაწილეებს, რომელთაც სათავეში ედგათ დსაკ-ის თავმჯდომარე ტეფერი ბანტი, ბრალი ედებოდათ, აგრეთვე, სახალხო რევოლუციურ პარტიასთან, ეთიოპიის დემოკრატიულ პარტიასთან, ერიტრეის განთავისუფლების ფრონტთან და ეთიოპიის ახალი რეჟიმისადმი მტრულად განწყობილ საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალებთან კავშირში.

რეორგანიზაციის შემდეგ დსაკ-ის თავმჯდომარედ დაინიშნა მენგისტუ ჰაილე მარიამი, მოადგილედ — ატნაფუ აბატე. ამ ცვლილებების დანიშნულება იყო ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნის პროცესის შემდგომი დაჩქარება „ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ეთიოპიაში მეცნიერული სოციალიზმის პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების აშენებას“.

ზემოხსენებული განცხადება საერთაშორისო წრეებში შეფასდა როგორც იმის მაუწყებელი, რომ რევოლუციურ გარდაქმნათა ერთ დროს შენელებულმა ტემპმა ახალი მძლავრი სტიმული მიიღო.

აფრიკის რიგ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, სადაც, აგრეთვე, განვითარების სოციალისტური კურსია აღიარებული, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტის პროგრამა ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპს (1977 წლის დასაწყისისათვის) ახასიათებს როგორც „ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციას“. ამ ეტაპზე მთავარ ამოცანად დასახულია: ბრძოლა ფეოდალიზმის, „ბიუროკრატიული კაპიტალიზმის“ და იმპერიალიზმის სრული აღმოფხვრისათვის სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

ხსენებული მიზნის მიღწევაში დიდი როლი ენიჭება ხალხთა მასების ორგანიზაციის დროებით ბიუროს. მან ხელი უნდა შეუწყოს მასების პოლიტიკურ განათლებას და ორგანიზაციას, ფართოდ უნდა გაიშალოს მეცნიერული სოციალიზმის იდეების, სხვა ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების პროპაგანდა, მასებს განუმარტოს მთავრობის რეფორმათა არსი და მიზნები. ბიუროს შექმნის შემდეგ ამჰარის ენაზე დაიწყო (მართალია, არალეგულარულად) ბეჭდვითი ორგანოს „აბაოტავით ეთიოპია“ („რევოლუციური ეთიოპია“) გამოცემა,

რომელიც სოციალიზმის იდეების პროპაგანდას ეწევა. ბიუროსთან გახსნილია, აგრეთვე, პოლიტიკური სკოლა, რომელმაც პირველი 6 თვის განმავლობაში მუშათა, სამხედროთა, მოსამსახურეთა წრეებიდან 2 ათასი პოლიტიკური მუშაკი მოამზადა. 1976 წლის შემოდგომაზე ისინი სამუშაოდ გააგზავნეს ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. 14 რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში გახსნილია ბიუროს წარმომადგენლობა.

ყველა ზემოხსენებული ამოცანის წარმატებით გადაჭრას ჯერ კიდევ ბევრი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელეები უშლიან ხელს; ძალზედ მცირერიცხოვანი, პოლიტიკურად მოუმზადებელი და სუსტად ორგანიზებულია მუშათა ფენა, სათანადო სიმაღლეზე ვერ დგანან პროფკავშირები, სადაც ულტრამემარცხენე ძალებსაც გააჩნიათ გარკვეული გავლენა. მხედველობაშია მისაღები ეთიოპიის გლეხობის უკიდურესი ჩამორჩენილობაც, ისინი ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს შეადგენენ და ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ფეოდალურ-მონარქიული ფსიქოლოგიის ტყვეობიდან. კიდევ ძლიერია სხვადასხვაგვარი ცრურწმენები და ტრაიბოლიზმი; მაგ.: ლოზუნგი „კლასობრივი ბრძოლა“ გალას ტომმა აღიქვა როგორც ამჰართა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდება, ამჰარებმა კი — როგორც ორომოს ტომთა წინააღმდეგ საბრძოლო მოწოდება, ქრისტიანებმა და მუსულმანებმა — როგორც ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების სიგნალი და ა. შ.. ეთიოპიის ახალი ამბების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა გირამ 1976 წლის დეკემბერში ერთ-ერთ ინტერვიუში გააკრიტიკა ის მუშები და ზოგიერთი ჟურნალისტი, რომლებსაც გულწრფელად სწამდათ, რომ სახელწოდება „სოციალისტური ეთიოპია“ გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში არავინ უნდა იმუშაოს.

აგიტაციისა და პროპაგანდის ქმედითობას ძალზედ აფერხებს ის გარემოება, რომ მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია, ხოლო რადიომიმღებები ძალზედ ცოტაა ქვეყანაში. ამიტომ ძალზედ შეზღუდული აუდიტორია გააჩნია პრესას და რადიოს. მასების პოლიტიკური აღზრდის ერთადერთ საშუალებად უშუალო ურთიერთობა რჩება. ამიტომ არის, რომ დსაკ-ი გამუდმებით გზავნის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში თავის წარმომადგენლებს, თუმცა არც ეს არის იოლი საქმე — გზების უვარგისობის გამო პევრ მთიან რაიონში მხოლოდ ფეხით შეიძლება მისვლა. აქტიურად მოქმედებენ კონტრრევოლუციის შეიარაღებული რაზმებიც.

მასებთან მუშაობას ართულებს კვალიფიცირებული კადრების ნაკ-

ლებობაც. პოლიტიკური სკოლის კურსდამთავრებულები ხშირად გა-უმართლებელ მოუთმენლობას იჩენენ ადგილზე, მაოისტურ პოზიციაზე ეშვებიან და ფაქტიურად შლიან მასებთან მუშაობას. გარდა ამისა,ვი-ნაიდან მონარქიის წლებში მუშებისა და გლეხობისათვის დახურული იყო სასწავლებელთა კარები, ქვეყნის ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორც წესი, შეძლებული ფენების წარმომადგენ-ლებია, რომლებმაც ბევრი რამ დაკარგეს რევოლუციის შედეგად. ისი-ნი ხშირად გამოდიან „სამხედრო დიქტატურის“ წინააღმდეგ და ნაად-რევად აყენებენ ლოზუნგს — „სახალხო მთავრობა ახლავე“.

მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, უკვე იგრძნობა დროებითი ბიუროს საქმიანობის ეფექტი. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სწორედ ბიუროს აქტივისტები და წარმომადგენლები აირჩია თავის მთავარ სამიზნედ კონტრრევოლუციამ; გახშირდა ბიუროს ხელმძღვანე-ლთა მკვლელობები, შენობათა აფეთქებები და ა. შ.

რეაქციის შემოტევას სამხედრო ადმინისტრაციამ გლეხობისა და ქალაქების მაცხოვრებელთა ასოციაციების გამტკიცებით უპასუხა. ასეთი ასოციაციები დაარსდა 1975 წლის ზაფხულში მიწებისა და კერ-ძო საკუთრებაში მყოფ შემოსავლიანი სახლების ნაციონალიზაციის შემ-დეგ. ასოციაციებს ფართო ადმინისტრაციული უფლებები გააჩნიათ ად-გილებზე, ახალი ხელისუფლების ორგანოთა ფუნქციებს ასრულებენ. 1975 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა მთავრობის დეკრეტი გლეხთა ასოციაციების გაძლიერების შესახებ. 1976 წლის ოქტომბრის დეკრე-ტით რადიკალური ცვლილებები განიცადეს მუნიციპალიტეტებმა, რის შედეგადაც ქალაქებში მთელი ხელისუფლება მოქალაქეთა ასოციაციე-ბის („კაბალეების“) ხელში გადავიდა. თავდაპირველად „კაბალეებში“ ხელისუფლება ჩაიგდეს ყოფილმა სახლისმფლობელებმა, რასაც მოჰყვა ახალი არჩევნები 1976 წლის ნოემბერში და კლასობრივ საფუძველზე რეორგანიზაცია.

ხსენებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად გამტკიცდა 22 ათასი გლეხთა ასოციაციის (სადაც გაერთიანებულია თითქმის 5,5 მლნ ოჯახი) ადის-აბებას 1800 და სხვა ქალაქების 600 „კაბალეს“ პოზიციე-ბი. დსაკ-ი მათ განიხილავს როგორც თავის მთავარ დასაყრდენს. ყოველ „კაბალესთან“ იქმნება შეიარაღებული რაზმები უსაფრთხოების დასა-ცავად.

1976 წლის ივნისში გამოქვეყნდა დეკრეტი სოფლებში სახალხო მილიციის დაარსების თაობაზე, რომლებიც 1977 წლის გაზაფხულისა-

თვის უკვე ნახევარ მილიონ მებრძოლს აერთიანებდნენ თავიანთ რიგებში. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, საჭიროების შემთხვევაში 6 მლნ ადამიანი შეიძლება გამოიყვანოს მილიციამ. ქვეყნის სხვადასხვა რაიონში რეგულარულად გადიან სამხედრო წვრთნას სახალხო მილიციის რაზმები.

მილიციას იარაღით ამარაგებს მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.

არმიასთან ერთად ტერორისტთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა გააჩაღეს სახალხო მილიციის რაზმებმა. ეთიოპიის პრესის მონაცემებით 1976 წლის დამლევისათვის სახალხო მილიციამ რამდენიმე ათეული შეიარაღებული ბანდის ლიკვიდაცია მოახერხა. ამ დროისათვის, დსკ-ის მიერ გამოქვეყნებული ამნისტიის შედეგად ხელისუფლებას ჩაბარდა 2 ათასამდე ყოფილი ტერორისტი.

სამხედრო ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს კვლავინდებურად ერიტრეის პრობლემა წარმოადგენს. 1976 წლის მაისში გამოქვეყნებული პროგრამა მიზნად ისახავს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას რეგიონალური ავტონომიის ფარგლებში თვითგამორკვევის უფლებების აღიარების საფუძველზე. გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ეთიოპიის მომავალი პროვინციების საზღვრების საყოველთაო-სახალხო განხილვის მოწყობას. 1976 წლის ოქტომბერში დაინიშნენ ერიტრეის კომისიის წევრები. კომისია დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას, ხოლო საშინაო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი, რომლის კომპეტენციაშიც შევიდა ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები.

ერიტრეის პროგრამა გულისხმობს უცხოეთში ემიგრირებულ ერიტრეელთა სამშობლოში დაბრუნებას, საომარი მოქმედებით გამოწვეული მატერიალური და სხვა ხასიათის ზარალის ანაზღაურებას, დაპატიმრებულთა საქმეების გადასინჯვას, მათი განთავისუფლების ან პატიმრობის ვადების შემცირების თვალსაზრისით და ერიტრეაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას.

საგულისხმოა, რომ პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ 3 ათასზე მეტი ერიტრეელი დაბრუნდა სამშობლოში, 130 პატიმარი გაანთავისუფლეს და სეპარატული მოძრაობის ბევრი აქტიური მოღვაწე შეურიგდა ცენტრალურ ხელისუფლებას.

1977 წლის დასაწყისისათვის განსაკუთრებული დაძაბულობა იგრძნობოდა ჩრდილოეთ რაიონებში. ეს გამოწვეული იყო როგორც ერი-

ტრეის სეპარატისტული მოძრაობით, ასევე რიგ პროვინციათა უარყოფითი დამოკიდებულებით მთავრობის აგრარული პოლიტიკისადმი.

ეთიოპიაში მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის 20-ზე მეტი სხვადასხვა სისტემა არსებობს. თუ ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში ადრე მსხვილი მამულები და ფერმები ჰარბობდა, რის გამოც მიწის ნაციონალიზაციამ უცებ გააუმჯობესა წვრილ არენდატორთა მდგომარეობა, ჩრდილოეთში ფართოდ იყო გავრცელებული თემური მიწათმფლობელობა და რეფორმის გატარება საუკუნოვან ტრადიციებთან ბრძოლის გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა.

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში, ბეგემდერისა და სიმენის პროვინციებში, სუდანის საზღვრებთან, 1976 წლის დამლევს ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული აგრარული რეფორმა, ხოლო გლეხთა ასოციაციები მხოლოდ ქალაქზე არსებობდნენ. სუდანთან საზღვრისპირა რაიონებში ჯერ კიდევ შეუძლებელია მსხვილ ფერმერთა მიწების განაწილება შეიარაღებული ბანდების აქტიური მოქმედების გამო. „რომელი გლეხი გაბედავს დაამუშაოს ადრე ფეოდალის კუთვნილი მიწა, თუ იქვე დათარეშობენ ამავე ფეოდალის შეიარაღებული რაზმები?“ — ასე სვამს საკითხს ადგილობრივი პრესა.

კვლავ მწვავე პრობლემად რჩება 100 ათასი უმუშევრის ხვედრი. ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს უახლოეს წლებში 50 მლნ ბირის ასიგნება, რათა 30 ათასმა უმუშევარმა მიიღოს სამუშაო.

აგრარული რეფორმის შედეგად გარკვეული სიძნელეები წარმოიშვა კვების პროდუქტებით ქალაქების მომარაგების საქმეშიც; თუ ადრე გლეხობა იძულებული იყო მოსავლის დიდი ნაწილი გაეყიდა ქალაქებში, ვინაიდან გარკვეული თანხა იყო საჭირო საარენდო გადასახადისა და უამრავი ნალოგებისათვის, ახალ სიტუაციაში გაიზარდა გლეხთა ოჯახების მოთხოვნილებები კვების პროდუქტებზე და შემცირდა გასაყიდი პროდუქტის რაოდენობა.

კვების პროდუქტთა უკმარისობა და ფასების ზრდა ეკონომიური საბოტაჟის შედეგიც არის, რასაც სისტემატურად მიმართავს რეაქცია. ეთიოპიაში მუდამ უამრავი შუამავალი-ვაჭარი იყო, რომელთაც ყოველთვის შეუძლიათ ხელოვნურად გაზარდონ ფასები. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით ქვეყანაში 2500 მარცვლეულის ბაზარი და 35 ათასი რეგისტრირებული მარცვლეულით მოვაჭრეა, მაკლერებისა და სხვა შუამავლების გარდა.

უკანასკნელ დრომდე, მთავრობის ყოველ ცდას კონტროლი დაეწე-

სებინა ფასებზე, მხოლოდ ის შედეგი გააჩნდა, რომ უცებ გაქრებოდა ხოლმე გასაყიდი მარცვლეული. მარცვლეულის უკმარისობის და დასავლეთზე დამოკიდებულების შედეგად ქვეყანაში ეცემა ცხოვრების დონე, რაც რეაქციის ინტერესებშია.

კონტრრევოლუციის შემოტევის პირობებში დსაკ-მა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს უბრძანა ზემოდან ბრძანების ლოდინის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით გაატარონ ქმედითი ღონისძიებები რეაქციასთან ბრძოლაში. 1976 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული დირექტივის საფუძველზე ადის-აბებაში და სხვა დასახლებულ პუნქტებში სისტემატურად ტარდება ჩხრეკები გადამალული იარაღის გამოვლინების მიზნით. გაძლიერებულია მნიშვნელოვან ობიექტთა დაცვა და პატრულირება. 1976 წლის მხოლოდ ნოემბერში 50 ტერორისტს და საბოტაჟის მომწყობს მიესაჯა სიკვდილი.

რეაქციის წამყვან ძალას წარმოადგენს ეთიოპიის დემოკრატიული კავშირი (რომელიც ეყრდნობა კონტრრევოლუციურ ემიგრაციას, არისტოკრატიას, მემამულეებს, მრეწველებს, ვაჭრებსა და ყოფილ დიდმოხელეებს) და ეთიოპიის სახალხო რევოლუციური პარტია, რომლის დასაყრდენი ბაზაა მოსწავლე ახალგაზრდობა, ინტელიგენციისა და მაღალხელფასიანი მუშების ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ პირველი დაჯგუფება მონარქიის რესტავრაციისათვის იბრძვის, ხოლო მეორე „მარქსისტულ“ პლათფორმას აღიარებს, ორივე ერთიანი ფრონტით ვამოდის და დახმარებას დასავლეთის რეაქციული წრეებიდან ღებულობს. ეთიოპიის შიდა რეაქციის დაფინანსების საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოებსაც შეაქვს იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან ერიტრეაში შეიქმნება მათი გავლენის ქვეშ მყოფი ეთიოპიისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რეაქციის ტერორისტულ მოღვაწეობას ისიც უწყობს ხელს, რომ ქვეყანაში ძალზედ ბევრია აურიცხავი ცეცხლმსროლი იარაღი. 1976 წლის ბოლოს ადის-აბებას ცენტრში, დღისით, ტერორისტები თავს დაესხნენ მენგისტუ ჰაილე მარიამს, რომელიც მაშინ დსაკ-ის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო და სოციალისტური ორიენტაციის ყველაზე მტკიცე მომხრედ ითვლება. 1977 წლის თებერვალში ადის-აბებაში ტერორისტებმა მოკლეს ეთიოპიის საყოველთაო პროფკავშირების პირველი თავმჯდომარე ბეკელე. ბეკელეს მკვლელობამდე სულ ორი თვით ადრე შეიქმნა ეს გაერთიანება, ანარქისტებთან და აშშ-ის

პროფკავშირების მიერ აღზრდილ მემარჯვენე ტრედ-უნიონისტებთან ხანგრძლივი და მძაფრი ბრძოლის შემდეგ.

როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ დსაკ-ის ხელმძღვანელებს, ეთიოპიის რევოლუციის ყოველ მორიგ გამარჯვებას რეაქცია ძირგამომთხრელი საქმიანობის ახალი ტალღით პასუხობს.

შოას, არუსეის და ბალუს პროვინციებში სახალხო რევოლუციური პარტიის კონტრრევოლუციურ მოღვაწეობას 80 მლნ ბირის ზარალი მოჰყვა. პარტიის შეიარაღებულმა რაზმებმა დაწვეს დიდი საწყობი ადისაბებას რკინიგზაზე და ააფეთქეს პოლიტიკური სკოლა. მათ მიერვე იყო პროვოცირებული ფოსტის, ტელეგრაფის, ბანკებისა და ავიაკომპანიების მოსამსახურეთა გაფიცვები, კერძო კაპიტალთან ბრძოლის საბაბით სავაჭრო დაწესებულებების დარბევა და ამით მომარაგების საქმეში სიძნელეების შექმნა.

1977 წლის ზაფხულში მკვეთრად დაიძაბა ეთიოპია-სომალის ურთიერთობა. სომალის მთავრობა პრეტენზიას აცხადებს ეთიოპიის ოგადენის რაიონზე, სადაც სომალური წარმოშობის ხალხებიც ცხოვრობენ. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ოგადენის უდაბნოში ნავთობის დიდ მარაგს ვარაუდობენ. დაძაბული ვითარება მალე სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა, სადაც აქტიურ როლს ასრულებს არაბული რეაქციაც. მთელი აფრიკის პროგრესული საზოგადოების ღრმა შეშფოთება გამოიწვია კონტინენტის ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის კონფლიქტმა, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმისა და ადგილობრივი რეაქციის ინტერესებშია.

თვითონ დსაკ-ის შიგნით რამდენიმე იდეოლოგიური მიმდინარეობა არსებობს. მათ შორის წინააღმდეგობის გამწვავების შედეგი იყო 1977 წლის 3 თებერვლის კონფლიქტი. „ეკლიანია გზა თავისუფლების“ — ასე უწოდა თავის უკანასკნელ წიგნს აფრიკის თავისუფლებისათვის ცნობილმა მებრძოლმა ნელსონ მანდელამ. ამაში ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით ეთიოპიის მაგალითზე.

სამხრეთი როდეზია

1962 წლის დეკემბრის არჩევნების შედეგად სამხრეთ როდეზიაში ხელისუფლების სათავეში მოვიდა პარტია როდეზიის ფრონტი — თეთრკანიან კოლონისტთა და სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა შედეგად წარმოქმნილი პარტია. ახალმა მთავრობამ თავის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად დაისახა სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადება 1961 წლის კონსტიტუციის შენარჩუნებით, კონსტიტუციისა, რომლითაც საარჩევნო ხმის უფლება უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ ქვეყნის თეთრკანიანი მოსახლეობისათვის.

1964 წლის მარტს შიდაპოლიტიკური ბრძოლის შედეგად პრემიერ-მინისტრი უ. ფილდი შეცვალა როდეზიის ფრონტის მემარჯვენე ფრთის ლიდერმა იან სმიტმა. ქვეყნის ისტორიაში სმიტის მთავრობის მოსვლა ხელისუფლების სათავეში აღინიშნა რეპრესიების კიდევ უფრო გაძლიერებით. ნკომო, სიტოლე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერები დააპატიმრეს, დაწესდა საგანგებო მდგომარეობა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიათა გაძლიერების პირობებში სმიტმა აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა გააჩაღა „დამოუკიდებლობისათვის“. ამ მიზანს ემსახურებოდა 1964 წლის ნოემბერში გათამაშებული ფარსი — რეფერენდუმი, რომელშიც ფაქტიურად ქვეყნის მხოლოდ თეთრკანიანი მოსახლეობა ღებულობდა მონაწილეობას. როგორც მოსალოდნელი იყო, რეფერენდუმმა მოიწონა მთავრობის ლოზუნგი — „დამოუკიდებლობა 1961 წლის კონსტიტუციის საფუძველზე“. 1964 წლის დასასრულს კი ინგლისში მთავრობის სათავეში კონსერვატორები შეცვალეს ლეიბორისტებმა. თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით ვილსონის „მუშურმა“ მთავრობამ ხელი აიღო სამხრეთ როდეზიის რასისტებისადმი საჯარო მხარდაჭერის ტაქტიკაზე და უფრო შენიღბული პოლიტიკის გატარება იწყო. ვილსონის კაბინეტს არც კი უფიქრია რეალური სანქციები გაეტარებინა სმიტის პოლიტიკურ მაქინაციათა აღსაკვეთად. ინგლისის მთავრობის წამქეზებლური პოლიტიკის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენდა 1965

წლის თებერვალ-მარტში დიდი ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის მინისტრის ბოტომლისა და ლორდ-კანცლერის გარდინერის დიპლომატიური მისია სოლსბერში. ლონდონელი პარლამენტარიები შეხვდნენ როგორც სმიტის მთავრობის წევრებს, ასევე პატიმრობაში მყოფ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, „ობიექტურად" შეისწავლეს შექმნილი სიტუაცია ადგილზე და ლონდონში დაბრუნების შემდეგ პარლამენტში განაცხადეს, რომ ინგლისის მთავრობა ვერ ხედავს სამხრეთ როდეზიაში შექმნილ შიდაპოლიტიკური წყობის შეცვლის საშუალებასო. ხსენებულ მისიას მხოლოდ ის რეალური შედეგი მოჰყვა, რომ სმიტი კიდევ უფრო დარწმუნდა ინგლისის მთავრობის მხრიდან უსაფრთხოებაში. 1965 წლის 5 მაისს სოლსბერში შედგა მორიგი „არჩევნები" 1961 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. რეპრესიებისა და აფრიკული მოსახლეობის მასობრივი დაშინების პირობებში როდეზიის ფრონტმა მიიღო ხმათა ორ მესამედზე მეტი. ყველასათვის ცხადი იყო, რომ სმიტის შეჩერება მხოლოდ გადამჭრელი და ქმედითი საშუალებებით იყო შესაძლებელი. ამის ნაცვლად 1965 წლის ოქტომბერში ინგლისის პრემიერი ვილსონი თვითონ ეახლა სმიტს, რომელმაც მასთან შეხვედრაც კი არ ისურვა. ვილსონს იმის საშუალებაც კი არ მისცეს, რომ სოლსბერის ტელევიზიით გამოსულიყო და სამხრეთ როდეზიელთათვის გაეცნო ინგლისის პოზიცია. ინგლისის მთავრობამ თვინიერად მიიღო ეს დამცირებაც, ხოლო 11 ნოემბერს ხელ-ფეხ გახსნილმა და გულმოცემულმა სმიტმა ქვეყანა გამოაცხადა როდეზიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომლითაც ყოველგვარი ორპოფობისა და ორაზროვნების გარეშე კატეგორიულად დაგმო როგორც სამხრეთ როდეზიელ რასისტთა მოქმედება, ასევე ინგლისის მთავრობის ფაქტიურად წამქეზებლური პოლიტიკა. 1965 წლის დეკემბერში კი აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სესიამ მოწოდებით მიმართა აფრიკის ყველა თავისუფალ ქვეყანას, დიპლომატიური ურთიერთობა გაეწყვიტა ინგლისთან. ინგლისის მთავრობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ უმნიშვნელო ეკონომიურ სანქციათა გატარებას დასჯერდა როდეზიის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ვილსონი კიდევ ორჯერ შეხვდა სმიტს 1966 და 1968 წწ., მაგრამ უკანასკნელმა ორჯერვე უარყო კრიზისის მოწესრიგების ბრიტანეთის მთავრობის გეგმა. როდეზიელ რასისტთა და ინგლისის ლეიბორისტთა მოქმედებამ

სამხრეთ როდეზიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე დააყენა შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლის აუცილებლობის საკითხი. 1967 წლის აგვისტოს ზიმბაბვეს აფრიკელთა კავშირმა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკულმა ეროვნულმა კონგრესმა მიიღეს დეკლარაცია სამხრეთ აფრიკაში რასიზმის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. დეკლარაციის ცხოვრებაში გატარებას სამხრეთ როდეზიაში პარტიზანული მოძრაობის შემდგომი გააქტიურება მოჰყვა.

ისევე როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სამხრეთ როდეზიაშიც სახელმწიფოებრივი წყობის ბაზას რასიზმი წარმოადგენს. სოლსბერში რასობრივ დისკრიმინაციას ოფიციალურად რასათაშორის პარტნიორობას უწოდებენ, რომლის უკანაც ტიპიური რასიზმი იმალება. აფრიკელთათვის დახურულია სასტუმროების, კინოთეატრების, პარკებისა და საზოგადოებრივ ადგილთა კარებები. მათთვის სპეციალური ვაგონებია გამოყოფილი რკინიგზაზე. ყველა თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული წარწერა: „მხოლოდ თეთრებისათვის“ ან „მხოლოდ შავკანიანთათვის“. განსაზღვრული საათის შემდეგ აფრიკელებს ეკრძალებათ ქალაქების ევროპულ რაიონებში გამოჩენაც კი.

სამხრეთ როდეზიაში რასისტული კანონმდებლობა დაფუძნებულია ჯერ კიდევ 1930 წელს მიღებულ კანონზე მიწათმფლობელობის შესახებ. 1930 წლის კანონით აფრიკელებს ფაქტიურად ყოველგვარი უფლებები წაერთვათ მიწაზე — ქვეყნის მთელი ტერიტორია დაიყო ევროპულ და აფრიკულ რაიონებად: 49 პროცენტი გამოცხადდა ევროპულ რაიონად, სადაც ცხოვრობს 200 ათასი ადამიანი, ხოლო 43 პროცენტი აფრიკულად, სადაც ცხოვრობს 4 მილიონი აფრიკელი. დანარჩენ 8 პროცენტს შეადგენს ტყეები და პარკები. აფრიკელებს ეკრძალებათ ევროპულ რაიონებში მიწების შეძენა და იქ დასახლება. ქალაქებში მათ ნება ეძლევათ იცხოვრონ მხოლოდ სპეციალურ ლოკაციებში. თავის მხრივ აფრიკული რაიონები დაყოფილია სამ ნაწილად — რეზერვაციებად (აფრიკული რაიონის 50 პროცენტი), აფრიკელთათვის მისაყიდი მიწების რაიონებად (19 პროცენტი) და სპეციალურ რაიონად (31 პროცენტი).

თეთრკანიან რასისტთა მძარცველური პოლიტიკისა და მოსახლეობის ზრდის შედეგად უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ერთ სულ აფრიკელზე მიწის ნაკვეთი 80-დან 4, 6 პუნქტამდე შემცირდა, მაშინ როდესაც სასოფლო რაიონებში მცხოვრებ ყოველ ევროპელზე 270

ჰექტარი მოდის. გარდა ამისა აფრიკელთათვის გამოყოფილი მიწები, როგორც წესი, დაშორებულია რკინიგზის ხაზებისა და გზატკეცილებისაგან, ბაზრებისაგან. როდესაც ევროპელი კოლონიზატორები დარწმუნდნენ, რომ კოლონიური აგრარული პოლიტიკის პირდაპირი შედეგი აფრიკული სოფლის მეურნეობის სრული დეგრადაცია იყო, შეეცადნენ რიგ ღონისძიებათა გატარებას, რომელთაც ამათი აზრით მდგომარეობა უნდა გამოესწორებინათ, მაგრამ საერთო რასისტული პოლიტიკის ხელშეუხებლობის პირობებში მდგომარეობის მკვეთრად შეცვლა ბუნებრივია, რომ არავითარი ზედაპირული ღონისძიებებით არ შეიძლებოდა.

რასობრივი პოლიტიკის შედეგები მარტო აფრიკულ სოფლის მეურნეობაში როდი იგრძნობოდა და იგრძნობა; რასობრივი დისკრიმინაცია და სეგრეგაცია აფერხებს აფრიკული მუშათა კლასის შექმნას. რასისტული აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია — იაფი მუშახელით უზრუნველყოს მრეწველობა და ფერმები. ამავე დროს, იმის გამო, რომ აფრიკელებს აკრძალული აქვთ ქალაქებსა და ევროპულ რაიონებში საცხოვრებლად დასახლება, ისინი განწირულნი არიან სამუდამოდ სახეტიალოდ ქალაქსა და სოფელს შორის. ცნობილი ინგლისელი პროგრესული აფრიკანისტის დავიდსონის სიტყვით, „კოლონიალიზმმა დაანგრია აფრიკის ძველი სამყარო, მის ნაცვლად არ შექმნა არავითარი ახალი და შედეგად გაჩნდა „მოხეტიალე-აფრიკელის“ ფიგურა“.

რათა უფრო ეფექტური ყოფილიყო რეზერვატებიდან სამუშაოს საშოვნელად წასულ აფრიკელებზე კონტროლი, შემოიღეს კანონი საშვებების შესახებ. თანახმად ხსენებული კანონისა ყოველ აფრიკელს, რომელიც კი დატოვებს რეზერვატს, უნდა გააჩნდეს ათამდე სხვაღასხვა სახის საშვი. კანონის დამრღვევი მკაცრად ისჯება.

„ფერადი ბარიერის“ არსებობა მრეწველობაში, ტექნიკური ჩამორჩენილობა და სეზონურ სამუშაოთა პოლიტიკა, ეს ის მიზეზებია, რომელთა გამოც ძალზედ დაბალია აფრიკელი მუშის შრომისნაყოფიერება. სამხრეთ როდეზიის საქმიანი წრეების საღად მოაზროვნე წარმომადგენლებს კარგად ესმით რასობრივი პოლიტიკის დამღუპველი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და უკვე ხმამაღლა სვამენ საკითხს მისი შეცვლის ან შერბილების თაობაზე. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ძალზედ ძლიერია რასობრივი დისკრიმინაციის მომხრეთა პოზიციებიც. უპირველეს ყოვლისა ესენი არიან უცხოელი სამთოდამმუშავებელი მონოპოლიები და ფერმერი-კოლონისტები, რომელთა ზემაღალი მოგების

მთავარი წყარო, სწორედ იაფი აფრიკული მუშახელია. ეს წრეები გა-ნსაზღვრავენ და წარმართავენ უკიდურესად მემარჯვენე რეაქციის პოლიტიკას, მათ ინტერესებს გამოხატავს სმიტის მთავრობაც, რომელმაც ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე საზეიმოდ განაცხადა, რომ შენარჩუნებული იქნებოდა ყველა რასისტული კანონი.

სამხრეთ როდეზიელ რასისტთა ტრადიციულ და ერთგულ მოკავშირეს წარმოადგენს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა როგორც სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობაში", ასევე რასისტული რეჟიმის შემდგომ განმტკიცებაში. ჯერ კიდევ 1964 წლის მაისში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სმიტის თვითმმართველობის მინისტრი გაუნტი. ვიზიტის შემდეგ გაუნტმა განაცხადა, რომ პრეტორიაში მას საუბარი ჰქონდა სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობის" ცალმხრივი გამოცხადების შესახებ და ორი ქვეყნის ფართო თანამშრომლობის საკითხებზე. 1966 წლის იანვარში სმიტი საიდუმლოდ შეხვდა ფერვურდს, ხოლო 1967 წლის მარტში უკვე ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა პრეტორიაში. რასისტული კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა სამხრეთ როდეზიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოლსბერში პრეტორიასთან ურთიერთობას, იქიდანაც ჩანს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ელჩად დაინიშნა ზემოხსენებული გაუნტი.

სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობის" გამოცხადების დღეს ფერვურდმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ანგარიშს არ გაუწევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას სამხრეთ როდეზიის წინააღმდეგ სანქციათა შესახებ: — „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა ბოიკოტის მოძრაობა", — საჯაროდ დააშვიდა ფერვურდმა სმიტი. არანაკლები მხარდაჭერა და დახმარება ვააჩნდა სმიტს პორტუგალიის რეჟიმის მხრიდანაც. სოლსბერში ხშირი სტუმრები გახდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის მინისტრი აისი, მაღაროებისა და დაგეგმვის მინისტრი ხააკი, მოზამბიკის გენერალ-გუბერნატორი როდრიგესი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ სასწრაფოდ გამოუყო სმიტს 2,5 მლნ ვირვანქა სტერლინგი კრედიტის სახით, რასაც გარდა ეკონომიურისა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნდა. უხერხულ მდგო-

მარეობაში რომ არ ჩაეყენებინა ინგლისის მთავრობა, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ სამხრეთ როდეზიის მიერ „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემთხვევაში ინგლისში ყადაღა დაედებოდა მის აქტივებს, სმიტის მთავრობამ თავისი აქტივების ნაწილი გადაიტანა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მფარველობაში, ნაწილი პორტუგალიის მფარველობაში, დანარჩენი კი გადარიცხა საფრანგეთისა და შვეიცარიის ბანკებში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პორტუგალიის მხრიდან მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ნავთობსადენის გაყვანა მოზამბიკის პორტ ბეირადან ქ. უმტალამდე სამხრეთ როდეზიაში. ამის შემდეგ ნავთობის ემბარგოს შემთხვევაში სმიტის რეჟიმი უზრუნველყოფილ იქნებოდა ნავთობპროდუქტებით. „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების მომენტისათვის სამხრეთ როდეზიის საზღვრებთან თავი მოუყარეს პორტუგალიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარებს, რათა, თუ ამის საჭიროება შეიქმნებოდა, იარაღითაც კი დახმარებოდნენ სმიტს.

„დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემდეგ უკვე პრაქტიკულ ფორმებში ვითარდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პორტუგალიის დახმარება სმიტის რეჟიმისადმი. 1965 წლის 11 ნოემბრის შემდეგ სამხრეთ როდეზიის ექსპორტისათვის დაიკეტა ინგლისის ბაზარი. სმიტის რეჟიმთან ვაჭრობა შეწყვიტა მალავიმ და ზამბიამ. გარდა ამისა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ აკრძალა სახსრების გადარიცხვა სამხრეთ როდეზიაში და დააწესა ნავთობის ემბარგო. ეს ღონისძიებები კატასტროფის პირზე დააყენებდა სამხრეთ როდეზიის ეკონომიკას, რომ უკანასკნელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და პორტუგალია არ მოვლინებოდნენ მხსნელებად. უკვე 1966 წლის დასაწყისში ფერვურდის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო სმიტის რეჟიმისათვის საჩუქრის სახით გამოეყო 7,5 მლნ გირვანქა სტერლინგი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საქონლის შესაძენად. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაშივე დაარსდა სპეციალური საშუამავლო კორპორაცია, რომლის ფუნქციასაც შეადგენდა როდეზიის თამბაქოს გასაღება მსოფლიო ბაზარზე. რაც შეეხება ნავთობის ემბარგოს, ჯერ კიდევ „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებამდე იზრუნეს როდეზიელმა რასისტებმა ნავთობპროდუქტების მარაგის შესაქმნელად. უფრო დიდი მნიშვნელობა გააჩნდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პორტუგალიის პოლიტიკურ დახმარებას, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ძირი გამოეთხარათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1965 წლის დეკემბერში დაწესებული

ემბარგოს ეფექტურობისათვის. დეკემბერშივე ფორმალურად მოზამბიკის კაპიტალით შეიქმნა კომპანია,რომელიც შეუდგა ბეირას რაიონში ექვსი დიდი ნავთობსაცავის მშენებლობას. კომპანიის ნამდვილ სახეზე მიუთითებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ერთ-ერთი დირექტორი იყო პორტუგალიის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის ძმა. სანამ სამუშაოები მიმდინარეობდა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კომპანია „ლეონ რაფაელი ენდ სანზ-“ი, რომლის აბრითაც მოქმედებდა როდეზიის კაპიტალი, შეუთანხმდა ბერძენ ნავთობპროდუქტით მოვაჭრეებს ბეირაში ნავთობის მიწოდების შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქცია თუმცა ითვალისწინებდა მოზამბიკის ბლოკადას, მაგრამ კონტროლს არ აწესებდა ნავთობსადენზე, რომელიც ბეირას უკავშირებდა უმტალის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას როდეზიაში. გარდა აღნიშნული ნავთობსადენისა, არსებობდა სხვა წყაროებიც: კერძოდ სახმელეთო გზით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან და პორტუგალიის კოლონიებიდან. მით უმეტეს, რომ სანქციის გამოქვეყნებისთანავე ფერვურდმა სასწრაფოდ გააკეთა საჯარო განცხადება იმის შესახებ, რომ მისი მთავრობა არ აპირებდა სამხრეთ როდეზიისათვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტას ან ლიმიტირებას.

პორტუგალიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აქტიური დახმარების შედეგად, სამხრეთ როდეზიას ფაქტიურად არც უგრძვნია სანქცია; როდეზიის ყოველდღიური მოთხოვნილება ნავთობზე შეადგენს 70 000 ბარელს (ერთი ბარელი უდრის 159 ლიტრს) და ზუსტად ამდენს ღებულობდა იგი ყოველდღიურად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან 1966 წლის მარტამდე, იმავე წლის ზაფხულისათვის კი ეს ციფრი 160 000-მდე გაიზარდა. გარდა ამისა ყოველდღიურად 70 ათასამდე ბარელს აწვდიდა სმიტს მოზამბიკიდან პორტუგალია. ყოველივე ამის შედეგად უკვე 1967 წლისათვის სამხრეთ როდეზიის მრეწველობას ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რამოდენიმე წლის მარაგი გააჩნდა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პორტუგალიის დახმარებას შემდეგნაირი შეფასება მისცა სამხრეთ როდეზიის თვითმმართველობის მინისტრმა პატრიჯმა: „სასწორზე იდო ჩვენი საკუთრება, ჩვენი თავისუფლება და შეიძლება ჩვენი სიცოცხლეც კი... თუ არა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პორტუგალიის დახმარება, შეიძლება ჩვენ სუყველაფერი დაგვეკარგა“. მართალია, სმიტმა შეძლო უვნებელეყო სანქციათა საფრთხე, მაგრამ რასისტულ რეჟიმს გაცილებით ძლიერი საფრთხე მოელის ზიმბაბვეს ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობის სახით, რომელიც განსაკუთრებით აქტიურ ფორმებს ღებულობს 1967 წლის ზაფხულის შემდეგ; საპროტესტო მიტინგებს, გაფიცვებს და საბოტაჟის აქტებს ცვლის ორგანიზებული შეიარაღებული ბრძოლა. ქვეყნის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში პარტიზანულმა ბრძოლამ ისეთი ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ სმიტის მთავრობა იძულებული შეიქნა პატრიოტთა წინააღმდეგ მექანიზებული ნაწილები და რეაქტიული თვითმფრინავები გამოეყენებინა. პატრიოტთა ბრძოლას სათავეში უდგას ზიმბაბვეს აფრიკელთა კავშირი (ზაპუ).

1967 წლის ოქტომბერს სმიტის მთავრობამ პარლამენტს მიაღებინა კიდევ ერთი რასისტული კანონი სეგრეგაციის შესახებ, რომლის თანახმადაც მთელ ქვეყანაში უნდა აშენებულიყო სპორტული მოედნები, საცურაო აუზები და დასასვენებელი ადგილები თეთრკანიანებისათვის ცალკე და აფრიკელთათვის ცალკე. კანონი მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო საბჭომ იგი უარყო როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგო. ამავე დროს 1968 წლის დასაწყისისათვის უკიდურესად გამწვავდა შიდაპარტიული ბრძოლა თვით როდეზიის ფრონტის რიგებში. პარტიის მემარჯვენე დაჯგუფება, რომელიც ადრეც მოითხოვდა კიდევ უფრო შეუწყნარებელი რასობრივი პოლიტიკის განხორციელებას, გამოეყო პარტიას და დააარსა ახალი ოპოზიციური პარტია—როდეზიის ნაციონალისტური პარტია. ახალი პარტიის ლიდერმა იდენსონმა განაცხადა, რომ მისი პარტია იბრძოლებდა „რასობრივი ინტეგრაციის“ წინააღმდეგ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყაიდის აპართეიდისათვის. იმავე წლის აპრილში იდენსონმა კატეგორიულად უარყო საკონსტიტუციო კომისიის რეკომენდაცია თეთრკანიანებსა და აფრიკელებს შორის ხელისუფლების გაყოფის თაობაზე, როგორც „ინტეგრაციისა და შავკანიანთა ხელისუფლების მომასწავებელი“. „ერთადერთი სისტემა, რომელიც გარანტია იქნება სუყველასათვის, ეს არის თეთრების ხელისუფლება“, — ნათქვამი იყო ოფიციალურ განცხადებაში. ამავე დროს იდენსონსა და მის თანამოაზრეებს არაფერი ჰქონიათ ფაქტიურად სასაყვედურო სმიტისათვის; რასობრივი დისკრიმინაცია ისედაც ძლიერდებოდა ყველა სფეროში. მაგალითად, რომ ავიღოთ ხელფასი, თეთრკანიანი 1954 წელს 819 გირვანქა სტერლინგით მეტს ღებულობდა, ვიდრე აფრიკელი. 1966 წელს სხვაობა უკვე 1, 199 გირვანქა სტერლინგს უდრიდა, 1967 წელს — 1, 223 გირვანქას, ხოლო 1968 წელს — 1, 243 გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა.

ასეთ ვითარებაში, 1969 წლის ივნისში სამხრეთ როდეზიაში ჩატარ-

და „რეფერენდუმი“ რესპუბლიკისა და კონსტიტუციის თაობაზე. რესპუბლიკურ წყობას ხმა მისცა 61 პროცენტმა, მოიწონეს ახალი კონსტიტუციაც, ხოლო 20 ივლისს სოლსბერი დასტოვა უკანასკნელმა ინგლისელმა გუბერნატორმა გიბლსმა. საინტერესო შეფასება მისცა ახალ კონსტიტუციას თვით სმიტმა: „ჩვენ არ ვმალავთ, რომ ჩვენს კონსტიტუციას გააჩნია რასობრივი საფუძველი, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურს ვიყოთ პატიოსნები და ვაღიარებთ, რომ როდეზიაში არსებობს რასობრივი პრობლემა.“ 1970 წლის 3 მარტს ხმაურისა და საზეიმო ცერემონიალის გარეშე სამხრეთ როდეზია ოფიციალურად გამოცხადდა რესპუბლიკად. დროებით პრეზიდენტად დაინიშნა რასისტი დიუპონი. იმავე დღეს ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელმა როდეზიის მთავრობის აქცია დაახასიათა როგორც „უკანონო მთავრობის ახალი უკანონო აქტი“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კი ინგლისის წარმომადგენელმა ეკონომიურ სანქციათა გაძლიერება მოითხოვა. სოლსბერში, სადაც უკვე მშვენივრად ესმოდათ სანქციათა ფასი, 1970 წლის 10 აპრილისათვის დანიშნული იყო მთავრობისა და საკანონმდებლო კრების არჩევნები. არჩევნებში დაშვებულ იქნა 87 000 თეთრკანიანი და მხოლოდ 8326 აფრიკელი. საკანონმდებლო კრებაში თეთრკანიანებს უნდა აერჩიათ 50 დეპუტატი, აფრიკელებს — 8. ზიმბაბვეს აფრიკელთა კავშირმა, რომელსაც სათავეში ედგა ნკომო, და ზიმბაბვეს აფრიკელთა ეროვნულმა კავშირმა სიტოლეს მეთაურობით, უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. სამაგიეროდ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო გაერთიანებულმა ეროვნულმა პარტიამ, რომელიც თვით ევროპელ მიმომხილველთა აზრით არასოდეს გამოხატავდა აფრიკელთა ნამდვილ ინტერესებს. როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნებში გაიმარჯვა როდეზიის ფრონტმა. პრემიერად აირჩიეს სმიტი, პრეზიდენტად დიუპონი. 1970 წლის ზაფხულში ინგლისის ხელისუფლების სათავეში კონსერვატორთა დაბრუნება ერთნაირი ენთუზიაზმით იქნა აღქმული პრეტორიასა და სოლსბერში. სამხრეთაფრიკელ რასისტთა ოპტიმიზმი უსაფუძვლო არ ყოფილა, კონსერვატორებმა იმ უხერხემლო აქციებზეც კი აიღეს ხელი, რომელთაც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად აღიარებდა ლეიბორისტთა კაბინეტი. საერთაშორისო არენაზე სიტუაციის შეცვლა სმიტის მთავრობამ გამოიყენა რასისტული პოლიტიკის გასააქტიურებლად; 1970 წლის 9 ივლისს სმიტმა ხელი მოაწერა დეკრეტს ინიანგის რაიონიდან 2600 აფრიკელის გასახლებაზე. ეს რაიონი გამოცხადდა „თეთრად“. იმავე წლის ნოემ-

ბერში კი ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის კორესპოდენტის შეკითხვაზე, თუ როდისთვის არის მოსალოდნელი როდეზიაში საყოველთაო-საარჩევნო სისტემის შემოღება პრინციპით — „ერთი ადამიანი — ერთი ხმა“, სმიტმა ცინიკური გულახდილობით უპასუხა — „ვიმედოვნებ, რომ არასოდეს“.

კონსერვატორთა დაბრუნება ინგლისის ხელისუფლების სათავეში, სმიტის მთავრობის მხოლოდ მორალურ გამარჯვებას როდი წარმოადგენდა. თუ ადრე როდეზიელი რასისტები არასოდეს კარგავდნენ ინგლისთან შერიგების იმედს და დროებით უთანხმოებას კონიუნქტურულ მოვლენად განიხილავდნენ, ახლა მათ უკვე საშუალება მიეცათ ოფიციალურად აღედგინათ ნორმალური ურთიერთობა, მით უმეტეს, რომ კონსერვატორები არ მალავდნენ თავიანთ სიმპათიებს სამხრეთაფრიკელ რასისტთა მიმართ. ამიტომ ბევრისათვის მოულოდნელობას არ წარმოადგენდა 1971 წლის 24 ნოემბერს ლონდონში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობასა და სმიტის რეჟიმს შორის მიაღწიეს შეთანხმებას და გადაწყდა „საკონსტიტუციო დავა“. შეთანხმებას წინ უსწრებდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის დუგლას-ჰიუმის 10 დღიანი ვიზიტი სოლსბერში. უფრო ადრე კი სმიტთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი ჰუდმანი. თუმცა ინგლისის მთავრობის ოფიციალური განცხადების თანახმად შეთანხმება ითვალისწინებდა აფრიკელთა ეროვნული ინტერესების დაცვასა და რასობრივი დისკრიმინაციის უარყოფას, შეთანხმების რეალურ არსზე გაცილებით ნათელ წარმოდგენას იძლეოდა თვით როდეზიელ რასისტთა განწყობილება: როდესაც კორესპონდენტებმა სმიტს ჰკითხეს, თუ როგორ შეხვდებოდა როდეზიის თეთრკანიანი მოსახლეობა შეთანხმებას, მან მოკლედ უპასუხა: „ისინი ბედნიერები იქნებიან“, ხოლო კითხვაზე, თუ იქნებოდნენ ასევე ბედნიერნი როდეზიელი აფრიკელები, სმიტმა უპასუხა: „ჩვენი აფრიკელები მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანები არიანო“. კორესპონდენტთა ცნობით, ასეთმა პასუხმა სმიტის თანმხლები პირების თავშეუკავებელი სიცილი გამოიწვია. შეთანხმებას კმაყოფილების გრძნობით შეხვდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობაც; ფორსტერმა თავისი მთავრობის სახელით ოფიციალური მილოცვა გაუგზავნა როგორც ინგლისის, ასევე როდეზიის მთავრობას. თუ რა მოუტანა ხუთ მილიონ აფრიკელს ზემოხსენებულმა შეთანხმებამ, ამაზე იმის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა, რომ შეთანხმების შემდეგ მკვე-

თრად ვაძლიერდა, ერთი მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხოლო მეორე მხრივ, მთავრობის რეპრესიები.

შეთანხმების დადებიდან ერთი წლის შემდეგ სამხრეთ როდეზიაში ჩავიდა ლორდ პირსის კომისია, რომელსაც ადგილზე უნდა შეესწავლა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდებოდა შეთანხმება და როგორ შეხვდა მას ადგილობრივი მოსახლეობა. შეთანხმების დადების შემდეგ ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ მისი რატიფიცირება მოხდებოდა მას შემდეგ, როდესაც შეთანხმებას მოიწონებდა „ყველა როდეზიელი". სწორედ უკანასკნელი გარემოების დასადგენად მიავლინეს პირსის კომისია. აფრიკელთა საერთო უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ, რაც პირდაპირი შედეგი იყო 1971 წლის ნოემბრის შეთანხმებისა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პირსი იძულებული იყო აღიარებინა, რომ როდეზიის მთელი აფრიკული მოსახლეობა შეთანხმებას ვანიხილავდა როგორც ფარსს. სმიტის მთავრობა ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა დაეშინებინა აფრიკელები. ათეულობით აფრიკელი დახოცა პოლიციამ კომისიის მუშაობის დღეებში, ასობით ადამიანი დააპატიმრეს, მაგრამ რასისტებმა მაინც ვერ შეძლეს აეძულებინათ აფრიკელები ყალბი ჩვენებები მიეცათ პირსის კომისიისათვის. 1972 წლის 8 თებერვალს პირსმა ჯერ კიდევ სოლსბერში ყოფნისას ბრალი დასდო სმიტის მთავრობას შეთანხმების დარღვევაში, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ადგილობრივი მოსახლეობისადმი ტერორის პოლიტიკაში.

როდესაც ინგლისში გამოქვეყნდა პირსის კომისიის მოხსენება, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი შედგენილი იყო ძალზედ ზომიერ ფორმებში და სანახევროდაც კი არ ასახავდა როდეზიაში შექმნილ რეალურ სიტუაციას, სმიტმა სასტიკად გააკრიტიკა მოხსენება და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მის მთავრობაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა ვერც პირსის მოხსენება და ვერც ინგლისის მთავრობის სხვა რაიმე ღონისძიება: „მე პირობას გაძლევთ, — დაამშვიდა მან როდეზიელი რასისტები, — რომ ჩვენ მტკიცედ ვმართავთ ქვეყანას და არ დავუშვებთ იმ ჰარმონიისა და მშვიდობის დარღვევას, რომელიც აღსდგა ქვეყანაში პირსის კომისიის გამგზავრების შემდეგ". აღსანიშნავია, რომ თავისუფალმა აფრიკამ დადებითი შეფასება მისცა პირსის კომისიის მიერ ჩატარებულ მუშაობას იმ თვალსაზრისით, რომ კომისიის მოხსენებაში პრინციპში ობიექტურად აისახა აფრიკელთა დამოკიდებულება 1971 წლის შეთანხმებისადმი, რამაც ინგლისის მთავრობა

აიძულა თავი შეეკავებინა შეთანხმების ცხოვრებაში გატარებისაგან. თავის მხრივ სმიტიც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ აფრიკელთა მტკიცე პოზიციამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ინგლისის მთავრობაზე. რაც შეეხება თვით აფრიკელებს, „ისინი ინანებენ, რომ შეცდომაში შეიყვანეს პირსის კომისია“, — დაიმუქრა სმიტი.

წლების განმავლობაში სამხრეთ როდეზიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გარკვეულ ზიანს აყენებდა და მის ეფექტურობაზე უარყოფითად მოქმედებდა განხეთქილება და ქიშპობა ზაპუსა და ზანუს შორის. 1970 წლის დასასრულს ზაპუს ლიდერი ნკომო და ზანუს ლიდერი სიტოლე (რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ) შეთანხმდნენ ერთობლივ მოქმედებაში. 1972 წლის 12 მარტს ზაპუსა და ზანუს წარმომადგენლებმა დარ-ეს-სალამში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთობლივი სამხედრო ხელმძღვანელობის შექმნის შესახებ. გაერთიანებული სამხედრო ხელმძღვანელობის თავმჯდომარედ დაინიშნა ზანუს წარმომადგენელი ჩიტეპო, ვიცე-თავმჯდომარედ ზაპუს წარმომადგენელი მოიო. გაერთიანებულ ხელმძღვანელობას დაევალა შეიარაღებული ბრძოლის დაგეგმვა და განხორციელება. კომენტარს უკეთებდა რა შეთანხმებას, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის აღმასრულებელმა მდივანმა მაგომბემ განაცხადა: ნამდვილი შეთანხმება ისტორიული მნიშვნელობის აქციაა არა მარტო ზიმბაბვეს ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, არამედ მთელი აფრიკის კონტინენტის ბრძოლის ისტორიაშიც.“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შიგნით უთანხმოების ლიკვიდირებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე მოჰყვა თავისი დადებითი შედეგები: სმიტის მთავრობას ფაქტიურად უკვე აღარ შეუძლია საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს პარტიზანულ მოძრაობას და დახმარებისათვის ისევ თავის ძველ მოკავშირეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მიმართა, რომლის შეიარაღებული ძალები უკვე წლების განმავლობაში იცავენ სმიტის რეჟიმს პარტიზანებისაგან. 1973 წლის ნოემბერში სმიტის მთავრობამ დააწესა ზამბიის საზღვრის ბლოკადა, რაც ოფიციალურად გამართლდა პარტიზანულ მოძრაობასთან ბრძოლის აუცილებლობით. იმავე წელს სამხრეთ როდეზიამ 25 მლნ გირვანქა სტერლინგი დაკარგა, რასაც იგი ადრე ზამბიის საქონლის როდეზიის ტერიტორიაზე გადაზიდვის საფასურად ღებულობდა. მიუხედავად ასეთი ძვირადღირებული ღონისძიებებისა, დღითი დღე ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. როგორც 1973 წლის ივნისში აფრიკული ეროვნული საბჭოს

ლიდერმა მუზორევამ განაცხადა, „მას შემდეგ, რაც აფრიკულ მოსახლეობას იმედი ამოეწურა, რომ კონსტიტუციური საშუალებებით დაიკმაყოფილებდა თავის პოლიტიკურ მიზნებს, მას აღარაფერი რჩება იმის გარდა, რომ შეიარაღებული ბრძოლით შეცვალოს არსებული სისტემა".

პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დაცემამ, ანგოლისა და მოზამბიკის მიერ თავისუფლების მოპოვებამ თავისი კორექტივები შეიტანეს როდეზიელ რასისტთა გეგმებსა და მოქმედებაში. 1974 წლის დამლევს ფორსტერი, რომელიც სმიტთან შედარებით რეალისტია, შეეცადა უკანასკნელი აეძულებინა, რომ საღი თვალით შეეფასებინა შექმნილი სიტუაცია და „ზემოდან" გაეტარებინა ზოგიერთი კუდმოკვეცილი რეფორმა. 1974 წლის დეკემბერში ზამბიის დედაქალაქ ლუსაკაში, ზამბიის, ტანზანიისა და ბოტსვანას პრეზიდენტების თანხლებით შედგა მოლაპარაკება სმიტსა და ზიმბაბვეს განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, ნკომოსა და სიტოლეს შორის. მოლაპარაკების მსვლელობაში სმიტმა მთელი რიგი ვალდებულებები იკისრა, რომელთაგანაც მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შეასრულა; 380 პოლიტიკური პატიმრიდან სულ 60 გაათავისუფლეს (ლუსაკას შეთანხმება კი სრულ ამნისტიას ითვალისწინებდა), ხელშეკრულების სხვა არც ერთი პუნქტი არ ყოფილა შესრულებული. ლუსაკას კონფერენციის შედეგად სმიტის რეჟიმმა კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები. განმათავისუფლებელი მოძრაობის 5 მებრძოლი ჩამოახრჩეს სოლსბერის ცენტრალურ ციხეში, ქვეყანაში დაიწყო ახალი დაპატიმრებები. რეპრესიათა ზრდა პირდაპირი შედეგია იმ სიძნელეებისა, რომელთა წინაშეც სმიტის მთავრობა აღმოჩნდა; თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან მოსაზღვრე 20-კილომეტრიან ზოლს, როდეზია დღეს უკვე მთლიანად აფრიკის თავისუფალი სახელმწიფოებით არის გარშემორტყმული. ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული საზღვრების დასაცავად როდეზიის არმიას მხოლოდ 4 000 ჯარისკაცი და 10 000 რეზერვისტი გააჩნია. ამავე დროს არმიის შევსება, რომელიც სისტემატურ დანაკლისს განიცდის პარტიზანებთან ბრძოლაში, ძალზედ რთული პრობლემაა — ქვეყანაში ხომ სულ 270 000 თეთრკანიანი ცხოვრობს 5, 5 მლნ აფრიკელთან ერთად. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა თეთრკანიანთა გაწვევა არმიაში. 10 წლის წინათ თეთრკანიანი, ფერადკანიანი და აზიელი ახალგაზრდობა (შავკანიანებს არ იწვევენ არმიაში) ოთხთვენახევრიან სამხედრო წვრთნას გადიოდნენ წელიწადში, 1975 წლიდან ერთ წლამდე გაგრძელდა სამხედრო წვრთნა.

ქვეყანაში კი ყველგან იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა. როგორც როდეზიის პრესა წერს, პარტიზანთა მოქმედების მთავარი საფრთხე ისაა, რომ ისინი მთავრობას აიძულებენ დიდი ხნით ჩამოაშორონ ეკონომიკას კვალიფიციური თეთრკანიანი მუშები.

არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება სმიტის მთავარი მეურვე—ფორსტერი. შექმნილი სიტუაცია სწრაფ და მოქნილ რეაგირებას მოითხოვს. როდეზიელ რასისტთა პოლიტიკის უპერსპექტივობაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი და ფორსტერს აწყობს (როგორც უკიდურესი გამოსავალი) როდეზიაში იხილოს ავტორიტარული და კონსერვატორული აფრიკული მთავრობა, რომელიც მალავის მთავრობის მსგავსად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სავაჭრო პარტნიორი გახდებოდა და პრეტორიას გზას გაუკაფავდა თავისუფალ აფრიკაში, მაგრამ მანამდე კი საჭიროა ამის აუცილებლობა შეაგნებინოს თავის ჯიუტ „სამეურვეო ბავშვს“ — სმიტს. აღნიშნული მიმართულებით ფორსტერის მხრიდან მორიგ ცდას ადგილი ჰქონდა 1975 წლის 25 აგვისტოს, როდესაც მდინარე ზამბეზზე გადებულ ხიდზე ერთმანეთს შეხვდა ორი დელეგაცია: როდეზიის მთავრობის, სმიტის მეთაურობით და ზიმბაბვეს განმათავისუფლებელი მოძრაობისა, მუზორევას, სიტოლეს და ნკომოს მეთაურობით. კონფერენციას ესწრებოდნენ მისი ინიციატორებიც—ფორსტერი და კაუნდა. 14-საათიანი მოლაპარაკების შემდეგ შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა; საკვანძო საკითხში, ე. ი. ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისათვის ხელისუფლების გადაცემის საკითხში, ვერაფითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს მიუხედავად ფორსტერისა და კაუნდას მხრიდან ყოველგვარი ცდებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკის რიგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ინიციატივა ლუსაკის ცნობილ მანიფესტს ეყრდნობა, რომელიც ჯერ კიდევ 1969 წელს შეიმუშავეს ცენტრალური და აღმოსავლეთი აფრიკის 14 სახელმწიფომ. მანიფესტის მთავარი არსი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრაში მდგომარეობს, თუ რასაკვირველია, სმიტის მთავრობა აღიარებს ადგილობრივ მკვიდრთა თვითგამორკვევის უფლებას. ბევრი რამ შეიცვალა ლუსაკას მანიფესტის შემდეგ; ზიმბაბვეს ხალხთა შეიარაღებული ბრძოლის აღმავლობის შედეგად სმიტი რთული ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა — ან კონფლიქტის შემდგომ გართულებაზე უნდა წავიდეს, ან ლუსაკას მანიფესტი უნდა მიიღოს.

უკანასკნელ პერიოდში სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ზიმბაბვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობათა კონსო-

ლიდაციის საკითხშიც; პრაქტიკულად გაერთიანდა აფრიკული ეროვნული საბჭოს, ზიმბაბვეს აფრიკელი ხალხის კავშირის, ზიმბაბვეს აფრიკული ეროვნული საბჭოს და ზიმბაბვეს განთავისუფლების ფრონტის შეიარაღებული ძალები, რომელთაც ოთხივე ორგანიზაციის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ. დაძლეულია სეპარატისტული ტენდენციები, თუმცა ჯერ კიდევ ძნელია თქმა თუ რამდენად მყარი აღმოჩნდება კავშირი.

1974 წლის 1 ნოემბერს სმიტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ის მზადაა მონაწილეობა მიიღოს საკონსტიტუციო კონფერენციაში, სადაც მიწვეული იქნებიან განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებიც. ეს არის ზიმბაბვეს ხალხის დიდი გამარჯვება, ვინაიდან 10 წლის განმავლობაში სმიტი უარს აცხადებდა რაიმე მოლაპარაკება ეწარმოებინა პატრიოტებთან. რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, ისინი თანახმა არიან მონაწილეობა მიიღონ ასეთი კონფერენციის მუშაობაში, მხოლოდ იმ პირობით, თუ კონფერენცია განიხილავს ზიმბაბვეს ხალხისათვის ხელისუფლების გადაცემის საკითხს.

1976 წლის დამლევს საკონსტიტუციო კონფერენციის მომზადების მიზნით აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა გააჩაღა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კისინჯერმა. შესდგა კიდეც სმიტისა და ზიმბაბვეს განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა მოლაპარაკება ჟენევაში.

დასავლეთში ფართოდ იყო რეკლამირებული კისინჯერის გეგმა, რომელსაც თითქოს და უმრავლესობისათვის ხელისუფლების გადაცემა უნდა მოჰყოლოდა. როდესაც 1977 წლის თებერვლისათვის უკვე ცხადი იყო, რომ ჟენევის ცდამაც უშედეგოდ ჩაიარა, როდეზიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და ფინანსთა მინისტრმა დევიდ სმიტმა ასე „დააზუსტა“ კისინჯერის გეგმა — „ვინ ახსენებდა შავკანიანთა უმრავლესობას? ამაზე არასოდეს არ ყოფილა ლაპარაკი. როდესაც ჩვენ უმრავლესობაზე ვლაპარაკობთ. მხედველობაში გვაქვს უფლებამოსილი უმრავლესობა, კენჭისყრის შედეგად მათ მიერ არჩეული, ვინც საამომრჩევლო ცენზს აკმაყოფილებს. ჩვენ გვსურს, რომ ხელისუფლების სათავეში მოვიდეს დროებითი მთავრობა, რომელიც ჩვენს გარანტიას უზრუნველყოფს. ჩვენთვის მთავარია მომავალშიც შევინარჩუნოთ ის ხელმძღვანელი სიმაღლეები, რომელთა მიღწევაც შევძელით. ჩვენ მზად არა ვართ, რომ აუნაზღაურებლად დავკარგოთ ეს ქვეყანა.

სწორედ ეს მოხდება, თუ დავთანხმდებით, რომ თითოეულს თითო ხმა ჰქონდეს არჩევნებში". დ. სმიტის მტკიცებით მთავრობა არასოდეს არ უწევდა მდგომარეობას ისეთ ეფექტურ კონტროლს, როგორც 1977 წლის დასაწყისში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობისადმი ოპოზიციაში მყოფი თეთრკანიანებიც არ იზიარებენ მმართველი წრეების ოპტიმიზმს. როდეზიის პარტიის ვიცე-პრეზიდენტის სეივორის აზრით, იან სმიტი ყველას ატყუებდა, როდესაც უმრავლესობისათვის ხელისუფლების გადაცემაზე ლაპარაკობდა. აი რა განაცხადა ჟურნალ „ჟენ აფრიკ"-ის კორესპონდენტთან საუბარში სეივორმა 1977 წლის 28 იანვარს — „ის, რაც დასავლეთში კეთილი ნების გამოხატვად და რეალიზმად არის მიღებული, სინამდვილეში უხეში სიცრუეა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აფრიკელები იმდენად გასულელდებოდნენ, რომ მიიღებდნენ კისინჯერის გეგმას, აქედან მაინც არაფერი გამოვიდოდა. ჟენევაში უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოს შექმნის თაობაზე, სადაც შევიდოდა 2 — 3 თეთრკანიანი, პარტია როდეზიის ფრონტიდან, 2 — 3 შავკანიანი ნაციონალისტი, ხოლო სმიტი იქნებოდა თავმჯდომარე. თავის მხრივ სახელმწიფო საბჭო დაამტკიცებდა მინისტრთა საბჭოს, სადაც შავკანიანებს თეთრებთან შედარებით ერთით მეტი პორტფელი ექნებოდათ. თეთრების ხელში დარჩებოდა პოლიცია და არმია. სახელმწიფო საბჭოს თანხმობის გარეშე მინისტრთა საბჭო ვერავითარ ცვლილებებს ვერ შეიტანდა არსებულ კანონმდებლობაში. ასეთი საბჭოს შექმნის შემდეგ სმიტი მთელ მსოფლიოს განუცხადებდა: „ჩვენ ცხოვრებაში განვახორციელეთ კისინჯერის გეგმა, ახლა კი გააუქმეთ სანქციები, საჭიროა ბოლო მოეღოს ტერორიზმს".

სმიტის სიჯიუტემ და აქედან გამომდინარე ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლამ, როდეზიის თეთრი ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია. ოპოზიციას შეგნებული აქვს სმიტის პოლიტიკის უპერსპექტივობა, იგი ცდილობს უფრო მოქნილი იყოს და ამ მიზნით მანევრირებს. სწორედ ჟენევის მოლაპარაკების პირველი ეტაპის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ შეიქმნა ორგანიზაცია „ეროვნული მოქმედების ძალა", რომელიც იმედოვნებს, რომ ჟენევაში მოლაპარაკების განახლების შემთხვევაში შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს მის წარმატებაში.

რაც შეეხება როდეზიის ეკონომიურ მდგომარეობას, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად „ეკონომიური სანქციებისა" (რომელიც უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე რეალურს), იზრდება ქვეყნის საბითუმო პროდუქტი, ინფლაცია 10—11 პროცენტს არ აღემატება,

მაშ-ნ როდესაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იგი 14 პროცენტს შეადგენს. ქვეყნის ეროვნული დოვლათი ასე ნაწილდება: 1975 წელს 6, 22 მლნ აფრიკელის შემოსავალი 437, 2 მლნ დოლარს უდრიდა, ხოლო 30 ათასი თეთრკანიანის — 602.6 მლნ-ს.

ქვეყნის თეთრკანიან ლიბერალთა აზრით, საკონსტიტუციო შეთანხმება ე. წ. ზომიერ ნაციონალისტ ლიდერებთან, მათ სეინდისსაც დაამშვიდებდა, სანქციებსაც გააუქმებდა და ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრებასაც განაახლებდა. თუმცა ბევრი თეთრკანიანი როდეზიელის აზრით ამგვარი რეგულირება ბოლოს ვერ მოუღებს პარტიზანთა მოქმედებას. ეპისკოპოსი მუზორევა, რომელიც კონფლიქტის „ზომიერ“ ფარგლებში გადაჭრის შემთხვევაში ხელისუფლების სათავეში მოვა, უსაფრთხოების ისეთივე რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, როგორც სმიტი.

ასეთ სიტუაციაში ბევრი თეთრკანიანი როდეზიელი ეკითხება საკუთარ თავს — ეგებ ამ ქვეყნიდან წასვლა სჯობს? მაგრამ სად? ინგლისი მათ არ იტაცებთ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას კი როდეზიაზე უკეთესი პერსპექტივები როდი გააჩნია.

1977 წლის მარტში სოლსბერის ერთ-ერთ განაპირა რაიონში, სადაც ძირითადად მხოლოდ აფრიკელები ცხოვრობენ, აფრიკული ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა ინტერვიუ მისცეს უცხოელ ჟურნალისტებს. აი რა განაცხადა ამ ინტერვიუში ჯოშუა ნკომოს ნდობით აღჭურვილმა პირმა დანიელ მადზიმამუტუმ: „არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: ხელისუფლების სათავეში შავკანიანი უმრავლესობის მოსვლა. სწორედ ეს არ სურს სმიტს, ხოლო შექმნილ სიტუაციაში ჩვენ არ შეგვიძლია მასთან კამათი. ამრიგად, ჩვენთვის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს: შეირაღებული ბრძოლა“.

მართალია, სმიტმა ერთხელ კიდევ შეძლო გაეხანგრძლივებინა თავისი დიქტატურა, მაგრამ მას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა დიქტატორს, არ შეუძლია სიცოცხლისუნარიანად აქციოს ისტორიულად მოძველებული რეჟიმი.

უკანასკნელი კოლონიური იმპერიის ნანგრევებზე

გვინეი-ბისაუ

პორტუგალიელი მეზღვაურები პირველად 1446 წელს გამოჩნდნენ დღევანდელ გვინეი-ბისაუს სანაპიროზე. მას შემდეგ ხუთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა აფრიკის ეს პატარა ქვეყანა პორტუგალიის მფლობელობაში. მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის სასტიკი ექსპლოატაციისა, ლისაბონს არასოდეს არ ჰქონდა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი შემოსავალი ამ პატარა კოლონიიდან და უკანასკნელი გარემოება იქცა იმის ერთ-ერთ მიზეზად, რომ მეტროპოლია იმ ელემენტარულ დაინტერესებასაც კი არ იჩენდა გვინეი-ბისაუს მრეწველობის განვითარებისათვის, რომელსაც სხვა ქვეყნებში ჰქონდა ადგილი. გვინეი-ბისაუში განთავისუფლებამდე მხოლოდ ერთი სკოლა არსებობდა და იქაც მოსწავლეთა 60 პროცენტი პორტუგალიელი ბავშვები იყვნენ. კოლონიური მმართველობის მთელ პერიოდში მხოლოდ 14-მა ადგილობრივმა მკვიდრმა შეძლო უმაღლესი განათლების მიღება. ერთ-ერთმა მათგანმა ინჟინერ-აგრონომმა, ამილკარ კაბრალმა 1956 წლის ივნისში თავის ხუთ თანამოაზროვნესთან ერთად დააარსა გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკული პარტია (პაიგკ). თავდაპირველად პარტიის პროგრამა თავისუფლებისათვის ბრძოლის მხოლოდ ლეგალურ ფორმებს ითვალისწინებდა, მაგრამ საკმარისი იყო 1959 წლის 3 აგვისტოს კოლონიზატორებს სისხლში ჩაეხშოთ ბისაუს ნავსადგურის მუშების გამოსვლა, რომ ბოლო მოღებოდა ამ პარტიის პაციფიზმს. 1959 წლის სექტემბრიდან იწყება გვინეი-ბისაუს პატრიოტთა შეიარაღებული ბრძოლის ახალი ეტაპი.

1965 წლისათვის პატრიოტებმა გაათავისუფლეს ქვეყნის ნახევარი, 1968 წლის დასაწყისისათვის კი გვინეი-ბისაუს ორი მესამედიდან სამუდამოდ განდევნეს კოლონიზატორები. 1972 წლის აპრილში განთავისუფლებულ რაიონებს ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

სპეციალური მისია, რომლის მოხსენებაშიც აღნიშნული იყო, რომ განმათავისუფლებელი ძალები ეფექტურ კონტროლს უწევდნენ მთელ რიგ რაიონებს, სადაც ლიკვიდირებული იყო კოლონიური ადმინისტრაცია და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს თვითონ ხალხი ირჩევდა. 1972 წლის 13 აპრილს კონაკრში მორიგ სხდომაზე შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტი, რომელმაც გვინეი-ბისაუს ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად ცნო პაიგკ-ი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოცდამეშვიდე სესიამ კი ხმის დიდი უმრავლესობით დაამტკიცა კომიტეტის გადაწყვეტილება.

1972 წლის აგვისტოს ბოლოდან ოქტომბრამდე ყველა განთავისუფლებულ რაიონში ჩატარდა ეროვნული სახალხო კრების არჩევნები. გვინეი-ბისაუს ისტორიაში პირველად 1973 წლის იანვარში თავის პირველ სესიაზე უნდა შეკრებილიყო ეროვნული კრების 120 დეპუტატი, მაგრამ სესიის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, 23 იანვარს, კონაკრში პორტუგალიელ კოლონიზატორთა მიერ მოსყიდულმა მოღალატემ ვერაგულად მოკლა ა. კაბრალი — პაიგკ-ის გენერალური მდივანი.

მიუხედავად იმისა, რომ ა. კაბრალის მოკვლა უდიდესი დანაკარგი იყო პარტიისა და გვინეი-ბისაუს ხალხისათვის, პორტუგალიელებმა მაინც ვერ შეძლეს შეესუსტებინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1973 წლის მაისში პაიგკ-ის შეიარაღებულმა ძალებმა ფართო სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს, რომლის კოდური სახელწოდება „ამილკარ კაბრალი“ იყო. გაათავისუფლეს ქვეყნის ახალი რაიონები სამხრეთში. ასეთ ვითარებაში 1973 წლის 23—-24 სექტემბერს მადინა-ქიეში შეიკრიბა სახალხო კრების პირველი სესია. სესიამ ერთხმად მიიღო დეკლარაცია გვინეი-ბისაუს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. აღნიშნული პერიოდისათვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ტერიტორია რჩებოდა კოლონიზატორთა ხელში, ამიტომ რესპუბლიკის გამოცხადება არ ნიშნავდა დამოუკიდებლობის მოპოვებას. პირველივე სესიაზე მიღებულ იქნა 58 მუხლისაგან შემდგარი კონსტიტუცია, რომლის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „გვინეი-ბისაუ წარმოადგენს სუვერენულ, დემოკრატიულ, ანტიკოლონიურ და ანტიიმპერიალისტურ რესპუბლიკას, რომელიც იბრძვის სრული განთავისუფლებისათვის და თავისი ხალხის სოციალური პროგრესისათვის“. სესიამ დაამტკიცა სახელმწიფო საბჭო 15 კაცის შემადგენლობით, რო-

მელთაც სათავეში ჩაუდგა ლუის კაბრალი — პაიგკ-ის გენერალური მდივნის არისტიდეს პერეისრას მოადგილე. კონსტიტუციის თანახმად საბჭო ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას ეროვნული სახალხო კრების სესიებს შორის. სახელმწიფო საბჭოს, ისევე როგორც ეროვნულ სახალხო კრებას, სამი წლით ირჩევენ. ა. კაბრალის დაბადების დღე, 12 სექტემბერი გამოცხადდა ეროვნულ დღესასწაულად, ხოლო თვით ა. კაბრალი აღიარეს სახელმწიფოს დამაარსებლად.

კაეტანუს ფაშისტურმა რეჟიმმა რეპრესიათა გაძლიერებით უპასუხა რესპუბლიკის გამოცხადებას. მაგრამ სიტუაციის შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო. დღითი დღე იზრდებოდა ახალგაზრდა რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი, გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ თავის ოცდამერვე სესიაზე განიხილა „პორტუგალიის შეიარაღებული ძალების მიერ გვინეი-ბისაუს რესპუბლიკის ზოგიერთი ტერიტორიის უკანონო ოკუპაციისა და აგრესიის აქტების საკითხი". 1973 წლის ოქტომბერში ახალგაზრდა რესპუბლიკა ცნო საბჭოთა კავშირმა, რომელიც სისტემატურად უწევდა მას დახმარებას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

მოზამბიკი

1545 წელს პორტუგალიელმა ზღვაოსანმა ლორენსუ-მარკიშმა ღეზა ჩაუშვა სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროს ერთ-ერთ კარგად დაცულ პატარა ყურეში. ტრადიციის თანახმად პორტუგალიელებმა აქ თავიანთი სავაჭრო ფაქტორია დააარსეს და მას ლორენსუ-მარკიში უწოდეს. ასე იწოდებოდა იგი — შემდგომ უკვე პორტუგალიის ერთ-ერთი უდიდესი კოლონიის ადმინისტრაციული ცენტრი — 430 წლის განმავლობაში 1975 წლის 25 ივნისამდე, როდესაც მოზამბიკის სუვერენული მთავრობის ერთ-ერთი პირველი აქტით ქვეყნის დედაქალაქს მოზამბიკის მე-16 საუკუნის ეროვნული გმირის ფუმუს პატივსაცემად კან-ფუმუ ეწოდა.

ჩვეულებრივ, ქალაქის ან სხვა ნებისმიერი პუნქტის სახელის შეცვლა იშვიათი შემთხვევა როდია. მაგრამ როდესაც საკითხი აფრიკას ეხება, აქ ასეთ ფაქტს რამდენადმე სხვა მნიშვნელობა აქვს. რამდენიმე ასეული წლის მანძილზე ევროპელები თანმიმდევრულად და მეთოდურად ეწეოდნენ ყოველივე ევროპულის ტრანსპლანტაციას აფრიკის კონტინენტზე — დაწყებული სალაპარაკო ენით და გეოგრაფიული სა-

ხელწოდებებით დამთავრებული. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო აფრიკელთა გარკვეულ ნაწილში, რომელსაც უკვე ეთაკილებოდა როგორც თავისი წარმოშობა, ისე ყოველივე აფრიკული. ამიტომ ე. წ. აფრიკანიზაციის კურსს, რომელიც თავის დროზე კ. ნკრუმამ წამოიწყო და წარმატებით განაგრძო ზაირის პრეზიდენტმა მობუტუმ, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიური დეკოლონიზაციის თვალსაზრისით.

მოზამბიკი დღეს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოა მსოფლიოში. იგი თავისი დამოუკიდებელი არსებობის სულ ორიოდე წელს ითვლის, მაგრამ თავისუფლებისათვის მის შვილთა ბრძოლას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

მოზამბიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა თავის განვითარების ახალ ეტაპში შევიდა 60-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ისტორიულმა რეალობამ უკვე პრაქტიკულად დააყენა დღის წესრიგში კონტინენტის სრული დეკოლონიზაცია. პორტუგალიის კოლონიური მმართველობის სპეციფიკამ და მეტროპოლიაში ფაშისტური რეჟიმის არსებობამ თავიდანვე განსაზღვრეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურება.

როდესაც 1968 წლის 27 სექტემბერს დიქტატორი სალაზარი ლისაბონის უნივერსიტეტის რექტორმა — პროფესორმა კაეტანუმ შეცვალა, მსოფლიოს პრესამ პორტუგალიაში რეჟიმის ლიბერალიზაცია იწინასწარმეტყველა, რაც ქვეყნის კოლონიურ პოლიტიკასაც უნდა შეხებოდა. მაგრამ ამ მიმართულებით არა თუ კოლონიებში, არამედ თვით მეტროპოლიებშიც 1974 წლის 25 აპრილამდე არაფერი შეცვლილა.

დემოკრატიზაცია და დეკოლონიზაცია ორგანულად ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ამიტომ იყო, რომ ყოველი შეფერხება პორტუგალიის დემოკრატიზაციის გზაზე სინქრონულ რეაქციას იწვევდა დეკოლონიზაციის პროცესში. ამიტომ იყო, რომ გენერალ სპინოლას რეაქციული პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ყოფილ კოლონიებში ნეოკოლონიური რეჟიმის დამყარებას ითვალისწინებდა.

მოზამბიკის ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას 1964 წლიდან ხელმძღვანელობს მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტი — „ფრელიმო“, რომელიც ტანზანიაში შეიქმნა. იმ პერიოდში მთელი განმათავისუფლებელი არმია 250 მებრძოლისაგან შედგებოდა, 1974 წლისათვის კი ფრონტი უკვე 40 ათას კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ ჯარისკაცს აერთიანებდა. ფრონტის წარმატებაზე მიუთითებდა ის ფაქ-

ტი, რომ 70-იანი წლების დასაწყისისათვის იგი უკვე მოზამბიკის მთელი ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტს უწევდა კონტროლს. მთლიანად იყო განთავისუფლებული ქვეყნის ოთხი მთავარი პროვინცია: კაბოდელგადუ, ნიასა, ტეტე და მინჯა. განთავისუფლებულ რაიონებში გახსნილი იყო სკოლები, სადაც 25 ათასი ბავშვი სწავლობდა, იქმნებოდა სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო კოოპერატივები და სხვა.

1974 წლის დამდეგისათვის ცალკეულ ქალაქებში გამოკეტილი გარნიზონები ძლივს ახერხებდნენ ურთიერთშორის კონტაქტს.

ფრელიმოს ხელმძღვანელის, სამორა მაშელის აზრით წარმატების მთავარი მიზეზი მოზამბიკელი ხალხის პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებაში იმალებოდა. პორტუგალიელ კოლონიზატორებს ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო ფრელიმოს პარტიზანებთან, არამედ მოზამბიკის მთელ მაცხოვრებლებთან.

რაც შეეხებოდა პორტუგალიის ფაშისტურ რეჟიმსა და მის იმპერიალისტ მოკავშირეებს, მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ კოლონიალიზმის დღეები უკვე დათვლილი იყო. ამის დამადასტურებელ მაგალითს წარმოადგენდა გიგანტური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდ. ზამბეზზე. კაშხალის სიგრძე 303 მეტრი იქნება, სიმაღლე 155 მეტრი. ელექტროსადგური გამოიმუშავებს უდიდესი რაოდენობის ენერგიას — 45 მლრდ კილოვატსაათს წელიწადში. ბუნებრივად იბადება კითხვა, ეისთვის იყო განკუთვნილი ამოდენა ენერგია? უპირველეს ყოვლისა დაკმაყოფილდებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის მოთხოვნილებანი. გარდა ამისა, ენერგია ხელს შეუწყობდა მოზამბიკის წიაღისეულის უფრო ინტენსიურ ექსპლოატაციას, კერძოდ საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო რკინის მადნის მოპოვება. უდიდესი წყალსაცავი კი ერთ ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობს მორწყავდა, რომელიც თეთრ კოლონისტებს გადაეცემოდათ. კომპლექსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მდ. ზამბეზი იქნება სანაოსნო, როდეზიას ექნება ზღვაში საკუთარი გასასვლელი. კაბორა-ბასის გრანდიოზული პროექტის განხორციელებას კოლონიურ და რასისტულ რეჟიმთა შემდგომი გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა აფრიკაში. ამიტომ იყო, რომ აფრიკისა და სხვა სახელმწიფოთა პროგრესული ორგანიზაციები კოლონიური პროექტის განხორციელების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ჯერ კიდევ 1970 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გაკიცხა კაშხალის მშენებლობა, 1971 წელს ასამბლეამ მოუწოდა ორგანიზაციის ყველა წევრ-სახელმწიფოს, რომელთა

ფირმები და კომპანიები მონაწილეობას ღებულობდნენ მშენებლობაში, გამოსულიყვნენ კონსორციუმიდან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 1974 წლის ბოლოსათვის. როდისთვისაც დაგეგმილი იყო კაშხლის მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები, ერთ მილიონ კოლონისტს მიიღებდა ეს რაიონი, რაც სერიოზულ სირთულეს შეუქმნიდა მოზამბიკის ვანთავისუფლების საქმეს. პროგრესული საზოგადოებრიობის პროტესტი იმდენად ძლიერი იყო, რომ დასავლეთის მთელი რიგი კომპანიები (ინგლისის, იტალიის, შვეიცარიის) იძულებული შეიქნენ გამოსულიყვნენ სამშენებლო კონსორციუმიდან. მიუხედავად ობიექტის გაძლიერებული დაცვისა, პარტიზანებს ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ სამხედრო ოპერაციები კოლონიზატორ-მშენებელთა წინააღმდეგ.

დღეს კაბორა-ბასა მისი კანონიერი მფლობელის, მოზამბიკის ხალხის საკუთრებაა და მისი ენერგიაც დანიშნულებისამებრ გამოიყენება.

აფრიკის ტერიტორიაზე მოქმედ განმათავისუფლებელ მოძრაობათაგან ფრელიმო გამოირჩევა იმითაც, რომ მისმა ხელმძღვანელებმა შეძლეს ფრონტის შიგნით ბოლო მოეღოთ ე. წ. ტრაიბოლიზმისათვის, ტომთა შორის შუღლისათვის. ფრელიმოს მებრძოლნი მოზამბიკის სხვადასხვა რაიონიდან არიან წარმოშობით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ კოლონიზაციის ფორმებითაც, არსებობს ენობრივი ბარიერიც, მაგრამ ფრელიმოს ყველა წევრი ერთიანი, თავისუფალი მოზამბიკის იდეით იყო და არის გამსჭვალული და სწორედ უკანასკნელმა აქცია მყარ მონოლითად ეს რთული ეთნიკური კონგლომერატი.

დღეს მოზამბიკი დამოუკიდებლობის პირველ წლებს ითვლის. ისევე როგორც სხვაგან, დამოუკიდებლობის მოპოვებით არც აქ გადაჭრილა ქვეყნის წინაშე მდგომი ყველა პრობლემა, ჯერ კიდევ ბევრი მძიმე ბრძოლა ელის წინ ახალგაზრდა სახელმწიფოს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ეკონომიური სიძნელეები, უცხოური მონოპოლიური კაპიტალის გავლენისაგან თავის დაღწევის აუცილებლობა. მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებს, რომ ქვეყნის ეკონომიკაში პორტუგალიელები არ იყვნენ გაბატონებულნი. ტროპიკულ მწვანე ნარგავებში ჩაფლულ ავენიდებზე განლაგებულია ინგლისის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, აშშ-ის, საფრანგეთის ბანკებისა და ფირმების ფილიალები. მოზამბიკის ბიუჯეტის საფუძველს წარმოადგენს არა სამრეწველო ან სოფლის მეურნეობის საქონლის ექსპორტის შემოსავალი,

არამედ ტურიზმი და სატრანსპორტო მომსახურება. ცხადია, რომ მეუ-რნეობის ასეთი სტრუქტურის პირობებში ძალზედ ძნელია მეზობელ რასისტულ სახელმწიფოსაგან ეკონომიური დამოკიდებულების ლიკ-ვიდაცია. როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა რესპუბლიკას, მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა, ჯერ კიდევ დიდი სიძ-ნელეები აქვს გადასალახავი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოზამ-ბიკის მდგომარეობა ტრაგიკულია. იმ მოკლე დროში, რაც ფრელიმოს განკარგულებაში იყო, პარტიამ შეძლო ფართო მასების აქტიური მხარ-დაჭერის უზრუნველყოფა, რაც იმის საწინდარია, რომ დროთა განმა-ვლობაში ყველა წინააღმდეგობა დაძლეული იქნება.

ა ნ გ ო ლ ა

1961 წლის 4 თებერვალს პორტუგალიის ზღვისიმიერი პროვინციის, ანგოლას ადმინისტრაციული ცენტრის, ლუანდას საუკეთესო სასტემ-რო „ტივოლი" მთლიანად უცხოელ ჟურნალისტებს ჰქონდათ დაკავე-ბული; იმ დღეს ლუანდაში პორტუგალიის ლაინერ „სანტა-მარიას" მო-ელოდნენ (რომელიც 1961 წლის იანვარში პორტუგალიელმა ანტიფა-შისტებმა გაიტაცეს) და მსოფლიოს მრავალმა გაზეთმა თავისი კორეს-პონდენტი მიავლინა შორეულ სანაპიროზე მეამბოხე ხომალდის შესა-ხვედრად. თუმცა, როგორც ცნობილია, ლაინერმა ვერ ჩააღწია ლუან-დას, მაგრამ ჟურნალისტებმა გაცილებით სენსაციური ამბავი ამცნეს მსოფლიოს; 4 თებერვალს გამთენიისას ანგოლელმა პატრიოტებმა იე-რიში მიიტანეს პორტუგალიელ ჯარისკაცთა ყაზარმებზე ლუანდაში. ანგოლაში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება პორტუგალიის კოლონიუ-რი რეჟიმის წინააღმდეგ.

მძიმე აღმოჩნდა ანგოლის ხალხის ხვეღრი კოლონიური რეჟიმის გაუქმების შემდეგაც; 100 დღეც არ იყო გასული პორტუგალიის რევო-ლუციურ მთავრობასთან დეკოლონიზაციის შესახებ შეთანხმების გა-ფორმების შემდეგ, რომ ანგოლაში დაიწყო ინტერვენცია.

როდესაც პორტუგალიის ახალმა რეჟიმმა ოფიციალურად გამოაც-ხადა 1975 წლის 11 ნოემბერი ანგოლის განთავისუფლების დღედ, თით-ქოს უკვე ბოლო უნდა მოღებოდა ანგოლის ხალხის 500 წლიან ტანჯვა-წამებას და ქვეყნის წინაშე მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივა უნდა დასახულიყო, მაგრამ ყოველივე ეს, სამწუხაროდ, მირაჟი აღმოჩ-ნდა. საერთაშორისო იმპერიალიზმს არც სურდა და არც შეეძლო გულ-

კრილად ეკქირა, თუ როგორ ეცლებოდა ხელიდან წიაღისეულით აფრიკაში მეორე ადგილზე მყოფი ქვეყანა. 11 ნოემბრამდე რამდენიმე კვირით ადრე დაიწყო ის, რაც დასავლეთის პრესამ შემდეგ სამოქალაქო ომად მონათლა, ხოლო სინამდვილეში ტიპიურ ინტერვენციას წარმოადგენდა.

ინტერვენცია, რომლის მთავარი დამრტყმელი ძალა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იყო, ჯერ კიდევ 6 აგვისტოს დაიწყო, როცა სამხრეთაფრიკელ რასისტთა ქვეგანაყოფებმა ანგოლის საზღვარი გადალახეს და ქვეყნის სამხრეთი რაიონების ოკუპაცია მოახდინეს. ინტერვენციის საბაბად გამოიყენეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ნდ. კუნენეზე, რომლის პირველი რიგის სამუშაოების დამთავრება 1977 წლისათვის იყო დაგეგმილი. ჰიდროელექტროსადგურზე დიდ იმედებს ამყარებდნენ როგორც სამხრეთაფრიკელი, ასევე საერთაშორისო მონოპოლიები. საქმე ის არის, რომ სწორედ ელექტროენერგიის ნაკლებობა ითვლება ნამიბიაში (სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა) სამთო მრეწველობის გაფართოების ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორად, ხოლო ნამიბიის სამთო მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ ამერიკულ „ცუმებ კორპორეიშნ"-ს და სამხრეთაფრიკულ „კონსოლიდეიტედ დაიამონდ მაინსს". ბუნებრივია, რომ ანგოლაში ანტიიმპერიალისტური, ეროვნულ-პროგრესული რეჟიმის გამარჯვება კარგს არაფერს უქადის ნამიბიის მძარცველებს. ადვილი შესაძლებელია, რომ ანგოლის სახალხო რესპუბლიკამ საერთოდ შეუწყვიტოს ელექტროენერგიის მიწოდება ნამიბიაში მოქმედ კომპანიებს. ანგოლის მთავრობამ ჯერ კიდევ 1975 წლის დამდეგს განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია არსებული პროექტით ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა.

როგორც ვხედავთ, სამხრეთაფრიკელ რასისტებსა და მათს პარტნიორებს ისღა დარჩენიათ, რომ შეიარაღებული ინტერვენციით ცდილიყვნენ ბოლო მოეღოთ ანგოლის სახალხო რესპუბლიკისათვის.

რაც შეეხება იმპერიალისტური სამყაროს ფლაგმანის, აშშ-ის პოლიტიკას ანგოლაში, ამაზე სრულ წარმოდგენას იძლევა ვაშინგტონის დიპლომატიური აქტიურობა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ადის-აბებას საგანგებო ასამბლეის დროს (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მატერიალურ დახმარებაზე, რომელიც აშშ-მა აღმოუჩინა ანგოლის პროიმპერიალისტურ დაჯგუფებებს).

1975 წლის 10 — 13 იანვარს ადის-აბებაში შეიკრიბა აფრიკის ერთობის ორგანიზაციის საგანგებო ასამბლეა, რომლის ინიციატორები

იყვნენ სომალი და ტანზანია. ასამბლეაზე ერთადერთი საკითხი — ანგოლაში შექმნილი მდგომარეობა განიხილებოდა. აშშ-ის მთავრობამ ჩინეთთან ერთად ყველა ღონე იხმარა, რათა არ დაეშვა ორგანიზაციის მიერ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ცნობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანგოლის კრიზისმა წინა პლანზე წამოსწია მთელი რიგი წმინდა აფრიკული ფაქტორებიც. ამ საკითხში გარკვევა არ იქნება ინტერესს მოკლებული, ვინაიდან მათ ასე თუ ისე სტაბილური ხასიათი აქვთ და შეუძლიათ დაყოვნებული მოქმედების ნაღმის როლი შეასრულონ.

აღმოსავლეთიდან ანგოლას ესაზღვრება ზამბია, სადაც 1973 წელს მთელ ტროპიკულ აფრიკაში ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე იყო ფიქსირებული. შემდგომ წლებში კი, როდესაც მსოფლიო ბაზრებზე უცებ დაეცა სპილენძის მადნის ფასი (სპილენძის მადნის ექსპორტი უზრუნველყოფს ზამბიის ეროვნული შემოსავლის 96 პროცენტს), მკვეთრად შემცირდა ქვეყნის შემოსავალიც. საჭირო გახდა უფრო მეტი მადნის გაზიდვა, მაგრამ აქ ახალი პრობლემა წამოიჭრა — ზამბიას არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი და მისი საექსპორტო საქონლის გაზიდვა ხდება ბენგალიის რკინიგზით, რომელიც ანგოლის გავლით უკავშირდება ატლანტის ოკეანეს. ანგოლაში ინტერვენციის დაწყების შემდეგ შეწყდა მოძრაობა რკინიგზაზე, გზის დიდი ნაწილი ერთ-ერთი სეპარატისტული ორგანიზაციის—უნიტას კონტროლქვეშ იმყოფებოდა. ამ ფაქტს უკანასკნელი როლი არ შეუსრულებია ზამბიის პრეზიდენტის კ. კაუნდას პოზიციის ჩამოყალიბებაში, იგი მჭიდროდ დაუკავშირდა უნიტას ლიდერს სავიმბის, იზიარებდა მის პოლიტიკურ პლატფორმას. ცხადია, რომ ასეთი ურთიერთობის მთავარი სტიმული წმინდა პრაგმატული მოსაზრება — ზამბიის ექსპორტისათვის ბენგალიის რკინიგზის გახსნა იყო. ამავე დროს ზამბიის პოზიციამ გამოიწვია მისი ურთიერთობის გამწვავება ტანზანიასა და მოზამბიკთან. კონფლიქტის წარმოშობამდე კი ამ სამი სახელმწიფოს ლიდერები მზად იყვნენ რეგიონალური კავშირის შესაქმნელად, რომელიც უნიკალური იქნებოდა თავისუფალი აფრიკის ისტორიაში იმ მხრივ, რომ იგი გასცდებოდა ყოფილ კოლონიურ ლინგვისტურ ჯგუფს (ტანზანია და ზამბია ინგლისის კოლონიები იყვნენ, მოზამბიკი — პორტუგალიისა). მაშინ, ზამბია ცნობდა და დახმარებას უწევდა უნიტას, მოზამბიკი და ტანზანია ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობას (მპლა) ცნობდნენ ერთადერთ პატრიოტულ განმათავისუფლებელ ორგანიზაციად. ატმოს-

ფერო კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც 1974 წლის ნოემბრის დამლევს გაიხსნა ტანზამის რკინიგზა. იგი ზამბიის რკინიგზის საბადოებს ტანზანიის ნავსადგურ დარ-ეს-სალამის საშუალებით (აქედან არის რკინიგზის სახელწოდებაც — „ტანზამი") ინდოეთის ოკეანესთან აკავშირებს. საომარი მოქმედების გამო ბენგალიის რკინიგზის მწყობრიდან გასვლის შემდეგ ტანზამი ერთადერთი არტერიაა, რომლის საშუალებითაც ზამბიას შეუძლია ზღვაზე გავიდეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში თუ ამ ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა იქნება. რაც შეეხება მოზამბიკს, მან ანგოლაზე ადრე მოიპოვა დამოუკიდებლობა და პირველი დღეებიდანვე აქტიურად უჭერდა მხარს მპლა-ს. ამავე დროს ანგოლისაგან განსხვავებით მოზამბიკი ღარიბია წიაღისეულით, მისი ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტვირთის ტრანზიტზე ლორენსუ-მარკიშის და ბეირას ნავსადგურებით. ამდენად, ეკონომიურად ჯერ კიდევ სუსტი რესპუბლიკა იძულებულია ანგარიში გაუწიოს მკაცრ რეალობას და სპეციალური შეთანხმება დადოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან მოზამბიკის რესპუბლიკის ნავსადგურების საბაჟოებში სამხრეთ აფრიკელ სპეციალისტთა გამოყენების შესახებ.

ჩრდილოეთიდან ანგოლას ესაზღვრება ზაირი, რომლის პრეზიდენტი მობუტუ წლების განმავლობაში მფარველობდა ანგოლის მეორე პროიმპერიალისტური მოძრაობის — ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის (ფნლა) ლიდერს, ბაკონგოს ტომიდან გამოსულ არისტოკრატს ჰოლდენ რობერტოს. მობუტუს გეგმებში არ შედიოდა პროგრესული რეჟიმის განმტკიცება მეზობელ ანგოლაში და ამიტომ ბოლო მომენტამდე ყოველმხრივ ცდილობდა არ დაეშვა მპლა-ს გამარჯვება.

რაც შეეხება ანგოლელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, იგი ორგანიზაციულ ფორმებს 1956 წლიდან იღებს, როდესაც მას სათავეში უდგება მპლა. სწორედ მისმა ლიდერებმა მიიტანეს იერიში პორტუგალიელებზე 1961 წლის 4 თებერვალს. მათ მხრებზე გადაიარა 15 წლიანი შეიარაღებული ბრძოლის მთელმა სიმძიმემ. ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ ეს პარტია (რომლის ლიდერია ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, აფრიკის ცნობილი პოეტი და რევოლუციონერი აგოსტინიო ნეტო) უდგას ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას სათავეში. მიუხედავად უკიდურესად მძიმე პირობებისა,

რესპუბლიკაში უკვე წარმატებით ხორციელდება პროგრესული ხასიათის სოციალ-ეკონომიური რეფორმები.

ჯაშუშ-პროვოკატორისა და უპრინციპო ავანტურისტის ტრივიალურ ტიპს წარმოადგენდა ფნლა-ს ლიდერი ჰ. რობერტო, რომელიც ინტერვენციის პერიოდში აშშ-სა და ჩინეთის აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა.

რაც შეეხება მესამე „განმათავისუფლებელ" ორგანიზაციას, უნიტა-ს, იგი პორტუგალიელ კოლონისტთა და სამხრეთ აფრიკელ რასისტთა ინიციატივით შეიქმნა მათი ინტერესების დასაცავად, ამაზე მეტყველებდა თვით ორგანიზაციის მანიფესტიც. თავის დროზე უნიტა-ს და ფაშისტური პორტუგალიის დელეგაციები ერთად გაემგზავრნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მპლა-ს წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსასვლელად.

ამრიგად, გასაგებია, თუ რას ნიშნავდა დასავლეთის ზრუნვა ანგოლაში ისეთი მთავრობის შესაქმნელად, რომელშიც პარიტეტულ საწყისებზე იქნებოდა წარმოდგენილი სამივე ორგანიზაცია.

ანგოლაში პროგრესული რეჟიმის დაარსების პერსპექტივის გამო დასავლეთის შეშფოთება და გაბოროტება ზომიერების ელემენტარული გრძნობის დაკარგვაშიც კი გადაიზარდა, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფოების ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეები საჯაროდ აცხადებდნენ, თითქოს საბჭოთა კავშირის პრინციპული პოლიტიკა მსოფლიოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხში, თვით საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესსაც კი აყენებდა საფრთხეში და ჰელსინკის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა. ასეთ დროს ძველი რომაელები ამბობდნენ: „შენ ბრაზობ იუპიტერო. ესე იგი შენ მტყუანი ხარ".

* * *

რაც შეეხება პორტუგალიის კოლონიური იმპერიის დაცემის შედეგად წარმოშობილ სუვერენულ სახელმწიფოთა შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიური თვალსაზრისით მოზამბიკი ჯერჯერობით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან უფრო მჭიდრო კონტაქტში იმყოფება, ვიდრე ანგოლასთან. ესეც კოლონიური გადმონაშთია. 1975 წლის მონაცემებით მოზამბიკის საგარეო ვაჭრობაში პრეტორიას მეორე ადგილი უკავია პორტუგალიის შემდეგ.

თუ „რანდ დეილი მეილის“ მონაცემებს დავეყრდნობით ყოველწლიურად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მაღაროებში 100 ათასამდე მოზამბიკელი მუშაობს. ამავე დროს მოზამბიკის კონვენციის თანახმად თითოეულ მუშაზე მაღაროთა ადმინისტრაცია ყოველწლიურად მოზამბიკის მთავრობას 4 რანდს უხდის, ე. ი. 400 ათას რანდს წელიწადში.

6 თვის მუშაობის შემდეგ მუშათა ხელფასის 60 პროცენტი მოზამბიკში იგზავნება და მას მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ღებულობს მოზამბიკელი მუშა.

წარსულში კოლონიური ადმინისტრაცია სამუშაოდან დაბრუნებულ აფრიკელებს ესკუდოს უხდიდა, ხოლო პრეტორიიდან გადმორიცხულ ოქროს ლისაბონში გზავნიდა.

მოზამბიკის ეკონომიკა ძირითადად სოფლის მეურნეობას ეყრდნობა. 45 პროცენტს შეადგენს ეროვნულ ეკონომიკაში მისი ხვედრითი წონა. სოფლის მეურნეობაშია დაკავებული მოსახლეობის 90 პროცენტი და სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს საექსპორტო შემოსავლის ორ მესამედს. დამმუშავებელი მრეწველობა ძირითადად ნედლეულს ამუშავებს და მისი ხვედრითი წონა საბითუმო საშინაო პროდუქტში 14 პროცენტს არ აღემატება.

ამავე დროს ძალზედ მდიდარია მოზამბიკის მინერალური რესურსები, მაგრამ კაპიტალდაბანდება უმნიშვნელოა.

მოზამბიკისათვის დამახასიათებელი კოლონიური დამოკიდებულების ბევრი ნიშანი ანგოლასაც ახასიათებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ანგოლა გაცილებით მდიდარია და მეტი უცხოური კაპიტალია აქ დაბანდებული.

მიუხედავად იმისა, რომ ანგოლაში მხოლოდ ორი პროცენტი მიწებია დამუშავებული (მოზამბიკში 6 პროცენტი), სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა საბითუმო ეროვნულ პროდუქტში 20—25 პროცენტია, მრეწველობაზე კი 17 პროცენტი მოდის. ანგოლაში უცხოური კაპიტალი ძირითადად ბანდდება ნავთობის, რკინის მადნის, ალმასის მოპოვებაში.

გარდა იმპერიალისტური ძარცვისა, პორტუგალიის კოლონიების სიმდიდრე აშკარად იფლანგებოდა დაკანონებული, ოფიციალური კორუფციის წყალობითაც. 1974 წლის 27 ივნისს გაზეთი „სტარი“ წერდა: „გადატრიალებამ შეიძლება ბოლო მოუღოს კორუფციასა და ბიუროკრატიას მოზამბიკში. კაეტანუს რეჟიმის დროს, როდესაც ხელისუფლება მხოლოდ მმართველ ელიტას ეკუთვნოდა, კორუფცია ჰყვაოდა“.

როგორც გაზეთი იუწყებოდა, მოზამბიკსა და ანგოლაში დამკვიდრებული კორუფციის წყალობით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაც ღებულობდა დიდძალ მოგებას.

მოზამბიკის სუვერენული რესპუბლიკის შექმნისთანავე, კეიპტაუნში, წარმომადგენელთა პალატაში გამოსვლისას ფორსტერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა ცნობს მოზამბიკის დამოუკიდებლობას და მზად არის ითანამშრომლოს მასთან. „ჩვენ გვსურს, — განაცხადა მან, — მჭიდრო ეკონომიური კავშირი ვიქონიოთ მოზამბიკის მთავრობასთან". აქვე იგი დაემუქრა მოზამბიკს, რომ თუ მოზამბიკის მთავრობა ხელს შეუწყობდა სამხრეთ აფრიკის განმათავისუფლებელ მოძრაობას, სამხედრო სანქციებსაც არ მოერიდებოდა მის წინააღმდეგ. ანგოლის მაგალითზე ფორსტერმა უკვე დაამტკიცა, რომ მეზობელ სუვერენულ სახელმწიფოთა მიმართ არაპროვოცირებული აგრესია მისთვის ძნელად გადასადგმელი ნაბიჯი არ არის.

ანგოლისა და მოზამბიკის თავისუფლების პირველსავე წლებმა ცხადყვეს, რომ პრეტორია მათ წინააღმდეგ არა მხოლოდ თავის ეკონომიურ ბერკეტს იყენებს, არამედ ჭუჭყიან ხერხებსაც არ ერიდება აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სტილში. იგი უკვე არაერთხელ შეეცადა ფრელიმოს მთავრობის დესტაბილიზაციას, მის რიგებში შუღლის ჩამოგდებას, ტომთაშორისო სეპარატიზმის გაძლიერებას. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრესაში უკვე კარგა ხანია რაც სისტემატურად ქვეყნდება თითქოსდა ფრელიმოს ხელმძღვანელობაში არსებული უთანხმოების დეტალები და პროგნოზები.

მართალია, მოზამბიკი ჯერ კიდევ დამოკიდებულია სამხრეთ აფრიკის ეკონომიურ პოტენციალზე ზოგიერთ საკითხში, მაგრამ თავის მხრივ არც იმ გარემოების მივიწყება შეიძლება, რომ პრეტორიას უკიდურესად ესაჭიროება კაბორა ბასას ელექტროენერგია. თუ იგი დაკარგავს კაბორა ბასას პროექტის განხორციელებისათვის გაღებულ კაპიტალდაბანდებასა და თვით ელექტროენერგიასაც, იძულებული შეიქნება ანალოგიური დანიშნულების სხვა პროექტის განხორციელებაზე იფიქროს, რაც ახალ ხარჯებს მოითხოვს და ახალ რისკთან არის დაკავშირებული.

გარდა ამისა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას უკიდურესად ესაჭიროება მოზამბიკელ მემაღაროელთა შრომა, ვინაიდან მუშახელის ქრონიკულ ნაკლებობას განიცდის. ნუ დავივიწყებთ, რომ ადგილობრივი მემაღაროელები ქვეყნის მაღაროებში დასაქმებული მთელი მუ-

შახელის მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენენ, დანარჩენი 80 პროცენტი მალავიდან, მოზამბიკიდან, ლესოტოდან არიან ჩამოსული. ზამბიაში და ტანზანიაში მუშების დაქირავება ამ ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე აკრძალა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. დღითი დღე სულ უფრო და უფრო ნაკლებ აფრიკელს იზიდავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მაღაროებში მუშაობის პერსპექტივა, ეს არის მსოფლიოში ყველაზე საშიში და დაბალხელფასიანი შრომა. მარტო 1973 წელს სამხრეთ აფრიკის მაღაროებში 737 კაცი დაიღუპა და 29 ათასი დასახიჩრდა. როგორც ადგილობრივი გაზეთი „ფაინენშნლ მეილი" 1974 წლის სექტემბერში იუწყებოდა, ხსენებულ ფაქტორთა გამო ქვეყნის მაღაროებს უკვე 40 ათასი მემაღაროე აკლია. თუ ერთ მშვენიერ დღეს 100 ათასი მოზამბიკელი მემაღაროე დატოვებს ქვეყანას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთელი სამთომომპოვებელი მრეწველობა კრახის პირას აღმოჩნდება.

ფაქტია, რომ მოზამბიკი ჯერ კიდევ თავისი განვითარების პირველ ფაზაში იმყოფება. არავის ძალუძს ზუსტად განსაზღვროს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, მაგრამ ძალზედ ძვირი დაუჯდა თავისუფლება მოზამბიკელ ხალხს, რომ ადვილად დათმოს იგი. თავისუფლებისათვის მრავალწლიანი საბრძოლო გამოცდილებისა და ფრელიმოს აქტივისტთა თავდადებული შრომის შედეგად, ქვეყანაში ინიციატივას მტკიცედ ფლობენ პატრიოტული ძალები.

რაც შეეხება ანგოლის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 146-ე წევრად იქცა, ძალთა დიდი დაძაბვით განაგრძობს ბრძოლას ეროვნული რეკონსტრუქციისათვის.

ეროვნული რეკონსტრუქცია, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს სამოქალაქო ომის პერიოდში დანგრეული ეკონომიკის აღდგენას, პროდუქციის გამოშვების ზრდასა და წარმოების ახალ ორიენტაციას. არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც 700 ათასი პორტუგალიელი კოლონისტის ხელში იმყოფებოდა ადმინისტრაციისა და კოლონიური ეკონომიკის ყველა ბერკეტი. ამათგან 80 პროცენტმა სამოქალაქო ომის პირველსავე დღეებში დატოვა ანგოლა. რასაკვირველია, მათ თან წაიღეს ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა, საბუხჰალტრო წიგნებისა და დოკუმენტების ჩათვლით. ქვეყანა უცებ აღმოჩნდა მასწავლებლების, ექიმების, ტექნიკური სპეციალისტების გარეშე. ამავე დროს ინტერვენტები ძარცვავდნენ და წვამდნენ ყველაფერს, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ; მწყობრიდან გამოჰყავდათ გზატკეცილები

და რკინიგზის მაგისტრალები, დაანგრიეს 130-ზე მეტი ხიდი, გაანადგურეს ქვეყნის მთელი საავტომობილო პარკის ორ მესამედზე მეტი. ომმა გამოიწვია მოსახლეობის მასობრივი აყრა დასახლებული ადგილებიდან. მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის წარმოება, მოიშალა მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგების სისტემა. მთავრობა იძულებული შეიქნა სწრაფად მიემართა იმპორტისათვის.

აღდგენით სამუშაოებში პრიორიტეტი ენიჭება კვების პროდუქტთა წარმოებას და წარმოების თანამედროვე დარგების განვითარებას.

თავის დროზე, რაც უფრო ღრმად ეფლობოდა პორტუგალიის ფაშისტური რეჟიმი კოლონიურ ომში, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა მრავალეროვან კამპანიათა მოღვაწეობისათვის ანგოლაში. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ხელში აღმოჩნდა თანამედროვე მრავალდარგოვანი საწარმოო აპარატი, ყავის, სიზალის, ბამბის პლანტაციები, გადამმუშავებელი მრეწველობა, სამთომომპოვებელი საწარმოები. თუმცა ყოველივე ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ კოლონიალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პირობებში, ამ სექტორის დაუფლება ბევრ გადაუდებელ პრობლემას ბადებს. ავიღოთ ყავის წარმოების საკითხი; მსოფლიო ბაზარზე ყავის იმპორტიორთა შორის ანგოლას მყარად ეკავა მეოთხე ადგილი. ადრე პორტუგალიელ კოლონიზატორთა საკუთრებაში მყოფ ყავის პლანტაციათა დიდი ნაწილი ღდეს უკვე ნაციონალიზებულია. კოლონიალიზმის პერიოდში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა იძულებითი შრომა. კაბალური კონტრაქტები და მოსახლეობის სეზონური მასობრივი გადასახლება სამხრეთის რაიონებიდან ჩრდილოეთში. ღღეს უკვე გამორიცხულია ასეთი იძულებითი მიგრაცია, მაგრამ სამაგიეროდ მწვავედ დადგა მუშახელის პრობლემა, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში.

1977 წლის გაზაფხულისათვის უკვე ნაციონალიზებული იყო საწარმოო სექტორის 70 ერთეული (სულ 500 საწარმოო ერთეულია ანგოლაში). დასახულია ამოცანა, რომ ხსენებულ სექტორში საწარმოო ერთეულთა 80 პროცენტი იქნება ნაციონალიზებული, მაგრამ უპირველესი ამოცანაა წარმოების აღდგენა. ბევრი საწარმოა დახურული ნედლეულისა და სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო, ის საწარმოები კი, რომლებიც მუშაობენ, თავიანთი საწარმოო სიმძლავრის 10-15 პროცენტით არიან დატვირთულნი. ჯერჯერობით კიდევ დაბალია შრომის ნაყოფიერება. დასავლეთის ფირმები და ბანკები აშკარად

ცდილობენ აკვანშივე ჩაახრჩონ რესპუბლიკის წარმოება; უარს ამბობენ კრედიტების გაცემაზე და ნაღდ ანგარიშსწორებას მოითხოვენ. საბოტაჟს რესპუბლიკის მთავრობამ პროფკავშირთა და მართვის სპეციალური კომისიების შექმნით უპასუხა. კომისიებს ევალება საწარმოთა საქმიანობაზე მშრომელთა კონტროლისა და „წარმოებისათვის ბრძოლაში“ მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ნავთობი, რკინისა და ურანის მადანი, მარგანეცი, თუჯი, ფოსფატები, ალმასი — ყველაფერი ეს უხვად მოიპოვება ანგოლაში. ჯერჯერობით ამ სიმდიდრის მრავალეროვანი კომპანიები ამუშავებენ („ჰალფ ოილი“, „დე ბირსი“ და ა. შ.). მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში საკუთარ ხელში აიღოს ქვეყნის წიაღისეულის სრული ექსპლოატაცია, მაგრამ სადღეისოდ იმავე ნავთობისა და ალმასების მოპოვების და ექსპორტისათვის, ახალგაზრდა რესპუბლიკას არ გააჩნია არც სპეციალისტები, არც კაპიტალი, არც გასაღების ბაზრები.

ეკონომიური რეკონსტრუქციის უპირველესი ელემენტია სოციალისტურ ბანაკთან თანამშრომლობა. რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს მრავალფეროვანი გახადოს თავისი საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობანი, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, რომელსაც გააჩნია საკუთარი ეკონომიური პოლიტიკა, საკუთარი ვალუტა. რესპუბლიკის მთავრობამ უარი განაცხადა ხელი მოეწერა ე. წ. ლომას კონვენციაზე, რომელიც აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის 47 სახელმწიფოს „საერთო ბაზართან“ აკავშირებს.

ეროვნული რეკონსტრუქცია ერთი ხალხის, ერთი ერის ფორმირებასაც გულისხმობს. ეს არცთუ ისე იოლი ამოცანაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეული წლების განმავლობაში კოლონიზატორები ყველაფერს აკეთებდნენ ტომთა შორის შუღლისა და ტრაიბოლიზმის გამწვავებისათვის. ეს ძალზედ რთული პროცესია, რომელიც ერთდროულად დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივიზაციასა და ეკონომიურ განახლებასთანაც, მპლა-სა და სახალხო ხელისუფლების გამტკიცებასთან და რომელიც მოითხოვს, რომ ყველგან იყოს უზრუნველყოფილი ნდობა, მშვიდობისა და უსაფრთხოების ატმოსფერო.

რაც შეეხება ქვეყანაში საყოველთაო მშვიდობის აღდგენასა და სრულ უსაფრთხოებას, მიუხედავად „სამოქალაქო ომის“ დამთავრებისა, ჯერ კიდევ იგრძნობოდა დაძაბულობა ზოგიერთ რაიონში; სამხრეთი საზღვრის გასწვრივ სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არმია, პრეტორია კვლავინდებუ-

რად აიარაღებს ფნლა-სა და უნიტა-ს ყოფილ მებრძოლებს. რომლებიც ახლა ჩვეულებრივ მძარცველებად იქცნენ. თუმცა ანგოლაში უნიტა, როგორც ორგანიზებული ძალა, კარგა ხნის ლიკვიდირებულია, მაგრამ ალაგ-ალაგ შემორჩა მისი ბანდები, რომლებიც ძარცვავენ მშვიდობიან მოსახლეობას. შეიარაღებული ბანდები მოქმედებენ, აგრეთვე, ზაირის ტერიტორიიდან. მართალია, ეს მოთარეშე ბანდები არ წარმოადგენენ სერიოზულ სამხედრო საშიშროებას რესპუბლიკისათვის, მაგრამ მათ შეუძლიათ სპეციფიური სიძნელეები შეუქმნან ახალგაზრდა რეჟიმს გარკვეულ ეტაპზე.

ეროვნული რეკონსტრუქციის პერიოდში მოქმედების პროგრამა მპლა-მ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე განიხილა და მოიწონა. პლენუმს წინ უძღოდა პარტიის „მეშარცხენე“ ფრთასთან ხანგრძლივი დისკუსია. პლენუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მთავარი ამოცანაა ანგოლაში სოციალიზმის მშენებლობა. საყოველთაო მხარდაჭერა პოვა ავანგარდული პარტიის შექმნის იდეამ, რომელიც თავის თავის მოღვაწეობას მეცნიერულ სოციალიზმს დაუდებს საფუძვლად. ყოველივე ამისათვის კი სათანადო პირობების შექმნაა საჭირო. არ უნდა დავივიწყოთ ანგოლის სოციალური სპეციფიკაც — ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი სოფლად ცხოვრობს, 90 პროცენტმა არ იცის წერა-კითხვა. რაც შეეხება მუშათა კლასს, იგი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს 60-იანი წლების ბრძოლაში, მაგრამ „მეორე განმათავისუფლებელ ომში“ უკვე ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდა. განვლილ პერიოდში მუშათა კლასი რიცხობრივადაც გაიზარდა და იდეოლოგიური თვალსაზრისითაც განმტკიცდა. ამავე დროს მპლა-ს ხელმძღვანელებს ესმით, რომ მუშათა კლასისათვის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა რთული საქმეა, რომელიც აუჩქარებელ ორგანიზაციულ მუშაობას მოითხოვს. დიდი მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე, ახალგაზრდულ და ქალთა ორგანიზაციებშიც. შეიძლება სწორედ ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას კარგად ესმის ქვეყნის წინაშე მდგომ პრობლემათა სერიოზულობა, საბოლოო წარმატების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი[1]

პ ი რ თ ა

აბატე ა. 257
აბდალა 105
აბუდა 104, 105, 106
აბური 203
ადულა 134
ავადა 118 (ავადელა)
ავოლოვო ა. 202
ალისი 268
ალიკევე ნ. 207
ალინტოლა 192
ალუფო-ადო ე. 39
ალ-ანსარი 108
ალ-ასხარი ი. 114
ალ-ატა ჰ. 123
ალექსანდერი 31
ალიერია ა. 121
ალ-მაჰდი 108, 110
ალ-უმა 109, 111, 122,
ალ-ფაზარი 7
ალ-ხალიფა 107, 108, 109
ალ-ჰინდი შ. 122
ამბრიზ ა. 32
ანდრეი 250
ანკო ა. 234
ანკრა ჯ. 31, 34, 37
ან-ნური ბ. 123
ასსარი 21
აფრიფა 37
აშ-შეიხი ა. 123
აჩემპონგი ი. 40
ბალევა ა. ტ. 189
ბალოცი 174
ბანდა ხ. 9
ბანტი ტ. 257
ბელელე 262
ბეკრი ა. 7
ბელო ს. 192
ბერნარდები (ძმები) 178
ბლატუ ადმასუ რეტუ 249
ბოდუენი 127
ბომინი 165
ბოტა მ. 150, 161, 162, 163
ბოტომლი 265
ბრეენნევი ლ. ი. 5, 59
ბრეტონი ჯ. 189
ბროკუეი 169
ბუსია კ. 10, 32, 36, 38, 40
ბუტულუზი 152

ბანდი 177
ბარანტი დ. 123
გარდინერი 265
გაუნტი 268
გბენიე 233
გრააფი 149, 150
გოვონი 202, 203, 204, 216, 219, 222
გოი 235

დავიდსონი 267
დე გოლი 78
დე კლერკი 186

---

[1] საძიებლები შეადგინა ლ. გამცემლიძემ.

დეზირე ჯ. 142
დემისიე ა. 249
დენარი 139
დიუპონი 272
დუგლას-ჰიუმი 273

ებანი ა. 81
ეიზენჰაუერი 16, 29
ეიკენი 126
ელისაბედი 189
ელ-ასხარი 111
ელ-მაჰდი ს. 115
ელ-მაჰდი ჰ. 115
ენახორო ა. 206
ეშკოლი 80
ეტეუდი 226, 232
ეტიგო 73

ჰილსონი 212, 264
ჰოლდა 247
ჰოსენი 255

ზეიდი ა. 124
ზიადი მ. 112

ი.ეუბუ გოეონი 193
იანსონი 179
იასე ვ. 80
იდენსონი 271
იკბემე ჯ. 205
ილეო 133
იმრუ მ. 248
ინესი 174
ირონსი 192, 193

კაბრალი ა. 281, 283
კაბრალი ლ. 283
კაგია ბ. 234, 236
კადეაეიეი ჰ. 153
კაეტანუ 63, 284
კაეავა რ. 94
კაიზერი ე. 17
კანზი 137
კარვედონი 165, 166
კარუმე ა. 96
კასავუბუ 13, 133, 134, 136, 138
კაუნდა კ. 92, 165, 277
კენედი ჯ. 15
კენიატა ჯ. 224, 225, 233, 234, 236
კისინჯერი 222, 278, 279
კოლონეი 133
კოსიგინი ა. ნ. 111
კოფანა კ. 51
კროუდერი 195
კუარში 39
კუმბი ცალე
კეტი ნანა 36

ლანკესი ი. 63
ლეგარდი 195
ლენინი ვ. ი. 33, 206
ლისტოველი ე. 10
ლოდი 139
ლორენსე-მარკეში 283
ლუდეროტი ე. 37
ლუმუმბა პ. 9, 11, 12, 13, 126, 130, 132, 133
ლეტელი 177

მაგომბე 275
მაღზიმამეტე ვ. 230
მადინა-ქიე 282
მაიფე 173
მაიო ჰ. 95
მაკენზი 226
მაკონელი ე. 247, 248
მაკფერსონი 193, 194
მანდელა ნ. 174
მატანზიმა კ. 149, 152
მაჰჯუბი ა. 111, 115, 116, 117, 123
მბოია ტ. 234, 236
მენელიკი 255
მკარიამა 232
მიულდერი 163, 187
მიულერი 158
მობუტუ 133, 138, 140, 141, 142, 230
მოეეხლე 159

Შონგა 139
Შონგუნო 215
ᲛᲣᲠᲝᲠᲔᲒᲐ 276, 277
ᲛᲣᲜᲝᲜᲒᲝ 134

ᲜᲣᲢᲝ Ა. 290
ᲜᲖᲘᲔᲚᲘ, 192
ᲜᲘᲔᲠᲔᲠᲔ Ჯ. 85, 89, 90, 96, 98, 99, 165, 225
ᲜᲘᲛᲔᲘᲠᲘ 124
ᲜᲙᲝᲛᲝ 264, 276
ᲜᲙᲠᲣᲛᲐ 8, 9, 12, 14, 16, 17, 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 37, 39, 62, 79

ᲝᲑᲐᲡᲐᲜᲯᲝ 219, 221
ᲝᲑᲔᲠᲢᲘ Გ. 161
ᲝᲑᲝᲢᲔ Მ. 9, 212, 225
ᲝᲓᲘᲜᲒᲐ 227, 230, 234, 235, 237
ᲝᲞᲔᲜᲰᲔᲘᲛᲔᲠᲘ Ე. 148, 170
ᲝᲞᲔᲜᲰᲔᲘᲛᲔᲠᲘ Ჰ. 148, 170, 180
ᲝᲯᲣᲙᲕᲣ Ო. 202, 203, 204, 207, 208

ᲞᲐᲢᲠᲘᲯᲘ 175
ᲞᲔᲚᲡᲝᲠᲘ 175
ᲞᲝᲛᲞᲘᲓᲣ Ჟ. 82
ᲞᲝᲢᲝ Ვ. 149

ᲠᲔᲠᲐᲠ ᲓᲔ ᲛᲘᲚᲕᲘᲚᲘ 60

ᲠᲐᲡᲔᲚᲘ 178
ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲝᲜᲘ 32
ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ Ჰ. 290, 291
ᲠᲝᲓᲠᲘᲒᲔᲡᲘ 268
ᲠᲝᲙᲤᲔᲚᲔᲠᲘ 72
ᲠᲝᲛᲔᲠᲘ 78

ᲡᲐᲚᲐᲖᲐᲠᲘ 284
ᲡᲐᲚᲔ 78
ᲡᲐᲠᲢᲠᲘ 129
ᲡᲔᲘᲣᲛᲘ Მ. 254
ᲡᲔᲘᲕᲝᲠᲘ 279
ᲡᲘᲢᲝᲚᲔ 264, 276
ᲡᲙᲝᲠᲪᲔᲜᲘ 171
ᲡᲛᲘᲗᲘ Დ. 93, 261, 264, 275, 277, 278, 279
ᲡᲝᲑᲝᲚᲔᲕᲘ Ა. 8
ᲡᲝᲑᲣᲙᲕᲔ 177
ᲡᲝᲚᲡᲑᲔᲠᲘ 272
ᲡᲐᲘᲜᲝᲚᲐ 181
ᲡᲢᲐᲤᲔᲜᲓᲐᲡᲘ Დ. 150
ᲡᲢᲔᲘᲜᲘ Მ. 34
ᲡᲢᲔᲘᲗᲚᲔᲠᲘ 178
ᲡᲢᲝᲒᲢᲝᲜᲘ Ფ. 22
ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲘ Ა. 115
ᲡᲣᲛᲘᲐᲚᲝ 137

ᲢᲐᲛᲑᲝ 177
ᲢᲐᲞᲔ 72
ᲢᲔᲒᲔᲒᲔ Ნ. 254
ᲢᲔᲛᲣ 95
ᲢᲔᲠᲛᲝᲜᲓᲘ 139
ᲢᲠᲔᲣᲠᲜᲘᲰᲢᲘ 186
ᲢᲣᲠᲔ Ს. 43, 44, 46, 54, 55, 56, 57, 59, 60, 61, 79, 177

ᲣᲕᲘ Ე. 206
ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ Მ. 78
ᲣᲘᲜᲢᲔᲠᲘ Ჯ. 153
ᲣᲝᲠᲙᲣ Დ. 252
ᲣᲤᲣᲔ-ᲑᲣᲐᲜᲘ Ფ. 65, 66, 67, 71—82
ᲣᲨᲔᲠᲘ-ᲐᲡᲣᲐᲜᲘ Ა. 72, 83

ᲤᲔᲠᲕᲣᲠᲓᲘ 149, 150, 156, 157, 268
ᲤᲔᲘᲡᲐᲚᲘ 114
ᲤᲘᲚᲓᲘ Უ. 264
ᲤᲝᲠᲓᲘ 72
ᲤᲝᲠᲡᲢᲔᲠᲘ Ბ. 52, 53, 153, 174, 180, 183, 184, 186, 187, 277
ᲤᲝᲣᲚᲓᲢᲝᲜᲘ 165
ᲤᲣᲛᲣ 283

ᲨᲔᲞᲐᲠᲓᲘ 194
ᲨᲠᲘᲛᲘ 139

ᲩᲝᲛᲑᲔ Მ. 61, 79, 132—139
ᲩᲘᲢᲔᲞᲝ 275

ᲮᲐᲚᲓᲢᲝᲜᲘ 165

ჯონათანი 157
ჯონსონი 139
ჯუმბე ა. 96

ჰაბი 123
ჰაილე მ. 257, 262
ჰაილე ს. 241, 242, 249, 250
ჰაირალა 111
ჰაჰადელა ფ. 123
ჰამარშელდი 132, 133
ჰარდი 235
ჰარვეი ჰ. 51
ჰარსენი 20
ჰეილი 197
ჰერტერი 16
ჰიტი 165, 166
ჰიუმი 14
ჰოჩკინი ტ. 33
ჰუდმანი 273

გეოგრაფიულ სახელთა

აბა 219
აბიჯანი 70, 72, 74, 78, 80, 82
აბისინია 254
აბუასი 39
ადის-აბება 221, 239, 240, 241, 246, 247, 259, 262, 288
აღსტრია 129
აზია 7, 61, 145, 190, 194
აკრა 8, 34, 35
ალ-გეზირი 106
ალეირი 8, 13, 59, 79, 111, 139, 157, 225
ამერიკა 14, 33, 59, 71, 72, 81, 165, 215
ანგოლა 4, 14, 60, 99, 167, 276, 287, 289, 293, 294
არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა 12, 79, 101, 111
არაბეთის ნახევარკუნძული 107
არუსი 238
აფრიკა 3, 4, 36, 42, 61, 65, 69, 80, 100, 130, 145, 156, 191, 192
აფრო-მალგაშეთის კავშირი 78, 142
ატლანტის ოკეანე 162, 289
აღმოსავლეთი ნიგერია 200, 202, 203, 214
ეშანტი 23

ბანტუსტანი 149
ბატუსოლენდი 156
ბახრ-დარი 241
ბახრ-ელ-გაზალი 120
ბეგემდერი 261
ბეირა 270
ბელგია 12, 33, 127, 129, 130, 131, 135, 140, 190, 253
ბეჩუანალენდი 156
ბიაფრა 81, 205, 206, 207, 209, 211, 214
ბისაუ 281
ბოკსბერგი 169
ბონი 21
ბოტსვანა 145, 155, 157, 158, 159, 276
ბრიტანეთი 61, 84, 194, 196
ბრიუსელი 136
ბუკაეუ 139
ბულგარეთი 43, 51, 74

ბაბონი 73
განა 7, 9, 13, 18, 19, 20, 21, 24, 25, 26, 27, 40, 41, 79, 161
განის მეორე რესპუბლიკა 37
გერმანია 190, 215
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 28, 43, 49, 51, 62, 117
გვინეა 12, 42, 53, 54, 57, 60
გვინეი-ბისაუ 48, 281, 282

დაგომეი 74, 81
დაკარი 65
დანია 129
დასავლეთ გერმანია 15, 20, 33, 34, 62, 69, 80, 112, 129, 210
დარ-ეს-სალამი 92, 98, 100, 102
დიდი ბრიტანეთი 7, 10, 11
დირეგადუ 274
დიტინი 60

ეგვიპტე 8, 103, 119, 124
ევროპა 145

ეთიოპია 3, 160, 206, 238, 239, 240, 241, 243
ენუგუ 203, 219
ეპაყი 103, 111, 124
ეტიტრეა 244, 245

ვაუ 121
ვაშინგტონი 136, 154
ვიეტნამის რესპუბლიკა 78, 102
ვინდჰუკი 154
ვოლტი (მდ.) 16, 17, 25, 69

ზაირი 126, 141, 157
ზამბეზი (მდ.) 182
ზამბია 92, 165, 275, 289, 290
ზანზიბარი 85, 86, 95, 96, 97, 98
ზემო ვოლტი 79
ზემო ნილოსი 120
ზიმბაბვე 61, 271, 277, 278

იამუსუკრო 65
იბადანი 218
იოჰანესბურგი 152, 166, 169, 179
იაპონია 33
იემენი 111
ინგლისი 10, 20, 29, 31, 33, 34, 46, 81, 96, 163, 165, 166, 215
ინდოეთი 96
ინდოეთის ოკეანე 165
ინიანგი 272
ირლანდია 129
ისრაელი 33, 78, 81
ისტ-ლონდონი 179
იტალია 21, 33, 96, 129, 190
იუგოსლავია 28

კაბორა-ბასა 285
კაბო-დელგადუ 285
კადუნა 192, 219
კაირო 111
კალაბარი 219
კამბოჯა 78
კამერუნი 8
კანადა 33
კანო 201, 219
კარიბის ზღვა 296
კარმბადი 168
კატანგა 132, 133, 134
კეთილი იმედის კონცხი 146
კეიპ კოსტი 38
კეიპტაუნი 150 179, 185
კენია 157, 224, 225, 226, 227, 228
კინშასა 81, 141
კირუმუ 236
კოკიავილი 128
კონაკრი 49, 282
კონგო 11, 15, 58, 60, 79, 107, 126, 127, 129, 140, 141, 154, 232, 233
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 119
კუბა 15
კუმასი 23, 38
კუნენე (მდ.) 288

ლაგოსი 190, 203, 220, 223
ლეოპოლდვილი 107, 128, 132, 137, 138
ლესოტო 145, 155, 157
ლიბერია 8
ლიბია 119, 124
ლივანი 8
ლილონგვე 158
ლიმპოპო 182
ლისაბონი 63, 64, 281, 292
ლიხტენბურგი 144
ლონდონი 33, 62, 165, 173, 193, 223, 224
ლონეი 137
ლუანდა 287
ლელუამბურგი 128
ლუსაკა 276, 277
ლუქსემბურგი 129

მადაგასკარი 160
მადინე-ქიე 282
მალავი 79, 145, 155, 159
მალგაშეთის რესპუბლიკა 159

მალუში 60
ძარიცბურგი 179
მაროკო 8, 142
მინკა 285
მოზამბიკი 99, 167, 270, 283, 284, 292, 293, 294
მოსკოვი 231
მწვანე კონცხის კუნძულები 100, 281

ნამიბია 152, 154, 181, 182
ნიასა 285
ნიგერია 30, 79, 81, 82, 189, 191, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203
ნილოსი 120
ნიუ-იორკი 132, 148
ნიუკასლი 185

ოგადენი 263
ოვამბოლენდი 182
ოვერი 219
ოქროს ნაპირი 7

პარიჟი 82
პეკინი 31
პემბი 85, 86
პიტერსბურგი 168
პოლონეთი 28, 43, 74, 81
პორტ-ელიზაბეტი 179
პორტუგალია 13, 14, 63, 64, 100, 129, 181, 281, 287
პორტ-პარკოტი 203, 219
პრეტორია 166, 179, 182
პტიპტი 137

ჩენევა 279

როდეზია 161, 273, 274
რუმინეთი 28, 51, 74, 81

საბჭოთა კავშირი 4, 5, 7, 8, 17, 25, 27, 28, 37, 42, 49, 50, 81, 95, 142, 209
სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა 101, 145, 148
სამხრეთი აფრიკა 4, 40, 59, 82, 142—175
სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია 64
სამხრეთი ვიეტნამი 61
სამხრეთი როდეზია 166, 264, 266, 267, 268
სამხრეთი სუდანი 120, 121
საუდის არაბეთი 113, 114, 119
საფრანგეთი 11, 33, 46, 58, 61, 65, 68, 72, 76, 82, 162, 166, 190, 215
საჰარა 11, 73
სვაზილენდი 145, 155, 156
სეკონდი 22
სიმენი 261
სირია 111
სიტი 148
სოკოტო 195
სოლსბერი 265, 274
სომალი 289
სპილოს ძვლის ნაპირი 65, 66, 67, 69, 70, 72, 73, 74, 75, 78, 79, 80, 81
სტენლივილი 128, 134
სუდანი 8, 103, 104, 106, 107, 109, 110, 111, 112, 122, 124

ტაივანი 73
ტანგანიკა 84, 85, 87, 89, 94, 96, 224, 225
ტანგუ 101
ტანზანია 36, 84, 86, 88, 91, 93, 97, 98, 99, 100, 101, 165, 289, 290
ტელ-ავივი 78
ტემი 35, 39
ტეტე 285
ტრანსკეი 149, 150, 151, 152
ტოგო 8, 74
ტუნისი 8

უგანდა 157, 224, 225
უკუნკენი 47
უმტალა 269, 270
უმუაჰია 219
ულსტერი 51

ფინჩა (მდ.) 242
ფიშ-რიეერი (მდ.) 152
ფრანკფურტი 146

შვეიცარია 129, 147, 269
შვეცია 33

ჩეხოსლოვაკია 28, 43, 74, 81
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 42, 80, 92
ჩრდილოეთ გვინეა 64

ცინი 20

ციურიხი 148

ძალუკუ 141

წყნარი ოკეანე 296

ხართუმი 106
ხარარი 247

ჰაგა 154
ჰელსინკი 291
ჰოლანდია 26, 96, 129

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
განა 7
გვინეა 42
სიერა ლეონეს ძვლის ნაპირი 65
გაერთიანებული რესპუბლიკა ტანზანია 87
სუდანი 103
ზაირი 126
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 143
ნიგერია 189
კენია 224
ეთიოპია 238
სამხრეთი როდეზია 264
უკანასკნელი კოლონიური იმპერიის ნანგრევებზე 281
გვინეი-ბისაუ 281
მოზამბიკი 283
ანგოლა 287
საძიებლები 298